

საქართველოს
სამეცნიერო



თავდასაცემი პიპინი

საქართველოს
სამეცნიერო
სამეცნიერო

თამაზ კიკნაძე

 
საქართველოს
კონსტიტუციის
კონსტრუქციები



ავტორი -- ენობილი სპელეოლოგი და მკვლევარი, მკითხველთან ერთად წივილის კენის სახელგანთქმულ ნაკრძალებს, არგენტინის პამპასებს, საფრანგეთის მთებსა და მღვიმეებს, ალყირს, იუგოსლავიას. გაგვაცნობს ამ ქვეყნების ბუნებას, მოსახლეობას, კულტურას. ზოგიერთი ხალხისა და ტომის ადათ-წესებს, პარიზის, ბუენოს-აირესის, ალყირის, ლიმას, ნაირობის, ვენის თავისებურებებს, ღირს-შესანიშნაობებს, არქიტექტურას, მუზეუმებს.

რეცენზენტი: გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი
გ. პიპინეიშვილი

К 4702017020 — 031 235—85
601 (08)—85

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985

ყოველ ადამიანში თვლემს მოგზაურის დაუდგრომელი სული. ეს იმ შორეულ, გარდასულ ეპოქათა ქვეცნობიერი გადმონაშთია, როდესაც საარსებო საშუალებათა მიძიებელი ადამიანი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. მერე ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა ტივებისა და ნაგების კეთებაც ისწავლეს და სულ უფრო გაბედულად იჭრებოდნენ შორს, ზღვებსა და ოკეანეებში.

კოსმოსის დაპყრობისა და ათვისების ეპოქაში დედამიწაზე თითქოს აღარაფერი დარჩა აღმოსაჩენი; ერთის შეხედვით ყველაფერი გარკვეულია და თავის ადგილზეა. მართლაც, ახალი კონტინენტებისა და ოკეანეების აღმოჩენა შეუძლებელია, მაგრამ განა ყველაფერი ვიცით ჩვენი მშობლიური პლანეტის შესახებ, ან კაცობრიობის ისტორიის ყველა ფურცელია ამოკითხული? თეთრი ლაქები ჯერ კიდევ ბევრია. ნათქვამის დასტურად კენიაში მიკვლეული პირველყოფილ ადამიანთა ნაშთებიც გამოდგება. მანამდე დადგენილად მიაჩნდათ, რომ ადამიანის წარმოშობას დასაბამი 1,5 მილიონი წლის წინათ მიეცა. საუკუნის ამ დიდმა აღმოჩენამ კი ადამიანის წარმოშობის პერიოდი ანუ ანთროპოგენი 3,5 მილიონი წელი დაადგინა. დღეს ხომ ისიცაა ცნობილი, რომ ქრისტეფორე კოლუმბი არ იყო ამერიკის კონტინენტის პირველადმოჩენი. იმასაც ამბობენ, რომ ვიკინგებზე გაცილებით ადრე, 26 — 28 საუკუნის წინათ, ფილადელფიის მახლობლად უკვე არსებობდა ევროპიდან მოსული ბასკების დიდი დასახლება, რაც ამ ადგილებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ბასკური დამწერლობის ნიმუშებით დასტურდება.

უდავო ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ადამიანისათვის ყველაზე დიდი მასწავლებელი ბუნება და მის წიაღში მოგზაურობაა. მაგრამ იმ დიდ მოგზაურთაგან განსხვავებით, ვისაც ბედმა ხშირად საკუთარი და თანამებრძოლთა სიცოცხლის ფასად უდიდესი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული აღმოჩენები არგუნა წილად, ჩვენი უმრავლესობის მოგზაურობა, ძირითადად კინოსა და ტელევიზორის ეკრანებით, ან კიდევ წიგნებით იფარგლება. თუკი თანამედროვე ტრანსპორტით მივმგზავრებით, წინასწარ ვიცით, სად და რისთვის მივდივართ. თანაც ჩვენი წინაპრებისაგან განსხვავებით, აღჭურვილნი ვართ უამრავი გზამკვლევით, რუკებით, გიდებით...

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე პერიოდულად ემოგზაურობდი უცხოეთის ქვეყნებში დელეგაციებთან თუ ექსპედიციებთან ერთად. შესაძლებლობა მქონდა ახლოს გავცნობოდი ზოგიერთი ქვეყნის ცხოვრე-



ბას, ბუნებას, ხალხს, ისტორიას. ბევრი უბის წიგნაკი შეივსო შუაბუნების
 ლეგებით. ჩემი სამუშაო ოთახის კედლებზე, არგენტინული ტვიფრული ხანჯლისა და ინდიელის ნიღბის გვერდით, მასაის ტომის
 საბრძოლო შუბი ჰკიდია. იქვეა ზანგთა ნახელავი მითიურ არსებათა
 ნიღბები და ტამტამები, ხისგან გამოთლილი აფრიკული სპილო და ფლა-
 მინგოს ფრთა, სტალაქტიტები ალპების მღვიმეებიდან, სხვადასხვა
 ქვეყნის ქალაქებისა და სოფლების ხედები, ალბომები, სხვა სუვენირე-
 ბი. მათი დანახვა ყოველთვის მახსენებს იმ ადამიანებს, რომლებიც შო-
 რეულ ქვეყნებში მოგზაურობის დროს გავიცანი. თითოეულ სუვენირ-
 რთან გარკვეული რამაა დაკავშირებული და მეხსიერებაში ტივტივდე-
 ბა ისეთი სურათები თუ ეპიზოდები, რომლებიც ვერ მოხვდნენ უბის
 წიგნაკში. ყოველივე ამას უნდა დავუმატოთ თითოეული ქვეყნის შესა-
 ხებ არსებული უზარმაზარი ლიტერატურა, რომლის ზოგიერთ ავტორ-
 საც ჩემს თანავტორად ვთვლი. მათი წიგნების ნუსხა ბოლოშია დარ-
 თული.

კლიმენტ ტიმირიაზევი წერდა, წინასიტყვაობა ავტორის აზრების
 გულახდილი გაზიარებააო მკითხველთან. მაგრამ წინასიტყვაობა ერთ-
 გვარი თხოვნაცაა მკითხველისადმი ნაცნობი ამბების აღწერის მისატე-
 ვებლად. ისიც ხომ ჭეშმარიტებაა, რომ რამდენიც უნდა ყვინთოს მარ-
 გალიტების მაძიებელმა ოკეანეში, ყველა მარგალიტს ვერ ამოიღებს.
 ასეა წიგნიც, მეტადრე უცხო ქვეყნებში მოგზაურობაზე დაწერილი.
 ამის ერთ-ერთი მიზეზი კი, ალბათ, ის არის, რომ ადამიანები ცოდნის,
 მსოფლმხედველობის, გემოვნებისა და განწყობილებათა გამო ხშირად
 განსხვავებულად აღიქვამენ ერთსა და იგივე მოვლენას. მთავარი კი მა-
 ინც ერთია, რაც თავის დროზე შესანიშნავად გამოხატა რუსომ: „მეძ-
 ნელება იმის გაგება, რომ ჩვენს საუკუნეში, რომელიც ტრაბახობს თა-
 ვისი ცოდნით, რატომ არ მოიძებნება ორი ისეთი კაცი, რომელთაგან ერ-
 თი გაიმეტებდა ოცი ათას ტალერს, მეორე კი — თავისი სიცოცხლის
 ათ წელს დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ, რათა ისწავლოს არა მარ-
 ტო ბალახებისა და ქვების შეცნობა, არამედ, ერთხელ მაინც, ადამიანი
 და ადამ-წესები“.

მე კი თავს ნებას ვაძლევ, ძვირფასო მკითხველნო, გაგასეირნოთ
 კენიის სახელგანთქმულ ნაკრძალებში, არგენტინის პამპასებში, პარიზი-
 სა და ბუნოს-აირესის, ალჟირისა და ნაირობის ქუჩებში, დაგათვალი-
 ერებინოთ მუზეუმები, დაგასწროთ ალჟირის რევოლუციის დღესასწა-
 ულზე, გაგაცნოთ სხვადასხვა ხალხი, ესა თუ ის ტომი... და თუ ამ წიგ-
 ნით მოგზაურობა ოდნავ მაინც მოგანიჭებთ სიამოვნებას, ჩემს შრომას
 უნაყოფოდ აღარ ჩავთვლი.

გზა მშვიდობისა!..

ნილოსის გასწვრივ ვიქტორიისკამე

— ცეცხლმოდებული დღეა მკათათვის,
აწვის აზია, იწვის აფრიკა.

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

ლამის 3 საათზე გაჩახჩახებული კაირო გამოჩნდა. თვითმფრინავი ქალაქის თავზე წრეს ხაზავდა და გამოვცოცხლდით. მოსკოვიდან 4 საათი ვიფრინეთ, ერთი საათი ოდესსაში შევისვენეთ და ახლა კაიროს აეროდრომზე ვეშვებოდით.

ტრაპთან შემოგვეგებნენ საბჭოთა კავშირის ელჩი ეგვიპტეში, საელჩოს მუშაკები, არაბეთის სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი რიფაატ ალი მაჰგუბი.

აეროვაგზლის ვეებერთელა დარბაზში აუტანელ სიციხეს, დახუთულ პერს არაბთა ხმამალალი ლაპარაკი ერთვოდა. მასპინძლებმა შეძლებისდაგვარად სწრაფად გაგვატარეს ის დარბაზი, სადაც უამრავი ფუთების, ჩემოდნების და იატაკზე მსხდომ ადამიანთა ზღუდეების გადალახვა დაგვჭირდა. საპატიო სტუმრების დარბაზის კარი დაკეტილი დაგვხვდა. მასპინძლები დაფაცურდნენ, ვილაცას დაუწყეს ძებნა. ალი მაჰგუბი და მისი ზელქვეითნი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. როგორც იქნა მოიყვანეს ფლოსტებში ფეხებწაყოფილი ნამძინარევი მოხუცი არაბი, რომელმაც დარბაზის კარი გაგვიღო.

ეს დარბაზი პატარა იყო, ტყავის სავარძლებით და დაბალი მაგიდებით სავსე. აქაც ცხელოდა, თუმცა მაშინვე ჩართეს კონდიციონერები. მოგვართვეს ხილი, ყავა, კოკა-კოლა და ყინულიანი წყალი.

— როგორც გაზეთებიდან შეიტყობდით, ჩვენი პრეზიდენტი ამ დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებშია, პრეზიდენტ ფორდთან მოსალაპარაკებლად. — თქვა მაჰგუბმა.

შემდეგ საუბარი შეეხო ჩვენი მოგზაურობის მიზანს; იკითხეს უკან დაბრუნების დრო. ამასობაში ერთი საათიც გავიდა და მასპინძლებს გამოვეშვიდობეთ. ლამის 4 საათზე ხართუმისკენ გავფრინდით. კაიროდან ხართუმამდე თვითმფრინავით თითქმის ისეთივე მანძილია, რაც თბილისიდან მოსკოვამდე.

როდესაც სუდანის ტერიტორიაზე გადავედით, აღმოსავლეთს ოქროსფერი არშია შემოველო. ილუმინატორს მიკრული ვხედავდი, რა სისწრაფით იცვლებოდა ფერები. ქვემოთ საპარის უდაბნო იყო გადაწოლილი, უკიდევანო და ჩამუქებული. ნილოსის გასწვრივ აქა-იქ მოჩანდა გემბიებით განათებული ქალაქები და სოფლები. კუბრივით შავ ცაზე მხოლოდ სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი კაშკაშებდა საოცრად.



ჩვენგან მარცხნივ, პორიზონტს ცეცხლი ეკიდა დაუმთავრებელად
ეს ზოლი ზევით თანდათან ყვითლდებოდა, მერე მწვანე ფერი ილანდებოდა, მწვანეს ზურმუხტი და ღია ცისფერი ცვლიდა, უფრო ზევით კი მქუტდებოდა, ლურჯდებოდა და თანდათან შავ ზეცას უერთდებოდა.

და უეცრად იქ, სადაც პორიზონტს ცეცხლი ეკიდა, გამლღვარი ლავასავით ამოიწვერა მზის ნამგალი. საოცრად მოეღვარე და თვალისმომჭრელი. ორ-სამ წუთში, თითქოს უხილავი ტიტანი უბიძგებსო, მთლიანად ამოცურდა უდაბნოს მეწამული მზე, მიდამო გაანათა და გაქრა შავი ცა, შავი უდაბნო. ქვიშის ბარქანები ზღვის ნაცრისფერ, გაქვავებულ ტალღებს დაემსგავსნენ. მზე კი სულ ზევით და ზევით მიიწვედა, ფარაონთა დიდებისა და დაცემის უტყვი მოწმე, ვერცხლისფრად აელვარდა და თვალთახედვის არედან დამეკარგა...

მთელი ღამის უძილო ვიყავი, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობდი. ასე ხშირად ემართება ადამიანს უცხო ქვეყნებში მოგზაურობის დროს. ძილისათვის ძალზედ მოხერხებული იყო პირველი კლასის ხალვათი და ტყავადაკრული სავარძელი, მაგრამ თვითმფრინავი აფრიკის კონტინენტის ცაში მიფრინავდა და რა დამაძინებდა...

აფრიკა, სიდიდით დედამიწის მეორე კონტინენტი, უძველესი და თავისებური, ძველი სამყაროს ყველაზე ნაკლებად შესწავლილი მხარე. ჰეროდოტეს ცნობით, ეგვიპტის ფარაონის ნეხოს ბრძანებით ამ 2600 წლის წინ ფინიკიელ ზღვაოსნებს შემოუვლიათ პირველად ამ კონტინენტისათვის, რომელსაც ძველი ბერძნები ლიბიას უწოდებდნენ. ფინიკიელებს მოგზაურობა წითელი ზღვიდან დაუწყიათ, 3 წელი უმოგზაურიათ, შემოუვლიათ აფრიკისათვის და ხმელთაშუა ზღვით ეგვიპტეში დაბრუნებულან. დღეს ამ ფაქტის ჭეშმარიტება არც დადასტურებულია და არც უარყოფილი რაიმე სხვა წყაროებით. თვით ჰეროდოტეს კი ეგვიპტეში შეჰქონდა აფრიკის ირგვლივ ამ პირველი მოგზაურობის ჭეშმარიტებაში. რომაული ეპოქის დიდი გეოგრაფი და ასტრონომი, ალექსანდრიელი კლავდიუს პტოლემეუსი თავის ერთ-ერთ ნაშრომში „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ ცდილობდა განეზოგადებინა ადრე დაგროვილი გეოგრაფიული ცნობები. მას ნახსენები ჰყავს ვინმე დიოგენი, ზღვაოსანი (ალბათ ბერძენი — თ. კ.), რომელსაც აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროსთვის მიუღწევია და იმ ტბებთანაც ყოფილა, საიდანაც ნილოსი გამოედინება.

ასე თუ ისე, ძველი სამყაროსთვის ძირითადად ცნობილი იყო აფრიკის ჩრდილო ნაწილი საპარამდე. მხოლოდ 1487 წელს დიასმა შესძლო პირველად შემოეველო აფრიკის დასავლეთ სანაპიროსათვის და კეთილი იმედის კონცხისათვის. 11 წლის შემდეგ ეასკო და გამამ, ინდო-

ეთში მოგზაურობის დროს იგივე გზა გაიმეორა და მოზამბიკის სრუტეში
დე მიადწვია, აქედან კი ინდოეთისკენ აიღო გეზი. აღმოჩენებმა ამერტა
კასა და სამხრეთ აზიაში დიდი ხნით მიიპყრეს ევროპელთა ყურადღება
და XVIII საუკუნის მიწურულამდე აფრიკისათვის აღარავის ეცალა.
შემდეგში დაიწყო გაბედულ მოგზაურთა იერიშები კონტინენტის სიღრ-
მეებში. პარკი და ბარტი, როლფსი და პირსტი, სპაკი და გრანტი, ბეკერი
და იუნკერი, არტამონოვი და ლივინგსტონი, სტენლი, შვეინფორტი
და ემინფაშა. აი იმ მკვლევართა არასრული სია, რომლებმაც მრავალი
წელი, ზოგმა კი სიცოცხლეც შესწირა აფრიკის ამა თუ იმ ნაწილის აღ-
მოჩენასა და შესწავლას. ბევრი მათგანის სახელს ვკითხულობთ დღე-
განდელი აფრიკის რუკაზე...

დაეუბრუნდეთ საპარას, ჩვენი პლანეტის უდიდეს უდაბნოს, რომ-
ლის თავზეც მივფრინავთ. როგორც გალაკტიონი იტყოდა:

„უდაბნო ძველი, უდაბნო დიდი,
უდაბნო, რომლის არაა შესავსი“.

ვინ იცის, რამდენი მექარავენის თუ მოგზაურის ძვლებია ჩამალული
ამ უსასრულო ქვიშის ბარქანებში. რამდენი ტანჯვა-წვალება გადახდო-
მათ მათ თავს. მე კი ოთხმოცდაცხრამეტ ადამიანთან ერთად მშვიდად
ვზივარ კომფორტაბელურ ლანერში და მიჯორთმევ ყავას, ყინულიან
ვისკის, ფორთოხალს. არც ქარბორბალა მაყრის ცხვირსა და თვალებში
გამომშრალ ქვიშას და არც სიცხე და წყურვილი მკლავს...

ფრანგი მეცნიერი მონო, რომელიც 1958 — 1960 წლებში იკვლევ-
და საპარას, ასე ახასიათებს მას: „ქარიშხლებით მოტიტვლებული,
ძვლებამდე გაშიშვლებული მიწა, ათასწლეულების მანძილზე ქარებით
მტვრად ქცეული. ბარქანების თავზე მსტვენი ქარი მღერის გარდასულ
დღეებზე... ქვიშაქვის კლდეებს შორის ადამიანები დაბობლავენ. საცო-
დავი ჭიანჭველები, ისინი იტანჯებიან წყურვილისა და შიმშილისაგან,
მილასლასებენ უსასრულო ვაკის ფხვიერ ქვიშებზე; ხან სიცივისაგან
იყინებიან, ხან სიცხისაგან იტანჯებიან“.

საპარის უდაბნოს კონტინენტის მეოთხედი უკავია. იგი ორად
ყოფს აფრიკას: ჩრდილო აფრიკად, სადაც არაბები ცხოვრობენ და სა-
პარის სამხრეთით მდებარე ანუ ზანგურ აფრიკად. XIX საუკუნის მი-
წურულსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში საპარაზე ბატონობას
ინაწილებდნენ საფრანგეთი, იტალია, ინგლისი და ესპანეთი. უდაბნოს
მეტ ნაწილს საფრანგეთი ფლობდა. იტალიას დასაკუთრებული ჰქონდა
ლიბიის მხარე, ინგლისს — უდაბნოს აღმოსავლეთი ნაწილი წითელ
ზღვამდე, ხოლო ესპანეთს — ატლანტის ოკეანის სანაპირო ზოლი რიო-
დე-ოროდან.



ამყამად საპარის უდაბნოს ტერიტორია დაყოფილია 10 ნაწილად და ეკუთვნის აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს: მარტინიკა, მეფოს, ალჟირს, ტუნისს, ლიბიას, ეგვიპტეს, სუდანს, ჩადს, ნიგერიას, მალის, მავრიტანიას, ცალკეა დასავლეთი საპარა. უდაბნოს ტერიტორიაზე ცხოვრობს ოთხი ძირითადი ეთნიკური ჯგუფი: არაბები, ბერბერები, ეთიოპიდები და ზანგები. ისინი საოცრად ამტანები არიან. ალჟირში მოგზაურობისას საშუალება მქონდა გავცნობოდი მათ და გამოცა ძლიერმა აღნაგობამ, მოქნილობამ, ცხენზე ჯირითმა და თოფ-იარაღის ხმარებამ.

ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულამდე საპარის უდაბნო მკვდარ ქვიშის ზღვად ითვლებოდა, რომელსაც ადამიანებისთვის მხოლოდ უბედურება მოჰქონდა. გეოლოგები კი ამტკიცებდნენ, რომ საპარის წიაღში უზარმაზარი სიმდიდრე იმალებაო.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩრდილოეთ საპარის სახელმწიფოებმა დაიწყეს უდაბნოს გამოკვლევა და წიაღისეულის დამუშავება. სამოციან წლებში შეუდგნენ ძებნა-ძიებით სამუშაოებს. ყველაზე პერსპექტიულ ცენტრად კოლონ-ბეშარი იქცა ალჟირის ტერიტორიაზე, სადაც აღმოაჩინეს იაფფასიანი ქვანახშირი, მადნეულთა მდიდარი საბადოები, წყალი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებულმა ნავთობის საძიებო ბურღვამ 1956 წელს კარგი შედეგი გამოიღო. ალჟირ-ლიბიის საზღვარზე, ეჯელის მახლობლად აღმოჩნდა სამრეწველო ნავთობის პირველი საბადო. განსაკუთრებით დიდ საბადოებს მიაკვლიეს სამხრეთ ალჟირში, ხასი-მესაუდში, უარმლის ოაზისის რაიონში. აქაური ნავთობის მარაგი 500 მილიონი ტონაა. ალჟირის საპარაშივეა აღმოჩენილი აფრიკაში უდიდესი ფოსფორიტული რკინის საბადო, აგრეთვე ტიტანის, ცირკონის, ურანის საბადოები აპაგარის ზეგანზე. გრძელდება საპარის სხვა ნაწილების კვლევა; რაშიც ახალგაზრდა განვითარებად სახელმწიფოებს დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა სპეციალისტები, მათ შორის საქართველოს წარგზავნილებიც...

ხართუმის აეროდრომზე თვითმფრინავიდან გადმოსულებს სუნთქვა შეგვეკრა, ცხელოდა.

— ესეც ნამდვილი აფრიკული სიცხე, — გადაეულაპარაკე გვერდით მომავალ ვლადიმერ ვორობიოვს, ჩვენი დელეგაციის თარჯიმანს.

— აქ მართლაც დიდი სიცხეები იცის, მაგრამ კენიაში ეგრილება.

სულ 8 საათის წინ მოსკოვში ვიყავით და გვიანი შემოდგომის სიგრილეს ვგრძნობდით. აქ კი, ასე უცბად დიდ სიცხესთან შეჩვევა გავვიჭირდა. ალჟირის გარდა, სადაც სიროკოს ერთი შემობერვის მომსწრე

გავხდი, ასეთი აუტანელი სიცხე სხვაგან არასოდეს მიგრძენია. ხართუმში ყველაფერი ხურდა, ტანსაცმელიც კი. თითქოს თონეში ვიყავი მეპურესავით თავჩაყიდებული. უცნაურად გამჭვირვალე და ლაყვარდოვანი იყო უღრუბლო ცა.

აეროპორტის ვაგზლიდან განცალკევებულად მდგარ ერთსართულიან შენობასთან დავინახე ტანმალალი მამაკაცებისა და ტანკენარი ქალების ჯგუფი; ისინი ტაატიტ, ამაყი იერით მიეშურებოდნენ რომელიღაც თვითმფრინავისაკენ.

— ასეთი მალალი ხალხი ცხოვრობს სუდანში? — ვკითხე ვორობიოვს.

— ესენი ნილოტები არიან.

თვალი გავაყოლე ამ მოქნილ და ასხლეთილ ადამიანებს, რომლებიც ისე მოძრაობდნენ, თითქოს ეკრანზე შენელებულ კადრებს უყურებო. მათი წინაპრები ძირითადად ნილოსის სათავეებში ცხოვრობდნენ, მერე კი აქ გადმოსახლებულან.

— სუდანელები, უფრო კი ნილოტები, განსაკუთრებული პატიოსნებითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან, — მითხრა ვორობიოვმა, რომელიც აფრიკის ამ ნაწილს კარგად იცნობს.

ჩვენს დამხვდურებს, საბჭოთა ელჩი, სუდანის ეროვნული კრების საგარეო კომისიისა და სოციალისტური კავშირის მდივანი მაგჯუბ მაკკუი, საბჭოთა საელჩოს და ხართუმის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები დიდ დარბაზში შეგვიძღვნენ, სადაც ჭერიდან ჩამოშვებული ვეება ვენტილატორები ნილოტებივით ზანტად ტრიალებდნენ და დარბაზს სათანადოდ ვერ აგრილებდნენ. მაგრამ ისიც კი, რომ აფრიკის მცხუნვარე მზე აღარ გვწვავდა, დიდი შეღავათი იყო. სიგრილე მხოლოდ მაშინ ვიგრძენით, როცა ინდუსებივით თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილმა ოფიციატებმა ყინულიანი კოკა-კოლა მოგვართვეს. დაბალ, გრძელ მაგიდებზე აფრიკის ათასნაირი ხილი დიდ ხონჩებზე ისე ლამაზად იყო დაწყობილი და ისეთ ფერებს ქმნიდა, რომ ჭკუაზე შეშლიდა ნატურმორტების მოტრფიალე მხატვარს.

მაგჯუბ მაკკუიმ გაგვაცნო დარბაზში მყოფი ეგვიპტის საქმეების მინისტრი სუდანში, აგრეთვე სამი ხანშიშესული გრძელწვერა არაბი, რომლებიც პალესტინის განთავისუფლების საბჭოს წევრები იყვნენ და ხართუმში არაბული ქვეყნების წარმომადგენელთა თათბირზე ჩამოსულიყვნენ.

ყველაზე მეტი ჯაფა ჩვენს თარჯიმანს, ვლადიმერ ვორობიოვს ადგა. მე დელეგაციის რამდენიმე წევრთან ერთად მყუდრო კუთხეში მიმუშავექი მაგიდას, სადაც თითქოს უფრო გრილოდა და მორთმეულ ყავას



შევექცეოდი. როდესაც ყინულიანი ვისკი შემომთავაზეს, რწმუნდი, თუ რატომ ურჩევნიათ ცხელ ქვეყნებში მოხვედრის შემთხვევებში ეს სასმელი, და რატომ სვამენ მას ასე ხშირად. ვისკიმ ცივ წყალზე მეტად გავგავარია.

დადგა ჩვენი გაფრენის დროც. დარბაზიდან გამოსულებმა უფრო ვიგრძენით სუდანის მზის ძალა და ვიდრე მასპინძლებს ვემშვიდობებოდით, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ტანსაცმელი იქცა კანად. მალე ჩვენს ქვევით კვლავ სუდანის გადახრიოკებული პანორამა გადაიშალა.

კაიროდან ხართუმამდე საჰაერო გზით 1769 კილომეტრია. ზუსტად ამდენივე მანძილია ხართუმიდან უგანდის აეროდრომ ენტეპემდე, რომელიც ამ ქვეყნის დედაქალაქ კამპალადან ათიოდე კილომეტრითაა დაშორებული. ენტეპე ვიქტორიის ტბის დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. სწორედ აქ არის უგანდის პრეზიდენტის რეზიდენცია.

— პრეზიდენტი იდი ამინი ძალიან თავისებური კაცია — მეუბნება ვლადიმერ ვორობიოვი, — ნახავ, რაიმე უცნაურს თუ არ დავახვედრებს. შეიძლება თვითონაც მოვიდეს.

ვეშვებით ენტეპეში. თვითმფრინავიდანვე დავინახეთ აეროვაგზის წინ, ფართო მოდანზე ჩამწკრივებული საპატიო ყარაული და უამრავი ხალხი.

— ხომ გეუბნებოდი, — ამბობს ვლადიმერი, — აქ სულ ერთ საათს ვჩერდებით და საპატიო ყარაულით გვხვდებიან.

გაიღო თუ არა თვითმფრინავის კარი, გაისმა ტამტამების ხმა. ნახევრად შიშველმა ქალიშვილებმა და ვაჭებმა დაიწყეს ცეკვა და სიმღერა. საოცარი ფერები იყო: ცა უცნაურად ლურჯი, აეროდრომის გარეთ წითელი მიწა, მწვანე ბორცვები და პალმები. ამ ფონზე ლამაზად მოჩანდა ქრელ ტანსაცმელში გამოწყობილი, ალბათ, ხუთასკაციანი მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდი. შავ კანს თაყარა მზის სხივები აელვარებდა. ტანსაცმელი ისე ვთქვი, თორემ გოგონებს ძალიან მოკლე, ჩალის ქვედატანი ეცვათ და მკერდს სხვადასხვა ფერის ბიუსტპალტრები უფარავდათ, ვაყებს კი მხოლოდ მოკლე ტრუსები. გახურებულ ასფალტს ფეხსაცმელშიც კი ვგრძნობდი, ისინი კი ფეხშიშველნი იყვნენ.

ტრაპთან დავგვხდნენ საბჭოთა ელჩი ალექსი ზახაროვი, საელჩოს მუშაკები. ზახაროვმა გავაცნო საჰაერო დესანტის ფორმაში გამოწყობილი მაღალი, ათლეტური აღნაგობის კაცი.

— პოლკოვნიკი საბუნი, უგანდის თავდაცვის საბჭოს წევრი და მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი.

საბუნიმ მიიპატიჟა დელეგაციის ხელმძღვანელი გიორგი ძოწენიძე

და ერთად ვეიდნენ საპატიო ყარაულის წინ დადგმულ შემალღებავს დაუკრეს საბჭოთა კავშირისა და უგანდის სახელმწიფო ჰიმნები. ყარაულის უფროსი მიუახლოვდა მათ. ჯერ კოჭლი მეგონა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ საზეიმო მარში აქ ასეთი ჰქონიათ. ოფიცერი ერთ ფეხს სწორად აღგამდა, მეორეს მუხლში ხრიდა. როცა შეჩერდა, შეხტა, ცალი ფეხი დადგა, მეორე მოხარა, გაიქნია და გაჩერდა. მან პატაკი ჩააბარა გ. ძოწენიძეს, შემდეგ სამივემ ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწკრივებს და მათაც უცნაური მარშით ჩაგვიარეს.

ამ დროს კვლავ ტამბამების ხმა გაისმა და გოგო-ბიჭები აცეკვდნენ. ოფლში იღვრებოდნენ, მაგრამ დალლა არ ეტყობოდათ.

— ამათ რამდენიმე საათს შეუძლიათ შეუსვენებელი იცეკვონ და იმღერონ, — მიპასუხა შეკითხვაზე საელჩოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

შეგვიყვანეს შენობაში, საპატიო სტუმრების დარბაზში, სადაც საოცრად გრილოდა. კვლავ თავაზიანი საუბარი, ყინულიანი ვისკი და კოკა-კოლა. საბუნიმ დელეგაციას უგანდის პრეზიდენტის სალამი გადასცა და ბოდინიცი მოიხადა, სასწრაფო და გადაუდებელი თათბირის გამო იდი ამინმა მოსვლა ვერ მოახერხაო.

ერთი საათის შემდეგ კვლავ სიცხეში გამოვედით. ისევ სიმღერა და ცეკვა, ჰიმნები, საპატიო ყარაული, გამომშვიდობება და თვითმფრინავი მალე ვიქტორიის ტბას თავზე მოექცა.

ჩვენ მივფრინავდით კოროსა და სესეს კუნძულების თავზე. ტბაში მრავალი კუნძულია და მათი საერთო ფართობი 6 ათას კვადრატულ კილომეტრს აღწევს. ტბის ლურჯი წყლის ფონზე ზურმუხტის ვეება თვლებივით მოჩანდნენ თეთარშიაშემოვლებული კუნძულები.

ენტეპედან ნაირობამდე სულ 500 კილომეტრია. ერთ საათში უკვე კენიის დედაქალაქის თავზე ვართ. ბუდისტების ამ ქალაქში უცნაურად მოჩანან თანამედროვე ჰილტონები. მერე კვლავ სვანა დაიწყო და დავეშვით ემბაკასის აეროდრომზე. ახლა ძნელია წარმოიდგინო, რომ სულ რაღაც ორიოდე ათეული წლის წინათ ამ აეროდრომის მშენებლობაზე მუშაობდა ბორკილგაყრილი ათასობით აფრიკელი, რომელთაც სვავებივით დასტრიალებდნენ თავს რეზინის ხელჯოხიანი და კორპის მუზარადიანი თეთრკანიანი ზედამხედველნი.

შუადღეა. აეროდრომზე გვხვდებიან საბჭოთა კავშირის ელჩი კენიაში ბორის მიროშნიჩენკო მეუღლითურა, საელჩოს მრჩეველი ვ. კასატკინი, საბჭოთა კონსული და ჩემი ძველი ნაცნობი ა. ნარტოვი მეუღლითურთ, საელჩოს მდივანი ვ. კორნეევი და სხვანი. საელჩოს თანამშრომლების ბავშვებმა ყვავილები მოგვართვეს.

მასპინძლებიდან დაგვხვდნენ კენიის მთავრობის რამდენიმე მდიანი. ტრი და კენიის ეროვნული ასამბლეის სპიკერი ფ. მათი. ისინი შეგვიძღვნენ საპატიო სტუმრების დარბაზში, სადაც მოეწყო პრეს-კონფერენცია ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებისათვის. ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა გიორგი ძოწენიძემ კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— პირველ რიგში, დელეგაციის სახელით მინდა მადლობა გადავუხადო თქვენი ქვეყნის პარლამენტს ამ მოწვევისათვის, რომლის მიზანია ახლოს გავიცნოთ თქვენი მშვენიერი ქვეყანა და ხალხი. ესაა საპასუხო ვიზიტი. კენიის პარლამენტის დელეგაცია საბჭოთა კავშირში 1972 წელს იყო. დელეგაციამ 11 დღე დაჰყო ჩვენს ქვეყანაში და გაცნობა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მუშაობას, საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. ჩვენი ჩამოსვლა საშუალებას მოგვცემს გავცნოთ კენიის ეროვნული ასამბლეის მუშაობას, შევხვოთ იმ საკითხებს, რომლებიც ერთნაირად საინტერესოა ჩვენი ქვეყნებისათვის. თქვენთვის კარგადაცნობილი საბჭოთა კავშირის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკა, რომლის ძირითადი მიზანია მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება, თანასწორუფლებიანობა და ჩაურევლობა. ჩვენ მოხარულნი ვართ იმისა, რომ საშუალება გვეძლევა გავიცნოთ თქვენი მშვენიერი ქვეყნის ცხოვრება, ბუნება, შრომისმოყვარე ხალხი და სამშობლოში დაბრუნებისას ჩვენს ხალხს ვუამბოთ თქვენს მიღწევებზე...

პრეს-კონფერენციის დამთავრების შემდეგ კვლავ მზით გაჩახახებულ ასფალტზე გამოვდივართ, სადაც გველოდება ხუთი ახალთახალი, ხასხასა წითელი ფერის „მერსედესი“. ვსხდებით მანქანებში და ჩვენი კორტეჟი გეზს ნაირობისაკენ იღებს.

— რამდენი კილომეტრია ნაირობამდე? — ვეკითხები ნარტოკს, რომელიც ჩემს გვერდით ზის.

— თორმეტი.

პირველად ვზივარ მანქანაში, რომელიც ჩვენში მიღებული მოძრაობის წესების საწინააღმდეგოდ მიჰქრის. კენიაში, ისევე, როგორც ინგლისში და ყოფილ ინგლისურ კოლონიებში მარცხენა საგზაო მოძრაობაა და ინგლისურ მანქანებს საჭე მარჯვენა მხარეს აქვთ. ჩვენს „მერსედესებს“ კი ჩვეულებრივად, მარცხნივ ჰქონდათ საჭე და მით უფრო უცნაურად მეჩვენებოდა გზის მარცხენა მხარეს მოძრაობა. ასე მეგონა, რომ მოსახვევში გამოჩენილი შემხვედრი მანქანა აუცილებლად უნდა დაგვჯახებოდა. მალე ამასაც შევეჩვიე და აღარ ვაქცევდი ყურადღებას.

ნაირობის მთავარი ქუჩის ბოლოში ახლად აგებულ სასტუმრო „პანაფრიკენში“ მოგვათავსეს, ქუჩა კი პრეზიდენტ ჯომო კენიატას სახელს



ატარებს. ესაა ფართო პროსპექტი, რომელსაც შუაში, მთელ სიგრძეზე მოუყვება მშენიერი ამწვანებული ბულვარი. აქ დგას კენიის განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირების ძეგლი, რომელიც ამ ქვეყნის დამპყრობლის, ლორდ დელამერის მონუმენტის ნაცვლად აღუმართავთ რამდენიმე წლის წინ.

პროსპექტის გასწვრივ მაღალი პალმებია ჩარიგებული. საერთოდ, ქალაქში ძრავალი პარკი და სკვერია, სადაც სხვადასხვაფერი, ბურთისებურად შეკრებილი ბუგეენვილების ბუჩქები, ევკალიპტის კორომები, პალმების ხეივნები, უამრავი ჭრელ-ჭრელი, ხასხასა ფერის ყვავილნარები ლამაზადაა შეხამებული.

სასტუმროს ვერანდიდან მოჩანს ნაირობი. უმოქმედოდაა კონდიციონერი. სადაა აფრიკული სიციხე? პირიქით, ისეთი სასიამოვნო სიგრილეა, თავი გვიანი შემოდგომის თბილისში მგონია. გაქარწყულდა წარმოდგენა ევკატორული აფრიკის აუტანელ სიციხეზე. არა, როგორ არ ცხელა აფრიკაში, მაგრამ ნაირობი ამ მხრივ სასიამოვნო გამოჩაქვლიანია, აქ ივლისის საშუალო ტემპერატურა სულ 15 გრადუსია, მარტისა კი 18.

კენიის დედაქალაქი მსოფლიოს ერთ-ერთი ახალგაზრდა ქალაქთაგანია. იგი თავისი არსებობის სულ რვა ათეულ წელს ითვლის. აი, მისი მოკლე ისტორია:

1899 წელს ინგლისელებს ინდოეთის ოკეანის ნაპირზე მდებარე ძველ ქალაქ-ხავსადგურ მომბასიდან კენიის სიღრმეში გაყავდათ რკინიგზა. მშენებლობა უწყლობის გამო რთულ პირობებში მიმდინარეობდა. და აი, ერთმა მუშამ, მასაის ტომიდან, აღმოაჩინა წყარო, რომელიც მოზრდილ ცივ ხაკადულს ქმნიდა: „ნაირობი“ — წამოუძახია ზანგს. ეს სიტყვა კი მასაის ენაზე „ცივ წყალს“ ნიშნავს. არსებობს მეორე ვერსია: ამ ადგილებში ძველთაგანვე ცხოვრობდა მასაის ტომი. აქ იყო მათი ერთ-ერთი დისახლება „ნაირობი“, ანუ „ცივი“. ასეა თუ ისე, ნაირობი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით (1700 მეტრი ზღვის დონიდან) და გრილი ჰავით ძალიან მოწონებით ინგლისელ კოლონიზატორებს და აქ ქალაქი გაუშენებიათ. ეს ქალაქი კენიის კოლონიზაციის ცენტრად იქცა. ამჟამად კი იგი თავისუფალი სახელმწიფოს დედაქალაქია და მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქთაგანი.

ჩვენი კენიაში ყოფნის პირველივე დღეს, საღამოს 6 საათისათვის, დაგვგმილი იყო დელეგაციის შეხვედრა კენიის ეროვნული ასამბლეის სპიკერ ფრედერიკ მატისთან. როდესაც 1962 წელს კენიაში ინგლისელმა გუბერნატორმა შექმნა ახალი კოალიციური მთავრობა, მის შემადგენლობაში შევიდა ორი მინისტრი — ევროპელი და შვიდ-შვიდი წარმომადგენელი კენიის ორი პარტიიდან კანუდან და კადუდან. კანუს ლიდ-



ერმა ჯომო კენიატამ დაიკავა კონსტიტუციისა და ეკონომიკური პოლიტიკის მინისტრის პოსტი, ხოლო ამავე პარტიის წარმომადგენელმა ფ. მატიმ — ჯანმრთელობის დაცვისა და საბინაო მშენებლობის მინისტრის პოსტი. ახალა კი მათი ეროვნული ასამბლეის სპიკერი იყო.

ჩვენ ვუსხედვართ ვებერთელა მრგვალ მაგიდას პარლამენტის შენობის ერთ-ერთ დარბაზში და ვისმენთ ბატონი მატის საუბარს დელეგაციის ხელძღვარებელთან. საუბრის ძირითადი თემაა ჩვენს ქვეყნებს შორის საპარლამენტო ურთიერთობათა შემდგომი განმტკიცება და კონტაქტების გახშირება.

სპიკერმა გავაცნო კენიის პარლამენტის სტრუქტურა და საქმიანობა. შეგვიპირდა, რომ უახლოეს დღეებში გვექნებოდა შესაძლებლობა დავსწრებოდით ასამბლეის სხდომას. სპიკერისა და ჩვენს გარდა საუბარს დაესწრებენ ეროვნული ასამბლეის მდივანი ნგუგი, პარლამენტის წევრი მასინდე, კენიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ხდუხუ და ამავე სამინისტროს მეორე მდივანი გვანგემი.

ერთი საათის შემდეგ კი პარლამენტის შენობაშივე მოეწყო მიღება საბჭოთა დელეგაციის პატივსაცემად, სადაც გავიცანით პარლამენტის წევრები და მინისტრები.

საბჭოთა კონსული ა. ნარტოვი თავის მეუღლესთან ერთად, რომელიც აქ ექიმად მუშაობს, მგვატიყება გავსინჯო მაგარი სასმელი „ბლადი მერი“, ანუ „სისხლიანი მერი“.

— აქ ოსტატობაა საჭირო, — მეუბნება კონსული და მალალ ჭიქაში ხახვრად ასხამს ტომატის სქელ, სისხლისფერ წვენს. შემდეგ შიგ ცერად დებს კოვზის წვრილ ტარს და ზედ ნელ-ნელა, წვრილ ნაკადად უშვებს არაყს, რომელიც არ ერევა ტომატს და ზემოდან ზეთივით ადგება. „სისხლიანი მერი“ მართლაც გემრიელია. მერე ისევ ყინულიანი ვისკი, კოკა-კოლა, შესანიშნავი კენიური ლუდი, რომელიც არაფრით ჩამოუყარდება ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის, დანიის თუ პოლანდიის სახელგანთქმულ ლუდს.

ვდგავართ ჯგუფ-ჯგუფად და ვსაუბრობთ. საელჩოს თანამშრომლები გვაცნობენ პარლამენტის დებუტატს, რომელიც შესანიშნავად ლაპარაკობს რუსულად; ირკვევა, რომ რამდენიმე წელი მოსკოვში უსწავლია და ცოლიც რუსი ყავს. ფრედერიკ მათი პარლამენტის სახელით მიესალმა დელეგაციის მეთაურს და დელეგაციას უსურვა წარმატებები საქმიანობაში. გიორგი ძოწენიძემ საპასუხო სიტყვით მიმართა შეკრებილთ და დიდი მადლობა გადაუხადა გულთბილი მიღებისათვის.

გვიან საღამოს თავისუფალი დრო გვექონდა და დავათვალიერეთ ლამის ქალაქი. მერე კი სასტუმროს აივნიდან გავყურებდი თითქოსდა სა-

დღესასწაულოდ გაიხიჩაზებულ დედაქალაქს. ათასგვარი ფერისა და ში-
ნაარსის რეკლამები მართლაც სადღესასწაულო იერს აძლევდნენ ნა-
ირობს.

საკმაოდ აგრილდა და ეჭვიც კი შემეპარა, რომ ეკვატორთან ახ-
ლოს ვიმყოფებოდი.

შაპრის ლერწამი, ფლამინგოები და კვლავ ვიპტორია

„ვიპტორიის ტბა ვეებერთელა ტროპიკუ-
ლი ზუნებრივი ქვაბია, რომელიც წყლის აიგან-
ტურ მასას ორთქლად აქცევს“.

ა. მურახოვი

კენიის ფართობი 582,6 ათასი კვ. კილომეტრია. ამ ტერიტორიაზე
მოთავსდებოდა ევროპის ისეთი სახელმწიფოები, როგორცაა ავსტრია,
ალბანეთი, დანია, საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია, შვეიცარია
და ნიდერლანდები. კენია ტერიტორიით საფრანგეთზე მეტია 31 ათასი
კვ. კილომეტრით. მისი მოსახლეობა (1980 წლის მონაცემებით) — 15,9
მილიონია. აქედან 98 %-ზე მეტი აფრიკელია, დანარჩენი კი ევრო-
პელები და აზიელები. კენიის აფრიკული მოსახლეობის 70 პროცენტს
შეადგენენ ბანტუს ენაზე მოლაპარაკე ხალხები და ტომები (კიკუიუ,
კამბა, ემბუ, მერუ, ბალუხია და სხვ.); დანარჩენების ენა ნილოტურია
(ლუო, ნანდი, კიპსიგისი, ელგეიო, მასაი და სხვ.). მოსახლეობის უფ-
რო მცირე ნაწილი ლაპარაკობს კუშიტურ ენებზე (გალა, სომალი და
სხვ.). სახელმწიფო ენებია ინგლისური და სუაჰილი. დედაქალაქ ნაირობ-
ში (გარეუბნებითურა) ცხოვრობს 835 ათასზე მეტი ადამიანი. ნაირობის
გარდა მსხვილი ქალაქებია: მომბასა, ნაკურუ, კისუმუ, ელდორეტი.
მოსახლეობის მეტ ნაწილში გავრცელებულია ტრადიციული სარწმუნ-
ოებანი, გარდა აისა, ბევრია კაცალიკე, პროტესტანტი და მუსლიმან-
ნი.

კენიაში 8 პროვინციაა, რომლებიც 46 ტომს აერთიანებენ. ჩრდი-
ლო-აღმოსავლეთის პროვინციაში შედიან: დე გოდისა, გურეს, გოშას,
საკუიეს, აჯურანის, ოგადენის, გალას, პოკომოს, ბონის, მარეხანის,
აულიეხანის ტომები. აღმოსავლეთის პროვინციაში — ბორანის, ხავოას,
გაბრას, ელმოლოს, რენდილეს, მერუს, ემბუს, ტარაკას, მბერეს, ორ-
მას, დეგოდისა, კამბას ტომები; სანაპიროს პროვინციაში — ბაჯუნის;



ბონის, პოკომიას, მიჯეენდას, სუაპილის, ტაიტას, ტავეტას ტომები; რიფტ-ვალის პროვინციაში — მერილეს, ტურკანის, პოკოტის, მარაკვეტის, ტუენის, წვემპსის, ინტესოს, ნანდის, მასაის, ნდორობოს, კიპსიგისის ტომები; დასავლეთ პროვინციაში — საბუატის და ბალუხიას ტომები; ნიანზას პროვინციაში — ლუოს, კისიის და კურიას ტომები. ზოლო ცენტრალური პროვინცია დასახლებულია ძირითადად ერთი, კიკუიუს ტომით.

ამ ტომებიდან ყველაზე მეტად ცნობილია მასაის, კიკუიუს და ლუოს ტომები. განსაკუთრებით ბევრს წერენ მასაის ტომზე.

ჩვენ მივემგზავრებით კენიის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული და მდიდარი პროვინციისაკენ; ესაა რიფტ-ვალი. მისი დედაქალაქია ნაკურუ. აკადემიკოს გიორგი ძოწენიძისა და ჩემთვის, როგორც გეოლოგებისათვის, ეს მოგზაურობა იმითაც არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ საკუთარი თვალთ ვიხილავთ აფრიკის დიდ რღვევებს — რიფტებს (საიდანაც წარმოდგება ამ პროვინციის სახელი) და ჩამქრალ ვულკანებსაც.

ცალკე მანქანაში სხედან კენიის ეროვნული ასამბლეის დეპუტატები, რომლებიც ჩვენთან იქნებიან მთელი მოგზაურობის მანძილზე.

კორტეჟის თავსა და ბოლოში პოლიციის მანქანებია...

ნაირობიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით გასვლისთანავე გზა აღმართს მიუყვება. აქ ნისლი ხშირი სტუმარი ყოფილა და ახლაც ნისლში მივდივართ. მანქანის მინები დაიორთქლა, სხეულზე ცივი სინესტე ვიგრძენით.

— ესეც აფრიკა და აფრიკული სიცხე. — გადმომილაპარაკა შავი ზღვის სანაოსნოს უფროსმა ანატოლი გოლდობენკომ.

მძლოლმა სინათლეები ჩართო და სიჩქარეს უკლო. რძისფერ ნისლში არაფერი ჩანდა. მარცხნივ გზას ფლატე მიუყვებოდა. მთვარეულელებით მოჩანდნენ კენიელები, რომლებიც გზის პირას მიაბიჯებდნენ და მანქანების მიახლოებისას ჩერდებოდნენ. ეტყობოდა, გზის ეს მონაკვეთი ყველაზე სახიფათო იყო, რაზეც აქა-იქ წაქცეული ბეტონის პატარა საგზაო ბოძები მეტყველებდნენ.

როგორც იქნა, გავაღწიეთ ნისლის სამეფოს და ღრუბლებს თავზე მოვექეციით. ქვევით, ღრუბლებს შორის მოჩანდა ვეებერთელა ვაკე, რომელზეც ხშირი, მწვანე ბორცვები იყო აღმართული. ძალაუნებურად მახსენდებოდა ჰემინგუეის „აფრიკის მწვანე ბორცვები“. ეს დიდი მწერალი და მოგზაური ზომ ტანზანიასა და კენიაში იყო დიდხანს და ბევრი შესანიშნავი ნაწარმოებიც მიუძღვნა ნადირობას, აქაურ მკვიდრებს, აფრიკის ბუნებას.



დაღმართზე ვეშვებით და გავდივართ ვაკეზე. გზა შესანიშნავი
 ეს გზა იტალიელ სამხედრო ტყვეებს გაუყვანიათ მეორე მსოფლიო
 ომის შემდეგ და სალოცავად პატარა ეკლესიაც აუშენებიათ, ახლა
 რომ გზის პირას დგას.

გზის გასწვრივ, დიდ მანძილზე მზით განათებული პლანტაციები
 მოჩანს. ესაა კენიის ყველაზე ნაყოფიერი რაიონი. აქაა ყავის, ბანანის,
 სიმინდის პლანტაციები. ხშირად გვხვდება ქერის ყანები და კომბოს-
 ტოს ბაღები. ამ სავარგულებს კენიელები „პანგას“ უწოდებენ.

გზის პირას ნახევრად შიშველი ზანგები სხედან. წინ ბანანის ვეება
 ტოტები უწყვიათ მწიფე, ქარვისფერი ნაყოფით, ზოგი თეთრად მო-
 ქათქათე, დიდი ოსტატობით გამოყვანილი ცხვრის ტყავებით ვაჭრობს.
 მაგრამ ყველაზე ძვირად ფასობს აქაური ყავა და ჩაი. წინათ ეს პლან-
 ტაციები ინგლისელი კოლონიზატორების საკუთრება იყო; ახლა კი
 ახალგაზრდა, დამოუკიდებელმა სახელმწიფომ აფრიკელებს დაურიგა
 მიწა, შექმნა მსხვილი კოოპერატივები, სადაც ძირითადად ახალგაზრ-
 დობა მუშაობს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან კენიის მოსახლეობის ნა-
 ხევარზე მეტს ისინი შეადგენენ.

გავიარეთ პლანტაციები და დაიწყო ფერდობებზე შეფენილი სამი
 მეტრის სიმაღლის სიზალის კორომები. ამ მცენარის ღეროებისა-
 გან ამზადებენ თოკს, უხეშ ქსოვილებს.

აი ლონგონოტიც, თავწაკვეთილი ჩამქრალი ვულკანი. იგი სწორედ
 ამ რიფტის წარმოშობისას გაჩნდა, შორეულ გეოლოგიურ წარსულში.
 ვულკანის ფერდობები და ვაკის მიმდებარე ნაწილიც გაცივებული ლა-
 ვის განფენებითაა დაფარული.

გზადაგზა ვხედავთ ძროხებისა და ხარების ჯოგებს, ცხვრის ფა-
 რებს და უცნაურად მეჩვენება, რომ მათ გვერდით თავისუფლად გრძ-
 ნობენ თავს ზებრები, ჯივრები. მანქანის ძრავის ხმაურზე ზოგჯერ
 მთელი ჯოგი თავს ანებებს ძოვას და წამით ირინდება, გვაცილებს დიდ-
 რონი თვალებით და შემდეგ, თითქოს ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფი-
 ლაო ან „მეთაურმა“ გასცა ბრძანებაო, ისინი ერთდროულად ხრიან თა-
 ვებს და გახავრძობენ ძოვას.

გზის პირს მიუყვებიან აფრიკელები, ძირითადად ქალები, მათ მა-
 ლალი და ლამაზი აღნაგობა აქვთ. აცვიით ჭრელი, ხასხასა ფერის ჩი-
 თის კაბები; უმეტესობა თევზადაპარსულია, ზოგს კი უცნაურად ჩაწ-
 ნულ-ჩახლართული მოკლე თმა სხვადასხვა ქარგებს უქმნის თავზე. ვე-
 კითხები მძღოლს, რომელი ტომის წარმომადგენლები არიან თევზადა-
 პარსული ქალები.

2. თ. კიკნაძე



— მასაის, ბენა* — მპასუხობს მოკლედ დამბუ, ჩენი ახალგაზრდა, და, ძალზედ მორცხეი და ზრდილობიანი მძლოლი.

ქალებს თავზე დადებული აქვთ თიხის ქოთნები, კალათები, სპილენძის დიდი ქვაბები და ისე ნარნარად მიიწევიან, ხელსაც კი არ აშველებენ ტვირთს. აი, ერთ ქალს თავზე თითქმის ორმეტრიანი ხის ძორი გაუდევს და ისე თავისუფლად მიდის, თითქმის ბუმბულით გაწყობილი მუთაქა მოჰქონდეს პატარა თავით, მაღალკისერზე რომ ადგას. აქ ბავშვობიდანვე აჩევენ ტვირთის ტარებას თავით და ამიტომაა, რომ ამ ტომების წარმომადგენლებმა ძალიან ლამაზი სიარული იციან.

რიფტ-ვალის პროვინციაში, რომელიც ტერიტორიოდ ყველაზე ვრცელია კენიის პროვინციებს შორის, ჩრდილოეთის მეტ ნაწილსა და სამხრეთით, ტანზანიის სასაზღვრო ზოლში განვითარებულია ექსტენსიური მომთაბარე მეტეოვლეობა. ნაკურუს რაიონში კი მოჰყავთ ხორბალი, სიზალი, სიმინდი, კარტოფილი, საკვები ბალახი, აგრეთვე ქერი, პირეტრუმი, ზანგური ანუ აფრიკული ფეტვი.

ორგვლივ აფრიკული სავანაა. ალაგ-ალაგ ვეებერთელა კაქტუსები აღმართულან. ხშირია ავსტრალიური აკაცია, რომელსაც ტოტები ჩინურ ქოლგასავით აქვს გაშლილი.

პირველი შეჩერება ნაივამას ტბაა. იგი მდებარეობს ნაირობის ჩრდილო-დასავლეთით 80 კილომეტრის დაშორებით. ძნელია გარჩევა, სად თავდება სავანა და სად იწყება ტბა, ისეა დაჭაობებული ტის მიდამოები. აქ ვნახეთ კენიელ მებადურთა თავისებური, ორიგინალური თევზაობა: ნახევრად შიშველი ზანგი დადის ქაობის ბალახში მუხლამდე წყალში, დროდადრო იხრება და სწრაფი მოძრაობით იღებს წყალს დიდი კალათით. წყალი იწრიტება და კალათის ძირზე რჩება ფოლადისფრად მოელვარე ტბის მსხვილი თევზი.

შემდეგ გავიარეთ ქალაქი ნაკურუ, კენიის პრეზიდენტის საზაფხულო რეზიდენცია. აქ არ შევჩერებულვართ, რადგან ნაკურუში ყოფნა და მისი ცნობილი ნაკრძალის ნახვა დაბრუნებისას იყო დაგეგმილი.

ნაკურუს შემდეგ დაიწყო აღმართი და სავანა მშვენიერი ტყეებით შეიცვალა. ტანმალალი ფიჭვნარი და ევკალიპტები, ულამაზესი მდელოები და მწვანე ბორცვები. ამ რაიონს „მოროს“ უწოდებენ. სწორედ იქ ჰქონდათ ინგლისელებს თავიანთი მამულები.

ავიარეთ აღმართი და თავი დასავლეთ საქართველოში წარმოვიდგინე. ვეებერთელა მინდერებსა და ფერდობებზე გადაქიმულა ჩაის პლანტაციები. ხასხასა, ღია მწვანე ფერის ჩაის ბუჩქები, უფრო დაბალ-

* ბენა — ბატონო (სუაჰილის ენაზე).



ნი, ვიდრე ჩვენში, ხავერდოვან მწვანე საბნად აქვს გადახურული კენკროვანი რიჩოს რაიონს. ამ სიმწვანეში კი დიდი ყაყაჩოებივით მოჩანდნენ წითელ და ცისფერ კაბებში გამოწყობილი ჭილისქუდიანი ჩაის მკრეფავი ქალები. შეგვიყვანეს ლამაზ, მოზრდილ შენობაში, რომელიც ყუბაილნარში იდგა. დიდი ეზო და მისი შემოგარენი ბოტანიკურ ბაღს ჩამოჰგავდა. დარბაზში ჩაი მოგვართვეს სადეგუსტაციოდ. ეს კერიჩოს ცნობილი ჩაის რესტორანი ყოფილა, ჩვენებური ჩაის სახლივით. მხოლოდ აქ, გარდა ჩაისა, პატარ-პატარა, ბაღში ჩარიგებულ ბარებში, გამოდგმული იყო მსოფლიოში ცნობილი თითქმის ყველა სახის სასმელი.

კერიჩოდან გადავედით მეორე დიდვაკეზე. აქ გახშირდა გზის პირას ჩარიგებული პატარ-პატარა სოფლები. ალიზის სახლებს ზოგს კვადრატული ფორმა ჰქონდა, უფრო მეტს კი წრიული, რომელთაც კონუსივით ეფარა ჩალის სახურავები.

სალამო ხანს უკვე კისუმუში ვიყავით. კისუმუ სიდიდით კენიის მესამე ქალაქია და ნიანზას პროვინციის ცენტრს წარმოადგენს. იგი მდებარეობს ვიქტორიის ტბის ნაპირას, კავირონდოს უბეში. ამ ქალაქიდან ჩრდილოეთით, სულ რაღაც თხუთმეტობდე კილომეტრშია ეკვატორი.

ნიანზას პროვინციაში მოჰყავთ სიმინდი, ზანგური, ანუ აფრიკული ფეტვი, პარკოსნები, კასავა და შაქრის ლერწამი. ამ პროვინციას დასავლეთიდან აკრავს ვიქტორიის ტბა, სამხრეთით ესაზღვრება ტანზანია, ჩრდილოეთით — დასავლეთის და აღმოსავლეთის რიფტ-ვალის პროვინციები.

ჩვენი სასტუმრო ქალაქის განაპირას, დიდი პარკის გვერდით მდებარეობდა. სასტუმროს წინ, ასფალტზე, მოხუცი ზანგი ქვისა და ხის ხაკეთობებით ვაჰრობდა. პირველივე დღეს პროვინციის კომისარმა დელეგაციის პატივსაცემად ვაზში გამართა, რომელსაც ორასამდე კაცი ესწრებოდა. ვაზში ოფიციალური იყო და მაგიდაზე კუვერტული ბართები ეწყო სტუმართა გვარებით. დიდხანს ვეძებდით ჩვენს გვარებს, მაგრამ ვერ მივაგენით. როდესაც წაუკითხე ზახარევიჩი, კირილოვნა, ივანოვიჩი, სტეპანოვიჩი და სხვ., მივხვდი, რომ ეს ჩვენ ვიყავით. მაგალითად, ჩემთვის განკუთვნილ ადგილს ინგლისურად ეწერა ზახარევიჩი. თურმე, როცა საბჭოთა საელჩოს ადგილობრივი მთავრობისთვის დელეგაციის წევრთა სია გადაუცია, იქ ასე ეწერა: „კიკნაძე თამაზ ზაქარიას ძე“. მათაც ბოლო სიტყვა გვარის აღმნიშვნელი ჰგონებიათ და ასე გავხდით „იჩები“.

მეორე დღეს ვეწვიეთ კისუმუს ჰოსპიტალს, რომელიც საბჭოთა კავშირმა საჩუქრად აუშენა კენიას. ამ ჰოსპიტალში საბჭოთა ექიმები



მუშაობენ. მათი ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ კენიის პროვინციებიდანაც კი მოდიან აქ სამკურნალოდ. ამ ჰოსპიტალს კენი-ელებმა „რუსული სახლი“ შეარქვეს.

დღის მეორე ნახევარში, სადღის შემდეგ, პროვინციის კომისარმა მიგვიპატივა ვიქტორიის ტბაზე გასასეირნებლად. ტბის პირას, იახტ-კლუბის შენობასთან, კენიის პოლიციის პატარა გემი გველოდებოდა. პროვინციის კომისარმა გავაცნო თავისი მუუღლე, რომელიც ჩვენთან ერთად უნდა წამოსულიყო ტბაზე გასასეირნებლად.

ცა ღრუბლიანი იყო და ძლიერი ქარიც უბერავდა, ვიქტორიის ჩამუქებულ, მომწვანო-ტყვიისფერ ტალღებს ათამაშებდა. ხომალდი ძლიერ ირწეოდა.

ხომალდის მოაჯირთან მჯდომი გავყურებდი ვიქტორიას, რომელიც 1858 წელს აღმოაჩინა ინგლისელმა ჯონ სპიკმა. მანვე დაადგინა ჯონ გრანტთან ერთად ამ ტბიდან მდ. ნილოსის გამოსასვლელი. 1875 — 77 წლებში კი ეს ტბები გამოიკვლია ინგლის-ამერიკის ერთობლივმა ექსპედიციამ გ. სტენლის მეთაურობით.

ვიქტორიას სხვა სახელებიც აქვს: ვიქტორია-ნიანზა და უკერვე-იგი ზღვის დონიდან 1134 მ. სიმაღლეზე მდებარეობს და მოქცეულია სამ სახელმწიფოს შორის: უგანდის, ტანზანიასა და კენიას შორის. ამ ტბას, მსოფლიოში სიდიდით მეორეს (მტკნარ ტბებს შორის), ჩრდილო ამერიკის ზემო ტბის მომდევნოს, თითქმის საქართველოს ტერიტორიის ტოლი ფართობი უკავია — 68 ათასი კვ. კილომეტრი. მისი უდიდესი სიგრძე 320, ხოლო სიგანე — 275 კილომეტრია, სიღრმე კი 40 — 80 მ ფარგლებში მერყეობს.

შორეულ გეოლოგიურ წარსულში ვიქტორიის ტბას გაცილებით მეტი ტერიტორია ეკავა, ვიდრე ამჟამად. იმ დროს მისი წყლით იყო დაფარული დღევანდელი უგანდა, აღმოსავლეთით კი თითქმის რუდოლფის ტბამდე ვრცელდებოდა.

ვიქტორიის ტბა და მისი მიმდებარე რაიონები ტყუილად არ ითვლება დედამიწის ისეთ ნაწილად, სადაც ძალზე ხშირია ქარიშხლები. მათაწარმოშობი და ვულკანური პროცესებით 1134 მ სიმაღლეზე ატანილი, ბრტყელი, შეჭრილ-შემოჭრილი ნაპირებით იგი ღიაა კონტინენტის ქარებისათვის, რომლებიც ხშირად იწვევენ წყლის გიგანტურ ჭარბობბალას. აქ ყოველთვის ზაფხულია. ტროპიკულ წვიმებს ცვლის სულისშემბუთავი გვალვა; ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 25 გრადუსია, ხოლო წყლისა — 22. მაღალი სიცხე, ჰაერის დიდი ტენიანობა, შხამიანი მწერები, ათასნაირი ავადმყოფობანი აშინებდნენ ევ-

როპელ კოლონიზატორებს და ტბის რაიონებში ერიდებოდნენ დასახლებას.

ყველაზე წვიმიანი აპრილი და მაისია, ამ დროს ნამდვილი წარლენებია. გამოთვლილია, რომ ტბის ზედაპირზე წელიწადში 98 კუბური კილომეტრი მოცულობის ნალექი მოდის, გარდა ამისა, მდინარეებს ჩააქვთ კიდევ 16 კმ³ წყალი, ე. ი. სულ 114 კმ³. მწველი მზის გავლენით წლის განმავლობაში ორთქლდება 93 კმ³ წყალი, ეს კი იმაზე მეტია, რაც დიდ ნილოსს ჩააქვს ყოველწლიურად ხმელთაშუა ზღვაში და ორჯერ აღემატება მდ. დნებრის წლიურ ჩამონადენს. სხვაობა კი ჩამონადენსა და აორთქლებას შორის კვებავს მდ. ვიქტორია-ნილოსს, რომელიც უერთდება დიდი ნილოსის შენაკადს.

ტბის სანაპირო ზოლი ძალზე დანაწევრებულია და ქმნის მრავალ უბეს, რომლებსაც ნავსადგურებად იყენებენ. ყველაზე დიდია კავირონდოს ყურე. ტბაში მრავლადაა კუნძულები. მათ შორის სიდიდით გამოირჩევიან უეკრეკე, სესე, მანსომე, რუევონდო და კომე. ეს კუნძულები დასახლებულია. ნაპირებზე ლერწმისა და პაპირუსის ჯუნგლებია, მოშორებით ლანდოლფიის ლიანები, რომლებსაც კაუჩუკის მისაღებად იყენებენ. მაღალი ტენიანობა და უხვი ნალექები ხელს უწყობენ ტბის რაიონში ხშირი ტყეების განვითარებას. აქაა ისეთი იშვიათი ჯიშები, როგორცაა წითელი სანდალოზი, აბანოზი. აქამდე ყველაზე მსუბუქ ხედ თვლიდნენ ბალსის ხეს, რამდენიმე წლის წინ კი ვიქტორიის ტბის ნაპირას აღმოაჩინეს ამბაჩა, რომელსაც უფრო მსუბუქი მერქანი აქვს. ამ ხისაგან დამზადებულ რვაკაციან ტივს ადვილად ასწევს ერთი კაცი.

ტბაში მრავლადაა თევზი, რომელიც ასამდე სახეობას ითვლის. ზოგი მათგანი მხოლოდ ვიქტორიაში გვხვდება. ყველაზე მეტად გავრცელებულია ქრომისა ქორჭილასებრებიდან. რეწვისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს ტილაბიას და მის სახესხვაობას ბალატას, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი ნგეგეს უწოდებენ. იჭერენ აგრეთვე წვერას ჯიშის თევზს — ბარბელას, ანუ იქაურად ქსინჯას. სანაპიროს და კუნძულების მკვიდრთათვის თევზის რეწვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ კავირონდოს ყურეში რამდენიმე ათასი მეთევზეა. ირგვლივ, პატარა ნაევებით მრავალი მათგანი გასულიყო სათევზაოდ.

ვიქტორიის ტბამ კიდევ იმით გაითქვა სახელი, რომ მის მიდამოებში იცის ბუზი ცეცე. მარტო გასული საუკუნის მიწურულს, სულ რამდენიმე წელიწადში ძილის ავადმყოფობამ, რასაც ამ ბუზის ნაკბენი იწვევს, სიცოცხლეს გამოასალმა 250 ათასი კაცი. ხომალდიდან გავყურებდით ბეჰემოთებს, რომლებიც წამით წყლიდან თავს ამოყოფდნენ,



წითელ თვალებს უაზროდ მოგვაშტერებდნენ, მძლავრად ამოგვჭყდნენ და კვლავ ყვინთავდნენ. მეთევზეები ნაპირისკენ მიიჭაბოდნენ. ორიოდ საათს ვისეირნეთ და როცა ქარი უფრო გაძლიერდა, უკან დავბრუნდით. ნაპირზე, იახტკლუბში სახელდახელოდ ვისადილეთ და პროვინციის კომისარმა დელეგაციის მეთაურს ხელჯოხად გაკეთებული დაშნა აჩუქა...

გვიან საღამოს ზანგურ ღამის ბარს ვეწვიეთ. წითელ სინათლეზე ცეკვავდნენ ზანგები. მათ ბარებში თეთრკანიანები იშვიათად შედიან. ამჯერად ჩვენს გარდა აქ იყო რამდენიმე ქერათმიანი მამაკაცი და ქალი; ამერიკელი ტურისტები. შესანიშნავი ორკესტრი შეუსვენებლივ უკრავდა საცეკვაო მუსიკას. ცეკვავდნენ „ბამპს“, რაც ინგლისურად დარტყმას ნიშნავს. წყვილები ერთმანეთს ეხლებოდნენ სხეულის სხვადასხვა ნაწილებით: საოცარი აგზნება იგრძნობოდა ახალგაზრდა გოგონებში, რომლებიც წარამარა მოდიოდნენ ჩვენთან და გვთხოვდნენ ლუდით გავმასპინძლებოდით...

უკვე გვიანი ღამე იყო და სასტუმროსკენ გავემურეთ. გზაზე უნდა გავვევლო ვეებერთელა პარკი, რომელშიც ვიქტორიიდან მონაქროლი გრილი ნიავი ბობაბებისა და ავსტრალიური აკაციების ფოთლებს აშრიალებდა. ჩაეწეკი ლოგინში და ცეცესაგან თავდაცვის მიზნით ჭერიდან, ბალდახანივით ჩამოშვებულ დოლბანდის ქსოვილში გავეხვიე.

შემდეგ დღეებში დასავლეთის პროვინციაში გადავინაცულებთ. იგი უშუალოდ უგანდას ესაზღვრება. ამ პროვინციის დიდი ტერიტორია უკავია შაქრის ლერწმის პლანტაციებს. გადავკვეთეთ ეკვატორი და ვეწვიეთ პროვინციის დედაქალაქ კაკამეგას, სადაც შეგვხვდა პროვინციის კომისარი ხბურუ. მასთან საუბარში გაირკვა, რომ გარდა შაქრის ლერწმისა, აქ მოყავთ კენიის სიმინდის მოსავლის ერთი მესამედი. ბევრია ჩაიც, პირეტრუმიც, ბამბის პლანტაციები.

— რამდენს იღებთ სიმინდს ერთ ჰექტარზე?

— ოთხ ბაროულს*. ჩვენს პროვინციაში 1 კმ²-ზე 172 კაცია დასახლებული. უკანასკნელ წლებში ავაშენეთ შაქრის ქარხანა, ქალაღლის ფაბრიკა, ჩაის ფაბრიკასაც ვაგებთ. თქვენ საშუალება გქნებათ გაცნოთ შაქრის ქარხანას და ქალაღლის ფაბრიკას.

ძალიან ცხელა. კვალად ვიგრძენით ნამდვილი აფრიკული სიცხე. მივემგზავრებით შაქრის ლერწმის პლანტაციებში. მიწა წითელია, გზებზე წითელი მტვრის ბული დგას. მტვერი მანქანის მჭიდროდ დაგმახულ სარკმლებშიც აღწევს და ჩვენი თეთრი პერანგები წითლად იღებება.

* ბაროული უდრის 90 კგ-ს

აი, შაქრის ქარხანაც. იგი კენის მთავრობას და ინგლისის კომპანიას აუშენებია. ქარხნის მთავარი ინჟინერი ინგლისელია, რომელიც გვიხსნის ქარხნის სტრუქტურას, მოსავლის აღებისა და გადამუშავების წესებს. მოსავლის აღებას აქ საერთოდ ვუნას უძახის ადგილობრივი მოსახლეობა, შაქრის ლერწმის აღებას კი კუკატას. ქარხნის მუშა დღეში 3,5 შილინგს იღებს, ანუ ნახევარ დოლარს; მის ოჯახს გამოყოფილი აქვს 5—15 ჰექტარი ნაკვეთი, რაზედაც შაქრის ლერწმი უთესია. წელიწადში ორ მოსავალს იღებენ. ლერწმის აღებასა და გადატანაში მას ეხმარება ქარხანა. გარდა ამისა, ჰყავს საქონელი, ფრინველი, ცხვარი.

ქარხნის დათვალეობისას თან დაგვეყვებოდა ახალგაზრდა ზანგი იხეიხერი გეს-კადო, რომელსაც საუბარი გავუბი.

— სად ისწავლეთ ასე კარგად რუსული?

— კრასნოდარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მაქვს დამთავრებული. ცოლიც იქაური ძყავს.

— შეილები?

— ერთი გოგონა, იგი 4 წლისაა და მხოლოდ რუსულად ლაპარაკობს.

გენ-კადომ უცბად მოიწყინა და მიზეზიც ვკითხე.

— ჩემი ცოლი წასვლას აპირებს კრასნოდარში.

— სამუდამოდ?

— არ ვიცი. არ ამბობს. იქ მოხუცი დედა ჰყავს...

დავტოვეთ მუმისის შაქრის ქარხანა და გადავინაცვლეთ ვებუიეში, ქალაქის ფაბრიკაში. მისი ზუსტი სახელია „მანაფრიკის ქალაქის ფაბრიკა“. აქ 2 ათასამდე კაცი მუშაობს. ფაბრიკა აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და უშვებს ოცდაათამდე სახეობის ქალაქსა და მუყაოს. ფაბრიკის დირექციამ სახსოვრად დაგვირიგა ფაბრიკის პროდუქციის ნიმუშები.

სალამოს პროვინციის კომისარმა ეახშამი გავემართა თავისი სახლის ვებერთელა ეზოში, სადაც ღია ცის ქვეშ მზადდებოდა ინგლისური და ადგილობრივი ტრადიციული კერძები.

ღამით კვლავ კისუმუში დავბრუნდი და მეორე დღით გავეძგავრეთ რიფტ-ვალის პროვინციაში, ნაკურუსაკენ. გზაზე დაეთვალეურეთ ეგერტონ-კოლეჯი, სადაც სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს ამზადებენ. დიდი შთაბეჭდილება დატოვა საზოგადოებრივი სახსრებით აგებულმა სკოლა-ინტერნატმა.

სკოლის წინ, დიდ მინდორზე, თავი მოეყარა მახლობელი სოფლების მოსახლეობას, ძირითადად ქალებს. შეხვედრა ჩვენს დელეგაციასთან დიდი გულმოდგინებით იყო მომზადებული. ქალები ისხდნენ



ჩვენს ქვეყანაში
 ჯგუფ-ჯგუფად, თითოეულ ჯგუფს ერთი ფერის ტანსაცმელი ხასხასა ფერთა საოცარი შეხამება, ცისფერის, წითლის, ყვითლის. ერთი სიტყვით, გეგონებოდა, რომ ცისარტყელა გაწოლილად მინდორზე.

ოფიციალური სიტყვების შემდეგ იმღერა ბავშვების გუნდმა. გაშობიოდნენ ცალკეული შემსრულებლებიც. ბავშვებს ეცვათ სუფთა და ლამაზი უნიფორმა. მოსწავლეთა გამოსვლები დაავგირგვინა მასწავლებელთა გუნდმა, რომელმაც სუაპილის ენაზე შეასრულა ეროვნული სიმღერა.

შემდეგ კი მინდორზე გაწოლილი ცისარტყელა ამოძრავდა, დაიკლანა... ყველამ ერთად დაიწყო სიმღერა და ცეკვა ჩვენი დელეგაციაც შეუერთდა მასპინძლებს.

სალამოს დიდი ვახშამი გავვიმართეს კოოპერატიულ ფერმაში, სადაც გავგაცნეს უმიწაწყო გლეხების ახალ მიწებზე განსახლებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის გეგმები. ვახშამი გრილ შენობაში ჩატარდა და როდესაც გარეთ გამოვედით, მახლობელი სოფლის მოსახლეობა ტამბამებით, სიმღერითა და ცეკვით შემოგვცეგბა. აქაც უშუალო და გულთბილი ურთიერთობა სუფევდა.

დიდი შთაბეჭდილებებით აღსაქსენი ჩამოვედით ნაკურუში და შესახიშხავად შოწყობილ სასტუმროში დავბინავდით, რომელსაც „სტეგს ჰედი“ (ირმის თავი) ერქვა.

ნაკურუ კენიის პრეზიდენტის საზაფხულო რეზიდენციაა. იგი მსოფლიოშია სახელგანთქმული თავისი ნაკრძალით, რომელიც ქალაქიდან სულ ორიოდ კილომეტრში მდებარეობს. ნაკურუს ტბა-ნაკრძალს სალამოს ვეწვიეთ და გაცებულნი დავრჩით უამრავი ვარდისფერი ფლამინგოს ხილვით. რადგანაც შებინდებული იყო, ფოტოაპარატს ველარ ვიხმარდით. ამიტომ სიამოვნებით დავთანხმდი წინადადებას, მეორე დილით, რიერაქზე ვწვეოდით ნაკრძალს. ჩვენი მძლოლიც დავითანხმეთ და დილის 6 საათზე უკვე ადგილზე ვიყავით.

საოცარი იყო ნაკრძალის გალვები. შესასვლელში ხტუნაობდნენ ძალზედ მინიატურული, კატის მოზრდილი კნუტისოდენა მწეანე მთმუნები: სიღრმეში, სავანის ნაწილში, ნეარდობდნენ ანტილოპები, თითქოს დილის გამამხნეველ ვარჯიშს ასრულებენო.

ტბას მოყვითალო-მოლურჯო ფერი დაჰკრავს, ხოლო ალაგ-ალაგ ვარდისფერია. ფერები მუდმივად მოძრაობს. ეს ვარდისფერი ფლამინგოებია. უამრავი ფლამინგოს გარდა აქ კიდევ 400 სახეობის ფრინველი და 70 სახეობის ცხოველია. ნაკრძალს 46600 ჰექტარი ფართობი უკავია. ნაირობისაგან მას 150 კილომეტრი აშორებს, ვიქტორია კი მის ჩრდილოეთით 35 კილომეტრშია. ტბას მხოლოდ წვიმის წყალი კვ-

ბავს. აპრილ-ივნისი და ნოემბერ-დეკემბერი, წვიმების სეზონია. მაგრამ ამ დროსაც მისი სიღრმე არ აღემატება 4 მეტრს. 1930 და 1950 წლებში იგი მთლიანად დამშრალა. ტბის სარკის ფართობი 4 ათასი ჰექტარია.

ნაკურუს ტბის წყალი დიდი რაოდენობით შეიცავს სოდას, რაც ხელს უწყობს მოლურჯო-მოყვითალო წყალმცენარის სპირულინას განვითარებას, ეს კი საკვებია პლანქტონურ კიბოსნაირთა გამრავლებისათვის, რითაც იკვებებიან ფლამინგოები.

ნაკურუს ნაკრძალი 1961 წელს შეიქმნა და მის ფარგლებში შევიდა ტბის სამხრეთი ორი მესამედი ნაწილი, სადაც თავს იყრიან ფლამინგოები. 1968 წელს მთელი ტბა გამოცხადდა ნაკრძალად, რომელსაც დაუმატეს მიმდებარე მიწების ვიწრო ზოლი, 1,6 ათასი ჰექტარი ფართობით. ამ ზოლშია ბალახოვანი და ბუჩქნარიანი სავანა, აგრეთვე ავსტრალიური აკაციების ტყე. მაგრამ ორ კილომეტრში განლაგებულმა ქალაქმა ნაკურუმ 60 ათასი მცხოვრებით, რამდენიმე ქარხნით და ფაბრიკით, უარყოფითი გავლენა იქონია ტბაზე. ქალაქის ჭუჭყიანი წყლები წამლავდა მას. მრავალჯერ დაისვა საკითხი ნაკრძალის საზღვრების გაფართოების თაობაზე, რისთვისაც საჭირო იყო კერძო მიწების გამოსყიდვა. მხოლოდ 1974 წელს შეძლეს ამ ამოცანის გადაწყვეტა. ძირითადი თანხა გაიღო ბუნების საერთაშორისო ფონდმა, დანარჩენი შემოვიდა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო პირთაგან. კენის მთავრობის ხელშეწყობით შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვნად გაეფართოებინათ ტბის მიმდებარე ნაკრძალის ტერიტორია. ამჟამად დაპროექტებულია და უკვე შენდება კიდევ გამწმენდი ნაგებობანი.

როგორც კი კარიბჭეში შეხვალთ და გავივლით ყვითელკანიანს აკაციების მაღალი ტყის ზოლს, თქვენს წინ აღიმართება 2 მეტრი სიმაღლის ლერწმის კედელი, რომელშიც გაჭრილია ვიწრო გზა. იქვე იწყება ხის ვიწრო, დახურული დერეფანი და ორმოცდაათიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ უახლოვდებით დერეფნის ბოლოს გაჭრილ ფანჯრებს. აქედან სულ ახლოს შეიძლება უამრავი ფრინველის დანახვა, რომლებიც ვერ გხედავენ და არ ფრთხებიან. დიდებული სანახაობა და ხმაურია. ზოგი კაკანებს, სხვა გამწვიანი ხმით კივის, ხრიალებს, კენესის და ეს ხმები საოცარ კაკაფონიად ერწყმის ერთურთს, რომლის აღწერაც შეუძლებელია. აქ ერთგვარი იერარქიაა მათს განლაგებაში: ჯერ ყველაზე ახლოს დგანან კაპის იხვები, პოტენტოტური იხვინჯები, საბჭოთა კავშირიდან გამოსახამთრებლად ჩამოფრენილი განიერნისკარტა იხვები; მეორე რიგში ჩამწყრივებულან ნილოსის მშვიდი და ზანტი ბატები,



რომლებსაც სიმაღლის გამო ზევიდან დასცქერიან მასიური ვარდისფერი პელიკანები. მოცურავე იხვების ფონზე ჯგუფებად ან განმარტოებით დგანან მოღუშული მარაბუ და ყვითელნისკარტა, თეთრ-ფრთებიანი და ხასხასა წითელი ფერის სახის გრძელნისკარტა ყარყატი; აქვე არიან ყანჩებიც, დიდი და პატარა, რუხი და შავთავა, თეთრნი და ყვითელნი, მათ გვერდით კი აფრიკული წეროები, იბისები, ოჩოფეხანი, ევროპიდან ჩამოფრენილი ტურუხტანები, ჭოვილოები (ფიფი), დიდი ჭოვილოები, თეთრმუცელა ჭოვილოები და სხვა მრავალი და რაც მთავრია, უამრავი ვარდისფერი ფლამინგო.

ნაკურუს ტბა ევროპიდან და აზიიდან გამოსაზამთრებლად გადამფრენი ფრინველების ერთ-ერთი მთავარი ადგილია. აქ აფრიკის საზოგადოება 1967 წლიდან აწარმოებს ფრინველთა შემორგოლვას. მაგალითად, აქ დარგოლილი ტურუხტანი 3 თვის შემდეგ ნახეს იაკუტსკის მახლობლად.

ტბის ნაპირას დგას პატარა და უბრალო, მწვანედ შეღებილი ხის სახლი. წინ, აივანზე, ბამბუკის რამდენიმე სავარძელია. აქედან მოჩანს ტბის მთელი პანორამა, მის უკან კი ტყით შეფენილი მუქი-მწვანე ფერდობები, ტბის ვეებერთელა, მშვიდი ზედაპირი და ფლამინგოს ურიცხვი გუნდები. ეს პატარა სახლი კენიის პრეზიდენტის, ჯომო კენიატას საკუთრებაა. იგი მოხუცია, მხრებზე მრავალი წლის პოლიტიკური ბრძოლა, პატიმრობა, დევნა აწევს. დღეს კი ამ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი ყოველ კვირას მოდის აქ დასასვენებლად.

მაუ-მაუ, ინგლისის დაჰრილი ლომი და „პარამბეი!“

„ჩვენი წარმატებები შეუძლებელი იქნება ეროვნული ერთიანობისა და შთავონების გარეშე, დიდი მუშაობის გარეშე, და თუ ჩვენ მარცხებში მოვაქცევთ პროგრესს ხალხსა, რომელმაც მთელი სულითა და გულით აიტაცა ჩვენი ეროვნული დევიზი — „პარამბეი!““

ჯომო კენიატა

ჰემინგუეი წერდა, რომ აფრიკა იღუპებოდა კოლონიზაციის კლანჭებში; მისი ბუნებრივი რესურსები მტაცებლურად ნიავედებოდა, მოსახლეობა კი შიმშილს განიცდიდა.

როგორც ცნობილია, კოლონიური სისტემის დაშლას თავდაპირველად აზიაში მიეცა დასაბამი, სადაც თავმოყრილი იყო ყველაზე მეტად განვითარებული და მჭიდროდ დასახლებული კოლონიები. 50-იან წლებში განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ფეხი მოიკიდა აფრიკის კონტინენტზეც; 60-იან წლებში ამ მოძრაობამ გადალახა ატლანტის ოკეანე

და დასავლეთ ნახევარსფეროშიც გავრცელდა. სამ ათეულ წელზე ნაკლები დასჭირდა მრავალსაუკუნოვანი კოლონიური იმპერიების რღვევას.

თუ 1919 წელს კოლონიური სამყაროს ტერიტორია მოიცავდა 97.8 მლნ კმ² ფართობს 855 მლნ მოსახლეობით, 1939 წლისათვის ეს ფართობი 38 მლნ კმ²-მდე შემცირდა, თუმცა ამ ტერიტორიაზე 700 მლნ კაცზე მეტი ცხოვრობდა (დედამიწის იმდროინდელი მოსახლეობის 35 %). ამჟამად (1980 წლის მონაცემებით) კოლონიური უღლის ქვეშ 1 მლნ. კმ² ფართობის მქონე ტერიტორიაა დარჩა 12 მილიონზე ნაკლები მოსახლეობით (კაცობრიობის 0,3 %). გრძელდება ბრძოლა უკანასკნელი კოლონიების გასანთავისუფლებლად.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე დასავლეთელი პუბლიცისტები დაჰაჯერებლად აცხადებდნენ აფრიკას „გამარჯვებულის პრიზად“, მაგრამ მოტყუებდნენ.

ომის შემდგომ წლებში სულ უფრო მატულობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცეცხლი შავ კონტინენტზე. ჯერ იტალიამ „დათმო“ ლიბია, შემდეგ კოლონიალიზმის ბორკილები დაამსხვრიეს ეგვიპტემ, მაროკომ, სუდანმა, ტუნისმა. ეს იყო აფრიკის კონტინენტის ჩრდილო ნაწილში, ევროპასთან ახლოს. იმდროინდელი აფრიკის მფლობელები ინგლისი და საფრანგეთი ველარ უძლებენ ცენტრალურ აფრიკაში გაჩაღებულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და ამა, თავისუფლებას პოუბენ: ვანა, ინგლისის ოქროს სანაპირო, საფრანგეთის გვინეა. საფრანგეთს პირველი ადგილი ეჭირა აფრიკაში კოლონიური ტერიტორიის სიდიდით. და აბობოქრდა ეს ტერიტორია, იქ მცხოვრები შავი აფრიკის შვილებით და ზედიზედ გაჩნდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოები: ცენტრალურ-აფრიკული, მალგაშის, სენეგალი, მალი, მავრიტანია, სპილოს ძეღის სანაპირო, ნიგერია, ზემო ვოლტა, დაგომეა, ჩადი, გაბონი, ტოგო, კამერუნი, კონგო-ბრაზავილი... იმავე წელს ბელგიამაც „დათმო“ კონგო — დედაქალაქ ლეოპოლდვილით. იტალიას და ინგლისს ორად ჰქონდათ გაყოფილი სომალის ნახევარკუნძული, ახლა კი დაიბადა ახალი სახელმწიფო — სომალი, ინგლისმა „დაკარგა“ აფრიკის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა — ნიგერია.

იღა 1960 წელი. ინგლისის კოლონიური იმპერიის ნაგლეჯები აქა-იქ კიდევ იყო შემორჩენილი დასავლეთ აფრიკაში, უფრო მეტი აღმოსავლეთში, სადაც კლიმატჩაროს დიდ ჩრდილში კიდევ ბრდღვინადა სასიკვდილოდ დაჭრილი ინგლისური ლომი. აქაც მალე გაიმარჯვა თავისუფლებამ: დაიბადნენ კენია, უგანდა, დამოუკიდებელი სახელმწი-



ფოები, ტანზანია-ტანგანიკისა და ზანზიბარის გაერთიანების, ჩეჩენეთის, თაიისუფლების ცეცხლმა სამხრეთით გადაინაცვლა: ზამბია, ზამბიის რესპუბლიკა, დასავლეთში — სიერა-ლეონე, გამბია, ცენტრალურ აფრიკაში — რუანდა და ბურუნდი (ბელგიის კოლონიები), ჩრდილოეთში საფრანგეთი, როგორც იქნა, შეეღია ალჟირს.

პორტუგალიის მაშინდელი დიქტატორი სალაზარი ერთადერთი იყო, რომელსაც არც ერთი კოლონია არ დაუთმოია. მაგრამ ცოტა ხანში მოზამბიკმა მოიპოვა თავისუფლება, მას გაჰყვა ანგოლა, სადაც აფრიკის კონტინენტზე ყველაზე დაბალი იყო ხალხის საარსებო პირობები და ღონე. დარჩა სამხრეთ აფრიკის კავშირი, ერთი მუჭა თეთრი რასისტების კოლონია, როგორც იტყვიან — აფრიკის კოლონია აფრიკაში.

დიდი ბრძოლა დასჭირდა ამ ქვეყნების ხალხებს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამ ბრძოლებს შორის აღმოსავლეთ აფრიკაში ყველაზე ცნობილია 1905 — 1907 წლების ომი „მაჯი-მაჯის“ სახელწოდებით ტანზანიაში, სადაც ბრძოლებში, ასევე შიმშილისა და ავადმყოფობისაგან დაიღუპა 120 ათასი კაცი, და 1952 — 1956 წლების შეიარაღებული აჯანყება კენიაში „მაუ-მაუს“ სახელწოდებით. ამ პერიოდში აჯანყებას 50 ათასი კაცი ემსხვერპლა.

„მაუ-მაუ“ კიკუიუს ტომის ენაზე ნიშნავს „არაფერს“. ამბობენ, რომ იგი წარმოიშვა განაწყენებული ბავშვის წამოძახილისაგან „უმა-უმა“ — წადი. თუ ამ სიტყვას ხშირად იმეორებ, გამოივა „მაუ-მაუ“. ამ სახელწოდებით იყო ცნობილი 1952 — 1956 წლებში მომხდარი აჯანყება ინგლისის კოლონიზატორთა წინააღმდეგ. ეს მოძრაობა კენიაში ჩაისახა 40-იან წლებში. მისი მთავარი ამოცანა იყო ევროპელთა მიერ დაპყრობილი მიწების დაბრუნება, თვითმმართველობის უფლების მოპოვება, ზოგიერთი ძველი ადათ-წესის აღდგენა, ქვეყნიდან ევროპელთა განდევნა და სხვა. „მაუ-მაუს“ ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ ისინი მოქმედებდნენ კიკუიუს ტომის მითითრი წინაპრების — ჰიკუიუს, მუმბის და ღმერთ ნგაის სახელებით. მოძრაობის ყოველ ახალ წევრს უნდა მიეღო საიდუმლო ფიცი, რომელსაც თან ახლდა რიტუალური ცეკვები. ეს ანტიკოლონიური მოძრაობა რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათისა იყო.

ინგლისის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ როგორმე შეენარჩუნებინა ბრიტანეთის კოლონიური იმპერია აფრიკის კონტინენტზე. ამისათვის ინგლისის მმართველმა წრეებმა მიმართეს ახალ ტაქტიკას — ე. წ. კონსტიტუციურ მანევრებს. ამ ტაქტიკის ძირითადი მიზანი იყო კოლონიების ხალხთა გამოთიშვა განმათვისუფლებელი ბრძოლებისაგან ისე, რომ არაფერი ვნებოდა ბრიტანეთის კოლონი-

ური ბატონობის საფუძველს. სწორედ ასეთი ტაქტიკა გამოიყენეს კენიის
ნიაშიც. 1954 წელს კენიის დედაქალაქ ნაირობში ჩამოვიდა ბრიტანეთის
კოლონიების მინისტრი ოლივერ ლიტლტონი, რომელმაც გამოაცხადა
ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება მმართველობის არსებული წე-
სების შეცვლის თაობაზე. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფო
მართვის სისტემაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ყველა ჯგუფი —
„მრავალრასობრივი“. „ლიტლტონის კონსტიტუციის“ თანახმად, კენი-
აში შეიქმნა მინისტრთა საბჭო, რომელიც შედგებოდა გუბერნატორისა-
გან, მისი მოადგილისაგან და 14 მინისტრისაგან. მათ შორის იყო ერ-
თი აფრიკელი და ორი ინდო-პაკისტანელი.

ამ პერიოდისათვის (1956 წ.) კენიაში 97 ათასი პოლიტიკური პა-
ტიმარი იყო. 1955 წელს „მაუ-მაუს“ ძირითადი ძალები განადგურე-
ბულ იქნა. აჯანყებულთა გადარჩენილი მცირე რაზმები იმალებოდნენ
აბერდერისა და კენიის მთის ტყეებში.

პატიმართა დიდმა რიცხვმა თავისი კვალი დააჩნია კერძო ეკონო-
მიკას, რაც გამოიხატებოდა მუშახელის ნაკლებობაში ევროპელთა
პლანტაციებზე და ფერმებში. სწორედ ამ დროს გამოქვეყნდა პოლიტი-
კურ პატიმართა მანიფესტი, მაგრამ იგი არ შეეხო „მაუ-მაუს“ აქტიურ
მონაწილეებს, მათ შორის კენიის აფრიკელთა კავშირის ლიდერებსაც.

არმიისა და პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფები კი ნადირობ-
დნენ „მაუ-მაუს“ ხელმძღვანელებზე. გაზეთებში ყოველკვირა ქვეყ-
ნდებოდა ცნობა ამა თუ იმ ლიდერის დაჭერისა და სიკვდილით დასჯის
შესახებ. 1956 წლის ოქტომბერში დააპატიმრეს აჯანყებული რაზმების
მეთაური დედან კიმატი. ქალაქ ნიერის სასამართლომ მას სიკვდილი მი-
უსჯა. 1957 წლის 18 თებერვალს კიმატი ჩამოახრჩვეს. ამ ლეგენდარული
სახელის მქონე კაცის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო „მაუ-მაუს“
წევრთა შორის, რომ ბევრ მათგანს იგი ზებუნებრივი ძალით მომადლე-
ბულ აღამიანად მიაჩნდა და არ სჯეროდათ მისი სიკვდილისა.

პირველი პოლიტიკური ორგანიზაციები კენიაში შეიქმნა კიკუიუს
და ლუოს ტომებში. ყველაზე მსხვილი პოლიტიკური ორგანიზაცია ომ-
ამდელ პერიოდში კიკუიუს ცენტრალური ასოციაცია იყო, 1924 წელს
რომ ჩამოყალიბდა. სწორედ ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ მომა-
ვალი ლიდერები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს 1952 —
1956 წლების შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციაში. კიკუიუს
ცენტრალური ასოციაციის გენერალური მდივანი და ამ ორგანიზაციის
წარმომადგენელი ლონდონში იყო კენიის მომავალი პრეზიდენტი ჯო-
მო კენიატა.

1940 წლის მაისში 7 ათასწევრიანი ეს ორგანიზაცია აკრძალეს.

ეს ის პერიოდი, როდესაც კენიაში მომზადდა საფუძველი ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის გაერთიანებისათვის ერთიან ანტიკოლონიალურ ფრონტად. ამ გაერთიანებისათვის იბრძოდნენ მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის, კენიის აფრიკელთა კავშირის ლიდერები. ეს უკვე საკმაოდ მსხვილი პარტია იყო, რომელიც თავის რიგებში 100 ათას წევრს ითვლიდა.

1952 წელს, პარტიის ლიდერთა ჯგუფი ჯომო კენიატას მეთაურობით კოლონიურმა ხელისუფლებამ დააპატიმრეს. რამდენიმე თვის შემდეგ ეს ჯგუფი გაასამართლეს და ბრალდებად წაუყენეს იატაკქვეშა ტერორისტული საზოგადოების „მაუ-მაუს“ შექმნა და მისი ხელმძღვანელობა. ლიდერთა დაპატიმრების შემდეგ მალე დაიწყო მასობრივი შეიარაღებული აჯანყება. კენიაში შემოიღეს საგანგებო წესები და ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია აკრძალეს.

40-იანი წლებიდან ჯომო კენიატას განსაკუთრებული ადგილი ეკავა აფრიკის პოლიტიკურ წრეებში, რაც გამოწვეული იყო პირადი ღირსეობით და დიდი ავტორიტეტით ხალხში. სწორედ ამიტომ დაიწყო დიდი კამპანია კენიაში მის გასათავისუფლებლად. 1960 წელს შექმნილმა პოლიტიკურმა პარტიამ კანუმ (კენიის აფრიკელთა ეროვნული კავშირი) თავის პრეზიდენტად დაუსწრებლად აირჩია პატიმრობაში მყოფი ჯომო კენიატა. ეს პარტია უკვე ლეგალური იყო. ხელისუფლებამ გამოაცხადეს, რომ არ სცნობენ ამ პარტიას, თუ მისი თავმჯდომარე კენიატა იქნებოდა, ამიტომ იძულებულნი გახდნენ პარტიის თავმჯდომარედ სხვა აერჩიათ. ამ პერიოდში თვით კენიის ლიდერებს შორისაც პოლიტიკური ბრძოლა იყო გაჩაღებული. შეიქმნა პარტიებიც: კენიის აფრიკელთა დემოკრატიული კავშირი (კადუ), კენიის აფრიკელი სახალხო პარტია და სხვა. პოლიტიკური უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი ორ ყველაზე გავლენიან ლიდერს შორისაც — ტომ მბოიასა და ოგინგა ოდინგას შორის. საკმარისია ითქვას, 1961 წელს კენიაში 12 პოლიტიკური პარტია იყო. კენიატას პოპულარობაში კონკურენტციას უწევდა ტომ მბოია და თავის თანამოაზრეებთან ერთად იბრძოდა კენიატას მომხრის და კანუს ვიცე-პრეზიდენტის ოგინგა ოდინგას წინააღმდეგ.

1961 წლის აგვისტოში ჯომო კენიატა გაათავისუფლეს პატიმრობიდან.

კენიატას განთავისუფლება დიდ პოლიტიკურ მოვლენად იქცა კენიის ცხოვრებაში. პოლიტიკური ორგანიზაციები და ქვეყნის ყველა რასობრივი ჯგუფის ლიდერები აღიარებდნენ კენიატას „№1 ლიდერად“ და მის დაბრუნებას უკავშირებდნენ თავიანთ მომავალ გეგმებს.



ნაირობის მოსახლეობა ზეიმით შეხვდა კენიატას. 1961 წლის 10 სექტემბერს ქუჩები მორთული იყო ყვავილებითა და დროშებით. განსაკუთრებული სიხარული სუფევდა აფრიკულ და ინდურ კვარტალებში. ქუჩებში 100 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა. გასაოცარი ის იყო, რომ ამ შეხვედრის ორგანიზაციისათვის მთელი ხარჯები ნაირობის ვაჭართა ინდურმა პალატამ გაიღო.

განთავისუფლებისთანავე ჯომო კენიატამ გაცხოვებული მუშაობა გააჩაღა აფრიკული პოლიტიკური ორგანიზაციების შესაჯავშირებლად და ანტიკოლონიური ფრონტის შესაქმნელად. მისი თავმჯდომარეობით კანუასა და კადუს გაერთიანებულმა კომიტეტმა გუბერნატორს წაუყენა მოთხოვნა კენიისათვის 1962 წლის თებერვლიდან თავისუფლების მინიჭების შესახებ, რაზეც უარი მიიღო.

ამ პერიოდში კენიატა თავს იკავებდა რომელიმე პარტიში შესვლისგან. იგი ცდილობდა გაეერთიანებინა კანუ და კადუ. ვგრამ არაფერი გამოუვიდა. 1961 წლის ოქტომბერში კენიატა სათავეში ჩაუდგა ეროვნულ კავშირს, ერთი წლის შემდეგ კი კანუს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ჯეიმს გიჩურუმეს პოსტი კენიატას დაუთმო.

1962 წლის 7 აპრილს გუბერნატორმა ჩამოაყალიბა ახალი კოალიციური მთავრობა, რომელშიც შევიდნენ ორი დანიშნული ევროპელი მინისტრი და შვიდ-შვიდი წარმომადგენელი კანუდან და კადუდან. კანუს ლიდერმა ჯომო კენიატამ კონსტიტუციის საქმეებისა და ეკონომიკური დაგეგმარების მინისტრის პოსტი დაიკავა.

1963 წელს კენიაში გაიშალა ფართო საარჩევნო კამპანია. კანუსა და კადუს შორის კვლავინდებურად უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი. კანუმ გამოაქვეყნა პროგრამა-მანიფესტი „რას გპირდებით კანუს მთავრობა“. ეს პროგრამა პარტიის ძირითად მიზნად აცხადებდა „დემოკრატიული აფრიკული სოციალისტური კენიის“ აშენებას.

ამ პროგრამა-მანიფესტში ცენტრალური ადგილი ეკავა მიწისა და ნაციონალიზაციის საკითხებს. კადუს პარტიის მანიფესტში ძირითადი იყო რეგიონალიზმი, რაც სინამდვილეში დასავლეთთან მჭიდრო იდეურ-პოლიტიკურ კავშირს და ქვეყნის განვითარების კაპიტალისტურ გზას ქადაგებდა. ინგლისელ ხელისუფალთ ემინოდათ არჩევნების პერიოდში მასობრივი გამოსვლებისა და შეხლა-შემოხლისა. ამიტომ საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდათ კენიის ტერიტორიაზე განლაგებული რეგულარული არმიის ნაწილები და პოლიცია.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში კანუს და კადუს კანდიდატებმა თითქმის თანაბარი ხმები მიიღეს, კენიის ეროვნული კრების მთავარ პა-



ლატაში არჩევნებისას 83 ადგილი კანუს წარმომადგენლებმა დაიკავეს.
41-ის წინააღმდეგ.

1963 წლის 1 ივნისს ჯომო კენიატამ ფიცი დადო, როგორც პრემიერ-მინისტრმა და გამოაცხადა მთავრობის ახალი შემადგენლობა, რომელშიც მხოლოდ კანუს წარმომადგენლები შევიდნენ. 1964 წელს შემოდებულ იქნა ერთპარტიული სისტემა. 1964 წლის 12 დეკემბერს კენია რესპუბლიკად გამოცხადდა. ახალი კონსტიტუცია ითვალისწინებდა ქვეყნის პრეზიდენტის პოსტის დაფუძნებას. პრეზიდენტი ერთდროულად სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურიც უნდა ყოფილიყო, რომელსაც უფლება ექნებოდა პარლამენტის წევრთაგან დამოუკიდებლად შეექმნა მინისტრთა კაბინეტი. კენიის პრეზიდენტი გახდა ჯომო კენიატა.

პრეზიდენტი ჯომო კენიატა კიკუიუს ტომის წარმომადგენელი იყო. იგი დაიბადა 1893 წელს იჩავერაში. დაამთავრა მისიონერული დაწყებითი სკოლა. პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდა ოციანი წლებიდან. 1931—1946 წლებში სწავლობდა და მუშაობდა ინგლისში. 1947 წელს სათავეში ჩაუდგა კენიის აფრიკელთა კავშირს (კაუ). მის დიდ ავტორიტეტზე ისიც მეტყველებდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მისი დაპატიმრების დღე, 20 ოქტომბერი, ანუ კენიატას დღე, იქცა კენიის ეროვნულ დღესასწაულად. იგი ავტორია შრომებისა, რომლებშიც ააშკარავებს ინგლისის კოლონიურ პოლიტიკას კენიაში...

ყოველ პოლიტიკურ თუ საზეიმო ხასიათის შეკრებაზე კენიელები ხელს მაღლა იშვერენ და ერთად ყვირიან „ჰარამბეე!“ რაც ნიშნავს — „ყველანი ერთად“.

„ჩვენი წარმატებები შეუძლებელი იქნება ეროვნული ერთიანობისა და შთაგონების გარეშე, და თუ ჩვენ მარწუხებში მოვაქცევთ პროგრესს ხალხისას, რომელმაც მთელი სულითა და გულით აიტაცა ჩვენი ეროვნული დევიზი — „ჰარამბეე“. ესაა ნაწყვეტი ჯომო კენიატას წინასიტყვაობიდან „კენია“. რომელშიც გაშუქებულია ამ ქვეყნის მიღწევები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 10 წლის მანძილზე. კენიის ეროვნული ასამბლეის სპიკერმა ფრედერიკ მატიმ 1975 წ. 31 ოქტომბერს სახსოვრად გადმომცა ეს წიგნი წარწერითურთ, რომელშიც კეთილი სურვილებია გამოთქმული.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, პირველ ხანებში, იმდენი დიპლომატი მოაწყდა აფრიკის სახელმწიფოებს, რომ ხელისუფალნი ვეღარ ასწრებდნენ გაერკვიათ, ვინ ვინ იყო. გვინება ასეთ კურიოზსაც ჰქონდა ადგილი: ამ ქვეყნის დედაქალაქ კონაკრიში დიპლომატიური კორპუსის სიაში შეიტანეს „ერაყის კონსული“. იგი მთელი წლის განმავლობაში არ აცდენდა არც ერთ ოფიციალურ დარბაზობას. მერმე



უმთხვევით გაიგეს, რომ ის იყო ადგილობრივი ლიბანელი, რომელსაც სიამოვნებდა სიარული დარბაზობებზე, სადაც მას ასე მიმართავდნენ „ბატონო კონსულო!“

ადგილი ჰქონდა სხვა სახის კუროზებსაც. პრეზიდენტ ეიზენჰაუერს თეთრ სახლში გამართულ დარბაზობაზე ერთმანეთში აურევია კორეისა და ეთიოპიის ელჩები; სხვა დროს კი აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს მეთაურთან საუბარში უთქვამს: „აფრიკულ სპილოებს ინდურ თანამოქმეთაგან განსხვავებით შეუძლებელია მუშაობა ასწავლო“. აფრიკელს ეს რასობრივ შეურაცხყოფად მიუღია და აღშფოთებულად ასავლეთ გერმანიის ყოფილ პრეზიდენტს ლუბკეს მალაგასის რესპუბლიკაში (მალაგასკარზე) 1966 წლის ოფიციალური ვიზიტის დროს ერთმანეთში აურევია პრეზიდენტ ცირანანას და რესპუბლიკის დედაქალაქ ტანანარივეს სახელები და ასე მიუმართავს პრეზიდენტისათვის: „პატივცემულო ბატონო ტანანარივე!“

დიდი ინტერესით მოველოდი კენის პრეზიდენტთან შეხვედრას, რაც დანიშნული იყო ჩვენი დელეგაციის გამოფრენის დღეს.

პრეზიდენტის სასახლეში დაგვათვალისწინებინეს დარბაზები. ვეებერთელა დერეფნებში სპილოთა უზარმაზარი ეშვები ხეივანს ქმნიდნენ. ვიქტორიანული სტილით გაწყობილი დარბაზების კედლებზე ინგლისელ და კენიელ მხატვართა ნამუშევრები ეკიდა.

შეგვიყვანეს მომცრო დარბაზში. ტყავგადაკრული მაღალი სავარძლების საზურგეებზე კენის ფერადი გერბი იყო მოხატული. მაგიდის თავში პრეზიდენტის დიდი სავარძელი იდგა. აი, ისიც. სწრაფი ნაბიჯებით შემოვიდა, ხელში მოკლე, ძვირფასად მოჭედილი განუყრელი ხელჯოხი ეჭირა, რომელიც ზებრის კუდით ბოლოვდებოდა. იგი ძალაუფლების სიმბოლო ყოფილა, როგორც წინათ მეფეთა სკიპტრა. კენიატაც არაფრით ჩამოუვარდება მეფეს, მას განუსაზღვრელი ძალაუფლება და ავტორიტეტი აქვს.

მოგვესალმა, სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი. საოცრად ენერგიული ჩანდა ეს 82 წლის კაცი.

საუბარი გულთბილ ვითარებაში მიმდინარეობდა. კენიატამ სიამოვნებით გაიხსენა საბჭოთა კავშირში გატარებული დღეები და ხშირად ჩაურთავდა სიტყვას „კარაშო, კარაშო“. მერე ჩვენს თარჯიმანს და საელჩოს მდივანს ვლადიმერ კორნეევს ჰკითხა, სად ისწავლეო ასე ბრწყინვალედ სუაჰილის ენა (კენიატა თუმცა შესანიშნავად ფლობდა ინგლისურს, მაგრამ სუაჰილიზე საუბრობდა). კორნეევმა უპასუხა, თავდაპირველად ეს ენა მოსკოვში შევისწავლე, საერთაშორისო ურთიერ-

თობათა ინსტიტუტში, ხოლო კენიაში გატარებულმა ხუთმა წელიწადმა დიდი დახმარება გამიწია ენის დაუფლებას. გიგლინიძე

— მე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადასცეთ თქვენს ხელმძღვანელობას ჩვენი სპეციალისტების მომზადებისათვის. ახლაც ბევრი სწავლობს თქვენი ქვეყნის ქალაქებში. ბევრი მათგანი დაბრუნდა და აქტიურ მუშაობას ეწევა ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის. ზოგიერთი მათგანი ჩვენი ეროვნული ასამბლეის დეპუტატიც გახდა. ზოგმა რუსეთში ცოლიც შეირთო და აქ ჩამოიყვანა. ასე რომ ნათესავეები ვართ.

საუბრის ბოლოს პრეზიდენტმა მიგვიწვია სასახლის ვეებერთელა ეზოში, სადაც ჩვენთან სამახსოვრო ფოტოსურათები გადაიღო და შემდეგ დავგასწრო აქვე ეზოში გამართულ შეხვედრას აღმოსავლეთის პროვინციების წარმომადგენლებთან, რომლებმაც კენიატა და ჩვენი დელეგაცია გულთბილად მიიღეს შეძახილებით „პარამბეე!“ შეხვედრა დამთავრდა კენიის ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლით...

სამი წლის შემდეგ, 1978 წლის ზაფხულში, ჯომო კენიატა გარდაიცვალა. პრეზიდენტის პოსტი დაიკავა კენიის ვიცე-პრეზიდენტმა დანიელ არაბ მოიმ, რომელიც მიუხედავად მაღალი თანამდებობისა, ჯომო კენიატას პრეზიდენტობის ბოლო წლებში ჩრდილში იყო მოქცეული; საქმე იქამდე მივიდა, რომ კენიის პოლიტიკურ წრეებში მას მეტსახელად „ჯომო კენიატას საკმლის მონელების მმართველი“ შეარქვეს. ბუნებრივია, რომ ასეთი კაცი განუსაზღვრელი ძალაუფლების მოპოვების ძერძე დაერეოდა თავის მოწინააღმდეგეებს, კენიატას უამრავ მომხრეებსა და ნათესავ-მეგობრებს, რომლებიც ახლა არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მარცხით დამთავრდა გავლენიან პირთა ცდა, მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება. წარმატების შემთხვევაში სურდათ პრეზიდენტად აერჩიათ ყველაზე მრავალრიცხოვანი კიკუიუს ტომის წარმომადგენელი. სწორედ ამ ტომიდან იყო თვით ჯომო კენიატა და თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტი განაწილებული ჰქონდა თავის თანატომელთა შორის. ძნელი წარმოსადგენია, როგორ მიაღწია ასეთ დიდ გამარჯვებას კალენჯინის პატარა ტომის წარმომადგენელმა დანიელ არაბ მოიმ.

ახალმა პრეზიდენტმა მტკიცედ გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ქვეყანაში გამეფებული კორუფციისათვის, შეეზღუდა საეჭვო შემოსავლის წყაროები გარდაცვლილი პრეზიდენტის მრავალრიცხოვანი ნათესავეები. სა და კიკუიუს ტომის სხვა წარმომადგენლებისათვის. მოიმ აკრძალა გავლენიანი ტომური პოლიტიკური ორგანიზაციები და უმნიშვნელოვა-



ნეს სახელმწიფო პოსტებზე სხვადასხვა ტომის წარმომადგენლები და
ნიშნა.

ვალუტის ეკონომიის მიზნით მოიმ გააუქმებინა ასობით დიპლო-
მატიური პასპორტი, რომლებიც ადრე დაუბრუნეს კენიატას ახლობლებს.
ისინი ამ პასპორტით ბაეის გადაუხდელად იძენდნენ დეფიციტურ სა-
ქონელს როგორც საზღვარგარეთ, ისე კენიაშიც. მაგრამ ყველაზე დი-
დი სესხაცაა, რომელიც მოის პრეზიდენტობის რამდენიმე თვის შემდეგ
მოდო მთელ მსოფლიოს ის იყო, რომ მისი ბრძანებით 1979 წლის
მარტის ბოლოს ნაირობში, ემბაკასის აეროპორტში დააკავეს ჯომო
კენიატას ქვრივი მამა ნგინა. მას ჩამოართვეს ვალუტით გატენილი ჩე-
მოდანი, რომელიც ქ-ნ კენიატას საზღვარგარეთ გაჰქონდა. რამდენიმე
დღის მერმე მოიმ ეს ვალუტა მთლიანად გადასცა საქველმოქმედო მიზ-
ნებისათვის, რითაც მთელი ერის აღფრთოვანება გამოიწვია.

1981 წლის 14 ოქტომბერს დანიელ არაპ მოიმ თავისი პრეზი-
დენტობის სამი წელი აღნიშნა. მან იმოგზაურა მთელს კენიაში და ქა-
დაგებდა „სიყვარულისა და ერთიანობის“ საკუთარ ფილოსოფიას. მი-
უხედავად ამისა, იგი სინამდვილეში მკაცრ ღონისძიებებს ანხორცი-
ელებდა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ. მოის რეჟი-
მის არა ერთი კრიტიკოსი, პარლამენტის წევრი, ამჟამად ციხეშია, ან
მისი საქმე ძიებაშია. ასეა თუ ისე, საერთო ჯამში ბევრი არაფერი შეც-
ვლილა. ძველი „ვაბენცების“ ადგილი ახალმა „ვაბენცებმა“ დაიკავეს.
ასე უწოდებენ ირონიულად აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებში „აფრი-
კული სოციალიზმის“ ელიტას, სახელმწიფო მოხელეებს, რომლებსაც
ლიბერლები ჰყავთ, უფრო ხშირად „მერსედეს-ბენცის“ მარკისა. „ვა-
ბენცი“ კი სიტყვასიტყვით ნიშნავს — ის, ვისაც „ბენცი“ ჰყავს.

თუმცა ახალი პრეზიდენტი ამბობს — დამპალი ხე ძირში უნდა
მოიჭრასო, მაგრამ იმასაც ამბობენ, იგი, ყოფილი ღარიბი კაცი, დღეს
მსხვილი მიწათმფლობელია და მისი საკუთარი მიწების ღირებულება
რამდენიმე მილიონ გირვანქას შეადგენსო.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, კენიამ დამოუკიდებლობის
მოპოვების შემდეგ დიდ წარმატებებსაც მიაღწია. სამრეწველო საქონ-
ლის წარმოება ოთხჯერ გადიდა, საყოველთაო გახდა დაწყებითი
სწავლება. ამ ქვეყანაში მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მოსახლე-
ობაა. ერთი კენიელი ქალი საშუალოდ რვა შვილზე მეტს ბადებს.
მართალია, ეს გარემოება დამატებით ეკონომიკურ სიძნელეებს იწვევს,
მაგრამ კეხიელ ხალხს სჯერა უკეთესი მომავლისა, რისთვისაც აქტიურად
იბრძვის. ბრძოლის გამოცდილება კი დიდი აქვს. აფრიკის მცხუნვარე
მზეს, სავანებს და ჭუნგლებს ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ კენიელი



ხალხის თავგანწირული ბრძოლა, რომელ-ც ამ სამი ათეული წლის განმავლობაში დაიწყო „მაუ-მაუდან“ და გაგრძელდა დანიატევილებლობის მხარეზე ბრძოლა.

კილიმანჯარო და საოცარი მასაის ტომი

„თხელი ტუჩები, თითქმის ბიძნული ცხვირი, სახის წალღო ნაკეთები და დადი, გვიანი თვალები“.

ე. ჰემინგუეი

თუ მანქანით ნაირობიდან სამხრეთით, კაჯიადოსა და ნამ.ნგასკენ მიმავალ შარაგზას გაყვებით, დაახლოებით ორ საათში მიაღებებოთ კენიის დედაქალაქიდან ასიოდე კილომეტრით დაშორებულ ცნობილ ამბოსელის ნაკრძალს. აქედან სულ ახლოსაა და კარგადაც მოჩანს კილიმანჯარო, ჩამქრალი ვულკანი და აფრიკის უმაღლესი მთა, „აფრიკის სახურავი“. როდესაც კილიმანჯარო პირველმა ევროპელებმა მოინახულეს და შინ დაბრუნებულეებმა გამოაქვეყნეს სენსაციური ცნობა, აფრიკაში მუდმივი თოვლით დაფარული მთა არისო, ისინი არანორმალურები ეგონათ: აფრიკა და თოვლიო?

უყუჩრებდი კილიმანჯაროს და მახსენდებოდა ჰემინგუეის ცნობილი ეპიგრაფი, რომელიც მან თავის შესანიშნავ ნაწარმოებს „კილიმანჯაროს თოვლიან მთას“ წარუძმღვარა. აი ისიც: „კილიმანჯარო — მუდმივი თოვლით დაფარული 19 719 ფუტის სიმაღლის მთიანი მასივი, როგორც ამბობენ, აფრიკის უმაღლესი წერტილია. მასაის ტომი მის დასავლეთ პიკს „ნგაიენგაიას“ უწოდებს, რაც „ღვთის სახლს“ ნიშნავს. დასავლეთის პიკის თითქმის ზედ წვერთან ლეოპარდის გამომშრალი, გაყინული გვაშია. რამ ამოიყვანა ლეოპარდი ასეთ სიმაღლეზე, ვერავის აუხსნია ეს“.

კილიმანჯაროს ორი პიკი აქვს: ერთია კიბო, რომელზეც მუდმივადაა თოვლი, მეორე კი — მავენზი, სადაც ცხელ სეზონში თოვლი თლიანად დნება. ოდესღაც ბობოქარი და დღეს ჩამქრალი ვულკანი ზედ კენიისა და ტანზანიის საზღვარზეა. ორივე მწვერვალი ტანზანიის ტერიტორიაზეა. ჩრდილო კალთები კი კენიაში ეშვება.

ამ საოცარ, წაკვეთილ პირამიდისავით აღმართულ ნ-კილომეტრიანი გრლიათის „ბედი“ ძალიან წააგავს ჩვენი უშბისას. თავად დადგმულ ელიანს უშბა სტუმრად ჩამოსული გერმანელი გრაფინიისათვის, ფონ ფიკერისათვის უჩუქებია, რადგან ამ უკანასკნელს ძალიან მოსწონებია



კავკასიონის ამაყი და გოროზი მწვერვალი. დიხს, ეს ხუმრობა არ არის; სათახადო საბუთიც კი მიუცია და დეშქელიანს. ინგლისის დედოფალს ვიქტორიას კი კლიმანჯარო 1886 წელს თავისი დისწულისათვის, გერმანიის კაიზერ ვილჰელმ მეორისათვის უსახსოვრებია დაბადების დღეზე-30 წლის მერმე, პირველი მსოფლიო ომის დროს, ინგლისის დედოფლის მემკვიდრეებს ბრძოლით წაუერთმევიათ კაიზერისათვის გვირგვინოსანი დედის ნაჩუქარი და თ.ა.ბ. სარგებელში, აღმოსავლეთ აფრიკის დიდ ხაწილიც მიუყოლებიათ.

როდესაც მე-19 საუკუნის მიწურულში ინგლისმა და გერმანიამ აღმოსავლეთი აფრიკა სახაზავით გაიყვეს, რაც კარგად ჩანს რუკაზე, კენია-ტანზანიის საზღვარზე, ბრიტანეთს ერგო კენია და უგანდა, გერმანიას — ტანგანიკა. ამ საზღვარმა, რომელიც კლიმანჯაროზე გადის, ორად გაყო მასაების ტომის ქვეყანა. მათი ერთი ნახევარი კენიაში დარჩა, მეორე კი დღევანდელ ტანზანიაშია.

მასაის ტომზე მსოფლიოში ათასგვარი ლეგენდა დადის, როგორც დაუნდობელ, სისხლისმსმელ ხალხზე. ნაირობში ყოფნისას მუზეუმებში, სუვენიერების მაღაზიებში აუცილებლად შეხვდებით ხისგან გამოკეთილ, შუბოსახ, ნახევრად შიშველ, მაღალი, კარგი აღნაგობის მამაკაცების ფიგურებს. ამ ფიგურებით მოვაჭრე ხალხს აწყობს ის ლეგენდები და შეხედულებები, რაც კარგა ხანია დამკვიდრებულა მასაის ტომის შესახებ და უფრო აღვივებენ მას.

დიდი ინტერესით ველოდი ამ ხალხთან შეხვედრას. როდესაც მივუახლოვდით მათ სამფლობელოს, თითქოს დროის მანქანის გამოყენებით XX საუკუნიდან პირველყოფილ სამყაროში აღმოვჩნდით.

დასავლეთგერმანელი ზოოლოგები ბერნგარდ და მიხაელ გრეიმეკები, რომლებიც დიდხანს სწავლობდნენ მასაების ქვეყნის ფაუნას და მშვენივრად დაწერილი წიგნიც გამოაქვეყნეს „სერენგეტი არ უნდა მოკვდეს“, მასაის ტომის წარმოშობასაც ეხებიან და წერენ: „საოცარი ხალხია ეს მასაი. მათი წინაპრები თეთრკანიანები იყვნენ და ეგვიპტეში ცხოვრობდნენ. მათი მუმიები ახლაც შეიძლება ნახოს კაცმა ძალიან ძველ სამარხებში. ისინი თავიანთი ჯოგებით მომთაბარებოდნენ სულ უფრო სამხრეთით და შეერივნენ ხალხებს, რომლებიც ნილოსის ზედა წელში მოსახლებოდნენ. აღმოსავლეთ აფრიკაში მათ მთლიანად დაიჭავეს დიდი გრაბენის ფართო ველი, რომელიც გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთით და გადის კენიასა და ტანზანიაზე. მიუხედავად თავისი მეომრული სულისა, მასაის ტომი არ იპყრობდა და არ ჩაგრავდა სხვა ტომებს; როგორც ამას აფრიკის ჩრდილოეთიდან ჩამოსული მათი მონათესავე ტომები აკეთებდნენ. მასაები ცხოვრობდნენ მესა-

ქონლეთა განმარტოებული ცხოვრებით: მეზობელ გლეხებს უცულოდ-
ნენ პირუტყვს ბოსტნეულსა და მატყლში. საეჭვოა, რომ ისინი კდ
მე ყოფილიყვნენ ისეთი საშინელი მძარცველები, როგორადაც მათ
სხვადასხვა წიგნში ახასიათებენ. სხვაგვარად მათი მეზობელი ტომები
ვერასოდეს გახდებოდნენ ასე ძლიერნი და მდიდარნი“.

პირიქით, მასაის ტომმა დიდი კეთილისმყოფელი როლი შეასრულა
მონათვაჰრობის საშინელ პერიოდში. არაბი და სხვა ჯურის მონებით
მოვაჰრენი ვერ ბედავდნენ მასაის ტომის ტერიტორიაზე გავლას, რომ
ეთარეშათ ვიქტორიის ტბის მიდამოებში. ამან კი თავისუფლება და სი-
ცოცხლე შეუნარჩუნა ამ დიდ ტერიტორიაზე მცხოვრებ მრავალ
ტომს.

გასულ საუკუნეში მასაის ტომი ცხოვრობდა დღევანდელი კენიის
ჩრდილო და ცენტრალურ რაიონებში. მათი ქვეყანა გადაჰრიმული იყო
სიგრძით 800 კილომეტრზე და სიგანით 170 კილომეტრზე. ისინი სახ-
ლობდნენ ნაირობის ზეგანზეც.

1911 წელს ინგლისელებმა ნაირობის ზეგნიდანაც განდევნეს მასაის
ტომი სამხრეთისაკენ, რადგან კოლონიზატორებს ძალიან მოეწონათ ამ
რაიონის გრილი ჰავა დასასახლებლად.

როგორც ვთქვი, მასაის 140 ათასიანი ტომი ამჟამად კენია-ტანზა-
ნიის სასაზღვრო ზოლში ცხოვრობს. კენიაში მათ უკავიათ ამ ქვეყნის
უკიდურესი სამხრეთი სტეპური მაღალმთიანეთი, ხოლო ტანზანიაში—
კილიმანჯაროსა და მერუს შორის მდებარე მაღალმთიანეთი ცნობილ
მოქმედ ვულკან ნგორონგოროთი და სხვა ვულკანების უამრავი კრატე-
რები, აგრეთვე მიმდებარე სერენგეტის ველი.

და აი, ჩვენ ვჩერდებით „ბომასთან“. ამ სახელითაა ცნობილი ეკლი-
ანი ტოტებისაგან მოწული მაღალი ლობით შემოფარგლული მასაების
სადგომი. ლობის შიგნით დგანან პატარა, ჩალით დახურული მრგვალი
სახლები. ამ სახლებს ქალები აგებენ. ისინი მიწაში წრიულად არტობენ
დრეკად სარებს, წვეროებს ცენტრისკენ ღუნავენ და ერთად კრავენ.
უხვად ღესავენ ძროხის ნაკელით და გაშრობის მერმე ზემოდან აფარე-
ბენ ტყავებს. სახლი ისე დაბალია, რომ შიგ მხოლოდ შეძრომა შეიძლე-
ბა და კაცი ვერ გაიმართება.

აუტანელი „სურნელება“ ირგვლივ. ბომაში საღამოს შეყავთ ნახირი
და დილამდე ჰყავთ იქ, სახლების გვერდით. მიწა თანდათან იფარება
საქონლის ნაკელით. როდესაც საჭირო ხდება ახალი საძოვრის ან წყლის
ძებნა, ან თუ ვინმე მოკვდება, „ბომას“ მკვიდრნი მთელ თავის ბარჯი-
ბარხანას ვირებს აჰკიდებენ და გადადიან ახალ ადგილზე. ძველ ბო-
მას კი წვავენ.

რამდენიმე ნახევრად შიშველი მამაკაცი მაღალი, ქოლგისებური აკაციის ჩრდილს შეფარებია და ცნობისმოყვარეობით შემოგვეცქერის. ირგვლივ, თვალუწვდენ ველზე, უამრავი ძროხა და ცხვარია. მწყემსები მალეები, გამხდრები, მაგრამ კუნთმაგარნი ჩანან და ძალზედ შავი, წვრილად დახუჭუჭებული თმა აქვთ. ერთ მათგანს კალებასა მოუყუღებია და რალაცისთხეს სვამს. სად არის მათი მეომრული სული თუ იერი? ან წიგნებში აღწერილი სისხლისმსმელობა? სისხლისმსმელები კი მაროლაც არიან ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მიუხედავად იმისა, რომ მასაის ტომს მილიონზე მეტი პირუტყვი ჰყავს, ისინი ხორცს არ ჰკამენ. სვამენ მხოლოდ საქონლის სისხლში არეულ რძეს ან მაწონს. სისხლის გამოშვების პროცესი მთელი რიტუალია. მოხუცი წინამძღოლი მასაი ახლო მანძილიდან შუბს აძგერებს ძროხას ან ხბოს კისრის არტერიაში. შადრევნად ამოხეთქილ სისხლს აგროვებს კალებასაში, თან სახესაც ითხუპნის სისხლით. მერმე პეშვით იღებს მიწას, ასველებს ნერწყვით და ჭრილობაზე უსვამს პირუტყვს. საოცარია, მაგრამ სისხლი წყდება და ცხოველიც მშვენიერად გრძნობს თავს.

ერთი უცნაურობა ახასიათებს მასაის ტომს. მყარი იდიოსინკრაზია აქვს გამომუშაებულ უოველგვარი ტექნიკის მიმართ. ისინი ვერ იტანენ ავტომობილს, თოფს. მიუხედავად იმისა, რომ საქვეყნოდაა განთქმული მასაის შუბები, ხმლები და ხანჯლები, მკედლობა უწმინდურ საქმელ ითვლება. მკედლებიც მასაის ტომის წარმომადგენლები არიან, მაგრამ თუ ვინმე ხელს ჩამოართმევს მკედელს, აუცილებლად უნდა „მოიცილოს“ ეს უწმინდურება და ხელები დაიბანოს სპეციალური ზეთით. მკედლის ქალიშვილს არც ერთი მასაი არ მოიყვანს ცოლად. მათ სწამთ, რომ თუ ახალგაზრდა მეომარს რაიმე ურთიერთობა ჰქონდა მკედლის ქალიშვილთან, უსათუოდ დასნეულდება ან პირველივე ჩხუბში დაიღუპება.

მასაის ტომის ადათ-წესების მიხედვით, ჰაბუკი ვერ შეირთავს ცოლს, თუ შუბით არ მოკლა ლომი. მაგრამ ახალი წესები კრძალავენ ლომზე ნადირობას ლიცენზიის გარეშე, და აღარც იმდენი ლომი დარჩა კენიასა და ტანზანიაში, რომ ყველა ცოლის შერთვის მსურველ მასაის ეყოს. ამიტომ რამდენიმე ახალგაზრდა ერთიანდება, ყიდულობენ ერთ ლიცენზიას და ერთად ნადირობენ ლომზე. რამდენიმე კაცის მიერ განგმირული ლომი ყველას ეთვლება.

ცნობილი ინგლისელი კინორეჟისორი-დოკუმენტალისტი რონალდ ჰეინსი, რომელმაც 90 ათასი კილომეტრი გზა გაიარა აფრიკის ცნობილ და უცნობ რაიონებში, შესანიშნავად აღწერს მასაის ტომის ნადირობას ლომზე. იგი თავის შთაბეჭდილებათა წიგნში „აფრიკა-კონტრასტების



ქვეყანა“ წერს: დაახლოებით ორმოცდაათი მილის დაშორებით ჩვენი რობიდან მდებარეობს რაყით დაფარული სახელგანთქმულ ტომის ქვეყანა. ჩვენ შემოგვხვდა მასაების ჯგუფი, რომელიც დაყვა ჩვენს თხოვნას და ნება დაგვართო გადაღებისა. მასაები კეთილად განწყვენენ ჩვენს მიმართ და ერთმა მალალმა მეომარმა შემოგვთავაზა წავეყოლოდით ლომზე სანადიროდ. თუ ერთხელ უკვე ხელიდან გავუშვი უგანდაში ასეთი შესაძლებლობა, ახლა აღარ ვაპირებდი შეცდომის გამეორებას.

ლომმა ბევრი პირუტყვი გაიტაცა მასაის კუთვნილი ჯოგიდან და მათაც გადაწყვიტეს ბოლო მოეღოთ ამ ყაჩაღობისათვის. მონადირეები ლომის საძებნელად გათენებისას აპირებდნენ წასვლას. ჩვენ არ გავაჩნდა სანოვაგე, მაგრამ ვერ გავრისკე საამისოდ ნაირობში გამგზავრება. ლომზე ხადირობა იშვიათი სანახავია, აქ კი ასეთი ბედი გვეწია!

მასაების ბანაკიდან ათი მილის დაშორებით მივაგენით პატარა ფარდულს, რომელიც ინდოელს ეკუთვნოდა და ვიყიდეთ ადგილობრივი წარმოების საბნები, ბალიშები და პროდუქტები. უკან დავბრუნდით და საბარგო მანქანაში ჩავწექით. ღამით ხშირად გვალვიძებდა ლომების ღრიალი. ერთხელ ახლოდან მოგვესმა ნადირთა მეფის დვრინვა და დილით მასაებმა ნახეს, რომ ბანაკიდან გამქრალიყო ერთი ხბო.

რიყრაყზე მასაებთან ერთად გავეშურეთ ლომის საძებნელად. უხერხულად ვგრძნობდით თავს მეომრების ამ დიდ ბრბოში, რომლებსაც ხელში ფარები ეჭირათ, თმები დაეწნათ და სახეზე წივა და წითელი კაქმიწა წაესვათ.

მასაებს ეცვათ თხის ტყავები, სარტყელზე კი თითოეულს ქარქაში ეკიდა დიდი დანი. მეომარს ერთ ხელში ეჭირა მოელვარე, გაპრიალე-ბული შუბი, მეორეში კი ტყავის ფარი, მოხატული სხვადასხვა ნიშნით. ყოველ მათგანს ლომის ქონის სუნი ასდიოდა.

მასაები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მაძლარი ნადირი სადმე ახლომახლო იმალებოდა. ლომი რომ არ დაგვეფრთხო, საბარგო მანქანიდან გადმოვედით და ფეხით წავედით. თან ვცდილობდით, არ ჩამოვრჩენოდით ფეხმარდ მასაებს. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მონადირეებმა შეამჩნიეს ლომი და მოემზადნენ თავდასხმისათვის.

მეომრებმა ალყა შემოარტყეს ლომს და ფრთხილად დაიწყეს წრის შევიწროება. მე და ჯინი აპარატებით საწყის პოზიციაზე დავრჩით. როდესაც მონადირეები ნადირს მიუახლოვდნენ, იგი უკანა თათებზე შედგა, მერე დაეშვა და ბრაზიანად ირტყამდა კუდს გვერდებზე. გაისმა მასაების შემაძრწუნებელი ყიყინა და შუბების სეტყვამ აგონიაში ჩავარდნილი, მოღრიალე ნადირი სასიკვდილოდ განგმირა. ჩვენ უში-



შობდით, გააფთრებულ ლომს წრე არ გაერღვია და არ გვეცემოდა, მაგრამ კრილობები სასიკვდილო იყო და რამდენიმე წამში ღრიალიც შედგინდა.

ერთი აფრიკელთაგანი, ალბათ, წინამძღოლი, ნადირთან მივიდა, ფაფარი მოჭრა და გადასცა იმ მეომარს, რომელმაც პირველმა განგმირა შუბით ლომი. კუდი და თათები სხვა მონადირეებს დაურიგა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ნაირობში დაბრუნებისას საბჭოთა კონსულმა მასაის საბრძოლო შუბი მისახსოვრა. ყოველთვის, როდესაც კედელზე გაკრულ ამ შუბს შევხედავ, მახსენდება იან, როგორც ჰემინგუეი წერდა, თხელი ტუჩების მქონე, თითქმის ბერძნული ცხვირით, სახის მალალნაკეთებიანი, შრომისმოყვარე ადამიანები დიდი, ჭკვიანი თვალებით.

ნაირობის ეროვნულ პარკში

მივემგზავრებით ნაირობიდან მომბასისკენ მიმავალ გზაზე. ქალაქის გარეუბანში უკან ვიტოვებთ ცემენტის ქარხანას, გზის მახლობლად ჩარიგებულ ბენზინის ვერცხლისფერ საცავებს, აეროდრომს. ეს კერძო თვითმფრინავების აეროდრომია, სადაც სქელჯიბიანი ტურისტები საკუთარი თვითმფრინავებით ჩადიან კენიაში სანადიროდ ან დროს გასატარებლად. სწორედ აქ თავდება ქალაქი და გზატკეცილის გასწვრივ იწყება გაუთავებელი მავთულხლართის ლობე. მის მიღმა მოჩანს ვეებერთელა, ალაგ-ალაგ ბორცვებიანი ვაკე. აქა-იქ, უხეშ, გადაყვითლებულ ბალახში აღმართულან ავსტრალიური ბრტყელვარჯიანი აკაციები. გზიდანვე ვხედავთ გრანტისა და ტომსონის ვაზელების პატარ-პატარა ჯოგებს, არხეინად რომ შეექცევიან ბალახს.

ნაირობის ეროვნული პარკი დედაქალაქის ცენტრიდან მხოლოდ 7 — 8 კილომეტრითაა დაშორებული. ესაა აღმოსავლეთ აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე პატარა ეროვნული პარკი, რომლის ფართობი 70 კვ. კილომეტრია. მიუხედავად ამისა, აქ შეიძლება კაცმა 2 — 3 საათში ნახოს გაცილებით მეტი ნადირი, ვიდრე დიდ პარკებში. პარკს სამ მხარეს გაუყვება ნაირობიდან გამავალი მთავარი გზატკეცილი, ხოლო მეოთხე, სამხრეთული, შესასვლელს აწყდება.

პარკის კარიბჭესთან გვხვდებიან დირექტორი და მეგზურები, რომლებსაც სამხედრო ფორმის მსგავსი უნიფორმა აცვიათ.

პარკის ტერიტორია დასერილია სამანქანო გზებით, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეა ასფალტით დაფარული. ის იყო დავიძარით და



პარკის ტერიტორიაზე შეევედით, რომ გზა გადაგვიღობა ორმა კირაფმა. ისინი აუჩქარებლად, ღინჯი ნაბიჯებით გადადიოდნენ გზაზე და ვუყურებდით, ვიღრე საკმაო მანძილით არ დაგეშორდნენ.

პარკში მხოლოდ მანქანებით შეიძლება მოძრაობა. სიჩქარე განსაზღვრულია, 30 კმ/საათში. აქაა ტურისტული კომპანიების უამრავი „ლენდროვერი“, რომელიც შეიძლება დაიქირაო და იმოგზაურო პარკის ტერიტორიაზე.

შეხვალთ თუ არა პარკში, თვალში გეცემათ ვეებერთელა ფარი, რომელზეც ინგლისურ და სუაჰილის ენებზე აწერია:

„ჩვენ არა გვაქვს უფლება, როგორც გვინდა, ისე მოვექცეთ გარეულ ცხოველებს. ჩვენ მხოლოდ ნდობით აღჭურვილი პირნი ვართ, პასუხისმგებელი ჩვენი შთამომავლობის წინაშე ნადირთა სამეფოს შენარჩუნებისათვის“.

ამ ეროვნული პარკის ტერიტორიის მეტი ნაწილი ტიპიური აფრიკული სავანაა. იგი დაფარულია ხშირი ბალახით, რაც ცხოველთათვის საკვებსაც და თავშესაფარსაც წარმოადგენს. ყოველ ნაბიჯზე გვხვდება ჯეირნების, ანტილოპების, ზებრების ჯოგები, რომლებიც ყურადღებას არ გვაქცევენ და განაგრძობენ ბალახობას. ალაგ-ალაგ მოჩანს ავსტრალიური აკაციების პატარ-პატარა კორომები, ქალები. აქ ჟირაფები და ბაბუინები ცხოვრობენ. მანქანები შეჩერდნენ, მაგრამ არ გადმოვიღვივართ. მერე ნაკრძალის დირექტორი გადმოვიდა და ჩვენც მას მივბაძეთ. შორს არ წახვიდეთო, გაგვაფრთხილა.

— ამ დროს ლომები ნასადილენი არიან და ისვენებენ, — მითხრა ვლადიმერმა, როცა მანქანიდან გადმოვედით.

უეცრად, ჩვენს მახლობლად, მალალმა ბალახმა ქანაობა დაიწყო და რალაც გამოქანდა. შევკრთით, მაგრამ მალე დაემშვიდდით. ეს მოხრდილი ბაბუინი იყო, რომელმაც ჩავვირბინა და მანქანის სახურავზე ახტა. მერე ხელი გამოგვიშვია და აბურტყუნდა. თუმცა აკრძალულია, მაგრამ ტურისტები მაინც აჰმევენ მათ ხილს, ტკბილეულს. ჩვენ კი არაფერი გვქონდა წამოღებული. ბაბუინმა გვიყურა და მერე ნაწყენი ჩამოხტა მანქანიდან, შორიახლოს დასკუბდა. ახლოს მივედი და ვლადიმერს ვთხოვე სამახსოვრო ფოტო გადაეღო.

— ფრთხილად იყავი, ზოგი ძალიან ბრაზიანია, — მომამძახა ვლადიმერმა და ფოტოაპარატი ააჩხაკუნა.

იქვე კლდე იყო და ხევი იწყებოდა.

— დამახი, დამახი, — დაიძახა ვილაყამ და ხელი გაიშვია. ჯერ ვერაფერი დავიხახე. მერე კი რალაც ამოძრავდა და ჩვენკენ წამოვიდა.

ერთს მეორე მოჰყვა. ესენი იყვნენ კლდის ვეება ვირთხები, დამანები, ისინი მოგვიახლოვდნენ და ხრუკუნი დაიწყეს. დამანებიც ელოდნენ ჩვენგან ნობათს; ფანქარი ამოვიღე ჯიბიდან და პირთან მივუტანე. დამანმა ძალდაუტანებლად გადატეხა იგი თავის სხეულთან შედარებით ძლიერი კბილებით. ისინი ზუსტად კლდის ფერისანი იყვნენ და თუ ლოდს ამოეფარებოდნენ, ვერც გაარჩევდით.

კვლავ მანქანებში ჩავსხედით და განვაგრძეთ სეირნობა. რამდენიმე ბაბუნმა გზა გადაგვიკრა, ისინი ბალახის პირას ჩაეკუცქდნენ და გვიყურებდნენ. ტურისტებს აფრთხილებენ, თუ უხიფათო ზონაში (თუ ასეთი ზონა შეიძლება იყოს იქ, სადაც ლომები ბინადრობენ!) მანქანიდან გადმოვლეს, უნდა დახურონ სარკმლები. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაიმუნები აუცილებლად მოიტაცებენ ფოტო და კინოაპარატებს, დურბინებს, სხვა საგნებს.

— ფარო! — შესძახა ჩვენმა მძღოლმა და სელა შეანელა. ეტყობა, წინა მანქანებიდანაც დაინახეს დიდი მარტორქა, რომელიც ჩვენგან ასიოდენ ნაბიჯზე იწვა და თვლემდა.

— შავი მარტორქაა. — თქვა ვლადიმერმა და განაგრძო, — შავი მარტორქები საოცრად ახლომხედველნი არიან. 20 — 40 მეტრის მანძილზე აღამიანს ხისგან ვერ არჩევენ. ამიტომ ძალიან ადვილია მათზე ნადირობა. თანაც მშვიდობისმოყვარულნი არიან და უყვართ მოფერება. ტყუილადაა გავრცელებული შეხედულება მათი მრისხანე ხასიათის შესახებ.

მარტორქის სიგრძე 2 — 4 მეტრია, სიმაღლე 2 მეტრამდე აღწევს, ზოლო წონა — 2 — 3 ტონას. იგი მთელი ღამის განმავლობაში ძოვს ბალახს, ჭაშს ფესვებს, ფოთლებს, რათა აივსოს 1.5 მეტრი სიგრძისა და 70 სმ სიგანის მქონე კუჭი. დღისით კი სძინავს ჭალაში. გავრცელებულია აზრი, რომ ამ თვინიერი ცხოველის რქა სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. მარტორქებს უმოწყალოდ ანადგურებდნენ ხორცის, ქონისა და განსაკუთრებით რქის გამო. მოვაჭრე მონადირეებს რამდენიმე ათეული წლის წინათ აფრიკიდან გაჰქონდათ ათეულ-ათასობით რქა, რომლის სიგრძე ზოგჯერ 70 სანტიმეტრს აღწევდა.

მანქანები მდინარე ატის ქალისპირა ტერასას მიუყვებოდნენ. აქ კვლავ დაგვროეს ფეხით გასეირნების ნება. ირგვლივ უცნაური ხეების კორომი იყო. დაძინძილი სამოსივით ეკიდა ხეებს ნაცრისფერი კანი. არ ისძოდა ცხოველთა ხმები. საოცარი დუმილი გამეფებულყო და ჩაშავალი ძხის ძცხუნვარე სხივებში უფოთლო ხეები დაგრეხილი ტოტებით ქვისგან გამოკვეთილს ჩამოჰგავდნენ. ვიკითხე, მაგრამ ვერავინ მითხრა ამ უცნაური ხეების სახელი.

მდინარეც უძრავი იყო. მისი დაბურული ჭალა ალაგ-ალაგ ნამდვილ
ჭუნგლებს ქმნიდა.

— ხედავ ნიანგს? — მკითხა საკდესის კორესპონდენტმა.

ვათვალეობდი მდინარის ნაპირს, მაგრამ ერთმანეთში გადახ-
ლართული ლიანებისა და წაქცეული ხეების გარდა ვერაფერს ვხედავ-
დი.

სკობელევემა ხელი გაიშვირა და დამანახა წყლიდან ნახევრდ ამო-
სული მდინარე ნიანგი.

— აქ ბევრი ნიანგი იცის. ამას წინათ ერთი დიდი თანამდებობის
პირიც კი შესანსლეს.

— როგორ მოხდა, პოლიტიკა ხომ არ იყო ჩარეული?

— ასე ამბობენ; ის კაცი ოპოზიციაში ედგა პრეზიდენტს.

დავინახე ბეჰემოთი, რომელმაც წყლიდან თავი ამოჰყო, დაბერილი
ნესტოებით დაიფრუტუნა, ჩაწითლებული თვალები უაზროდ მოგვა-
შტერა და კვლავ ჩაყვინთა.

ნაკრძალის ინსპექტორთან, რომელიც თან გვახლდა და ჩაცმულო-
ბის გამო სადესანტო არმიის ჯარისკაცი მეგონა, სამახსოვრო სურათი
გადავიღე და ჩვენს ჯგუფს შევუერთდი.

— ლომებს ვერ ვნახავთ? — ვკითხე ვლადიმერს. მანაც რაღაც
გადაულაპარაკა მძლოლს სუპაილზე. მე მხოლოდ ერთი სიტყვა მესმო-
და — „სიმბა“, რაც ამ ენაზე ლომს ნიშნავს.

— ჩვენ სხვა გზით დავბრუნდებით და შეიძლება ვნახოთ. — მი-
ბასუხა ვლადიმერმა.

დავტოვეთ ატის ჭალები და უასფალტო, წითელ გზას გავუყვეით.
კვლავ თვალუწვდენი სავანა. შავი სირაქლეშების გუნდი ამაყად და
დინჯად მოაბიჯებდა. აქაური ცხოველები და ფრინველები თითქმის
დაბადებიდანვე ხედავენ მანქანებს და ყურადღებას აღარ აქცევენ. უც-
ბად თქართაქური შემოგვესმა. კვლავ შევჩერდით და დავინახეთ ზებ-
რებისა და ანტილოპების ჯოგები, თავქუდმოგლეჯით რომ გარბოდნენ
სავანის სიღრმისკენ.

— სიმბა! — თქვა ვამბუამ.

— სადღაც ლომები გამოჩნდნენ და იმიტომ გარბიან. — დაუმბატა
ვლადიმერმა.

კარგა ხანი ვიდექით, მაგრამ ვერაფერი გავარჩიეთ. გზა განვავრცეთ-
ხებრები და ანტილოპები თვალს მიეფარნენ. მზე უკვე ჩასვლას აპირებ-
და და შორს, ჰორიზონტზე, სადაც სავანა ცას უერთდებოდა, თვალის-
მომპურელად ელვარებდა ყველაფერი. ამ კონტრაქტურში ჩაუღარეთ გა-
რეულ ხარებს. ისინი იდგნენ ამაყად, ძლიერი რქები გაეშვირათ და გა-

ჩინდებულებიყვენ. შავ ქანდაკებებს ჩამოკვადნენ ეს უზარმაზარი ღმერთი
ლონიერი ცხოველები ჩამავალი მზის სხივებში. მათ არც ლომის ეში-
ნით და არც ადამიანისა.

მეწინავე მანქანა შეჩერდა და ჩვენც გავჩერდით.

— სიმბა! — რატომღაც ხმადაბლა თქვა ვამბუჟან და ხელი გაიშვი-
რა სავანისკენ.

შტერა დავძაბე, გარემოს ვამბუჟას ნაჩვენები მიმართულებით ვა-
თვალთვლებდი და ბოლოს ასი-ასორმოცდაათი ნაბიჯით ჩვენგან დაშო-
რებულნი ძუ და ზვადი ნადირთა მეფე-დედოფალი დავინახე. ისინი
დინჯად მოაბიჯებდნენ ჩვენკენ. ისე გამიტაცა სანახაობამ, რომ დრო-
ებით ფოტოაპარატიც გადამავიწყდა. სულ სხვა შეგრძნება დამეუფლა,
ვიდრე ზოოპარკში, სადაც გალიებში გამომწყვდეული ლომები დეპრე-
სირებული ადამიანებივით წვანან, თვლემენ და არავითარ ყურადღებას
არ აქცევენ მათ სანახავად მისულებს. მხოლოდ ხანგამოშვებით, სასო-
წარკვეთილებას მიცემულნი აწყდებიან გალიის მესერს და შემზარავად
ღრიალებენ. ალბათ, ახსენდებათ თავიანთი სავანა, ჩვენ კი ვტკბებით
ამ ლამაზი, ლალი და ძლიერი წყვილის ხილვით. ისინი მოგვიახლოვ-
დნენ, შორიახლოს შედგნენ და დიდი თვალებით მოგვაჩერდნენ. ჩამა-
ვალმა მზემ ოქროს ვარაყი შემოავლო დაკუნთულ სხეულებს და ქვის
სფიხსებს დაამსგავსა სიძლიერის ეს განსახიერებანი. ლომები არც მა-
შინ განძრეულან, როცა ძრავები ახმაურდნენ და ადგილიდან დავიძა-
რით.

კარგა მანძილი გვეკონდა გავლილი, როცა ორი ლენდროვერი შე-
მოგვხვდა; ვამბუჟამ შემხვედრი მანქანის მძღოლის ნიშანზე მანქანა გა-
აჩერა და ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს. მანქანაში მსუქანი კაცი,
ახალგაზრდა ქალი და ბიჭუნა ისხდნენ. კაცს კისერზე ფოტოთოფი ეკი-
და.

— რა იკითხეს? — ვკითხე ვლადიმერს, როცა დავიძარით.

— ლომები ხომ არ შეგხვედრიათო.

გზაზე წარწერა იყო ინგლისურად:

„ლომებს არ ეშინიათ მანქანებისა და თქვენ მათ სურათები უნდა
გადაულოთ დახურული სარკმლიდან. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ
ისინი შინაურები არ არიან“.

იმ ეროვნულ პარკებში, სადაც ლომები ბინადრობენ, აგებულია
ხის შეხობები. იქიდან გრძელი, ვიწრო, დახურული დერაფენები პირდა-
პირ სავანაში ვადის. ძლიერი შთაბეჭდილებების მოყვარულნი ამ დე-
რაფენებში საფრდებიან და საათობით ელიან ლომების „სადილობის



დროს“. ისინი ფოტოფირებზე გულგრილად აღბეჭდავენ, რადგან მათ უკვე ნადირთა მეუფენი ანტილოპებს.

შორს შავ სილუეტად აღიმართა იალბუზის სიმალის კირინიაგას პიკი, კენის მთის მაღალი მწვერვალი.

მალე მზე ჩავიდა და მაშინვე ჩამოხველა. დრმა შთაბეჭდილებებით დატვირთულნი ნაირობისაკენ მივემგზავრებით. გაძახსენდა, რომ დერსუ-უზალა ტაიგის ვეფხვს „ამბას“ უძახდა, სუაპილის ენაზე კი ლომს „სიმბა“ ჰქვია. უცნური, შემთხვევითი დამთხვევაა მხოლოდ? მართალია, იქ ვეფხვია, აქ ლომი, მაგრამ... „განგების გზანი შეუცნობელია“. შეუცნობელია და ჯერჯერობით გაურკვეველი ადამიანთა მოდგმის ძველთაძველი მიგრაციების გზებიც. ბევრი რამ არის საიდუმლოებით მოცული. აი, ზოგი ტოპონიმიკური მაგალითი: მდინარე ჯიდა ბუ-რიატ-მონგოლეთში, ბაიკალის ტბის სამხრეთით და ჯიდას ნავსადგურით ქვესახ. წითელი ზღვის ნაპირზე, იტაკა — ქალაქი კვლავ ბურიატ-მონგოლეთში და ამავე სახელწოდების კუნძული, ოდისეისის სამშობლო იონიის არქიპელაგში; მდ. ტანა და ტბა ეთიოპიაში და კენიაში და მდ. ტანა გორთან; ასეთივე დამთხვევებია დასავლეთ საქართველოსა და აზიის ნიჟარის სოფლებისა და ქალაქების სახელწოდებებშიც:

ა ბ ი ს ი ნ ი ა შ ი :

და ს ა ვ ლ ე თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი :

გუმა	გუმა
ბაგად	ბაგადა
სამხარა	სამხარა
აკაპა	აკაპა
გოანდარა	გვანდრა
კოტლახარი	კალდახვარა
ქილოვ	ქილოუ
დაბაკური	ტაბაკური
ხოზი	ხოზი
აბაშა	აბაშა

სუაპილზე შამბა მინდორს ნიშნავს, ქართულში კი გვაქვს, შამბი, შამბნარი, ხოლო მზე კენიაში მოხუცს, ბრძენს ნიშნავს და საპატივცემულო ადამიანების სახელებს წინ ურთავენ. მაგ.: მზე ჯომო კენიატა...

ასეა თუ ისე, ეს ეტიმოლოგიური აზრები მებადებოდა, როცა ნაირობში შევედით და კენიატას გაჩირაღდნებული პროსპექტით ჩვენს სასტუმროს, „პან აფრიკენს“ მივადექით.

„ქენის მთავრობამ კარგად იცის ამ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ფასი და იღებს ვალდებულებას მთელი საშუალებებით შეუნარჩუნოს იგი შთამომავლობას, გადასცეს მათ განკარგულებაში“.

პრეზიდენტი ჯომო ქენიატა.

ნაირობიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ორასიოდე კილომეტრის დაშორებით, დიდ მანძილზე გადაჭიმულია ცავოს ეროვნული პარკი. გზა საკმაოდ მოსაწყენია, თუმცა შესანიშნავადაა მოასფალტებული და „მერსედსები“ ამ მანძილს ორიოდე საათში ფარავენ. შარაგზის პარალელურად ძველი რკინიგზაა, რომელზეც იშვიათად ჩაივლის ორთქმავალი ძველისძველი, სამუზეუმო ვაგონებით. ახლა მომბასიდან ნაირობში მთელი ტვირთი გადააქვთ სავტომობილო გზით. ამ რკინიგზაზე კი ოთხშოციოდე წლის წინათ, როდესაც ნაირობი ჯერ არ არსებობდა, გაძცილებლად ძუშაობდა ინგლისიდან ჩამოსული ჭაბუკი, შემდგომში მსოფლიოში სახელგახტებული შონადირე ჯონ ჰანტერი. ამ საოცარ კაცს კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი მივყვით გზას უხარმაზარა აფრიკული სპილოების ძოლოდინში, რომლებითაც ძალიან მდიდარია ცავო.

ნაირობის ნაკრძალისაგან განსხვავებით აქ პარკის ტერიტორია გამოყოფილი არ არის გზიდან. უცნაური, ერთფეროვანი პეიზაჟია. ყველაფერი, გზის გარდა, მაღალი და ხშირი ბუჩქნარითაა დაფარული. ასეთ ბუჩქნარს უწოდებენ ბუმს, უფრო სწორედ კი ბაუმს, რაც ინგლისურად ბუჩქნარით დაფარულ მიდამოს აღნიშნავს.

პარკს სიმბოლურად აქვს ვეებერთელა, ორკარიანი კარიბჭე. ერთი კარით შეიძლება დასავლეთ ცავოში მოხვედრა, მეორეთი კი აღმოსავლეთში. მარცხნივ მდებარე გზამიდის ვოილოჯის განთქმული სასტუმროებისა და პარკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისაკენ, მარჯვნივ გამავალი კი კალაგუნი-ლოჯის სასტუმროებისაკენ. შესასვლელთან ორი მარტორქის ვეებერთელა გამოსახულებაა, ცავოს ეროვნული პარკის ემბლემა, ასეთივე ემბლემაა აქაურ მცველთა და მეგზურთა ქუდებზეც.

— ვიდრე ამ კარიბჭემდე მიხვალ, გზაზე ხშირად შეგხვდება ერთიან რამდენიმე სპილო. დღეს რატომღაც არ ჩანან. — ამბობს ვამბუა.

პარკის ტერიტორიაზე უასფალტო გზების ქსელია. ყოველ ნაბიჯზე წარწერებია ინგლისურად და სუაჰილზე. ამ წარწერებით ტურისტებს



ატყობინებენ, რომ პარკის ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს. მანქანის ფრთხობაზე, აკრძალულია მანქანით ახლოს მისვლა ცხოველებთან, აკრძალულია მანქანიდან გადმოსვლა, აკრძალულია გზიდან გადახვევა... ერთი სიტყვით, უნდა იჯდე მანქანაში და დახურული მინებიდან ათვალიერო. მეტი რა გზაა!

გვითხრეს და მეც შევამჩნიე, რომ ცაგოს პარკში ცხოველები გაცილებით ფრთხილნი არიან, ვიდრე ნაირობის ნაკრძალში, მოძრავ მანქანას ანტილოპები ყურადღებას არ აქცევენ, მაგრამ როგორც კი შეჩერდება, მაშინვე ყურებს ცქვეტენ და გარბიან ხშირი ბუჩქნარისაკენ.

ძალიან ლამაზია ანტილოპა იმპალა, განსაკუთრებით მამლები ლირისებური გრძელი რქებით. ხშირად ვხედავთ პატარა კუდუს, ანტილოპების მშვენიერ წარმომადგენელს. ამ პატარა ანტილოპას სილამაზის გამო აფრიკის ცხოველური სამყაროს ცნობილმა მცოდნემ ლესლი ბრაუნმა „აპოლონი ანტილოპათა შორის“ უწოდა. ერთი მათგანი სულ ახლოსაა ჩვენგან და ყურადღებას არ გვაქცევს, მშვიდად ძოვს ბალახს. მას აქვს ჩამოქნილი სხეული, მაღალი, ძლიერი ფეხები, პატარა თავი სპირალივით დაგრეხილი, შავი, ყვითელწვეტიანი რქებით. გვერდებზე მოცისფრო თუ ფერფლისფერ ტყავზე ზებრასავით თეთრი ზოლები დაყვება.

— ეს კი ორიქსია, — მეუბნება ვლადიმერი და მეც აპარატის ობიექტივს იქით მივმართავ.

ორიქსი ყოფილა დიდი ანტილოპა გრძელი და ხმლისებრი რქებით.

ცაგოს ეროვნული პარკის ტერიტორია 2 მილიონ 80 ათასი ჰექტარია. ეს უზარმაზარი ფართობი ძალზე ღარიბია წყლით. ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით დაშორებული რამდენიმე პატარა მდინარე მიედინება მხოლოდ. მდინარის გასწვრივ ხეების სასაფლაოა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ძლიერ ქარიშხალს გადაეველოს და დაეღწოს ისინი.

— ასეთი ქარიშხლები იცის აქ? — ვეკითხები ვლადიმერს.

— არა, ეს ხეები სპილოების დაღეწილია. წარმოიდგინე მოწყურებული სპილოების ჯოგი, რომელიც ამ პატარა მდინარისაკენ მოეშურება. რა ხემ და ტყემ უნდა გაუძლოს მათ?

— რამდენი სპილო იქნება ცაგოში?

— ამბობენ, რომ ახლა 20 ათასამდეა.

გზის პირას ვეება ბაობაბი დგას შემოცლილი ქერქით და დასახიჩრებული ღეროთი. სპილოები ეშვებით აცლიან ქერქს ბაობაბს და იმდენს ურტყამენ ნაჯახივით, ვიდრე ხორთუმით ტენის შემცველ ხის გულამდე არ შეადწევენ.

აი ისინიც! ჩვენი კორტეჟი ჩერდება. სულ ახლოს, გზაზე დინჯად გადადის სპილოთა რემა. ვაჩხაკუნებ ფოტოაპარატს და თან ვითვლი: ერთი, ორი, სამი... ცხრა... თერთმეტი... პატარებიც თან ახლავთ. სწორედ ესენი არიან ცავოს სახელგანთქმული წითელი სპილოები, რომელთა სანახავად უამრავი ტურისტი მოეშურება აქ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. სინამდვილეში კი ჩვეულებრივი დიდუფურება აფრიკული სპილოებია. სიცხის დროს ისინი ხორთუმით იყრიან ზურგსა და თავზე წითელ, ლატერიტულ მტვერს. აქ ხომ ასფალტიანი გზის გარდა მხოლოდ წითელი მიწაა. ამიტომაც არიან ეს სპილოები წითლები. აფრიკული სპილო დღევანდელი ხმელეთის უმსხვილესი და უმძიმესი ცხოველია. იგი სიმაღლით მეორე ადგილზეა ყირაფის შემდეგ. მისი 35 კვ.მ ფართობის მქონე გამომშრალი ტყავი 130 კგ იწონის. ხორთუმი 120 კგ-ია, ყურები — 80, გული — 20, ჩონჩხი 1600, კუნთოვანი ქსოვილი იწონის 2700 კგ-ს, ხოლო 3,5 — 4 მ სიგრძის ეშვები — 100 კგ-მდე. სპილოს სიცოცხლის ხანგრძლივობა 60 წელია.

როდესაც ევროპიდან აფრიკის კონტინენტისაკენ დაიძრა ხალხი, მათ შორის არც თუ ისე ცოტა იყო ავანტურისტი. სწრაფი გამდიდრების მიზნით ისინი უღმობლად ანადგურებდნენ სპილოებს, ითვისებდნენ მიწებს, ჩეხავდნენ ტყეებს, სახლდებოდნენ. გარდა თავაშეებული და უკონტროლო ნადირობისა, სპილოების განადგურების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო ისტორიულად დადგენილი მათი მიგრაციის გზების დარღვევა. უკვე XX საუკუნის დასაწყისისათვის სპილოების რაოდენობა აფრიკაში კატასტროფულად შემცირდა და გადაშენების საფრთხეც კი დაემუქრა მათ. 1933 წელს აკრძალეს უკონტროლო ნადირობა, რამაც თითქოს გააუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ მაინც უამრავი სპილო იღუპებოდა ბრაკონიერთა ხელით.

ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირმა ცნობილ ეკოლოგს ა. დუგლას-ჰამილტონს აფრიკული სპილოს რაოდენობისა და მისი დინამიკის მდგომარეობის გარკვევა დაავალა.

ამერიკულ ჟურნალ „საიენ ნიუსის“ 1977 წლის 24-ე ნომერში გამოქვეყნებული ანგარიშიდან ირკვევა, რომ ამჟამად აფრიკაში ერთ მილიონზე ნაკლები სპილო არ უნდა იყოს. მაგრამ სპილოებს სულ უფრო და უფრო სდევნიან მათი ჩვეული ადგილსამყოფელიდან ეროვნულ პარკებსა და აღკვეთილებში, სადაც ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ამ უზარმაზარ ცხოველთა დიდ სიმჭიდროვეს; მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ სპილოს ძელის ფასმა საგრძნობლად აიწია მსოფლიო ბაზარზე, ეს კი თავისთავად მკვეთრად ზრდის ბრაკონიერობას. ამ უკანასკნელმა განსაკუთრებით ფართო გაქანება პოეა უგანდაში,



სადაც უკანასკნელი 4 წლის მანძილზე სპილოთა რაოდენობა შემცირდა. ბრაკონიერების მიერ განადგურებული სპილოების ზუსტი რიცხვის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ზოგიერთი ფაქტი ნათლად მეტყველებს მის მასშტაბებზე: ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე მსოფლიოში ყოველწლიურად ამუშავებდნენ 600 ათას კგ სპილოს ძვალს რისთვისაც უნდა გაენადგურებინათ 45 ათასი სპილო. ძვლის უმეტესი ნაწილი იხარჩებოდა ბილიარდის ბურთებისა და როიალის კლავიშების დასამზადებლად. აღმოსავლეთ აფრიკიდან კანონიერად გატანილი სპილოს ძვლის რაოდენობამ ჰონკონგოში, სადაც მისი დამუშავება წარმოებს, წლის განმავლობაში შეადგინა 170 ტონა, მაგრამ მისმა მთლიანმა იმპორტმა აფრიკის ამ ნაწილიდან მიაღწია 464 ტონას. ასეთი რაოდენობის სპილოს ძვალი შეიძლება მიიღონ თვეში 2500 სპილოს განადგურებით. ამის გამოა, რომ აფრიკის ყველა ქვეყანაში სპილოების რაოდენობა მკვეთრად მცირდება.

ამერიკელმა ეკოლოგმა იელის უნივერსიტეტიდან რ. მილერმა აფრიკული სპილოების რაოდენობის დინამიკის მოდელირების მიზნით დაამუშავა პროგრამა გამოთვლითი მანქანებისათვის. ამისათვის მან გამოიყენა ისეთი პარამეტრები, როგორცაა სპილოების სიცოცხლის ხანგრძლივობა, მათი უნარი არეგულირონ რაოდენობა საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესაბამისად და სხვა. მაგრამ სპილოების დიდი სიმჭიდროვე ეროვნულ პარკებში ართულებს მოდელირების შედეგების შეფასებას. ამავე დროს ნათელია, რომ დღევანდელი მდგომარეობა გადაშენების გზაზე აყენებს ამ ცხოველებს. სპეციალისტების აზრით, ამ პრობლემას მოეგვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპილოს ძვლით ვაჭრობა სახელმწიფო მონოპოლიებად გამოცხადდება და ხელისუფალნი დაადგენენ სპილოზე ნადირობის ზღვრულ დონეს მათი ბუნებრივი გამრავლების გათვალისწინებით.

ეროვნული პარკების შექმნამ იხსნა სპილოები განადგურებისა და გადაშენებისაგან. უკვე 1960 წლისათვის აფრიკაში 200 ათასზე მეტი სპილო იყო, იმაზე მეტი, ვიდრე პირველი ევროპელების ჩამოსახლებისას. და აი გაჩნდა ახალი პრობლემა — სპილოების სიმრავლისა. პირველი საკვების უკმარისობა. კენიაში ამ ცხოველთა შესწავლით დაადგინეს, რომ დღე-ღამეში ერთ სპილოს სჭირდება მისი წონის 4 — 6,4% ტენიანი საკვები. თუ სპილოს საშუალო წონა 1700 კილოგრამია. მაშინ მისი საკვების სადღეღამისო ნორმა 100 კილოგრამი იქნება, ხოლო მსხვილი, მამალი სპილოსი კი რომლის წონაც 5 ტონაა — 300 კილოგრამი. აფრიკაში აღრიცხულია 500 სახეობის მცენარე, რომელსაც სპილოები საკვებად იყენებენ. ისინი არ იწუნებენ უხეშ საკვებსაც.

კამენ ბალახოვან მცენარეებს, ბუჩქებს, ამტვრევენ და მიირთმევენ
2 — 5 სმ სისქის ხის ტოტებს, წააქცევენ ხოლმე 25 — 35 სმ განივკვეთის
მქონე ხეებსაც კი. მსხვილ ხეებს, განსაკუთრებით ბაობაბს, სპილო
ატლის ქერქს, ეშვებით ხლეჩს მერქანს და შეეჭყევა რბილობს.

გამოანგარიშებულია, რომ ერთ სპილოს წელიწადში სჭირდება
საკვებად მცენარეულობა 5 კვ. კილომეტრი ფართობიდან. ცაცოს პარ-
კში სპილოების სიმჭიდროვე ამჟამად ერთ კვ. კილომეტრზე ერთი
ცხოველია. წინათ ისინი მომთაბარებოდნენ და წვიმიან სეზონში მიდი-
ოდნენ ბალახით უხვ სავანებში, სადაც ამ პერიოდში ბალახი თითქმის
5 მეტრი სიმაღლისა იზრდება. გვალვის სეზონში კი ისინი თავს
ტყეებს აფარებდნენ, ზოგჯერ მთაშიც ადროდნენ 3 კმ სიმაღლემდე.
კენისა და უგანდის სპილოები გვალვის დასაწყისშივე (მაისში) ტო-
ვებდნენ სავანას და გადაინაცვლებდნენ ელგონის, კილიმანჯაროს და
სხვა მთების ფერდობებზე. ახლა კი ეს მიგრაცია შეწყვეტილია. თა-
ვიანთ გზებზე სპილოებს ხვდებათ კარგად დაცული ყავის, არაქისის,
ბამბის, ქოქოსის და სიხალის პლანტაციები და ამიტომაც რჩებიან
ერთიდარიმად ადგილზე.

ერთ სპილოს დღე-ღამეში, გვალვის სეზონში, 100 — 230 ლიტრი
წყალი ესაჭიროება, წვიმების დროს კი გაცილებით ნაკლები. ცაცოს
პარკში უწყლობის გამო გართულებულია სპილოების მდგომარეობა.
გვალვის დროს ისინი ხორთუმით თხრიან მიწას, ქმნიან ქვიშაში 1,5
მეტრამდე ორმოებს, რომლებსაც „სპილოს ჭებს“ უწოდებენ. ორმო-
ებში დგება წყალი, რომლითაც სხვა ცხოველებიც: მარტორქები, ანტი-
ლოპები და მსხვილი მტაცებლებიც სარგებლობენ. იმის გამო, რომ
წყალი ყველგან არ არის, სპილოს კი ყოველდღე სჭირდება იგი, მათი
რემა იძულებულია რმ ადგილზე დარჩეს, სადაც წყალია. ეს კი იწვევს
ამ ტერიტორიის მცენარეული საფარის მთლიან განადგურებას. დაი-
წყეს არტეზიული ჭების თხრა, ხელოვნური წყალსაცავების შექმნა,
რამაც უფრო გააუარესა მდგომარეობა, სპილოები აღარ მიდიოდნენ
შორს და მცენარეულობა ნადგურდებოდა. ამან გამოიწვია სპილოების
წონის შემცირება 500 — 600 კილოგრამით, რადგან საკვები არ ჰყოფ-
ნიდათ. გარდა ამისა, ხეების განადგურების გამო აღარ იყო ჩრდილი
აუტანელ სიცხეში თავის შესაფარებლად, რასაც უცნაური შედეგი მო-
ყვა: სპილოებს გაუხშირდათ ყურების ქნევა. საერთოდ ცნობილია, რომ
აფრიკული სპილო თუ თავის საოცრად დიდ ყურებს იქნევს, იგი ვაბ-
რაზებულა და სიფრთხილეა საჭირო. ნიუ-იორკის ზოოლოგიური
საზოგადოების მეცნიერებმა ა. ბასმა და ა. ესტესმა სპეციალურად
შეისწავლეს ეს საკითხი და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სპილო ყუ-



რებს მაშინ იქნეს, როცა ჰაერის ტემპერატურა 50 გრადუსამდე აღემატება, ხოლო ჰაერის ტენიანობა 50-60% იქნება. ამ შემთხვევაში, როცა ჰაერის ტემპერატურა 50 გრადუსამდე აღემატება, ხოლო ჰაერის ტენიანობა 50-60% იქნება, უმოდროდ აქვს გვალვის სეზონში, როცა მაღალი სიციხეა და არც ხეების ჩრდილია თავის შესაფარებლად. სპილო განუწყვეტლივ ხმარობს ყურებს „მაროდ“. ამან კი გამოიწვია ყურების მკვებაეი სისხლძარღვების სკლეროზული დაავადებანი, გახშირდა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებიც და პირის ღრუს აბსცესი.

კრიზისი 1971 — 1972 წლებში დაიწყო, დიდი გვალვის დროს. ამ პერიოდში ცავოში, მდ. გალანის ხეობაში დაიღუპა 6 ათასი სპილო, მთელი აქაური პოპულაციის თითქმის მესამედი. საცვების უკმარისობისა და უწყლობისაგან პირველ რიგში იღუპებოდნენ პატარა და ბებური სპილოები, შემდეგ კი ძლიერებიც ვეღარ უძლებდნენ. 1973 წელს მათი რაოდენობა ცავოში კვლავ გაიზარდა 20 ათასამდე. ფიქრობენ, რომ ეს მოხდა მეზობელი ნაკრძალების ხარჯზე.

სპილოების გამრავლება საარსებო პირობებს უუარესებს სხვა ცხოველებს: მარტორქებს, უირაფებს, ანტილოპთა ზოგ სახეობას, გარეულ ხარებს, რადგან მათთვის აღარ რჩება საცეცები. ამიტომ დაიწყეს სპილოების ხელოვნური შემცირება და რეგულაცია. 1971 — 1972 წლებში დახოცეს 300 სპილო, 1973 წელს კი — 900. მაგრამ აქაც ტექნიკური სიძნელეები წარმოიშვა. სროლის ხმა აფრთხობდა და აშინებდა სხვა ცხოველებს. ტურისტები უკმაყოფილონი იყვნენ მოგზაურობით, რადგან მხოლოდ ცარიელ სავანას ხედავდნენ. ამიტომ გადაწყვიტეს სპილოების დახოცვა ტურისტებისათვის დახურულ რაიონებში. გარდა ამისა, დაიწყეს სპილოებზე სანადირო ლიცენზიების გაყიდვა პარკის სასაზღვრო რაიონებში, ე. წ. „ბუფერულ ზონებში“, მაგრამ არც ამან გამოიღო სასურველი შედეგი. სპილოებმა მალე ისწავლეს იმის გარკვევა, თუ სად ელოდებოდათ საფრთხე და სწრაფად გადადიოდნენ ნაკრძალის ტერიტორიაზე. ჯერჯერობით ვერ გამონახეს გზები, რომლებიც გადაწყვეტენ ამ №1 პრობლემას.

უკვე ვთქვით, რომ ცავოს ტერიტორია ერთობ ღარიბია ჰიდროგრაფიული ქსელით. დასავლეთ ცავოში არის ამავე სახელწოდების მდინარე, აღმოსავლეთში კი ატი-რივერი. ეს მდინარეები ერთმანეთს უერთდებიან ლუგარდფოლსთან. ჩანჩქერთან და ქმნიან მდ. გალანას. სხვა მდინარეული არტერიები, მათ შორის მოზრდილი ვოა-რივერიც, მოკლებულნი არიან მუდმივ ნაკადებს და მხოლოდ წვიმების სეზონში მოქმედებენ.

ცავოს ეროვნული პარკი მდებარეობს ზღვის დონიდან 800 — 2000 მ სიმაღლეზე, რაც მის არიდულობას განაპირობებს. ამის გამო ტერი-

ტორიის მეტი ნაწილი დაკავებულია სინოტივის დეფიციტისადმი მდგრადი მცენარეული ფორმაციებით, ე. ი. ბუჩქნარიანი და ნახევრად უდაბნო საეანებით. დიდი ფართობები უკავია აგრეთვე ტიპიური აკაციების საეანას, ხოლო ჩიულუპილისს ქედის ფერდობებზე წარმოდგენილია მთის ტროპიკული ტყეების ზოლიც კი.

მკაცრ და თავისებურ ლანდშაფტს ქმნიან წითელი ქვიშაქვის კლდეები და ვეება ლოდების დანაგროვებნი, დაფარული ეკლიანი ბუჩქნარით. ამ ადგილებში აფარებენ თავს კლდის დამანები, კლიშპრანგერები, ბაბუინები და ლეოპარდები. აქვე მალავენ თავიანთ ბოკვერებს ლომებიც.

დასავლეთ ცავოში განსაკუთრებით საინტერესოა ვულკანური მოქმედების რაიონი. თუ პარკში ამბოსელის ნაკრძალის მხრიდან წავალთ ნამანგის გავლით, გადავსერავთ ფართო ველს, რომელიც დაფარულია ორი საუკუნის წინანდელი ლავით. საოცარი პეიზაჟია ამ რამდენიმე კილომეტრის სიგანის ველზე: არც ერთი ბუჩქი, არც ერთი ცოცხალი არსება, მხოლოდ შავი, ყალყზე შემდგარი ლოდები და ქეები. ამავე ზონაშია მზიმა — სპრინგსის შესანიშნავი წყაროები, რომლებიც თავისებურ ღრმა წყალსატევებს ქმნიან. მათ ნაპირებზე პაპირუსის ბარდნარია და ხანდახან გამოჩნდებიან ბეჭემოთები. წყალსატევებში მრავალადაა თევზი — წვერა და კობრისმაგვარი მსხვილი თევზები. ერთ-ერთ წყალსაცავში ჩაშვებულია მინისკედლებიანი პავილიონი, რომელშიც ტურისტები ჩადიან და ათვლიერებენ წყალქვეშა ცხოვრებას. ირგვლივ კი დგანან ვეება ყვითელმერქნიანი აკაციები, რომლებზეც მწვანე მაიმუნების დიდი კოლონია ცხოვრობს. ისინი უშიშრად უახლოვდებიან ტურისტებს და ხელგაშვერილები სთხოვენ საჭმელს. მხოლოდ ცავოს ამ რაიონში არ უფრთხიან ადამიანებს ბალახისმჭამელი ცხოველები.

მაგრამ ყველაზე დიდ სიამოვნებას ტურისტებს ანიჭებს აღმოსავლეთი ცავო, მისი მუდანდა-როკსის კლდეები. აქ გენისებში გაჩენილია ნახევარი კილომეტრის სიგრძის ბრტყელძირიანი ჯამისებრი ჩაღრმავება, რომელიც ბუნებრივი ჯებირით არის შემორაგული. წვიმების სეზონში ჩნდება ტბა და გვალვის დასაწყისიდან ასობით სპილო მოდის აქ წყურვილის მოსაკლავად.

ცავოს ეროვნული პარკის ცხოველურ სამყაროს თავისებურებებიც ახასიათებს. აქ მრავალადაა კულუ, ორიქსი, გერენუკი, რაც სხვა ნაკრძალებისათვის იშვიათობაა. სამაგიეროდ, აქ ვერ ნახავთ დასავლეთ კენიისა და ტანზანიის ღია ლანდშაფტების აუცილებელ ბინადარს — ტომსონის გაზელს. თუ ამბოსელის ნაკრძალში და ნგორონგორის კრატერში, აგრეთვე ნაირობის ნაკრძალშიც გავრცელებულია გრანტის გაზელი,



აქ მას ცვლის ქვესახეობა, პეტერსის გაზელი. წყლის თხევანობაში კუდის ირგვლივ აქეთ ღია ფერის რგოლი და არა ლაქა, როგორც მწიფე რუს ნაყარალში. ცავოს სირაქლეშები ეკუთვნიან სომალურ ქვესახეობას და უფრო ლურჯი კისერი აქვთ.

ცავოს ეროვნული პარკი ერთადერთია, სადაც შეუდგენენ ცხოველთა აკლიმატიზებას. რამდენიმე წლის წინ აქ გაუშვეს შავი ანტილოპები და გრევის ზებრები. ამ სამუშაოს საბოლოო შედეგი ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა შავი ანტილოპები თავს მშვენივრად გრძნობენ.

ცავოში მტაცებლებიც ბევრია, მათ შორის მაწის მგელიც. ეს უიშვი-თესი ცხოველი. ისინი ძალიან ფრთხილნი არიან და იშვიათად თუ მოჰკრავთ თვალს. ადვილი სანახავია ღომი და ხალეზიანი აფთარი. ამ პარკში რეგისტრირებულია ფრინველთა 450 სახეობა.

შთამომავლობა რუმ არ გვისახვედუროს

„ამჟამად მთელ ჩემ ძალღონეს მივმართავ გარეული ცხოველების შენარჩუნებისაკენ“.

ჯოი ადამსონი

უკანასკნელი ოთხი საუკუნის მანძილზე გადაშენდა ძუძუმწოვართა და ფრინველთა 130 სახეობა, აქედან 76 — პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ამჟამად გადაშენების გზაზეა დამდგარი კიდევ 550 სახეობა.

რა არის ამის მიზეზი? ძალიან ბევრი რამ. აი, ერთი მაგალითი კენიის სინამდვილიდან: ზოოლოგთა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობენ ჯ. ტორნბეკი (ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საერთაშორისო კავშირი) და ჯ. ბარტონი (ფაუნის დაცვის საზოგადოება), ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალში „საიენს ნიუს“ 1977 წელს გამოაქვეყნა წერილი ზებრების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ჯგუფმა შეისწავლა ზებრების პოპულაციების მდგომარეობა აფრიკის ქვეყნებში და მივიდა დასკვნამდე, რომ ამ ძვირფასი ჩლიქოსნების არსებობა კატასტროფის წინაშეა. ბრაკონიერობა სულ უფრო და უფრო მასობრივ ხასიათს იღებს, ამას ემატება კანონიერი ნადირობაც და შედეგი? ზებრების სულადობა აფრიკის ქვეყნებში მკვეთრად ეცემა. მაგალითად, კენიაში მთის, ანუ ჰარტმანის ჯიშის ზებრების რაოდენობა 1950 წელს 50 ათასი იყო, ახლა კი 2 ათასია, ზოლო უკანასკნელი 6 წლის მანძილზე უღაბნოს, ანუ გრავის ჯიშის ზებრების სულადობა კ

10 ათასიდან ათასამდე დაეცა. ამ ლამაზი ჯიშების ზებრებს გაქრობა ელით, ძირითადი მიზეზი კი გახლავთ... მოდა! დასავლეთის ქვეყნებში მოღვაწეობა და ძვირადღირებული ფასობს ზებრის ტყავისაგან დამზადებული ქაღალის პალტო, ხელჩანთები და ასე გასინჯეთ... ყდები ტელეფონის სააბონეტო წიგნებისათვის.

ტორნბეკი და ბარტონი თვლიან, რომ ამ ცხოველთა გადარჩენის ერთადერთი ეფექტური საშუალებაა კონტროლი ნადირობის აკრძალვაზე და ზებრების ტყავებით საერთაშორისო ვაჭრობის მკაცრი შეზღუდვა.

აი სხვა მიზეზებიც:

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისელებმა დაიწყეს ნადირის უმოწყალო განადგურება ტანზანიის რაიონებში, რათა გაეთავისუფლებინათ მიწები არაქისის გასაშენებლად. ამ შემადარწუნებელ ოპერაციაში მონაწილეობდა 750 ბრიტანელი ტექნიკოსი და 30 ათასი ადგილობრივი მუშა. ყოველ ნაბიჯზე ეყარა დახოცილი ანტილოპების, ყირაფების, მარტორქების მძორები. მარტო 1945 — 1950 წლებში ტანზანიის 1500 კვ. კილომეტრ ფართობზე განადგურეს 8554 მსხვილი გარეული ცხოველი.

ცნობილია, რომ ტროპიკული აფრიკის ქვეყნების მოსახლეობა ტერორიზირებულია ბუზ ცეცეს მიერ. მისი ნაკბენი სახიფათოა როგორც ადამიანისათვის, ისე შინაური ცხოველისათვის, რომლებიც ავადდებიან ძილის ავადმყოფობით. ამ სასიკვდილო სენს ადგილობრივი მკვიდრნი ნგანას უწოდებენ. უცნაურია, მაგრამ ცეცე ვერაფერს აკლებს გარეულ ცხოველებს. ვიღაც უგუნურს უცნაური იდეა წამოუყენებია, რომლის განხორციელებაც მოსპობდა ამ ბუზს. რაში გამოიხატებოდა ეს იდეა? მთავარი იყო იმის დადგენა, თუ რითი იკვებებოდა ცეცე. დაადგინეს კიდევ — გარეული ცხოველების სისხლით. რა უნდა გაეკეთებინათ ამის შემდეგ? ესეც გადაწყვიტეს: მთლიანად უნდა განადგურდეს გარეული ცხოველები, ცეცეს საკვები მოეპოვება და შიმშილით დაიღუპება! ამაზე დიდი უგუნურება, ალბათ, არასდროს ჩადენილა კაცობრიობის ისტორიაში. დაიწყეს ამ ყოველად უგვანო გეგმის განხორციელება. 1948 — 1951 წლებში მარტო როდესიაში, ზამბეზის ხეობაში განადგურეს 102025 სული გარეული ცხოველი.

მაგრამ ცეცე არ აპირებდა შიმშილით სიკვდილს. გამოირკვა, რომ იგი იკვებება არა მარტო მსხვილ ცხოველთა, არამედ ადამიანის, ნიანგის, ფრინველის, ხელიკის, მღრღნელების სისხლითაც. ამ უკანასკნელთა მოსპობა კი შეუძლებელია. ისიც დაადგინეს, რომ ავადმყოფობა გადააქვს ცეცეს ოცდაათამდე სახეობას, თითოეულს კი ამ სახეობათაგან

აქვს თავისი განსხვავებული „გემოვნება“ და თავის მენიუში უპირატესობას ანიჭებს ამა თუ იმ ცხოველს. ამის შემდეგ გონს მბუნების დაცვისათვის მებრძოლმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა პირებმა მიაღწიეს ოპერაცია „ბუზი ცეცეს“ აღკვეთას და განადგურებისაგან იხსნეს ტროპიკული აფრიკის ცხოველები.

„ნუთუ მკვლევობა ასე სასიამოვნოა?“ — ასეთი სათაურით იწყებს თავის უაღრესად საინტერესო წიგნს „გარეული ცხოველები“ სათვის ადგილი არ არის“ ერთ-ერთ თავს გამოჩენილი ზოოლოგი, მოგზაური და ბუნების დაცვისათვის აქტიური მებრძოლი პროფესორი ბერნგარდ გრეიმეკი. იგი გმობს სახელგანთქმულ მონადირეს ჯონ ჰანტერს, რომლის წიგნმა დიდი პოპულარობა მოიპოვა მთელ მსოფლიოში და მრავალ ენაზე ითარგმნა. გრეიმეკი წერს: „ბატონი ჰანტერი ამყობს იმით, რომ თავისი სიცოცხლის მანძილზე დახოცა უფრო მეტი მარტორქა, ვიდრე ყველა სხვა მონადირემ; უდავოდ ათასზე მეტი, სპილო კი 1400-ზე მეტი“.

ჯონ ჰანტერი თავის წიგნში წერდა, რომ: „ლომის ტყავში იმ დროს მომბასაში იძლეოდნენ ერთ გირვანქა სტერლინგს და თითქმის ამდენივეს — ლეოპარდისაში...“ თუ ათეული წლების წინ ლომის ტყავში ჰანტერს ერთ გირვანქა სტერლინგს აძლევდნენ, ახლა მისი ფასი 2000 — 2500 დოლარია. ასეთი მაღალი ფასები ჰანტერის სამონადირეო მოღვაწეობის პერიოდში რომ ყოფილიყო, ადვილი წარმოსადგენია რა მოხდებოდა. ალბათ, არც ერთი ლომი აღარ გადაარჩებოდა ცოცხალი.

აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი ჰანტერის წიგნიდან:

„...როცა გათენდა, ჩემს თვალწინ ისეთი სანახაობა გადაიშალა, რომელიც შეეჭვება ვინმეს ეხილოს და ისიც საეჭვოა, რომ ოდესმე ვინმემ იხილოს: თვრამეტი მკვდარი ლომი ჩემს ფეხთით ეყარა“... ან კიდევ: „როდესაც კონტრაქტით გათვალისწინებული 3 თვე გავიდა, დავბრუნდი ნაირობში ორი ოთხთვალათი, რომლებიც პირამდე იყო სავსე ლომის ტყავებით. ოთხმოცდაათ დღეში მოვკალი 88 ლომი და 10 ლეოპარდი!“.

მართალია, ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც ტროპიკული აფრიკის ქვეყნების კოლონიალური ხელისუფალნი ქირობდნენ მონადირეებს გარეულ ცხოველთა გასანადგურებლად. მიზანი იყო მიწების განთავისუფლება ნადარბაზან, რათა მოეშენებინათ არაქისი, სხვა პლანტაციები, დაესახლებინათ აფრიკელთა ტომები, რომლებსაც ათვისებული რაიონებიდან სდევნიდნენ. როგორც არ უნდა იყოს, ვერავითარ გამართლებას ვერ უპოვი ასეთ ნაწყვეტს ჰანტერის იმავე წიგნიდან: „ჩვენს წინ, ორივე მხარეს აღმართულიყო მოკლეული სპილოების მთები. ახ-



ლოს დაცემული სპილოები მე და სასიტას თავიანთი ხორთუმებიდან სისხლის ნამდილ შხაპს გვასხამდნენ... მე არ მქონდა დრო, რომ დაეჩინებინათვის ბოლო მომეღო. ჩემი თოფის ლულა ისე გაეარვარდა, რომ მარცხენა ხელზე მნიშვნელოვანი დამწვრობა მქონდა, მაგრამ ტყეილს ვერ ვგრძნობდი. და როდესაც საბოლოოდ ჯოგი გაიქცა, ჩვენს ირგვლივ მიწაზე თვრამეტი მკვდარი სპილო დარჩა“.

არ შეიძლება თავზარი არ დასცეს ადამიანს და არ შეაძრწუნოს ასეთმა, მე ვიტყვოდი, ცინიზმმა და იქნებ საღიზმმაც, რაც ზოგიერთი მონადირის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში გამოსკვივის. ისინი დეტალურად აღწერენ როგორ ხოცავდნენ ნადირებს და მართლაც, გრუძიკის ნათქვამისა არ იყოს, მაყობენ ამით. საილუსტრაციოდ მინდა მოვიყვანო კიდევ ერთი ასეთი ნაწყვეტი, ამჯერად სხვა ცნობილი მონადირის, გორდონ კამინგის წიგნიდან:

„31 აგვისტოს შემომხვდა ყველაზე მაღალი და ლამაზი სპილო მათ შორის, რაც კი საერთოდ მინახავს. შევჩერდი, მხარში ვესროლე და ამ ერთადერთმა გასროლამ მომანიჭა მთელი ძალაუფლება ძლიერ და უზარმაზარ ცხოველზე. ტყვია პირდაპირ ბეჭის ქვეშ მოხვდა და ადგილზევე დაადამბლავა. ვიდრე ბოლოს მოვუღებდი, გადავწყვიტე დემტკბარიყავი ამ ახოვანი ცხოველის მზერით. თავს ვგრძნობდი ამ უსახლვრო ტყეების ბატონ-პატრონად, ტყეებისა, რომლებიც ადამიანს საშუალებას აძლევენ ხელი მიჰყოს კეთილშობილებით და მიმზიდგელობით შეუდარებელ ნადირობას. რამდენიმე ხანს ვტყებოდი ამ იშვიათი ეგზემპლარით, მერმე კი გადავწყვიტე ჩამეტარებინა რამდენიმე ექსპერიმენტი, კერძოდ, უნდა გამომეგლინა ამ ცხოველების ყველაზე სუსტი ადგილები. მაშ ასე, მივუახლოვდი დაქრილ სპილოს და ახლო მანძილიდან რამდენიმე ტყვია დავახალე ვეებერთელა თავის ქალას სხვადასხვა ადგილში. თითოეული გასროლის შემდეგ იგი, თითქოს მესალმებოდა, თავს ძირს ხრიდა, შემდეგ კი ხორთუმით ფრთხილად და ნაზად ეხებოდა მორიგ კრილობას. ძალიან გაცეებული და ნამდილად გულაჩუყებული ვიყავი იმით, რომ ეს კეთილშობილი ცხოველი ასეთი თავდაპირით იტანდა წამებას და ასე მშვიდად მიდიოდა გარდუვალი დაღუპვისაკენ. ამიტომ გადავწყვიტე, რაც შეიძლებოდა სწრაფად დამემთავრებინა ეს საქმე. გავხსენი ცეცხლი, თან ვცდილობდი, დამემიზნებინა, ჩემი აზრით, ყველაზე სუსტ ადგილებში. ჩემი ორლულიანიდან ექვსი ტყვია ვესროლე ლავიწის ქვეშ: ეს აუცილებლად სასიკვდილო უნდა ყოფილიყო, მაგრამ დასაწყისში საჭირო ეფექტი არ მოუხდენია. მაშინ კიდევ სამჯერ ვესროლე იმავე ადგილას ჩემი მძიმე ჰოლანდიური თოფით. შეენიშნე, რომ სპილოს თვალთაგან მსხვილი ცრემ-



ლები გადმოუგორდა: თვალები ნელა გაახილა, შემომხედა და დასუქა. მთელ მის ვეებერთელა სხეულზე კრუნჩხვების ტალღები ირბინა, გიგანტი ათრთოლდა, გერდზე დაეცა და... მოკვდა“.

დამეთანხმებით, რომ ამ აღწერაში ერთმანეთშია აღრეული სადიზ-ში, მონადირის ალტკინება, ცინიკური მსჯელობა... როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია და მკითხველისათვის მიმინდვია ჰანტერისა და კამინგის მსგავსი მონადირეებისა თუ ბრაკონიერების განსჯა.

მაგრამ ვერ დავეთანხმები ბერნგარდ გრეიმეკს, რომელიც მონადირეთა ასეთ კატეგორიას ერნესტ ჰემინგუეისაც მიაკუთვნებს. ამ სიტყვების დასადასტურებლად მოვიყვან ნაწყვეტს „პაპას“ რეპორტაჟიდან. იგი 1934 წლის ივნისში ტანგანაკიდან წერდა:

„არსებობს ლომის მოკვლის ორი უკანონო ხერხი. ერთია მოკლა იგი მანქანიდან, მეორე — კარვიდან ან ლამით, როცა ფარნით აბრმავებ... ლომებზე ნადირობის ამ ორ ხერხს ისეთივე კავშირი აქვს სპორტთან, როგორც კალმახის გაბრუებას დინამიტით... და მაინც ბევრს აფრიკიდან დაბრუნების შემდეგ თავი ნამდვილ სპორტსმენად და მონადირედ მოაქვს, თუმცა კი ისინი ლომებს მანქანიდან ან საფარიდან ხოცავდნენ...“ შემდეგ ჰემინგუეი აღწერს ლომებზე ნამდვილი ნადირობის მეთოდებს და ასეთი სიტყვებით ამთავრებს რეპორტაჟს: „...მაგრამ სპორტსმენისათვის უფრო ღირსეულია აფრიკიდან ლომის გარეშე დაბრუნდეს, ვიდრე მოკლას იგი მანქანიდან ან ლამის საფარიდან, როცა ლომი დაბრმავებულია ფარნის შუქით და ვერ ხედავს თავის მოწინააღმდეგეს“.

ეჭვი არ მეპარება, რომ მკითხველთა აბსოლუტური უმრავლესობა ჩემთან ერთად დაეთანხმება ჯერალდ დარელს, რომ ცხოველთა სახეობათა განადგურება სისხლის სამართლის აქტია და ეთანაბრება კულტურის ისეთი ძეგლების განადგურებას, როგორიცაა რემბრანდტის ნახატები ან აკროპოლი. სრული ჭეშმარიტებაა!

ჯონ ჰანტერისა და სხვა მონადირეთა თავგადასავლებს და ნადირთა ხოცვა-ჟლეტას მინდა დაუპირისპირო საოცარი ქალი, საბჭოთა მკითხველისა და ტელემეაყურებლებისათვის კარგად ცნობილი ჯოი ადამსონი, რომელიც კენიის ბუნების, ფაუნისა და ფლორის დიდი მოტრფილედ და მოამაგე იყო. 1977 წელს რუსულ ენაზე თარგმნილ მის წიგნს „აფრიკა ჯოი ადამსონის თვალით“ აწერია: „ვუძღვნი ყველას, ვისაც უყვარს კენია და ეხმარება მას ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნებაში“.

ჯოი ადამსონმა 40 წელზე მეტი იცხოვრა კენიაში და მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ამ საოცარი ქვეყნის ტომების, ცხოველური და



მცენარეული სამყაროს შესწავლას. განსაკუთრებულ გაცემას და აღზრდას აქცევს ფრთოვანებას იწვევს ამ ქალის დამოკიდებულება ნადირებისადმი. ამის მაგალითია ფართოდ გაჩამოყრებული ლომი ელსი, რომლის სახელობის ფონდიც კი შექმნა. ჯაი ადამსონი თავისი წიგნების, მათი ეკრანირებისა და თარგმანების ჰონორარს მთლიანად გადასცემდა გარეული ცხოველების საერთაშორისო დაცვის ფონდს და ელსის ფონდს. ამ ფონდის ძირითადი მიზანია იმ ცხოველთა გადასახლება ეროვნულ პარკებში, რომელთაც თავიანთ ველურ სამყოფელში ხიფათი და განადგურება ელით. გარდა ამისა, ჯოი ადამსონი შესანიშნავი მხატვარი — ანი-მალისტიც იყო. მისი ნახატები გამოფენილია ნაირობისა და მომბასის მუზეუმებში. სამწუხაროდ, 1973 წელს მას ავტოკატასტროფის შედეგად მარჯვენა ხელი დაუზიანდა და ვეღარ ხატავდა, მაგრამ გულს არ იტებდა. როგორც ეს ძლიერ ადამიანებს სჩვევიათ და ამბობდა: „ამჟამად მთელ ჩემს ძალ-ღონეს მივმართავ იმისკენ, რომ დავეხმარო გარეული ცხოველების შენარჩუნებაში, და თუ რაღაცნაირად შევძლებ ცხოველთა სამყაროსა და ადამიანს შორის არსებული კონფლიქტის გადაწყვეტას, მაშინ ვიგრძნობ, რომ უფრო ახლოს ვარ, როგორც არასდროს ჩემი უმთავრესი მიზნის — რაც შეიძლება მეტად შევიცნო ჩემს გარშემო არსებული სამყარო — განხორციელებასთან“.

როდესაც ამ წიგნს ვამთავრებდი, მთელ მსოფლიოს მოედო ჯოი ადამსონის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი. იგი ცხრა წლის წინ გაეყარა ქმარს, ჯორჯ ადამსონს და განმარტოებულად ცხოვრობდა. აი, რას წერდა ვინმე ბრაიან ჯექმენი „სანდი ტაიმსში“:

„აღმოსავლეთ აფრიკის ცხოველური სამყაროს შენარჩუნებაში არავის გაუკეთებია ჯოი ადამსონზე მეტი. მოთხრობებმა ლომ ელსიზე და სხვა ცხოველებზე მას დიდი სიმდიდრე მოუტანა. თითქმის მთელი ეს სიმდიდრე მან ბუნების დაცვის ფონდს შესწირა (ყენიის ყოველკერეულის „სანდი სტანდარტის“ ცნობით, ჯოი ადამსონმა მთელი თავისი სიმდიდრე — 300 ათასი გირვანქა სტერლინგი უანდერძა მის მიერვე შექმნილ ელსის ფონდს — გარეულ ცხოველთა დახმარების ფონდს).

ჯოის უბედურება ის იყო, რომ იგი ადამიანებისაგან ისეთივე მეგობრულ დამოკიდებულებას ელოდა, როგორსაც ელსისაგან: მაგრამ ადამიანთა შორის არსებული დამოკიდებულებანი ზოგჯერ ვერ ამართლებდნენ მის მოლოდინს. მისი უახლოესი მეგობარი იყო ჯონ ეამსი, კენიელი ჟურნალისტი, ჟურნალ „აფრიკანას“ რედაქტორი. ჯოი ადამსონი აუტანელი ქალი იყო, — მიამბობდა იგი, — უფლებების მოყვარული, ჯიუტი, ზოგჯერ უცნაურობამდე მკაცრი ადამიანებზე მსჯელობისას. მისთვის სულერთი იყო, საუბარი შეეხებოდა მეუღლეს, პრეზი-



დენტს თუ შინამოსამსახურეს. მაგრამ იგი უდიდესი ქალიც არის. მელიც შეგნებულად იყენებდა თავის ექსცენტრულ და მხსველნარ ათს, რათა დაეცვა გარეულ ცხოველთა შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმე“.

13 იანვარს ჯოი ადამსონს 70 წელი უნდა შესრულებოდა. იგი მოკლეს ბანაიის მახლობლად შამბას ნაკრძალში, სადაც მუშაობდა. პირველ ცნობებში იუწყებოდნენ, რომ იგი ლომის თავდასხმის მსხვერპლი გახდა. ჯოის ჩვეულებად ჰქონდა სალამოობით ბანაიის ირგვლივ სერნობა. დაღუპვის დღეს იგი არ დაბრუნებულა ბანაკში და მისი თანაშემწე ჯოი პიტერ მოუსონი აფრიკელ ქალ-მზარეულთან ერთად წავიდა მის საძებნელად. მათ ჯოის გვამი გზის პირას, ბანაკიდან ასიოდ მეტრში იპოვეს. მოუსონმა მხრებსა და ხელებზე შეამჩნია ჭრილობები, რომლებიც მტაცებელი ცხოველის ბრწყალების ნაკვალევს არ ჰგავდა. იმ დღეებში ბანაიის მიდამოებში ლომები დახეტიალობდნენ და მოუსონმა იფიქრა, რომ ადამსონი ერთ-ერთი მათგანის მსხვერპლი გახდა. ბანაკში მობრუნებულებს ეს უკანასკნელი გაძარცვული დახვდათ. მოუსონმა ჯოის გვამი მახლობელ ქალაქ ისიოლოში გადაასვენა და მეორე დღით კვლავ ეწვია ტრაგედიის ადგილს. გაუკვირდა, რომ ვერც სისხლი დაინახა და ვერც ლომის კვალი. ორი დღის შემდეგ გვამის გაკვეთით გამოირკვა, რომ ჭრილობები დანით იყო მიყენებული. ეტყობოდა ჯოი შეებრძოლა თავდამსხმელს და თავს იცავდა, ვიდრე არ მოკლეს.

მკვლელობის იარაღი ვერ იპოვეს, მაგრამ პოლიციამ დააპატიმრა სამი კაცი, რომლებიც ერთ დროს ბანაკში მუშაობდნენ და ჯოიმ დაითხოვა. გავრცელდა ხმა, რომ მკვლელობა მოხდა შურისძიების ნიადაგზე, მაგრამ ჰკუთხათან უფრო ახლოსაა, რომ ჯოიმ იცნო ისინი და ამიტომ მოკლეს.

ჯოი ადამსონის გვამის კრემაცია ნაირობში მოახდინეს. შემდეგ, ანდერძის თანახმად, მისი ფერფლი გაფანტეს კენიის მერუს ეროვნულ პარკში, ელსის საფლავთან, რომელზეც ჯოი წერდა წიგნში „თავისუფლებისათვის შობილი“ და რომელმაც მას მსოფლიო სახელი მოუპოვა.

ნაირობში, ბუნების დაცვის უწყების თანამშრომელნი ფიქრობენ, ჯოი ადამსონის სახელის უკვდავსაყოფად შექმნან კიდევ ერთი საუკეთესო ნაკრძალი. ნაივამას ტბის ნაპირას მას ჰქონდა ლამაზი სახლი, ტბის მიღმა კი ვიწრო ხეობაში, რომელსაც „ჯოჯოხეთის კარიბჭესაც“ უწოდებენ, ბუდობენ იშვიათი მტაცებელი ფრინველები. დიდხანს იბრძოდა ჯოი იმისათვის, რომ ეს ხეობა ეროვნულ პარკად გამოეცხადებინათ. ამ პროექტის განსახორციელებლად ელსის ფონდმა გარეულ ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ფონდთან ერთად გამოყო 80 ათა-

სი გირვანქა სტერლინგი, და როგორც კი კენიის მთავრობა თანხმობას განაცხადებს, ისინი შეუდგებიან ამ პროექტის განხორციელებას...

ჯოის დასაფლავების შემდეგ მისი ყოფილი მეუღლე ჯორჯი თავის თანაშემწე ჯონ ფიტცჯონთან ერთად გაემგზავრა ტყეში ლომების საძებნელად. ძახილზე ტვერიდან მაშინვე გამოვიდა ძუ ლომი და ჩვენთან მოიბრინა. ეს იყო როტერდამის ზოობარკში დაბადებული 6 წლის არუშა. საოცარი სანახაობა იყო: მოხუცი ილიმოდა, ლომმა კი თავი მხარზე დაადო, რითაც სიხარულს გამოხატავდა ჯორჯის ნახვით...“

უკანასკნელ წლებში კენიაში ნადირობის კანონები გამკაცრეს, რადგან ახალგაზრდა რესპუბლიკას ძალიან მძიმე მემკვიდრეობა ერგო ამ დარგშიც. კოლონიზაციის პერიოდში მდიდარი ევროპელები თუ ადგილობრივი კოლონიზატორები ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე ნადირობდნენ და ანადგურებდნენ კენიის ფაუნას, რამაც გადაშენების გზაზე დააყენა ამ ქვეყნის მრავალფეროვანი და უმდიდრესი ცხოველური სამყაროს ბევრი სახეობა. ამჟამად კი ეროვნულ პარკებში, ნაკრძალებსა და აღკვეთილებში სასტიკად არის აკრძალული ნადირობა.

კოლონიური რეჟიმის პერიოდის ნადირობაზე უკვე იყო საუბარა ამ თავის დასაწყისში, როცა ერთ გირვანქა სტერლინგად ლომს კლავდნენ. მონადირეები და გასართობად ჩამოსული ევროპელები უბრალო ნიძლავისათვისაც კი განუკითხავად ხოცავდნენ ნადირს. ამ ამბავმა გაჰმოიწვია, ალბათ, ასეთი ანექლოტი:

აფრიკის ჯუნგლებში ერთმა მონადირემ ნიძლავი დაუდო თავის კოლეგას.

— ნიძლავს ვეღებ, რომ სადილამდე ლომს მოვკლავ. ვეღებ ხუთ ათას ფრანკს.

იგი მაშინვე წავიდა სანადიროდ. ნახევარი საათის შემდეგ კარავთან მონადირის ნაცვლად ლომი მოსულა და უკითხავს:

- აქ ცხოვრობს ის სულელი დიურანი?
- დიახ. — იყო პასუხი.
- მისმა ქვრივმა თქვენ უნდა გადაგიხადოთ ხუთი ათასი ფრანკი. — უთქვამს ლომს...

დღევანდელ კენიაში ჩასულ ნადირობის ყველა მოყვარულს აუცილებლად თან უნდა გაჰყვეს ადგილობრივი პროფესიონალი მონადირე. ასევე აუცილებელია ლიცენზიების შექმნაც. მსხვილ ნადირზე ნადირობა დაშვებულია მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ უბნებში. კენიაში 87 ასეთი უბანი და 82 პროფესიონალი მონადირეა.

ერთთვისანი ნადირობა ღირს 2 ათასი გირვანქა თითო მონადირეზე. ამ საფასურში შედის ლიცენზია, მინიშნებულია ადგილი,



სადაც შეიძლება ნადირობა, ტრანსპორტი, კვება და სასტუმრო-მსახურითა და სასაქონლო-მსახურით უზრუნველყოფის საკვანძო იგულისხმება ძირითადად ბრეზენტის კარვები, რაფინირებული ზეთის მომსახურება, თბილი წყალი, სინათლე, რადიო, მაცივარი და გა-
რეცხვა.

კენიაში სანადირო სეზონი მთელი წლის განმავლობაშია, მაგრამ საუკეთესო დრო დეკემბერი-მარტი და ივნისი-სექტემბერია.

მთლიანი ლიცენზია ღირს 1000 კენიური შილინგი ჩამოსულთათვის და 100 შილინგი — ადგილობრივი მცხოვრებისათვის. ეს იძლევა უფ-
ლებას, მონადირონ 16 სახეობის უწყინარი ცხოველი (მაგრამ არა უმეტეს ერთისა, ორისა ან სამისა ერთი სახეობიდან) და არ არის გან-
საზღვრული ფრინველთა რაოდენობა.

14-დღიანი ლიცენზია ღირს 500 შილინგი ჩამოსულთათვის და 50—
ადგილობრივთათვის. ამ ლიცენზიით შეიძლება არასახიფათო ცხოველე-
ბის, 11 განსაკუთრებული სახეობის, მონადირების უფლება, მაგრამ მხოლოდ თითო ერთეულისა. ფრინველთა რაოდენობა აქაც არ არის განსაზღვრული.

სახიფათო ცხოველთა რიცხვს, რომლებზეც ნადირობა დაშვებულია, სპეციალური ლიცენზიით, ეკუთვნის ე. წ. დიდი ხუთეული: ლომი, ლე-
ოპარდი, სპილო, მარტორქა და გარეული ხარი. მთლიან ლიცენზიასთან ერთად მსურველს შეუძლია შეიძინოს დამატებითი სპეციალური ლი-
ცენზია, რომლის ფასიც ასეთია: ლომზე — 400 შილინგი, ლეოპარდ-
ზე — 500, სპილოზე — 1500, მარტორქაზე — 2000, ხარზე — 50 შილინგი. ამ ლიცენზიებით მონადირეს უფლება აქვს მოკლას თითო ლომი, ლეოპარდი და მარტორქა, ორ-ორი სპილო და ხარი.


ზოგიერთი სახეობის ცხოველი დაცულია მთელ კენიაში და მათზე ნადირობა სასტიკადაა აკრძალული. ამ „ბედნიერთა“ რიცხვს მიეკუთვნება დედალი ეირაფი, ძუ ლომი და შავი ანტილოპა.

ინტერესმოკლებული არ იქნება ორიოდ სიტყვა ითქვას იმის თა-
ობაზე, თუ როგორ ამზადებენ აღმოსავლეთ აფრიკაში ეროვნული პარ-
კების, ნაკრძალების თანამშრომლებს. ჯერ ერთი, მათ უნდა ჰქონდეთ სრული საშუალო განათლება. პირველი წლის მანძილზე ისინი მუშა-
ობენ პარკებისა და ნაკრძალების უმცროსი პერსონალის შემადგენლო-
ბაში, პარალელურად სწავლობენ ერთწლიან კურსებზე და იღებენ პრაქ-
ტიკულ გამოცდილებასაც. მხოლოდ ამის შემდეგ ჩაირიცხებიან ისინი პარკის მუდმივ შტატში. მას, ვინც თავი გამოიჩინა, აგზავნიან საშუ-
ალო პერსონალის მოსამზადებელ სკოლაში, რომელიც მვეკაში (ტანზა-
ნია) მდებარეობს. ეს ცნობილი სკოლაა და საშუალო პერსონალს უმ-
ზადებს ტანზანიის, კენიის, უგანდის, ზამბიის ეროვნულ პარკებსა და

ნაკრძალებს. ასეთივე სკოლაა გარუაში (კამერუნი), რომელიც ამზადებს სპეციალისტებს უკვე დასავლეთ აფრიკისათვის. ამ სპეციალურ სკოლებს ეწოდება „აფრიკის ველური ბუნების მართვის სკოლები“. ამ სკოლებში ასწავლიან ტყისმცოდნეობას, ბოტანიკას, ზოოლოგიას, მეცხოველეობას, სამონადირეო საქმეს, გადიან პრაქტიკას გარეულ ცხოველთა აღრიცხვის მეთოდთაში. აქვე ასწავლიან მანქანისა და ... თვითმფრინავის მართვას.

ასეთი სკოლის დამთავრების შემდეგ საჭიროა კიდევ ერთწლიანი სტაჟირება რომელიმე ეროვნულ პარკში და მხოლოდ ამის შემდეგ აქვთ მათ უფლება იმუშაონ პარკის საშუალო პერსონალის შემადგენლობაში (უფროს ინსპექტორებად და სხვ.). სწავლებისა და პრაქტიკის მთლიანი კურსი ოთხწლიანია. ის, ვინც გაიარა ასეთი მთლიანი კურსი და განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, შეიძლება გაგზავნონ თავისი ქვეყნის ან საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყნის უნივერსიტეტში ბიოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი უკვე ყოველწლიურად მომზადებულ სპეციალისტს აქვს უფლება დაიკავოს ეროვნული პარკის დირექტორის ან მისი მოადგილის თანამდებობა, ე. ი. მთლიანი სწავლება საშუალო სკოლის გარდა მოიცავს 8 — 9 წელს. ზოგი რამის გადმოღება ჩვენთვისაც სასარგებლო იქნებოდა, რადგან აფრიკის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნებს ეროვნული პარკების, ნაკრძალებისა და აღკვეთილების ორგანიზაციისა და რაციონალური ექსპლოატაციის ძალიან დიდი და დადებითი გამოცდილება აქვთ. ეს გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ ბუნების დაცვის ყველაზე ძლიერი და აუცილებელი ფაქტორი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაა.

ეროვნული პარკების უდიდესი მტერია ე. წ. „ტურისტული ეროზია“. ეს პრობლემა დგას არა მარტო აფრიკის, არამედ მთელი მსოფლიოს ეროვნული პარკების წინაშეც. მას განსაკუთრებით მტკივნეულად განიცდიან შედარებით მცირე ფართობის მქონე პარკები. მაგალითად, ნაირობის ეროვნული პარკის ფართობი სულ 11400 ჰექტარია. მის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მოძრაობს ტურისტთა ნაკადი 54 ათასი ავტომანქანით. ნაკურუს პარკში 9 თვის მანძილზე 75 ათასი ტურისტი ძოდის. რაც არ უნდა მკაცრად იყოს დაცული ნაკრძალების რეჟიმი, ამ მდგომარეობას გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოაქვს. განსაკუთრებით დიდი ზიანის მომტანია არაორგანიზებული, თვითნებური შეჭრა სამანქანო გზებიდან პარკების ტერიტორიაზე. მუშავდება ღონისძიებები პარკებისა და ნაკრძალების ტერიტორიების გასაძლიერებლად და წესების დამრღვევთა პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად.



მაგრამ მათი ექსპლუატაცია გადამჭრელი ზომების მიღებამდე უნდა
ლევ გრძელდება. საქმე ისაა, რომ ამ პარკების დასათვალისწინებლად
ჩამოსული ძირითადად უცხოელი ტურისტები იმდენ ვალუტას ტოვე-
ბენ, რომ ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 30 — 50 პროცენტს შეად-
გენს.

ნაკრძალი ტერიტორიების ფართობები განსაკუთრებით სწრაფი
ტემპებით იზრდება განვითარებად ქვეყნებში. მაგალითად, ტანზანიაში
მისი კოლონიალიზმიდან განთავისუფლების წელს (1961 წ.) მხოლოდ
ერთი ეროვნული პარკი იყო, ახლა კი უკვე 9 არის. პარკების გარდა
აქ 8 აღკვეთილია. საკმარისია ითქვას, რომ ტანზანიაში ნაკრძალი ტე-
რიტორიის ფართობი ამ ქვეყნის მთელი ფართობის 9 პროცენტს შე-
ადგენს. თუ კენიაში კოლონიზაციის პერიოდში მხოლოდ ოთხი ეროვე-
სული პარკი იყო, განთავისუფლების შემდეგ (1963 წ.) მათი რიცხვი
თერთმეტამდე გაიზარდა, აქედან ორი საზღვაოა. გარდა ამისა, არის
კიდევ 8 აღკვეთილი. მთლიანად ნაკრძალების ფართობი კენიაში შეად-
გენს მთელი ტერიტორიის 6 პროცენტს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით აფრიკაში
სულ 150 ეროვნული პარკი და მსხვილი აღკვეთილია. მხოლოდ კენიაზე
ამ საერთო რიცხვიდან მოდის 19. ეს კი ცოტა როდია.

ბერნგარდ გრიეყმა 1966 წელს მიუნჰენში გამოსცა თავისი საინ-
ტერესო წიგნი მეხუთე კონტინენტის ცხოველებისა და ადამიანების
შესახებ, რომელსაც „ავსტრალიური ეტიუდები“ უწოდა. ამ წიგნის
თარგმანი 1978 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „მისლმა“. წიგნის
წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „უკვე მრავალი წელია ვმუშაობ აფ-
რიკაში და ვცდილობ ყველაფერი ვილონო გარეული ცხოველების შე-
ნარჩუნებისათვის, რომელთაც სხვაგან ველარსად შეხვდებით. მინდა გა-
ვაკეთო ყველაფერი იმისათვის, რომ ჩვენმა შვილიშვილებმა და შვილთა
შვილიშვილებმა კიდევ იხილონ ისინი ცოცხლები. სადაც არ უნდა ჩა-
ვიდეს — საბჭოთა კავშირში, კანადაში თუ ავსტრალიაში — ადამიანე-
ბი ყველგან შეშფოთებით მგეკითხებიან, ხომ არ გაანადგურებენ აფრი-
კელები უახლოეს დროში მთელ თავის უძვირფასეს ველურ ფაუნას?
და მე ყოველთვის სიხარულით განემარტავ ამ კითხვას: არა, ახალი,
კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული სახელმწიფოების აფრიკე-
ლები არ ახადგურებენ უნიკალურ ცხოველებს. პირიქით, ისინი დაინ-
ტერესებულნი არიან იმით, რომ შეინარჩუნონ დიდი ეროვნული პარ-
კები და შექმნან ახლები. ეს ქვეყანაში მოიზიდავს სულ უფრო და უფ-
რო მეტ ტურისტს და შემოსავლის შესანარჩუნად წყაროდ იქცევა. ზოგი-
ერთ ამ ქვეყანაში კოლონიალიზმიდან თავის დაღწევის შემდეგ გარე-



ული ცხოველების დაცვის საქმეში უკვე უფრო მეტია გაკეთებულ
ვიდრე ევროპელთა მმართველობის ყველა წინა ათწლეულებში“.

კაცობრიობის წინაპრები და ელ-მოლოს ტომი

„რალაც ხომ ასწავლა თავის შვი-
ლებს დედა-ბუნებაში“.

ლოთელი

— ჯამბო! — მომესალმა დილით ჩვენი მანქანის მძღოლი ვამბუა
და ქათქათა კბილები გამოაჩინა.

— გამარჯობა! — მივესალმე ქართულად. უცნაურად მომეჩვენა
რომ სიტყვა „ჯამბო“-დან, რაც სუაპილურად გამარჯობას ნიშნავს, ხუ-
თივე ასო ჩვენს გამარჯობაში აყო მოქცეული.

ძალე ჩვენსა დელეგაციამ გეზი ნაირობისკენ აიღო.

გზასთან ახლოს ზარაგებული იყო ბაღჩები. ხშირად გვხვდებოდა
პაპაიას ხემწიფე, მომწვანო ნაყოფი, რომელიც გემოთი ნესვს ჩა-
ძოპავს. აქვე იყო მანგოსა და ავოკადოს ხეებიც.

ზანგურ სოფლებს ჩაეუარეთ და აკაციის მაღალ ხეებზე დაკიდე-
ბული სიმინდის ტაროების აკიდოები შეენიშნე.

— აჲ, და, საეროოდ, აფრიკულ სოფლებში, ძალიან მრავლადაა
ვირთხა. ისინი უმოწყალოდ ანადგურებენ აღებულ მოსავალს. ჰოდა,
ასეთი „ნაღიები“ მოიგონეს, სიმინდის ტაროებს ერთად კრავენ და კა-
ნაფის თოკებით კიდებენ მაღალი ხეების ტოტებზე. — მიპასუხეს კი-
თხვაზე.

გვიან საღამოს უკვე ნაირობში ვიყავით. ბევრი ვისეირნეთ ლამის
ქალაქში და გზადაგზა, ჩვენი მასპინძლების საშუალებით ვეცნობოდით
ამა თუ იმ ქუჩის, შენობის, პარკისა თუ ძეგლის ისტორიას.

მეორე დღე კი ძალიან გადატვირთული იყო ვიზიტებით. ვიყავით
კენიის ვიცე-პრეზიდენტ არაბ მოისთან, შევხვდით საგარეო საქმეთა
მინისტრს გ. ვაიაკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს, სოფლის
მეურნეობის, საბინაო მშენებლობისა და სპეციალური სამსახურების,
განათლების, ფინანსებისა და დაგეგმვის, ჯანმრთელობის დაცვის მი-
ნისტრებს. კენიის მთავრობის წევრები დელეგაციასთან საუბარში ხაზს
უსვამდნენ საბჭოთა კავშირის დახმარებას და მხარდაჭერას თავისუფ-
ლებისათვის ბრძოლაში და ახალგაზრდა სახელმწიფოს მშენებლობაში.
საგარეო საქმეთა მინისტრმა გ. ვაიაკიმ თქვა, რომ საბჭოთა კავშირისა
და კენიის საგარეო პოლიტიკის მრავალი საკითხი ემთხვევა ერთმანეთსო.



ისინი კმაყოფილნი იყვნენ იმ სპეციალისტებით, რომლებმაც კავშირში მიიღეს უმაღლესი განათლება.

საინტერესო იყო ვიზიტი ნაირობის მერთან, ქალბატონ მარგარეტ კენიატასთან, რომელიც კენიის პრეზიდენტის შვილია. მერმა გვიამბო დედაქალაქის ზრდის პერსპექტივებზე, კომუნალური მშენებლობის პრობლემებზე, სიამოვნებით გაიხსენა მოგზაურობა საბჭოთა კავშირში.

ამავე დღეს ჩვენი დელეგაცია დაესწრო ეროვნული ასამბლეის სხდომას პარლამენტის შენობაში, სადაც სხდომის შემდეგ სპიკერმა ფრედერიკ მატიმ სადღიო გაგვიმართა.

სალამოს კი დელეგაციის მეთაური გიორგი ძოწენიძე გამოვიდა კენიის ტელევიზიით: მან ილაპარაკა კენიაში მოგზაურობით მიღებულ შთაბეჭდილებებზე. მეგობრულ შეხვედრებზე სახელმწიფო მოღვაწეებთან და ხალხის წარმომადგენლებთან, იმ დიდ ღონისძიებებზე, რომლებსაც ატარებს საბჭოთა კავშირი მშვიდობის განსამტკიცებლად მსოფლიოში, ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელთა ჰელსინკის თათბირის დიდ მნიშვნელობაზე, საბჭოთა კავშირის სურვილზე, რომ შემდგომში კიდევ უფრო განვითარდეს ეკონომიკური და კულტურული კავშირები კენიასა და საბჭოთა კავშირს შორის, რათა კიდევ უფრო განმტკიცდეს ამ ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა.

იმავე საღამოს, მოგვიანებით საბჭოთა საელჩომ ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად გამართა მიღება, რომელსაც დაესწრნენ კენიის მთავრობის წევრები, ნაირობში აკრედიტებული მრავალი ქვეყნის ელჩები და საელჩოების თანამშრომლები. მიღება საბჭოთა ელჩმა ბორის შიროშნიჩენკომ მოაწყო საელჩოს შესანიშნავ პარკში, ღია ცის ქვეშ. სადაც მოულოდნელი წვიმის შემთხვევისათვის ვეებერთელა კარებიც იყო დადგმული.

მეორე დღეს საბჭოთა კონსულმა შემომთავაზა ნაირობში გასეირნება სუვენიერების შესაძენად. პატარ-პატარა მაღაზიების — „დიუკასების“ უმრავლესობა კერძო პირებს, უმეტესად, ინდოელებს ეკუთვნის.

ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა ვიტრინამ, სადაც გამოფენილი იყო კენიური და ტანზანიური ნიღბები, ხის ფიგურები და სხვა მრავალი წვრილმანი.

კარგა ხანს ვათვალიერებდი სპილოს ვეება ეშვებს, ანტილოპებისა და ვარეული ხარების რქებს, სხვადასხვა ტომის იარაღს, ლომების გამოყვანილ ტყავებს. ერთ კუთხეში ძუ და ხვადი ლომების საოცრად სუფთა ტყაეები ეფინა, თავების ფიტული შუშის თვალებით ისე ოსტატუ-



რად იყო გაკეთებული, ცოცხალსა ჰგავდა. განსაკუთრებით მომეწონა ხედი ლომის ტყავი, რომელსაც გრძელი ფაფარი ჰქონდა. დიუქასის პატრონი მოგვიან ლივდა და ინგლისურად იკითხა:

— მოგწონთ?

— ძალიან. განსაკუთრებით თავი.

— ეს ტყავი საკმაოდ ძვირია, — თქვა ინდოელმა, — 2500 დოლარი ღირს, მაგრამ შეიძლება მოვრიგდეთ.

— გმადლობთ, ყიდვას არ ვაპირებ.

— მოდიტ, რა გაჩვენოთ... — თქვა ინდოელმა და დახლში შევიდა. შუშაზე ლურჯი ფერის გამჭვირვალე კრისტალი დადო და კმაყოფილებით გაიღიმა.

— რა არის ეს?

— ტანზანიტი. ახალი ძვირფასი თვალია, ამ რამდენიმე წლის წინ აღმოაჩინეს ტანზანიაში. ბრილიანტზე ძვირია.

— რა ღირს?

— 23 ათასი დოლარი

— არ ყოფილა იაფი.

ჩვენ ცოტა ხანს კიდევ ვათვალიერებდით აფრიკის ამ მდიდარ კონტინენტს და ის იყო გასასვლელისაკენ გავეშურეთ, რომ ინდოელმა კონსულს უხმო და საუბარი გაუბა. მე კიდევ ერთხელ შევაველე თვალი ნადირთა მეფის ტყავს და ქუჩაში გამოვედი. მალე კონსულიც შემომიერთდა.

— რა უნდოდა?

— ჯერ 1800 დოლარამდე ჩამოვიდა, მერე 1500-მდე, — ხარხარებდა ხარტოვი და მეც აყვიერი.

— მერე და რა უთხარი?

— ეგ ისეთი ქვეყნიდან არის, ლიცენზიის შეძენა ურჩევნია, თვითონ მოკლავს ლომს და ტყავსაც წაიღებს-მეთქი.

— დაიჯერა?

— რატომაც არა, მხოლოდ ის მითხრა, უფრო ძვირი დაუჯდებაო. მერე მკითხა, რომელი ქვეყნიდან არისო; როცა საქართველო ვუხსენე, ასეთი ქვეყანა არ გამიგიაო. ისიც ვუთხარი, იმ ქვეყანაში ხელით ახრჩობენ ლომებს და ვეფხვებს-მეთქი, და კარგი ხუმრობა გცოდნიაო, მიპასუხა.

კვლავ ხარხარი აგვიტყდა.

— ერთი პატარა დიუქასის პატრონი მყავს ნაცნობი, კარგი სუვენირები აქვს, მოგეწონება.

გზა განვაგრძეთ. ის მალაზია სულ პაწაწკინტელა იყო. მეპატრონე



დახლზე თვლემდა. სამაგიეროდ, აქ იმდენი ეროვნული სუვენირი ეწყობო
ფუნესრიგოდ, რომ ფეხს ვერ გადაადგამდი. ერთი კუთხე მასაის ტომის
საბრძოლო შუბებით იყო საესე.

— აი, ამ შუბებით ნადირობდნენ ისინი ლომებზე. ახლა აღარ
სჭირდებათ და ინდოელები ყიდულობენ მათგან, შემდეგ კი უფრო
ძვირად ყიდიან ტურისტებზე.

შევიძინე ხის პატარა სპილო. კენიელი მხატვრის, სანგალის ნახა-
ტი „ქალი კალებასით“, ხოლო შუბი სინანულით მივაყუდე ადგილზე
და გამოვბრუნდი.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კენიიდან გამომ-
გზავრების დღეს სასტუმროში სწორედ ის შუბი მომიტანეს, მე რომ
შომეწონა.

— ძალიან მოგეწონა და ვინ იცის, მოხვდები თუ არა კიდევ რო-
დისმე კენიაში, ეს შუბი კი აქ მოგზაურობას გაგახსენებსო. — შითხ-
რა ნარტოვმა.

მართლაც ასეა, მიკიღია ჩემი სამუშაო ოთახის კედელზე ნარტო-
ვის ნაჩუქარი მასაის შუბი, კენიური ნიღბები და ყოველ შეხედვაზე
მახსენდება კენია, მისი ნაქრძალები და ხალხი, მახსენდება საბჭოთა
საელჩოს მუშაკები, გულდაწყვეტით წარმომიდგება თვალწინ გიორგი
ძორენიძე, ჩემი მასწავლებელი, ხელმძღვანელი და უფროსი მეგობარი,
რომელმაც თითქმის ნახევარი მსოფლიო შემომატარა. ბევრი რამ
ვისწავლე ამ კაცური კაცისაგან, დიდი მეცნიერისა და სახელმწიფო
მოღვაწისაგან 10 წლის უახლოესი თანამშრომლობით...

ჩემთვის, როგორც გეოლოგისა და სპელეოლოგისათვის განსაკუთ-
რებით საინტერესო იყო ნაირობის მუზეუმში გამოფენილი „კაცობრი-
ობის წინაპართა“, პირველი აფრიკელების თავის ქალებისა და იარაღე-
ბის ნახვა, რაზეც უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში მრავალი
სენსაციური წერილი გამოქვეყნდა მსოფლიოს გაზეთებსა და
ჟურნალებში. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება
ორიოდ სიტყვას თუ ვიტყვით მათი აღმოჩენის ისტორიასა და დიდ
მხიშველობაზე.

კენიის ჩრდილო ნაწილში, ეთიოპიის საზღვართან მდებარეობს
რუდოლფის ტბა, რომელსაც უერთდება მდ. ომო, სამხრეთით კი. ტან-
ზანიაში, ეიასის ტბის მახლობლად ოლდუვაის ხეობაა. ამ ადგილებში
წარმოებულმა გათხრებმა ჩვენი საუკუნის 50 — 60-იან წლებში სენ-
საცია მოახდინა არქეოლოგიასა და პალეოანთროპოლოგიაში. რა
აღმოჩენები იყო და რამ აალაპარაკა მსოფლიოს მეცნიერული საზო-
გადოებრიობა?

1959 — 60 წლებში ოლდუევის ხეობაში მუშაობდა ცნობილი ინგლისელი პალეონტოლოგი და არქეოლოგი ლუის ლიკი თავის მეუღლე არქეოლოგ მარი ლიკისთან ერთად. გათხრებისას მათ აღმოაჩინეს ქვის იარაღები და ადამიანის ძვლები. არსებას, რომელსაც ეს ძვლები ეკუთვნოდა ლიკიმ უწოდა „პომო ჰაბილისი“, ანუ ხელმარჯვე ადამიანი.

ოლდუევის ხეობის ამგები ქანები ვულკანური წარმოშობისაა და ამიტომ შესაძლებელი გახდა რადიოიზოტოპური მეთოდების გამოყენებით იმ ქანების ასაკის დადგენა, რომლებიც განმარხებულ ძვლებს და ქვის იარაღებს შეიცავდნენ. და სწორედ აქ იწყება სენსაციამ გამოიკვეა, რომ „პომო ჰაბილისი“ აქ ცხოვრობდა 2 მილიონი წლის წინ. სენსაცია იმაში მდგომარეობდა, რომ მანამდე უძველეს ადამიანებად მეცნიერები თვლიდნენ პითეკანთროპებს და სინანთროპებს, რომლებიც ცხოვრობდნენ 800 — 400 ათასი წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო ძველი ქვის ხანის — პალეოლითის ადრეულ კულტურად მიჩნეული იყო ე. წ. შელის კულტურა. აქვე, ამავე ხეობაში აღმოჩნდა შელის კულტურაზე უძველესი კულტურა, უფრო ძველი მთელი მილიონი წლით! ამ კულტურას ოლდუეაიური უწოდეს, მაგრამ სენსაცია ამით არ დამთავრებულა...

1967—1971 წლებში, ეთიოპიის სამხრეთით, რუდოლფის ტბაში ჩამდინარე მდ. ომოს ხეობაში მუშაობდა ამერიკელ, ფრანგ და კენიელ მეცნიერთა საერთაშორისო ექსპედიცია, რომელმაც აღმოაჩინა ოლდუევის კულტურის ქვის იარაღები. გამოიკვეა, რომ მათი ასაკი 2 მილიონ 100 ათასი წელი იყო. ე. ი. ამ იარაღების ავტორები „პომო ჰაბილისზე“ ადრე ცხოვრობდნენ. სამწუხაროდ, მათი ნაშთები ვერ ნახეს.

1968 წელი. კენიაში რუდოლფის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე იწყება მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი არქეოლოგიური გათხრები, რომელთაც ხელმძღვანელობს ლუის ლიკის შვილი რიჩარდ ლიკი. იგი ღირსეულად აგრძელებს მამის საქმეს და 9 წლის მანძილზე დაყინებით ეძებს კაცობრიობის წინაპარს და პოულობს კიდევ. 1972 წელს, გარდა უამრავი ქვის იარაღისა, რომელთა ასაკი 2 მილიონ 600 ათასი წელია, ლიკი უმცროსი პოულობს მაღალგანვითარებული არსების თავის ქალასაც. ეს იყო არქეოლოგიურ-ანთროპოლოგიურ ისტორიაში ყველაზე დიდი სენსაცია. ადამიანის წინაპარი ცხოვრობდა აღმოსავლეთ კენიაში 2 მილიონ 800 ათასი წლის წინათ. მისი ტვინის მოცულობა იყო 800 სმ³, თითქმის იმდენივე, რაც ჰქონდა პითეკანთროპს კუნძულ იავადან, რომელიც 2,5 მილიონი წლით უფრო გვიან მოევილინა ქვეყანას.

ეს ფრიალ დიდი და საინტერესო აღმოჩენი ბოლომდე არ არის



შესწავლილი. ის კი ცხადია, რომ ტენის მოცულობით, რეგიონალური ტბის პირას თითქმის 3 მილიონი წლის წინ მცხოვრები ადამიანის მკვდარი იძლება ყველაზე უძველესი იყოს პლანეტაზე.

ამ ცოტა ხნის წინათ კი კვლავ აღმოსავლეთ აფრიკაში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ეთიოპიაში, აღის-აბების ჩრდილოეთით 600 კმ-ის და შორებით, შდ. ავაშის ხეობაში, ჰადარში ამერიკელ, ფრანგ და ეთიოპიელ მეცნიერთა ერთობლივმა ექსპედიციამ აღმოაჩინა რამდენიმე ჩოხჩხის ხაშთი. აღმოჩენთა ვარაუდით, ეს ჩოხჩხებიც წინაპრებისაა, რომლებიც 3 — 4 მილიონი წლის წინ ცხოვრობდნენ.

თითქოს მართლდება ჩარლზ დარვინის წინასწარმეტყველება, რომ ადამიანი (თუ უძველეს დროზე ვიტყვი) ალბათ, მაინც აფრიკაში გაჩნდა. დისკუსიები არ ცხრება. გათხრები ეთიოპიასა და რუდოლფის ტბის პირას გრძელდება. უნდა ველოდოთ ახალ აღმოჩენებს, რომლებიც ნათელს მოჰფენენ კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟს... როგორც აინჰტაინი ამბობდა: „...მეცნიერება არ არის და არც იქნება როდისმე დამთავრებული წიგნი. ყოველ მნიშვნელოვან წარმატებას თან ახლავს ახალი კითხვები“, ხოლო მაქსველი წერდა, რომ „კაცობრიობის ათვის კვლევათა ჭეშმარიტი თემა ადამიანია“...

საოცარია, მაგრამ სულ ათიოდე წლის წინ კენიაში, ნაირობიდან საათნახევრის საფრენზე, ტურკანის ტბის პირქუშ ნაპირებზე ცხოვრობდა „ქეისხანელთა“ ტომი ელ-მოლო. ეს სიტყვა იმ ტომთა დიალექტზე, რომლებიც ტურკანის ტბის ნაკლებად შესწავლილ მიდამოებში სახლობენ, ნიშნავს „გაუბედურებულებს“ ან „გასაცოდავებულებს“. პირველად ელ-მოლოს ტომი უნახავს ორ ევროპელ მოგზაურს 1888 წელს. ტომის მამაკაცების ჯგუფი ტივებიდან პრიმიტიული სამთითებით იჭერდა თევზს. ეს ტომი ქეიშაში გათხრილ მიწურებში ცხოვრობდა. ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში ელ-მოლოს ტომი სულ 75 კაცს ითვლიდა. ყველა მათგანს კუჭი ჰქონდა დაავადებული, ბავშვებს კი რაქიტი ასახიჩრებდა. ქრონიკული უჭმელობით დასაპყრებულ, გამოფიტულ ქალებს იმის თავიც არა ჰქონდათ, რომ ბავშვებისათვის ძუძუ ეწოვებიათ. მეცნიერებს უკვე აღარ ეეჭვებოდათ, რომ ელ-მოლოს ტომი სულ მალე აღიგვებოდა მიწისაგან პირისა. და აი, სასოწკავითელმა უხუცესებმა შეკრიბეს ტომის ყველა წევრი და გადაწყვიტეს თავიანთი მცირერიცხოვანი წვრილფეხა პირუტყვი გაეცვალათ სხვა რომელიმე ტომის ჯანსაღ და ლამაზ ქალიშვილში. ასეც მოიქცნენ. იყიდებ ქალიშვილი შედარებით ჯანმრთელი სამხურუს ტომისაგან და ცოლად შერთეს ელ-მოლოს ტომის ყველაზე ჯანმავარ ჭაბუკს. ამ ქორწინებას სხვებიც მოყვა და ტომი გადაურჩა დაღუპვას.

რამდენიმე წლის წინ კენიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მეთევზეობის მეურნეობის შექმნის თაობაზე ტურკანის ტბის მიდამოებში. ამის მიზანი გადაშენების პირას მისული ტომის შენარჩუნება იყო. ეს ტომი უზრუნველყვეს ნავებით, ბადეებით; სხვა თევზსაჭერი მოწყობილობით. მათთან სისტემატურად ჩააქვთ სიმინდი, რძის ფხვნილი. საკვები კონცენტრატები. ელ-მოლოს ტომი ნელა, მაგრამ მაინც მრავლდება...

ერთ დღეს კენიის შორეული წარსულიდან გადმოვიცინაცვლე თანამედროვეობაში. ამ ქვეყნის კულტურას ღრმა კვალი დააჩნინეს ინდოელებმა. ახლაც კი კენიის მთელი კერძო ვაჭრობა, და არა მარტო წვრილი ვაჭრობა, ინდოელების ხელშია. საიდან და როგორ მოხვდნენ აქ ისინი?

კენიაში, და საერთოდ, აღმოსავლეთ აფრიკაში ბევრი ინდოელი ცხოვრობს. უძველესი დროიდან ინდოეთს და აღმოსავლეთ აფრიკას სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა. პირველი ცნობები დასავლეთ ინდოეთსა და აღმოსავლეთ აფრიკის ხალხების სავაჭრო ურთიერთობის შესახებ პირველი საუკუნიდან მოდის. მარკო პოლო მე-13 საუკუნის მიწურულისათვის აღნიშნავს მალაბარის ხომალდების შესვლას მადაგასკარისა და ზანზიბარის ნავსადგურებში. XV საუკუნეში, როდესაც პორტუგალიელთა ხომალდები ვასკო და გამას წინამძღოლობით აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროებს ეწვივნენ, მოგზაუბრებმა ნახეს რამდენიმე ინდოელი ვაჭარი. მათ ინდოეთიდან ჩამოჰქონდათ ბრინჯი, ხორბალი, ერბო, შაქარი, სანელებლები, ქსოვილები და ცვლიდნენ სპილოს ძვალში, ოქროში, შავ ხეში, ქოქოსის კაკალში, მონებში. მაგრამ მონებში ვაჭრობა არასოდეს ყოფილა ინდოელ ვაჭართა ძირითადი წყარო.

როდესაც 1890 წელს აღმოსავლეთი აფრიკა ინგლისმა და გერმანიამ გაიყვეს, აქ მთელი ვაჭრობა ინდოელთა ხელში იყო გასული საუკუნის 80-იან წლებში კენია-უგანდის რკინიგზის მშენებლობა დაიწყო. მუშახელის ნაკლებობის გამო ინგლისის აღმოსავლეთ აფრიკის საიმპერატორო კომპანიამ ხელშეკრულება დადო ინდოეთის მთავრობასთან ინდოელთა დასაქირავებლად. ეს ხელშეკრულება ათვალისწინებდა შემდეგს: თითოეულ ინდოელ ემიგრანტს კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ უნდა ჰქონოდა არჩევის უფლება — ან გაეგრძელებინა კონტრაქტი, ან დაბრუნებულიყო სამშობლოში, ან კიდევ დასახლებულიყო აღმოსავლეთ აფრიკაში.

1896 — 1901 წლებში ინდოეთიდან 32 ათასი მუშა ჩამოვიდა. აქედან, სამუშაოების დამთავრების შემდეგ 6,5 ათასი კაცი მუდმივად

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში აღმოსავლეთ აფრიკის სანაპიროზე მცხოვრებ ბანტუს ხალხს და ზანზიბარის, პემბას, მაფიას კუნძულების ტომებს გაცხოველებული კონტაქტები ჰქონდათ აქ გადმოსახლებულ ინდოელებთან, არაბებთან, სპარსელებთან. ამ კონტაქტებისა და აგრეთვე მონებთან ურთიერთობის შედეგად, რომლებსაც არაბი მონათვაპრები მიერ ეკებოდნენ ცენტრალური აფრიკიდან სანაპიროებისაკენ, თანდათან ჩამოყალიბდა ხალხი „სუაპილი“ თვით ეს სიტყვა წარმოშდგარია არაბულიდან — „საჰელ“, რაც ნაპირს ნიშნავს, სუაპილს კი უწოდებდნენ „სანაპიროზე მცხოვრებ ხალხს“. ამჟამად ეს ხალხი ერთ მილიონამდეა, მაგრამ სუაპილის ენაზე (კისუაპილზე) ორმოც მილიონზე მეტი კაცი ლაპარაკობს კენიაში, ტანზანიაში, უგანდაში, აღმოსავლეთ კონგოში, ზანზიბარზე.

კენიაში სახელმწიფო ენებია ინგლისური და სუაპილი. ამ უკანასკნელზე კენიაში იბეჭდება ყოველკვირეული გაზეთი „ბარაზა“ („კონფერენცია“), რომელიც 1939 წელსაა დაარსებული: ჟურნალი „აფრიკა ია კეშო“ („აფრიკის მომავალი“); ჟურნალი „ლენგო“ („მიზანი“) და სხვა. უფრო მეტი იბეჭდება ინგლისურ ენაზე. ნაირობში გამოდის აგრეთვე გაზეთი გუჯარათულ ენაზეც. 1963 წელს ნაირობში შეიქმნა აღმოსავლეთ აფრიკის მეცნიერებათა აკადემია.

საინტერესო იყო ახალგაზრდა, დამოუკიდებელი კენიის ლიტერატურის პირველი ნაბიჯები. აქაური მწერლების დიდი ნაწილი, თავისუფლებით ფრთაშესხმული, უფრო ღრმად ჩაწვდა მშობლიური ხალხის სულისკვეთებას, მთელი თავისი შემოქმედება ტრადიციულ, ხალხურ ფესვებზე აღმოაცენა და აღიარება მოიპოვა არა მარტო კენიაში, არამედ მთელ ზანგურ აფრიკაში და მის ფარგლებს გარეთაც.

საგულისხმო იყო ცნობილი აფრიკელი მწერლის ეზეკაილ მპამლელეს ინტერვიუ, რომელიც მან ნაირობის გაზეთ „ისტ აფრიკენ სტანდარდის“ კორესპონდენტს მისცა. იგი ამბობდა, რომ აფრიკელი მწერლების წინაშე დადგა ორი საშიშროება: ერთია სრული მორჩილება დასავლეთის კულტურისადმი, მეორე — ხალხური შემოქმედების ტრადიციულ, „მუმიფიცირებულ“, ერთ წერტილზე გაყინული ნიმუშების ბრმა წაბაძვა. ამ ორივე საშიშროებას უნდა ვერიდოთ, ამბობდა მწერალი და განმარტავდა, რომ ტრადიციული მასალისადმი მხოლოდ შემოქმედებითი მიდგომა აძლევს მწერალს საშუალებას თქვას თავისი სათქმელი. ამ ინტერვიუში მპამლელემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი აფრიკელი მწერლების ურთიერთობას მკითხველებთან: „მე არ მიყვარს ისეთი ნაწარმოებების კითხვა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ინტე-



ლექტის თამაში მგონია. აუცილებელია მკითხველებთან მუდმივი კავშირი
თიერთობა“...

1967 წელს ნაირობის მახლობლად მდებარე ტიკას უმაღლეს სკო-
ლას დაუდგამს გოგოლის „რევიზორი“. ამავე წლის 7 აპრილს „ისტ
აფრიკენ სტანდარდში“ გამოქვეყნდა სპექტაკლის რეჟისორის ინტერ-
ვიუ, რომელშიც ამ პიესის შერჩევის მიზეზად მექრთამეობას ასახელებ-
და. ასეთები თანამედროვე აფრიკის ცხოვრებაშიც გვხვდებიან. გაზე-
თის მტკიცებით, ამ სპექტაკლს პოლიტიკური „ობერტონი“ ჰქონია,
რადგან იგი შეიცავდა სატირას პატარა ქალაქის ცხოვრებაზე, სადაც
გამეფებული იყო ადგილობრივი ადმინისტრაციის კორუფცია.

1967 — 1969 წლებში კენიაში, უგანდაში, ტანზანიაში, ბურუნ-
დიში და რუანდაში მუშაობდა საბჭოთა გეოლოგიურ-გეოფიზიკური
ექსპედიცია, რომელიც იკვლევდა აფრიკის დიდ გრაბენებს და ადგენ-
და გეოლოგიურ-ტექტონიკურ რუკებს. საბჭოთა მეცნიერთა გამოკვლე-
ვებს და დასკვნებს მაღალი შეფასება მისცეს აფრიკის სახელმწიფო-
ების გეოლოგიურმა სამსახურებმა და აღმოსავლეთ აფრიკის უნივერ-
სიტეტმა. ამავე დროს ეს იყო დიდი წვლილი მსოფლიო მეცნიერებაში
დედამიწის ზედა მანტიის შესწავლის საერთაშორისო პროექტის გან-
ხორციელებაში...

...ჩვენს ქვემოთ კვლავ ვიქტორიის ტბა იყო გადაშლილი. თითქმის
ერთ საათს მივფრინავდით ენტეპეს აეროდრომამდე. დავეშვით თუ
არა, მაშინვე შევნიშნეთ აეროვაგზალთან საპატიო ყარაული, მომღე-
რალ-მოცეკვავეთა გუნდები, უამრავი მანქანა და პოლიცია. ყველაფე-
რი ისევე მეორდებოდა, როგორც აქეთობისას.

— გენერალმა ამინმა გადაუღებელი საქმეების გამო ვერ შეძლო
დახვედრა და გთხოვთ ეწვიოთ რეზიდენციაში, — უთხრა გიორგი
ძოწენიძეს პოლკოვნიკმა საბუნმა.

დაუკრეს ჰიმნები, საპატიო ყარაულმაც ჩაიარა და გავედით აერო-
ვაგზლისწინა მოედანზე, სადაც საბჭოთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტს
უგანდის პრეზიდენტის მანქანა და მოტოციკლეტისტთა საპატიო ესკორ-
ტი ელოდებოდა.

პრეზიდენტის მანქანა დაიძრა და ჩვენც გავყევით. პრეზიდენტის
რეზიდენცია სულ ახლოს ყოფილა და მალე შევედით შესანიშნავ პარ-
კში, რომლის სიღრმეშიც ხის დიდი შენობა იდგა. შესასვლელთან საპა-
ერო მედესანტის ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილი ვეებერთელა კა-
ცი დაგვხვდა, რომელიც პრეზიდენტის მცველი მეგონა. მაგრამ, როდე-
საც მან უზარმაზარი ხელები გაშალა და ღიმილით გაემართა ჩვენს

დელეგაციის მეთაურისკენ, მივხვდი, რომ ეს იყო უჯანდის პრეზიდენტი გენერალი ილი ამინ დადა, წარსულში მძიმე წონის მოკრივე. პრეზიდენტი შეგვიძღვა ხალიჩებით მორთულ დიდ დარბაზში და დაიწყო საუბარი.

— დილით დავრეკე ჩემს მეგობარ ჯომო კენიატასთან და გავიგე, რომ უკვე გქონდათ დღეს შეხვედრა მასთან.

— დიახ, ამ დილით ვესაუბრეთ კენიის პრეზიდენტს.

— როგორი შთაბეჭდილებები დაგრჩათ მოგზაურობიდან?

— შესანიშნავი. მშრომელი ხალხია, მთავრობა ბევრს აკეთებს იმისათვის, რომ ხალხმა უკეთ იცხოვროს.

— ნაკრძალებში იქნებოდით ალბათ.

— დიახ, თქვენს ქვეყანაში, ტანზანიასა და კენიაში ძალიან კარგი ეროვნული პარკებია.

— ჩვენ ვამაყობთ ამით.

საუბარი ძალდაუტანებელი იყო და უმნიშვნელო საკითხებს ეხებოდა. ამინი ზშირად იცინოდა. მაგრამ უცბად სერიოზული სახე მიიღო, გაბრაზებულიც კი და თქვა:

— აფრიკის ქვეყნების ზოგიერთი ლიდერი ჯეროვნად ვერ აფასებს თქვენი სახელმწიფოს მეგობრულ დახმარებას და სამშვიდობო პოლიტიკას.

უჯანდის პრეზიდენტს მხედველობაში ჰყავდა სადათი, რომელიც სწორედ იმ ხანებში პრეზიდენტ ფორდთან იმყოფებოდა.

ილი ამინი განაგრძობდა:

— მე თქვენი ქვეყნის დიდი მეგობარი ვარ. ვერასოდეს დავივიწყებ იმ დიდ ზრუნვას, რასაც საბჭოთა მთავრობა იჩენს ჩვენს მიმართ. ჩვენ ვკიცხავთ აფრიკის ქვეყნების ზოგიერთ მეთაურს, რომელიც მადლობის მაგივრად ზურგს აქცევს საბჭოთა კავშირს და სიკეთეს ივიწყებს... — აქ პრეზიდენტმა ისეთი მაგარი სიტყვები იხმარა სადათის მიმართ, რომ თარჯიმანსაც გაუჭირდა მათი თარგმნა.

გამოთხოვებისას ილი ამინმა გიორგი ძოწენიძეს სთხოვა:

— გადაეცით ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელებს. ჩვენ ვემსახურებით ერთ საერთო საქმეს, სოციალიზმს და ყოველდღიურად ვგრძნობთ მათ დიდ მხარდაჭერას აფრიკის ახალგაზრდა, განვითარებადი სახელმწიფოებისადმი.

შემდეგ, კი, უკვე კარებში, დაუმატა:

— ჩემი ვაჟიშვილები საბჭოთა კავშირში სწავლობენ. თუ ხმას მიაწვდნენ, მადლობელი ვიქნები.

პრეზიდენტმა გაგვატარა ბაღში, შენობას შემოვუარეთ და მაღალი

ხეების ჩრდილში ჩვენს შესაგებებლად წამომდგარი ოთხი კაცი გაგ-
ვაცნო. ეჭვიანულნი გიგლინიციელები

— ესენი აფრიკის ქვეყნების ხელმძღვანელები არიან, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ თათბირზე...

მალე ჩვენი თვითმფრინავი ჰაერში იყო. უკანასკნელად გადავხედე ვიქტორიის ტბას, ეკვატორული აფრიკის ჭუნგლებს. მივფრინავდით ჩრდილოეთით, თეთრი ნილოსის დინების მიმართულებით, ხართუმისაკენ, შემდეგ გეზი კაიროსა და სამშობლოსაკენ ავიღეთ.

ეგზოტიკურია აფრიკის ჭუნგლები, კენია და უგანდა, ნაკრძალები, ვიქტორიის ტბა, მაგრამ სამშობლოსკენ ყველას მოგვიჩქაროდა. ჩემს გვერდით, თვითმფრინავის კუთხეში, მიყუდებული იყო კარგად შეფუთული მასაის საბრძოლო შუბი, ჩემოდანში სათუთად მქონდა შენახული ფლამინგოს ფრთა, ხის პატარა სპილო და ტამტამებზე დამკვრელი ზანგთა ფიგურები, რომლებიც ყოველთვის გამახსენებენ ამ ძალზე საინტერესო მოგზაურობას აღმოსავლეთ აფრიკაში, განუმეორებელი კონტრასტების ქვეყანაში...

MUY LINDO* არგენტინისაკენ

მიშქრის გაუჩო, ფაფარს მიკრული,
მიფრინავს ლასო, ისმის კიფინა...**

რამონ დელ ვალე-ინკლანი

არგენტინისკენ გამგზავრების დღეს ამ ქვეყნის ელჩმა მოსკოვში საუბრე გაგვიმართა. თბილ, მეგობრულ საუბარში მოკლედ გავაცნო მან თავისი ქვეყნის თანამედროვე ცხოვრების ზოგიერთი ძირითადი მხარე და იმედი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირის პირველი საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი მის სამშობლოში უდავოდ შეუწყობდა ხელს საბჭოთა კავშირსა და არგენტინას შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას...

იღმა 1974 წლის დეკემბრის სუსხიანი საღამო. ილ-62 მოწყდა შერემეტიევოს აეროდრომის საფრენ ბილიკს და გეზი სამხრეთ-დასავლეთით აიღო...

* მშვენიერი (ესპ.).

** მ. კვიციანი-საგუნის მიერ ესპანურიდან რუსული თარგმანი ჩემს მიერაა დადმოქართულებული — თ.კ.



გაცდით სამშობლოს საზღვრებს, გადაეუფრინეთ პოლონეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას და მაინის ფრანკფურტის აეროდრომზე დაეშვიტ. ჩვენი ვეება თვითმფრინავი სულ ახლოს მიგორდა აეროვაგზლის შენობასთან, საიდანაც ავტომატურად გამოიჭიმა გოფრირებული გვირაბი და თვითმფრინავის კარს მჭიდროდ მიეკრო. ამ გვირაბით გავედით მოსაცდელ დარბაზში, სადაც ჩვენს მეტი არაფერი იყო. ცოტა მოგვიანებით ოფიციალტმა ცივი და გემრიელი ლუდი შეიძინა. დარბაზს ირგვლივ გამჭვირვალე მინის კედლები ეკრა და კარგად მოჩანდა აეროდრომიდან საერთო დარბაზში შესასვლელი. ძგზავრები გახუჭყვეტელ ხაკადად შემოდინდნენ აეროვაგზლის შენობაში; სათითაოდ უხდა გამოეელოთ ვიწრო დერეფანში, რომლის ბოლოშიც დაბალი, ჩასუქებული მოხელე გულმოდგინედ ჩხრეკდა მათ. აი, მაღალი, ხმელი მამაკაცი, შავი, დაკეცილი ქოლგა-ხელკოხით. მოხელე მას ხელებს შალა აწევიენებს და სხეულზე ჩოვანის მსგავს ხელსაწყოს უტარებს. კაცი დგას, უხერხულად იღიმება. ხელემაწეული უფრო მაღალი ჩანს მის წინ მოფუსფუსე საქმიანი მოხელის ფონზე და დონკიხოტსა და სანჩო-პანსას ჰგვანან.

თურმე ადვილი არ არის დასავლეთ გერმანიის ამ დიდ ქალაქში შეღწევა. თვალთვრებაში საათზე მეტი გადის და თვითმფრინავში გვიხმობენ. მაინის ფრანკფურტის შემდეგ მაროკოს დედაქალაქ რაბატში უნდა შევივინოთ. ჩრდილოეთ იტალიის თუ ხმელთაშუა ზღვის თავზე სტიუარდესები ვაშშით გვიმასპინძლებიან.

ილუმინატორში მხოლოდ სიბნელე მოჩანდა. ღამის პირველი საათი იყო, როცა დაშვება დავიწყეთ და მალე გამოჩნდა გაჩირადნებული რაბატი. მომეჩვენა, რომ პირდაპირ ქალაქში ვეშვებოდით, რადგან აეროდრომში სალიეა სულ 7 კილომეტრით ყოფილა დაშორებული. დაგვხვდნენ საბჭოთა ელჩი, საელჩოს რამდენიმე თანამშრომელი, ბედუინებით გამოწყობილი და ფლოსტებში შიშველფეხებწყაყოფილ მაროკოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი.

გრილი ნიავი უბერავდა და საოცრად ყვითელი ფერის ნისლი ძოჰქონხდა ოკეახიდან. შეგვიპატიყეს საპატიო სტუმრების დარბაზში, სადაც გავვიმასპინძლდნენ მაროკოს განთქმული ხილით. ხონჩებზე ეწყო ფორთოხალი, მანდარინი, ყურძენი, ბანანი (დეკემბერში!).

აქაც ერთი საათი დავყავით და ღამის 2 საათზე ადგილობრივი დროით ჰავანისაკენ ავიღეთ გეზი. ქვევით ატლანტის ოკეანეა, რომლის თავზეც 10 საათი უნდა ვიფრინოთ. ვისაც ოკეანეზე პირველად გადაუფრენია, დამეთანხმება, რომ ამ დროს უცნაური განცდა გეუფლება. მიფრინავ. ოკეანეზე, რომელიც მხოლოდ რუკაზე და კინოში გინახავს,



სადღაც აქ იყო თითქოს ატლანტიდა; ალბათ, ამავე კურსის მხარეა არა ჰაერში და არც ასე სწრაფად მიდიოდნენ ამერიკის კონტინენტისაკენ ბასკების, ვიკინგების, კოლუმბისა და ვესპუჩის, კონკისტადორების ზომალდები...

ოდნავ ირიქრაქა თუ არა, ილუმინატორიდან გავიხედე. შორს ათასფრად აჭრელებული ჰორიზონტი მოჩანდა, რომელსაც შავი ცა ეფარა. რერიხისა და კუინჯის ფერთა ურთიერთშეხამება ისე ძლიერი და შთაბეჭდიანი იყო, რომ თვალს ვერ ვაშორებდი. მალე გათენდა და ჩვენს ქვემოთ ბაჰამის ამწვანებული კუნძულები გამოჩნდა. სადღაც მარჯვნივ მოვიტოვეთ ფლორიდის ნახევარკუნძული სახელგანთქმული მაიათ.

დილის 7 საათზე ადგილობრივი დროით კუბის აზურმუხტებული შთაგორები და ველ-მინდვრებიც დავინახეთ და ჰავანაში დავეშვიო. თვითმფრინავიდან გამოსვლისთანავე მზის სიმბურვალე ვიგრძენით. რამდენიმე საათი დრო გვქონდა და ელჩმა ჰავანას დათვალიერება შემოგვთავაზა. შანქსებში გავნაწილდით და გავემგზაურეთ. მე მოვხვდი შუახნის მაღალ კაცთან, რომელიც შესანიშნავად ატარებდა მანქანას და როცა ქართულად მომმართა, გამიკვირა:

— ქართველი ვარ, გიორგი გვირაძე, აქ გენერალურ კონსულად ვმუშაობ, — მითხრა და დაუმატა. — მანამდე ვმსახურობდი არგენტინასა და ბრაზილიაში.

- რამდენი წელია საზღვარგარეთ მსახურობთ?
- თხუთმეტი.
- არ დაგვიწყნიათ ქართული?
- რა დაძავეწყებს! მხოლოდ ეგაა, ზოგიერთი სიტყვის გახსენება მიჭირს ხოლმე.

ესეც ჰავანა, ოკეანგალმა რევოლუციის დედაქალაქი, ჰემინგუეის სათაყვანებელი ქალაქი.

— აი, სწორედ ამ სანაპიროდან გადიოდა ერნესტი ზლვაში სხვა მეთევზეებთან ერთად თევზჭერის შეჯიბრზე.

შესანიშნავი შენობები, განიერი ქუჩები და საოცარი სიმწვანე, აქვე კი მზით აელვარებული ოკეანე... ვჩერდებით ხოსე მარტის ძეგლთან...

აი კუბის მეცნიერებათა აკადემიაც. მემამყება, რომ ქართველ გეოგრაფებს დიდი წვლილი აქვთ შეტანილი თავისუფლების კუნძულის გეოგრაფიულ შესწავლაში. უფრო მეტიც, აკადემიკოს კ. დავითიას 9 წლის წინ მიენიჭა ჰავანაში კუბის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანადამაარსებლის ტიტული. წლების მანძილზე ქართველი გეოგრაფებ

მისი ხელმძღვანელობით მუშაობდნენ კუბაზე და აქტიურად მონაწილეობდნენ კომპლექსურ გეოგრაფიულ კვლევებში, რაც შემდგომ კუბის ეროვნული ატლასის გამოცემაში გამოიხატა. ატლასის მომზადებასა და გამოცემაში მონაწილეობისათვის, კუბის გეოგრაფიის ინსტიტუტის შექმნისათვის თ. დავითაია დააჯილდოვეს ამ ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის დიდი ოქროს მედლით, ხოლო 1973 წელს მიენიჭა სსრკავშირის სახელმწიფო პრემია. თ. დავითაიასთან ერთად კუბაში კვლევებს ატარებდნენ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებიც.

ასეთი საუბარი გვექონდა კუბაში ქართველ საბჭოთა კონსულთან... დამშვიდობება, კვლავ თვითმფრინავი, კუბის თამბაქოსა და შაქრის ლერწმის პლანტაციების შემდეგ ოკეანე ჩახჩახა მზის სხივებში აელვარებული.

ანდები, ინკები და კონკისტადორები

„გიგანტური მთიანი ბარიერი, რომელიც თავისი განსაკუთრებული სიცოცხლით ცხოვრობს, დას ასვამს არა მარტო სამხრეთ ამერიკის მთელ ბუნებას, არამედ დასავლეთ ლათინური ამერიკის რესპუბლიკების ეკონომიკასაც“.

გ. ბ ე ლ ო ს ე ლ ს კ ა ი ა

ილუმინატორში პანამის ყელი გამოჩნდა. დავინახეთ ნავთობის ვებერთელა ცისტერნები, პატარა ქალაქები და მალე თვით პანამასაც გადავუფრინეთ. აქ, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის გასაყარზე 1519 წელს დაუარსებიათ ესპანელებს ეს ქალაქი.

ჩვენ წყნარი ოკეანის თავზე ვართ და ნელა ვუახლოვდებით ანდების უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ განშტოებას — დასავლეთის კორდილიერას. სანაპიროზე მოჩანს ჯერ ესმერალდა, შემდეგ გუიაკილი; გადავუფრინეთ ეკვატორს. როდესაც ხომალდით ჰკვეთენ ეკვატორს, გემბანზე დიდი დღესასწაული იმართება ხოლმე; ეს საყოველთაოდ ცნობილია. ისიც ვიცი, რომ იმას, ვინც პირველად კვეთს ამ წარმოსახვით ხაზს, ტახსაცმლიანად ისვრიან ხომალდის საცურაო აუზში. ჩვენ კი, რადგან საჰაერო ხომალდზე ვიყავით და აუზიც წყნარი ოკეანე იყო, იმით დავკმაყოფილდით, რომ შამპანურით აღვნიშნეთ ეს „ღირსშესანიშნავი“ მოვლენა 10 ათასი მეტრის სიმაღლეზე.

შივევებით ანდებს დასავლეთიდან. აი, ერთმანეთის მახლობლად



განლაგებული გოლიათი მოქმედი ვულკანები კოტოპახი და სო. გეზი პერუს დედაქალაქ ლიმასაკენ გვიჭირავს.

ანდების სახელწოდება მოდის სიტყვა „ანტა“-დან, რაც ინკების ენაზე სპილენძს, სპილენძის მთებს ნიშნავს. ანდების კორდილიერები დედამიწის უგრძესი მთაგრეხილია, რომელიც გადაჭიმულია სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ 9 ათას კილომეტრზე.

ანდების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა გამოჩენილმა გერმანელმა ბუნებისმეტყველმა და მოგზაურმა ალექსანდრე ფონ-ჰუმბოლდტმა, რომელმაც გამოიკვლია ეს ვეებერთელა მთაგრეხილი კარიბის ზღვიდან ჩრდილოეთ პერუმდე და ამაზონკის სათავეებშიც იყო. მან პირველმა აღწერა მეცნიერულად ანდების ამ ნაწილში მთაგრეხილების განლაგება და დაადგინა მათი კავშირი ჩრდილოეთ ამერიკის კორდილიერებთან. შემდგომ პერიოდში, 1822 — 1850 წლებში დეტალურად შეისწავლიან ანდების სხვადასხვა ნაწილს. აგეგმეს კოლუმბიის ტერიტორია, იკვლევდნენ ტიტიაკას ტბას, ჩრდილო ანდების ბიოლოგიურ და არქეოლოგიურ თავისებურებებს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩარლზ დარვინის მიერ ჩატარებულ კვლევებს, როდესაც იგი გემ „ბიგლით“ მოგზაურობდა დედამიწის გარშემო. ექსპედიციამ ჩაატარა დასავლეთ სანაპიროს ტოპოგრაფიული აგეგმვა, გადაკვეთა ანდები სახტ-იაგოდან შენდოსამდე. დარვინმა აღწერა ამ ნაწილის გეოლოგიური აგებულება, ანდების განვითარების ისტორია.

ანდების უმაღლესი მწვერვალების უმეტესობა დაიპყრეს გასული საუკუნის 70 — 90-იან წლებში. 1872 წელს გერმანელმა გეოლოგმა ვილჰელმ რეისმა ევროპელთაგან პირველმა დაიპყრო მოქმედი ვულკანი კოტოპახი (სიმაღლე 5897 მ), ხოლო 1880 წელს ინგლისელი ედუარდ ვილნერი, რომელიც ეკვადორში ატარებდა გეოგრაფიულ კვლევებს, ავიდა ამ ქვეყნის უმაღლეს მწვერვალზე — ჩიმბორასოზე (6262 მ). 1897 წელს შვეიცარიელმა გამყოლმა ცურბრიგენმა და ცოტა მოგვიანებით გეოლოგმა ვინესმა დაიპყრეს ანდების ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი აკონკაგუა, ხოლო 1898 წელს ინგლისელმა მარტინ კონუეიმ გაზომა ბოლივიის ანდების რიგი მაღალი მწვერვალებისა და ავიდა კიდევ ორ უმაღლეს მწვერვალზე — ილიამპაზე (7014 მ) და ილიმანიზე (6882 მ).

დღეისათვის ნაკლებადაა გამოკვლეული ანდები პერუს ჩრდილო ნაწილში, სადაც თავმოყრილია მაღალი ქედები თოვლიანი მწვერვალებით, რომელთა სიმაღლე 6000 მეტრზე მეტია. ჯერ კიდევ ბევრია ამ ისეთი მწვერვალი, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს.

როდის გაჩნდა ანდები? ეს ვეებერთელა მთაგრეხილი ისევე, რო-



გორც ალპები, კავკასიონი და პიმალაის მთიანეთი „აზალგაზრდა“ ნაუკვა მთების ტიპს ეკუთვნის. აქ მთათაწარმოშობი პროცესები სულ რამდენიმე მილიონი წლის წინათ დასრულდა. მაგრამ ანდების ჩასახვა დედამიწის ისტორიის ძალიან ძველ პერიოდებში დაიწყო, კამბრიულამდელ და პალეოზოურ პერიოდებში. ანდებს დღესაც არ შეუწყვეტიათ აზევება, რასაც ადასტურებს ხშირი მიწისძვრები და ვულკანების ამოფრქვევა. ვისაც ეს საკითხები აინტერესებს, შეუძლია წაიკითხოს ჩვენს მიერ 1974 წელს გამოცემული წიგნი „ცისფერი პლანეტის საიდუმლოებანი“, სადაც მსოფლიოს მიწისძვრებისა და ვულკანების ამოფრქვევის „კოლექციაში“ ანდების ქვეყნებში მომხდარი კატასტროფული მიწისძვრები და ვულკანების ამოფრქვევებიცაა აღწერილი...

ახლა კი მივფრინავთ დასავლეთ კორდილიერას თავზე. ქვევით სულ ახლოს დიდხანს მოჩანს პერთუს უმაღლესი მწვერვალი უასკარანი (6768 მ); 1970 წლის 31 მაისს, დღის 3 საათსა და 24 წუთზე ძლიერმა მიწისძვრამ, რაც გამოწვეული იყო დედამიწის ქერქის მოძრაობით პერთუს სანაპიროზე, 55 კმ სიღრმეზე, მწვერვალ უასკარანის რაიონამდელე მიაღწია. აქაური ბუნების სილამაზის გამო მაღალმთიან კალეხონდე-უაილასის ხეობაში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. ტურიზმით ცხოვრობდა ამ ხეობის პატარა ქალაქების უარასის, უნგაის და რანრაირკას მოსახლეობა. 90 წამში უარასის ხეობის ყველაზე მსხვილი ქალაქის შენობების ნახევარზე მეტი ნანგრევებად იქცა და ქვეშ მოიყოლა 15 ათასზე მეტი ადამიანი. ვიდრე უარასი ინგრეოდა, უასკარანის გიგანტურ პიკს დასავლეთ კალთაზე მოწყდა უზარმაზარი კლდე, რომლის მოცულობაც 7 — 8 მილიონი კუბური მეტრი იყო. მას თან მიჰქონდა დიდი მყინვარის ნაწილი — მილიონ ტონამდე ყინულის მასა. ეს ვეებერთელა კლდე და ყინული 600 მეტრის სიმაღლიდან დაეცა ქვევით მდებარე მეორე მყინვარს და იმავე წუთში ქვის, წყლისა და ყინულის ეს წარმოუდგენლად დიდი მასა დაიძრა უაილასის ხეობისაკენ. როდესაც ამ ზეავმა მთის ძირს მიაღწია, მას უკვე ექსპრესის სიჩქარე ჰქონდა და მის გზაზე აღმართულმა 150 მეტრი სიმაღლის ბორცვებმაც კი ვეღარ შეაჩერა. 3 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის ლოდების, ყინულისა და ტალახის ზეავმა 5 მეტრის სისქის ფენით დაფარა პატარა ქალაქები იუნგაი და რანრაირკა; დაიღუპა 20 ათასზე მეტი კაცი. შურნალ „იუნესკოს კურიერში“ გამოქვეყნებულ თვითმფრინავიდან გადაღებულ ფოტოზე, ზედა ნაწილში წერია: „აქ იყო იუნგაი“, ხოლო ქვრით ნაჩვენებია ქალაქის ცენტრალური მოედნის ადგილი. სურათის ქვედა ნაწილში მითითებულია რანრაირკას და მისი ცენტრალური



მოედნის, პუნქტირით კი ორივე ქალაქის შემაერთებელ მდებარეობა...

პერუს სანაპიროს დასავლეთით, 30 კმ-ის დაშორებით ოკეანეში სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიემართება ე. წ. პერუს ოკეანური ცივი დინება, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა მსოფლიოს უდიდესი მოძრავე წყლის — დასავლეთის ქარების დრეიფის ტოტად. დრეიფის, ანუ დინების ვეებერთელა მასები, ამოძრავებულნი დასავლეთის ქარებით, ირგვლივ უვლიან ანტარქტიდას. ეს ძლიერი ქარები განუწყვეტლივ ქრიან დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ქარით ამოძრავებული ოკეანის წყლის მასები, რომლებიც აღნიშნულ დინებას ქმნიან, თავისუფლად მიემართებიან აფრიკის სამხრეთ სანაპიროსაკენ, შემოუვლიან მას, შემდეგ კი ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და აწყდებიან სამხრეთ ამერიკის სამხრეთ შვერილს, რომელიც ზღუდედაა აღმართული მათ გზაზე. აქ, შეჯახებისას დინების ნაწილი მიემართება დრეივის სრუტეში, რომელიც ჰორნის კონცხს სამხრეთ შეტლანდის კუნძულებისაგან გამოყოფს. ამ სრუტის სიგანე 370 მილია (ანუ 66 კმ) და იგი, მიუხედავად დიდი სიგანისა, ბოთლს ყელის როლს ასრულებს წყლის ვეებერთელა მასების მიმართ. ამიტომაც, რომ აქ ყოველთვის დიდი ღელვაა. წყლის ის დანარჩენი მასა, რომელიც ვერ ეტევა ამ სრუტეში, შემოუვლის ჰორნის კონცხს და მიემართება ჩრდილოეთით, ჩილესა და პერუს სანაპიროების გავლით ეკვატორისაკენ. ამ დინებას ზოგჯერ ჰუმბოლდტის დინებასაც უწოდებენ, სამხრეთ ამერიკის ცნობილი მკვლევარის პატივსაცემად.

სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროსთან ოკეანის სიღრმე დიდაა. აქ თითქმის არ არის ე. წ. კონტინენტური შეღფი და სამმილიანი (5,4 კმ) ზოლში ნაპირიდან 1 კმ სიღრმე ჩვეულებრივი მოვლენაა.

არსად მსოფლიოში, გარდა ანტარქტიკული ოკეანისა, არ არის ზღვიური ფაუნა ისეთი მრავალფეროვანი და მდიდარი, როგორც პერუს მიმდებარე ვიწრო სანაპირო ზოლში. დადგენილია ამის მიზეზიც: ამ რაიონში იცის ცვალებადი ქარები. ჩილეს სანაპიროს გასწვრივ ქარები ქრიან სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, პერუს სანაპიროს გასწვრივ კი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ქარები ოკეანის წყლის ზედაპირულ ფენას ერეკებიან ჩრდილოეთისაკენ, რის გამოც ეს უკანასკნელი იცვლება სიღრმიდან ამოსული ფსკერისპირა ცივი წყლებით. ეს წყლები კი მდიდარია ფოსფატებით. თვითმფრინავიდან კარგად მოჩანს სიღრმიდან ამომავალი წყლების რაიონები მღვრიე მომწვანო ლაქებად, რასაც წყალში გაჩენილი მცენარეული პლანქტონი (ფიტოპლანქტონი) იწვევს. ამ უკანასკნელით იკვებებიან

თევზები, რვაფეხახი, კიბოსნაირნი, უღვაშიანი ვეშაპები. პერუს ჩრდილოეთ სახაპიროსთან, სადაც ფიტობლანქტონის გავრცელების არე სიგახეში 162 კმ-ს აღწევს, წყლის ტემპერატურაც საკმაოდ მაღალია (17°-მდე) და ამის გამო აქ საოცრად დიდი რაოდენობითაა პერუელთა სამზარეულოს თითქმის ყოველდღიური სტუმარი — წვრილი თევზი ახჩოუსი. ბიოლოგთა გამოთვლებით, ახჩოუსის წლიური მოპოვება პერუს სახაპიროსთან მსოფლიოს თევზის წლიური რეწვის ერთ მე-ხუთედს შეადგებს.

პერუს სახაპიროზე, აშკერად უკვე ხმელეთზე. ერთ ორიგინალურ თავისებურებას აქვს კიდევ ადგილი. ახჩოუსით მხოლოდ ადამიანები როდი იკვებებიან. ზღვის ფრინველებისათვის, იქვე ახლოს, ოკეანეში ახჩოუსის ნამდვილი „სამოვრებია“. წვიმა აქ ან სრულებით არ მოდის დიდი ხნის განმავლობაში, ან მოდის ძალზე იშვიათად და ცოტა. ამიტომ ფრინველები ბუდეებს საკუთარი გუანოს დანაგროვებში იკეთებენ გუახოს სისქე დიდ ტერიტორიაზე ერთ მეტრამდე აღწევს. იგი მაღალი ხარისხის სასუქია და მრავალი წლის მანძილზე პერუს ექსპორტის ძირითად საგანს წარმოადგენდა.

ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახჩოუსი პერუს ეკონომიკისათვის, იქილხაც ჩანს, რომ ამ სახელმწიფოს თევზსაჭერი ფლოტი წელიწადში 10 მილიონ ტონაზე მეტს იჭერს ამ თევზს. მოპოვებული თევზის შუი ხაწილი მუშავდება საქონლის საკვებად.

ზოგჯერ, დეკემბრის ბოლო დეკადაში ან იანვრის დასაწყისში პერუს ხაპირამდე აღწევს თბილი დინება ელ-ნინო, რომელიც მკვეთრად ცვლის ზღვის ბინადართა სასიცოცხლო პირობებს. ამ დროს წყლის ზედაპირი ქაფდება, შომწვანო-ცისფერიდან მოწითალო-მოყავისფრო ან მოწითალო-ყვითელი ხდება. ამ მოვლენას პერუს მკვიდრნი „აგუა-ხეს“ უწოდებენ. ამ ესპანური სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა არის მორევი, მაგრამ პერუელები მას ცუდი წყლის მნიშვნელობას ანიჭებენ. საქმე ისაა, რომ პერუს ცივ დინებაში შემოჭრილი თბილი დინება ელ-ნინო ხელს უწყობს ერთუჯრედიანი პლანქტონური ორგანიზმების — დინოფლაგელიატების სწრაფ გამრავლებას. ისინი იკავებენ სხვა პლანქტონური ორგანიზმების ადგილს, რომლითაც იკვებებიან თევზები. ლიმას სამხრეთით მდებარე ზღვისპირა ქალაქ პისკოს მეთევზეთა თქმით „წითელი აგუაზე“ „ათრობს“ თევზს და ის, ვინც ასეთ თევზს შეჭამს, შეიძლება დაავადდეს კუჭის სნეულებით, უძილობით და ასე გასიხვეთ სულიერადაც.

ელ-ნინოს თბილი დინება, როგორც უკვე ვთქვი, იწვევს გარემოს მკვეთრ ცვლილებებს, მასობრივად იღუპება პლანქტონი, ამის შედე-



გად კი თევზი. მკვდარი თევზი ტალღებს ისეთი რაოდენობით დასაწყისს ხაპირზე, რომ საჭირო ხდება ჯარის ნაწილების გამოძახება დასუფთავებისა და გახრწხილი თევზის მიწაში ჩამარხვის მიზნით. თევზის მასობრივი გაქრობა კი იწვევს შილიონობით ზღვის ფრინველის დაღუპვას...

თახამედროვე პერუს ტერიტორიაზე მოთავსდებოდა საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი ერთად აღებული. ამ ქვეყნის თითქმის მესამედი უკავია მთავორიან სიერას. პერუს აღმოსავლეთი ნაწილი, რომელსაც სელებას უწოდებენ, ტროპიკული ტყეების ზონაა. ამაზონის გაუვალი ჯუნგლები. დასავლეთი ნაწილი კი ვიწრო სანაპირო ზოლია, რომელიც კოსტას სახელითაა ცნობილი და ნახევრად უდაბნოს ზოხას წარმოადგებს. ჩვენი იქ ყოფნის დროს პერუს მოსახლეობა 16 მილიონს აღწევდა. პერუ ძალზე მდიდარი ქვეყანაა. აქ არის სპილენძის, ტყვიის, თუთიის, მარგანეცის, რკინის, კალის, ბისმუტის, მოლიბდენის, ოქროს, ვერცხლის, ურანის, ნავთობის საბადოები.

ესპანელ კონკისტადორებს პანამელი ინდიელებისაგან შეუტყვევიათ ინკების ზღაპრულად მდიდარი ქვეყნის არსებობის შესახებ. 1524 წელს ფრანსისკო პისაროს და ალმაგროს ორი ზომალდით უცდიათ სამხრეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ მოგზაურობა, მაგრამ გზაში პროდუქტები გამოლევიათ და მხოლოდ ჩრდილო განედის 4°-მდე მიულწევიათ. ორი წლის შემდეგ იგივე გზა გაუმეორებია ბართლომე რუისს (დღეს ერთ-ერთი ვულკანი ცენტრალურ კორდილიერაზე მის სახელს ატარებს), რომლის ზომალდს ეკვატორი გადაუკვეთია. მეზღვაურებს დაუნახავთ ვეებერთელა დათოვლილი ქედები. ამ რაიონში დატყვევებულ ინდიელთაგან კვლავ მიუღიათ ცნობები სადღაც სამხრეთით მდებარე ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანაზე, რომლებსაც ინკები მართავდნენ.

1527 წელს პისარომ და ალმაგრომ კვლავ სცადეს უფრო სამხრეთით გალწევა. ამჯერად პისაროს სამხრეთი განედის 8°-მდე მიულწევია და იქაურ სანაპიროზე მცხოვრებ ინდიელთათვის წაურთმევია ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, თხელი შალის ქსოვილები. ეს ყველაფერი რამდენიმე ტყვე ინდიელთან ერთად მან წარუდგინა ესპანეთის მეფეს, რომელმაც ამ უკანასკნელს გადასცა პერუს დაპყრობის პატენტ და დახიშნა თავის ხაცელად ამ ქვეყანაში.

1530 წელს ესპანეთიდან ამერიკისაკენ გაეშურა რამდენიმე ათეული კოხკისტადორი პისაროს მეთაურობით. მათი მიზანი იყო აღმოეჩინათ და დაეპყროთ არა მარტო სამხრეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპირო, არამედ მთის ქვეყნებიც ანდებში. ამ პერიოდში ანდებში იყო მსხვილი მონათმფლობელური სახელმწიფო, რომელშიც ინკების



მეთაურობით გაერთიანებულიყო ინდიელთა ასამდე სხვადასხვა ტომი-
 იხები („მზის შვილები“) ხელშეუხებელ, უმაღლეს არსებებად ითვლემ-
 ბოდხებ. მათი მძარტველობის წლებში ამ სახელმწიფოში უკვე ცნობი-
 ლი იყო რწყვა. მდინარეთა ხეობების გასწვრივ დატერასებული ფერ-
 დობები ირწყვებოდა მდინარეებიდან გაყვანილი არხებით. მოჰყავდათ
 კარტოფილი და ქერი; მოშინაურებული ჰყავდათ ლამა და ალპაკი;
 მთებში აგებდნენ ქალაქებს, გაყავდათ მშვენიერი გზები, თანაც, ღრმა
 ხეობებზე აგებდნენ ხიდებს და სხვ. მათგანვე მოდის პომიდორიც.
 თვით სახელწოდებაც „ტომატი“ ინკური სიტყვიდან „ტომატლ“-იდან
 წარმოშობილი. იგი პერუს დაპყრობის შემდეგ ევროპაშიც გაჩნდა,
 მაგრამ აქ დიდი ხნის განმავლობაში მას საკებად არ ხმარობდნენ. ეს
 ხასხასა წითელი, ზოგჯერ ქარვისფერი ან ნარინჯისფერი ნაყოფი ყვა-
 ვილებივით ამშვენებდა ოთახებს და პარკებს. ერთი სიტყვით, ეგზო-
 ტიკურ და დეკორატიულ მცენარედ გამოიყენებოდა და ევროპაში მას
 მეორე სახელი — „პომო დორო“ შეარქვეს, რაც იტალიურად ოქროს
 ვაშლს ხიშხავს.

ასეთი იყო იხების ლეგენდარული სახელმწიფო XVI საუკუნის
 პირველ მეოთხედაძდე. 1532 წელს კი ფრანსისკო პისარომ დაიპყრო
 მათი მთავარი ქალაქი კუსკო. ანდების ცენტრალური ნაწილისა და
 წყნარი ოკეანის სანაპიროს დაპყრობის შემდეგ ესპანელები ცდილობ-
 დნენ თავიანთი გავლენა და ძალაუფლება გაეგრძელებინათ პერუდან
 სამხრეთით და ჩრდილოეთით.

1535 წელს ალმაგრომ დაიწყო ლაშქრობა სამხრეთისაკენ, ცენტ-
 რალური ახდების შალაქითანი რაიონების გავლით. მაღალ, თოვლი-
 ხულიან ქედებზე ალმაგროს რაზმს დიდი სიძნელები შეხვდა. მზეზე
 მოელვარე თოვლი აბრმავებდა ჯარისკაცებს, სუნთქვა უჭირდათ, ამას
 ემატებოდა გაუთავებელი ქარიშხლები. რაზმმა მაინც მიადწია სამ-
 ხრეთ გახედის 35°-ს, ჩილეს შუაგულამდე მივიდა და უკან სანაპიროს
 გასწვრივ გამოემგზავრა. აქაც დიდი სიძნელებების გადალახვა მოუხ-
 დათ უწყლო ატაკამას უდაბნოში. ორი წლის ლაშქრობის შემდეგ
 ალმაგრო კუსკოში დაბრუნდა. ამ ლაშქრობის დროს თუმცა კი აღმოა-
 ჩინეს ახალი მნიშვნელობის სამხრეთ ანდებში, მაგრამ ვერც ძვირფასი ლითონ-
 ნების საბადოები ნახეს და ვერც მდიდარი ქალაქები მრავალიცხო-
 ვანი მოსახლეობით. თანამედროვე ჩილეს რაიონში ისინი შეხვდნენ არა-
 უკახის ტომის ინდიელებს, რომლებიც განვითარების გაცილებით და-
 ბალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე მათი ჩრდილო თანამოძმეები.

ამავე პერიოდში ესპანელები ცდილობდნენ ანდების ჩრდილო
 ხაწილის დაპყრობას. ამ სურვილს აღვივებდა ლეგენდა ბედნიერ, ოქ-



როს ქვეყანაზე — ელდორადოზე. ეს ლეგენდა მომდინარეობდა მდინარეების
 ორიხოკოს ხეობაში მცხოვრებ ინდიელთაგან და შეეხებოდა ცალ-
 თვალა, „მოოქროვილ კაცს“ (ესპანურად — ელ დორადო), რომელიც
 ძეგობდა დასავლეთის მთიან ქვეყანაში. თითქოს იქაურმა მოსახლეო-
 ბამ არ იცოდა სხვა მეტალი, გარდა ოქროსი. აქ იყო ტბა, რომელ-
 შიაც ადგილობრივი მკვიდრნი ყრიდნენ მსხვილ ზურმუხტებს და სხვა
 ძვირფასი თვლებს წყლის ღმერთების შესაწირად.

ესპანელებმა აღმოსავლეთიდან ჯერ მდ. ორიხოკო გაიარეს, შემ-
 დგე კი ჩრდილოეთიდან დარიენის ყურემდე მივიდნენ. მათ მიაღწიეს
 მუისკების ქვეყანას, სადაც სიმინდის ყანები და კარტოფილის მინ-
 დვრები იყო. თვითონ მუისკები ხის სახლებში ცხოვრობდნენ და
 ოქროს გარდა არ იცნობდნენ სხვა მეტალს. შემდეგ ეს ქვეყანა კო-
 ლუმბიის ცეხტრალურ ბირთვად იქცა, ხოლო მუისკების უძველესი
 დედაქალაქი ბოგოტა — ამ ახალი ქვეყნის დედაქალაქად.

დღევანდელი პერუს ტერიტორიაზე კონკისტა დაიწყო 1532 წლ-
 ის 16 ხოემბერს, როდესაც ესპანელებმა დაიპყრეს კახამარკა. როგორ
 მოხდა, რომ ასმა ესპანელმა მოახერხა ტუანტინსუიუს უზარმაზარი
 სახელმწიფოს დაპყრობა? მიუხედავად იმისა, რომ ინკების ეს სახელ-
 მწიფო ძალზედ დიდი და ძლიერი იყო, ინდიელთა ტომებს შორის არ
 არსებობდა ერთიანობა. თავის დროზე ინკების მიერ დაპყრობილი და
 დამორჩილებული ტომები ესპანელებში მხსნელებს ხედავდნენ და
 ფიქრობდნენ, რომ მათთან თანამშრომლობა თავისუფლებას მოუტან-
 დათ. კოხკისტადორები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ
 ინდიელთა ტომები ერთმანეთს დარეოდნენ.

პისარომ გადაწყვიტა ინკების სახელმწიფოს უკანასკნელი „იმპე-
 რატორის“ ატაუალპას განადგურება და კორტესივით მოიქცა. მან
 ატაუალპა მიიწვია კახამარკაში, სადაც ბერმა ვისენტე დე ვალვერ-
 დემ, შემდგომში კუსკოს ეპისკოპოსმა, წირვისას ასე მიმართა „იმპე-
 რატორს“: „რომის პაპმა დაავალა ესპანეთის მეფეს დაიმორჩილოს
 აქაური მძივნების მკვიდრნი; ფრანსისკო პისარო ახორციელებს ამ მი-
 სიას თავისი მონარქის მითითებით.“ ბოლოს ვალვერდემ მოუწოდა
 ატაუალპას, ზიარებოდა ქრისტიანობას და თავი იმპერატორ კარლოს
 V ვასალად გამოეცხადებინა. ინკების წინამძღოლი აღშფოთდა და ასე
 უპასუხა: „მე არ ვიქნები არავის ვასალი. შესაძლოა თქვენი იმპერა-
 ტორი ისევე დიდა, როგორც მე, და ჩემთვის სასიამოვნო იქნება
 ვიგულო იგი ძმად. რაც შეეხება იმ „პაპს“, რომელზეც ახლა მელაპა-
 რაკნენ, ის, როგორც ჩანს, გიჟია, რადგან საჩუქრად არიგებს მიწებს, რო-
 ძლებიც მას არ ეკუთვნის. ჩემი სარწმუნოების გაცვლას კი სხვაზე არ



ვაპირებ“. მაშინ პისარომ ნიშანი მისცა ჯარისკაცებს და ისინიც თავს დაესხნენ იხკას უიარაღო ამაღას და აქუწეს. ატაულაბა დაატყვევეს.

კახამარკას კედლებთან ინდიელთა ხუთათასიანი არმია იდგა, მაგრამ არ დაეხმრა თავის „იმპერატორს“. სარდალმა რუმინიაუიმ ჩრდილოეთისაკენ წაიყვანა ინდიელები. პისარომ კი ატაულაბას დიდი გამოსასყიდის საფასურად თავისუფლება აღუთქვა. უკანასკნელი დათანხმდა პირობაზე, რომ ოქროთი გაევესო ის დიდი ოთახი, რომელშიც ტყვედ იყო, ხოლო გვერდითი ორი ოთახი კი ვერცხლით ატაულაბას ერთგულებმა შეასრულეს პირობა, მაგრამ პისარომ მაინც სიკვდილით დაასჯევინა იგი. ოქრო და ვერცხლი კი მოდიოდა კუსკოში. ვიდრე მოსახლეობამ არ შეიტყო თავისი მმართველის დაღუპვის ამბავი.

არსებობს გადმოცემა, რომ ამ ამბის შემდეგ ერთ-ერთმა კასიკმა (ტომის ბელადმა, წინამძღოლმა) ძნელად მისადგომ მწვერვალამდე ააგებიხა კიბე, აატანინა კუსკოში გამოსასყიდად შეგროვილი ოქრო-ვერცხლი, თვითონაც ავიდა, დაანგრევინა კიბე და თავიც ცოცხლად დაიმარხა. არის სხვა ლეგენდაც ინდიელთა სხვა ტომზე, რომელმაც ატაულაბას სიკვდილის გაგებისთანავე ტიტაკას ტბაში ჩააგდო 200 მეტრი სიგრძის ოქროს ჯაჭვი, რომლის რგოლების დიამეტრი 4 სანტიმეტრი იყო. იგი 200 ინდიელს ძლივს აუწვდია.

ლეგენდების უმრავლესობა ლეგენდებად რჩება, მაგრამ ისტორიაში ცნობილია დიდი აღმოჩენები სწორედ ლეგენდის საფუძველზე. ამიტომ იყო, რომ ელდორადოს არსებობაში იმედგაცრუებულმა ესპანელებმა 1913 წელს მოაწყვეს ექსპედიცია გუატავიტას ტბის საიდუმლოებათა ამოსაცნობად. სწორედ ეს ტბა იყო „მოოქროვილი კაცის“ ლეგენდის წყარო. ესპანელთა ექსპედიციამ შეძლო ტბიდან წყლის ამოქაჩვა და ძისი ფსკერის გათხრა. მართლაც იპოვეს ოქროს რამდენიმე ნაკეთობა, მაგრამ მათ საერთო ღირებულებას არ შეეძლო დაეფარა ექსპედიციის მიერ გაწეული ხარჯებიც კი...

ასე თუ ისე, პერუს დედაქალაქ ლიმაში არის ე. წ. „ოქროს“ მუზეუმი, რომელშიც ექსპონირებულია ოქროს 8 ათასზე მეტი სხვადასხვა ჭურჭელი და სამკაული, საკულტო ნივთები, რომლებიც ოდესღაც იხკების საკუთრება იყო...

პერუს ცივილიზაციის წინაპრად თვლიან ე. წ. ჩავინის ცივილიზაციას, რომელიც ჩაისახა XII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და იარსება ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. ეს ცივილიზაცია დღემდე კარგად არ არის შესწავლილი და ბევრი რამ საიდუმლოებითაა მოცული.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში ძველი პერუს ტერიტორია-



ზე ჩამოყალიბდა ინდიელთა რამდენიმე კულტურა: ტიუანაკუ, ჩიმუ, კასი, ნასკა, მოჩიკა, შემდეგ კი ჩიმუ. ყველაზე დიდხანს იარსებებდა ტიუანაკოს კულტურამ... ჩვენს ქვეყნით, შორს, სადაც ჩამალულა მოჩესა და ჩიკამას ხეობები. სწორედ მოჩეს ხეობამ მისცა დასაბამი ძველი ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ და მაღალ ცივილიზაციას. რო-
 ძელიც მოჩიკას კულტურის სახელითაა ცნობილი. იგი ჩასახულა პირ-
 ველ საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და 4—5 საუკუნის არსე-
 ბობის შემდეგ ჩამოყალიბებულია მათი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს
 ცენტრი მდებარეობდა დღევანდელი ლიმის ჩრდილოეთით 500 კილომე-
 ტრის დაშორებით, მდინარეების მოჩესა და ჩიკამას ხეობაში. დედა-
 ქალაქი ძდგარაა მოჩეს შესართავთან, მის მარცხენა ნაპირზე. აქ დღე-
 ვანდლამდე შემორჩენილია ორი ვეებერთელა საფეხურებრივი პირამი-
 და, რომლებსაც პირობითად შზისა და მთვარის პირამიდებს უწოდებ-
 ბენ. შზის პირამიდის სიმაღლე 40 მეტრია და იგი ყველაზე გრანდიო-
 ზული ნაგებობაა სამხრეთ ნახევარსფეროში ევროპელთა გამოჩენამდე.

რამდენიმე საუკუნის მანძილზე მოჩიკას ინდიელები წარმატე-
 ბით ებრძოდნენ შეზობელ შემარ ტომებს. დაღუპვამდე 100 წლით
 ადრე ისინი გადასულან პაკასამაიოს და ლამბაიეკეს დიდ ხეობებში. აქ
 გაუშეხებიათ დიდი ქალაქი პამპა-გრანდე, რომლის ფართობი 5—6
 კვადრატული კილომეტრი ყოფილა. მეორე მსხვილი ცენტრი შეუქმ-
 ნიათ მდ. მოჩეს მარჯვენა ნაპირზე — გალინდოში. VIII საუკუნეში
 პამპა-გრანდე მიუტოვებია მოსახლეობას. რა მოხდა გალინდოში, ჯერ
 გამორკვეული არ არის. ასე თუ ისე, ამ პერიოდში მოჩიკას კულტურამ
 მოჩესი და ლამბაიეკშიც არსებობა შეწყვიტა. ამერიკელი არქეოლო-
 გების ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ახლებურად გააშუქეს ამ
 კულტურის დაღუპვის მიზეზები. არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა.
 ერთხი ფიქრობენ, რომ მოჩიკას კულტურის დაღუპვის მიზეზი იყო
 შეზობელი ტომების შემოსევა. პერუში ამჟამად მომუშავე ამერიკელი
 მეცნიერები ი. შიმადა და მ. მოსლი კი მიზეზად თვლიან კლიმატურ
 ცვლილებებს, რამაც გამოიწვია ეკოლოგიური წონასწორობის და-
 ლევა.

როგორც ცნობილია, პერუს სანაპიროზე წვიმა თითქმის არ მო-
 დის. დასავლეთ კორდილიერიდან წყნარ ოკეანეში ჩაედინება ბევრი
 წყალმცირე მდინარე, რაც საკმარისი არ არის სავარგულების მოსარ-
 წყავად. მე-5 საუკუნეში კი, მოჩიკას კულტურის აყვავების ეპოქაში
 მთებში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა საგრძნობლად გაზრდი-
 ლა, რის გამოც მდინარეებში წყლის დონეს აუწევია. ბუნებრივია,
 რომ გაჩნდა შესაძლებლობანი ახალი სარწყავი არხების მშენებლობი-

სა და დამატებითი ფართობების მორწყვისათვის. ფიქრობენ, რომ სა-
მეურნეო პროგრესს თან სდევდა მოსახლეობის ზრდაც. კულტურამ
თავისი აყვავების უმაღლეს წერტილს მიაღწია; მაგრამ გადიოდა დრო
და მთებში ნალექების რაოდენობა კლებულობდა. დადგა დრო, რო-
დესაც არხებში წყალი შემცირდა და შეწყდა. მინდვრები მოურწყავი
დარჩა. ამავ დროს დასახლებათა ზრდამ ვაკიდან მთათა ფერდობები-
საკენ გამოიწვია მცენარეულობის განადგურება. ეს კი საკვები იყო
ლამებისათვის, ხოლო აღამიანებისთვის საწვავი. ისედაც იშვიათი მცე-
ნარეულობის განადგურებამ ამოძრავა ქვიშის ბარქანები, რომლებ-
მაც თანდათან დაფარეს დედაქალაქი. ქვიშის სქელი ფენა ახლაც ხელს
უშლის არქეოლოგიურ გათხრებს.

თითქოს ლოგიკური ჰიპოთეზაა, მაგრამ, სხვათა აზრით, მოჩიკას
კულტურის უეცრად დაღუპვის მიზეზი მაინც შემოსევა იყო. ამის და-
სადასტურებლად იშველიებენ ჰამპა-გრანდეს გათხრების დროს აღმო-
ჩენილ ნახანძრავებს. არქეოლოგიური გათხრები გრძელდება, მაგრამ
ჯერ უპასუხობდაა დარჩენილი კითხვები: რამ დაღუპა მოჩიკას კულტუ-
რა? საით წავიდნენ ისინი?..

VIII საუკუნეში გამქრალი მოჩიკას კულტურა შეცვალა ჩიმუს-
ცივილიზაციამ. ეს სახელმწიფო იმდენად ძლიერი იყო, რომ დაიმორ-
ჩილა ხალხები გუიაკილის ყურიდან (ამჟამად ეკვადორი), დღევანდე-
ლი ლიმის საზღვრამდე. ჩიმუს დედაქალაქი იყო ჩან-ჩანი („მზეთა მზე“
ჩიმუს ენაზე), რომელსაც 15—20 კვადრატული კილომეტრი ფართო-
ბი ეკავა სწორი ქუჩებით დაყოფილი კვარტალებით. ჩან-ჩანის შენო-
ბები აგებულია თავისებურად: კერატის ხის მორებისგან და ბამბუკ-
სგან აშენდებდნენ შენობის ჩონჩხს, ამ ჩონჩხს შემოაშენებდნენ მზე-
ზე გამომშრალ თიხის აგურებს, რომელთაც სპეციალური ხსნარით ამა-
გრებდნენ. ქვისგან მხოლოდ საძირკველი ამოყავდათ.

ჩიმუს სახელმწიფო ძლიერი იყო, ხალხი მამაცი. თვით ინკების
უძლიერეს ჯარსაც კი არაერთხელ დაუხვევია ჩიმუსთან ბრძოლებ-
ში. მაგრამ ინკებმა მაინც გაიმარჯვეს. პერუელი ისტორიკოსების აზ-
რით, ჩიმუს სახელმწიფო წარმოადგენდა სხვადასხვა ტომის სუსტად
შეკავშირებულ კონფედერაციას. ამ ტომებმა უღალატეს თავიანთ
„იმპერატორს“.

ინკებმა ჩიმუს დაიპყრეს კონკისტამდე ნახევარი საუკუნით ადრე.
ტიტიკაკას ტბის ნაპირებზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ
ინდიელთა ტომები. ფიქრობენ, რომ ერთ-ერთმა ტომმა, კეჩუამ, მი-
ატოვა ეს ადგილები და დაიძრა ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ურუბამბას
ხეობისაკენ და იქ დასახლდა. 100 წლის შემდეგ კეჩუას ტომმა მდი-



ნარის ზემო წელში დააარსა ქალაქი, რომელიც შემდგომ ინკების ცენტრად, მწიფოს დედაქალაქი გახდა. ამ ქალაქს ერქვა ხოსხო (ყჩუხას ცენტრის ნაგდა „ცენტრს“, „ჭიპს“, ამ შემთხვევაში დედამიწის ცენტრს). ესპანელებმა ხოსხო კუსკოდ გადანათლეს და დღემდე ეს სახელი შერჩა ინკების დიდებისა და დაცემის მოწმე ქალაქს. კუსკოში ინკებმა ააგეს შესანიშნავი ტაძრები. ყველაზე დიდებული იყო მზის ტაძარი, რომელიც მხოლოდ მმართველს — საპა ინკას (ერთადერთ ინკას) ჰქონდა შესვლის უფლება. ტაძრის დარბაზები მორთული იყო ფურცლოვანი ოქროთი და ძვირფასი თვლებით. სიმდიდრით და სილამაზით მას მხოლოდ საპა ინკას მეუღლის მთვარის ტაძარი შეედრებოდა. ტაძრებს შორის იყო შიდა მოედანი — ინტიპამპა (მზის ველი), სადაც იდგნენ ოქროსა და ვერცხლისაგან ნაკეთები ცხოველები, ფრინველები და მწერები. მზის ტაძარში იყო ვეებერთელა, ზურმუხტის თვლებით ინკრუსტირებული ოქროს ბადრო, რომელიც მზის ღმერთს ინტის განასახიერებდა.

ინკების იმპერიამ ყველაზე დიდ სიძლიერეს მე-15 საუკუნეში მიიღწია, ინკა პაჩაკუტეკის მმართველობის პერიოდში. ამ დროს ინკების სახელმწიფო გადაჭიმული იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთით 5 ათას კილომეტრზე, მისი მოსახლეობა 10 — 15 მილიონი იყო, მოიცავდა ინდიელთა 100-მდე ხალხსა და ტომს, ეკავა დღევანდელი ბოლივიის, ჩილეს, არგენტინის, კოლუმბიის, პერუს, ეკვადორის დიდი ნაწილები. ეს სახელმწიფო ცნობილია ტაუანტინსუიუს სახელით.

ფართოდაა ცნობილი ინკების კულტურის მაღალი დონე. ისინი კარგად ფლობდნენ ასტრონომიას, გეომეტრიას, ტოპოგრაფიას, ქირურგიას, აგრონომიას. ავილოთ თუნდაც აგრონომია. ინგლისში გუანო 1850 წლიდან მხოლოდ პერუდან შემოჰქონდათ, რადგან ხარისხით მას ბადალი არ გააჩნდა მსოფლიოში. ამ შესანიშნავი სასუქის სახელი მოდის ფრინველ გუანაისგან, რომელიც ძირითადად პერუს სანაპიროსთან მახლობლად მდებარე კუნძულებზე ცხოვრობს. მემატინან სიესა დე ლეონი ჯერ კიდევ 1558 წელს წერდა, რომ ინკები თავიანთი ნაგებობით მიცურავენ ამ კუნძულებისაკენ და იქიდან გადმოაქვთ ფრინველის ექსკრემენტი, რომელსაც მაისის (სიმინდის) მინდვრებზე ყრიანო.

გაოცებას იწვევს ინკების კალენდარი, რომლის მიხედვით წელიწადი იყოფოდა ოთხ დროდ და მთვარის 12 თვედ. თვეში 29 დღე იყო. წლის ბოლოს უმატებდნენ რამდენიმე დღეს, რაც ინკების მეცნიერთა გამოთვლით სრულ „მზის წელს“ აკლდა. ეს იყო თანამედროვე კალენდრის 30-ე და 31-ე დღეები.

ინკები კარგად ფლობდნენ საგზაო მშენებლობის ტექნიკასაც, სპეციალისტების აზრით, ინკების სახელმწიფოში გაყვანილი გზების საერთო სიგრძე 15 ათას კილომეტრს აღემატებოდა და ხარისხით რომის იმპერიის გზებზე უკეთესი იყო.

ინკების ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, რომელიც პერუში შემორჩა, აღმოსავლეთ ანდების რომელიღაც მთის წვერზე აუგიათ ქალაქი მაჩუ-პიკჩუ, ეს ქალაქი თავისი სილამაზითა და სიდიდით აღემატებოდა მოკვდავთა ნახელავ ყველა ქმნილებას. ლეგენდაში არაფერი იყო ნათქვამი, ვინ ან როდის ააგო ეს ქალაქი, ან რა ხალხი ცხოვრობდა იქ, როგორ დაიღუპა იგი და სხვ. ლეგენდის მიხედვით ხალხს ამ ქალაქის მშენებლობაში ეხმარებოდნენ ფრინველები. ამიტომ უფრო მიიჩნევენ მაჩუ-პიკჩუს არსებობას ლეგენდად.

და, აი, 1911 წელს ამერიკელი არქეოლოგის ჰირამ ბინგჰემის ექსპედიცია აღმოსავლეთ პერუში, მდ. ურაბამბის ხეობაში ეძებდა ინკების ძველ ნაგებობებს. ექსპედიციამ შეისვენა ერთ-ერთ მთის ფერდობზე, სადაც რამდენიმე ინდიელი მუშაობდა. როდესაც ინდიელებმა გაიგეს, რას ეძებდნენ მეცნიერები, ერთმა მათგანმა შესთავაზა მათ გაყოლოდნენ ძველი სახლების სანახავად მთის წვერზე...

ქალაქი 3 კილომეტრ სიმაღლეზე იყო გაშენებული ზღვის დონიდან. შენობები ტერასებად იდგნენ და ერთმანეთს უკავშირდებოდნენ კლდეში ნაკვეთი კიბეებით. ქალაქის მოედნებზე მზის საათები განაგრძობდნენ დროის აღრიცხვას; დაკიდებულ ბალებში ჰყვავდა ყვავილები, ალბათ ისევე, როგორც იმ გარდასულ ეპოქაში, როდესაც აქ სიცოცხლე დღლდა.

— ამ ქალაქს მაჩუ-პიკჩუ ჰქვია, — უთხრა ინდიელმა ბინგჰემს.

მაჩუ-პიკჩუ ძველ მთას ნიშნავს. ქალაქი-ლეგენდა სინამდვილედ იქცა. ბინგჰემის შემდეგ მრავალი ექსპედიცია ეწვია მას, მაგრამ სიღუმლოებას ფარდა ვერ იქნა და ვერ ახადეს. ის კი გამოთვალეს, რომ ქალაქში 8 ათასამდე სული ცხოვრობდა. გათხრებმა სხვაც თქვეს: თითოეულ მამაკაცზე მოდიოდა ათი ქალი(!). და გაჩნდა ახალი თავსატეხი. თუ ეს ქალაქი ციხე-სიმაგრის როლს ასრულებდა, რომლებსაც მრავლად აგებდნენ ინკები, რატომ ჰარბობდა ასე ძლიერ ქალთა როდენობა? ფიქრობენ, რომ მაჩუ-პიკჩუ იყო ლეგენდარული „აკლიასების“ — ინკების ულამაზესი ქალიშვილების თავშესაფარი, რომლებიც მზის მსახურებად ითვლებოდნენ.

მაგრამ ლეგენდაში ნახსენები ფრინველები როგორღა ეხმარებოდნენ ადამიანებს ქალაქის აშენებაში? ლეგენდის ეს ნაწილიც სინამდვილეს შეეფერებოდა თურმე. ამ რამდენიმე წლის წინ ზოოლოგებმა

სან-მარტინს მთლიანად აეღო ხელში ძალაუფლება. სახელმწიფოს ახალმა მეთაურმა გამოსცა დეკრეტი, რომელიც მონობის ფლებდა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაბადებულ მონათა ბავშვებს. მანვე გამოსცა კანონი პრესის თავისუფლებაზე, გახსნა პერუს ნავსადგურები უცხოეთის ქვეყნებთან ვაჭრობის მიზნით. მთავარი იყო მისი დეკრეტი, რომლითაც ინდიელები უფლებებით სახელმწიფოს დანარჩენ მოქალაქეებს უთანაბრდებოდნენ. მაგრამ პერუჯერ მთლიანად თავისუფალი არ იყო და ამიტომ დადო ხელშეკრულება სიმონ ბოლივართან ურთიერთდამარების შესახებ. და, აი, გუაიკილში ერთმანეთს შეხვდა ლათინური ამერიკის ქვეყნების თავისუფლებისათვის მებრძოლი ორი დიდი მხედართმთავარი. სან-მარტინმა წამოაყენა წინადადება შეექმნათ პერუ-კოლუმბიის ფედერაცია და გაეერთიანებინათ არმიები მისი უმაღლესი მთავარსარდლობით, რაზეც ბოლივარი არ დათანხმდა. მაშინ სან-მარტინმა თანხმობა განაცხადა ბოლივარის თანაშემწის როლზე განმათავისუფლებელ ბრძოლაში, მაგრამ უკანასკნელმა იმ მიზეზით, რომ სამხრეთის განმათავისუფლებელს და დიდ მხედართმთავარს არ შეეფერებოდა ასეთი როლი, წინადადება მისცა, როგორც შედარებით მცირე სამხედრო ძალების პატრონი, მთლიანად ჩამოსულიყო სცენიდან და მათი საერთო საქმის დასრულება მისთვის, სიმონ ბოლივარისთვის მიენდო. ეს საუბარი მხოლოდ ამ ორ კაცს შორის ხდებოდა. ისტორიკოსებმა არ იციან, ზუსტად რა მოხდა. ფაქტი კი ის იყო, რომ გუაიკილიდან ლიმაში დაბრუნებული სან-მარტინი გადადგა და მეორე დღესვე დატოვა ქვეყანა.

1839—44 წლებში საფრანგეთში გამოიკა მემუარები „მოგზაურობა დედამიწის გარშემო და ორივე ამერიკაში“, რომლის ავტორიც საფრანგეთის საზღვაო ოფიცერი გაბრიელ ლაფონ დე ლიურსი იყო. ახალგაზრდობაში მას უმსახურია პერუს საზღვაო ფლოტში და ბოლივარისა და სან-მარტინის მოლაპარაკების დროს მისი ხომალდი გუაიკილის ნავსადგურში მდგარა. მრავალი წლის შემდეგ, როდესაც იგი თავისი მემუარების მეორე ტომს წერდა, ესტუმრა პარიზის მახლობლად უბრალო სოფელურ სახლში მცხოვრებ სან-მარტინს და სთხოვა წიგნისათვის ძველი დოკუმენტები. ამ დოკუმენტებში ყოფილა წერილის ასლი, რომელიც სან-მარტინს გაუგზავნია 1822 წლის 22 აგვისტოს. წერილში გენერალი წუხილს გამოთქვამდა, რომ ბოლივარმა გუაიკილში არ მიიღო მისი წინადადება თანაშემწეობაზე. 1850 წელს, სან-მარტინის გარდაცვალებამდე 2 წლით ადრე, პერუს ხელისუფლებამ გაიხსენეს დაბრმავებული და ყველასაგან მივიწყებული განმათავისუფლებელი და დაუნიშნეს მცირე პენსია... სან-მარტინის სარკოფაგს

აცილებდნენ მხოლოდ რამდენიმე ახლობელი და საფრანგეთში ჩილეს
საელჩოს თანამშრომელი...

ჩვენ შევესწარით საზეიმო ცერემონიას. სან მარტინის მოედანზე
ყვავილებში ჩაფლულ გენერლის ძეგლთან საპატიო ყარაული იღგა.
მოედანი ხალხით იყო გაჭედილი. სიკვდილის შემდგომ კვლავ აღზევე-
ბული ეროვნული გმირის პატივსაცემად თვით პერუს პრეზიდენტიც
მოვიდა...

ორი დღეა ვათვლიერებთ ღიმას, არქიტექტურისა და ხელოვნე-
ბის ძეგლებს. საღამოს ვსეირნობთ ძველი ქალაქის ვიწრო ქუჩებში,
სადაც მრავლად არიან ტურისტები სხვადასხვა ქვეყნიდან. აი, ინდიელ
მხატვარს ქუჩის კუთხეში გამოუფენია თავისი ნახატები. იქვე, პირ-
დაპირ ტროტუარზე ჩამწკრივებულან ინდიელები და ზანგები, რომ-
ლებსაც ქვაფენილზე დაუწყვიათ ხის ნიღბები, ქამრები, ფიგურები,
უბრალო სამაჯურები, მაგრამ იშვიათად თუ იყიდის ვინმე რამეს.

მზის ჩასვლისთანავე ძლიერი სიციხე საკმაო სიგრილემ შეცვალა.
აინთო რეკლამები, გაიღო ღამის ბარები და რესტორნები. ნელი ნაბი-
ჯით მივუყვებოდით ქუჩას და ხალხს ვათვლიერებდით. უმეტესობა
ინდიელი იყო ან მეტისი. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან პერუს მოსახ-
ლეობის ნახევარს აიმარას და კეჩუას ტომების ინდიელები შეადგენენ.

ბუნებრივია, რომ ქალაქში სეირნობისას, თუ იქ სააღყო წესები
არ არის შემოღებული ან სამოქალაქო ომი არ მძვინვარებს, ცოტა
ხნით ჩასული უცხოელი ვერ იგრძნობს ამ სახელმწიფოს შინაგან პო-
ლიტიკურ დაძაბულობას. ასევე იყო ღიმაშიც, სადაც ყველაფერი სიმ-
შვიდით სუნთქავდა და არაფერი ეტყობოდა იმისა, რომ ორიოდ თვის
შემდეგ აქ დიდი ამბოხება დაიწყებოდა. 1968 წლის ოქტომბერში პე-
რუში მოხდა „პრინ-უნსიაამინტო“ — სახელმწიფო გადატრიალება და
ძალაუფლება ხელში აიღო შეიარაღებული ძალების რევოლუციურმა
მთავრობამ. უკვე 1969 წელს ამ მთავრობამ დიპლომატიური ურთი-
ერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან. წარმატებით დაიწყო განვითა-
რება ეკონომიკურმა და კულტურულმა კავშირებმა. სწორედ ამის
ერთ-ერთი გამოხატულება იყო თვითმფრინავის რეგულარული რეისი
„მოსკოვი-ღიმა“, რომლითაც ჩვენ ჩავფრინდით პერუს დედაქა-
ლაქში.

ახალმა მთავრობამ დიდი ღონისძიებები გაატარა: რადიკალური
აგრარული რეფორმა, ნავთობის სარეწაოების ნაციონალიზაცია, რომ-
ლებიც მანამდე აშშ-ის კომპანიების კუთვნილება იყო. პერუს მთავ-
რობის ძირითადი მიზანია მთლიანად გარდაქმნას ქვეყნის სოციალურ-
ეკონომიკური ცხოვრება „ახალი საზოგადოების შექმნის მიზნით, რო-

მელშიც თავისუფლება და სიმართლე პერუს მამაკაცებისა და ქალების კუთვნილება იქნება“.

ჩვენი იქ ყოფნისას დაძაბული პოლიტიკური ვითარება სუფევდა კონტრრევოლუცია ცდილობდა დაემხო რევოლუციური მთავრობა. განსაკუთრებით აქტიურ ძირგამომხრელ საქმიანობას ეწეოდნენ პერუს ოლიგარქიის საზღვარგარეთ გაქცეული წარმომადგენლები. ქვეყნის შიგნით კი კონტრრევოლუციურ ელემენტებს ხელს უწყობდნენ აშშ-ის საელჩოს მუშაკები. ღიმაში ყოფნისას გაზეთ „ექსპრესოში“ გამოქვეყნდა აშშ-ს საელჩოს დიპლომატების, მათ შორის ელჩის რობერტ ღინის ბიოგრაფიების ზოგიერთი დეტალი. გაზეთის განცხადებებით ისინი იყვნენ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები.

სულ ორიოდ თვე გავიდა ჩვენი მოგზაურობიდან და შევიტყვევთ, რომ ღიმაში დაიწყო ამბოხება, რისთვისაც მემარჯვენე ძალებმა გამოიყენეს პოლიციელთა გაფიცვა. ეს უკანასკნელნი მოითხოვდნენ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. რეაქციონერმა დეკლასირებული ელემენტები (მარგინალური ფენები) წააქეზეს მალაზიების დასარბევად. პოლიციელები გაფიცვის გამო არ იყვნენ ქუჩებში და აპრისტების (პერუს პოლიტიკური პარტია) ხელშეწყობით ქალაქში დაიწყო აურზაური და პანიკა. შენობების სახურავებზე აპრისტებმა ჩაასაფრეს სნაიპერები, რომლებიც ხოცავდნენ უდანაშაულო გამვლელებს. ეს სჭირდებოდათ იმისათვის, რომ სამხედრო მთავრობისათვის დაებრალეზინათ „სამოქალაქო მოსახლეობაში გამოწვეული მსხვერპლი“. მთავრობამ, რომელსაც მხარი დაუჭირა კომუნისტურმა პარტიამ, მუშათა კლასმა და ხალხთა მასებმა, სწრაფად აღადგინა წესრიგი ქალაქში.

1979 წლის 1 თებერვალს შესრულდა 10 წელი პერუსა და საბჭოთა კავშირის შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებიდან. ამავე წელს პერუში იმყოფებოდა საბჭოთა სპეციალისტების დიდი ჯგუფი, როდესაც 1970 წელს პერუს თავს დაატყდა სტიქიური უბედურება 11-ბალიანი მიწისძვრის სახით. საბჭოთა კავშირმა მეგობრული დახმარების ხელი გაუწოდა ამ სახელმწიფოს. პერუს დიდ დახმარებას უწევს კუბა, სხვა სოციალისტური ქვეყნები. პერუს წინაშე ჯერ კიდევ მრავალი მწვავე პრობლემა დგას, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორ დაირაზმებიან ამ ქვეყნის რევოლუციური ძალები საერთაშორისო და შინაგანი რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად...

ვტოვებდით ღიმას, მთლიანი დამოუკიდებლობისათვის მებრძო-

ლი ქვეყნის დედაქალაქს და მივემგზავრებოდით არგენტინისაკენ, ჩვენი მოგზაურობის ძირითადი ქვეყნისაკენ...

ახლა უკვე „ილ — 62“-ის ნაცვლად, რომელიც ლიმაში ამთავრებდა თავის რეისს, „ბონინგ — 707-ში“ ვისხედით; იგი არგენტინის საავიაციო კომპანიას ეკუთვნოდა. ხელმარჯვნივ კარგა ხანს მოჩანდა წყნარი ოკეანის თვალუწვდენი სარკე, შემდეგ კი ჩვენს ქვევით მალაღლი მთები ამოიზარდნენ, როდესაც ოკეანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით გავუხვებით და 6 კილომეტრის სიმაღლეზე გადავუფრინეთ ვულკანებს — კოროპუნას და მისტის. გავცდით დასავლეთ კორდილიერას და დედამიწის ყველაზე მაღლა განლაგებული დიდი ტბაც გამოჩნდა. ეს სწორედ ის ტიტიაკა იყო, სადაც გადმოცემით ინდიელებმა ჩაადგეს 200 მეტრი სიგრძის ოქროს ჯაჭვი.

ისევე, როგორც მდ. ამაზონი ითვლება მსოფლიოს მდინარეთა დედოფლად, ასევე ტიტიაკას ტბასაც სამხრეთ ამერიკის ტბებს დედოფლად თვლიან. იგი მდებარეობს პერუსა და ბოლივიის საზღვარზე, 3812 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ტბა გაუმდინარია. მისი სიგრძე 180, ხოლო სიგანე 60 კილომეტრია; უდიდესი სიღრმე კი — 272 მეტრი. ტბაში 36 კუნძულია. ყველაზე ცნობილია ისლა-დელ-სოლი (მზის კუნძული) და ისლა-დელ-ლუნა (მთვარის კუნძული), რომლებსაც ადგილობრივი მკვიდრნი წმინდა კუნძულებად თვლიან. თვით ტბის სახელწოდება ინკების ენაზე „ტყვიის კედელს“ ნიშნავს. ასე უწოდებენ ტბის ყველაზე დიდ, მზის კუნძულსაც. აბორიგენები არ იზიარებენ რუკაზე აღნიშნულ ტბის ამ სახელწოდებას და ჩუქივიმუს უძახიან. იმასაც ამბობენ, რომ აიმარას ტომის ენაზე „ტიტიაკა“ — „ქალის საბადოს“ ნიშნავს.

ბევრი თავისებურება ახასიათებს ტიტიაკას; ჯერ ერთი ის, რომ იგი მთებში განლაგებული ერთადერთი ტბაა, რომელიც არ იყინება. მსოფლიოს სხვა ტბებში, როგორც წესი, წყლის ტემპერატურა სიღრმეში 4°-ით კლებულობს, აქ კი, 150 მ სიღრმეზეც კი იგივეა, რაც ზედაპირზე, 11°. ჯერ არავინ იცის, საიდან გაჩნდა აიმარას ხალხი, რომელიც ტბის მიდამოებში ცხოვრობს. წარსულში აიმარას ტომი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ დაუმორჩილებია მეზობელი ტომები და შეუქმნია დიდი იმპერია ტიტიაკადან არგენტინამდე და ჩილემდე. XI საუკუნეში ეს ტომი დაუმორჩილებიათ ინკებს. ძველი გადმოცემებით, ინკების ძლიერი სახელმწიფოს დამაარსებელი პირველი ინკა, მისი ცოლი ოლიუ წარმოშობით ამ ტბის რაიონიდან ყოფილან. შემდეგ კი, კონკისტადორებმა ინკების სახელმწიფოსთან ერთად ტიტიაკას ტბის რაიონში მცხოვრები ტომებიც დაიპყრეს და დაამონეს...



ტბის მიდამოებთან და მის კუნძულებთან მრავალი ისტორიული გამოცანა და თავსატეხია დაკავშირებული. ყველაზე დიდ სასაფლაოს შვიცავს ტიტოკაკას ტბის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე უძველესი ქალაქის, ტიუანაკოს ნანგრევები ზღვის დონიდან 3800 მეტრის სიმაღლეზე. მეცნიერები მას ანდების დედაქალაქს უწოდებენ, ადგილობრივი ინდიელები კი მკვდართა ქალაქს. ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, ვინ ააგო აქ მონუმენტური სასახლეები, ტაძრები, ციხესიმაგრეები, ძეგლები, რა ერქვა ქალაქს მაშინ, როდესაც აქ სიცოცხლე დღვდა. ვარაუდობენ, რომ იგი გააშენეს არა ინკებმა, არამედ აიმაზას ტომის წინაპრებმა. ეს დიდი ქალაქი დაყოფილია 5 ნაწილად: კალასასაია (მზის ტაძარი), აკაპანა, პუმა-პუნკუ, ლაკა-კოლიუ, კანტიტა. ჯერ მთლიანად არ არის დამთავრებული გათხრები. ამას წინათ აქვალანგისტმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ქალაქი ტბის ფსკერზეც გრძელდება. კალასასაიას ჯგუფში გამოირჩევა ვეებერთელა, თითქმის ოთხკუთხა შენობა, რომლის სიგრძეც 135 მეტრია. ამავე ჯგუფში შედის სარკოფაგების სასახლე, კხიერ-კალას სასახლე და დიდი თალი — მზის კარიბჭე. ეს უკანასკნელი სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ძეგლია. თალი გამოკვეთილია დიდ მონოლითში, ზედა ნაწილში რთული ჩუქურთმებითა, კიდევ რაღაც ნიშნები და გამოსახულებები, რომელთა აზრი და დანიშნულება გაუშიფრავია. ცენტრში რელიეფურადაა გამოსახული მზის ღმერთი. ფიქრობენ, რომ „მზის კარიბჭე“ უძველესი კალენდარია, მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია.

აქვე უნდა აღიხიშნოს, რომ ქვის საბადოები ამ ქალაქიდან 5 — 10 კილომეტრითაა დაშორებული. გაურკვეველია, როგორ გადმოჰქონდათ 100 — 150 ტონიანი ლოდები საბადოდან ქალაქამდე. ისიც გამოიკვლია, რატომ შეწყვიტა არსებობა ტიუანაკომ, რომელიც ათათასამდე მოსახლეს ითვლიდა. ხომ არ იყო ამის მიზეზი სტიქიური კატასტროფა? კითხვები ბევრია, მაგრამ ჯერჯერობით პასუხები არ ჩანს.

ლიმის სამხრეთით, 350 კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს პატარა ნახევარკუნძული პარაკასი. აქ 1925 წელს პერუს არქეოლოგებმა მღვიმეებში აღმოაჩინეს ადამიანთა სამარხები, მოგვიანებით კი ასეთივე სამარხები ნახეს ვეებერთელა მიწისქვეშა ნეკროპოლებში. მღვიმეებში მიცვალბულნი ღარიბულად იყვნენ დასაფლავებულნი, ნეკროპოლებში კი ძალიან მდიდრულად. კარგად შემონახულ მუმებზე ძვირფასი ტანსაცმლის ნაშთები და დიდი რაოდენობით სამკაულები იყო. როგორც მუმების, ისევე ტანსაცმლის ნაშთების კარგი შენახულობა აიხსნება იმით, რომ პარაკასის ნახევარკუნძულის ნიადაგი მშრალი ქვიშისაგან შედგება, რომელშიც დიდი რაოდენობითაა მარილები.

ნეკროპოლებში აღმოჩენილი ნივთები საფეიქრო ხელოვნების მაღალ დონეზე დალადებენ. აქ ამზადებდნენ 20 მ სიგრძისა და 4 მ სიგანის მქონე ქსოვილებს, რომლებსაც სხვადასხვა ფრად ლებავდნენ.

ლიმიდან სამხრეთითვე, 200 — 250 კილომეტრის დაშორებით, თანამედროვე პანამერიკული გზატკეცილი გადის იქას დეპარტამენტში, სადაც, მრავალრიცხოვან მდინარეთა გასწვრივ, მეორე საუკუნიდან ჩვეულთაღრიცხვამდე ცხოვრობდნენ მიწათმოქმედნი. სწორედ ესენი იყვნენ ჩვენი წელთაღრიცხვის II — III საუკუნეებში ნასკას კულტურის შემქმნელები. ეს ნაწილი ჯერჯერობით სუსტადაა შესწავლილი, მაგრამ პირველივე გამოკვლევებით აღმოჩენილია ნასკანელთა რამდენიმე ტაძარი, მაღალმხატვრული კერამიკა, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ კულტურისათვის. როგორც პარაკასელებმა, ნასკანელებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს ფეიქრობაში, ოქროს დამუშავებაში.

გავიდა დრო და პარაკასის და ნასკას უდიდესი კულტურის შემქმნელი ხალხი გაახადგურა ჩინჩას მეომარმა ტომმა, რომელიც გაბატონდა დიდ ტერიტორიაზე, თითქმის თანამედროვე ჩილეს საზღვრებამდე...

ტიტიკაკას ტბა თვალს მიეფარა და ხელმარცხნივ აღიმართა კორდილიერა-რეალი. კარგა ხანს მოჩანდა მისი 6550 მ სიმაღლის ანკოუშას პიკი. ვეშებოდით მსოფლიოს ყველაზე მაღლა განლაგებულ აეროდრომზე. ეს იყო ბოლივიის ფაქტიური დედაქალაქის ლა-პასის აეროპორტი ელ-ალტო.*

— ვისაც სუსტი გული აქვს, ან ჰიპერტონიითაა დაავადებული, გთხოვთ ნუ გადახვალთ თვითმფრინავიდან. — გამოაცხადა შევთვალემა არგენტინელმა სტიუარდესამ.

ჩვენ ჩავედით, რადგან შესახვედრად საბჭოთა ელჩი იყო მოსული და ვიდრე აეროვაგზლის შენობაში შევიდოდით, მთვრალეებივით მივაბიჯებდით, ვქანაობდით და თავბრუ გვეხვეოდა. უცნაური შეგრძნება იყო ქვევით, როგორც მთაწმინდიდან თბილისი, ისე მოჩანდა ლა-პასი, მისი სწორად დაგეგმილი ქუჩები. ქალაქს შუაზე კვეთდა ამავე სახელწოდების მდინარე. ლა-პასი მსოფლიოში ყველაზე მაღლა მდებარე ქალაქია; 3660 მ სიმაღლეზე დაუარსებია იგი ესპანელ კონკისტადორს, ალონსო მენდოსას, 1548 წელს. ამ დროს მშვიდობა ჩამოვარდნილა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ესპანელ დამპყრობთა რაზმებს შორის და ქალაქისთვისაც ლა-პასი (მშვიდობა) დაურქმევიათ.

* ოფიციალური დედაქალაქია სუკრე.



აეროდრომი კი ბევრად მაღლაა ქალაქთან შედარებით, 4200 მეტრზე ზღვის დონიდან და ამიტომ იყო, რომ თვითმფრინავიდან გადმოსულებს თავბრუ დაგვეხვა. ეს იგივეა, რომ ქალაქი გაშენებული იყოს ჭავის ქედის მწვერვალ ბრუტსაბძელზე (3670 მ), ხოლო აეროდრომი — ხეფსურეთის მოსაზღვრე კიდევანის ქედზე მდებარე მწვერვალ კიდევანის მაღალზე (4219 მ).

ერთსაათიანი საუბრისა და დასვენების შემდეგ კიდევ ერთხელ გადავხედეთ ლა-პასს, თვითმფრინავში ჩავსხედით და გეზი ბუენოს-აირესისაკენ ავიღეთ...

უწმინდესი სამების ქალაქში და წმინდა მარიამის კათილი ქარის ნავსადგურში

„ბუენოს-აირესი დიდი ქალაქია და ჩემი აზრით, მსოფლიოს ყველაზე წესიერად აგებული ქალაქთაგანი“.

ჩარლზ დარვინი

ჩარლზ დარვინი, რომელიც ამ საუკუნენახევრის წინ, გემ „ბიგლით“ მოგზაურობისას ბუენოს-აირესსაც ეწვია, წერდა: „თვით ბუენოს-აირესი დიდი ქალაქია და ჩემი აზრით, მსოფლიოს ყველაზე წესიერად აგებული ქალაქთაგანი. ყოველი ქუჩა მართი კუთხით მიემართება იმ ქუჩისაკენ, რომელსაც იგი კვეთს, პარალელური ქუჩები კი ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილებითაა დაშორებული; სახლებიც ერთნაირი ზომის მართხკუთხა კვადრატებს ქმნიან, რომლებსაც აქ ქუადრებს უწოდებენ. სახლები ძირითადად ერთსართულიანია, ბრტყელი სახურავებით, რომლებზეც დასაჯდომებია გაკეთებული; ზაფხულობით სახლების მკვიდრნი ხშირად აქ ატარებენ დროს. ქალაქის ცენტრში არის პლასა, სადაც განლაგებულია სახელმწიფო დაწესებულებები, ციხე-სიმაგრე, ტაძარი და ა. შ. რევოლუციამდე აქ ვიცე-ხელმწიფეების სასახლეები იდგა“.

ბუენოს-აირესი, არგენტინის დედაქალაქი, თავის ისტორიას 1536 წლიდან ითვლის, როდესაც ესპანელმა პედრო დე მენდოსამ ლა-პლატის ძარჯენა ხაპირზე, ოკეანის სანაპიროდან 275 კილომეტრის დაშორებით დააარსა ქალაქი. იგი მალე იქცა კონტინენტის სიღრმეში მიმავალ ესპანელთა რაზმების დასაყრდენ პუნქტად და ნავსადგურად, რომელიც ახალ კოლონიებს მეტროპოლიისთან აერთებდა.

ლათინური ამერიკის სახელმწიფოების დედაქალაქების უმრავლესობა დაარსებულია ბუენოს-აირესის მსგავსად ესპანელების ან პორ-

ტუგალიელების მიერ მე-16 საუკუნეში. ამ ქალაქებს „ნათლიები“
გრძელ, სიმბოლურ სახელებს არქმევდნენ. ასევე დაემართა ბუენოს-
აირესსაც, რადგან იგი ქალაქიც იყო და ნავსადგურიც, სახელიც ორ-
მაგი დაარქვეს: „სიუდად-დე-ლა-სანტისიმა-ტრინიდად“ და „პუერტო-
დე-ნუესტრა-სენიორა-დე-სანტა-მარია-დე-ლოს-ბუენოს-აირეს“, რაც
ნიშნავს: „უწმინდესი სამების ქალაქი“ და „წმინდა მარიამის კეთილი ქა-
რის ნავსადგური“. ეს ქალაქი მენდოსას წმინდა სამების დღესასწა-
ულის დღეს დაუარსებია, რაც მისი სახელის პირველი ნაწილიდან ჩანს,
ხოლო მეორე ნაწილი დაემატა ღვთისმშობელ მარიამის პატივსაცემად,
რომელიც მეზღვაურთათვის ქარების მფარველი იყო, ხოლო იმდრო-
ინდელ ხომალდებს ქარის გარეშე ოკეანეში მოძრაობა არ შეეძლოთ.
ძაგრამ გრძელი სახელწოდებანი გამოსათქმელადაც ძნელია და რუკებ-
ზე გადასატანადაც უხერხული. ამიტომ, ისევე, როგორც ლათინური ამე-
რიკის ქვეყნების სხვა ქალაქებს, ამ ქალაქსაც შეუკვეციეს შემდგომში
სახელი და მხოლოდ ბოლო ორი სიტყვა — ბუენოს-აირეს (კეთილი
ქარები) დატოვეს. ქალაქის თანამედროვე მკვიდრნი კიდევ უფრო კვე-
ციეს ამ სახელსაც და უბრალოდ, ბაირესს ამბობენ.

ბუენოს-აირესი 1930 წლამდე ერთადერთი ქალაქი იყო ლათინურ
ამერიკაში, რომლის მოსახლეობამ მილიონს გადააჭარბა. შემდგომ
წლებში კი მას გვერდში ამოუდგნენ მეხიკო, რიო-დე-ჟანეირო, სან-
პაულუ, ლიმა, სანტ-იაგო, კარაკასი, მონტევიდეო. ჩარლზ დარვინი კი
წერდა, რომ იმდროინდელი ბუენოს-აირესის მოსახლეობა სულ 60
ათას კაცს შეადგენდა. გავრთიანებული ერების ორგანიზაციის პროგ-
ნოზი გამართლდა და 1980 წლისათვის არგენტინის დედაქალაქის მო-
სახლეობამ 12 მილიონს მიაღწია.

დაარსებიდან 5 წლის შემდეგ ბუენოს-აირესი დაუნგრევიათ და
გადაუწვავთ ესპანელებს, რომლებიც აჯანყებულ ინდიელთა ტომებთან
ბრძოლის დროს იძულებულნი გამხდარან გაქცეულიყვნენ ამ ქალაქი-
დან.

1580 წლიდან ქალაქმა კვლავ დაიწყო აღორძინება. 1776 წელს
იგი ლა-პლატის ვიცე-სახელმწიფოს დედაქალაქი, ხოლო 1880 წელს
არგენტინის დედაქალაქი გამხდარა. 1980 წელს ბუენოს-აირესს დაარ-
სებიდან 444 წელი, ხოლო არგენტინის დედაქალაქად ყოფნის 200
წელი შეუსრულდა.

აი, ამ ქალაქს 1974 წლის დეკემბერში ეწვია საბჭოთა კავშირის
უმაღლესი საბჭოს საპარლამენტო დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვა-
ნელობდა აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე. მეც წილად მხვდა ბედნი-
ერება მემოგზაურა დელეგაციასთან ერთად და წიგნის ეს ნაწილიც



იმ შთაბეჭდილებების შედეგია, რაც არგენტინაში, ამ საოცარ, მოულოდნელ ბურ ქვეყანაში მოგზაურობისას მივიღე. ბევრი რამ, თბილისში არაფერო საინტერესო გამხდარიყო, შევაფხე ამ ქვეყნის შესახებ არსებული ლიტერატურით, რომლის ნაწილიც არგენტინიდან ჩამოვიტანე.

არგენტინაზე დაუსრულებლად შეიძლება წერა. ესაა ქვეყანა, სადაც შეიძლება ნახო პალმები და არაუკარიები, განიცადო ჭუნგლების ძხუთვარება და ჰორნის კონცხის სუსხიანი ქარები, დაინახო ანდების აღმოსავლეთი კალთები და ნარნარა ლამები, და რაც მთავარია, გაიცნო ხალხი, ლირიკისა და რომანტიკის მოყვარული, რომელსაც ძალიან უყვარს გიტარა და ტანგო, ცხენი და სიმღერა, მატე და ასადო, შრომა და თავისუფლება. ყოველი ქვეყნის ცხოვრებას ხომ განუმიორებელი იერი და თავისებურებანი აქვს, განპირობებული ისტორიულ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებით, ასევეა არგენტინისაც...

არგენტინის მოსახლეობის მესამედზე მეტი დედაქალაქში და მის გარეუბნებში ცხოვრობს. ბუენოს-აირესის მკვიდრნი თავის თავს უწოდებენ „პორტენიოსს“, რითაც ამბობენ, რომ ეს ქალაქი დიდი საზღვაო პორტია. მათი მეტი ნაწილი ემიგრანტთა მეორე ან მესამე თაობას წარმოადგენს, ისინი ხუმრობით ხშირად „დასცინიან“ ერთმანეთის წინაპართა ეროვნულ შთამომავლობას: ესპანელის შთამომავალს უძახიან „გალეგოს“, რომელიც „დასცინის“ „რუსოს“ (ებრაელს), ეს უკანასკნელი „დასცინის“ „ტანოს“ (იტალიელს), ტანო კი — გალეგოს. სწორედ ამის თაობაზე ამბობდა სიმონ ბოლივარი: „ჩვენ, ლათინურამერიკელები, ყველაზე არაჩვეულებრივ და რთულ მდგომარეობაში ვართ: არც ევროპელები ვართ და არც ინდიელები, არამედ რაღაც საშუალო აბორიგენებსა და ესპანელებს შორის“.

ბუენოს-აირესი ვებერთელა კოსმოპოლიტური ქალაქია, ტიპური „პორტენიოსები“. ესენი ძირითადად ის სოციალური ფენაა, რომელსაც ქმნიან მედუქნეები, წვრილი მეწარმეები, კლერკები, სწორედ ამ ფენაში ვლინდება „პორტენიოსის“ ხასიათის ძირითადი ნიშნები: მიდრეკილება გედონისტური ცხოვრებისაკენ, პოლიტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულება, დროსტარება და სხვ. აი, როგორ აღწერს „პორტენიოსის“ ხასიათს ცნობილი არგენტინელი პოეტი და ესეისტი სესარ ფერნანდეს მორენო: „პორტენიოსს უყვარს კაფეში ყოფნა, თამაშობს კამათელს, ბილიარდს; კაბარებისკენ ლტოლვას და მახიზმით გატაცებას თან სდევს თაყვანისცემა ცოლისადმი, რომელსაც პატრონესას უწოდებენ“.

„პორტენიოსს“ ძალიან უყვარს გემრიელად ჭამა, განსაკუთრებულ



პატივსაცემს ასადოს (ნელ ცეცხლზე შემწვარი ხორცი), რაც ქალაქ
 ქელებმა გაუჩოვებისაგან გადაიღეს. აქეთ კარგი მადა, უყვართ იერბ
 მატე, ჩაის ლათინურამერიკული ვარიანტი, რომელიც თავდაპირველად
 პარაგვაიში გაჩნდა და მალე ურუგვაისა და არგენტინის ეროვნულ
 სასმელად იქცა. არგენტინაში მატეს ნამდვილი კულტია და ტყუილად
 როდი უთქვამს ფრანგ მწერალს რაიმონ კენოს — „სვით მატე და
 თქვენ გადაიქცევით არგენტინელად“.

ცნობილი არგენტინელი პოეტი ფერნან სილვა ვალდესი ამ სასი-
 ამოვნო და სასარგებლო სასმელზე წერდა:

„შენშია რალაც სიუხეში,
 და მამაკაცის ხელის ძალა,
 ო, მწარე მატე-
 ყველგან ჩემთან ზარ,
 მხიარულთან და მწუხარესთან...
 ოდნავ მოგსვამ და შემეშვება გულის წუხილი,
 გაქრება დარდი, მობრუნდება კვლავ სიხარული,
 და ჩემს ბინაში დამკვიდრდება ბედნიერება“.

გარდა ხასიათის ზემომოყვანილი ნიშნებისა, „პორტენიოსს“ სა-
 კუთარი ჟარგონიც აქვს. ეს ჟარგონი საშუალოა იტალიურ დიალექტსა
 (ლიუნვარდო) და ეროვნულ ენას შორის. ისინი ზოგიერთ სიტყვაში
 გადაანაცვლებენ მარცვლებს, მაგალითად, ტანგოს ნაცვლად ხმარობენ
 გოტანს და ა. შ.

რადგან ტანგო ვახსენეთ, ბარემ ორიოდ სიტყვა ვთქვათ მის წარ-
 მოშობაზეც. „პორტენიოსები“ ამტკიცებენ, რომ იგი არგენტინული
 წარმოშობისაა; მაგრამ ამაზე დღემდე დიდი კამათია გაჩაღებული
 რიო-დე-ლა-პლატას აუზში და ვერ გაურკვევიათ, ურუგვაია თუ არგენ-
 ტინა ტანგოს სამშობლო.

ლათინურამერიკელი აფრიკანისტების აზრით, ტანგო ძალიან ჩა-
 მოჰგავს კონგოლუზური ცეკვის ნაირსახეობას — იანგოს. ფრანგი რო-
 ჟე ბასტიდი კი ფიქრობს, რომ ტანგო წარმოიშვა სიტყვისაგან „ტამ-
 გუ“, რაც ბანტუს ხალხის ენაზე საერთოდ ცეკვას ნიშნავს. არგენტი-
 ნელი აფრიკანისტის ორტის ოდგრივოს აზრით კი ტანგო დამახინჯე-
 ბული „შანგოა“, რაც ქარიშხლისა და ქუხილის ღმერთის სახელია ნი-
 გერიის ტომის, იორუბის მითოლოგიაში. კუბელი მუსიკათმცოდნე
 არხელერს ლეონი კი ამტკიცებს, რომ პირველი ზანგი მონები ესპანე-
 თიდან ამერიკაში ჩამოიყვანეს კოლუმბის გემებმა. მათი სადღესასწა-
 ულო სიტყვები თანდათან შეერია ადგილობრივ რიტუალებს. „ურუგ-
 ვაიში, — ამბობს ლეონე, — რელიგიურ რიტუალებში გაჩნდა ისე-

*ბ. შმაკოვისეული რუსული თარგმანი ჩვენ გადმოვქართულეთ — თ. კ.



თი საცეკვაო და მუსიკალური ფორმები, როგორცაა კალენდრის წესები, ანდომბლე, ჩიჩა, ბამბულა და სამბა“.

კოლონიურ პერიოდში ესპანეთის ვიცე-ხელმწიფემ ვერტისმა ნება დართო ხალხური ცეკვების შესრულებისა ბუენოს-აირესის თეატრ როჩესიაში, სადაც დიდი პოპულარობა მოიპოვა ცეკვა ფანდანგომ. ამ ცეკვაში უკვე იყო ტანგოს ზოგიერთი ელემენტი. ხალხურმა ცეკვებმა თავის აყვავებას მიაღწია XIX საუკუნის შუახანებში, დიქტატორ ხუან მანუელ დე როსას მმართველობის წლებში.

პორტენიოსთა ტანგო ჩაისახა 1880 წლისათვის ბუენოს-აირესის გარეუბნების ბარებში და საექვო რეპუტაციის სახლებში. მომდევნო წლებში ტანგო გამდიდრდა იმპროვიზებული ლექსებით, მღეროდნენ გაუჩოები, ეს პამპასების მენესტრელები. ტანგოში გადმოიცემა გაუჩოს თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება, ზოგჯერ ბოროტმოქმედი-საც, რომელსაც ბედმა ან სატრფომ უღალატა. არც ისე იშვიათია ტანგო, რომელშიც გამოსკვივის ემიგრანტთა ნოსტალგია. ევროპაში ტანგო ძირითადად უკვე ცეკვის სახით გავრცელდა პირველ და მეორე მსოფლიო ომების შუალედში. მისი დიდი პროპაგანდისტი იყო ცნობილი მომღერალი და ტულუზელი კინომსახიობი კარლოს გარდელი, რომელიც 3 წლიდან არგენტინაში იზრდებოდა.

შაგრამ არგენტინა არ არის მხოლოდ ტანგოს ქვეყანა, სადაც პამპასებში დიჯირითობენ პონჩოში გამოწყობილი გაუჩოები, დილიდან საღამომდე რომ უკრავენ გიტარას და ცეკვავენ ტანგოს. არგენტინას უზარმაზარი წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება აქვს. დღეს იგი, მიუხედავად თავისი გარეგნული ბრწყინვალეობისა, რაც ჩასულ კაცს ერთბაშად ეცემა თვალში, მსოფლიოში თითქმის ყველაზე ძვირი ცხოვრების ქვეყანაა.

არგენტინელები ამბობენ, რომ ქვეყნის მოსახლეობის მეტი ნაწილი ცხოვრობს ბუენოს-აირესის პროვინციაში, ხოლო ამ პროვინციის მკვიდრთა დიდი ნაწილი კი — თვით ბუენოს-აირესში. ლამაზია ეს თორბეტძლიონიანი ქალაქი თავისი განიერი პროსპექტებით, მაღალი შენობებით, აუზებით, შადრევნებით, მოვლილი პარკებით და უამრავი ძეგლით.

ესპანელთა მიერ დღევანდელი არგენტინის ტერიტორიის დაპყრობამდე აქ ინდიელთა მრავალი ტომი მოსახლეობდა. მდ. პარანის შესართავთან და მიმდებარე ტერიტორიებზე, სადაც ამჟამად ბუენოს-აირესის პროვინციაა, ცხოვრობდა გუარანის ტომი. ბუენოს-აირესის სამხრეთით — არაუკანები, კეჩუა, ჩანე, კერანდი და სხვ. ჩრდილოდასავლეთი ნაწილი ეკავა ინდიელთა რამდენიმე ტომს და ერთად დი-

აგიტებს უწოდებდნენ. განსხვავებით მექსიკისა და პერუს ინდიელებისა გან, არგენტინის ინდიელები განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგნენ. მათ ჰქონდათ თემურ-გვაროვნული ურთიერთობანი, ეწეოდნენ შიშათმოქმედებას, გაყავდათ გზები, იცოდნენ ფეიქრობა, ფერადი ლითონების დნობა და სხვ. მხოლოდ ჩარუას და კერანდის ტომები იყვნენ მეომრები.

ზემოთ, პერუს ინდიელთა დახასიათებისას, დაწვრილებით შეეჩერდით მათ ბრძოლაზე კონკისტას წინააღმდეგ. არგენტინაში სულსხვაგვარად წარიძართა ეს ბრძოლები, რომლის მიზეზებიც ეს პატარა ისტორიაა.

პირველი ესპანელი კონკისტადორი იყო დე სოლისი, რომელმაც 1516 წელს სცადა მდ. ლა-პლატის გავლით შეედწია არგენტინის სიღრმეებში, მაგრამ ნაპირზე გადმოსვლისთანავე იგი ინდიელებმა მოკლეს. 1520 წელს ამავე მდინარის აუზში შეაღწია მაგელანმა, ხოლო 6 წლის შემდეგ, უკვე დიდი ექსპედიციით სებასტიან კაბოტმა შეძლო ლა-პლატის, პარანისა და პარაგვაის გავლით ღრმად შესვლა არგენტინის ტერიტორიაზე. გუარანის ტომს ძალიან ბევრი ვერცხლის სამკაული ჰქონდა. ამ ტომს ვერცხლი გადმოჰქონდა დღევანდელი ბოლივიიდან. კაბოტს კი ეგონა, რომ ეს ადგილები იყო მდიდარი ვერცხლის საბადოებით და მთელ ამ რაიონს ლა-პლატა („ვერცხლი“) უწოდა. ესპანელები უშედეგოდ ეძებდნენ არგენტინის ტერიტორიაზე ოქროსა და ვერცხლის საბადოებს, ახალ ელდორადოს, და რადგან ვერაფერი იპოვეს, კოლონიზაცია სამხრეთ ამერიკის ამ ნაწილში ერთგვარად შენელდა. მაგრამ მე-16 საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც მეზობელ ბრაზილიაში მაგრად მოიკიდეს ფეხი პორტუგალიელებმა, ესპანელებს შეეშინდათ, აქეთაც არ გადმოსულიყვნენ ისინი და სასწრაფოდ დაიწყეს არგენტინის კოლონიზაცია.

ესპანეთის მეფე კონკისტადორებს ანიჭებდა დაპყრობილი მიწების მმართველობის უფლებას. ასეთ მმართველს ადელანტადოს უწოდებდნენ. პირველი ადელანტადო არგენტინაში იყო პედრო დე მენდოსა, რომლის სახელსაც ატარებს დღეს სანტიაგოს აღმოსავლეთით, ჩილეს მიმდინარე არგენტინის ერთ-ერთი დიდი პროვინცია და ქალაქი. ეს ის მენდოსა იყო, რომელმაც ბუენოს-აირესი დააარსა და მონათლა კიდეც.

1776 წლამდე ლა-პლატის ტერიტორია ემორჩილებოდა პერუს ვიცე-ხელმწიფეს. კოლონიური ადმინისტრაცია ამუხრუჭებდა ისეთ სამხრეველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, რომელიც კონკურენციას გაუწევდა ესპანეთს. ვაჭრობა დაშვებული იყო



მხოლოდ და მხოლოდ ესპანეთთან. მე-18 საუკუნის შუა წლებში დასავლეთ-დასავლეთის კოლონიების სხვა კოლონიებთან ვაჭრობის უფლება მისცეს. ამ პერიოდში გამდიდრდნენ კრეოლთა ფენის წარმომადგენლები, პირველი კონკისტადორების შთამომავალნი. ლა-პლატის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებს სათავეში უდგნენ კორეხიდორები, რომლებსაც განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდათ. ესპანელი მოხელეების თავგასულობა უკმაყოფილებას იწვევდა კრეოლებში. როდესაც 1776 წელს პერუს ვიცე-სახელმწიფოს ცალკე გამოეყო ლა-პლატის ვიცე-სახელმწიფო, მის ფარგლებში მოექცა უზარმაზარი ტერიტორია — არგენტინის, ურუგვაის, პარაგვაისა და ბოლივიისა. კრეოლების ბრძოლა მეტროპოლიის წინააღმდეგ სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებდა და აჯახებები ხშირდებოდა. ამავე პერიოდში ჩრდილოეთ ამერიკაში გაჩაღებული იყო კოლონიების ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთში მოხდა რევოლუცია და ყოველივე ამან კიდევ უფრო დააჩქარა და გააძწვავა ბრძოლა დაძოვრების მოსაპოვებლად არგენტინაში.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების უეცრად დიდი ძალით აფეთქებას ესპანეთის ამერიკაში თავისდაუნებურად ბიძგი მისცა ხაპოლენ ბოხაპარტემ. 1808 წელს მან დაანგრია ესპანეთის მონარქია, რომელიც ამერიკის კონტინენტზე განაგებდა უზარმაზარ იმპერიას — კალიფორნიიდან ჰორნის კონცხამდე და ორინოკოს სათავეებიდან წყნარ ოკეანემდე. ამ საზღვრებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე არსებობდა ესპანეთის ოთხი ვიცე-სახელმწიფო 17-მილიონიანი მოსახლეობით. მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის აქ უკვე პირველ ესპანელ კოლონისტთა მესამე-მეოთხე თაობა ცხოვრობდა. ესენი იყვნენ ლათინურ ამერიკაში დაბადებული ესპანელები, ანუ კრეოლები, რომლებსაც ამ დროისათვის ჩამოყალიბებული ჰქონდათ თვითშეგნება და გრძობდნენ კიდევ, რომ მათ უკვე გააჩნდათ საკუთარი კულტურა, იმის შესაძლებლობა, რომ დაძოვრებულნი ყოფილიყვნენ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის კრეოლთა ზედაფენის ხელში დიდი სიმდიდრე იყო დაგროვილი, მაინც არ აძლევდნენ გასაქანს კოლონიურ მმართველობაში, სადაც ძირითადად ხელმძღვანელი თანამდებობები მეტროპოლიიდან გამოგზავნილ ესპანელებს ეკავათ. საკმარისია აღიხიშოს, რომ 1813 წლამდე ამერიკაში არსებულ 170 ვიცე-ხელმწიფეს შორის მხოლოდ ოთხი იყო კრეოლი. აი, კიდევ ზოგიერთი ციფრი: 1570 წელს ესპანეთის ამერიკაში ცხოვრობდა 120 ათასამდე თეთრკანიანი, რომელთა ნახევარი უკვე ამ კონტინენტზე იყო დაბადებული. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი 17-მილიონიანი მოსახლეობიდან 3 მილიონ 200 ათასი თეთრკანიანი იყო და მათგან მხოლოდ 150

ათასი მეტროპოლიაში დაბადებული. გარდა იმისა, რომ რიცხობრივი უპირატესობა გააჩნდათ, კრეოლების სოციალურ სიძულვილს პირენესის ხანგებარეობიდან მოსული ემიგრანტების მიმართ, რასობრივი ნიუანსებიც დაჰკრავდა. საქმე ის იყო, რომ ესპანელები უფრო თეთრკანიანები იყვნენ, კრეოლები კი ძლიერ შეავგერმანები და სქელტუჩიანები. ალექსანდრე ჰუმბოლდტი ამ თავისებური რასობრივი თვითშეგნების თაობაზე წერდა, რომ ამერიკაში კანის სხვადასხვა ფერი განსაზღვრავდა ადგილს, რომელიც ეკავა ადამიანს საზოგადოებაში.

ამასთანავე ესპანეთის კოლონიებში ჰარბობდნენ ინდიელები; გაცილებით ნაკლებნი იყვნენ მეტიკები და თეთრკანიანები. დამონებულ მდგომარეობაში მყოფ ინდიელთა გარდა აქ ზანგი მონებიც ცხოვრობდნენ, რომელთაგან დროთა განმავლობაში წარმოიშენნენ თავისუფალი ზახგები და შულატები, მათ პარდოს ან კასტასს უწოდებდნენ. პარდო უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე მეტიკი (ესპანელისა და ინდიელის ქორწინების ნაყოფი). პარდოს არ გააჩნდა განათლების უფლება და მას მხოლოდ შავ სამუშაოზე ან შინამოსამსახურედ იყენებდნენ. პარდო თეთრკანიანისა და ზანგის ნარევი იყო და ეს ისეთ შეურაცხყოფად ითვლებოდა, რომ მას ჯორს ადარებდნენ და მისი სახელიც — მულატი — აქედან წარმოდგა (მულ — ჯორი). ესპანელს უფლება ჰქონდა, ცოლად შოეყვანა მეტიკის ქალი, მულატისა კი ძალზე იშვიათ შემთხვევაში.

კრეოლებს ეშინოდათ პარდოს აჯანყებისა, მეტროპოლიას კი იგი საომარ ძალად სჭირდებოდა. ამიტომ იყო, რომ 1795 წელს მიიღეს კანონი, რომლითაც პარდოს ყველა მოქალაქეობრივი უფლება მიენიჭა. ამ კანონის მიღებამ კიდევ უფრო გაართულა საქმე, რადგან იგი ფორმალური ხასიათისა იყო. კრეოლები დარწმუნდნენ ბურბონების უსუსურობაში. ესპანეთის მონარქია დაცემისაკენ მიდიოდა. კრეოლები მოექცნენ ორ ცეცხლს შუა — ხალხის მასებსა და იმპერიის ხელისუფლებას შორის. მთავრობამ თუმცა კი მიანიჭა მათ პრივილეგიები, მაგრამ არა ხელისუფლება. და როდესაც 1808 წელს ნაპოლეონ ბონაპარტემ ესპანეთის მონარქია დაამხო, კრეოლები მიხვდნენ, რომ პოლიტიკური ვაკუუმის დაშვება კატასტროფას მოასწავებდა. ამიტომ სწრაფად უხდა ემოქმედათ, რათა თავიდან აეცილებინათ ხალხის აჯანყება. სიმონ ბოლივარი ამ პერიოდზე წერდა: „ჩვენს ფეხქვეშ ვეებერთელა მულაჩხია. ვინ შეძლებს ჩაგრული კლასების შეჩერებას?“

1906 წელს კეთილი იმედის კონცხიდან გაგზავნილმა ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსმა გადაკვეთა სამხრეთი ატლანტიკა, შეიჭრა როი-დე-ლა-პლატაში და 27 ივნისს დაიპყრო ბუენოს-აირესი. ესპანე-

ლი ვიცე-ხელმწიფე მარკიზი დე სობრემონტე ქვეყნის სიღრმეში ვიწრო
იხიზხა, მდიდრებმა ქალაქგარეთ სახლებს მიაშურეს და იქ ჩაიყვანეს
მაგრამ კრეოლი ახალგაზრდობა, ზანგები, მულატები და ესპანელთა
დიდი ხაწილიც აღსდგა ინგლისელთა წინააღმდეგ საბძოლველად. კრე-
ოლების მ-ათასიანმა ჯარმა 12 აგვისტოს იერიში მიიტანა ინგლისელთა
კორპუსზე, დაამარცხა იგი და მთავარსარდალთან ერთად 1200 ჯარის-
კაცი დაატყვევა. კრეოლთა „არმიის“ სარდალი, ესპანეთის სამსახურ-
ში ძყოფი ფრახვი ოფიცერი სანტიაგო ლინე ბუენოს-აირესის გუბერ-
ნატორი გახდა.

გენერალი პრეზიდენტები და პრინუსნიამინტო*

„უღმობლობა არ შეიძლება სიმამაცის თანა-
მგზავრი იყოს“.

მ. სერვანტესი

ხაპოლეონის შესვლამ ესპანეთში დიდი გავლენა მოახდინა კრეო-
ლების ბრძოლაზე არგენტინაში და დააჩქარა მათი გამარჯვება. ესპანე-
თის შეფე იძულებული გახდა დათანხმებულიყო არგენტინელ პატრიოტ-
თა შეთაურის ლინეს დანიშვნაზე ლა-პლატის ვიცე-გუბერნატორად.
მაგრამ ბრძოლა საბოლოო თავისუფლების მოსაპოვებლად გრძელდე-
ბოდა. გახმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ კრეოლე-
ბის ბელადები ადვოკატი მარიანო მორენო, ეკონომისტი მანუელ ბელ-
გრახო და გენერალი ხოსე სან-მარტინი, რომელზეც უკვე გეჭონდა სა-
უბარი წინა თავებში. ეს ის გენერალი იყო, რომელმაც 1815—1817
წლებში თავისი არმიით გადალახა ანდები და ჩილესა და პერუში და-
ამარცხა ესპანელები. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი სამხრეთ
ამერიკის ქვეყნების დამოუკიდებლობას.

1846 წელს ლა-პლატის შეერთებული პროვინციები გამოცხადდა
არგენტინის რესპუბლიკად. შემდგომ წლებში გაუთავებელი ბრძოლა
შიმღიხარეობდა ხელისუფლებისათვის ბურჟუაზიულ-რეაქციულ დაჯ-
გუფებებს შორის. პრეზიდენტს პრეზიდენტი ცვლიდა, მაგრამ არგენ-
ტიხა თახდათან ექცეოდა უცხოეთის კაპიტალის მარწუხებში; ხშირად
იფეთქებდა სამოქალაქო ომი. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუ-
კუნის პირველ წლებში გახშირდა მუშათა გამოსვლები. ამ დროისა-
თვის უკვე ჩამოყალიბდა არგენტინის პროლეტარიატი.

* ესპ. სამხედრო გადატრიალება.

1930 — 1932 წლებში გენერალმა ეირიბურომ, რომელიც პრეზიდენტი გახდა სამხედრო გადატრიალების შემდეგ, აკრძალა კომუნისტური პარტია. ამასთან ერთად მანვე დაშალა ყველა ოპოზიციური პარტია. მომდევნო პრეზიდენტმა ხუსტომ გამოსცა დეკრეტი, რომელშიც კომპარტიის წევრობისათვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა. ამავდროულად პერიოდში არგენტინაში თავი იჩინა ფაშისტურმა მოძრაობამ, შეიქმნა ფაშისტური პარტია, მაგრამ 1939 წელს ორტისის მთავრობამ პროგრესული საზოგადოებრიობის გავლენით აკრძალა იგი.

1946 წლის არჩევნებში გაიმარჯვა პერონმა და არგენტინის პრეზიდენტი გახდა. არგენტინაში, ისევე, როგორც ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებშიც, სახელმწიფოს სათავეში ისტორიულად უფრო ხშირად სამხედრო პირები იდგნენ. ასევე პერონიც. იგი 1936 — 1937 წლებში მსახურობდა ჩილეში, არგენტინის სამხედრო ატაშედ: შემდეგ, სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ევროპაში, სადაც ეცნობოდა სამხედრო მომხადების მეთოდებს. 1943 წლის ივნისში მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება. პერონმა დაიკავა სამხედრო მინისტრის პოსტი, შემდეგ იყო შრომის მინისტრი, ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1946 — 55 წლებში — პრეზიდენტი. იგი გამოდიოდა ანტიიმპერიალისტური ხაციონალისტური ლოზუნგებით, მუშების ზოგ კატეგორიას მოუმართა ხელფასი და ხალხიც კმაყოფილი იყო, რადგან თანდათან ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მოელოდა. მაგრამ, როგორც სხვა პრეზიდენტები, პერონიც მოექცა აშშ-ის მონოპოლიების გავლენის ქვეშ და იმპერიალისტური მანქანის დაწოლით ნელ-ნელა დათმო თავისი პოზიციები.

ევა პერონი თავისი ძველდღის პრეზიდენტობის პირველ წლებშივე დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა ხალხში. იგი სათხო, გახატლებული ქალი ყოფილა. დიდ ყურადღებას უთმობდა განათლების საქმეს, ეხმარებოდა გაჭირვებულებს და ამიტომაც შეუტრქმევიათ მისთვის „არგენტინის დედა“. პერონის მთავრობის დამხობის მერვე იგი გაპოლია ემიგრაციაში მეუღლეს და იქ გარდაცვლილა. ძრავალი წლის მანძილზე ინახებოდა მადრიდში ევა პერონის დაბალზამებული ცხედარი. დაქვრივებულ ხუან პერონს ცოლად შეუერთავს არგენტინელი მოცეკვავე ქალი, მასხედ თითქმის ორჯერ ახალგაზრდა მარია ესტელა (ისაბელ) მარტინესი, რომლის ისედაც გრძელ სახელსა და გვარს ამის შემდეგ დე პერონი მიემატა. მარია ესტელა ძალიან ენერგული ქალი ყოფილა. იგი ჩამოდიოდა არგენტინაში პერონის ემისრად და ამხადებდა ხიადავს მეუღლის დასაბრუნებლად ემიგრაციიდან. 1973 წლის 25 მაისს არგენტინაში კვლავ მოხდა სახელმწიფო გადატრი-



აღება და ქვეყნის ახალი პრეზიდენტი (უკვე მეორედ, 18 მარტს, 1995 წელს) ხუან დომინგო პერონი გახდა.

არგენტინის ახალ პრეზიდენტს ჩვენი დელეგაცია რამდენიმე დღის შემდეგ უხდა შეხვედროდა. ჯერ აუცილებელი იყო შეგვესრულებინა პროგრამით გათვალისწინებული ცერემონიები. დილით არგენტინისა და მთელი ლათინური ამერიკის ეროვნული გმირის გენერალ სან-მარტინის ძეგლი უნდა შეგვემკო გვირგვინით. დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა. როდესაც მანქანებით ძეგლს მივუახლოვდით, პირველი, რაც თვალში გვეცა, ეს იყო ქოლგების ტყე. უქოლგებოდ მხოლოდ საპატიო ყარაული იდგა, ძველებური ეროვნული გვარდიის ტანსაცმელში გამოწყობილი. ვაჭყრდით თუ არა, ჩვენს მანქანებთან ქოლგებიანი ახალგაზრდები გაჩხხენ.

შემდეგ მანქანებით ქალაქში გავგასეირნეს. წვიმამ გადაიღო და ახალ პირდაბანილებს ჰგავდნენ არგენტინის დედაქალაქის ისედაც სუფთა ავეხიდები, პარკები და სკვერები. მანქანის სარკმელიდან მოჩანს კიხოთეატრების რეკლამები, რესტორნები და კაფეები, მაღაზიების ძდიდრული ვიტრინები. ამ დიდ ქალაქში ყველაფერია, ყველა გემოვნების ადამიანისათვის, უმაღლეს დონეზეა სერვისი: ახლა, როგორც გვითხრეს, ბუენოს-აირესი პარიზსაც უწევს მეტოქეობას მოდაში. მაგრამ აქ ყველაფერი საოცრად ძვირია. არგენტინას სიძვირით თითქმის პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში. ქუჩებში ფეხით მოსიარულე ცოტაა. უამრავი მანქანა წაშლავს ჰაერს, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე. აქაური მძღოლები არად დაგიდევენ მოძრაობის წესებს. ამაში არაერთხელ დავრწმუნდით.

ჩვენი კოლონა რესტორანთან ჩერდება, რომელსაც აწერია: „ლაკაბახია“. პროგრამის მიხედვით აქ ოფიციალური სადილი გვაქვს. მაგიდაზე კუვერტული ბარათები აწყვია ჩვენი გვარებით. ჩემს გვერდით ერთ მხარეს დეპუტატი აროლინდა ბონიფატი აღმოჩნდა, ოცდაათოდე წლის ლამაზი ქალი. ამ სახელისა და გვარის ხსენება ხშირად მომიწევს, რადგან ბონიფატი ჩვენს დელეგაციაზე იყო მომავრებული. მერმე ისიც შევიტყვე, რომ იგი პრეზიდენტ მარია პერონას დაახლოებული პირი გახლდათ. მეორე მხარეს სენატის საოქმოდ განყოფილების გამგე ეუზებხო სალევრო იჯდა. თარჯიმნის მოვალეობას ჩვენს პატარა ჯგუფში სალევროს გვერდით მჯდომარე, ეროვნებით უკრაინელი ოლლა კრისტიხა შესიო ასრულებდა.

— სენიორ, — მომმართა აროლინდამ, — თქვენი დელეგაციის ხელმძღვანელი გარდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილისა არის აგრეთვე საქართველოს უმაღლ

ლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. რას ნიშნავს ეს, არი თუ არა იგი თქვენი რესპუბლიკის პრეზიდენტი?

ანალოგიური კითხვა სხვა ქვეყნებშიც მოუციათ.

— განსხვავებით პრეზიდენტული რესპუბლიკებისაგან, როგორცაა არგენტინა ან საფრანგეთი, ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოებია უმაღლესი საბჭოები, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი პრეზიდიუმები. ეს იგივე კოლექტიური პრეზიდენტია, რომელიც ხელმძღვანელობს ამ საკანონმდებლო ორგანოების საქმიანობას სესიიდან სესიამდე.

ამასობაში მოგვართვეს შემწვარი ხბოს ხორცი — ასადო. საბჭოთა საელჩოს მუშაკებისგან ვიცოდი, რომ არგენტინის რესტორნებში ზოგი კვირის განმავლობაში აკრძალული იყო ძროხის ხორცის კერძების დამზადება. ამიტომ ეუხენიო სალეგროს ვკითხე:

— სენიორ სალეგრო, განა ამ კვირაში არ არის აკრძალული ძროხის ხორცი?

— აკრძალულია, მაგრამ თქვენი დელეგაციის პატივსაცემად დავარღვიეთ ეს წესი. — გაეცინა სალეგროს.

— მხოლოდ ჩვენს მაგიდაზე თუ მთელს რესტორანში?

— მთელს რესტორანში, ჩაერთო აროლინდა, — მაგრამ ვინც დღეს აქ შემოვა, არ ეცოდინება, ვის უნდა უმაღლოდეს დღევანდელ ასადოს.

— რითაა გამოწვეული ეს აკრძალვა?

— ექსპორტი. ჩვენს ქვეყანაში დამზადებული ხორცის მეტი ნაწილი საექსპორტოა. გუშინ მეხორცეთა ეროვნულმა საბჭომ სთხოვა მთავრობას ამ აკრძალვის გაუქმება, რადგან ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევს. საბჭოს პრეზიდენტმა პოლკოვნიკმა ფანტონიმ განაცხადა, რომ აუცილებელია ხორცის დამამზადებელი მრეწველობის გარდაქმნა ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ამ პროდუქტზე მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება როგორც საერთაშორისო ბაზარზე, ისე თვით არგენტინაშიც...

— როდესაც არგენტინაში მივფრინავდით, ნახევარი დღით პანამაში შევჩერდით. იქ მუზეუმში ვნახეთ ერნესტო ჩე გევარას ხელები და ნიღაბი. ის ხომ არგენტინელი იყო? — ვკითხე სალეგროს.

— ჩე გევარა ჩვენი ხალხის და მთელი ლათინური ამერიკის სიამაყეა. რასაკვირველია, ჩეს არგენტინაშიც ჰყავდა ბევრი მტერი, თუმცა კი მან თავისი სიცოცხლე ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების თავისუფლებას შესწირა...

— ისევე, როგორც ხოსე მარტინმა.



— მართალი ბრძანდებით. ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორია ტყუპისცალებივით წააგავს ერთმანეთს. საბოლოო მიზანი კი ყველასათვის ერთია — მთლიანი დამოუკიდებლობა, თავისუფლება და დემოკრატია...

ნასადილევს სალეგრომ სასტუმრომდე ფეხით გასეირნება შე-
მომთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი. ავენიდა რივადევიას გავუყუ-
ვით. ქალაქის ეს მთავარი პროსპექტი ბუენოს-აირესს ორ ნაწილად
ყოფს და ლარივითაა გაჭიმული 30 კილომეტრზე, ვიდრე პანამერი-
კულ გზატკეცილს არ შეუერთდება. ჩემი ყურადღება ერთი მალაზიის
ვიტრინამ მიიპყრო, სადაც უძველესი იარაღი იყო გამოფენილი.

— შევიდეთ, დავათვალიეროთ, — შემომთავაზა სალეგრომ.

რას არ ნახავდით აქ, არბალეტებსა და მუშკეტებს, შუბებსა და
ხმლებს, ცხენის მოვერცხლილ აღჭურვილობას და მუზარადებს. ვინ
იცის, როდინდელი იყო ეს იარაღი ან ვის ეპყრა ხელთ. იქნებ იმ პირ-
ველი კოხკისტადორებისა და მებრძოლი კრეოლებისაც იყო ზოგი მათ-
გახი. ის იყო ამ ანტიკვარული იარაღის მალაზიიდან გამოვედით, რომ
ძოძესძა:

— ჰაიეს? (სომეხი ხართ?)

იქვე, გვერდით, პატარა საიუველირო მალაზიისთან ჩასუქებულ
და დაბალი ტანის თეთრთმიანი კაცი იდგა ჩვრით ხელში და მიღიმოდა.

— ჩე! (არა!) — ვუპასუხე, როცა მივხვდი, რომ ეს კითხვა მე მე-
კუთვხოდა, კაცი შოშიახლოვდა.

— ვრაცა? (ქართველი ხართ?)

— ჰა! (ღიახ!)

— ვა, გაშარჯობა, კაცო, საიდანა ხარ? — კაცი დამტვრეულ ქარ-
თულზე გადავიდა.

— გაგიშარჯოთ, თბილისიდან გახლავართ.

— ვა, მეც იქიდანა ვარ, ჰაელაბარიდანა. აი ეს ჩემი მალაზიაა —
ძიძითთა საიუველირო მალაზიაზე.

— აქ საიდან მოხვდით?

— ეჰ, ეგ ძალიან გრძელი ამბავია... ისე, რა ამბებია თიფლისში!

— შშვიდობა.

— ვა, მშვიდობა უნდა იყოს მა რა.

— დიდი ხანია, რაც თბილისში არ ყოფილხართ?

— ორმოცდაათი წელიწადია — მიპასუხა და თითქოს გული თან
აძრიაყოლაო.

— მშვიდობით, კარგად ბრძანდებოდეთ, — ვთქვი და ნაბიჯი სე

ლეგროსაკენ გადავდგი, მოთმინებით რომ იდგა შორიასლოს და საუბარს შისთვის უცნობ ენაზე ყურს უგდებდა.

— სეკრეტი თუ არ არის, აქ რაზე ჩამოსულხარ? სპორტსმენი ხარ?

- არა, მთავრობის დელეგაციას ვახლავარ.
- ვა, ვაზეთებში რო ეწერა? ვა, ცავადტანემ, შემოიარე რა ჩემთან, აი, ამ პატარა მაღაზიაში ცოტა კიდევ ვილაპარაკოთ. დავლიოთ ჩვენი შეხვედრისა.
- არა, გშადლობთ, მეჩქარება!
- გულბეკიანის სახლი ნახე?
- არა.
- უხდა ნახო, იცი მერვე სართულზე რა ბალი აქვს?
- ვნახე, თუ შესაძლებლობა მომეცა. ნახვამდის.

ცხოვრილი ქეშმარიტებაა, რაც არ უნდა დიდხანს იცხოვროს კაც-მა საშობლოს გარეთ, ნოსტალგია მთელი სიცოცხლის მანძილზე უღრუნის ტენის და სულს უფორიაქებს. ასე იყო ის მოხუცი კაციც, თბილისში დაბადებული და ბედის ტრიალით ქვეყნის დასალიერზე გადმოსროლილი. როდესაც დასამშვიდობებლად ხელს ვართმევდი, თბილისელის შეხვედრით ანთებულ თვალეში ღრმა სევდა ჩაუწვა და ცრემლებიც შოერია...

- თქვეხებურია? — შკითხა სალეგრომ, როცა მიეუახლოვდი და ბოდიში მოვუხადე შეყოვნებისათვის.
- ჩემი ქალაქიდანაა.
- რა ენაზე ლაპარაკობდით?
- ქართულად.
- ემიგრანტია?
- ალბათ, ორმოცდაათი წლის წინათ წამოსულა აქეთ...

სალამოს 6 საათზე მიწვეული ვიყავით ეროვნულ სენატში. ფართო კაბინეტში დაგვეხდა სენატის დროებითი თავმჯდომარე ზოსე ანტონიო ალიენდე. საუბარი თითქმის ერთ საათს ვაგრძელებდა. იგი შეეხებოდა არგენტინის ეროვნული კონგრესისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურას, ფუნქციებს. ჩვენს ირგვლივ ოფიციატები უხმაუროდ მოძრაობდნენ და გვიმასპინძლებოდნენ ვისკით, ხილით, ყავით.

— ხვალ დილით ეწვევით ჩვენს მეტალურგიულ ცენტრს სან-ნიკოლასში, — თქვა ალიენდემ, — დაგეგმილი გვქონდა თვითმფრინავით

მგზავრობა, მაგრამ გადავიფიქრეთ, რადგან მანქანებით, გაეცნობით პამპასებს...

ჩვენი დელეგაციის არგენტინაში ყოფნის მეორე დღეს დაემთხვა ე. წ. აიაკუჩოს დეკლარაციის გამოქვეყნება. ლიმაში ჩატარდა საზეიმო დღესასწაული, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ ამერიკის განთავისუფლებისათვის უკანასკნელი დიდი ბრძოლის 150 წლისთავს. პერუს სამხრეთში მდებარე პატარა ქალაქ აიაკუჩოსთან განმთავისუფლებელმა არმიამ გენერალ სუკრეს მეთაურობით 1824 წელს სასტიკად დაამარცხა ესპანეთის მეფის არმია, რითაც ბოლო მოეღო ესპანელთა ბატონობას ამერიკაში. ამ გამარჯვების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ ლიმის კონფერენციაში მონაწილეობდნენ: ბოლივიის პრეზიდენტი იუგო ბანსერი, პერუს პრეზიდენტი ველასკო ალვარადო, ვენესუელის პრეზიდენტი კარლოს ანდრეს პერესი, პანამის პრემიერ-მინისტრი ომარ ტორიხოსი, არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრი ალბერტო ვინესი, აგრეთვე ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მაღალი თანამდებობის პირნი.

დღესასწაულისა და კონფერენციის დამთავრების მერმე ლათინური ამერიკის ქვეყნების მეთაურებმა და წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს „აიაკუჩოს დეკლარაციას“, რომელშიც რვა სახელმწიფომ შემდეგი განაცხადა: ამ ქვეყნებს შორის არ უნდა არსებობდეს შეიარაღებული, ეკონომიკური და ფინანსური აგრესიის მუქარა. უნდა შეამცირონ შეტევითი ხასიათის საომარი იარაღის შესყიდვა. დეკლარაცია მოუწოდებდა ლათინური ამერიკის ქვეყნებს ინტეგრაციისაკენ, როგორც ამ სახელმწიფოების განვითარებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის ყველაზე ეფექტური გარანტიისაკენ და სხვა მრავალი.

დეკლარაციაზე ხელის მოწერისას ვენესუელის პრეზიდენტმა განაცხადა: „ან გავერთიანდებით ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, ან კვლავ დამოკიდებულნი ვიქნებით. ესაა აიაკუჩოსთან ბრძოლის გაკვეთილი“. არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრმა კი თქვა: „არგენტინის საგარეო პოლიტიკა ემყარება ხუან დომინგო პერონის ფილოსოფიურ პოზიციას, რომლის საფუძველს წარმოადგენს სოციალური სამართლიანობა. იგი დაფუძნებულია ხალხთა იდეოლოგიური პლურალიზმის, თვითგამორკვევისა და სუვერენიტეტის აღიარებაზე“.

ამასობაში კი არგენტინის საშინაო მდგომარეობა არასახარბიელო ხდებოდა. ჩვენი იქ ყოფნისას აშკარად იგრძნობოდა პოლიტი-

კური დაძაბულობა, რომლის უმადლეს წერტილს სააღყო წესების შე-
მოღება წარმოადგენდა. ახალი პრეზიდენტი, მარია ესტელა მარტი-
ნეს დე პერონი ვერ ტოვებდა ბუენოს-აირესს, რადგან სამხედრო ვა-
დატრიალებისა ეშინოდა და ამიტომ იყო, რომ ლიმაში თავის ნაცვ-
ლად საგარეო საქმეთა მინისტრი გაგზავნა. ასეთ პირობებში უფრო
გასაკვირი იყო, რომ იგი სწორედ ჩვენი ჩასვლის დღეს ჩამოფრინ-
და ანტარქტიდიდან, სადაც ცუდი ამინდის გამო მხოლოდ რიო-გალე-
გოსამდე მიეღწია, 1600 კილომეტრით რომ არის დაშორებული მარა-
გბოს ბაზიდან, საითაც პრეზიდენტი მიემურობოდა. რიო-გალეგოსში
მარია პერონმა სიტყვით მიმართა საავიაციო სკოლის კადეტებს და
განაცხადა, რომ არგენტინა დაიცავს თავის სუვერენიტეტს ანტარქ-
ტიდის იმ სექტორზე, რომელიც „ექვემოქვეთნელი უფლებებით“ ამ
ქვეყანამ თავის კუთვნილებად გამოაცხადა.

იმ დღესვე შედგა სენატის პირველი სხდომა, რომელზეც დაამ-
ტკიცეს ეროვნული კონგრესის საგანგებო სესიის მუშაობის დღის
წესრიგი.

სენატის სხდომას ჩვენი დელეგაცია დაესწრება ზეგ, 13 დეკემ-
ბერს. როგორც შევითქვით, სწორედ ამ დღეს იყო დანიშნული ხალ-
ხის დემონსტრაცია კონგრესის შენობისაკენ, რაც გადაეწყვიტა ახალ-
გაზრდა პოლიტიკურ მოღვაწეთა საკოორდინაციო კომიტეტს. ამ კო-
მიტეტში შედიოდნენ მემარცხენე ცენტრისტული პარტიების წარმო-
მადგებლები (კომუნისტები, პერონისტული ახალგაზრდობა, რადიკა-
ლები, ქრისტიანები, შეურიგებელნი). მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ
პეტიციის გადაცემა დეპუტატთა პალატის პრეზიდენტ რაულ ლასტი-
რისათვის და ორივე პალატის ბლოკთა ლიდერებისათვის. პეტიციაში
მოითხოვდნენ: ხალხის ნების პატივისცემას, სააღყო წესების გაუქმე-
ბას, პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას, მუშათა კლასის
ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, პროფკავშირების მთლიან
დემოკრატიზაციას, განათლების დარგში პოლიტიკის მთლიან გადასინ-
ჯვას, ანტიკომუნისტური ალიანსის ტერორისტული საქმიანობის გა-
მოთიებას და ავტონომიური პროვინციების პატივისცემას...

დიდ წრიულ დარბაზში 252 დეპუტატი ზის. თითოეულ მათგანს
წინ მიკროფონი უდევს. ჩვენი დელეგაცია საპატიო ლოჟაშია. პალა-
ტის თავმჯდომარე რაულ ალბერტო ლასტირი თავის სიტყვაში ეხება
განსვენებული პრეზიდენტის პირველი მეუღლის, ევა პერონის მოლ-
ვაწეობას, ახასიათებს მას, როგორც შესანიშნავ ქალს, რომელმაც დი-
დი როლი შეასრულა არგენტინის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
ქერძოდ, განათლების სისტემის გაუმჯობესების საქმეში. იგი მიესალ-



შემა პრეზიდენტ შარია ესტელა დე პერონის გადაწყვეტილებასთან
პერონის ესპანეთიდან სამშობლოში გადმოსვენების თაობაზე. სიტყ-
ვაში გამოსული დეპუტატები მხარს უჭერენ ლასტირის...

არგენტინელი ქალები

„გულივით ფეთქავს სამყარო და მაფორიაქებს,
მის პარონიას სხეულით ვგრძნობ და ღრმად
ვისრუტავ,
და ვსვამ ბოლომდე გრძნეულ ფილას“.

ალფონსინა სტორანი

დეკემბრის ერთი საღამო თავისუფალი გვექონდა ბუენოს-აირესში. დეპუტატმა აროლინდა ბონიფაციმ და სენატის მდივანმა ალდო კანტონიხიმ შემოშთავაზეს ქალაქში გასეირნება და საღამოს ერთად გატარება. ჩვეთახ ერთად წაძოვიდა ოღლა კრისტინა ბესიო, რომელიც მათი თახაძროშელი და შეგობარი იყო და თარჯიმნის მოვალეობასაც შეასრულებდა.

სასტუმროდან გაშოვედით და სასეირნო ბუღვარ ფლორიდას ფეხით გავუყვით.

— საკონცერტო პროგრამების დაწყებამდე ჯერ ადრეა, — თქვა ალდო კანტონიხი, — კაფეში შევიდეთ და ყავა დავლიოთ.

ამ ბუღვარზე ყოველ ნაბიჯზეა კაფე, ბარი, რესტორანი. ერთ მათგანში შევედით და კუთხეში მდგარ პატარა მაგიდას მივუხებდით. კანტონიხიმ დაუკვეთა კოკა-კოლა, ვისკი და ყავა.

ბარი კვადრატული იყო, ჭაღებიც, მაგიდეებიცა და სკამებიც კვადრატული. ამას ემატებოდა დიდ კედელზე გაკრული პანო, რომელზეც სხვადასხვა ფერის კვადრატები იყო გამოსახული. აროლინდა თითქოს შიხვდა, რა აზრები შიტირიალებდა თავში ამ კვადრატულ სამყაროში და რაღაც პატარა ლექსი თქვა. ოღლამ მითარგმნა:

ღვანან საზღები მწკრივებად, მწკრივებად, მწკრივებად,
და კვადრატებად, კვადრატებად, მწკრივებად,
ჩვენაც ხომ სული კვადრატული გვაქვს,
აზრები კი მწკრივებად,
მზრები დაკუთხული,
გუშინ წამწამიდან ერეშლი რომ მომწყდა,
ოჰ, ღმერთო ჩემო, ისიც კვადრატული იყო.

— თქვენი ლექსია? — ვკითხე აროლინდას.

— არა, — გაელიმა მას, — ლექსებს არა ვწერ, მაგრამ ძალიან მიყ-

ვარს პოეზია. ეს პატარა ლექსი ჩვენი ცნობილი პოეტი ქალის ალფონსინა სტორნისაა.

— სეხიორა ბოხიფატი პედაგოგია, ფილოლოგი და ზედმიწევნით კარგად იცნობს ჩვენს მწერლობასა და პოეზიას, — ჩაურთო ალდო კახტოხიძე.

— ცოცხალია სტორნი?

— არა, მე დაბადებული არც ვიყავი, როცა 1938 წელს ოკეანეში თავი დაიხრჩო.

— რისთვის?

— ტრაგიკული ბედი ჰქონდა ალფონსინა სტორნის. იგი დაიბადა პროვინციაში და ბავშვობა სიღარიბესა და ქუჩაში გაატარა. სწავლა სურდა და თავისი პირველი წიგნი, დედაენა, მალაზიის დახლიდან მოიპარა. ძვერე შოახერხა განათლების მიღება და ერთ პატარა ქალაქში მასწავლებლობდა კიდევ. იგი თორმეტი წლიდან წერდა ლექსებს. მერე ვიღაც შეუყვარდა, შვილიც ეყოლა მისგან, მერე ქმარმა მიატოვა. ალფონსინა საცხოვრებლად ბუენოს-აირესში გადმოსახლდა და ჩველი ბავშვით მარტოლმარტო აღმოჩნდა ამ დიდ ქალაქში. როგორც იქნა, ერთ სავაჭრო ფირმაში დაიწყო მუშაობა და სამსახურის შემდეგ წერდა ლექსებს. „მე ვწერდი ლექსებს, რომ არ დავღუპულიყავი“ — ამბობდა იგი შოგვიანებით. მისი ლექსების პირველი კრებული 1916 წელს გამოვიდა. წიგნს ერქვა „ვარდების თრთოლვა“, და მაშინვე მიიქცია კრიტიკის ყურადღება. ამ წიგნის წარმატებამ მასწავლებლის ადგილიც კი არგუნა ბუენოს-აირესის ერთ-ერთ სკოლაში. 1918 წელს გამოვიდა მისი ახალი კრებული „ბედნიერი დანაკარგი“, ერთი წლის შემდეგ კრებული „გამოსწორება შეუძლებელია“, მერმე „უძღურება“. იგი ზედიზედ იღებდა ლიტერატურულ პრემიებს. დაიწყო, ერთი შეხედვით, მისი ცხოვრების ბედნიერი ათწლეული, მაგრამ შინაგანმა მარტობამ, როშელიც მთელი ცხოვრების მანძილზე სდევდა თან, თავისი გაიტახა და პოეტი სულიერად დაავადმყოფდა. ალფონსინამ ვეღარ გაიტახა ასეთი მდგომარეობა და 46 წლისამ თავი დაიხრჩო. ნეკროლოგთან ერთად გამოაქვეყნეს მისი უკანასკნელი სონეტი „მსურს დავიძინო“.

აროლიხდა ხშირად ჩერდებოდა და უცდიდა ოლღას, რომელიც მის ხათქვამს შითარგმხიდა. აი, ნაწყვეტი სტორნის იმ უკანასკნელი სონეტიდან, რომელსაც იგი თავის გადიას უძღვნის:

ნუ დაინანებ ქვიშის რუხ ზეწრებს,
და ხავისის საბანს, თბილსა და ფაფუქს,
მსურს დავიძინო... შენ დამაწვინე,
თავთან დამინთე გარსკვლავთა გუნდო,

რომელიც გსურდეს, კარგია ყველა
მხოლოდ ის გუნდი ძირს ჩამოსწივ.
მართოდ დამტოვე გაზაფხულამდღი,
როცა ჩიტები ცის კაბადონზე
გააჭარბებენ ხაზს დაფიწყების,
შენც უნდა შეძლო, რომ დამიფიწყო...
მადლობა შენც...*

— ქართველებს გიყვართ პოეზია? — მკითხა აროლინდამ.

— ძალიან. ზუსტობით იმასაც ამბობენ, ყველა ქართველი პოეტი
და ქართველი პოეტი კი ორჯერ პოეტიანო.

— რა საშწუნხაროა, რომ არ ვიცნობ ქართულ პოეზიას.

— შეთორბეტე საუკუნეში ჩვენ გვყავდა გენიალური პოეტი, შო-
თა რუსთველი, რომელმაც თავის პოემა „ვეფხისტყაოსანში“ მთელი
საუკუნით აღრე იქადაგა ის, რაც შემდგომ დანტემ. ეს პოემა მსოფლი-
ოს შრავალ ეხაზეა თარგმნილი, მათ შორის ესპანურადაც. თარგმანი
ეკუთვების ცნობილ ჩილელ პოეტს დე ლა ტორე ბოტაროს, რომელმაც,
თუ არ ვცდები, 1964 წელს გამოაქვეყნა თავისი თარგმანი.

— წამიკითხეთ რამდენიმე ნაწყვეტი პოემიდან.

— საშწუნხაროდ რუსული თარგმანი ზეპირად არ ვიცი. ბევრი რამ
ამ პოემიდან ჩვენი ხალხის თითქმის ყოველდღიურ აფორიზმად იქცა.

— უსათუოდ ვიშოვნი ესპანურ თარგმანს, — თქვა აროლინდამ
და უბის წიგნაკში ჩაიწერა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“.

დუშილი ჩაშოჯარდა. მერე ვილაცამ ავტომატში ფული ჩააგდო და
და დარბაზში ნელი ტანგოს ხმები გაისმა. ალღო კანტონიმ ოფიციანტს
მოუხმო და ვისკის ახალი ულუფები მოატანინა. მერე ჭიქა ასწია და
თქვა:

— გაუშარჯოს პოეზიას, რომელიც საერთაშორისო ენაა და ყვე-
ლასათვის გასაგები.

ყველამ შევესვით პოეზიის სადღეგრძელო. აროლინდა დიდხანს
იყო ჩაფიქრებული. რაზე ფიქრობდა ეს არგენტინელი ქალი, პედაგო-
გი, ფილოლოგი, სიცოცხლით სავსე და პრეზიდენტ მარია ესტელა
პეროხის შეგობარი? თბილისში დაბრუნებულმა მისგან საახალწლო
მოლოცვა მივიღე. მერე კი აღარ ვიცი, რა ბედი ეწია მას. იმ დღიდან
რაც ჩვენ პოეზიაზე ვსაუბრობდით ბუენოს-აირესის ერთ-ერთ კაფეში,
სულ რაღაც წელიწადი და სამი თვე იყო გასული და არგენტინაში
სამხედრო გადატრიალება მოხდა...

იმ დღეებში, ჩვენ რომ არგენტინაში ვიმყოფებოდით, გაზეთებ-

* ი. ჩიქვოვას რუსული თარგმანი მე გადმოვაქართულე. — თ. კ.

შიც ხშირად ეწერა და მასპინძლებთან საუბარშიც ხშირად ისმოდა ერთი არგენტინელი ქალის სახელი — ვიქტორია ოკამპო. ვინ იყო იგი? ლათინური ამერიკის კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე და მეცენატი, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე იღვწოდა კონტაქტებისა და ურთიერთგაგების დასამყარებლად სხვადასხვა ხალხების კულტურებს შორის. მის ვილაზე სან-ისიდროში, ბუენოს-აირესის მაზლობლად, იკრიბებოდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მწერლები, ფილოსოფოსები, პოეტები, კულტურის მოღვაწენი. მათ რიცხვში იყვნენ იგორ სტრაფინსკი, რაბინდრანათ თაგორი, პოლ ვალერი, ორტეგა-ი-გასეტი, პაბლო ნერუდა, გრემ გრინი, ანდრე მარლო, იუნესკოს პირველი გენერალური დირექტორი ჯულიან ჰაკსლი და სხვანი.

— ვიქტორია ოკამპომ ჯერ კიდევ 1934 წელს დააარსა ჟურნალი „სამხრეთი“, — შიამბობდა აროლინდა ბონიფატი, — რომელშიც თავის ხაწარმოებებს ბეჭდავდნენ ლათინური ამერიკის ისეთი გამოჩენილი მწერლები, როგორც ხორხე ლუის ბორნესი, ალფონსო კარპენტერი და ხულიო კორტასარი. შარშან ოკამპომ იუნესკოს აჩუქა თავისი ვილა სან-ისიდროში და კიდევ რამდენიმე მამული. მისი სურვილით ვილა უხდა გამოიყენონ კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სოციალური კომუნიკაციის დარგებში ისეთი ღონისძიებების გასართობლად, შესასწავლად და ექსპერიმენტებისათვის, რომლებიც მიმართულნი იქნებიან ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ.

ამ საუბრის შემდეგ გაივლის 5 წელი და ვიქტორია ოკამპო 88 წლის ასაკში გარდაიცვლება ბუენოს-აირესის მაზლობლად, თავის ვილაში სან-ისიდროში. ამ ვილას „ოკამპოს ვილა“ უწოდეს. იგი უკვე იქცა იუნესკოს შემოქმედებით და კულტურულ ურთიერთობათა ცენტრად.

რა შეიძლება ითქვას 70-იანი წლების დასაწყისის არგენტინის ბირველ ქალზე. პრეზიდენტ მარია ისაბელ მარტინეს დე პერონზე? მასთან შეხვედრა და საუბარი 13 დეკემბერს იყო დანიშნული. საუბრის შემდეგ მანქანებში ჩავსხედით და გავუყევით ავენიდა დე მიოს, რომლის ბოლოშიც პრეზიდენტის რეზიდენცია — „კასა როსადა“ იყო აღმართული.

მიუხაზლოვდით მაღალ, წითელი აგურით ნაგებ გალავანს, რომელიც აგრეთვე მაღალი კარიბჭით მთაგრდებოდა. შლაგბაუმი გადაკეტილი იყო და ჩვენი მანქანები შეჩერდნენ. იმავე წამს მანქანებს აქეთ-იქიდახ ავტომატპომარჯვებული ჯარისკაცები ამოუდგნენ, მათი უფროსი ოფიცერი კი შეწინავე მანქანასთან მივიდა და სამხედრო სალაპისისცა შიგ მსხდომთ. ჩვენმა თანმხლებმა სენატორებმა რაღაც უთხრეს



მას ესპანურად. ოფიცერმა უარის ნიშნად თავი გააქნია და აღდგენა
 ციის მეთაურისა და საბჭოთა ელჩის გარდა ყველას გაუსინჯა სასუსუქე
 ბი. ამასობაში ავტომატიანი ჯარისკაცები ქანდაკებებივით იდგნენ და
 თვალს არ გვაცილებდნენ. უხერხულად ვგრძნობდით თავს, მაგრამ სხვა
 რა გზა იყო, სააღყო წესებს უნდა დავმორჩილებოდით. ოფიცერი
 ჩვენს მანქანასთანაც მოვიდა. დიდხანს დაჰყურებდა ჩემს დიპლომა-
 ტურ პასპორტში ჩაკრულ ფოტოს, მერე მე შემომხედა, ეტყობა, აღ-
 შოაჩინა მსგავსება და თავაზიანი ღიმილით დამიბრუნა. შლაგბაუმი
 აიწია და შეგვიშვეს. ახლა ავტომატიანი ჯარისკაცები ოფიცერთან
 ერთად სმენაზე იდგნენ.

გალავნის შიგნით დიდ ეზოში შევედით. მის სიღრმეში ორსართუ-
 ლიან შეხობასთან სამხედრო ვერტმფრენი იდგა, მოშორებით რამდენ-
 ნიმე ჯავშნოსანი მანქანა. ერთი სიტყვით, პრეზიდენტის დაცვა უმაღ-
 ლეს დონეზე იყო.

გამოგვეგება პრეზიდენტის მარჯვენა ხელი, ეკონომიკის მინისტრ-
 რი ზოსე ლუთერ ჰელბარდი, საშოციოდე წლის ჩასუქებული მამაკაცი.
 იგი შეგვიძღვა პატარა დარბაზში, რომელიც თითქმის მთლიანად ეკა-
 ვა ვეებერთელა, ტყავგადაკრულ მაგიდას. დაესხედით თუ არა, ყავა
 მოგვართვეს. მინისტრმა გვითხრა, პრეზიდენტი ახლავე გეახლებათო
 და დარბაზიდან გავიდა.

ჩვენი თანმხლები სენატორები და დეპუტატები ცდილობდნენ უხერ-
 ხული ლოდინი განყენებულ თემაზე საუბრით შეევისთოთ. 15—20 წუ-
 თის შემდეგ კარი გაიღო და ახოვანი ოფიცრები შემოვიდნენ. ისინი
 კართან დადგნენ. მერე თვით პრეზიდენტიც გამოჩნდა. ეს იყო ორმო-
 ციოდე წლის ტანდაბალი, ძალზე გამხდარი ქალი, არგენტინის პრეზი-
 დენტი მარია ისაბელ ესტელა მარტინეს დე პერონი. საუბარი გულ-
 თბილად წარიმართა. იგი შეეხო საგარეო პოლიტიკის საკითხებს, საბჭო-
 თა კავშირის უდიდეს როლს მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებას
 და განხტყიებაში. საუბრის ბოლოს პრეზიდენტმა თქვა:

— როგორი შთაბეჭდილებებით მიემგზავრებით არგენტინიდან?

— შთაბეჭდილებები ღრმა და შთამბეჭდავია. გავცანით თქვენ
 შრომისმოყვარე ხალხს, სენატორებს, დეპუტატებს, მინისტრებს, მე-
 ფოლადეებს, ფერპერებს. შესანიშნავი ბუნება გაქვთ და ხალხი
 მშვენიერი ცხოვრობს. რასაკვირველია, სიძნელეები ყველა ქვეყანა-
 შია, მაგრამ უკეთესი მომავლის იმედით ცხოვრობენ.

— მარშან, საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნებულ
 ჩვენი კონგრესის დელეგაცია აღფრთოვანებული იყო გულთბილი მი-

ლებით, იმ დიდი სოციალურ-კულტურული მიღწევებით, რაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიქმნა.

— მე დავალბული მაქვს გამომგვით ჩემი ქვეყნის ხელმძღვანელობის თვითნებური მოქმედება თქვენთვის მოსახერხებელ დროს.

— გთხოვთ გადასცეთ მათ ჩემი დიდი მადლობა და საუკეთესო სურვილები. მიწვევით კი ვისარგებლებ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცემა.

ჩვენ ვიცოდით, რომ დაძაბული საშინაო მდგომარეობის გამო პრეზიდენტი ჯერჯერობით ვერ ტოვებდა ქვეყნის საზღვრებს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა პრეზიდენტს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები, მათ შორის ირაკლი ოჩიაურის მიერ საგანგებოდ გამოშვებული ძველი ქართული ცხენოსნების გამოხატულება. პრეზიდენტ ქალს თვალები გაუბრწყინდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი დიდი ქვეყნის პრეზიდენტი იყო, თვითონ ხელოვანს სხვა ხალხების ხელოვნებაც კარგად ესმოდა. განსაკუთრებით დიდხანს ათვლიერა ირაკლი ოჩიაურის ნამუშევარი და დიდი მადლობა გადაუხადა დელეგაციის მეთაურს.

გაივლის სულ რაღაც თხუთმეტი თვე ამ დღიდან და ესტელა პეროხს, თუ არ ვცდები, არგენტინის და მთლიანად ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოების ისტორიაში პირველ ქალ პრეზიდენტს, სამხედრო გადატრიალების შემდეგ დააპატიმრებენ... ახლა კი ჩვენ გულთბილად გვეშვიდობება იგი.

კვლავ პრეზიდენტის რეზიდენციის დიდ ეზოში გამოვედით. თანმხლები სენატორები გაგვიძღვნენ ეზოს შორეული კუთხისაკენ, სადაც დაბალი, მრგვალი შენობა მოჩანდა. ეს იყო ხუან პერონისა და მისი პირველი მეუღლის, ევა პერონის მავზოლეუმი. შევჩერდით დიდ მოაჯირთან; ჩვენს ქვემოთ, ღრმა ოვალურ დარბაზში ორი სარკოფაგი იდგა. ერთი თავდახურული იყო და ზედ გენერლის ქუდი და ხმალი იდო. მეორე, თავახდილ სარკოფაგში ესვენა ევა პერონის დაბალხამებული ცხედარი...

პამპასები, გაუჩოვები და სან-ნიკოლასი

„ამერიკის პამპასები ისეთივე განსაკუთრებული გეოგრაფიული მოვლენაა, როგორც მაგალითად დიდი ტბების ქვეყნის სავანები ან ციმბირის სტეპები“.

ქოქლე რანი

მზიანი დილა გათენდა. ბუენოს-აირესს არაფერი ეტყობოდა წუხანდელი კოკისპირული წვიმისა. დილით დაგეგმილი იყო დელეგა-

ციის გამგზავრება სახ-ნიკოლასში, რომელიც რუსთაველით მეტალო-
გიული და საერთოდ, მსხვილი სამრეწველო ცენტრია. მანძილსა და
ტიხის დედაქალაქიდან სან-ნიკოლასამდე ორასორმოცდაათი კილომე-
ტრია. ჩვენ შასპიხბლებთან ერთად ხუთ მანქანაში მოვთავსდით და
გზას დაეადექით.

როგორც კი ბუენოს-აირესს გავცდით და გეზი ჩრდილო-დასავ-
ლეთით ავიღეთ, მაშინვე დაიწყო პამპასები, ეს საოცარი, თვალუწე-
დენი ვაკე. პორიზონტამდე მაღალი, მწვანე ბუჩქნარი და ბალახი
მოჩანდა მხოლოდ. აქა-იქ თაზისებზე იყო შემორჩენილი ტყის კო-
რომები. შესახიშნავი გზატკეცილი მდინარე პარანას მარჯვენა ნაპირს
შიუყვებოდა. იშვიათად გამოჩნდებოდა წითელი აგურით ნაგები ან
თიხით შეღესილი განმარტოებული სახლი. სამაგიეროდ, ყოველ ნა-
ბიჯზე ვხვდებოდით ძროხებისა და ხარების ჯოგებს, რომელთა შორის
ამაყად და აულელვებლად დააბიჯებდნენ ნაცრისფერი სირაქლეშები.
ჩემთან ერთად მანქანაში მყოფ ადლო კანტონის ვკითხე სირაქლეშ-
ების ამბავი და შიპასუხა:

— შოგეხსებმათ, რა ძვირად ფასობს სირაქლეშას ბუმბული,
პოდა სწორედ ბუმბულისათვის აშენებენ ამ რაიონებში სირაქლეშებს.

გავცდით ბუენოს-აირესის პროვინციას და გადავედით სანტა-ფეს
პროვინციაში. კვლავ პამპასები, მწვანე და დაუსაბამო. სიტყვა პამპა,
ახუ პამპასები ესპანელებს უსესხებიან კეჩუას ტომის ინდიელებისა-
გახ. ასე უწოდებენ სამხრეთ ამერიკის ზოგიერთ დაბლობს. ხოლო
თვით არგენტინაში ამავე სახელწოდების ბუნებრივი ოლქიცაა — ლა-
პამპა. პამპას დიდი ტერიტორია უკავია, თითქმის ლა-პლატის მთელი
დაბლობი. აქ ხშირად უბერავს სამხრეთის ძლიერი ქარი — პამპეროსი.

ამოდ ვცდილობდი მანქანიდან მაინც დამენახა პამპასების მეფე
ცხებზე ამხედრებული და პონჩოში გამოწყობილი გაუჩო ლასოთი.
იშვიათად გამოჩნდებოდა მწყემსი, რომელსაც ჩვეულებრივი ტანსაც-
მელი ეცვა და ხის ძირას ეძინა, ან ხელში ვიროლა ეჭირა და მატეს
სვამდა. დღისით, ვიდრე პირუტყვი საძოვარზეა, თანამედროვე გაუ-
ჩოებს საქმე არაფერი აქვთ. საქონელს არავინ ერჩის, რადგან პამპაში
ხადირი თითქმის აღარ არსებობს, ადრე კი... ადრე სულ სხვა ხანა
იყო. როგორც ჩრდილოეთ ამერიკამ მსოფლიოს კოვბოი აჩუქა, ასევე
არგენტინამაც, აქაური კოვბოი — პამპის შვილი გაუჩო. ასე უწოდებენ
არგენტინაში ცხენების გამხედნავეებს, მწყემსებს, რომლებსაც ათასო-
ბით ძროხა, ხარი და ცხენი აბარიათ.

გაუჩო თავისი განუყრელი გიტარით, სიმღერით, სიმამაცით, კე-
თილშობილებით რომანტიკული ადამიანის განსახიერებაა, ამიტომ მას

ხშირად მიმართავენ მწერლები, დრამატურგები, კინორეჟისორები. ასეთ აღამიანებადაა გამოყვანილი გაუჩო არგენტინის კლასიკოსი მწერლების: ხოსე ერნანდესის, ილარიო ასკასუბის, რიკარდო გიურალდესის ნაწარმოებებში. მწერლებს ხშირად ავიწყდებოდათ გაუჩოს მიმეწრომა, გვერდს უვლიდნენ მას და მხოლოდ რომანტიკულ მხარეს აშუქებდნენ. ამ მხრივ გამოჩაქოსია ერნესტო ლ. კასტროს 1953 წელს გამოცემული რომანი „გადახნული მინდორი“, რომელიც 1960 წელს რუსულადაც ითარგმნა. ამ რომანში ნაკლებადაა ფსევდორომანტიკა და ხაჩვენებია სწორედ ის პროცესი, როდესაც მეცხოველეობამ არგენტინაში საძრწველო ხასიათი მიიღო და გაუჩო თანდათან ფერმერად და ჩვეულებრივ მწყემსად იქცა.

ზედმიწვენით კარვად ახასიათებს გაუჩოს ცნობილი ინგლისელი მეცხიერი და მოგზაური ჯერალდ დარელი თავის წიგნში „სამყაროს ირგვლივ“. დარელი არგენტინაში იყო ჩასული იქაური ფაუნის ზოგიერთი წარმომადგენლის დასაქვრად ინგლისის ზოობარკებისათვის, რაშიც მას გამოცდილი გაუჩო სებასტიანი ეხმარებოდა. იგი საოცარი ოსტატობით ფლობდა ლასოს, შოლტით კი სასწაულებს სჩადიოდა.

ჯერალდ დარელი თავის წიგნში აღწერს ღრეობას, რომელიც სებასტიანს მასთან გამოთხოვებისას გამართა თავის სახლში. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში კინოფილმს იღებდნენ და ყველა მოიქახცა, სხვებზე მეტად კი სებასტიანი, იგი საღამოს ცეკვავდა გაუჩოს ტემპერამენტთან ცეკვებს, რომლებშიც გამუდმებული ნახტომები და ფეხების საოცარი მოძრაობაა საჭირო. დარელის ვაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც შეიტყო, რომ სებასტიანი არც ძეტი, არც ნაკლები, 90 წლისა იყო!..

ჩვენ კი პაპასებში მივჭროდით; მასპინძლებმა ისეთი გზა შეარჩიეს, რომლის გასწვრივაც შედარებით ხშირი იყო ფერმები. ძალზე იშვიათად ეხედავდით „ნამდვილ“ გაუჩოს, და თუ დავინახავდით, ცხენზე ამხედრებულ და პონჩოში გამოწყობილ მწყემსს, ის უსათუოდ მოხუცი იყო. ახალგაზრდა გაუჩოებმა, ეტყობა, ვერ გაუძლეს ტექნიკურ პროგრესს და ცხენებს მანქანები ამჯობინეს...

პაპასებში, და, საერთოდ, არგენტინაში ბევრი საქმე აქვთ ვეტერინარებს. მართო ბრუცელოზისაგან ყოველწლიურად იღუპება 5 მილიარდი არგენტინული პესოს ღირებულების პირუტყვი. ძალიან არის მოდებული ციმბირის წყლული, თურქული, საქონლის სხვა დაავადებანი, რომლებსაც გამუდმებით ებრძვის არგენტინის ვეტერინართა სამათსიანი არმია...

გზა გავეგრძელდა. პაპასების პეიზაჟიც მოგვბეზრდა და მივაღე-

ქით კიდევ ქალაქ სან-ნიკოლასს, შავი მეტალურგიის ცენტრს. პირდაპირ ქარხანას ვეწვიეთ, რომელსაც „სამისა“ ჰქვია. კარგად ვიხსენებ ვედიტ, ის იყო ამთავრებდნენ ფოლადის დნობას. ვიდექით ვეებერთელა საამქროში და ველოდებოდით გამდნარი ფოლადის გამოშვებას. ვერცხლისფერ ცეცხლგამძლე კომბინიზონებში გამოწყობილი მეფოლადეები კოსმონავტებს დამსგავსებოდნენ. ისინი რიგრიგობით მიბრბოდნენ ბრძმედთან და გრძელი რკინის ლომების დარტყმით ანგრევდნენ ლუძელის ამოსიპულ კედლებს. როგორც იქნა, დიდი წვალეების შემდეგ შეარდვიეს კედელი და ლავასავით დაიძრა დამდნარი ფოლადის თვალისმომკრელად მოელვარე ნაკადი...

ქარხნის საამქროების დათვალეირების მერმე დეღეგაციის მეთაურმა ადგილობრივ ხელმძღვანელობას ჰკითხა, რატომ არ არისო დანერგული ქარხანაში მთლიანი ავტომატიზაცია და მექანიზაცია და რატომ ქარბობს ხელით შრომა? კონკრეტული პასუხი არავის გაუცია. მერე შევიტყვეთ, რომ აქ ხშირია მუშათა გაფიცვები, მოითხოვენ შრომის მძიმე პირობების შემსუბუქებას, გასამრჯელოს მომატებას...

ქალაქისა და ქარხნის ხელმძღვანელებმა სადილი გაგვიმართეს სასტუმრო „კოლონიალის“ საბანკეტო დარბაზში. ჩემს გვერდით იჯდა „სამისას“ დირექტორატის წარმომადგენელი, რომელმაც ჩვენი საელჩოს მუშაყის თარჯიმნობით საუბარი გამიბა. მკითხა, სადაური ვიყავი. საქართველო არც გაეგონა, მაგრამ როდესაც რუსთავი ვახსენე, გამოცოცხლდა, თავი დამიქნია, ვიცო.

— ჩვენ სრული მეტალურგიული ციკლი მხოლოდ აქ, სან-ნიკოლასში და არგენტინის დასავლეთში, ქალაქ საპალაში გვაქვს, — თქვა მასპინძელმა, — ძალიან გვიჭირს ნედლეული.

— რუსთავის მეტალურგიული ქარხანა არგენტინას მიღებს უგზავნის, — ვუთხარი მე.

— დიახ, შესანიშნავი მიღებია. ფერადი მეტალურგია თუ არის თქვენში?

— როგორ არა. ჩვენს რესპუბლიკას საკმაოდ ძლიერი ქარხანა აქვს.

— ჩვენ კი ვერ იქნა და ვერ განვაფითარეთ ეს დარგი...

ბუენოს-აირესში გვიან საღამოს დავბრუნდით. ღამის პამპასების შემდეგ, სადაც მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა სინათლე, უჩვეულოდ მომეჩვენა არგენტინის გაჩირალდნებული დედაქალაქი.

ერთი საათის დასვენების მერმე ჩავედით სასტუმროს საბანკეტო დარბაზში, სადაც არგენტინის ეროვნული კონგრესის სენატის დროე-

ბითი თავმჯდომარის, ხოსე ანტონიო ალიენდეს მიერ მიწვეული ვიყავით დელეგაციის პატივსაცემად გამართულ ვახშამზე.

ვახშამი დამთავრდა. მასპინძლები და სტუმრები ერთმანეთს ვეშვიდობებოდით.

— ბუენოს ნოჩეს, ამიგო!

— ღამე მშვიდობისა!

— თუ დადლილები არა ხართ, ბოლომდე შეევარულოთ დღეისათვის დასახული პროგრამა, — თქვა არლინდა ბონიფაციმ, — ამადამ დაპატიებული ხართ ბუენოს-აირესის ცნობილ ვარიეტეში, რომელსაც „მიხეილ-ანხელა“ ჰქვია.

— რომელ საათზე?

— პროგრამა ღამის თორმეტზე იწყება.

დელეგაციის მეთაურმა დადლილობის გამო უარი თქვა წამოსვლაზე. დახარჩენები კი შევთანხმდით, რომ თორმეტის ნახევარზე სასტუმროს ჰოლში შეგკრებილიყავით. უკვე ათი საათი იყო და ნომრებისაკენ გავწიეთ. ამ დროს საბჭოთა ელჩი წამოგვეწია.

— არგენტინის კომპარტიის წარმომადგენლებს სურთ თქვენთან საუბარი. — უთხრა გიორგი ძოწენიძეს.

— სად ვისაუბროთ?

— ჩვენი სართულის ვესტიბიულში. ქვემოთ იცდიან და ამოვიყვან.

ელჩმა მალე ამოვიყვანა სამი შუახნის კაცი და გაგვაცნო:

— არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ატოს ფავა*, ორესტას გეორგი და რუბენსი.

გაიძარტა გულთბილი საუბარი. ახსენეს არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, 77 წლის ჰერონიმო არხედო ალვარესი**, გაიხსენეს ძმები როდოლფოები; ერთი მათგანი, გეორგიე როდოლფო არგენტინის კომპარტიის დამაარსებელთაგანი ყოფილა და ლეხისსაც ხვდებოდა თურმე. იგი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაუჯილდოვებია.

— რამდენი წევრია გაართიანებული პარტიაში? — იკითხა გიორგი ძოწენიძემ.

— 1973 წელს 116 ათასი იყო, ამჟამად კი 150 ათასია. ჩვენი სურვილია უახლეს ხანში 200 ათასამდე ავიყვანოთ. წევრების 63 პროცენტს მუშები შეადგენენ, — თქვა ატოს ფავამ.

* 1980 წლის ივლისიდან ატოს ფავა აირჩიეს არგენტინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანად.
** გარდაიცვალა 1980 წლის ივნისში.



— კომუნისტური ახალგაზრდობის ფედერაცია რა მდგომარეობაშია ამჟამად?

— ალბათ, მოგეხსენებათ, რომ ჩვენს ფედერაციას, თქვენებურად რომ ვთქვათ, კომკავშირს, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. დღეს მისი გენერალური მდივანი ზორბე პერეირა, გამოცდილი კომუნისტი და თავდადებული მებრძოლია. ისიც მოგეხსენებათ, რომ ამჟამად არგენტინაში ძალზე დაძაბული საშინაო მდგომარეობაა. ყოველდღე შეიძლება მოხდეს სამხედრო გადატრიალება. სააღყო წესებიც ამის დადასტურებაა. — თქვა ატოს ფავამ და განაგრძო, — ჩვენი პარტია უდიდეს მხარდაჭერას გრძნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელშეწყობისაგან. სამისოდ ძველი და კარგი ტრადიციები არსებობს. გთხოვთ გადასცეთ მათ მხურვალე სალამი არგენტინელი კომუნისტებისაგან...

საუბარი თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. შეიმჩნეოდა, რომ არგენტინელ კომუნისტთა ლიდერები ძალიან შეშფოთებულნი იყვნენ საშინაო მდგომარეობით და არც თუ უსაფუძვლოდ, მათი ვარაუდი სულ ძალე გაძარქვდა — არგენტინაში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ხელისუფლება გადავიდა სამხედრო ხუნტის ხელში, რომელმაც თავისი თავი „ერის უმაღლეს მმართველ ორგანოდ“ გამოაცხადა. კვლავ შემოიღეს სააღყო წესები.

თორმეტის ნახევარზე ჩავედით სასტუმროს ჰოლში, სადაც უკვე გველოდებოდნენ მასპინძლები. ფეხით გავისეირნეთ, რადგან ვარიეტე, სადაც მიპატიებულნი ვიყავით, ახლოს იყო. ფლორიდის სასეირნო ბულვარზე სიცოცხლე დუღდა. იწყებოდა ბაირესის ღამის ცხოვრება.

ის იყო ლოქაში ადგილები დავიკავეთ და პროგრამაც დაიწყო. ევროპული ვარიეტებისაგან განსხვავებით აქ სულ სხვაგვარად იყო შედგენილი პროგრამა. ეს იყო რაღაც საშუალო მინიატურების თეატრსა და ბალეტს შორის. მაყურებლების შეძახილებსა და ოვაციებზე იგრძნობოდა, რომ სცენაზე პოპულარული მსახიობები გამოდიოდნენ. ჩემს გვერდით საელჩოს თარჯიმანი იჯდა და დიალოგებს გვითარგმნიდა. პატარა, ანეკდოტური სცენები თამაშდებოდა, რომელშიც პორნოგრაფიული ელემენტები სჭარბობდა. მაყურებელი ხარხარებდა. მეორე განყოფილება მთლიანად კოლექტიურმა სტრიპტიზმა დაიკავა დიდ სცენაზე ერთბაშად გამოვიდა ოცდახუთი იშვიათი აღნაგობისა და გარეგნობის ქალი. ვის არ ნახავდით აქ, იაპონელსა და მალაიზიელს, არგენტინელსა და ფრანგს, ზანგსა და ინდიელს... ეს იყო საოცარი ფერების კორიანტელი. ზოგს მთელი სხეული გამკვირვალე მღეიფიანი კაბით ჰქონდა დაფარული და მხოლოდ შიშველი მკერდი

მოუჩანდა, სხვას კი მხოლოდ შვერდი ჰქონდა დაფარული და ა. შ. ქალები ულამაზეს ბალეტს ასრულებდნენ ტანგოს ტაქტზე. მაგრამ მთავარი, რაც თვალში გეცემოდათ ის იყო, რომ ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აკადემიურ სტრიპტიზს“ არაფერი ჰქონდა საერთო იაფ-ფასიანი, ღამის ბარებში სტრიპტიზის მოცეკვავე პრიმადონების „ხელოვნებასთან“. ეს იყო ნიჭიერი რეჟისორის მიერ დადგმული თავისებური დახვეწილი ბალეტი. ფინალში სინათლე გამორთეს. მერე სცენისაკებ მიმართული სხვადასხვა ფერის პროექტორების სხივთა კონების პულსაციური კორიანტელი ატყდა და ჩვენს თვალწინ ღამაზ-მანების მთელი გუნდი ევას ტანსაცმელში წარმოსდგა. ისინი ქანდაკებებად იდგნენ და ქალღმერთებს ჰგავდნენ...

დილით ადრე დავათვალიერეთ „რივერ პლეტის“ ფეხბურთის სტადიონი, სადაც 3 წლისა და 5 თვის შემდეგ უნდა გამართულიყო მსოფლიო ჩემპიონატი. სტადიონის ხელმძღვანელობამ თითოეულ ჩვენგანს გვისახსოვრა ჩემპიონატის ემბლემა — პლასტმასის ცისფერი სადგამი, რომელზეც აღმართულ ორ, სტილიზებულ ხელს რეზინის მინიატურული ბურთი ეკავა.

— დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენი ქვეყნის ნაკრებზე, — გვითხრა სტადიონის დათვალიერებისას მისმა ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, — ის, რაც აქამდეც უნდა მოეპოვებინა ჩვენს გუნდს, გვჯერა, რომ ამჯერად მოიპოვებს...

ცოტა არ იყოს, მაშინ სკეპტიკურად შევხვდით ამ განცხადებას, მაგრამ არგენტინაში ჩატარებულმა ჩემპიონატმა დაამტკიცა, რომ ჩვენი მასპინძლების ოპტიმიზმი არ იყო საფუძველს მოკლებული.

გაივლის 3 წელი და ცოტა მეტი და ამ სტადიონის ტრიბუნებზე ისხდებიან საქართველოს წარგზავნილები — გურამ ფანჯიკიძე, გიგლა ფირცხალავა და სხვანი. გურამი გამოაქვეყნებს წიგნს „არგენტინა“, არგენტინა“, რომელშიც იტყვის: „არგენტინელთა ყოველი წარმატების შემდეგ ბუენოს-აირესის ქუჩებში წარმოუდგენელი ამბავი ტრიალებდა. ეს იყო ნამდვილი კარნავალი, სტიქიური დღესასწაული. თავისი გრანდიოზულობით და ხანგრძლივობით — თამაშის დამთავრებიდან დილაამდე — უმთავრესი მეტოქის, ბრაზილიის ნაკრებთან ყაიშისა და პერჟუელებთან გამანადგურებელი ანგარიშით გამარჯვების შემდეგ მოწყობილი დღესასწაულები გამოირჩეოდნენ, ქუჩებში გამოვიდა თითქმის ხუთი მილიონი ადამიანი, მოხუცები და ბავშვები, ჰაბუკები და ქალიშვილები. გამოიტანეს დოლები, ქვაბები, ლითონის ხელსაწყოები, ყველაფერი, რითაც კი მუსიკალური რიტმების გამოცემა შეიძლებოდა; მთელი ქალაქი როკავდა, მღეროდა, გუგუნებდა.

ყველანი 9 ივლისის სახელობის გამზირზე აღმართული ობელისკისა-
კენ მიეშურებოდნენ, იქ, სადაც არგენტინის დედაქალაქში მდებარეობდა
ააფრიალეს ეროვნული დროშა. გეგონებოდათ ეს უზარმაზარი ქალა-
ქი საშინელ აგონიას შეუპყრიაო, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ არც-
ერთხელ არ გამხდარა საქმე საპოლიციოდ“...

დიახ, მართალია გურამ ფანჯიკიძე. ისეთი დიდი აეთოტაყის პე-
რიოდშიც კი, როგორც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დროს
იყო, არგენტინელები თუ „შესაშური თავაზიანობითა და წესიერებით“
გამოირჩეოდნენ, ადვილი წარმოსადგენია, როგორი წესრიგი შეიძლე-
ბა სუფევდეს ბუენოს-აირესში ჩვეულებრივ დროს. ერთადერთი, რაც
ჩვენს ყურადღებას იქცევდა ის იყო, რომ კერძო მანქანების მძღოლთა
დიდი ნაწილი არ იცავდა მოძრაობის წესებს. საქმე ისაა, რომ თითო-
ეულ მათგანს თავი თითქმის პრეზიდენტის ტოლად მიაჩნია. იგი საკ-
მაოდ დიდ საგზაო გადასახადსაც იხდის და უკიდურესად სამზრეთული
ტემპერამენტი უფლებას არ აძლევს დაუთმოს გზა მთავრობის მანქა-
ნებსაც კი. ამის მომსწრე ჩვენც არაერთხელ გავხდით. ბუენოს-აირე-
სში თან დაგვეყვებოდა ქანდარმერიის მოტოესკორტი. ახალგაზრდა
ქანდარმები საოცარ ილეთებს აკეთებდნენ მოტოციკლებზე. გაუშვებ-
დნენ ხელს საჭეს, ფეხზე დგებოდნენ და კარგი დირიჟორივით იქნე-
დნენ რეჟინის ხელჯოხებს. თუ რომელიმე ჯიუტი მძღოლი სირენის
მიუხედავად გზას არ დაგვითმობდა, ერთი ქანდარმთაგანი, რომელიც
წინ მიგვიძღვოდა, მიეჭრებოდა მას და გაღებულ სარკმელზე გადმო-
დებულ იდაყვში ხელჯოხს ჩასცხებდა. მაშინ კი კადრულობდა მძღო-
ლი გზიდან გადასვლას, თან ისე სწრაფად, რომ იქმნებოდა ავარიის
საშიშროება.

ჩვენი მანქანის მძღოლი ამ დროს იცინოდა და უკვე მერამდენედ
ამბობდა ქანდარმების მიმართ — „გაუჩოები მოტოციკლებზე“...

არგენტინა მსოფლიოშია სახელგანთქმული ხორცის წარმოებით.
ამ ქვეყანას 100 მილიონ სულზე მეტი პირუტყვი ყავს, უმთავრესად
მსხვილფეხა საქონელი და ცხვარი. ყოველწლიურად კლავენ 10 — 12
მილიონ სულს, რაც 3 მილიონ ტონამდე ხორცს იძლევა. აქედან 600
ათას ტონაზე მეტი საექსპორტოდ მიდის. ბუენოს-აირესში თავმოყრი-
ლია სასაქლო-მაცივრების მეტი ნაწილი, რომლებიც ძროხის ხორც-
ამზადებენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი დიდი სასაქლო-მაცივრის და
სათვალისწინებლად წაგვიყვანეს რივერ-პლეიტის სტადიონის მონახუ-
ლების შემდეგ. ეს იყო „კოკარსა სან-ფერნანდო“, მსხვილი ვაერთ-
ანება დედაქალაქის გარეუბანში, დაარსებული 1962 წელს.



კენიატა-ავენიუ, ნაირობის მთავარი პროსპექტი

სასტუმრო „პანადიკ“ ნაირობში“





ლუოს ტომის ბავშვები

ზადის სროლა კავირონდოს უბეში (ვიეტნამის ტბა)






მსაის ტომის ქალიშვილი




ფლამინგოები ნაკურუს ნაკრძალში



ზოგჯერ მხოლოდ წყლის პატარა გუბე რჩება
წყურვილს მოსაყვად

ნადირთა მეფე-დედოფალი სავანებში





სპილო არ ერჩის სანიტარ ფრინველებს

აფორების სადილი





შზის ჩასვლა ვიქტორიის ტბაზე

მდ. კოლხეთის ხეობაში მდ. ვულკანი მისტი და მდ. ჩილე





ლამა ვულკან ურბინასის ფონზე

სანმარტინის მოედანი და ძეგლი ლიმაში



ეიფელის კოშკი



საქართველოს
საზღვაო მუზეუმი

ვილსონ-კოლმენას ავენიუების
გზაჯვარედინი ლიმაში





ნაპოლეონ ბონაპარტეს სასა-
ფაგი არმიის მუზეუმში

პარიზი. შადრევენი სამეფო
ქუჩაზე



ლევრის სასახლე




სენ-შაპელის ეკლესიის
ინტერიერი





გზა იზერის დეპარტამენტში

იფის კუნძული და ციხესიმაგრე



იოჰან შტრაუსის ძეგლი ვენაში



შონბრუნის სასახლე ვენაში.





ვენის რატუსა

საქართველო

წმინდა კარლოსის ეკლესია ვენაში



ბუნებრივი ხიდი რაკოვ შკოციანში,
იუგოსლავია



დუბროვნიკი





პრედამსკოვ გრაღი, იუგოსლავია

მისი დათვალეირების შემდეგ ხოსე პალმამ, აქციონერული საზოგადოების დირექტორების პრეზიდენტმა გვიამბო:

„კოკარსა“ შეიქმნა 1962 წელს ბუენოს-აირესის 217 მეხორცის გართიანების გზით. თითოეულ მეხორცეს სურდა ჰქონოდა საკუთარი სასაკლაო, მაგრამ ჩვენ ამის წინააღმდეგ წავედით. თუ შექმნისას აქციების რაოდენობა 70 იყო, ახლა უკვე 250-ია. მართალია, ჩვენი საზოგადოება აქციონერულია, მაგრამ სინამდვილეში კოოპერაციას წარმოადგენს. ჩვენი საზოგადოების კრებები ტარდება დედაქალაქის რომელიმე თეატრში, რომლის სხდომებშიც მონაწილეობს 380 აქციონერი. ჩვენი ამოცანა მართო მოგება არ არის; ჩვენთან პრაქტიკას გადიან სკოლების შოსწავლეები, წარმოება წყალს აწვდის მახლობელი სოფლების ლარიბ მოსახლეობას. ჩვენი ქვეყნის ისტორია ცოტა სევდიანია. 1835 წლამდე არგენტინის ნავსადგურები და ხომალდები ინგლისის ხელში იყო და ხორციც იქ მიდიოდა. ბოლოს გამოჩნდა პოლიტიკური მოღვაწე ალექსანდრო დელატორი, სენატორი, რომელმაც დიდი მუშაობა გააჩინა ამ მდგომარეობის წინააღმდეგ. 1835 წელს, როდესაც იგი სენატში გამოდიოდა, მოსყიდულ მკვლელს უნდა ესროლა მისთვის, მაგრამ სხვა სენატორი აეფარა და გადაარჩინა. შემდეგ ჩვენი ხორცი ამერიკელების ხელში გადავიდა. ამჟამადც ქვეყნის სასაკლაო-მაცივრების დიდ ნაწილს აშშ უწევს კონტროლს. ჩაისახა ხორცის ეროვნული მრეწველობა, სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე. დღეს ჩვენი წარმოება სამაგალითოა მთელ კაპიტალისტურ სამყაროში. აქ სულ 413 კაცი მუშაობს, მაგრამ ვუშვებთ 4-ჯერ მეტ ხორცს, ვიდრე კაპიტალისტური სექტორი, სადაც 30 ათასი კაცია დასაქმებული... ჩვენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მომხრენი ვართ, რაც ჩვენმა წინაპრებმა 150 წლის წინათ დაიწყეს... ვიმედოვნებთ, რომ თქვენი ქვეყანა უფრო მეტ ხორცს იყიდის ჩვენგან. აქამდე მხოლოდ ინგლისზე და საერთო ბაზარზე ვიყავით დამოკიდებულნი... წარმოების სახელით მივესალმები საბჭოთა კავშირის პარლამენტის დელეგაციას, რომელმაც დრო გამოიხატა და ამ წარმოებას ეწვია. მინდა მადლობა ვუთხრა თქვენთან ერთად მოსულ სენატორებს და დეპუტატებსაც... ჩვენ ყველას გვსურს, რომ არგენტინა თავისუფალი იყოს..

„ყველას გვსურს, რომ არგენტინა თავისუფალი იყოს“ — ეს მართლაც ყოველი პატრიოტი არგენტინელის სურვილია. ეს ლოზუნგი იქნება ატაცებული ამ ქვეყნის პროფკავშირებსაც, რომლებიც ხუსტილისტური მოძრაობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მაგრამ აქაც ძალზედ რთული მდგომარეობაა. პერონისტული მთავრობა

თავის საქმიანობაში ეყრდნობა ისეთ პროფკავშირულ გაერთიანებებს, როგორცაა შრომის საყოველთაო კონფედერაცია (შსკ) - ანტიმპერორგანიზაცია“.

შსკ შეიქმნა 1943 წელს, ხუან დომინგო პერონის ინიციატივით. მას იმ დროს შრომის მინისტრის პოსტი ეკავა. ამით პერონს სურდა კომუნისტები და სოციალისტები იზოლაციაში მოექცია პროფკავშირულ მოძრაობაში, რათა დაეძლია ამ უკანასკნელის რევოლუციური მიმართულება.

1955 წელს, პერონის მთავრობის გადაყენების შემდეგ, პროფკავშირულ მოძრაობაში ბრძოლა გამწვავდა. 1957 წლიდან 1973 წლამდე, ვიდრე პერონი სამშობლოში დაბრუნდებოდა ესპანეთიდან, პერონისტულ პროფკავშირულ მოძრაობას ხელმძღვანელობდნენ „62 ორგანიზაციის“ პროფკავშირული გაერთიანების ლიდერები. შსკ-ს შემადგენლობაში კი გაერთიანებულია 150 პერონისტული და ანაპერონისტული პროფკავშირი.

როდესაც ბუენოს-აირესის ცნობილ დახურულ სტადიონს „ლუნა-პარკს“ ვათვალიერებდით, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლებმა გვიამბეს ამ სტადიონზე 1971 წლის აპრილში გამართულ 30-ათასიან მიტინგზე. ქვეყნის ისტორიაში ამ ყველაზე მასობრივ მიტინგზე ხალხი შეიკრიბა მანამდე ნახევარი წლით ადრე შექმნილ დემოკრატიული ძალების გაერთიანების (ენას)* მოწოდებით. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს ე. წ. „ლუნა-პარკის“ დეკლარაცია. ამ დოკუმენტით „ენამ“ გამოაცხადა, რომ მხოლოდ მის მიერ წამოყენებული მთავრობა შეძლებს ხაშდვილი, თავისუფალი არჩევნების ჩატარებას და მასების მობილიზებას აუცილებელ აგრარულ და ანტიიმპერიალისტურ რეფორმათა გატარებისა და ახალი არგენტინის აღორძინებისათვის.

არგენტინის კომპარტიამ მხარი დაუჭირა „ენას“ დეკლარაციას და გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც აღნიშნავდა: „ენას, როგორც საყოველთაო ეროვნულ მოძრაობას, შეუძლია გზა გაკაფოს ანტიიმპერიალისტურ სახალხო ხელისუფლებისაკენ“.

1973 წლის მაისიდან, როდესაც ხელისუფლების სათავეში კვლავ პერონისტული მთავრობა მოექცა, არგენტინის პროფკავშირებმა შესამჩნევად გააქტიურეს საქმიანობა. ამასთან ერთად გამწვავდა ბრძოლა ხელმძღვანელი 'თანამდებობებისათვის ორთოდოქსული, პერონის-

* „ენა“ — არგენტინელთა ფართო დემოკრატიული ფრონტის მოძრაობა ანუ „არგენტინელთა ეროვნული შეხვედრა“, რომელშიც შევიდნენ კომუნისტები, დემოკრატიკოსები, პერონისტები, სოციალისტები, დამოუკიდებელი, სამოქალაქო, სახელწოდებით, პროფკავშირული და ახალგაზრდული ორგანიზაციების და ჯგუფების წარმომადგენლები.



ტული ფრთის წარმომადგენლებსა („62 ორგანიზაციის“) და „ზომიერ“ პერონისტულ და არაპერონისტულ პროფკავშირულ ორგანიზაციების (შრომის საყოველთაო კონფედერაციის) წარმომადგენლებს შორის. 1974 წლის ივლისში ჩატარდა შსკ-ს არჩევნები, რის შედეგადაც მისი ხელმძღვანელობა ხელში ჩაიგდეს „62 ორგანიზაციის“ წარმომადგენლებმა. ისინი შეუდგნენ მთავრობის კურსის განხორციელებას პროფკავშირების „პერონიზაციისათვის“.

და, აი, ჩვენი დელეგაციის ოფიციალური პროგრამის ერთი პუნქტი გულისხმობდა შეხვედრას არგენტინის შრომის საყოველთაო კონფედერაციის ხელმძღვანელობასთან. როდესაც ჩვენი მანქანები ბუენოს-აირესის ერთ მიყრუებულ ქუჩაზე მდგარ მრავალსართულიან შენობასთან გაჩერდა, შესასვლელთან ხანშიშესული კაცი დაგვხვდა. „ბუენოს დიას“, მოგვესალმა იგი და შენობაში შეგვიპატიჟა. ეს იყო ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინა, რომელიც მთელი თავისი იერით და შიგ მოფუსფუსე ხალხის დაძაბული, სერიოზული სახეებით ქვეყანაში არსებულ მძიმე მდგომარეობას გამოხატავდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს რომელიღაც არალეგალურ ორგანიზაციაში ვიყავით მოსული. ბევრი მათგანი, ვისაც კი დერეფნებში ვხვდებოდით, შეიარაღებული იყო.

სენატორებმა ვაგვაცნეს რაიმუნდო ონგარო, კონფედერაციის გენერალური მდივანი, რომელიც მოზრდილ დარბაზში დაგვხვდა, და გაიმართა საუბარი.

— ჩვენი კონფედერაცია 1930 წელს შეიქმნა, — თქვა მან — მანამდე ჩვენში ორი მსგავსი ორგანიზაცია იყო, პროფკავშირების გაერთიანება და მუშათა კონფედერაცია. 1930 წელს ეს ორი ორგანიზაცია გაერთიანდა არგენტინის შრომის საყოველთაო კონფედერაციად. ახლა ჩვენი ორგანიზაცია სამ მილიონ წევრს აერთიანებს. უფრო მეტიც ვიყავით, მაგრამ 1968 წელს გამოგვეყო მთავრობის მომხრეთა ჯგუფი, რომელმაც შექმნა პროფკავშირული გაერთიანება იმავე სახელწოდებით, ამჟამად იმ გაერთიანებაში 70 ათასი წევრია. ამას წინათ მოკლეს მისი გენერალური მდივანი ხოსე რუჩი. ასეთი დაქსაქსვა რასაკვირველია ასუსტებს პროფკავშირულ მოძრაობას ჩვენს ქვეყანაში. მუშაობა ძალიან რთულ და დაძაბულ პირობებში გვიხდება. მოგვხსენებთ, რომ ამჟამად ბუენოს-აირესში შემოღებულია საალყო წესები. ეს კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული...

როდესაც საუბარი დამთავრდა და ქუჩაში გამოვედით, ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს კარების ჭუპრუტანიდან შემახედეს სხვი-

სი ბინის ინტიმურ ატმოსფეროში. ვუყურებდი ბუენოს-აირესის გარეგნულ ბრწყინვალეობას და მოჩვენებითობას. სინამდვილეში ეს იყო ნილაბი, რომლის მიღმაც ასაფეთქებლად მომართული პოლიტიკური ბომბი იმალებოდა. მართლაც ასე მოხდა სულ რაღაც თხუთმეტიოდეთვის შემდეგ, რაც სამხედრო გადატრიალებაში გამოიხატა...

მარ-დელ-პლატა და საჯიო ულაყები

Bienvenido alaturra
del encanto*

14 დეკემბერს, დილის 9 საათზე ბუენოს-აირესის ერთ-ერთ აეროდრომზე ვიყავით, სადაც პატარა თვითმფრინავი გველოდებოდა. ამ დღეს მარ-დელ-პლატაში უნდა გავეფრენილიყავით. თვითმფრინავის მეთაური, შავულვაშა მაღალი არგენტინელი საოცრად ჩამოკავდა ქართველს.

თვითმფრინავმა სამხრეთ-აღმოსავლეთით აიღო გეზი. გადაეუფრინეთ ყვითლად ამღვრეულ ლა-პლატას, მდ. რიო სოლოს შესართავს, სან-ანტონიოს კონცხს და ატლანტის ოკეანის სანაპიროს გავუყევით სამხრეთით. ჩვენს ქვემოთ თვალუწვდენი მწვანე პამპასები იყო გადაქიმული. მხოლოდ მარ-დელ-პლატის მისადგომებთან, აღმოსავლეთით გამოჩნდა სიერა-დელ-ტანდილის და სიერა-დელ-ვალენტახას შთენილი მაღლობები მწვერვალ ტრეს-პიკოსით. ზუსტად ერთი საათი ვიფრინეთ და უცბად აროლინდა ბონიფაციმ, რომელიც სენატორებთან ერთად გვახლდა ამ მოგზაურობაში, ხმამაღლა შესძახა:

— მარ-დელ-პლატა!

ილუმინატორიდან მოჩანდა მზით გაჩახჩახებული ოკეანის სანაპირო აჭრელებული პლაჟებით. ახლა აქ გახურებული საზაფხულო სეზონი იდგა.

თვითმფრინავი მარ-დელ-პლატას აეროდრომ კამეტზე დაეშვა. დელეგაციის შესახვედრად მოსულიყვენ ქალაქის მერი, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. როდესაც ოფიციალური მისალმებები დამთავრდა, აროლინდამ ჩვენთან მოიყვანა სიმპათიური გარეგნობის შუახნის ქალი და დამორცხვებული თხუთმეტიოდე წლის ბიჭუნა.

— ეს დედაჩემია, ეს კი ჩემი ძმა! — გაგვაცნო ისინი აროლინდამ, რომელიც არგენტინის დეპუტატთა პალატაში მარ-დელ-პლატას პროვინციას წარმოადგენდა.

* ესპ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საოცრებების ქვეყანაში.



მალე პლაჟის პირას აღმართულ უზარმაზარ სასტუმრო „პრო-ენსიალში“ ვიყავით. მისი გრანდიოზული ვესტიბული კათოლიკე ტაძარს ან პრუსის მეფეთა სასახლის დარბაზს უფრო ჩამოჰგავდა. ყოველ ნაბიჯზე ქანდაკება იდგა, კედლებზე ბარელიეფები, ჰორელიეფები და ფრესკები არგენტინელთა ისტორიულ ბრძოლებს ასახვდნენ. ყველაზე მეტად ჭარბობდა გენერლების, სარდლების პორტრეტები.

ჩვენთვის განკუთვნილ ნომრებში გავნაწილდით და შესვენების შემდეგ სასტუმროს ერთ-ერთი რესტორნის საბანკეტო დარბაზში შევიკრიბეთ, სადაც ქალაქის მერმა ჩვენი დელეგაციის პატივსაცემად სადილი გამართა. ჩემს გვერდით აღმოჩნდნენ დეპუტატი ხუან ნიკოლას რაჩინი, ბუენოს-აირესიდან რომ გვახლდა და თარჯიმანი ოლლა ბესიო. რაჩინიმ ოლლას დახმარებით გამიბა საუბარი.

— თქვენი ქვეყნის ხალხი კმაყოფილი და ბედნიერი უნდა იყოს იმით, რომ პოლიტიკურად სტაბილურ გარემოში ცხოვრობს. — მითხრა რაჩინიმ. — მე და ჩემი მეგობრები კი სულ იმაზე ვოცნებობთ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ იყოს მრავალპარტიულობა და სახელმწიფოს ერთი პარტია მართავდეს.

— პარტიას გააჩნია, — ვუთხარი მე, — თქვენ რომელ პარტიას გულისხმობთ?

— არგენტინაში დღეს თორმეტი პოლიტიკური პარტიაა. მათ შორის გამუდმებული ბრძოლაა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

— ასეა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. თქვენ რომელი პარტიის წარმომადგენელი ბრძანდებით?

— მე პერონისტი ვარ. ახლა ჩვენს პარტიას ხუსტისიალისტური ჰქვია.

— ეგ ხომ მმართველი პარტიაა?

— დიახ, მაგრამ დიდ ძალას წარმოადგენს ოპოზიცია, რომელიც ხშირად რამდენიმე პარტია ერთიანდება. ძალიან გვიჭირს რომელიმე კანონპროექტის დამტკიცება და სხვა მრავალი.

— ეტყობა, ძალზე დაძაბული ვითარებაა ამჟამად თქვენს ქვეყანაში.

— სწორედ შეგვიჩნევიათ. სააღყო წესების შემოღება უკიდურესი ნაბიჯია. არავინ იცის, რას მოიტანს ხვალინდელი დღე...

ჩანდა, რომ დეპუტატი რაჩინი ძალიან შეშფოთებული იყო ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური მდგომარეობით. ასე იყვნენ სხვებიც. ჰქვა ავწიე, მის ჰქვას მივუჭახუნე და ვუთხარი:



— ქართველებს როცა გვიჭირს, ერთმანეთს ასე ვამოვიდებთ: იმედით ცოცხლობს ადამიანი. გაუმარჯოს ხვალინდელ დღესს!

— კარგი სიტყვებია, გაუმარჯოს ხვალინდელ დღეს, — თქვა რაჩინიმ და ჭიქა გამოსცალა.

სადილის შემდეგ ქალაქში გავისეირნეთ. საოცრად ლამაზი კოტეჯები იყო ჩარიგებული ყოველ ქუჩაზე. ეტყობოდა, რომ აქაური მკვიდრნი ცდილობდნენ არ გაეცდინათ უქმად მიწის არც ერთი მტკაველი. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ამ ქალაქში ძვირად ფასობდა მიწა და ამიტომ ყოველ მოსახლეს, ვისაც კი ერთი კვადრატული მეტრი მაინც გააჩნდა, დარგული ჰქონდა პალმა ან ყვავილების ბუჩქი. ზღვისპირა ქალაქებისათვის საერთოდ დამახასიათებელია სისუფთავე, მაგრამ მარ-დელ-პლატა განსაკუთრებით გამოირჩევა სუფთა ქუჩებითა და მოედნებით, მოვლილი პარკებითა და სკვერებით.

ერთ მზიან დღით წაგვიყვანეს ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ კერძო მამულის დასათვალიერებლად. ჩვენი მანქანები გიგანტური ევკალიპტების ხეივანში შესრიალდნენ. ფართო, ასფალტიანი გზა ვეებერთელა პარკში გადიოდა. შეეჩერდით დიდ სახლთან, შუა საუკუნეების სასახლეს რომ წააგავდა. აქ ცხოვრობდა მილიონერის ოჯახი, რომელიც ჯიშთან ცხენებს აშენებდა. მეპატრონე ცოტა ხნის წინ გარდაცვლილიყო; მამულს განაგებდა მისი მეუღლე, ქალბატონი მარტინეს დე ოს, რომელიც თავის მრავალწევრიან ოჯახთან ერთად გამოგვეგება და სახლში შეგვიპატიუა.

დარბაზები ვიქტორიანულ სტილში იყო მოწყობილი. იდგა ჩამუქებული ფერის, მასიური, ძველებური ავეჯი: კედლებზე ვერცხლისა და ბრინჯაოს შანდლების თავზე გარეული ცხოველების თავების ფიტულები მიემაგრებინათ; ბევრი იყო ირმის რქებიც.

ქალბატონი მარტინეს დე ოსი სიმპათიური გარეგნობის შუახნის ქალი, ხილითა და სასმელით გაგვიმასპინძლდა. დარბაზში, ანტიკვარულ მაღაზიას ან მუზეუმს რომ წააგავდა, ბევრნი ვიყავით. ჩვენს გარდა აქ იყვნენ მარტინესის შვილები, რძლები, სიძეები, მოჯამაგირენი. შემდეგ კვლავ მანქანებში ჩავსხედით და მამულის დათვალიერებას შევუდგეთ. ეს იყო ვეებერთელა ტერიტორია, ხის ღობეებით რამდენიმე ნაწილად დაყოფილი. თითო შემოღობილში მხოლოდ ათი ცხენი და ათი შავი ძროხა ბალახობდა. კუთხეებში წყლის აუზები იყო აგებული. როდესაც ვიკითხეთ, რატომ იყო ასე დაყოფილი ეს ტერიტორია და რა შუაში იყვნენ შავი ძროხები, შემდეგი გვიპასუხეს: ცხენის ექსკრემენტები აფუჭებენ ბალახს, რომლის ამოსვლასაც ხანგრძლივი

დრო სჭირდება. ამ ჯიშის ძროხების ექსკრემენტები კი ანეიტრალებენ ცხენებისას.

შემდეგ მიგვიყვანეს გრძელ, ერთსართულიან შენობასთან, რომელსაც რამდენიმე დიდი კარი ჰქონდა.

— ესაა თავლა საჯიშე ულაცებისათვის, — გვითხრა მარტინეს დე ოსმა.

— მხოლოდ საწერი მაგიდები და უნიტასები აკლიათ, — იოხუნჯა ერთმა დეპუტატთაგანმა, მოგზაურობაში რომ გვახლდა.

მართლაც ასე იყო. თითოეულ ულაცს თავისი აპარტამენტები ჰქონდა, იდეალურად სუფთა და მოვლილი. მეჯინბეებმა გარეთ გამოიყვანეს ორი საოცრად ლამაზი და მაღალი ულაცი.

— ამას ჩაბადმაღალი ჰქვია, მეორეს კი — მაღალეუე, — თქვა მარტინესმა და ჩაბადმაღალს მიეფერა. მეც მივედი, ცხენს კისერზე მოვუთათუნე ხელი.

— ხომ არ ინებებთ გასეირნებას? — შემომთავაზა მარტინესმა. დიდი მადლობა გადავუხადე და სურვილიც გამოვთქვი. მეჯინბემ თავლიდან მშვენიერი უნაგირი გამოიტანა. ვიდრე ცხენს უნაგირს დაადგამდნენ, სამახსოვრო სურათები გადაგვიღეს და ამ დროს წამოვიდა კოკისპირული წვიმა, ნამდვილი დელგმა.

ისლა დამრჩენოდა, სინანულით გამოვთხოვებოდი ჩაბადმაღალს და დელეგაციის წევრებთან ერთად მანქანისაკენ გაექცეულიყავი. მთლად გავილუმპეთ და კარგა ხანს ვშრებოდით მასპინძლის სასახლეში, სადაც სხეულის გასათბობად ვიროლები დაგვირიგეს სურნელოვანი მატეთი. მატეს ივლისში მოთიბული ბალახის სუნი ჰქონდა, მომწაროც იყო, მაგრამ ვისკთან ერთად კარგად გაგვათბო.

ამსობაში ქარი ამოვარდა, ღრუბლები მიმოფანტა და წვიმამაც გადაიღო.

— მადრე დე დიოს!* — წამოიძახა აროლინდა ბონიფატიმ, რომელიც ჩემთან იჯდა მანქანაში, — როგორ შეიცვალა ამინდი. ჩვენ კი სადილი ღია ცის ქვეშ, ტყეში გვაქვს გათვალისწინებული.

დაბურული ტყე გავიარეთ და მყუდრო მდელიოზე გავედით, სადაც რამდენიმე გრძელი მაგიდა გაეშალათ. იქვე ცეცხლი ენთო და „ჯვარცმული“ ხბოს ბეჭები ნელა იწვებოდა. სწორედ ეს იყო სახელგანთქმული არგენტინული ასადო. გვერდით, ლოდებზე შედგმულ ლითონის ბადის ქვეშ მაყალი ღვიოდა. ბადეზე იწვებოდა არგენტინული კუპატი — ჩორიზო და ხბოს ნაწლავები — ჩინჩულინი. შამფურებ-

* ესა. — დედაო ღვთისა, ღწერთო ჩემო.

ზე წამოგებული არგენტინული მწვადი — ლომო შიშინებსდა. მსჯ. დებს შუა ფიცრები დაეწყით და სახელდახელო ესტრადა. გვემყვანო. არგენტინული ფოლკლორული ანსამბლი სასიმღეროდ დასასრულედა. ემზადებოდა.

ჩემი ყურადღება ღვინის ბოთლებზე დაკიდებულმა მუყაოს „ოქროს მედლებმა“ მიიქცია. ერთი ბოთლი ავიღე. მედალს ეწერა: „თბილისი, 1964 წელი, მეღვინეთა საერთაშორისო კონგრესი“. სწორედ თბილისში მიეღო ოქროს მედალი სახელგანთქმულ არგენტინულ ღვინოს „კაბალერო დე სეპას“. ეს ამბავი ხმამაღლა გამოვაცხადე და როდესაც თარჯიმანმა ესპანურად თარგმნა, მასპინძლებმა ღვინის ბოთლებს დასტაცეს ხელი და თვალიერება დაუწყეს. მერე აპლოდისმენტებიც და ხმამაღალი შეძახილებიც გაისმა. თითქოს ამას ელოდნენო, მუსიკოსებმა საკრავები მოიმარჯვეს და გაჩაღდა ცეკვა — ჩაქარერა. მოცეკვავე ბიჭებს გაუჩოხ ტანსაცმელი ეცვათ და ჩექმებზეც დეზები ეკრათ. გოგონათა გუნდი მღეროდა და მათი სიმღერა ტამტამებთან და ტრადიციულ არგენტინულ გარმონთან — ბანდონენთან ერთად საოცარ ტემპერამენტთან ტაქტს ქმნიდა. ცეკვის ტემპი მატულობდა და როდესაც ჩვენი მოცეკვავეებივით დატრიალდნენ და უეცრად გაქვავდნენ, ტაშმა ტყე შეძრა.

მინისტრი ვოლდემარ ლეინი ჩააცივდა დელეგაციის მეთაურს, ქართული იცეკვეთო. მანამდე თვითონ სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. შემდეგ მასპინძელი სენატორები და დეპუტატებიც აპყენენ მინისტრის თხოვნას. ისლა დამრჩენოდა, მეხსნა ჩვენი დელეგაციის მეთაური ამ „გასაჭირიდან“.

დელეგაციაზე მომაგრებულ მარ-დელ-პლატელ ქალიშვილს ედას ვთხოვე სამბას რამდენიმე ილეითი ესწავლებინა ჩემთვის. ესტრადას ამოვეფარეთ, ის სამბას მასწავლიდა, მე კი ქართულის ილეითებს ვუჩვენებდი. ამ დროს ფოტოკორესპონდენტი მოგვეპაროდა და ჩუმად გადაეღო ეს მომენტები. მერე, თბილისში დაბრუნებულმა ჩვენი ელჩი საგან მივიღე ეს ფოტოები... მედლოესაც შევასწავლე ჩვენი ცეკვის რიტმი. ერთმა მოცეკვავემ დეზები შეიხსნა და მე გამოიკეთა. ჯერ სამბა დაუკრეს და ედასთან ერთად ვიცეკვე; მერე, როდესაც ვოლდემარ ლეინმა დაიძახა „გრუზინსკი, გრუზინსკი!“, ედას ვანიშნე, მედლოემ ჩვენებური დაუკრა და ქართულ ცეკვაზე გადავედი. არ ვიცი, როგორ გამოგვივიდა, მაგრამ ტაში და „ბრავოს“ შეძახილები კი დავიშახურეთ.

— მადლობელი ვარ, რომ ამ გასაჭირიდან მიხსენი, — მითხრა გიორგი ძოწენიძემ და განაგრძო, — ახლა კი დროა გახსნა შენი ჩან

თა და მაგიდებზე თითო ბოთლი ოჯალეში, ქინძმარაული და ხენჭკარა ჩამოდგა.

მეც ასე მოვიქეცი. ჩვენი დელეგაციის მეთაური წამოდგა, არგენტინულ ყანწში ქართული ღვინო ჩაასხა და თქვა:

— ძვირფასო მასპინძლებო, ნება მიბოძეთ ამ მშვენიერი ბუნების წიაღში ქართული ღვინით ვადლეგრძელო არგენტინის მიწა და შრომისა და თავისუფლების მოყვარული არგენტინელი ხალხი. ვუსურვო მას საინტერესო, შემოქმედებითი ცხოვრება და კეთილი, მეგობრული თანამშრომლობისა და ურთიერთობების გაღრმავება-განმტკიცება საბჭოთა ხალხთან. ქართველებს ტრადიციული სადლეგრძელო გვაქვს ერთი — მასპინძლის ოჯახისა და ჭერის დალოცვა. გამარჯვებებს და მშვიდობიან ზეცას ვუსურვებ არგენტინას, თქვენ დიდ ოჯახს, რომელიც ასე გულთბილად და გულუხვად გვმასპინძლობს. გაუმარჯოს არგენტინას!..

მეორე დღეს დაგვათვალისწინეს მარ-დე-პლატის სახელგანთქმული გოლფ-კლუბი და პორტი. აქ, ე. წ. მეთევზეთა რესტორანში გაგვიმართეს ვახშამი კრეოლურად. კვლავ არგენტინული ცეკვები, სიმღერები გიტარისა და ბანდონენის თანხლებით. საღამო შესანიშნავად გავატარეთ. დილით უკვე ბუენოს-აირესში უნდა გავფრენილიყავით.

გათენდა თუ არა, პლაჟისკენ გავეშურე. იქ ვოლდემარ ლეინი დამხვდა.

— გამოვემშვიდობოთ ატლანტის ოკეანის ტალღებს. — მიიხრა ლეინმა.

— მართალი ბრძანდებით. ვინ იცის, როდისმე კიდევ მოვხვდებით აქ?

წყალი საოცრად გამჭვირვალე და ცისფერი იყო. კარგა ხანს ვიბანავეთ და სასტუმროში დავბრუნდით, სადაც ჩვენი დელეგაციის წევრები და თანმხლები პირნი აეროპორტში გასამგზავრებლად ემზადებოდნენ...

16 დეკემბერს, ჩვენი სამშობლოსკენ გამოფრენის დღეს, საბჭოთა საელჩომ თავის შესანიშნავ სასახლეში დარბაზობა მოაწყო. უამრავი სტუმარი მოვიდა. დარბაზობის შემდეგ გავემგზავრეთ აეროპორტ ესეისაკენ. მანქანის ფანჯრებიდან ვეთხოვებოდით ბუენოს-აირესს, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და ულამაზეს ქალაქს.

ერ-ფრანსის „კარაველა“, რომლითაც პარიზში უნდა გავფრენილიყავით, მონტევიდეოდან მოფრინავდა. დავემშვიდობეთ მასპინძლებს.

ჩვენი საელჩოს მუშაკებს, რომლებმაც დიდი სამსახური გაუწიეს დე-
ლეგაციას და არგენტინის ცაში ავიჭერით...
გინგლინიონესკა

ჩვენი დელეგაცია პირველი კლასის სალონით მგზავრობს. ილუ-
მინატორიდან დავცქერით არგენტინის პამპასებს, მერე ბრაზილიის
ჯუნგლებიც დაიწყო და მალე სან-პაულოში დაფერინდით. ჩვენი შე-
ჩერების შემდეგი პუნქტი რიო-დე-ჟანეირო იყო, რომელმაც უამინ-
დობის გამო არ მიგვიღო. ორჯერ მოგვიწია სან-პაულოში დაბრუნება
და მესამე ცდაზე, როგორც იქნა, დავეშვიტ რიო-დე-ჟანეიროში. დაფ-
რენისას მოჩანდა ეს ვეებერთელა ქალაქი და ბორცვზე აღმართული
ხელებგაშლილი ქრისტეს უზარმაზარი ქანდაკება.

მერე ატლანტის ოკეანის თავზე 10 საათის ფრენა, მადრიდში შის-
ვენება და პარიზი, დე გოლის სახელობის აეროპორტი, უახლესი ტექ-
ნიკური და სამშენებლო საოცრება.

აეროპორტში საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები დავგხვდნენ
და წაგვიყვანეს ტრიუმფალური თაღის მახლობლად განლაგებული
პილტონის ტიპის სასტუმროში, რომელსაც „მერიდიენი“ ჰქვია. ორი
წლის წინ, ჩემი პარიზში ყოფნისას, ეს შენობა არ იდგა. პარიზელები
ენერგიულად ეწინააღმდეგებიან თავიანთი ქალაქის ხელყოფას თანა-
მედროვე შენობებით, მაგრამ ეტყობა, ყოველთვის ვერ იმარჯვებენ.

მთელი საღამო ვსეირნობდი პარიზის ქუჩებში. როდესაც პირვე-
ლად 1969 წელს ვეწვიე ამ საოცარ ქალაქს, ვფიქრობდი, რომ აქ ვე-
ლარასოდეს მოვხვდებოდი, მაგრამ ბედმა გამიღიმა და, აი, უკვე მესა-
ძედ ვათვალიერებ მის მოედნებსა და ავენიუებს, ნოტრდამსა და სე-
ნის სანაპიროებს, ელისეს მინდვრებსა და მონმარტრს. ყველაფერი
საოცრად ნაცნობი მეჩვენებოდა. ალბათ, ასე ემართება ყველას, ვინც
ქი პარიზში ჩადის.

სასტუმროში გვიან ღამით დავბრუნდი. ჩემი ნომერი 250 ფრან-
კი ღირდა დღე-ღამეში და მომსახურებაც საუცხოო იყო. ტელეფონის
ყურმილი ავიღე, სამი ციფრი აკრიფე და ქალს, რომელმაც მიპასუ-
ხა, ვთხოვე ფინჯანი ყავა და ერთი ბოთლი ლუდი. ხუთი წუთიც არ
იყო გასული, რომ კარებზე ბიჭმა მოაკაკუნა, ყავასთან და ლუდთან
ერთად მარილში მოხალული ნუში და შემწვარი წაბლი შემომიტანა.

რადიომიმღებიდან მშვენიერი ფრანგული მელოდია ისმოდა. უამ-
რავი შთაბეჭდილებებით აღვსილს არ მეძინებოდა. ხვალ უკვე სამშობ-
ლოსკენ მივფრინავდით. ერთი პატარა ჩემოდანი მქონდა თან, მაგრამ
იყო მეორე, უხილავი და ვეებერთელა, რომელიც უცხო ქვეყნებში
მოგზაურობების შთაბეჭდილებებით ავავსე...

„აღვირვლი ხალხის რევოლუციის ისტორია დაწერილია და იწერება ცეცხლისა და სისხლის ასობებით, წისი ფურცლები იცოცხლებენ საუკუნეებში...“

ხუარი ბუმბელიანი

მარშალ პეტრე ბატიცკის თვითმფრინავიდან დავეყურებდით ზმელთაშუა ზღვას. უკვე გადავუფრინეთ ჩრდილოეთ იტალიას, კორსიკას, მალტას და შორს სამხრეთით აფრიკის ჩრდილო სანაპირო გამოჩნდა. კიდევ ორიოდ საათი და თითქოს ალაღინის ჭინმა აღმართაო, ჩვენს თვალწინ მთელი თავისი სიქათქათითა და სილამაზით წარმოდგა „თეთრი ქალაქი“ — ალჟირი, რომელსაც არაბებმა „ზღვის დედოფალი“ შეარქვეს...

1972 წლის 3 ივლისს, ჩვენი ილ — 18 გრინვიჩის ღროით 3 საათზე ალჟირის დედაქალაქის დარ-ელ-ბეიდას აეროდრომზე დაეშვა. ილუმინატორიდან ვხედავდი საპატიო ყარაულს და ადამიანთა ჯგუფს, ჩვენსკენ რომ გამოეშურა. ხელს გვართმევდნენ ალჟირის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ბელაიდ აბდელსლამი, ამავე ქვეყნის მაღალი სამხედრო პირნი, საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები და როგორც იტყვიან, სხვა ოფიციალური პირები.

ორკესტრმა დაუკრა საბჭოთა კავშირისა და ალჟირის სახელმწიფო ჰიმნები. საპატიო ყარაულმა მწყობრი ნაბიჯით ჩაგვიარა. შემდეგ მანქანებში ჩაგვსხეს და ალჟირიდან 30 კილომეტრით დაშორებულ პატარა ზღვისპირა კურორტზე წაგვიყვანეს. ქვიშიანი პლაჟის პირას მშვენიერი თეთრი სასტუმრო იდგა. ირგვლივ მაღალი პალმების პარკი იყო გაშენებული. მზის სხივებში აელვარებულ ზმელთაშუა ზღვას ხასხასა ლურჯი ფერი დაჰკრავდა.

მალე გაირკვა, რომ ეს სასტუმრო საბჭოთა სამხედრო დელეგაციისათვის იყო განკუთვნილი. ჩვენს დელეგაციას კი უნდა ეცხოვრა დედაქალაქში, ალჟირის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეზიდენციაში. დროებით დავემშვიდობეთ სამხედროებს და ალჟირისკენ გავემგზავრეთ. მთელი გზის გასწვრივ მაღალი თუთისა და ჭადრის ხეების ხეივანი იყო გაშენებული.

ჩვენი რეზიდენცია ქალაქის ერთ-ერთ ბორცვზე იდგა. ეს იყო მავრიტანული ყაიდის თეთრი მარმარილოს სასახლე, ჰაეროვანი, ჩუქურთმებიანი კედლებით და მასიური, მოვარაყებელი ავეჯით..

ჩვენთვის განკუთვნილ ოთახებში მოვეწყვეთ. შემდეგ მასპინ-

ძლებმა პირველ სართულზე სადილად მიგვიპატივეს. უცხო ქვეყნებში მოგზაურობისას, ბუნებრივია ძალზე საინტერესოა ადგილობრივი სამხარეულოც. დიდი უკულტურობაა უარი თქვა გულღიად მოვითქუ-ულ კერძზე. ჩვენი პირველი ტრაპეზი ალყირის მიწაზე ფრანგული გამოდგა. საქმელს ფორთოხლის, მანგოს ცივ წვეს და ადგილობრივ მინერალურ წყალს — საიდას ვაყოლებდით.

სალამოს 8 საათზე მიწვეული ვიყავით ქალაქის ახალ კინოთე-ატრში „ატლასში“, სადაც უნდა გამართულიყო ალყირის რევოლუციის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი კონცერტი.

მასპინძლების დაუდევრობის გამო ჩემზე მომაგრებულმა მანქა-ნამ დააგვიანა და დელეგაციას ჩამოვრჩი. ჩემთან დარჩა ესკორტიდან ერთი უანდარმი მოტოციკლისტი. როგორც იქნა, მანქანაც გამოჩნდა, მძღოლმა ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის და მოტოციკლი წინ გაგვიძღვა. მას თითქმის მთელი გზა სირენა ჰქონდა ჩართული, რად-გან პიკის საათმა მოგვიწია და ქალაქის ქუჩები მანქანებით იყო გა-ჭედილი.

კარგა ხნის შემდეგ მივალწიეთ ვეებერთელა შენობამდე, რომელ-ზეც დიდი, გაჩირაღდნებული ასოებით ეწერა „ატლასი“. ვიწრო შე-სასვლელში, რომელიც არ შეეფერებოდა ამოდენა შენობას, ჩვენებს შევუერთდი. ავღივართ გაუთავებელ კიბეებზე. ავივლით ორ-სამ სა-ფეხურს და ვჩერდებით. უამრავი ხალხია. კიბეზე ასვლას თითქმის ოცი წუთი მოვანდომეთ და როცა დიდ დარბაზში შევედით, ასე გვე-გონა, გარეთ მოვხვდითო: კინოთეატრს სახურავი არ ჰქონდა და ვარ-სკვლავებით მოჭედილი ალყირის ცა მოჩანდა. შემდეგ გავიგეთ, რომ მხოლოდ უამინდობის დროს იხურება ავტომატურად გოფრირებულ მეტალისაგან დამზადებული სახურავი.

დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი, ძირითადად მსოფლიოს სხვადა-სხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებით.

გახდა რვა საათი, ცხრა, მაგრამ კონცერტი არ იწყებოდა. საელჩოს თახამშრომელმა, თან რომ გვახლდა, მოთხრა, ბუმედიენის მოსვლას ელ-ოდებიანხო. ის კი აგვიანებდა და როგორც შემდგომშიც დავრწმუნდით, არა პირველად. მხოლოდ ათის ნახევარზე გამოჩნდა იგი. დარბაზში ოც-დაათიოდე ახალგაზრდა არაბი შემოვიდა, პრეზიდენტის პირადი დაცვა; მათ თავიანთი ადგილები დაიკავეს. დამსწრენი ფეხზე ადგომით და ოფ-ციებით შევხვდით ალყირის პრეზიდენტს.

კონცერტი დაიწყო. ჯერ გვიჩვენეს ფერადი ფართოფორმატიანი ფილმი „ალყირი 10 წლის მანძილზე“. ფილმში ნაჩვენები იყო ალყირე-ლი ხალხის მიღწევები თავისუფლების მოპოვების შემდეგ. ეკრანზე ხში-

რად ჩანდნენ საბჭოთა სპეციალისტები, რომლებიც ამ ქვეყანას ეკო-
მიკისა და კულტურის განვითარებაში ეხმარებოდნენ.

კოხცერტის პროგრამა ძალზედ საინტერესო იყო. მონაწილეობ-
დნენ არა მარტო ალყირის, არამედ აფრიკის სხვა ქვეყნების ვარსკვლავ-
ებიც, რომლებიც სპეციალურად მოეწვიათ ამ დღისათვის...

ალყირის ცენტრალურ გაზეთებში „ელ მუჯაჰიდში“ და „ამ შა-
ბში“, 4 ივლისს, პირველ გვერდებზე გამოქვეყნდა ცნობა, რომელშიც
ეწერა:

„გუშინ, დღის მეორე ნახევარში ალყირში ჩამოვიდა საბჭოთა მთავ-
რობის დელეგაცია“. იგივე გაზეთები იტყობინებოდნენ აგრეთვე საბ-
ჭოთა კავშირის სამხედრო დელეგაციისა და კიდევ მრავალი ქვეყნის
დელეგაციების ჩამოსვლას.

დელეგაციებს აეროდრომზე ხედებოდნენ ალყირის მრეწველობი-
სა და ენერგეტიკის მინისტრი ბ. აბდესლამი და დელეგაციათა მიმღები
კომიტეტის წევრები.

მეორე დღეს ალყირში გაიხსნა არაბული ქვეყნების ახალგაზრდო-
ბის I ფესტივალი. ამ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ჩამო-
ვიდნენ ახალგაზრდობის დელეგაციები: მავრიტანიიდან, ტუნისიდან,
სუდანიდან, ლიბანიდან, მაროკოდან, ლიბიიდან, კუვეიტიდან, ეგვიპტი-
დან, ომანიდან, პალესტინიდან, სირიიდან, ერაყიდან, კატარიდან, არაბთა
ემირატების გაერთიანებული სახელმწიფოდან, იემენიდან. სულ 2 ათა-
სი კაცი 17 ქვეყნიდან. ფესტივალში არ იღებდნენ მონაწილეობას იორ-
დანია და ბახრეინი. ფესტივალის პროგრამით ძირითადად გათვალისწი-
ნებული იყო კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარება.
ამასთან ალყირის ეროვნებათა სასახლეში მოეწყო კონფერენცია, რო-
მელზეც განიხილეს ოკუპირებული პალესტინის პრობლემა, აგრეთვე ახ-
ალგაზრდობის როლი ფესტივალში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკურ
განვითარებაში.

დღესასწაულის დღეებში ალყირის დედაქალაქში რამდენიმე ათას-
მა სტუმარმა მოიყარა თავი. გარდა ალყირის ეროვნულ დღესასწაულ-
ზე ჩასული სტუმრებისა, რომელთა რიცხვი 3 ათასს აღემატებოდა, აქ,
როგორც აღვხიშნე, ამ დღეებს დაამთხვიეს არაბული ქვეყნების ახალ-
გაზრდობის ფესტივალი და ამავე ქვეყნების ახალგაზრდობის საქმეთა
მინისტრების II კონგრესი.

ჩვენ, თუ თავისუფალ დროს ჩავიგდებდით ხელში, ვმოგზაურობ-
დით თვით დედაქალაქსა და მის გარეთ. ყველგან და ყველგან იგრ-
ძნობოდა არაბული და ევროპული კულტურის ურთიერთშერწყმა, თუმ-
ცა, როგორც კი ქალაქს გავცდებოდით, უკვე არაბული სჭარბობდა.



მალრიბის* ეს ერთ-ერთი ქვეყანა აფრიკის კონტინენტის ჩრდილო ნაწილში მდებარეობს და ესაზღვრება მაროკოს, რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილი, რიტანისას, მალის, ნიგერს, ლიბიას და ტუნისს. მისი ფართობი 2 381 741 კვ. კილომეტრია; ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე იგი გადაჭიმულია 1 100 კმ სიგრძეზე. მაროკოსა და ტუნისისაგან განსხვავებით, რომლებიც პირდაპირ ატლანტის ოკეანესა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარეობენ, ალჟირი აფრიკის კონტინენტის სიღრმეში 2 400 კილომეტრზეა შეჭრილი. არაბები ამბობენ, რომ მალრიბი არის ფრინველი, რომლის სხეული არის ალჟირი, ხოლო ფრთები — ტუნისი და მაროკო.

ალჟირის შოსახლეობა ძირითადად ქვეყნის ჩრდილო ზღვისპირა ხაწილშია თავმოყრილი. დანარჩენი ტერიტორია კი უკავია საჰარის უდაბნოს, უსიცოცხლოს და უკაცრიელს, სადაც აქა-იქ ცოცხლობენ ოაზისები.

ქალაქი ალჟირი დააარსეს X საუკუნეში ჯერ ფინიკიელთა, შემდეგ კი რომაელებმა ნავსადგურის იქოზიუმის ადგილას. მიუხედავად იმისა, რომ მას არც თვალსაჩინო ფლოტი გააჩნდა და არც ვაჭრობის დიდი მასშტაბები, იგი ძალიან მოხერხებულ და ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო მალრიბის მთელ სანაპირო ზოლში.

შეკობრეობის საშუალებით ალჟირი მდიდრდებოდა და ძლიერდებოდა. 1546 წლიდან ზღვის ყაჩაღობა სახელმწიფო პოლიტიკის ნორმად იქცა. იანიჩარი მმართველები საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდნენ. უკვე XVII საუკუნის მიწურულისთვის ალჟირის მმართველები განუდგნენ თურქეთს და დამოუკიდებლობას მიაღწიეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნილი ფაშა უკანვე გააძევეს და ამიერიდან ალჟირის მმართველი იყო დეი, რომელსაც იანიჩარი მხედართმთავრები ირჩევდნენ თავიანთი წრიდან. არჩევის შემდეგ დეი გადაჰყავდათ საცხოვრებლად სასახლეში და მას საკუთარ ოჯახში ყოფნა კვირაში ერთი დღე-ღამე შეეძლო მხოლოდ. არც თავისი საკუთრება შეეძლო ეანდერძებინა დეის მემკვიდრეებისათვის. მისი სიკვდილის შემდეგ იგი სახელმწიფო ხაზინის კუთვნილება ხდებოდა. დეის უცნაურ ბედზე ესპანელი ისტორიკოსი ხუან ენო წერდა: „კაცი მდიდარი, მაგრამ თავის სიმდიდრეს ვერ გახაგებს; მამა უშვილებოდა; მეუღლე უცოლოდა; დეპოტი თავისუფლების გარეშე; მონების მეფე და თავის ქვეშევრდომთა მონა“. დეის არ შეეძლო შეეცვალა მისთვის დანიშნული ცხოვრების წესი; მას დღე და ღამ უთვალთვალდნენ კარისკაცები და თუ დააპირებ-

* „მალრიბი“ არაბულად დასავლეთს ნიშნავს, ამ სახელწოდებით აღინიშნება ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ერთობლიობა.



და იგი ამ წესის გადახვევას, აუცილებლად მოკლავდნენ. საკმარისი იქნებოდა, რომ იმ ოცდაათი დღიდან, რომლებიც ალყის მართავდნენ XIX საუკუნის დასაწყისამდე, თექვსმეტი ამბოხებულმა იანიჩარებმა მოკლეს.

იანიჩარების ბატონობა ვრცელდებოდა ალყის ერთ მეექვსედ ნაწილზე. საპარის მომთაბარე ტომები და ბერბერული მოსახლეობა რომელიც კაბილიის მთებში ცხოვრობდა, არაფრად აგდებდა იანიჩარების ხელისუფლებას. თურქულმა ბატონობამ დალი ვერ დაასვა ალყის კულტურას, რომელიც ვითარდებოდა მალრიბული ცივილიზაციის ძველი ტრადიციების მიხედვით.

XIX საუკუნის დასაწყისში ხმელთაშუა ზღვაზე გამოჩნდა ევროპულ სახელმწიფოთა ძლიერი ფლოტილები და ალყირელ მეკობრეებს შეუზღუდეს თავისუფალი თარეშის ასპარეზი. მათაც არც აცივეს და არც აცხელეს და ახლა ხმელეთის მეკობრეობას მიჰყვეს ხელი კონტინენტის სიღრმეში. ამას ემატებოდა აუტანელი ბეგარა. არაბული და ბერბერული მოსახლეობა ხშირად ჯანყდებოდა.

ამ პერიოდში ზღვის გაღმიდან გამოჩნდა ახალი საშიშროება — საფრანგეთი. ჯერ კიდევ ნაპოლეონ ბონაპარტეს ჰქონდა ამოღებული თვალში ალყირი. იგი ალექსანდრე პირველთან საუბრისას 1807 წელს ტილიტში და შემდეგ 1808 წელს ერფურტში ოსმანთა იმპერიის გაყოფაზე, ალყირს თავის მომავალ სამფლობელოებში ათავსებდა. რუსეთის იმპერატორთან თათბირის შემდეგ მან მაშინვე გააგზავნა ალყირსა და ტუხისში სამხედრო ინჟინერი მაიორი ბუტენი, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა ტოპოგრაფიული აგეგმვა და ექსპედიციის გეგმაც დაემუშავებინა. თუმცა, რუსეთში დამარცხების გამო ნაპოლეონმა ვერ შეძლო ამ გეგმების განხორციელება, მაგრამ ბუტენის მასალების არსებობა გაიხსენა კარლოს მეათემ იმ დროს, როცა ბურბონების დისანტია თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ტანტის გასამაგრებლად ბურბონებს ახალი მიწების დაპყრობა სურდათ.

1827 წლის 29 აპრილს მოხდა ერთი კუროზული ამბავი, რომელიც საფრანგეთმა მიზეზად გამოიყენა ალყირის კოლონიზაციისათვის. იმაზე ითქმის სწორედ, „მიზეზ მიზეზ, დოს მარილი აკლიაო“. საქმე კი შემდეგში იყო: ალყირში საფრანგეთის კონსული ვინმე პიერ დევალი, რომელსაც, ერთი ფრანგი ისტორიკოსის სიტყვებით, ცუდი რეპუტაციის მქონე, უპრინციპო ინტრიგანად თვლიდნენ, ინტრიგების საშუალებით ეწეოდა ქრთამების გამოძალვას დეისგან. და, 29 აპრილს მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა დეის და მანაც, განრისხებულმა მარაო დაჰკრა კონსულს, ის მარაო, რომლითაც დეი-



ბუზებს იგერიებდა და რაც მიზეზად გამოიყენა, საფრანგეთის მხარეზე ვე გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობანი ალყირთან და მისი სა-
 ნაპირო ბლოკადაში მოაქცია. თავდაპირველად საფრანგეთის მთავრო-
 ბას სურდა სხვისი ხელებით ემოქმედა. ამისათვის 1829 წელს მან და-
 ითანხმა თავისი მოკავშირე ეგვიპტის მმართველი მოჰამედ-ალი, რომ
 შესეოდა ალყირს, მაგრამ გასამრჯელოში ვერ მორიგდნენ.

ლუი-ფილიპე ორლენელის ივლისის მონარქიამ 1834 წელს ოფი-
 ციალურად გამოაცხადა ცნობა ალყირის მიერთების შესახებ და შექ-
 მნა ე. წ. „ჩრდილო აფრიკაში საფრანგეთის სამფლობელოების“ სა-
 მოქალაქო ადმინისტრაცია, რომელსაც სათავეში ედგა გენერალ-გუ-
 ბერნატორი. ამ პერიოდში საფრანგეთი ფლობდა ძირითადად სანაპი-
 რო ზოლს და ქალაქებს: ალყირს, ბონს, ორანს, მოსტაგონს, არზევს და
 ბუჯის, აგრეთვე ალყირის საპელს და მიტიჯას. ქვეყნის დანარჩენი
 ნაწილი წინააღმდეგობას უწევდა კოლონიზატორებს უთანასწორო
 ბრძოლაში სამშობლოს თავისუფლებისათვის.

საფრანგეთის ჯარების მიერ ალყირის ოკუპაციის შემდეგ (1830
 წლის 5 ივლისიდან) გამეფებულმა კოლონიურმა რეჟიმმა ძირფესვი-
 ანად შეარყია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა.

1848 წლიდან ალყირი საფრანგეთის ტერიტორიის „განუყოფელ“
 ნაწილად იქცა. 1950 წლამდე მისი ევროპული მოსახლეობა ემორჩი-
 ლებოდა საკუთარ ადმინისტრაციას, ადგილობრივი მოსახლეობა კი
 კოლონიური არმიის ხელისუფლებას.

თუ კოლონიზაციის დასაწყისში ალყირში ევროპიდან ჩამო-
 დიოდნენ ავანტურისტები, ბოროტმოქმედნი და „თავგადასავლების“
 სხვა მოყვარულნი, ახლა მათ მიემატნენ ყოფილი სამხედრო პირები,
 მსხვილი ბანკებისა და სხვადასხვა კომპანიის აგენტები. ალყირში შე-
 იქმნა არაბული და ბერბერული მოსახლეობის მძარცველი ფენა. მისი
 მიზანი იყო ადგილობრივ მკვიდრთა განდევნა ქვეყნის ზღვისპირა ნა-
 ყოფიერი რაიონებიდან საპარაში და მთავორიან ნაწილებში.

ალყირელი ხალხი კოლონიზაციის პირველი დღეებიდანვე თავდა-
 დებით იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისათვის. არ გამართლდა
 ფრანგი მხედართმთავრის დე ბურმონის ტრაბახი. როდესაც მას ქალა-
 ქი ალყირი აუღია, უთქვამს: „მთელ სამეფოს დავიმორჩილებთ თხუთ-
 მეტ დღეში ერთი გასროლის გარეშე“. საფრანგეთმა მხოლოდ 40
 წლის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ შეძლო ალყირის დამორ-
 ჩილება.

პარიზის კომუნამ დააჩქარა ალყირში ეროვნულ-განმათავისუფ-
 ლებელი ბრძოლის აფეთქება. აჯანყება დაიწყო 1871 წლის დასაწყის-



ში და მოიცვა საპარისა და კაბილის ბევრი რაიონი. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა კაბილიელი ფეოდალი მუჰამედ ალ-მუკრანი, რომელსაც 30 ტომი ემორჩილებოდა. ამავე წლის აპრილში მან კავშირი შეკრა რახმანის მსხვილ რელიგიურ სწმომს მეთაურ ელ-ჰადადთან; ამ სამომში 200 ტომი იყო გაერთიანებული. გამოცხადდა „წმინდა ომი“, რომელშიც 100 ათასზე მეტი არაბი და კაბილი იღებდა მონაწილეობას. კოლონიზატორებისაგან გაათავისუფლეს ტერიტორია, რომელზეც ალყირის მკვიდრთა ერთი მესამედი ცხოვრობდა. აჯანყებულებმა სამას ბრძოლას გაუძლეს და უმრავლესობაში გაიმარჯვეს. მაგრამ პარიზის კომუნის განადგურების შემდეგ საფრანგეთმა 85-ათასიანი არმია გააგზავნა აჯანყებულთა წინააღმდეგ და დაამარცხა ისინი.

ასე დამთავრდა მე-19 საუკუნის მიწურულში გმირული პერიოდი ალყირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც მიმდინარეობდა „წმინდა ომის“ ისლამური დროებით. ალყირი იქცა საფრანგეთის ყველაზე დიდ კოლონიალ აფრიკის კონტინენტზე. ფრანგებმა მიიტაცეს ალყირის საუკეთესო მიწები. პირველმა მსოფლიო ომმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ალყირის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. გაიზარდა გადასახადები, ძალდატანებითი მობილიზაციით საფრანგეთის არმიაში თავი უკრეს 173 ათას ალყირელს, რომელთაგან 25 ათასი დაიღუპა. ომის პერიოდში 119 ათასი ალყირელი საფრანგეთში წავიდა სამუშაოდ, სადაც აკლდათ მუშახელი. თვით ალყირში სწრაფად იზრდებოდა ეროვნული პროლეტარიატი, 1929 წლისათვის ქვეყნის სამრეწველო საწარმოებში მუშაობდა 180 ათასი მუშა, რომელთაგან 108 ათასი ადგილობრივი მკვიდრი იყო.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ახალი ძალა შემატა ანტიკოლონიურ მოძრაობას, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აბდ-ალ-კადერის შვილიშვილი ემირი ჰალიდი.

1926 წლის მარტში ალყირელმა მუშა-ემიგრანტებმა პარიზში ფრანგი კომუნისტების დახმარებით შექმნეს ორგანიზაცია „ჩრდილო-აფრიკული ვარსკვლავი“, რომლის თავმჯდომარე გახდა ემირი ჰალიდი. ეს ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ აფრიკის მუსლიმანების მატერიალური, სულიერი და სოციალური ინტერესების დაცვას, დევნას განიცდიდა საფრანგეთის ხელისუფალთა მხრიდან და 1929 წელს გააუქმეს კიდევ. 1932 წელს იგი აღდგენილ იქნა სახელწოდებით „შესანიშნავი ჩრდილო-აფრიკული ვარსკვლავი“, ხოლო 1934 წლიდან გადაიქცა „ჩრდილოეთ აფრიკის მუსლიმანების ეროვნულ კავშირად“.

ალყირში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის განვითარებაზე უდიდესი გავლენა იქონია დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა

რევოლუციამ, რომელმაც გამოიწვია ამ ქვეყანაში მუშათა მოძრაობის გაძლიერება და ბიძგი მისცა კომუნისტური ორგანიზაციების შექმნას 1920 წელს. 1924 წელს კი ალყირის კომუნისტური სექციის შექმნა საფრანგეთის კომპარტიის ალყირის ფედერაცია.

1934 წელს ალყირის კომუნისტებმა შექმნეს დამოუკიდებელი პარტია, რომელმაც შეიმუშავა მოქმედების პროგრამა. ამ პროგრამით გათვალისწინებული იყო ადგილობრივი მოსახლეობისათვის დემოკრატიული თავისუფლების მიცემა, რეპრესიების შეწყვეტა და სხვ. პროგრამა მაქსიმუმში კი მოითხოვდა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებას, კოლონიზაციის შეწყვეტას და საფრანგეთის ჯარების გაყვანას.

1937 — 1939 წლებში ალყირის დემოკრატიული ძალების მთელი საქმიანობა მიმართული იყო ჩრდილოეთ აფრიკაში ფაშისმის შემოჭრის წინააღმდეგ. კომუნისტები ააშკარავებდნენ ადგილობრივი რეაქციის შეთანხმებას მუსოლინთან (რომელიც პრეტენზიებს აცხადებდა აღმოსავლეთ ალყირზე), ფრანკოსთან (იგი ცდილობდა თავისი გავლენა გაეგრძელებინა ალყირში მცხოვრებ ესპანელებზე). 1939 წელს, გერმანიასთან ომის დაწყების შემდეგ, საფრანგეთის მთავრობამ აკრძალა ალყირის კომპარტია.

ალყირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ბრძოლა დაიწყო 1954 წლის 1 ნოემბერს. ამ დღეს მუჯაჰიდების* ასეული აურესის რაიონიდან თავს დაესხა ფრანგების სამხედრო საბარგო მანქანებს. ასეთივე თავდასხმა ალყირელებმა ერთდროულად კიდევ ქვეყნის 30 სხვადასხვა პუნქტში მოაწყვეს. ალყირს მოედო პროკლამაციები, სადაც ეწერა: „ჩვენი მძიმე ბრძოლა მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როდესაც მივალწვეთ უდიდეს მიზანს: ალყირი უნდა გახდეს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა“.

1962 წლის 18 მარტს საფრანგეთის პატარა ქალაქ ევიენში ხელი მოაწერეს საფრანგეთ-ალყირის ხელშეკრულებას სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ. გაათავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები; მაროკოდან და ტუნისიდან დაბრუნება დაიწვეს ალყირელმა ლტოლვილებმა; ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა 1962 წლის 1 ივლისს მოაწყო რეფერენდუმი და გაიმარჯვა კიდევ: 99 პროცენტმა ხმა მისცა ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხს. ორი დღის შემდეგ საფრანგეთმა ოფიციალურად აღიარა ალყირის დამოუკიდებლობა. ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა დამოუკიდებლობის დღედ გამოაცხადა 5 ივლისი, დღე, როდესაც 1830 წელს ფრანგებმა აიღეს ქ. ალყირი. ეს

* მუჯაჰიდი — სიტყვასიტყვით „წმინდა ომის მონაწილეს“ ნიშნავს. ასე უწოდებდნენ თავიანთ თავს ალყირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები.



დღე მანამდე ეროვნული გლოვის დღე იყო; 1962 წლის 5 ივლისიდან იგი გადაიქცა ეროვნული დღესასწაულის დღედ და ჩვენც ხომ ამ დღე-
სასწაულში მონაწილეობის მისაღებად ვიყავით ჩასულები ალყირში.

გაზეთმა „ელ-მუჯაჰიდმა“ 1972 წლის 5 ივლისს გამოაქვეყნა ალყირის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის ხუარი ბუმედიენის სიტყვა, წარმოთქმული ერის ხელმძღვანელი მუშაკების წინაშე ქვეყნის დამოუკიდებლობის 10 წლისთავის გამო.

იმ დღითვე ზღვის სანაპირო მოედანზე დანიშნული იყო პარადი. ჩვენი დელეგაციისათვის საპატიო ადგილი გამოეყოთ მთავრობის ტრიბუნაზე. ვისხედით და მოთმინებით ველოდით, როდის დაიწყებოდა პარადი და დემონსტრაცია, რადგან დანიშნულ დროს უკვე კარგად გადასცდა. როგორც წუხანდელ კონცერტზე, ბუმედიენმა აქაც საათზე მეტი დაავიანა და როგორც იქნა, გამოჩნდა უფლისწულ სიანუკთან ერთად. მათ დაიკავეს თავიანთი ადგილები და მშრომელთა დემონსტრაციაც დაიწყო. მოდიოდნენ თეთრსა და ქრელში გამოწყობილი სხვადასხვა ვილაიეთების წარმომადგენლები, იქნევდნენ პლაკატებს და ტრიბუნასთან რევოლუციურ ლოზუნგებს ყვიროდნენ. მაინც საოცარი იყო, რომ ევროპულად ჩაცმულ ქალებთან ერთად ჩადრში გახვეულებიც მოდიოდნენ. მათ პირისახე არ უჩანდათ და შორიახლოს მიყვებოდნენ მამაკაცებს, ალბათ მეუღლეებს ან მამებს.

მშრომელთა დემონსტრაციის შემდეგ დაიწყო სამხედრო პარადი. გარდა ალყირის არმიის ნაწილებისა, ჩვენს წინ გაიარეს სხვა არაბული სახელმწიფოების ჯარების ნაწილებმაც. ყველაზე საინტერესო იყო ალყირის ქანდარმერიის დიდი ჯგუფი, ამხედრებული მოტოციკლებზე. ისინი ისეთივე ილეთებს აკეთებდნენ, როგორც მოჭირითენი ცხენებზე ცირკში. ხან თავდაყირა დგებოდნენ და ისე მიყავდათ მოტოციკლი, ხან ცალ ფეხზე. ერთმა კი ყველას გადააქარბა: ჩამოხტებოდა, მოტოციკლი განაგრძობდა გზას (სამთვლიანი მოტოციკლი იყო), მერე გაქანდებოდა, გადაახტებოდა და ისევ ზედ მოევლებოდა. ტრიბუნებზე ტაში არ ცხრებოდა.

ბოლოს აქრელებულმა ტანკებმაც ჩაგვიარეს და მათ გუგუნს ზეცის გუგუნიც შეუერთდა. თავზე რეაქტიული თვითმფრინავების ესკადრილიამ გადაავიფრინა და პარადიც ამით დამთავრდა. სწორედ ამ დროს დაუბერა სიროკომ. მწველი და ყვითელქვიშიანი უდაბნოს ქარი ცეცხლივით შემოგვენთო სხეულზე. ტანსაცმელი გახურდა, პიჯაკები გავიხადეთ, მაგრამ მაშინვე ჩავიცვით, რადგან შეუძლებელი იყო გაძლება და პიჯაკი ოდნავ მაინც ანელებდა აუტანელ ქარსიცხეს. როდესაც სიროკო უბერავს, ქუჩები ცარიელდება, ყველა სახლში იყე-

ტება. მაგრამ ყვითელი, წმინდა მტვერი ყოველ ქუჩურუტანში და ყველაფერს აყვითლებს.

როგორც იქნა, მოაღწია ჩვენმა მანქანებმა და რეზიდენციისაკენ გავეშურეთ, სადაც ყინულიანმა ფორთოხლის წვენმა და ჩაიცებულმა ლუღმა სამოთხედ მოგვაჩვენა საგარეო საქმეთა მინისტრის სასახლე...

5 ივლისს, საღამოს მიწვეული ვიყავით ოფიციალურ ბანკეტზე, რომელსაც პრეზიდენტი ხუარი ბუმედიენი მართავდა გამოფენათა ახალ სასახლეში. ვეებერთელა დარბაზებში სამი ათასამდე კაცი მოიყარა თავი. ვიდექით ჯგუფ-ჯგუფად, ვსაუბრობდით, ოფიციალტები დაატარებდნენ გამაგრებულ სასმელებს. 8 საათზე მთავარ მაგიდას მიუსხდნენ ბუმედიენი, ნოროდომ სიანუკი, მავრიტანიის პრეზიდენტი მოხტარ ულდ დადდა, აგრეთვე დელეგაციის ხელმძღვანელები.

ის იყო ჩვენი დელეგაციისათვის მაგიდა შევარჩიე, რომ ჩემსკენ ღიმილით მომავალი კაცი დავინახე. გაჰალარავებული თმა ლომის ფაფარივით ეყარა თავზე და კარგად მორგებული სმოკინგი ეცვა. ნაცნობი სახე ჰქონდა და როცა ახლოს მოვიდა, ვიცანი, აჰმედ მირფენდერესკი, ირანის ელჩი საბჭოთა კავშირში, რომელიც რამდენჯერმე ახლდა საქართველოში სტუმრობისას ირანის შაჰს, მის დედას, ძმას და ერთადაც მოგვიწია მოგზაურობა. ჩვენი ნაცნობობა კიდევ იმან გააძლიერა, რომ აჰმედი 15 წლის ასაკამდე თავის კონსულ მამასთან ერთად ცხოვრობდა თბილისში, პლენანოვის ქუჩაზე, სადაც ირანის საკონსულო იყო მოთავსებული. აჰმედი თბილისს კარგად იცნობდა, ქართულსა და რუსულსაც შესანიშნავად ფლობდა. მოსკოვში მას ჰყვინი ელჩის სახელი ჰქონდა.

— გამარჯობა, — მითხრა ქართულად.

— საღამ ალეიქუმ. — ვუთხარი მე.

— სად არ შეხვდება კაცი კაცს. — თქვა აჰმედმა და მაგიდას მივუსხედით, სადაც ჩვენი დელეგაციის წევრები მელოდებოდნენ.

— ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბჭოთა კავშირში ბატონი აჰმედ მირფენდერესკი, — გავაცანი ჩვენებს, მაგრამ აჰმედმა ღიმილით შემაწყვეტინა:

— არა, ახლა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვარ.

მომილოცავს-მეთქი, ვუთხარი და საუბარი განვაგრძეთ. აჰმედმა გაიხსენა თბილისში შეხვედრები, ბორჯომში მგზავრობა, ლიკანში ღამის თევა და სხვ.

— დიდი სურვილი მაქვს კიდევ მოვხვდე თბილისში, ჩემი სოჭაბუკის ქალაქში, ოფიციალური მისიით კი არა, ისე, როგორც ტუ



მაგეს და მათი ღირებულებაც გადაიხადეს. „თუ წინათ მამაჩვენს უფრო
 ხებდა ქოხს, მე აღარ უნდა გადამეხადა მისი ღირებულება“^{კამპანის}
 არგუმენტით ისტუმრებენ ისინი ბინის ქირისთვის მოსულ მოხელეებს.

ერთ დღეს მასპინძლებმა აგვიყვანეს ქალაქის ერთ-ერთ ბორცვზე,
 რომელზეც ვეებერთელა „ნოტრ-დამ აფრიკენ“, ანუ აფრიკის ღვთის-
 მშობლის ტაძარი იდგა. იერით ძართლაც ჩამოჰგავდა პარიზის ღვთის-
 მშობლის საქვეყნოდ ცნობილ ტაძარს. შიგნით შესულები გავაცოცხ
 ტაძრის კედლებზე მიკრულმა უამრავმა ფირფიტამ, რომლებზეც გვა-
 რები და სახელები ეწერა. როგორც აგვისხნეს, ამ ფირფიტებს აკრავ-
 დნენ ზღვაში გასული შეთევვეთა ოჯახები და ღმერთს ევედრებოდნენ
 მათ უვხებლად დაბრუნებას.

შერე გავისეირნებთ ალყირის უძველეს უბანში, კასბაში. თანამედ-
 როვე ალყირი არაფრით განსხვავდება ევროპული ქალაქებისაგან.
 ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი, შეიძლება ითქვას, ჩადრიანი ქა-
 ლებია.

ჩვენი მახქანები აღმართში მიმავალ ვიწრო ქუჩებს აუყენენ. მე-
 რე ფეხით გახვავრძეთ გზა და დავიწყეთ კასბის დათვლიერება. ეროვ-
 ნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების პერიოდში მთელ მსოფლიო-
 ში გაითქვა სახელი ალყირის ამ რაიონმა. ვიწრო ქუჩები ნამდვილ ლაბი-
 რისხს კმხიან და თუ თან გათვითცნობიერებული გიდი არ გახლავს,
 ადვილად აგებნევა გზა. ბორცვზე გაშენებული ამ უბნის მთავარი ქუ-
 ჩის სივანე სულ რაღაც ოთხი მეტრია. იგი იწყება მარტირის, ანუ წა-
 მებულის მოედანთან, სადაც მეთევზეთა მეჩეთია აღმართული. ვიწრო
 ქუჩები სულ აღმართ-აღმართ მიდიან და ბევრ ადგილას მათ კიბეები
 ცვლიან. აქ ველოსიპედით მოძრაობაზეც კი ლაპარაკი ზედმეტია, არა
 თუ მანქანით. ბორცვის ზედა ნაწილში ქუჩები ისე ვიწროვდება, რომ
 თუ ხელებს გაშლი, აქეთ-იქით მდგარი სახლების კედლებს მიწვდება.
 ეს რაიონი თურქთა ბატონობის პერიოდში ციხესიმაგრე ყოფილა.

მაინც რითი გაითქვა სახელი ალყირის ამ უძველესმა, ნამდვილად
 არაბულმა უბანმა? იმით, რომ ფრანგმა კოლონიზატორებმა ვერა და
 ვერ მოახერხეს მისი დაპყრობა და დამორჩილება. ამ უბანში 80 ათასი
 კაცი ცხოვრობდა. ფრანგებს კასბისთვის ეკლიანი მავთულხლართი შე-
 მოურტყამთ და მხოლოდ სამი შესასვლელი დაუტოვებათ, სადაც თი-
 თოეულ შემსვლელს ამოწმებდნენ. მათ პარამუტისტების პოლკის გა-
 მოყენებაც უცლიათ, მაგრამ მაინც ვერაფერს გამხდარან. აჯანყების ჩი-
 რალდანი ხან ერთ ქუჩაზე ინთებოდა, ხან მეორეზე და ამ უბანში გაჩა-
 ლებული, ძალე მთელ ალყირს ედებოდა.

ჩვეხი ყურადღება მიიქციეს პატარა ხიდებმა, რომლებიც ერთმა-

ნეთთან აერთებდნენ სახლების ბანებს. არაბებს, კასბას რომ აშენებუ-
დნენ, არ სურდათ, რომ მათი ცოლები ქუჩაში გასულიყვნენ. ამიტომ
აგებდნენ ბანიან სახლებს, ბანი კეპალებს ეზოს მაგივრობას უწყევდა.
მეზობელ ქალთან სალაპარაკოდ ან სიტყვებზე გადასასვლელად ბანებს
პატარა ხიდებით აკავშირებდნენ. ასე წარმოშობილა ორსართულიანი
კასბა. ბანიანმა და ხიდიანმა სახლებმა დიდი დახმარება გაუწიეს
აჯახებულუმს ბრძოლის პერიოდში. თუ პარაშუტისტები ალყაში მოა-
ქცევდნენ რომელიმე სახლს, შიგ მყოფნი ამ ხიდებით მეზობელი სა-
ხლების სახურავებზე გადადიოდნენ და თავს აღწევდნენ ალყას.

სწორედ კასბის უბანში იდგა აჯახებულთა ლეგენდაქცეული
პირველი მეთაურის ალი ამარის სახლი. მას ფრანგებმა მეტსახელად
„ლა პუანტი“. ანუ ეკალი და მახვილი შეარქვეს. 1957 წელს ლეგი-
ონერებს შეუტყვიათ მისი შტაბის ადგილსამყოფელი და ალყა შემო-
ურტყამთ მისთვის. ალი ამარს ვერ მოუხერხებია გაქცევა და 24 სა-
ათის განმავლობაში მედგრად უბრძოლია თავდამსხმელებთან. იგი და-
ღუპულა ამ უთანასწორო ბრძოლაში და დღეს კასბის მთავარი ქუჩა,
რომლითაც უკან ვბრუნდებოდით, მის სახელს ატარებს. ქუჩის ორი-
ვე მხარეს გახურებული ვაჭრობაა. პირდაპირ ქუჩაში წვავენ ცხვრის
ხორცს, აქვე იყიდება ათასნაირი ხილი, ბოსტნეული...

ჩადრში ჩამალული მშვენიერება

„ქალი რჩება თავისი უფლებებისა და კეთილ-
დღეობის საუკეთესო დამცველად, დაიღალა
მებრძოლად უსამართლობისა და დამცირების
წინააღმდეგ“.

ალფირის ერთგული ქართველი

ალყირში პირველად მოხვედრილ უცხოელს ისეთი შთაბეჭდილე-
ბა ექმნება, რომ ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას მამაკაცები
შეადგეხებ. ქუჩაში იშვიათად შეხვდებით ქალს, თუმცა კი, სტატის-
ტიკის მიხედვით, ალყირში ქალების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე
კაცებისა.

ცხოვრილი ამბავია, რომ ქვეყნის უძველესი და მკაცრი ათასწლო-
ვანი მუსლიმანური კანონები უკრძალავენ ქალს ეჩვენოს არა მარტო
უცხოელ, არამედ თანამემამულე მამაკაცებსაც კი და იძულებულს
ხდის კარჩაკეტილად იცხოვროს.

არაბი ქალები ჩადრის შემოღებას თავის შორეულ მითიურ წინა-



პარს, აიშეს უნდა უმაღლოდნენ. ასე ერქვა წინასწარმეტყველ. მუჰამედის ულამაზეს და უსაყვარლეს ცოლს. თქმულების მიხედვით მუჰამედს ერთ-ერთი შოგზაურობის დროს აიშეც თან ახლდა. ერთ დამეს იგი გაპარულა და მეორე დღეს ვიღაც ახალგაზრდა ბედუინთან ერთად დაბრუნებულა ქმართან. ორივენი არწმუნებდნენ ექვებაშლილ მუჰამედს უცოდველობაში. ბედუინს უამბნია მისთვის, როგორ წააწყდა გზაზე ღონემიხილ აიშეს, რომელიც აქლემზე შესვა და ქმარს ჩამოუყვანა. მუჰამედს არაფერი უთქვამს თავისი მზეთუნახავი ცოლისათვის, მაგრამ უბრძანებია, ამიერიდან ჩადრში გახვეულიყო. იმსაც ამბობენ, რომ სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ დაიწერაო ყურანის 24-ე სურა, სადაც მკაცრადაა განსაზღვრული მუსლიმანი ქალის ქცევის წესები.

ასე იყო თუ ისე, ყურანში, ამ „წმინდა წიგნში“ ჩაწერილი კანონების მიხედვით მუსლიმანი ქალი მთლიანად გამოაკლდა საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებას. „ჰაჯაბი“, ანუ კარჩაკეტილი ცხოვრება — ესაა მუსლიმანური დოგმატური ეთიკის ნორმების მთელი კრებული, რომელშიც წვრილმანებადდა დამუშავებული ქალის ცხოვრებისა და ქცევის წესები ოჯახსა და საზოგადოებაში.

კაცობრიობას არ ახსოვს ქალის ისეთი მკაცრი იზოლირება, რაც აქამდე შეშორჩა აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში, მათ შორის ალჟირშიც. 1970 წლის 20 თებერვალს ალჟირის ცენტრალური გაზეთი „ელ-მუჯაჰიდი“ წერდა: „თანამედროვე ოჯახებში თითოეული მისი წევრი დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა. ეს განსაკუთრებით თავს იჩენს ქაში, როდესაც დედა სახლის გარეთ მუშაობს. საქმე იმით მთავრდება, რომ დედა თანდათან კარგავს ინტერესს თავისი ოჯახური მოვალეობებისადმი, რაც უარყოფითად მოქმედებს მის ურთიერთობაზე შვილებთან და ქმართანაც კი. ოჯახური კერა იშლება, მოზრდილები და ბავშვები ექცევიან გარე სამყაროს გავლენის ქვეშ, რომელიც მათ უწყესო გართობებს სთავაზობს“.

ამ ხაწყვეტიდან ხათლად ჩანს, რომ თანამედროვე დემოკრატიული ალჟირის საზოგადოებაც კი წინააღმდეგია ქალის მონაწილეობისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ მეზობელ მაროკოში ჩადრი ხანგრძლივი ტრადიციის შედეგი უფროა და დღეს მაროკოელი ქალებისათვის თავისებურ შოდასაც კი წარმოადგენს, ალჟირში იგი პატრიოტიზმის თავისებური გამოვლინებაცაა. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ აფრიკის არც ერთი ქვეყანა არ ყოფილა ისე დიდხანს საფრანგეთის კოლონიალიზმის ბორკილებში, როგორც ალჟირი; ეროვნული სახის შესანარჩუნებლად და „დეპერსონალიზაციის“ წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო



სო საშუალება იყო ძველი მუსლიმანური წეს-ჩვეულებების დაცვა ისიც უხდა ითქვას, რომ წინათ, რევოლუციამდე, ალყირში უფრო ნაკლები რაოდენობა იყო ჩადრიანი ქალებისა. მაგრამ 1958 წლიდან, როდესაც ფრანგმა ულტრაკოლონიალისტებმა შექმნა ალყირელი (საპარისი მომთაბარე ბედუინებიც კი) ფრანგებანდ გამოაცხადეს და ამასთან ალყირელი ქალის სრული ემანსიპაციის ლოზუნგიც ისროლეს, ის ალყირელი ქალებიც კი, რომლებიც მანამდე დაუფარავი სახით დადიოდნენ, პროტესტის ხიშნად ჩადრებში ჩაიმაღლნენ.

ყურანში წერია, რომ გოგოს დაბადებას ისლამი უყურებს როგორც დიდ უბედურებას ოჯახში. არაბული ანდაზებიც ამაზე მეტყველებენ: „ვაჟი — სიმდიდრეა, გოგო — ზედმეტი ბარგი“, „გოგო — მძიმე ტვირთია“, „შენს გაჩენას (იგულისხმება გოგო — თ.კ.) სჯობდა ქვა გამეჩინა, იმისათვის მაინც გამოდგებოდა, რომ თავის ადგილს დაიკავებდა კედლის მშენებლობისას“. როდესაც ქალი ფეხმძიმედაა, მუსლიმანური ოჯახი აწყობს შელოცვებს, ან თუ პირშმო გოგოა, ეშინიათ მეორეც გოგო არ იყოს და ახალშობილ გოგონებს არქმევენ ასეთ სახელებს: ყიზ-ტამანი (საკმარისია გოგოები), ბასხანუმი (მეტი გოგო საჭირო არ არის), ულლან-ჩერეკი (ბიჭია საჭირო), საციტა (საკმარისია) და სხვა.

როდესაც ქალს ზედიზედ უჩნდება გოგოები, მუსლიმანური ეთიკა უფლებას აძლევს კაცს გაეყაროს ასეთ ცოლს. ბიჭის გაჩენა კი ნამდვილი დღესასწაულია ოჯახში. უკრავენ მუსიკას, ცეკვავენ, პატივებენ სტუმრებს, ღრეობენ. ბიჭებს არქმევენ ისლამის ფუძემდებლებისა და სხვა სახელგანთქმული პირების სახელებს: მოჰამედი, ომარი, ოსმანი, ალი და სხვა. მათ ასწავლიან ცხენზე ჯირითს, იარაღის ზმარებას, აძლევენ განათლებას. ყურანში წერია, თუ შვილი გოგო იქნება, არ ასწავლო წერა-კითხვა, როდესაც წამოიზრდება, ეცადე სწრაფად გაათხოვო, რადგან უკეთესია ქალიშვილი არა გყავდეს, მაგრამ თუ არის, სჯობს იყოს გათხოვილი ან საფლავში. ეს იმიტია გამოწვეული, რომ კაცები საჭირონი იყვნენ როგორც მეომრები მეზობელ ტომებთან საბრძოლველად. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ ბევრ უძველეს ხალხს, მათ შორის არაბებსაც ჰქონდათ საშინელი, ბარბაროსული ადათი — ახალშობილ გოგონებს ცოცხლად მარხავდნენ. ისლამი კრძალავდა ქალების ყოფნას შეჩვეულ კაცებთან ერთად, რადგან ისინი აბილწავდნენ წმინდა ადგილს“.

ალყირის საზოგადოებაში ქალის როლი განისაზღვრება გვიანდელი ბაგრძელებით. ქორწინებისას ქალი ვალდებულია იღებს გააჩინოს შვილები, კაცმა კი უნდა არჩინოს ცოლ-შვილი.



ქორწინება ორნაირია, მუდმივი და დროებითი. მუდმივი ქორწინების ძირითადი ელემენტებია: მისი გაფორმება ორი მოწმის თანდასწრებით (მოწმე უნდა იყოს სრულ ჰკუაზე, სრულწლოვანი და მუსლიმანი), ქორწინებაში შემავალ პირთა თანხმობა და სასიძოს მიერ განსაზღვრული გამოსასყიდის (მახას) გადახდა. ისლამი სასტიკად კრძალავს ქორწინებას სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელთა შორის. განსაკუთრებით თუ მუსლიმანი გადადის მეუღლის რელიგიაზე. ასეთ მამაკაცს ელის სიკვდილით დასჯა, ხოლო ქალს — ციხე.

მახას გადახდა ყველას არ შეეძლო. მის შესაგროვებლად ღარიბები წლობით მუშაობდნენ, ზოგჯერ ცოლის მშობლების მიწაზე, რათა შრომით აენაზღაურებინათ ეს გადასახადი. შარიათი საქორწინო ასაკად ბიჭებისათვის თვლის 15 წელს, გოგონებისათვის — 9 წელს. ერთ მამაკაცს შეუძლია ჰყავდეს ოთხი ცოლი. ქალს არ შეიძლება ერთ ქმარზე მეტი ჰყავდეს. რაც უფრო მეტი ცოლი ჰყავდა კაცს, ის მით უფრო შეძლებულად ითვლებოდა. 1963 წელს საუღის არაბეთის მეფის შვილი ისვენებდა ნიცაში, სადაც წაყვანილი ჰყავდა 30 ცოლი, მხევალი და საჭურისების ამალა; მათი შენახვა დღეში 10 ათასი დოლარი უჯდებოდა.

დროებითი ქორწინება, ანუ სიიგა (რაც ნიშნავს ქორწინება ნეტარებაა) გაჩნდა საქარავნო ვაჭრობის განვითარების პერიოდში და მის ხანგრძლივობას განსაზღვრული დრო აქვს. ამ დროის გასვლის შემდეგ ქორწინება წყდება გაყრის ფორმალობათა დაცვის გარეშე. ამ ქორწინებას ისლამი აღიარებს. გაყრა შეიძლება მამინაც, როცა ქალი უშვილოა, რადგან ეს მოწმობს ალაჰის ცუდ დამოკიდებულებას მისდამი.

ალყირის საზოგადოება განსაკუთრებით უფრთხილდება ქალწულის უმანკოებას. გათხოვებამდე მას თვალს არ აცილებენ მშობლები. ამაში ალყირელები ხედავენ თავიანთი ცივილიზაციის უდიდეს მიღწევას და საზოგადოების თითოეული წევრი ვალდებულია განუხრებლად დაიცვას ეს კანონები.

მაგრამ ძალიან ძნელია თანამედროვე განვითარების პირობებში ასეთი მრავალსაუფროვანი ტრადიციების დაცვა: ქალს არა აქვს უფლება ესაუბროს უცნობ მამაკაცს; იგი უნდა გაურბოდეს უცხო მამაკაცთა ორაზროვან მზერას. მაგრამ კაციც შეზღუდულია: ისლამის მორალი ქადაგებს, რომ მუსლიმანი მამაკაცი ქალთან უნდა გრძნობდეს უხერხულობას და უნდა იყოს თავშეკავებული (თუ ქალი არ არის მისი ცოლი ან ნათესავი). თუ მას სურს ესაუბროს ქალს, რომელიც არ არის მისი დედა, ცოლი ან და, იგი უნდა იდგეს ქალისაგან მოშორ-

რებით და განზე იხედებოდეს, ილაპარაკოს სწრაფად, მხოლოდ საქმეზე. კაცს ეკრძალება მივიდეს ქასთან, თუ იქ ქალია, არ შეიძლება უსაქმოდ იდგეს სხვისი სახლის მახლობლად, არ შეიძლება საკუთარ სახლში დაპატივის უცნობი ქალი და სხვა.

ქალის ღალატი იურიდიულად უცნობი მკაცრად ისჯება, ვიდრე კაცისა. თავის დროზე ალყირში არსებობდა ე. წ. „წესების პოლიცია“, რომელიც თვალყურს ადევნებდა, როგორ იცავდნენ მუსლიმანი კაცები და ქალები მათი რელიგიის მოთხოვნებს და ყურანის წესებს.

ალყირელი ქალის გარე სამყარო შეზღუდულია საკუთარი სახლის კედლებით. იგი უმიზეზოდ არ უნდა გავიდეს ქუჩაში და თუ გავა საქმეზე, უსათუოდ უნდა გაეხვიოს შავ ან თეთრ წამოსასხამში, ჩადრში, რომლის ქვემოთაც ახლა უკვე იშვიათად როდი იმალება მოდური კაბა. მაგრამ იგი საკუთარ სახლში ბატონია. კაცს კი არ შეჰფერის უსაქმოდ გაჩერდეს სახლში. იგი მოდის მხოლოდ საქმელად და დასაძინებლად. მუსლიმანური მორალის მიხედვით, სახლი საქალე ადგილია და მამაკაცს არ შეეფერება უსაქმოდ იწრიალოს ქალებში. ამიტომაც, თუ შეიხედავთ ალყირის რესტორნებსა და კაფეებში, იქ მხოლოდ მამაკაცებს დაინახავთ. მაგრამ მას ყოველთვის ელოდებიან სახლში, როგორც მბრძანებელს და მისი ყოველი დაბრუნება დღესასწაულია. თუმცა, როდესაც კაცი შინ არის, ოჯახის დანარჩენი წევრები ჩუმად არიან.

„ალყირელ ქალს — სახლი!“ — მოითხოვს ალყირის საზოგადოებრიობა. „ქალის სამყარო მისი სახლია!“ — ამტკიცებენ მუსლიმანები.

ალყირელი ქალი ეკონომიკურად მეუღლესთან შედარებით დამოუკიდებელია. საქორწინო ხელშეკრულებით იგი ქმრისაგან იღებს მზითევს, რომელიც მის განკარგულებაშია და შეუძლია როგორც სურს, ისე მოიხმაროს. ქალისავე საკუთრებაა მშობლების მიერ გამოტანებული მზითევიც. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, მრავალ ქვეყანაში არსებობდა და არსებობს კიდევ, ზოგან გაქრა, მაგრამ ალყირში, როგორც აფრიკის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს სხვა ქვეყნებშიც. მან დამახინჯებული იერი მიიღო. ყურანში წერია: „მზითევი, რომელსაც სასიძო გადასცემს სავატარძლოს საქორწინო კავშირის დადების დროს იმისათვის, რომ მოიპოვოს მისი მეგობრული განწყობილება, წარმოადგენს კაცის პატივისცემის დასტურს ქალისადმი. ესაა მხოლოდ საჩუქარი (არაბულად სადაკა — თ. კ.), რომელსაც სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ასეთი საჩუქარი შეიძლება იყოს ფეხსაცმელი, ვერ-

ცხლის ან რკინის ბეჭედი, ან უბრალოდ დაპირება, რომ ასევე გაუქმდებიან მომავალში“.

ამეამად ბევრი რამ შეიცვალა. საქმე იქამდე მიდის, რომ ალყირელის ოჯახი ყიდის ყველაფერს, რათა ქალიშვილს მდიდრული მზითევი გაატანოს. ვაჟის მშობლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, თუ როგორი მზითევი მოყვება რძალს. ზოგჯერ ისინი თავისებურ „ეკონომიკურ შპონანსაც“ იყენებენ იმისათვის, რომ წინასწარ გაიგონ, რას ყიდულობენ სარძლოს მშობლები. ეს დაუწერელი კანონი, რომელიც თვით ყურანსაც ეწინააღმდეგება, ხშირად გამხდარა ბედნიერ შეყვარებულთა უბედურების მიზეზი.

ალყირის ახალგაზრდობა ებრძვის მამაპაპურ წეს-ჩვეულებებს. მათი ლოზუნგია: „ძირს ყველა პირობითობა, გაუმარჯოს მთლიან თავისუფლებას!“. მაგრამ მათი მშობლები მაინც ძველი გზით არჩევენ სიარულს.

თანამედროვე ცხოვრების ტემპები და მოთხოვნები ნელა, მაგრამ მაინც არყევენ მუსლიმანური საზოგადოების საუკუნოვან ტრადიციებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ქალაქებში, სადაც ქალები ტოვებენ კარჩაკეტილ ცხოვრებას და სულ უფრო მეტად იღებენ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამას ეხმარება ეკონომიკის განვითარებაც. ბევრი ქალი მუშაობს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის სფეროში, მაგრამ მომუშავე მამაკაცების რაოდენობასთან შედარებით მაინც მცირეა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ რევოლუციამდე ალყირში ქალის საზოგადოებრივი სასარგებლო შრომა საერთოდ არ არსებობდა, მაშინ ეს ყველაფერი ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

სოციალური ცვლილებები, რომლებიც მოხდა და ახლაც მიმდინარეობს ალყირში, ქალებსაც შეეხო. სულ უფრო იზრდება ქალის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ არის ისეთი ძალები, რომლებსაც სურთ შეაჩერონ ქალთა ემანსიპაცია, რაშიც მათ ალყირის პრესაც ეხმარება, რომელიც პერიოდულად აქვეყნებს წერილებს ქალების შესახებ. გაზეთმა „ელ-რუჟაჰილმა“ წამოაყენა საკითხი შემოვიღოთ პრიზი „ქერის მცველი ქალი“, რომელიც უნდა გადაცემოდეს ქვეყნის ძველი წეს-ჩვეულებების მოტრფიალე ქალებს. ამავე გაზეთმა გამოაქვეყნა ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებული წერილები. ერთი ქალი წერდა: „იმ დროს, როდესაც რევოლუციური მთავრობა კოლოსალური ძალების დაქმნით ცდილობს გაიყვანოს ქვეყანა მოწინავეთა რიგებში და მისცეს ქალებს უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, უცნაურად ხომ არ ჩანს

პრიზის დაწესება, რომელსაც „კერის დამცველი ქალის“ სახელი ჰქვია, რაც ეწინააღმდეგება ქალის უსწრაფესი ემანსიპაციისავენ მიმართულ პოლიტიკას?“

ალეირელი ქალი დაუინებით იბრძვის თავისი უფლებებისათვის. მას არ სურს იყოს მხოლოდ სახლის დარაჯი. იგი დადის მაღაზიაში, ატარებს მანქანას, ასწავლის, კურნავს, ავადებს ტრადიციულ ჩადრს და მიყვება მოდას. მაგრამ ესაა დიდ ქალაქებში. ალეირის ვილაიეთებში ყველაფერი ძველებურად გრძელდება. ყველაზე დიდი საშინელება მაინც პოლიგამიაა. ერთ სოციოლოგიურ გამოკვლევაში ასე ახასიათებდნენ ყურანის დამოკიდებულებას მრავალცოლიანობისადმი:

„ისლამი იძლევა პოლიგამიის ნებას და აქაც ჩანს ისლამის მოქნილობა და მისი სიახლოვე ბუნების კანონებთან, რაც არ შეიძლება ითქვას დასავლეთის კანონებზე, რომლებიც კრძალავენ მრავალცოლიანობას. დაუშვათ, რომ მრავალშეილიანი დედა მძიმედ გახდა ავად და აღარ შეუძლია მიხედოს ოჯახს და აღზარდოს შვილები. ქმარი არ არის იმდენად მდიდარი, რომ დაიჭირავოს მოსამსახურეები. როგორ მოვიქცეთ? ახლა დაუშვათ, ავადმყოფი თანახმაა, რომ ქმარმა მოიყვანოს მეორე ცოლი, ამ უკანასკნელმა კი იპოვა ისეთი ქალი, რომელიც ცოლად გაყვება მას ასეთ პირობებში... დასავლეთის საზოგადოება მზადაა წავიდეს ყოველნაირ ამორალურ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ არასოდეს დაუშვებს მსგავს ბუნებრიობას, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ოჯახის ბედნიერება... ძველად ცოლების რაოდენობა შეზღუდული არ იყო. ბიბლიური წინასწარმეტყველები მრავალცოლიანები იყვნენ და თვით ქრისტიანიზმშიც, სადაც ახლა შეუძლებელია მრავალცოლიანობა, ფართოდ იყო გავრცელებული პოლიგამია. გადმოცემით, თვით ქრისტეს მაგალითად მოყავდა კაცი, რომელსაც ათი ცოლი ჰყავდა“.

როგორც ვხედავთ, ამ მსჯელობაში ძირითადი აქცენტი გადატანილია იმაზე, ვითომ მრავალცოლიანობა შეესაბამება ბუნების კანონებს და მაშასადამე, იგი პროგრესული მოვლენაა. სინამდვილეში კი ასეთი შეზღუდლება მდიდართა პრივილეგიის გამართლებაა, რადგან მრავალი ცოლი და მრავალრიცხოვანი შთამომავლობა შეეძლო ერჩინა მხოლოდ მდიდარს, ლარებს კი, გამოსასყიდის უქონლობის გამო, ხშირად ერთი ცოლიც ვერ მოყავდა.

საინტერესოა გაყრის პროცედურა და ისიც, თუ რა უფლებებით სარგებლობენ ამ დროს ქალი და კაცი. გაყრის პირველი და უმთავრესი მიზეზი ქალის უშვილობაა. ისლამი აძლევს მამაკაცს ცოლთან გაყრის უფლებას (ტალაკი). კაცს შეუძლია ნებისმიერ დროს გაეყაროს

ცოლს, რაც ბევრ შემთხვევაში ტრაგედიებს იწვევდა. დამცირებულ და შეურაცხყოფილი ქალი ხშირად თავს იკლავდა. ურანში გაყრის (ტალაკის) სამი ფორმაა აღწერილი: 1. გაყრა „დაწყევლა“, 2. გაყრა „ქედი“, ანუ „ზურგი“ და 3. გაყრა „ფიცო“.

პირველი მაშინაა, როდესაც ქმარი თავს იწყევლის იმის გამო, რომ იგი უმართებულოდ სდებს ცოლს ბრალს; მეორე მიუთითებს, რომ ქმარი ცოლს თავის დედას ადარებს, რომელთანაც არ შეიძლება დაქორწინება და ამრიგად გაყრა მართებულია — „ეფიცავ, რომ შენი ზურგი ჩემთვის იგივეა, რაც დედაჩემის ზურგი“; მესამეს მაშინა აქვს ადგილი, თუ ქმარი ცოლს ეყრება წინასწარ მოუფიქრებლად, ცხელ გულზე. შემდეგ, ჰკუთხე მოსული ქმარი თუ ცდილობს ცოლთან შერიგებას, იგი დროებით ჯერ სხვაზე უნდა გათხოვდეს. მისი ქმარი ეძებს ღარიბ კაცს და ფულს აძლევს, რომ მან დროებით შეირთოს მისი ცოლი. ზოგჯერ ისიც ხდებოდა, რომ ამ ღარიბ კაცს მოეწონებოდა ეს ქალი და აღარ უბრუნებდა პირველ ქმარს...

ამჟამად ალყირში თანდათან მწიფდება ხელშემწყობი პირობები ქალის შემდგომი ემანსიპაციისათვის, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მოძველებული და სასტიკი კანონების უარყოფისათვის. ამისათვის ჯერ კიდევ ხანგრძლივი დროა საჭირო. ყოველივე ამის საწინდარია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ის ნათელი გზა, რომელიც ალყირის ხალხმა აირჩია. ამ მხრივ ფრიად სინტერესოა ალყირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ქარტიის ის ნაწილი, რომელიც ალყირელი ქალის ემანსიპაციის საკითხს ეხება.

სახელმწიფო ატარებს ისლამური ტრადიციების დაძლევის ყველა ღონისძიებას, მაგრამ ძალიან ძნელია საუკუნეთა მანძილზე აღამიანთა შეგნებაში, ძვალსა და რბილში გამჯდარი ამ ტრადიციების დაძლევა, განსაკუთრებით კი ქვეყნის პროვინციებში. ამისათვის მიმდინარეობს ყოველდღიური ბრძოლა, რომელშიც ხშირად ქალები იმარჯვებენ...

ჰრისტინი ქალის აკლამა

„უინ იყო ქვათა ამათა მკვეთი?“
გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

ადრიან დილით ალყირის დედაქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით გავემგზავრეთ. გზა ჯერ ზღვისპირს მიუყვებოდა, შემდეგ კი მდინარის ხეობაში გადავუხვიეთ. ზემოდან მაღალი, თეთრი კირქვის კლდეები

დაგვეპურებდნენ, რომლებშიც მრავლად მოჩანდა მღვიმეები. ზოგან ჩანჩქერებიც ეშვებოდნენ, მზის სხივებში აელვარებულნი.

ერთი კლდის თავზე პატარა, თეთრი შენობა გამოჩნდა. ჩვენმა მახეხებმა იქით აიღეს გეზი, გზიდან გადაუხვიეს და აღმართს შეუყვნენ. მალე ყვავილნარში ჩაფლულ საგზაო რესტორანთან შეეჩერდით, რომელსაც მოხადირეთა სახლი ერქვა. მასპინძლებმა შეგვიპატიეს. დარბაზში ყველაფერი ძველებზე, ევროპულ-არაბულ ყაიდაზე იყო მოწყობილი. კედლებზე გაკრულ ნადირთა ტყავებსა და ხალიჩებზე მაცრიტანული და იანიჩართა ხმლები და თოფ-დამბაჩები ეკიდა; კუთხეებში ხადირთა და ფრინცელთა ფიტულები იდგა; სიმბოლურად ერთოფრაბგული ბუხარი.

ვისადირეთ და გზა განვაგრძეთ. მალე მიტიჯის დაბლობზე გავედით. ალაგ-ალაგ გამოფიტული, შავი ფიქლის კლდეები იყო აღმართული. სევდისმომგვრელი და მოსაწყენი პანორამა გადაიშალა ჩვენს თვალქიხ. მოტიტელებული ყვითელი შიწა და იშვიათად ამწვანებული ბორცვები. შორს, ზღვის მხარეს ილანდებოდა შენუსა მთაგრეხილი. მანამდე კი, ერთ-ერთი ბორცვის თავზე უზარმაზარი თივის ზეინივით გამოჩნდა რალაც. ჩვენც სწორედ იქით მივემგზავრებოდით.

მახეხებმა შტერის ბული დააყენეს ბორცვზე. გადმოედით თუ არა, ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს არამქვეყნურ, გაქვავებულ საქყაროში მოვხვდი. ირგვლივ, სადამდეც კი თვალი მიუწყვდებოდა, ყველაფერი ყვითელი იყო, თითქოს ცაც გაყვითლებულიყო და ამ ყვითელ ოკეანეში მიტოვებული შავი ხომალდით იდგა ეს ბორციების თავზე აგებული უცნაური მოყვანილობის აკლდამითა თუ პირამიდით, შორიდან თივის ზეინს რომ ჩამოჰგაედა. სწორედ ამ აკლდამას იხსენიებს თავის „ალუმაში“ მოპასანი. „იმ დღეს გზა დამებნა. მე ახლახანს ავედი მწვერვალზე და წინ, ბორცვების რემის მიღმა დავინახე მიტიჯის დაბლობი, უფრო შორს კი, სხვა ქედის თხემზე, ძლივს გასარჩევ შორეთში უცნაური ძეგლი, რომელსაც „ქრისტიანი ქალის საფლავს“ უწოდებენ. ამბობენ, რომ იგი „მავრიტანიის ხალიფების საგვარეულო საქვალეა“.

ხუშიდის თუ მავრიტანიის უძველეს, უსახელო ხუროებს თითქოს ერთად შეურწყყმათ ძველეგვიპტური, ეტრუსკული და ბერძნული არქიტექტურული ტრადიციები და ხერხები. აკლდამა უფლისციხის ხისაა და დღემდე საიდუმლოებითაა მოცული. აკლდამის სიდიდე საკმაოდ მთაშებქდავია. მისი ფუძე კვადრატში ჩადგმული წრეა, რომლის გარშემოწყერილობა 185 მეტრზე მეტია, დიამეტრის სიგრძე 70, ხოლო სიმაღლე 33 მეტრია. უზარმაზარი ლოდები ქმნიან საფეხურებს, რომ-

გორც ეგვიპტის პირამიდებზე. ჩვენ 33 ასეთი საფეხური დავთვალოთ. თითო საფეხური ერთი მეტრი სიმაღლისა. ზემოთ კი, აკლდამის თავი წაყვეთილი იყო. მისი თალი სამოც გარეგან სვეტზეა დაყრდნობილი. როშელთა დიდი ნაწილი ნახევრად დანგრეულია. აკლდამას ოთხივე მხარეს ცრუკარები აქვს. წრიული აკლდამა და ქვის კვადრატული ბაქანი, რომელზეც იგი დგას, გამოხატავენ ცისა და დედამიწის უძველეს კოსმოგონიურ კონცეპციას...

— ფრთხილად უნდა ჩავიდეთ, შიგნით ლაბირინთია და დაბალი ქერი. თავებს გაუფრთხილდით, — გვითხრა გამყოლმა და ჯიბის ფარნები დაგვირიგა, რადგან ლაბირინთის ამ ნაწილში სინათლე არ ჩაერთო და წინ გაგვიძღვა.

— საშეხო საქმეა, სპელეოლოგო, გაგვიძეხი, — გამეხუმრა გიორგი ძოწეხიძე და მეც ფეხდაფეხ მივყევი გიღს. დანარჩენები უკან მოყვებოდნენ.

რამდენიმე საფეხური ჩავიარეთ და ვიწრო, დაბალქერიან გვირაბში შოვხვდით. იატაკიდან ჰერამდე სულ ერთი მეტრი და ათი სანტიმეტრი იყო და თავდახრილები მივდიოდით. მალე მივადექით პატარა თორმეტოდე კვადრატული მეტრი ფართობის მქონე კამერას. ხელმარჯვნივ გახშობება მოჩანდა, რომლის თავზეც ბარელიეფი იყო ბუ და ზეადი ლომების პერალდიკური გამოსახულებებით. ვიწრო საფეხურებით ავდივართ ზედა სართულში, სადაც უფრო ხალვათი დერფახია. იგი თითქმის წრიულია და მთელს აკლდამას უვლის შიგნიდან. მისი სიგრძე 140 მეტრია. აქ უკვე სინათლეს რთავენ და ჯიბის ფარნებს ვაქრობთ. დასავლეთის კართან 16 მეტრი სიღრმის შურფია გაჭრილი გიღის თქმით, ეს შურფი შორეულ წარსულში გაუჭრიათ განძისმაძიებლებს. გაღერება თითქმის წრეს კრავს და მკვეთრად უხვევს ნაგებობის ცენტრისკენ, სადაც ქვედა სართულში ნანახი კამერის ტყუპისცალია, იმ გასხხვაებით, რომ ეს კამერა უკვე თაღოვანია, ალბათ, მთავარი მიცვალებულის ცხედრის განსასვენებელი.

უკან იმავე გზით ვბრუნდებით და საფეხურიით ჩავდივართ ქვედა სართულში, სადაც კვლავ ჯიბის ფარნების ანთებაა საჭირო. ჩემ წიხ კვლავ გიღი მიღის. ხანგამოშვებით ფარნის შუქს ჰერისკენ მივმართავ და ვათვალიერებ საუკუნეთა მანძილზე გამოფიტულ ქვიშაქვის ლოდებს... წინმიმავალ თავდახრილ გიღს ისე მოულოდნელად ვტაცხელი მკლავში, რომ იგი შეკრთა, უკან მომავალი კი დამეჯახა. ფარნის შუქი წინ, ორიოდ მეტრში მიემართე და ყველამ დაინახა ჰერიდან ნახევრად ჩაშოშვებული შავი ასპიტი, ოღნავ რომ არხევედა წაგრძელებულ პატარა თავს. ვიგრძენი, როგორ დაეძაბა გიღს მკლავი. ფარნის

შუქზე ასპიტი დაიკლანა და გაქრა. ჩვენ უფრო მეტი სიფრთხილით განვაგრძეთ გზა და როგორც იქნა, მზის სინათლეზე გამოვედით...

ეს აკლდამა ჩრდილოეთ აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უძველესი ნაგებობაა. დღემდე არაეინ იცის, როდის და ვისთვის ააგეს იგი. დიდი ხნის განმავლობაში ამ აკლდამას ნუმიდის მეფის იუბა ძეგორისა და დედოფალ კლეოპატრა-სელენას მავზოლეუმად მიაჩნევდნენ. ერთადერთი დოკუმენტი, რომელშიც ნახსენებია ძველი ქალაქის, იქოზიუმის (ალეირის) მახლობლად მდებარე მეფის ოჯახის მავზოლეუმი, არის I საუკუნის დაახლოებით 40 წელს პომპონიუს მელას მიერ დაწერილი წიგნი „დე სიტუ ორბის“.

შუა საუკუნეებში ამ აკლდამას არაბები კბურ არ-რუმისა უწოდებდნენ. რუმია არაბულად რომაულს ნიშნავს (რუმ). შემდეგ იგი არასწორად თარგმნეს ესპანურად — „ფუესა დე ლა ქრისტიანა“, მერე კი ფრანგულად — „ტომბო დე ლა კრეტენ“ — ქრისტიანი ქალის საფლავი. ამის მიზეზი ჯვრისმაგვარი რელიეფური გამოსახულებანი იყო აკლდამის ცრუ კარზე. ჯვრის გამოსახულება კი, როგორც ცნობილია, ქრისტიანობამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრეც გვხვდება ამა თუ იმ ხალხის უძველეს არქიტექტურასა თუ ნაქეთობებში, როგორც დეკორატიული დეტალი.

აკლდამის საიდუმლოებამ და სახელწოდებამ მრავალი ლეგენდაც დაბადა. ბევრი მათგანი აღწერდა აკლდამაში გადამალულ ჯადოსნურ განსს. ბევრი განძის მაძიებელი ცდილობდა შეეღწია აკლდამაში, მაგრამ ამოად. ალეირის თურქ მმართველს სალაჰ რაის-ფაშას 1555 წელს ზარბაზნებიდან სროლა უბრძანებია, მაგრამ აკლდამისთვის ვერაფერი დაუკლიათ... განძის მაძიებელთა ინტერესს ის უფრო აღვივებდა, რომ აკლდამას ოთხი ცრუ კარები ჰქონდა და ნამდვილისათვის ვერ მიეგნოთ. როდესაც 1865 წელს ალეირის ისტორიული ძეგლების მთავარი ინსპექტორის, ა. ბერბრიუგერის ექსპედიციამ შეაღწია აკლდამაში, იგი დიდი ხნის გაძარცვული დაზვდათ, რაზეც მეტყველებდნენ ღრმა შურფები, დანგრეული შიდა კარები და მიმოზნეული უძველესი მონეტები.

საინტერესო იყო ერთ-ერთი ლეგენდა, რომელსაც ავტორი ჰყავდა. ეს იყო კარლოს მეხუთის არმიის ოფიცერი ლუის მარმოლ დე კარვახალი. იგი ტუნისში მოხვდა ტყვედ. მან 1573—1579 წლებში ორჯერ გამოაჭყვევნა ესპანეთში წიგნი „აფრიკის ზოგადი აღწერა“. აკლდამის აღწერის დროს შუა საუკუნეების ესპანეთის პოპულარული ლეგენდა გამოიყენა, გრაფ ხულიანის ქალწულ ფლორინდას, ანუ კავას შესახებ, რომელსაც ნამუსი ახადა ვესტგოთების მეფემ როდრი-



გომ. შურისძიების სურვილით შეპყრობილმა მამამ, რომელიც სულტის კომენდანტი იყო, მავრებს მოუწოდა პირენის ნახევარკუნძულზე გადასულიყვნენ, რასაც გაუთავებელი ომები მოჰყვა. მარმლის წიგნის მიხედვით სწორედ ამ აკლდამაში დაკრძალეს მშვენიერი კავა, რომელმაც ველარ გაუძლო შერცხვენას და თავი მოიკლა...

კარგა ხნის მანძილზე აკლდამა დავიწყებას მისცეს. დრო ნელა ანგრევდა მას. მხოლოდ 1928 წელს ალყირის ისტორიული ძეგლების მთავარმა არქიტექტორმა მ. ჭრისტოფლმა ენერგიულად მოკიდა ხელი ამ უძველესი, რომაული ეპოქამდელი ძეგლის საფუძვლიან შესწავლასა და აღდგენას. დღევანდელი ალყირელები სამართლიანად ამაყობენ მათ ტერიტორიაზე არსებული ძეგლით, რომელსაც ისინი „მავრიტანელ ხალიფთა აკლდამის“ უწოდებენ...

ჩვენ კი უცნაური, რაღაც ზებუნებრიობის, ამავე დროს მარადიულობის არსებობის გრძნობით ვბრუნდებოდით ალყირში, ისეთი გრძნობით, კაცობრიობის უძველესი გრანდიოზული ქმნილებების ხილვისას რომ იბადება. რამდენი ცივილიზაცია და ხალხი გაქრა, აღიგავა მიწისაგან პირისა, მაგრამ არა უკვალოდ. დარჩნენ პირამიდები და ტაძრები, აკლდამები, თვით პირველყოფილი ადამიანის ნახატებიც კი, თუნდაც აქვე, ალყირში, ტასილინ-ანჯერის კლდეებზე, ევროპის მღვიმეებში, საქართველოს მღვიმეებსა და კლდეებზე... ვიდრე მანქანებში ჩავსხდებოდით, აკლდამის მახლობლად დანგრეული კლდის ძირიდან რომბისებური ფილიტის მოზრდილი ნატეხი ავიღე, ჩანთაში ჩავდე და სახსოვრად წამოვიღე...

მამლისა და მარიამის ქვეყანაში

„გგონია, რომ თვით ჯანგებამ აღმართა მთები, მოახლოვა ზღვები, თითოეულ მდინარეს კალაპოტი მიუთითა, რათა ამ ქვეყნისაგან შეიქმნა ყველაზე მეტად აყვავებული ადგილი დედამიწაზე“

ს ტ რ ა ბ ო ნ ი

ოდესღაც, შორეულ წარსულში დღევანდელი საფრანგეთის, ბელგიისა და ჩრდილოეთ იტალიის მიწებზე ცხოვრობდნენ კელტები. ძველმა რომაელებმა მათ „გალეები“ ანუ „მამლები“ შეარქვეს. კელტები წითურები იყვნენ და მათი თმები რომაელებს მამლის წითელ ქოჩორს მოაგონებდათ. ასე გადმოგვცემს ლეგენდა. დღეს კი

ეს სახელი მხოლოდ საფრანგეთის ყველაზე პოპულარულ სიგარეტს „გოლდუზს“ ჰქვია. ზამლის გამოსახულებას კი ხშირად შეხვდებით სამკერდე ნიშნებზე, საფოსტო მარკებზე, მონეტებზე, ღია ბარათებზე, პლაკატებსა და სახლების ედლებზე, სპორტსმენთა მაისურებზე და სხვ. გალების მამალი საფრანგეთის ეროვნულ ემბლემად იქცა.

როდესაც გალეთი რომაელებს დაუპყრიათ, აქ მათ თავისი გუბერნატორი დაუნიშნავთ, მაგრამ კელტების ტომებისთვის დაუტოვებით ადგილობრივი ბელადები. ამ უკანასკნელთა მოვალეობაში შედიოდა გადასახადების აკრეფა, რომელთა ლაშქარში მეომრების მონაწილეობის უზრუნველყოფა. თვით ტომებს შორის სასტიკად ყოფილა აკრძალული ბრძოლები. კელტები, ანუ გალები, დიდი ხნის მანძილზე მშვიდად ცხოვრობდნენ. მისდევდნენ მიწათმოქმედებას, აშენებდნენ ვენახს, ხეხილის ბაღებს, მოყავდათ პური და ბოსტნეული.

საფრანგეთში მოგზაურობისას გზამკვლევეებში ჩაწერილი იყო ამ ქვეყნის დღევანდელი ქალაქების უძველესი, რომელი სახელწოდებანიც, რადგან მათ უმრავლესობას სწორედ რომის ბატონობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. აი, ზოგიერთი მათგანი თანამედროვე და რომაული ეპოქის სახელწოდებებით: ლიონი (ლუგდუნუმი), ბორდო (ბურდიგალა), ორლეანი (პენუმში), სტრასბურგი (არგენტორანტი). ტური (ცეზაროდუნუმი), ვიენ (ვიენა), მეცი (დივოდურუმი), ნიმი (ნუმაუსუსი), კლერმონი (ავგუსტონემენტუმი), ტრუა (ავგუსტობონა) და სხვა.

486 წელს ჩრდილოეთიდან შემოსეულ ფრანკებს განუდევრიათ რომაელები და დაუპყრიათ გალების ქვეყნის მეტა ნაწილი. შემდგომ საუკუნეებში თანდათან იქმნებოდა პროვინციები. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ქვეყანა 90 დეპარტამენტად დაიყო. თითოეულ პროვინციაში შეიქმნა 3—4 დეპარტამენტი. მაგრამ ადგილობრივი მკვიდრნი ვერ ელევინ პროვინციათა ისტორიულ სახელწოდებებს, მუზეუმებში სათუთად ინახავენ უძველეს ნივთებს, თაობიდან თაობას გადასცემენ ძველ ადამ-წესებს, სიმღერებს, ზღაპრებს, ანდაზებს.

გალების მამლის გამოსახულება პირველად ოცფრანკიან მონეტაზე გამოჩენილა საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში. ხალხი აღფრთოვანებით შეხვედრია მას, მაგრამ არისტოკრატის არ მოწონებია. მერე ნაპოლეონ ბონაპარტეს აუკრძალავს მამლის გამოსახულების ბეჭდვა ან სადმე გამოხატვა. 1830 წელს მამალი კვლავ აღუდგენიათ თავის უფლებებში, მაგრამ 1852 წელს ნაპოლეონ მესამეს ისევ აუკრძალა (ბედი არ სწყალობდა მამალს იმპერატორ ნაპოლეონებ-

ში). მხოლოდ 1871 წლიდან დაუმკვიდრებია მას თავისი ადგილი ფრანგულ მონეტებზე.

გალების მამალი საფრანგეთის სიმბოლოდ იქცა, მაგრამ სხვა სიმბოლოც აქვს ამ ქვეყანას. თუ ხელში ჩაგვარდებით ფრანგული მონეტა, ზედ დაინახავთ ქალის გამოსახულებას. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ერთ ფრანგულ გაზეთს გამოუქვეყნებია ცნობა მათხოვარი ქალის, ვინმე მარიამის გარდაცვალების შესახებ. ბუნებრივია, რომ გაზეთის მკითხველთ გააოცებდათ ეს ცნობა — მათხოვრებზე სამგლოვიარო განცხადებებს არ აქვეყნებენ. უკვირდათ ფრანგებს და მერე მიხვდნენ, რომ ამ მათხოვარი ქალის პორტრეტს ყოველი მათგანი ჯიბით დაატარებდა. ვინ იყო მარიამი?

ცნობილი ფრანგი მხატვარი როტი, კანტალიას და ოვერნის მდელოებზე სეირნობდა თურმე და დროდადრო პეიზაჟებს ხატავდა. ერთ დღეს შეხვედრია ახალგაზრდა მწყემს ქალს, რომელსაც მარიამი ერქვა. როტის მოწონებია ქალიშვილის მოყვანილი, ასხლეტილი სხეული და მისი დახატვა გადაუწყვეტია. დაუთანხმებია კიდეც მწყემსი ქალი. ნახატის დამთავრების შემდეგ მხატვარს მისთვის ოცფრანკიანი ოქროს მონეტა უჩუქებია. ქალიშვილს მანამდე არასოდეს ჰქონია ამდენი ფული: რამდენიმე ხნის შემდეგ იგი პარიზში ჩამოსულა და მისთვის უჩვენებიათ როტის ნახატი „მთესველი ქალი“. მარიამს ეძნელებოდა იმის დაჯერება, რომ ტილოზე გამოსახული მსუბუქ ქსოვილში გამოწყობილი მთესველი ქალი თვითონ იყო. 1886 წელს ეს ნახატი დაუბეჭდიათ მონეტაზე, მარკებზე და თითქმის საფრანგეთის სიმბოლოდ ქცეულა.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მარიამი გასაჰირში ჩავარდნილა და მათხოვრობით ირჩენდა თავს. თუ ვინმე გაიმეტებდა და მოწყალებას გაიღებდა, მარიამი სევდიანად დასცქეროდა ფულს, რომელზეც საკუთარი გამოსახულება იყო აღბეჭდილი. ასე ყოფილა, იგი უამრავ ფულზე იყო დახატული, თვითონ კი უფულობასა და მათხოვრობაში აღმონდა სული...

საოცარი კონტრასტების ქვეყანაა საფრანგეთი თავისი მრავალფეროვანი ბუნებით, მდიდარი ისტორიით, ძალზე თავისებური და ნიჭიერი ხალხით. ამ ქვეყნის გული მაინც ილ-დე-ფრანსია, რაც სიტყვასიტყვით „კუნძულ საფრანგეთს“ ნიშნავს. ეს მართლაც კუნძულია ხმელეთზე. ამ პროვინციის ტერიტორიას ხუთი მდინარე აკრავს ორგვლივ: სენა, მარნა, უაზა, ენი და ურკი. ილ-დე-ფრანსი საფრანგეთის უძველესი პროვინციაა და იქნებ იმიტომაც უწოდეს მას კუნძული რომ ოდითგანვე მის ირგვლივ დაჯგუფდა სხვა პროვინციები, მთელ

საფრანგეთი. სწორედ ამ პროვინციის დედაქალაქია პარიზი. თვით ილ-დე-ფრანსი კი წინათ კაპეტინგების დინასტიის სამემკვიდრეო ოლქი ყოფილა.

ბუნების, ჰაეის, გეოგრაფიული მდებარეობის გამო არც ერთი ისტორიული პროვინცია არა ჰგავს მეორეს. ხალხიც იმდენად განსხვავებულია, რომ ცენტრალური დეპარტამენტების მოსახლეობას არ ესმის განაპირა რაიონების ბრეტანის, ელზასის თუ პროვანსის მკვიდრთა ენა, დიალექტები. ევროპის ეს ერთ-ერთი მოწინავე კულტურისა და ლამაზი ბუნების მქონე ქვეყანა ყოველწლიურად უამრავ უცხოელ ტურისტს იზიდავს. მათი რაოდენობა სწრაფად იზრდება და უკვე წელიწადში 20 მილიონს აღწევს, ე. ი. ერთი მოზრდილი სახელმწიფოს მოსახლეობის ტოლია. ტურისტთა ლაშქარი გამუდმებით, განსაკუთრებით კი ზაფხულსა და შემოდგომაზე, დაჰქრის საფრანგეთის მშვენიერ გზებზე, ათვალეერებს მუზეუმებს, თამაშობს კაზინოებში, მზეს ეფიცება ხმელთაშუა ზღვის კომფორტულ სანაპიროზე და სხვა მრავალი.

მაგრამ ტურისტი ვერ ხედავს მეორე მხარეს, დაძაბულ პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელიც ამ ქვეყნის ბუნებასავით მრავალფეროვანი და მრავალმხრივია; აქაა გამუდმებული ბრძოლა სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის, კაპიტალისტებსა და მშრომელებს შორის, რასაც ამჟღავნებს პერიოდული ეკონომიკური ძვრები. უკანასკნელი 15—20 წლის მანძილზე საფრანგეთის ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა ისეთი, რამაც თავისი წარუშლელი კვალი დატოვა ამ ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ პალიტრაზე. ეს იყო თუნდაც 1968 წლის გაფიცვები და გამოსვლები (რამაც ისეთი არნახული მასშტაბები მიიღო, რომ დეგოლი იძულებული გახდა დაეტოვებინა პრეზიდენტის პოსტი), ან კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე დიდი ეკონომიკური კრიზისი, რომელიც თავს დაატყდა საფრანგეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის მრეწველობაში 700 ათასამდე საწარმოა, მათი 87 პროცენტი წვრილია და თითოეულში 10 კაცზე მეტი არ მუშაობს. საფრანგეთის დღევანდელ ეკონომიკურ ცხოვრებაში ძირითადი ბერკეტები სამრეწველო გიგანტების, 100 მსხვილი ფირმის ხელშია და მათზე მოდის მთელი სამრეწველო წარმოების ორი მესამედი. მსხვილი მონოპოლიები ნთქავენ საშუალო და წვრილ საწარმოებს. 30 უძველესი მონოპოლიისა და ფინანსური ჯგუფის გამგებლობაშია ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის უდიდესი ნაწილი. ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობა ორი მონოპოლიის ხელშია, ესაა „ტომსონ-ბრანდტი“ და „კომპანი ქენერალ დ. ელ-



ექტრისიტე“; „ტომსონ-ბრანდტს“ რენტგენის აპარატებისა და სხვა-სხვა სამედიცინო მოწყობილობის წარმოებით მესამე ადგილი უკავია. ფლიოში, ხოლო საფრანგეთში — პირველი: მის საწარმოებში ამზადებენ დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრებს, ლაზერებს, ელექტრონულ მოწყობილობას ავიაციისა და ატომური წყალქვეშა ნაგებობების. მეორე მონობოლია მსოფლიოს უმსხვილესი მანქანათმშენებელ კომპანიათა ოცეულში შედის; ძლიერი მონობოლისტური ჯგუფია შნაიდერ-ამპენების ჯგუფი. მისი ბირთვია შნაიდერების, თუჩისა და ფოლადის მეფეთა ოჯახი. გარდა მსხვილი მანქანათმშენებლობისა, რეაქტორებისა და ატომური მრეწველობის სხვა მოწყობილობისა, ამ მონობოლიას აქვს სამშენებლო საწარმოები, სამი მსხვილი ბანკი, სამხედრო ქარხნები და სხვა მრავალი რამ, ასე გასინჯეთ, შამპანურის („შამპენ მერსი“) და პარფიუმერიის („ლიორი“) განთქმული საწარმოებიც.

ცნობილი საავტომობილო ფირმები „პიეჟო“ და „სიტროენი“ რამდენიმე წლის წინ გაერთიანდნენ, თუმცა ჯერჯერობით ტრადიციულ სახელწოდებებს ინარჩუნებენ. „პიეჟოს“ საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში 16 ქარხანა აქვს, „სიტროენს“ — 14.

ახლა იმათ გადავხედოთ, ვინც ამ საინტერესო ქვეყნის დოვლათს ქმნის საკუთარი შრომით. ფრანგებმა იციან შრომა, მაგრამ ამ შრომას დაფასებაც უნდა. საფრანგეთის მუშათა კლასი გამოცდილი, მაღალი კვალიფიკაციის მქონეა; მას დიდი რევოლუციური ტრადიციები გააჩნია და არც თუ ისე ადვილია მისი ხელაღებით დაჩაგვრა და ექსპლოატაცია. ამ ქვეყნის მშრომელები ეწევიან ხანგრძლივ და მტკიცე ბრძოლას კუთვნილი უფლებების მოსაპოვებლად. მუშათა კლასის ყველაზე დიდ გამოსვლას უკანასკნელ პერიოდში ადგილი ჰქონდა 1968 წლის მაის-ივნისში. მაგრამ, მიუხედავად ზოგიერთი გამარჯვებისა, დემოკრატიული პროფკავშირების მონაცემებით, 1974—1977 წლებში უმუშევართა რიცხვი საფრანგეთში სამჯერ გაიზარდა და 1,5 მილიონს მიაღწია. 1975 წელს, თავისი პრეზიდენტობის მეორე წელს ჟისკარ დ'ესტენი აცხადებდა: „არსებობს უმუშევრობის კრიტიკულ ზღურბლი და ჩვენ მივალწიეთ მას“.

საფრანგეთის კომპარტიის მონაცემებით, 17 მილიონი ფრანგის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე გაცილებით დაბალია. სოციალურ უთანასწორობას ადგილი აქვს კულტურასა და განათლებაშიც. მართალია, უკანასკნელი 15—20 წლის მანძილზე სტუდენტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 600 ათასს მიაღწია, მაგრამ ამ რიცხვში მხოლოდ 10 პროცენტია მუშის შვილი, ხოლო სტუდენტთა ნახევარი



ოჯახის ხელმოკლეობის გამო შრომაში ებმება. ყოველი მეორე ფრანგი სიძვირის გამო ვერ ყიდულობს წიგნს, არ დადის თეატრში და კონცერტებზე.

ასეთია მოკლე მიმოხილვით იმ ქვეყნის ზოგადი დღევანდელი სურათი, რომელშიც მოგზაურობა მოგვიწევს, ქვეყნისა, რომელმაც კაცობრიობის მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას ბუმბერაზთა ბუმბერაზები მისცა, ქვეყნისა, რომლის შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხი მიესალმება და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მშვიდობიან ურთიერთობას და თანამშრომლობას.

პარიზი... პარიზი...

„Fluctuat nec marginatur“*

„თუ გულს გამიყვეთ, — გულში წხოლდ პარიზს იპოვით“.

ლუი არაგონი

აღბათ, უცხო ქვეყნების არც ერთი ქალაქი არ არის ჩვენთვის ისეთი ახლობელი, როგორც პარიზი. ვის არ გვიოცნებია გაგვესიერნა პარიზის ქუჩებსა და პარკებში, დაგვეთვალეიერებინა მისი სასახლეები და გარეუბნები; სადაც დარტანიანისა და მისი მეგობრების გვერდით „ვიბრძოდით“ მუშკეტებითა და დაშნებით სიმართლის, ვაჟკაცობისა და სიყვარულისათვის. ხომ ყველას გესურდა დარტანიანი ვყოფილიყავით? მერე კი სულს გვიფორიაქებდნენ ვოლტერი და რუსო, პიუგო და ჟორჟ სანდი, სტენდალი და მერიმე, ბალზაკი და ფლობერი, ბოდლერი და ზოლ*, მოპასანი და ფრანსი, როლანი და ეგზიუპერი... თვითონაც აქ იყვნენ და მათი გმირებიც აქაური ჰაერით სუნთქავდნენ, რომელთა დაცემით და აღზევებით არის გაქლენილი ირგვლივ ყველაფერი...

პარიზი ბევრისმნახველ პემინგუეისაც უყვარდა ძლიერ. თვითვე არ აღიარებდა ამას? — „ჩვენს ქვემოთ გადაიშალა რუხი და როგორც ყოველთვის მშვენიერი ქალაქი, რომელიც ქვეყანაზე ყველა ქალაქზე მეტად მიყვარს“, — წერდა იგი.

დღევანდელი პარიზის სიმბოლოდ ექვსიათასტონიანი ეიფელის

* „ირყვია, მაგრამ არ იძირება“ — ლათინური წარწერა პარიზის გერბზე.

კოშკია აღიარებული, მაგრამ იგი ხომ სულ ცხრა ათეული წელია დგას პარიზი კი არსებობის ოც საუკუნეზე მეტს ითვლის.

რომაელებს მდინარე სენის კუნძულისათვის, დღეს რომ სიტეს უწოდებენ ლუტეცია დაურქმევიათ. ამ კუნძულზე დაუზამთრებია ორი ათას წელზე მეტი ხნის წინ იულიუს კეისარს და დაუარსებია რომაული კოლონიის დედაქალაქი. კუნძულის წინა ნაწილში სენის დინების ძიძართულებით აუშენებიათ რომის იმპერატორის ნაცვალის სასახლე, შუაგულში კი იუპიტერის ტაძარი აღუმართავთ. სენის მარცხენა, მიმდებარე სანაპიროზე აუგიათ ფორუმში ღმერთთა ტაძრებით, თეატრი, გლადიატორების საბრძოლო არენა, თბილი აბანოები. აქვე ყოფილა მდიდარი რომაელების სახლები, არისტოკრატებისა და ლეგიონერების სასაფლაო. დღეს პარიზის ამ ნაწილს ლათინური კვარტალი ეწოდება. იმ გარდასული ეპოქიდან კი დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ გლადიატორთა არენის ნაწილი, აბანოების ნანგრევები მონჟისა და არენის ქუჩებს შორის და აქვედუკის ნაშთები ლათინური კვარტალის სამხრეთ პერიფერიაზე.

საუკუნეთა მანძილზე სენის მარცხენა ნაპირი კუნძულ სიტე-ლუტეციას ხის ორი ხილით უერთდებოდა. ხიდი ყოფილა კუნძულსა და მარჯვენა ნაპირს შორისაც, სადაც რომაელთა ბატონობის პერიოდში უცხოვრიათ მონებს, მათ შორის ლუტეციიდან განდევნილ პარიზიების ტომსაც. სწორედ ამ ტომის სახელიდან წარმომდგარა საფრანგეთის დედაქალაქის სახელწოდება — პარიზი, ფრანგულად პარი.

მესამე საუკუნის მიწურულში რომაელები ბარბაროსებს (წითელწვეროსნებს) განუდევნიათ, გაუნადგურებიათ მათი ტაძრები და სასახლეები. შემდეგ კი, თითქმის ათი საუკუნის განმავლობაში ლუტეცია ტყეებს მოუცავს.

XII საუკუნის ბოლოს, ფილიპე II ავეუსტის მეფობის დროს, პარიზს სწრაფად დაუწყია ზრდა და შუა საუკუნეებში უკვე საკმაოდ დიდიც ყოფილა მოსახლეობით. ამ პერიოდიდანვე ითვლება იგი სახელმწიფოს დედაქალაქად.

საუკუნე საუკუნეს მისდევდა და პარიზიც იზრდებოდა. თუმცა იგი სენის ორივე ნაპირზე გადავიდა და გაფართოვდა, მაგრამ უძველესი სიტე კვლავ ქალაქის ცენტრად რჩებოდა...

და, აჰა, სიზმარივით ამიხდა ოცნება და პარიზში ვსეირნობ ჩემს მეგობრებთან ერთად.

ვათვალიერებთ სიტეს, ამ ისტორიულ კუნძულს, რომელიც გემივით გაწოლილა სენაზე. მას კულში მიყვება მეორე, მომცრო კუნძული სან-ლუი; სიტეს ცენტრში, პარვის პატარა მოედანზე ბრინჯაოს ფილაა,

რომელსაც ფრანგები „დედამიწის წერტილს“ უწოდებენ. სწორედ ამ მოედანზე დგას პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი — ნორტ დამ დე პარი, XII — XIII საუკუნეებში აგებული საოცრება. იგი ვეებერთელა ციხესიმაგრეს უფრო ჩამოჰგავს გარედან, ვიდრე ტაძარს. მის თაღებ-ქვეშ ცხრა ათასამდე კაცი ეტევა. მეორე სართულზე, რომელსაც „მეფეთა გალერეა“ ჰქვია, 3—4 მეტრი სიმაღლის ქანდაკებებია ჩამწკრივებული. მესამე სართული წარმოადგენს უზარმაზარ, ე. წ. „ცენტრალურ ვარდს“ — ფერადი მინის ვიტრაჟს, რომლის მიმდებარე ნიშებში ადამისა და ევას ქანდაკებები დგას. უფრო ზემოთ კი დიდი გალერეაა და აღმართულია ხუთსართულიანი სახლის სიმაღლის ოთხწახნა-გა კოშკები, ერთი ჩრდილოეთისა, მეორე — სამხრეთისა; სწორედ მათ ძირში დგანან ნოტრდამის ფართოდ ცნობილი ქიმერები. ისინი პერცოვ ვიოლეტს დაუკვეთია მოქანდაკისათვის და თემაც თვითვე განუსაზღვრავს — ქიმერებს უნდა განესახიერებინათ ურწმუნოთა სულები. და დგანან ადამიანის სიმაღლის ქიმერები, რომლებშიც ერთადაა შერწყმული ადამიანი, ნადირი, ფრინველი. ისინი საუკუნეთა მანძილზე გაქვავებული თვალებით გასცქერიან ქვეყნის ოთხივე მხარეს...

ტაძრის დიდ გალერეაში ლიფტით შეიძლება ასვლა, მაგრამ ჩვენ კბილთ ავდივართ, რომელიც 397 საფეხურს ითვლის. ზემოდან მოჩანს მართლმსაჯულების სასახლე და სენ-შაპელის ეკლესიის მაღალი სამრეკლო. იქვე, სიტეზე ყოფილი კონსერჟერის სასახლის პირქუში შენობაა აღმართული, შემდგომში პოლიტიკურ პატიმართა ციხე. კონვენტის გადაწყვეტილებით, სწორედ აქ ყოფილან პატიმრებად ლუი XVI, დედოფალი მარია ანტუანეტა, მარატის მკვლეელი შარლოტა კორდე, რობესპიერი და იაკობინელთა სხვა ბელადები. აქედან გაჰყავდათ ისინი თანხმობის მოედანზე მდგარი გილიოტინისკენ...

ნოტრდამში აკურთხეს იმპერატორად ნაპოლეონ ბონაპარტე. ხელმარჯვნივ მოჩანს არკოლის ხიდი. გონებაში ტივტივებდა გროს ცნობილი ნახატი „ნაპოლეონი არკოლის ხიდზე“. სამი ერთნაირი ზომისა და კომპოზიციის ნახატი აქვს შექმნილი ანტუან გროს ამ თემაზე. ერთი ერმიტაჟშია, მეორე ვერსალში, მესამე — ნაპოლეონის მუზეუმში, შვეიცარიაში, არენბერგის ციხედარბაზში... შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთით; სან-ლუისის კუნძულის მიღმა ნისლში ილანდება აუსტრალიის ხიდი. მარჯვნივ, ჩვენს ქვემოთ, არქიებისკოპოსის სკვერია შადრენით და სვეტიით. აქვე, მიწის ქვეშ რამდენიმე წლის წინ დაუდგამთ მემორიალი წინააღმდეგობის მონაწილეთა ხსოვნის პატივ-

საეცმად. აქ ურნებში ინახება საფრანგეთის ყველა დეპარტამენტის მიწა...
საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს ნოტრდამი გადაუქცევიათ „გონების ტაძრად“, შიგნით დაუდგამთ თავისუფლების ქანდაკება, ვოლტერისა და რუსოს ბიუსტები...

დიდმა პიუგომ თავის ბრწყინვალე რომანში დეტალურად აღწერა ეს ტაძარი და საყვედურიც გამოთქვა იმ მეფეთა, ეპისკოპოსთა და ხელოვანთა მიმართ, რომლებმაც მისი ზოგი ნაწილი გადააკეთეს.

დგას ეს ტაძარი საუკუნეთა მანძილზე დიდი კულტურისა და ხელოვნების დასტურად. რა ზუსტად თქვა მაიაკოვსკიმ 1925 წელს მისი ხილვის შემდეგ: «Другие здания

лежат,

как грязная кора,

в воспоминании

O Notre — dame!

Прошедшего

возвышенный корабль,

о время зацепившийся

и севший на мель».

როცა ძირს, პარვის მოედანზე ჩამოვედით, გაისმა ზარების გუგუნი და უნებურად შევკრთი: მომეჩვენა, რომ კვაზიმოდოს ხელს ეპყრა ამ ზარების თოკები. გუგუნებდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი — „ნორტ დამ დე პარი“ და თითქოს ამ გუგუნში იყო ჩაქსოვილი პარიზის ისტორია, მეფეთა და ბუმბერაზ ხელოვანთა, უბრალო მშრომელთა თუ პოეტთა აღზევებისა და დაცემის ისტორია...

პარიზი რომივით ბორცვებზეა გაშენებული. ახლაც შეიძლება დატყებ ქალაქის ხედით მონმარტრის ბორცვიდან, ბიუტ-დებომონიდან ან სენ-ჟენევიევის გორიდან, ისევე, როგორც მთაწმინდიდან ან მახათადან თბილისით. ქალაქის დასავლეთით, ბულონის ტყის მიღმა აღმართულია მონ-ვალერიანის ბორცვი, რომლის თხემზეც ძველი ციხესიმაგრე დგას. გადმოცემით, ოდესღაც შორეულ წარსულში ამ ბორცვის ფერდობზე ცხვრებს მწყემსავდა ქალწული, სახელად ჟენევიევა. როდესაც ჰუნები პარიზს შემოსევიან, ქალაქის მოსახლეობა პანიკას მოუცავს, ისინი გარბოდნენ პარიზიდან, მაგრამ გულად ჟენევიევას შეუჩერებია, წინ გაძლოლია საბრძოლველად და მისი წინამძღოლობით ქალაქელებს უკუუქცევიათ ჰუნები; პარიზი გადარჩენილა. ამის შემდეგ ქალწული წმინდანად შეურაცხიათ, რის შემდეგაც იგი საფრანგეთის



დედაქალაქის მფარველად ითვლებოდა. მის სახელს ატარებენ ტაძრები, მონასტრები, მოედნები, ქუჩები.

ოკუპაციის პერიოდში XX საუკუნის „ჰუნებს“ — გერმანელ ფაშისტებს და მათ ვიზისტურ დამქაშებს მონ-ვალერიანის ციხე-სიმაგრის თხრილში ასობით პატრიოტი დაუხვრეტიათ. ომის შემდეგ დე გოლის განკარგულებით აქ აუგიათ „მებრძოლი საფრანგეთის“ დიდებული მემორიალი: ვარდისფერი გრანიტის ლოდებით მოპირკეთებულ აკლამაში, ქვის სარკოფაგებში, განისვენებს სხვადასხვა სახეობის ჯარების თხუთმეტი წარმომადგენლის ნეშტი. აქ არის მეთექვსმეტე, ცარიელი სარკოფაგიც, განკუთვნილი დე გოლის მიერვე დაწესებული ორდენის „განთავისუფლების მონაწილის“ იმ კავალერისათვის, რომელიც ყველაზე ბოლოს გარდაიცვლება. აკლამის წინ, მოედანზე მარადიული ცეცხლი ანთია.

მარადიული ცეცხლი ანთია ყოფილი ვარსკვლავის, ამჟამად დე გოლის მოედანზეც ტრიუმფალურ თაღთან, უცნობ ჯარისკაცის საფლავზე, რომელსაც აწერია: „მან სიცოცხლე სამშობლოს შესწირა“. აქ ყოველდღიურად საღამოს 6 საათზე ტარდება „ცეცხლის გაცოცხლების“ ცერემონია. მოდის რამდენიმე ძველი მებრძოლი და ერთი მათგანი ჩირაღდნით სიმბოლურად ანთებს ჩაუქრობელ ცეცხლს. 14 ივლისს კი, საფრანგეთის ეროვნული დღესასწაულის დღეს, „ცეცხლის გაცოცხლების“ ცერემონიალს თვით ქვეყნის პრეზიდენტი ასრულებს...

თავისუფალი დრო გამოვნახე და კვლავ მარტოდმარტო ვსეირნობდი სიჭაბუკის ოცნების ქალაქში.

სენ-ჟერმენის ბულვარს აღმოსავლეთით მივყევბოდი. მერე სენ-ბერნარის სანაპიროც ჩავიარე და აუსტერლიცის ხილით ბასტილიის ბულვარზე გადავედი. აი, ისიც, ბასტილიის მოედანი, რომლის შუაგულში ივლისის სვეტია აღმართული. სწორედ აქ იდგა ბასტილია, საფრანგეთის მეფეთა ციხე. აქ, 600 წლის წინ პარიზის მმართველს ჰუგო ობრიოს პირველი ქვა ჩაუდგია ბასტილიის საძირკველში, და ბედის დაცინვაც ამას ჰქვია — ახლად დამთავრებული ციხის პირველი პატიმარი თვით ქალაქის თავი გამხდარა...

1717 წლის 17 მაისს კი ბასტილიაში მოიყვანეს 23 წლის ჰაბუკი. ციხის კომენდანტს გადასცეს ბრძანება, რომელშიც ეწერა: „მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ მეფის ბრძანებით ბასტილიაში იგზავნება ბატონი არუე...“ დაპატიმრების მიზეზი იყო სატირა „ბიჭუნას მეფობაში“, რომელშიც ფრანსუა-მარი არუე ააშკარავებდა მეფის კარის გარყვნილ ცხოვრებას.

ახლაგზრდა პატიმარი ადვილად შეჩვევია სქელკედლებს, ნესტიან

საკანს და სამუშაო კაბინეტადაც გადაუქცევია იგი. წერდა გამაღებელი ბოლთას სცემდა, ისევე წერდა. 11 თვის პატიმრობის შემდეგ მკვლელობის დახმარებით და შუამდგომლობით გაუთავისუფლებიათ ბატონი არუე. ციხეში დაწერილი პიესა „ოიდიპოსი“ მიუძღვნია რეგენტის მეუღლისათვის, ჰერცოგ ორლენელის ასულისათვის ხელმოწერით: „მარი არუე დე ვოლტერი“. ამ დღიდან არუეს სახელი დავიწყებას მიეცა და ქვეყანას მოედო ახალი სახელი — ვოლტერი...

ჩემს პირად გეგმაში შევიტანე პარიზის პანთეონის დათვალიერება, რაც პირველი ჩამოსვლისას ვერ მოვახერხე...

ვდგავარ ბასტილიის მოედანზე და შევყურებ ივლისის სვეტს, რომლის კვარცხლბეკში 1830 და 1848 წლების რევოლუციურ აჯანყებებში დაღუპულ გმირთა მემორიალია. აქ განისვენებს მათი ნეშტი. აქ დაწვეს აჯანყებულებმა 1848 წელს მეფის ტახტი.

1789 წლის 13 ავლისს ღამით კი ლუი XVI-ის საძინებელ ოთახში შევარდა ჰერცოგი ლაროშფუკო დე ლიანკური:

— ხელმწიფე, აჯანყებულებმა ხელთ იგდეს ბასტილია!

— ეს ხომ ბუნტია! — აღშფოთდა მეფე.

— არა, ხელმწიფე, ეს უკვე რევოლუციაა!..

სწორედ ამ პერიოდში იყო მოწვეული გენერალური შტატები, პირველად 1614 წლის შემდეგ. აქ შემავალი სამი ფენის წარმომადგენლები განიხილავდნენ სახელმწიფოში შექმნილ ვითარებას. ფინანსთა მინისტრმა ნეკერმა მეფის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ გამოაქვეყნა ცნობები სახელმწიფო ბიუჯეტზე, საიდანაც ჩანდა, რომ ქვეყანა ფინანსიური კრახის წინაშე იდგა. ამის ძირითადი მიზეზი კი ის იყო, რომ მეფის ოჯახი უკონტროლოდ და თავაშეებულად ანიავებდა ხაზინას. მეფის ძმებს — გრაფ პროვანსელს (რომელიც ბურბონების რესტავრაციის შემდეგ მეფე ლუი XVII გახდა) და გრაფ დ'არტუას (35 წლის შემდეგ მეფე კარლოს X რომ გახდა) ხაზინიდან გაეტანათ 10 მილიონი ლივრი, ხოლო ვალებში ჩაფლულ ჰერცოგ დე როგანისთვის მეფეს ებოძებინა 30 მილიონი. ეროვნული შემოსავლის დიდ ნაწილს ნთქავდნენ დედოფალ მარია ანტუანეტას გართობანი, სასახლის კარის ხშირი დღესასწაულები. ერთი თვის წინ გენერალური შტატები გარდაქმნეს ეროვნულ კრებად, ხოლო ეს უკანასკნელი 9 ივლისს გამოაცხადეს დამფუძნებელ კრებად, რაც უკვე ფაქტიურად საფრანგეთის მთავრობა იყო.

რევოლუცია დაიწყო. აჯანყებულებმა დაანგრეს ბასტილია და ნანგრევებზე ვოლტერისა და რუსოს სახელები დაწერეს. სამი თვის შემდეგ ხალხის ნებით ლუი XVI ვერსალიდან პარიზში გადავი-

და და რევოლუციურ სახელმწიფოს ტყვედ იქცა. ხალხი ითხოვდა აგრარული პრობლემების გადაწყვეტას, სათავადაზნაურო პრივილიგიების გაუქმებას, გლეხთა განთავისუფლებას ბეგარისაგან. 1791 წელს გამოქვეყნდა ახალი კონსტიტუცია, მაგრამ მონარქია კვლავ ძალაში იყო, თუმცა კი შეზღუდული, კონსტიტუციური. რევოლუცია არ შეჩერებულა. გრძელდებოდა სამოქალაქო ომი. თავი იჩინა კონტრრევოლუციამაც. მეფე ლამობდა გაქცევას. შვედეთის მეფე სტოკჰოლმიდან წერდა ლუი XVI-ს: „...ვიდრე საფრანგეთში რჩება პარიზი, იქ შეუძლებელია მეფეთა არსებობა“, და მოუწოდებდა, დაეტოვებინა დედაქალაქი, შეეკრიბა ჯარი და გაენადგურებინა „ეს ყაჩაღთა ბუდე“. გრაფი დ' არტუა ჩასულა პეტერბურგში ეკატერინე მეორესთან და დახმარება უთხოვია, მაგრამ უშედეგოდ. ეკატერინეს კი უთქვამს თავის მეგობარ დაშკოვას ქალისათვის: „მიყვარს ვოლტერის კალამი, მაგრამ ღმერთო ჩემო, რამდენი უბედურება მოუტანა მან საფრანგეთს“ და უბრძანებია, გუდონის ნახელავი ვოლტერის ქანდაკება სარდაფში გადაეტანათ.

ვიქტორ ჰიუგო საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი მიძღვნილ რომანში „ოთხმოცდაცამეტი წელი“ წერდა: „ოთხმოცდაცამეტი წელი — ესაა ევროპის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ და საფრანგეთის ომი პარიზის წინააღმდეგ. რა იყო რევოლუცია? საფრანგეთის გამარჯვება ევროპაზე და პარიზის გამარჯვება საფრანგეთზე. სწორედ ამაშია მთელი თვალწევდენი აზრი საშინელი წუთისა — ოთხმოცდაცამეტი წლისა, — უფრო დიდისა, ვიდრე სხვა საუკუნეები მთლიანობაში. რა უნდა იყოს ამაზე უფრო ტრაგიკული: ევროპა ჩამოქცეული საფრანგეთზე და საფრანგეთი ჩამოქცეული პარიზზე? ესაა ქეშმარიტად ეპიკური გაქანების დრამა...“

ჩვენი სიტროენი მონმარტრისკენ მიმავალ ვიწრო აღმართს მიუყვება. ქუჩის ორივე მხარეს ათასნაირი მარკის ავტომობილებია ჩამწკრივებული. მონმარტრზე სქელი ნისლია ჩამოწოლილი და მძლოლი ყვითელ პროექტორებს ანთებს.

ტერტრის მოედანზე სამი მხატვარია მხოლოდ. მკრთალად მოჩანს ამ პატარა მოედნის ირგვლივ ჩარიგებული რესტორნებისა და კაფეების განათებული შუქრეკლამები. ნისლს შთაუნთქავს საკრე-კიორის ტაძრის გუმბათიც.

ამბობენ, პარიზი შეუერთდაო მონმარტრს. სინამდვილეში იგი პარიზის კომუნამდე 10 წლით ადრე შეუერთეს პარიზს. სწორედ აქ იდგა კომუნართა „სამმო ზარბაზნები“, რომელსაც ღამით გენერალ ლეკონტის ჯარისკაცები შეესივნენ. იმ დროს მონმარტრის მერი იყო

ეჭიმი ყორე კლემანსო, საფრანგეთის მომავალი პრემიერ-მინისტრი, კომუნის ერთ-ერთი გმირი, მასწავლებელი ლუიზა მიშელი წერს თავის მოგონებებში, რომ როგორც კი გაიგონა სროლის ხმა, თოფს ხელში აიღო და დაელო, ლაბადის ქვეშ დამალა და გარეთ გაეარდა. ქუჩაში ეგდო დაჭრილი, ეროვნული გვარდიის წევრი ტიურპენი. კლემანსოსაც თავისი ჩანთით მოუტრებნია და როგორც ეჭიმს, უცდია დახმარება აღმოეჩინა დაჭრილისათვის, მაგრამ ლეკონტს არ მიუშვია იგი ტიურპენთან. ხალხმა არ აპატია გენერალს ეს სისასტიკე. იგი მოგვიანებით კლივის ქუჩაზე დაიჭირეს და გენერალ ტომთან ერთად მონმარტრზე მოიყვანეს, ეროვნული გვარდიის ადგილობრივ შტაბში. გენერალ ტომსაც დიდი ცოდვები ჰქონდა ჩადენილი 1848 წლის აჯანყების პერიოდში. შტაბში შეიჭრა აღელვებული ბრბო, რომელშიც ლეკონტის ყოფილი ჯარისკაცებიც ერივნენ, ორივე გენერალი გამოიყვანეს და მონმარტრზე დახვრიტეს...

პარიზის კომუნამ სულ 72 დღე იარსება. მის დამარცხებას სისხლიანი რეპრესიები მოჰყვა. პარიზმა ამ ბრძოლებში ასი ათასამდე თავისი საუკეთესო შვილი დაკარგა.

ტერტრის მოედნის გადაღმა, ნორვინის ქუჩისკენ ბევრი ძველი სახლია. ერთ-ერთ მათგანშია მოთავსებული მონმარტრის ისტორიის მუზეუმი. აქ ძირითადად გამოფენილია ნახატები, ლინოგრაფიურები, პორტრეტები, მიძღვნილი მონმარტრის, ძველი და შუა საუკუნეების ისტორიისადმი. ამ ბორცვზე ჯერ კიდევ VIII საუკუნეში უცხოვრია და უმოღვაწია პარიზის პირველ არქიეპისკოპოს დენის, რომელიც მოუკლავთ და მორწმუნეებს წმინდანად შეურაცხავთ. სენ-დენის სახელს ატარებს დღეს პარიზის ყოფილი გარეუბანი, ქუჩა, ეკლესია. ამავე მუზეუმში გაეცნობა კაცი ე. წ. „მონმარტრის თავისუფალ კომუნას“, რომელიც მხატვრებმა და მწერლებმა დააარსეს და ამჟამად წარსულის სიმბოლოს წარმოადგენს. იმ დროს აქ იყო პარიზის ბოჰემის ცენტრი. აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა დროს უტრილიო, ვან-გოგი, მარკე, პიკასო, ელუარი, მაკ ორლანი...

უცნაურია, მაგრამ მონმარტრის ისტორიის მუზეუმში არაფერია პარიზის კომუნაზე. სწორედ ამ ბორცვზე იყო 100 წლის წინ ბრიკადები, აქ დაჭრეს სასიკვდილოდ პოლონეთის სახელოვანი შვილი გენერალი იაროსლავ დომბროვსკი, აქ ცხოვრობდა „ინტერნაციონალის“ ავტორი ეფენ პოტიე, აქ მოკლეს 1914 წელს „კაფე დე კრუასანში“ ეან ყორესი... მხოლოდ ერთი ესტამბიაა ექსპონირებული „ბრძოლა ბარიკადებზე“. და ეს იმ დროს, როდესაც კომუნის მხარეზე გადავიდა ორასამდე მხატვარი გუსტავ კურბეს მეთაუ-



რობით და კომუნაზე, ბრძოლებზე შექმნილია უამრავი ტილო. დომიე
 ელი, დალუ, პილოტერი და სხვანი ქმნიდნენ პოლიტიკურ პლაკატებს,
 კარიკატურებს, აფორმებდნენ პროკლამაციებს, ხოტბას ასხამ-
 დნენ კომუნას...

რადგან კურბე ვახსენეთ, ისიც გავიხსენოთ, რატომ თქვა უარი
 საპატიო ლეგიონის ორდენის მიღებაზე, რითაც მთავრობას სურდა
 მიემხრო იგი. 1870 წლის 23 ივნისს კურბე სწერდა ნატიფი ხელოვნე-
 ბის მინისტრს მ. რიშარს: „...დაე ჩემზე თქვან: იგი არასოდეს არ
 ეკუთვნოდა არც ერთ სკოლას, არც ერთ ეკლესიას, არც ერთ დაწესე-
 ბულებას, არც ერთ აკადემიას, განსაკუთრებით კი არც ერთ რეჟიმს,
 გარდა ერთისა, თავისუფლების რეჟიმისა“. ამ სიტყვების და მრწამსის
 დადასტურება იყო მისი მონაწილეობა პარიზის კომუნაში. იგი აირჩიეს
 კომუნის წევრად და სათავეში ჩაუდგა მხატვართა ფედერაციას. მისი
 წინადადებით გამოიტანა რევოლუციის შტაბმა გადაწყვეტილება ვან-
 დომის სვეტის ჩამოგდების შესახებ. ეს სვეტი აღამართვინა ნაპოლეონ
 ბონაპარტემ აუსტერლიცის ბრძოლის სახსოვრად. იგი დაფარული
 იყო საფრანგეთის არმიის მიერ ნალაფევი ათას ორასი ზარბაზნის
 ლითონით. სვეტის თავზე იდგა ნაპოლეონის ფიგურა. სვეტი ძირში
 გადახერხეს და ჩამოაგდეს. კომუნის დაცემის შემდეგ კურბეს მიუსა-
 ჩეს 6 თვით პატიმრობა და სენ-პელაჟის ციხის განმარტოებულ საკან-
 ში ჩასვეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მას 1873 წელს ვანდო-
 მის სვეტის ჩამოგდების ინიციატივის გამოჩენისათვის, გიგანტური
 ჯარიმა დააკისრეს: უნდა გადაეხადა სამასოცდასამი ათასი ფრანკი.
 განუწყვეტელმა დევნამ აიძულა გენიალური მხატვარი დაეტოვებინა
 სამშობლო. ავადმყოფი და სულიერად გატეხილი იგი საცხოვრებლად
 შვეიცარიაში გადავიდა და 1877 წლის 31 დეკემბერს გარდაიცვალა
 58 წლის ასაკში...

ნისლი უფრო შესქელდა მონმარტრზე და იძულებული გავხდით
 უკან დავბრუნებულიყავით. დიდხანს ვისეირნეთ პარიზის გაჩირალდნე-
 ბულ ავენიუებზე და გვიან ღამით დავბრუნდით სასტუმროში.

შარშანწინ კი მონმარტრზე ნისლი არ იყო და მთელი საღამო
 ესეირნობდი მარტოღმარტო. ვუყურებდი მხატვრებს, რომლებიც ტრა-
 დიციულად ტერტრის მოედანზე იკრიბებიან, აქვე, ქუჩაში ხატავენ
 და ყიდნიან თავიანთ ნამუშევრებს. აგერ, ერთი ჩასუქებული ღაღაჟ-
 ლოყებიანი მამაკაცი სკამზე ჩამომჯდარა გაუნძრევლად. შუახნის წვერ-
 მოშვებული მხატვარი მის პორტრეტს ქმნის. ქვაფენილზე გაუშლიათ
 ნახატები პარიზის ხედებით, მონმარტრის კუთხეების, საკრე-კიორის
 გამოსახულებებით.



მონმარტრის მხატვრებს ადგილობრივი მკვიდრნი „ბაგრატიონები“ უწოდებენ, რაც თხაპნიას ნიშნავს. ისინი ხატავენ ქუჩაში მხატვრული მშეიერნი, მაგრამ პროფესიას და ტრადიციას არ ღალატობენ. აი ტრატრის ერთ კუთხეში, სახლის კედელთან დგას ახალგაზრდა, საოცრად გრძელთმიანი მხატვარი; წინ მოღებრტი უდგას და იქვე დანთებული მაღალი სანთლების შუქზე ხატავს ჯინსებში გამოწყობილ ოციოდ წლის ღამაზ ქალიშვილს, რომელიც კედელს მიყრდნობია, ორივე ხელით ანთებული სანთელი უჭირავს და გაყინული სახით სივრცეში იყურება. უცნაური სევდა და სასოწარკვეთილება კრთის მის მშვენიერ თვალებში...

საკრე-კიორის ტაძრიდან ფუნიკულიორით ჩამოვდივარ სან-პიერის მოედნის კუთხეში და ვიწრო ქუჩებით გავდივარ პიგალის მოედანზე. ესაა პარიზის საექვო დაწესებულებებისა და ღამის ბარების მთავარი ცენტრი. მოედნიდან გამავალ ვიწრო ქუჩებში პატარა კინოთეატრებია, სადაც პორნოგრაფიულ და საშინელებათა ფილმების სერიებს უჩვენებენ მთელი ღამის განმავლობაში. ასევე მთელი ღამე ღიაა კაფეები, რესტორნები, რომელთა უმრავლესობას ტროტუარებზეც აქვს გამოდგმული მაგიდები და სკამები. ყოველ ნაბიჯზეა ღამის ბარები, რომელთაც ძირითადად სარდაფები უკავიათ, ზემოთ კი სტრიბტიზის მოცეკვავე შიშველი ქალების ნატურალური ზომის ფერადი, განათებული მოცულობითი ფოტოებია.

ღამის ბარებს თითქმის ყველგან ერთნაირად აწერია: „შესვლა 2,5 ფრანკი“, მაგრამ ეს ანკესია გამოუცდელათვის. სულ ცოტა 100-200 ფრანკს ატოვებინებენ ჩამსვლელს. ქუჩების კუთხეებში, მოედანზე, განათებულ ვიტრინებთან ატუზულან ქალები, ახალგაზრდები და შუახნისიანი, ზოგჯერ მთლად ბავშვები, ღამაზები და მახინჯები, მორცხვები და თამამები, შილიფად ჩაცმულნი საკუთარი სხეულით ვაჭრობენ. ერთხელ, როდესაც საელჩოს თანამშრომლები ღამის პარიზში გვასეირნებდნენ, პიგალზეც გაგვატარეს და ერთ-ერთი ბარის წინ დაგვანახეს საოცრად უნაკლო აღნაგობის და სიღამაზის მქონე ზანგი გოგონა, რომელსაც მაღალი, ვიწრო ჩექმები, მინი შავი ქვედაკაბა და ხსხასაა წითელი გამჭვირვალე პერანგი ეცვა. იგი ამაყად და გამომწევიად იდგა.

— ეს ახალია და როგორც ამბობენ, ძალიან ძვირი, — თქვა ერთმა, — ირგვლივ სხვა ქალები ვეღარ ჩერდებიან, რადგან გარეგნობით ყველა დაჯაბნა...

ღამის ორი საათი იყო. ერთ-ერთი კაფეს წინ, კლიშის ქუჩისა და

პიგალის მოედნის გადაკვეთაზე მაკიდას მიუჭექი და ოფიცინტს
ლუდი დავუკვეთე.

ვიჭექი, ლუდს ვწრუპავდი და მოფუსფუსე ხალხს ვათვალიერებდნ
ქლივის მოვიცილე ხანდაზმული კაცი, რომელიც პორნოგრაფიულ
ფოტოებს მთავაზობდა. ტროტუართან, ჩემ წინ რამდენიმე მანქანა
იდგა. საჭეს ქალები უსხდნენ, ახალგაზრდები და ლამაზები. ერთ-ერ-
თმა მათგანმა მინა დასწია და სიგარეტი გააბოლო კილაც ჩასუქებული
კაცი მიუახლოვდა, დაიხარა და კარგახანს ესაუბრა. ეტყობა, მორიგ-
დნენ, კაცი მანქანაში ჩაუჯდა ქალს და გასწიეს...

მივიღოდი და თვალწინ მედგა იმ მშვენიერი ფრანგი ახალგაზრდა
ქალის სახე, ნაძალადევი ღიმილი და სითამამე. თან მიკვირდა, ასეთი
ქვირფასი მანქანის პატრონი რისთვის ვაპრობდა საკუთარი სხეულით
მერე გავიგე, რომ ამ მანქანებს სხვა პატრონები პყავთ. ზოგიერთი
მამაკაცი, ვისაც ღამით თავისი მანქანა არ სჭირდება და მშვიდად სძი-
ნავს საკუთარ ლოგინში, აქირავენს ღამაზ ქალებზე, რომლებიც მთე-
ლი ღამის განმავლობაში ნადირობენ ფულიან მამაკაცებზე.

მოედნის კუთხეში კაცი ამედევნა. ნაზი მიხრა-მოხრით მომიახლო-
ვდა და მკლავში ხელი გამომდო. წამოდიო, მეუბნეოდა საჭურისის
ხმით. სახეზე ფერუმარილი ესვა და ტუჩებზე პომადა. უხეშად მოვი-
ცილე და ფეხს ავუჩქარე. ძლიერი სურვილი დამეუფლა სწრაფად
გავცლოდი აქაურობას. იქვე, ღამის ბარს დიდ, წითელ შუქრეკლამაზე
ეწერა „მადამ არტურ“. მინებზე კი ასევე ქალურად გათხუპნული
კაცების ფერადი პორტრეტები იყო გამოკრული. ვიდრე მოედანს
გავცდებოდი, რამდენიმე ქალი გადამეღობა წინ, რომლებიც მოშეებულ
ობობასავით იყვნენ ჩასაფრებულნი და როგორც კი ქუჩაზე მიმავალ
„მსხვერპლს“ დაინახავდნენ, ცდილობდნენ დაჭერას.

აი, პიგალის ქუჩაც, რომელიც ამავე სახელწოდების მოედნიდან
იწყება და სან-ორვეზის პატარა მოედნისკენ მიდის. ეს უკვე წყნარი
ქუჩაა და უკაცრიელი. სადღაც აქ იდგა სახლი № 16, გასული საუკუ-
ნის ორმოციან წლებში სახელგანთქმული იმით, რომ აქ ცხოვრობდა
ჟორჟ სანდი. ამ სახლში ცხოვრობდა მისი მეგობარი ფრედერიკ შოპენი.
სანდის პატარა სალონის ხშირი სტუმრები ყოფილან ბალზაკი, ჰაინე,
მიცევეიჩი, დელაკრუა, რომელიც აქვე ხატავდა და ნახატებს ოთახის
ედლებზე ჰკიდებდა. ამ სახლში ისმოდა ხშირად პოლინა ვიარდოს
მშვენიერი ხმა: სწორედ ეს ქალი იყო კონსუელოს პროტოტიპი. ამ
სახლში შექმნა ჟორჟ სანდიმ ის ბრწყინვალე რომანები, რომლებშიც
გამოსუვივის მწერლის ეპოქის ადამიანების იდეალები და ილუზიები,
შეცდომანი და მერყეობანი, მე-19 საუკუნის საფრანგეთის რევოლუ-

ციური აზრის აღზევება და დაცემა... ამ სახლში იწერებოდა მობით „ორასი“, „კონსულელო“, „მოხეტიალე შევირდი“... წინ კი, ჟორჟ სანდის დაკრძალვაზე, ვიქტორ ჰიუგოს უფრო დავტირი გარდაცვალებულს და ვესალმები უკვდავს... ჟორჟ სანდი დარჩება ჩვენი საუკუნისა და ჩვენი ქვეყნის სიამაყედ“...

ტაქსი გავაჩერე და მძღოლს სორბონის მოედანზე გაყვანა ვთხოვე. აქ ლამის 12 საათიდან დილაამდე ორმაგი ტარიფია და სასტუმროდ მგზავრობა 30 ფრანკი დამიჯდა.

რამდენადაც მიმზიდველია პარიზი დღისით, იმდენად საშინელია ღამით, როცა ქუჩებსა და მოედნებს ეუფლებიან საკუთარი სხეულით მოვაჭრე ქალები, პორნოგრაფიული სურათების გამყიდველები, მამათმავლები, სუტენიორები... ეს ყველაფერი კანონით აკრძალულია, მაგრამ თვალს ხუჭავენ. ისიც ვნახე, როგორ საუბრობდნენ და ხითხითებდნენ ის ქალები პოლიციელებთან. ალბათ, მაგათაც უხდიათ ფულს ყვითელი ბილეთების პატრონები, ალბათ...

თვალწინ ის მშვენიერი, ახალგაზრდა ქალი მედგა, ნაჭირავებ მერსედესში რომ იჯდა, ასევე ნაჭირავები ოთახი რომ ჰქონდა და საკუთარ თავსაც აჭირავებდა...

მეორე დღეს ყველანი ერთად ქალაქს ვათვალიერებდით. გეგმაში გვექონდა ეიფელის კოშკზე ასვლა. ვიდრე იქამდე მივალწიეთ, მოგვშივდა კიდევ და კოშკის ქვეშ გახსნილ ბარში შევედით. პარასკევი იყო, დღის 5 საათი. ლიფტთან გრძელი რიგი იდგა. ზურაბი უნდა მენახა. სამსახურში უნდა მიმესწრო, თორემ კვირა საღამოს უკვე ვტოვებდით პარიზს. კითხვა-კითხვით მივაგენი იუნესკოს უზარმაზარ ლაბირინთში ზურაბის კაბინეტს და კარი შევადე. იგი მაგიდას უჯდა და დიქტოფონში რალაც ინგლისურ ტექსტს თარგმნიდა.

კარგა ხანს ვისეირნეთ ლათინურ კვარტალში. მერე ზურაბმა მითხრა:

— ამას წინათ მეგობრებმა წამიყვანეს პატარა ჩინურ რესტორანში, ძალიან მომეწონა, სიმყუდროვეა და გემრიელი საჭმელები. იქნებ წავსულიყავით?

მალე მომცრო დარბაზის კუთხეში ვუსხედით მაგიდას და ჩინურ ვახშამს შევექცეოდით. როდესაც მეორე ბოთლი ღვინო მოვიტხოვეთ, ოფიციანტმა ღვინოსთან ერთად ვერცხლის ორი პატარა ფიალა მოგვიტანა და შიგ არაყი ჩაასხა.

ეს უფასოდ გამოგიგზავნათ პატრონმა, როგორც საპატიო სტუმრებს.

— ამ რესტორანში ღვინოს ცოტას სვამენ, თითო ჭიქას, და ჩვენ

რომ თითო ბოთლი მოვითხოვეთ, პატივსაცემ სტუმრებად ჩაგვეთვალეს. — აგვისსა ზურაბის მეგობარმა.

ფილაში ჩავიხედე და მის ფსკერზე, გამჟვირვალე არაყში დავინახე შიშველი ქალის ფერადი გამოსახულება. არაყი დავლიე და გამოსახულება გაქრა. ჩავასხით ღვინო, მერე მინერალური წყალი, მაგრამ ქალი აღარ გამოჩენილა. ზურაბმა ოფიციალტი მოიხმო და მისგან შევიტყვეთ, რომ მხოლოდ არაყში ჩანდა გამოსახულება.

— მინდა ჩემ მეგობარს სუვენირად გავატანო, მომყიდეთ. — უთხრა ზურაბმა.

ოფიციალტი წავიდა პატრონთან და ცოტა ხნის შემდეგ გვითხრა: — ეს ფილა პატრონის საგვარეულო რელიკვიაა და ვერ მოგყიდით, რისთვისაც დიდ ბოდისს მოგიხდით...

რესტორანში მშვენიერი შესახედაობის ქალიშვილი შემოვიდა. იგი რაღაც კონვერტებს სთავაზობდა და რაბაზში მყოფთ. ჩვენთანაც მოვიდა, გაგვიღიმა და ცისფერი კონვერტი გამოგვიწოდა, რომელსაც ეწერა:

„ბატონო, ქალბატონო, მე ყრუ-მუნჯი ვარ. იყიდეთ ჩემგან თქვენი ბედნიერების წერილი თქვენივე ნება-სურვილით. 1 ფრანკი. გმადლობთ!“

ორივე სიბრაღულის გრძნობამ მოგვიცვა. მივეცით ფრანკები, ქალიშვილმა სათითაოდ დაგვიწყო კონვერტი მაგიდაზე.

კონვერტში სტამბურად დაბეჭდილი ჰოროსკოპი იდო.

ჰოროსკოპებისა და მკითხაობისა არაფერი მწამს, მაგრამ ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ იგი ძალზედ გავრცელებულია კაპიტალისტურ სამყაროში, სადაც ხელმოცარულ, იმედგაცრუებულ ადამიანებს სხვა გზა აღარა აქვთ და თავს იტყუებენ, სჯერათ ჰოროსკოპებისა.

გვიანი ღამე იყო. რესტორნიდან გამოვედით და ცოტა ხანს ლათინურ კვარტალში ვისეირნეთ, მერე სობრონის მოედანზე ერთმანეთს დავემშვიდობეთ. მე უკვე სამშობლოში მოვფრინავდი, ზურაბი კი პარიზში რჩებოდა. ამის შემდეგ ზურაბმა კიდევ ექვსი წელი გაატარა აქ და ამ ხნის მანძილზე კიდევ შევხვდი მას საოცრებების ქალაქში...



„მხოლოდ მშვიდობის პირობებში შეუძლია იუნესკოს განვითაროს თავისი საქმიანობა“.

გიორგი ძოწენიძე

პარიზში მეორედ 1971 წლის ნოემბერში მოცხვდი, ამჯერად იუნესკოს დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის ხელმძღვანელობით გაგზავნილ საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასთან ერთად.

თვითმფრინავი, რომელიც მოსკოვიდან პარიზის გავლით მონრეალისაკენ მიფრინავდა, ამჯერად ორლის აეროდრომზე დაეშვა.

მასპინძლებმა მანქანებში გაგვანაწილეს და გეზი პარიზისაკენ ავიღეთ. მანქანიდან ვკითხულობდი ქუჩების სახელებს: სენ-დომინიკი, სენ-ჟერმენი, რასპაი... ბაკის ქუჩით სენის სანაპიროსაკენ გავუხვებით და სასტუმრო „პონ-როიალთან“ გაჩერდით. იგი პარიზის ერთ-ერთი ცნობილი და ძვირი სასტუმროა, ოთხვარსკვლავიანი. „პონ-როიალი“ სამეფო ხიდს ნიშნავს და სწორედ აქვეა ეს ხიდიც, რომლის მეორე მხარეს ლუვრის სასახლე დგას.

ვათვალეობებ ჩემს ერთადგილიან ნომერს. ასეთ ფეშენებულურ და ძვირ სასტუმროში პირველად ვარ. ვეებერთელა საწოლი, რბილი სავარძლები, ყველაფერი თუმცა ახალია, მაგრამ გასული საუკუნის იერი დაჰკრავს. კედელზე ინგლისელი მხატვრის ვ. კნელის აკვარელი „ხომალდები“ ჰკიდია.

ვახშმად მიწვეული ვიყავით საბჭოთა კავშირის მუდმივ წარმომადგენელთან იუნესკოში ს. კუდრიავეცევთან. საღამოს ზურაბმა მომაკითხა და სტუმრად წავედით. ქუჩებში კანტიკუნტად დასრიალებდნენ მანქანები. ზურაბისაგან შევიტყვე, რომ იმ დღეს ფრანგები დღესასწაულობდნენ ყველა წმინდანის დღეს და ამიტომ იყო ქუჩები დაკარვებული.

უკვე კარგა შეღამებული იყო, უკან რომ დავბრუნდით.

მეორე დღეს მიწვეული ვიყავით იუნესკოს გენერალურ დირექტორთან. დილის თერთმეტი საათისათვის იუნესკოს შენობაში შევედით. დავათვალეობეთ დარბაზი, სადაც საზეიმო სხდომა უნდა გამართულიყო, მიძღვნილი ამ ორგანიზაციის დაარსების 25 წლისთავისადმი. გაგვაცნეს ორმოცდაათიოდე წლის კაცი, რომელიც იუნესკოს გაფორმებას, დაცვას და ყოველნაირ საქმეს ხელმძღვანელობს. ეს იყო მიშელ ბაგრატიონი.



— 6 თვის ვიყავი, როცა 1920 წელს მშობლებმა პარიზში ჩამიყვანეს. — გვეუბნება ბრწყინვალე რუსული. იგი ოცნებობდა საქართველოში მოგზაურობაზე.

ამ კაცს 1977 წელსაც შეეხვდი, უკვე თბილისში, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შენობაში ტარდებოდა იუნესკოს მიერ მოწყობილი პირველი სამთავრობათშორისო კონფერენცია, მიღწეული გარემოს საკითხების სწავლებისადმი...

ზუსტად 11 საათზე ავღივართ გენერალურ დირექტორთან. რენე მათი ქალარა, მაღალი, ხმელ-ხმელი ფრანგია, უაღრესად თავაზიანი და კარგ დიპლომატად ითვლება.

ვათვლიერებ რენე მაიოს სამუშაო კაბინეტს: 35 — 40 კვ მ ფართობის ოთახი გაქედილია წიგნებით. მაგიდაზე პატარა, ეგვიპტური ქანდაკებები აწყვია; კედლებზე ძველი ინდური ნახატებია ჩამოკიდებული.

რენე მაიოსა და ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც შეეხებოდა იუნესკოს წვლილს მეცნიერების, კულტურის, განათლების განვითარების, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში.

იუნესკოს გენერალურ დირექტორთან საუბრის შემდეგ დაგვიმისი გვექონდა შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციასთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამ ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, დოქტორი მატეი ლუკანი. შეხვედრის სურვილი გამოთქვა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციამ. როდესაც წინა დღეს შეხვედრის ადგილს ვირჩევდით, არჩევანი კვლავ ბასკურ რესტორანზე შეჩერდა.

სადილმა უაღრესად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. გამოითქვა აზრები ამ ორი სოციალისტური ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და იუნესკოს ხაზით.

ამჯერად ის დარბაზი, სადაც ღვინის კასრები იდგა, მთლიანად ჩვენ გვეკავა და ბასკებიც, გახარებულნი იმით, რომ მეორედ ვეწვიეთ, თანაც ამდენი ერთად, დიდი სიამოვნებით გვიმასპინძლებოდნენ თითქმის ქართულის მსგავსი სტუმართმოყვარეობით.

— ეს რა კარგი წესი ჰქონიათ ბასკებს, — ამბობდა ჩეხოსლოვაკიის მულმივი წარმომადგენელი იუნესკოში დოქტორი ვაცლავ ტილნერი და ჩემთან ერთად სიამოვნებით ასხამდა კასრებიდან ღვინოს.

როდესაც თვალს შევაკვებდი გუშინდელს აქეთ უკვე ნაცნობ სახეებს ბასკებისას, უნებურად მახსენდებოდა გალაკტიონის „ესპანელების კაფე პარიზში“, იქნებ სწორედ ამაზე წერდა იგი:

სალამოს 8 საათზე უნდა დავსწრებოდით საბჭოთა კავშირის სა-
ვაჭრო წარმომადგენლობაში საზეიმო კრებას, რომელიც საშვიდნოემ-
ბრო დღესასწაულს ეძღვნებოდა, მანამდე კი თავისუფალი დრო გვექონ-
და და ზურაბმა ლათინურ კვარტალში გვასეირნა.

სორბონის მოედანზე გავედით და კაფე „სელექტს“ ვეწვიეთ.
გამახსენდა შარშანწინდელი ცხოვრება აქვე, სასტუმრო „სელექტში“.
სორბონის გვერდით ვცხოვრობდით და ბუნებრივი იყო, მსოფლიოს
ეს ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი დეტალურად უნდა დაგვე-
თვალეირებინა, შევხვედროდით აქ მომუშავე ნაცნობ კოლეგებს. ეს
უნივერსიტეტი, მგონი, ერთადერთია მსოფლიოში, სადაც მისაღებ
გამოცდებს არ აბარებენ და არც სწავლის პერიოდია განსაზღვრული.
უბრალოდ, ლიცეის დამთავრების შემდეგ ვისაც სურს „ჩაეწერება“
სტუდენტად და მრავალი წლის მანძილზე შეუძლია ატაროს ეს სახე-
ლი. თურმე, მიხეილ რომი, როდესაც პარიზის სამხრეთ გარეუბანში
თავისი ფილმის, „მსოფლიო დღეს“, ეპიზოდებს იღებდა, მასობრივ
სცენებში მონაწილეობის მისაღებად ყოველდღიურად მიდიოდა ვინმე
„ძია კოლია“, 60 წელს მიღწეული სორბონის „მარადიული სტუდენ-
ტი“.

სორბონა ამ 700 წლის წინათ დაუარსებია ლუი IX კა-
რის მოძღვარს, რომერ დე სორბონს. შენობის სიგრძე ნახევარ კილო-
მეტრამდეა. შიგაა 22 აუდიტორია, ამდენივე საგამოცდო დარბაზი,
240 ლაბორატორია, პროფესორთა 37 კაბინეტი, მუზეუმები, ბიბლი-
ოთეკა, სააქტო დარბაზი „ამფითეატრი“, აქვეა ასტრონომიული და
ფიზიკური კოშკები. შენობის შიგნით საფეხბურთო მოედნის ტოლი
ეზოა, რომელსაც სამივე მხარეზე ამშვენებს თაღებიანი გალერეა, მე-
ოთხე მხარეს კი შესასვლელის პირდაპირ დგას სორბონის სვეტებიანი
ეკლესია. აქ, ბიზანტიური თაღის ქვეშ განისვენებს კარდინალ რიშე-
ლიეს ნეშტი.

დღეს სორბონის უნივერსიტეტში 70 ათასზე მეტი სტუდენტი
ირიცხება. აქედან 30 ათასი ფილოლოგიური ფაკულტეტის მსმენე-
ნელია. სხვაგვარად, ალბათ, არც შეიძლება იყოს დიდი მწერლებისა
და პოეტების სამშობლოში. უნივერსიტეტს არ ყოფნის სტუდენტთა
საერთო საცხოვრებლები და ბევრი ჩამოსული იძულებულია ქუჩაში
ათიოს ღამე. სტუდენტები ძირითადად სენის სანაპიროზე ჩამომსხდარ-
ნი ემზადებიან სესიებისათვის. ზოგიერთი მათგანისათვის ყოველდღიურ

თავშესაფარს სწორედ ეს კაფე „სელექტ ლატენი“ წარმოადგენს. უნივერსიტეტს არ ყოფნის ლაბორატორიები, სადაც რიგია პრაქტიკუმების ჩატარებაზე და ზოგი 2 — 3 თვე ელოდება თავის რიგს. ხშირია სტუდენტთა გამოსვლები, მანიფესტაციები. ისინი მოითხოვენ ბინას, სწავლის პირობების გაუმჯობესებას. ზოგჯერ ანარქისტულ გამოსვლებსაც აქვს ადგილი. ერთი ასეთი გამოსვლა დაწყებულია პარიზში ჩვენს ჩასვლამდე წლინახევრით ადრე, 1968 წლის 11 მაისს ღამით, რომელსაც „ბარიკადების ღამე“ უწოდეს. მთელი ლათინური კვარტალი სტუდენტთა ხელში აღმოჩნდა. ბევრ ქუჩაზე აღიმართა ბარიკადები. პოლიციამ გადაკეტა ამ რაიონისკენ მიმავალი ყველა ქუჩა. მთავრობამ პარიზში თავი მოუყარა რესპუბლიკის უშიშროებისა და ენდარმერიის შემადგენლობის მესამედს. სენის ზიდები ბლოკირებული იყო პოლიციის მიერ.

ყველაფერი დაწყებულია ჩვეულებრივი მანიფესტაციით, მაგრამ „საფრანგეთის სტუდენტთა ეროვნულმა ორგანიზაციამ“ ვერ შეძლო „გომისტების“ (მემარცხენეთა) შემოტევის შეჩერება, რადგან ლათინურ კვარტალში მათი რაოდენობა 30 ათასს აღწევდა. ეს იყო სხვადასხვა ცრუმეხედულებებისა თუ ანარქისტების კონგლომერატი, რომელსაც თავისი ლიდერები ჰყავდა. მთავარი ლიდერი იყო ვინმე კონბენდიტი (გვარიც შესაფერი ჰქონდა), რომელიც მოუწოდებდა სტუდენტებს გამოსულიყვნენ და ებრძოლათ ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ, იმპერიალისტებისა და კომუნისტების წინააღმდეგ. სინამდვილეში იგი ანარქიზმს ქადაგებდა.

პოლიცია მკაცრად ახშობდა სტუდენტთა გამოსვლებს. უკვე მეორე ღამეს, 12 მაისს ლათინურ კვარტალში ათასამდე სტუდენტი იყო დაჭრილი, ხოლო რამდენიმე ასეული დაპატიმრებული. პოლიციამ მიიღო კიდევ უფრო მკაცრი ზომების გატარების ბრძანება. სტუდენტთა მღელვარებამ პარიზის გარდა მოიცვა მარსელი, ტულუზა, ლიონი, სტრასბურგი, გრენობლი, რენი და სხვა ქალაქები. მათ ბევრი მასწავლებელიც მიემხრო. ამ პერიოდისთვის საფრანგეთი განათლებაზე ხარჯავდა ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 4 პროცენტს და ამით მსოფლიოში ოცდამეათე ადგილზე იდგა.

პოლიციის სიმკაცრე იწვევდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, ინტელიგენციის სამართლიან აღშფოთებას. ისინი ამატარებდნენ გომისტების პოლიტიკურ ავანტურისთვის, მაგრამ მხარს უჭერდნენ სტუდენტთა უმრავლესობის სამართლიან მოთხოვნებს. იმდროინდელი საფრანგეთის განათლების მინისტრი ფუშე ცინიკურად აცხადებდა:



„ჩვენ გვყავს ძალიან მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობა, რომლებსაც სურს ძალიან ბევრი იცოდეს“.

1968 წლის მაისშივე საფრანგეთში გაიფიცა 9 მილიონი მშრომელი. ზოგ ფაბრიკასა და ქარხანაში უვადო გაფიცვა გამოაცხადეს. სამფეროვან ეროვნულ დროშებთან ერთად მუშებს აღმართული ჰქონდათ წითელი აღმებიც. საფრანგეთს გაფიცვებით ვერ გააკვირვებ, მაგრამ ეს გაფიცვა, რომელმაც ხუთ კვირას გასტანა, ამ ქვეყნისათვისაც კი უპრეცედენტო იყო.

რეაქცია ცდილობდა მუშებისათვის ბრალი დაედო ეკონომიკის დეზორგანიზაციაში, ქვეყანაში უწყესრიგობისა და ქაოსის გამოწვევის მცდელობაში, მაგრამ გაფიცულთა გადაწყვეტილებით ამ პერიოდში ნორმალურად მოქმედებდნენ მნიშვნელოვანი სასიცოცხლო სამსახურები: ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება, წყალსადენი, პოსტიტლები და საავადმყოფოები. საფრანგეთის მუშათა კლასმა ქვეყანას უჩვენა პოლიტიკური სიმწიფე და მაღალი კლასობრივი შეგნება.

25 მაისს გრანელის ქუჩაზე მდებარე სოციალური საკითხების სამინისტროში დაიწყო მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ მთავრობის, პროფკავშირებისა და მეწარმეთა წარმომადგენლები. დიდი დებატების შემდეგ მიიღწიეს შეთანხმებას, რომელიც საფრანგეთის ისტორიაში შევიდა „გერენლის კონსტატაციის“ სახელით. ამ კომპრომისის შედეგად მშრომელთა ბევრ კატეგორიას მნიშვნელოვნად მოემატა ხელფასი. მრეწველობის ზოგ დარგში მატებამ 13 — 18 პროცენტი შეადგინა. მინიმალური საათობრივი ანაზღაურება გაიზარდა 35 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში კი 56 პროცენტით. შემცირდა სამუშაო კვირადღის ხანგრძლივობა და გაიზარდა შვებულების პერიოდი. ბევრ საწარმოში ადმინისტრაციამ მუშებს აუნაზღაურა გაფიცვის დღეების ხელფასი.

1968 წლის მაის-ივნისის მოვლენებმა ერთგვარი ბიძგი მისცეს დე გოლის გადადგომას პრეზიდენტის პოსტიდან. ჩვენს ჩასვლამდე რამდენიმე თვით ადრე, 1969 წლის აპრილში დე გოლის წინადადებით ჩატარდა რეფერენდუმი „რეგიონული“ რეფორმის შესახებ. ეს რეფორმა ითვალისწინებდა არსებული 95 დეპარტამენტის პარალელურად 21 რეგიონის შექმნას. ამ უკანასკნელთ უნდა მოეცვათ საფრანგეთის ისტორიული პროვინციების ტერიტორიები. თითოეულ რეგიონში უნდა შექმნილიყო „საკონსულტაციო ასამბლეა“, რომელშიც შევიდოდნენ ამ რეგიონის არჩევითი ორგანოების, მოსახლეობის ზოგიერთი სოციალური და პროფესიული ჯგუფების წარმომადგენლები. ასეთ ასამბლეას შეეძლო განეხილა ადგილობრივი ხასიათის ზოგიერთი საკითხი.

და თავისი წინადადებები გადაეცა აღმასრულებელი ხელისუფლების
ორგანოებისათვის. საკონსულტაციო ასამბლეას ფაქტიურად არავე
თარი ფინანსური და ეკონომიკური ავტონომია არ გააჩნდა. რეგიონის
აღმასრულებელი ხელისუფალი იყო მთავრობის მიერ დანიშნული პრე-
ფექტი.

ამავე რეფორმით გათვალისწინებული იყო პარლამენტის მეორე
პალატის — სენატის გაერთიანება სოციალურ-ეკონომიკურ საბჭოს-
თან. ამით სენატის ისედაც შეზღუდული უფლებები კიდევ უფრო
იზღუდებოდა და მისი პოლიტიკური როლი მინიმუმამდე დადიოდა.

1969 წლის 2 თებერვალს პრეზიდენტმა დე გოლმა ბრეტანის უძ-
ველეს ქალაქ კემპერეში გამოაცხადა რეფერენდუმის ჩატარების სურ-
ვილი ამ რეფორმის თაობაზე. ერთ-ერთ გამოსვლაში მან თქვა: „მი პა-
სუხზე, რომელსაც ქვეყანა გასცემს კითხვას, რომელიც მე მას დაეუხს-
ვი, რასაკვირველია, დაშოკიდებულია ან ჩემი მანდატის გაგრძელება.
ან ჩემი სწრაფი გადადგომა“.

რეფერენდუმამდე ორი დღით ადრე დე გოლი გაემგზავრა თავის
შაშულში კოლომბ-ლე-დეზ-ეგლიზში და პრემიერ-მინისტრს პაკეტი
დაუტოვა, რომელიც მას რეფერენდუმის დამსავრების შემდეგ უნდ-
გაეხსნა. 28 აპრილს პაკეტი გახსნეს. მასში აღმოჩნდა დე გოლის ხელ-
მოწერილი შემდეგი შინაარსის ბარათი: „მე ვწყვეტ რესპუბლიკის პრე-
ზიდენტის ჩემი ფუნქციების განხორციელებას. ეს გადაწყვეტილება
ძალაში შედის დღეს, შუადღისას“. განცხადება 28 აპრილით იყო დათა-
რილებული. გენერალმა დე გოლმა წინასწარ იგრძნო რეფერენდუმის
შედეგები.

როდესაც ელისეს სასახლეს გამამდგარი პრეზიდენტი ტოვებს,
მას უფლება აქვს თან წაიღოს თავისი არქივი, დოსიე და პრეზიდენტად
ყოფის პერიოდში დაგროვილი მასალა. დე გოლს არაფერი წაუღია.

ასე დაშთავრა გენერალ დე გოლის საოცარი და ბრწყინვალე
პოლიტიკური კარიერა, დე გოლისა, რომელსაც წინააღმდეგობის პე-
რიოდში ხალხმა „სიძობლო“ შეარქვა. მაგრამ თავისებური ხალხია
ფრანგები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დე გოლის მმართველობის
ბოლო წლებში მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მაინც გააგრძელეს მის-
დაში დიდი სიყვარული და პატივისცემა. პარიზის ყველაზე ცენტრა-
ლურ მოედანს, ეტვალს, ანუ ვარსკვლავის მოედანს, რომელზეც ტრი-
უმფალურა თაღია აღმართული, დე გოლის მოედანი უწოდეს. ფრანგე-
ბი კი, გახსაკუთებით პარიზის მკვიდრნი, ტრადიციების დიდი ერთ-
გულნი არიან და ვერ იტანენ დედაქალაქში ახალი სახელების
შემოჭრას. ეს დე გოლის ხსოვნისადმი კიდევ უფრო დიდი პა-



ტივისცემის გამოხატულება იყო. მისივე სახელი დაარქვეს ზაქარიაშვილი
 გარეუბანში ახლად აგებულ ვეებერთელა და მსოფლიოს ერთ-ერთი სკ-
 უკეთესო აეროდრომს. 1974 წელს, როდესაც არგენტინიდან ვბრუხ-
 დებოდით, სწორედ ამ აეროდრომზე დაემუა ჩვენი თვითმფრინავი. და
 საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი რომ არ დაგვხვედროდა, ალბათ,
 გზა დაგვებნეოდა თანამედროვე არქიტექტურის ამ საოცრებაში.

დაეუბრუხდეთ კვლავ ლათინურ კვარტალს, კაფე „სელექტ-ლ-
 ტენს“, რომლის გვერდითაც, როგორც წელიწად ვთქვი, ამავე სახელწოდებ-
 ბის სასტუმროში, ვცხოვრობდი 1969 წელს. „სელექტი“ ფრანგულად
 რჩეულს ნიშნავს. ეს სწორედ ის კაფეა, სადაც ერნესტ ჰემინგუეის
 თავისი მაგიდა ჰქონდა და აქ ქმნიდა თავის შედეგებს. თუ ოფიციალტს
 „შეეკითხებით, იგი ამაყად მიგიითითებთ „ჰემინგუეის მაგიდისაკენ“.
 უცხაური დაძთხვევა იყო, რომ ამ ბუმბერაზი კაცის სახელი, რომელ-
 საც ჩემი პირადი კერპების პანთეონში ერთ-ერთი საპატიო ადგილი
 უკავია, ზშირად მხედებოდა ან თან დამყვებოდა მსოფლიოს ბევრ ქვე-
 ყახაში მოგზაურობისას. ჯერ იყო და ღუბროვნეკში ყოფნისას საკუთარ-
 ი ზოძალდით ჩამოვიდა მერი ჰემინგუეი, რომელმაც იუგოსლავიაში
 გამოცემული „პაპას“ წიგნების მთელი ჰონორარი ბელგრადის უნი-
 ვერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ხელმოკლე სტუდენტები-
 სათვის გადასცა ამ ქვეყნის მთავრობას; მერე ჰაენაში ხანმოკლე
 სტუმრობისას ძაჩვენეს ის სანაპირო, საიდანაც „პაპა“ სათევზაოდ გა-
 დიოდა ოკეანეში; კენიაში მოგზაურობის დროს სავანაში აღმართული
 ყოველი მწვანე ბორცვი, კლიმანჯაროს მწვერვალის თუ ეროვნულ
 პარკებში ლაღად მოსეირნე ლომების, მარტორქების, ანტილოპების
 ხილვა ამ საოცარი კაცის ნაწარმოებების გმირებს მახსენებდა და თვი-
 თობ მასაც, რომელიც, მისივე სიტყვებს თუ გამოვიყენებთ ერთ-ერთი
 თავისი გმირის მიძარბ ნათქვამს, სიკვდილმა გაანადგურა, მაგრამ ვერ
 დაამარცხა...

4 ხოემბერს, დილის 11 საათზე დანიშნული იყო იუნესკოს 25
 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის გახსნა.

იუნესკოს შენობა, რომლის აგებაც 1958 წელს დაამთავრეს, სამ-
 ხედრო აკადემიის უკან, ყოფილი ყაზარმების ადგილზე დგას. ზემო-
 დან იგი საშქიმიან ვარსკვლავს წააგავს და ფასადით ფონტენუას მო-
 ედანზე გადის. მის მახლობლადაა ინვალიდების სასახლე და „მარსის
 მინდორი“. ეს უკანასკნელი თავისი ხეივნებით და ყვავილნარებით
 სამხედრო აკადემიიდან პირდაპირ ვიფელის კოშკს ადგება, იენის ხილ-
 თან.

სტენაზე, შემალღებაზე ისხდნენ იუნესკოს აღმასკომის წევრები,

გენერალური დირექტორი და მისი მოადგილეები. გიორგი ძოწენიძე სხვა ქვეყნების დელეგაციების მეთაურებთან ერთად დარბაზის პირველ რიგში იჯდა. თერთმეტს სამიოდე წუთი აკლდა, როდესაც დარბაზში მცველებისა და ადიუტანტის თანხლებით შემოვიდა საფრანგეთის პრეზიდენტი. ყველანი ფეხზე წამოვდექით და მივესალმეთ აპლოდისმენტებით. უორჯ პომპიდუ სამხედრო მებრძოლის ფორმაში გამოწყობილი ძალიან ახალგაზრდა ადიუტანტის თანხლებით სცენაზე ავიდა, თავი დაგვიკრა და პრეზიდენტის წინ მდგარ სავარძელში ჩაჯდა. მისგან ორიოდ ნაბიჯის დაშორებით სკამზე ჩამოჯდა ადიუტანტი.

საზეიმო სხდომა გახსნა იუნესკოს უმაღლესი ორგანოს, გენერალური კონფერენციის VI სესიის თავმჯდომარემ არგენტინელმა ატილიო დელორო მაინიმ. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ლორდმა ჰელშემმა და უორჯ პომპიდუმ. ორივემ ხაზი გაუსვა იუნესკოს დამფუძნებელი ქვეყნების როლს, ძირითადად საფრანგეთისას და ინგლისისას*, თან აღნიშნეს იუნესკოს საქმიანობის დადებითი შედეგები წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის საქმეში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებაში მეცნიერების, კულტურისა და განათლების დარგებში. ლორდ ჰელშემისგან განსხვავებით პრეზიდენტი პომპიდუ ძიესალმა სხვადასხვა სოციალური წყობის მქონე სახელმწიფოების მშვიდობიან თანამშრომლობას და აღნიშნა იუნესკოს წვლილი ამ დიდ საქმეშიც.

პომპიდუს სიტყვას გადასცემდა საფრანგეთის რადიო და ტელევიზია.

შესვენების შემდეგ წაიკითხეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანის მისალმება; მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე იუნესკოს აღმასკომის თავმჯდომარე პრემ კირპალი. შემდეგ კი დაიწყო დელეგაციის მეთაურთა გამოსვლები. ჯერი საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელზეც მიდგა.

გიორგი ძოწენიძემ თავის სიტყვაში აღნიშნა იუნესკოს დადებითი წვლილი მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში, მეცნიერების, კულტურისა და განათლების დარგებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებაში. ამასთან ხაზი გაუსვა იუნესკოს გენერალური კონფერენციის მიერ აღრე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების დიდ მნიშვნელობას, განსაკუთრებით მშვიდობის განმტკიცების საკითხებში, მათ შორის ევროპაშიც და კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

* იუნესკოს წესდება ხელმოწერილი იყო ლონდონში 1946 წლის 4 ნოემბერს.



შემდეგ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ილაპარაკა იუნესკოს კარგ ტრადიციაზე, რაც გამოიხატება ხალხთა და სახელმწიფოებისა ტორიაში ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნაში: გაიხსენა, რომ იუნესკომ ძალად დონეზე მიიღო მონაწილეობა კარლ მარქსის დაბადების 150 და ვლადიმერ ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღონისძიებებში. გიორგი ძოწენიძემ გამოთქვა იმედი, რომ იუნესკო გამოეხმურება ისეთ ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს, როგორცაა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი.

4 და 5 ნოემბერს სიტყვებით გამოვიდა იუნესკოს წევრი სახელმწიფოების 40 წარმომადგენელი. სხდომის დასასრულ სიტყვა თქვა იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა რენე მაიომ. მან მადლობა გადაუხადა გამომსვლელებს და ხაზი გაუსვა, რომ იუნესკო არის და უნდა იყოს კიდევ საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტი. ამასთან რენე მაიომ განაცხადა, რომ მზად არის სახელმწიფოებთან შეთანხმებით შიილოს ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობენ იუნესკოს აქტიურ მონაწილეობას საერთო ევროპული თანამშრომლობის მოგვარებაში, რაც ამ ორგანიზაციის დიდი წვლილი იქნება ევროპის უშიშროების გახშტკიცებაში. „იუნესკოს საქმე განუყრელია ქვეყნებისა და ხალხების იმედებისა და ინტერესებისაგან“, — ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა.

საფრანგეთის მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდა იუნესკოს და საზეიმო სხდომის მონაწილეებს. 4 ნოემბრის საღამოს გამართა მიღება თეატრ „გრანდ ოპერაში“, ხოლო 5 ნოემბრის საღამოს კი რენე მაიომ ყველა მიგვიწვია დიდ მიღებაზე შაიოს სასახლეში.

სალაშოვდებოდა, როცა პონ-როილის სასტუმროდან მანქანებით სეხის მარცხენა სანაპიროს გავყევით. ჩამავალი მზის სხივებში სენატცივისფრად ლივლივებდა. ჩამოვიტოვეთ ბურბონების სასახლე და დასავლეთით კონტრაქტორში ვარაყშემოვლებული ეიფელის კოშკის შავი სილუეტი გამოჩნდა...

პარიზში ყოფნისას იუნესკოში მაჩუქეს წიგნი, რომელიც ამ ორგანიზაციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი და ერთი შეხედვით, უცნაური სათაური აქვს: „ადამიანთა შეგნებაში...“ ეს სიტყვები ამოღებულია იუნესკოს წესდების პრეამბულიდან. წიგნში მოთავსებულია იუნესკოს გენერალური დირექტორის რენე მაიოსაგან ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიმოხილვა 25 წლის მანძილზე, აგრეთვე 14 ნარკვევი, რომელთა ავტორები არიან მეცნიერების, კულტურისა და განათლების მოღვაწენი სხვადასხვა ქვეყნიდან. ეს ავტორები მონაწილეობდნენ ან ახლაც მონაწილეობენ იუნესკოს მუშაობაში. მინდა რამდენიმე ამონა-

წერი შოვიყვანო, რომლებშიც კარგად ჩანს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის როლი და მოწოდება:

„იუნესკო არ არის სასწავლო აკადემია, არც სამეცნიერო ლაბორატორია, არც ფორუმი სხვადასხვა თეორიათა და შეხედულებათა განსახილველად. ეს ორგანიზაცია შექმნილია კონკრეტული მოქმედებისათვის, თანამშრომლობისა და საერთაშორისო დახმარებისათვის მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგში“.

ატილიო დელ'ორო მაინი,
იუნესკოს გენერალური კონფერენციის
თავმჯდომარე

„მშვიდობის შენარჩუნება შეუძლებელია მხოლოდ კონტაქტების სრულყოფით, მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ ასეთ კონტაქტებს ძალუძთ შესუსტონ ომისაკენ გზის გამკვალავი ფაქტორების ზეგავლენა“.

ჩარლზ ფრენკელი,
კოლუმბიის უნივერსიტეტის
ფილოსოფიის პროფესორი

„იუნესკო არ არის განათლების მსოფლიო სამინისტრო, მაგრამ იგი თავის მუშაობაში განუწყვეტლივ უსვამს ხაზს „არადისკრიმინაციის“ კონცეფციას განათლებაში — კონცეფციას, რომელსაც უზარმაზარი მორალური ძალა აქვს... ადამიანის ყოველწიერი უფლებების განხორციელება ისე უნდა იყოს მიღწეული, რომ ამ უფლებებით სარგებლობა ყველამ ერთნაირად შეძლოს — აეთრებმა და შავებმა, ქალიშვილებმა და ქალებმა, ჰაბუკებმა და მამაკაცებმა“...

ლაიონელ ელვანი
ლონდონის უნივერსიტეტის განათლების
ინსტიტუტის დირექტორი

„ეროვნული პოლიტიკა მეცნიერებაში მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. სახელმწიფოებრივი პოლიტიკის იდეა 25 — 30 წლის წინ მრავალი პოლიტიკური მოღვაწისა და მეცნიერთათვის აბსურდული იყო, მაგრამ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გასაოცარმა მიღწევებმა აიძულა მსოფლიო გადაესინჯა ეს საკითხი“.

გ. კოვლა
იუნესკოს ბუნებისმეტყველებისა და
ზუსტ მეცნიერებათა დეპარტამენტის
ყოფილი დირექტორი

როდესაც იუნესკო იქმნებოდა, იგი უნდა ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლებისა და კულტურის დარგებში. ძოღვაწეთა ნაწილი შოითხოვდა მეცნიერების პრობლემათა შეტანასაც



ამ ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში. ამ საკითხის დადგენილება დასაქრელად დიდი როლი შეასრულა ცნობილმა ამერიკელმა ჰოლმსმა არჩიბალდ შაუ-ლიშიმ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე იყო. და აი, მოხდა ისე, რომ იუნესკოს პირველი გენერალური დირექტორი გახდა სწორედ მეცნიერი — ჯულიან ჰაკსლი.

იუნესკოს ერთ-ერთ დიდ მიღწევად 25 წლის არსებობის მანძილზე (1946 — 1971 წწ.) ითვლება „კაცობრიობის ისტორიის“ ექვსტომეულის შედგება და გამოცემა. ამ დიდი გამოკვლევის შესაქმნელად 18 წლის განმავლობაში შეშაობდა 1000 ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი, სხვა მეცნიერებათა წარმომადგენლები 62 ქვეყნიდან. ეს ისტორია ითვლის 7 ათას გვერდს და 885 ილუსტრაციას.

იუნესკო აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ფართოდ ცნობილ კულტურისა და ხელოვნების ძეგლების შესანარჩუნებელ სამუშაოებში. აი ზოგიერთი მათგანი: პართენონი (საბერძნეთი), აჯახთის გამოქვაბულები (ინდოეთი), უძველესი ქალაქები პერსეპოლისი და პასარპადი (ირანი), კაპადოკიისა და იზმირის ძეგლები (თურქეთი), პალმირას ნანგრევები (ერაყი), ბალბეკის ნანგრევები (ლიბანი), აღდგომის კუნძულის ქანდაკებები (ჩილე), მაიას ტაძრები ბოხაძპაკში (მექსიკა), ძეფის სასახლე აბომეაში (დაგომეა) და სხვა მრავალი. იუნესკომ ვენეციის კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების ცნობილ კამპანიაში თავისი წვლილი იმით შეიტანა, რომ შეადგინა ხელოვნების ხაწარმოებთა კატალოგი (22 ათასი დასახელებისა) და იმ სასახლეთა და ტაძართა სია (600 დასახელება), რომლებიც რესტავრაციას შოითხოვენ.

იუნესკო სარგებლობს საბჭოთა კავშირის აქტიური მხარდაჭერით. რადგან ეს უკანასკნელი ამ ორგანიზაციაში ხედავს საერთაშორისო თანამშრომლობის სასარგებლო ცენტრს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის არენას...

პარიზის „სტომაჟი“, მუზეუმები და კანთაონი

„შეტი სინათლე და სუფთა ფერები ცხოვრების ასახვაში“.
იმპრესიონიზმის დევიზი

ვცდილობ დავიძინო, მაგრამ პარიზში ჩასული კაცისთვის ძნელია ძილი. ლაბადას ვიცემევ და ქუჩაში გავდივარ სასეირნოდ. ვგრძნობ,



რომ სასტუმროდან ვილაც მომდევს, ალბათ იმ „ვილაცას“ აინტერესებებს, სად მივიღივარ მარტოდმარტო გვიან ღამით. სენ-ჟერმენის ბუღევარს მივუყვები, გზადაგზა ვჩერდები და ვათვალისწინებ პატარ-პატარა ვიტრინებში გამოფენილ ნახატებს. იმ ვილაც დეტექტივს ბეზრდება ვითომ ჩუმი დევნა და თავს მანებებს. ალბათ მიხვდა, რომ ქუჩაში სასერიზოდ ვიყავი გამოსული და საფრანგეთის ხელისუფლების საწინააღმდეგო არაფერი მედო გულში. დეტექტივებს ხომ აქვთ რაღაც პროფესიული ალღო. კარგა ხანს მივსერიზობდი სენ-ჟერმენზე, მერე სან-მიშელის ბულვარის გადაკვეთამდე მივედი და ამ უკანასკნელს ხელმარცხნივ გავუყვები. გადავკვეთე სიტეს კუნძული და სევასტოპოლის ბულვარის დასაწყისში პატარა და ვიწრო ქუჩების ლაბირინთში აღმოვჩნდი. მიზნად მქონდა ლუერის სასახლისაკენ წასვლა და პონროილის ხიდით სასტუმროში დაბრუნება, მაგრამ გზა დამებნა ქუჩების ამ დახლართულ ქსელში, რომლებზეც უცნაური გამოცოცხლება იყო. მერე მივხვდი, რომ მოვხვდი პარიზის „სტომაქში“, ჰალეს ბაზარში, რომელსაც მთელ მსოფლიოში ჰქონდა სახელი განთქმული ფილმებითა და ფრანგი კლასიკოსების ნაწარმოებებით.

როდესაც კაცი უცხო ქვეყანაში მოხვდება, თუ სურს ერთბაშად და ღრმად გაეცნოს ამ ქვეყნის მკვიდრთა ცხოვრებას, ამისათვის საუკეთესო საშუალებაა დიდი ქალაქების ბაზრების ხილვა. თუ აღმოსავლეთის ბაზარი საქვეყნოდ არის განთქმული თავისი მრავალფეროვნებით, სიუხვით, ფერთა საოცარი სიჭრელით, ევროპის ბაზრები უფრო რესპექტაბელური, შედარებით დინჯი და ერთფეროვანია. თუმცა თითოეულ ბაზარს თავისი განუმეორებელი სახე და კოლორიტი აქვს და ბევრი რამ საინტერესო შეიძლება ნახოს იქ კაცმა. ამაში მალე დავრწმუნდი. ვეებერთელა ქოლგებით შემომგებებნენ პარიზის ბაზრის უზარმაზარი პავილიონები. სწორედ ამიტომ შეარქვეს პარიზელებმა ამ ბაზარს „ბალთარის ქოლგებქვეშ“. ბალთარი ყოფილა არქიტექტორი, რომლის პროექტითაც 1851 წელს აუგიათ თოთხმეტი მაღალი პავილიონი. მაგრამ ბაზრის ისტორია აქედან არ იწყება.

1185 წელს ლუი VI ბრძანებით აქ აუგიათ რამდენიმე ფარული. გლეხებს ავალდებულებდნენ ჩამოეტანათ პროდუქტები ქალაქელი ხელოსნებისთვის. XIV საუკუნიდან ჰალეში სამარცხვინო ბოძიც დაუდგამთ და აქ სიკვდილითაც სჯიდნენ დამნაშავეებს. XVI საუკუნეში მოედნის კიდეში აუშენებიათ სენ-ოსტაშის ეკლესია. ამა-სობაში პარიზიც გაიზარდა, მალე იგი სენის მარჯვენა სანაპიროზეც გადავიდა და ჰალე ქალაქის ამ ნაწილის ცენტრად იქცა.

პარიზის სახელგანთქმული პრეფექტის ოსმანის აღმშენებელი

ხელი, გასულ საუკუნეში, ქალაქის ამ ნაწილსაც მისწვდომია: მასი/ განკარგულებით დაუნგრევიათ მოვაჭრეთა პატარა ფარდულეები და ღებნი და მათ ნაცვლად ეს დიდი პავილიონები აუგიათ. თანდათან იზრდებოდა და მალე რამდენიმე მიმდებარე კვარტალი მოუცავს. დღისით ქუჩებში დასრიალებდნენ მანქანები, მიიჩქაროდნენ ადამიანები, ერთი სიტყვით, დღისით პალე წარმოადგენდა პარიზის ერთ-ერთ ჩვეულებრივ უბანს. ღამით კი ყველაფერი იცვლებოდა, ბაზარი მოიცავდა 25 ჰექტარ ფართობს; აქეთ მომავალ ქუჩებზე ჩნდებოდა ნიშნები: „შესვლა აკრძალულია“. და ვერც შედიოდნენ მანქანები, რომლებსაც არ ჰქონდათ სპეციალური საშვი. მოდიოდნენ რეფრიჟერატორები, ვეება საბარგო მანქანები, ავტოფურგონები, რომელთა რაოდენობა ღამის განმავლობაში 10 ათასს აღწევდა და მოჰქონდათ დედაქალაქის მეორე დღის ულუფა. ეს ულუფა კი ძალიან დიდი იყო: 1000 ტონა ხორცი, 500 ტონა თევზეული, 4000 ტონა ბოსტნეული და ხილი, 300 ტონა ფრინველის ხორცი, 270 ტონა ყველი. წლის განმავლობაში ბაზარში შემოჰქონდათ 400 მილიონი ლიტრი რძე...

ღამის სამ საათზე იწყებოდა საბითუმო ვაჭრობა. აქ ყველა სახეობის პროდუქტს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ყუთებს ეწერა ქვეყნების სახელები, საიდანაც გამოგზავნილი იყო ესა თუ ის სახეობა პროდუქტისა: ევროპის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, აშშ-დან, საფრანგეთის სხვადასხვა პროვინციიდან. ლესკოს, პრემისა და კოსონრის ქუჩებზე გამოფენილი იყო მხოლოდ ყველი: როკფორი, ბრი, გრიუერი, პარმეზანი, კამამბერი... ამბობენ, რომ საფრანგეთში ყველის 350 სახეობას ამზადებენო...

ირგვლივ ახლად დაკლული ხორცისა და სისხლის სუნი ტრიალებდა. ვუყურებდი ჩანგლებზე ასეულობით ჩამოკიდებულ ნაკლავებს, ძროხებს, ღორებს, ცხვრებს, დახატულებს რომ ჩამოჰგავდნენ და მეძნელობდა იმის წარმოდგენა, რომ ეს იყო პარიზის სახვალის ულუფა. ისევე, როგორც სხვაგან, აქაც შევამჩნიე, რომ ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობა ნდობაზე იყო აგებული. მოსული მანქანების მძღოლები დაკვეთის ფურცელს აძლევდნენ განმკარგულებელს, ისიც მაშინვე უხმობდა თავისთან რამდენიმე მტვირთავ მუშას და დაკვეთის მიხედვით სწრაფად ივსებოდა მანქანის ძარა ნაკლავებით. მძღოლები არც უყურებდნენ, არც ითვლიდნენ, არც სწონიდნენ, არც ექსპედიტორები ევლათ გვერდით. აი, როგორ აღწერს ამას პარიზის დიდი მცოდნე, მწერალი ვიქტორ სიტინი, როდესაც თავის მეგობარ გიორგი ლეზგინცევთან ერთად დაათვალიერა პარიზის „სტომაქი“:

„მძლოლმა მოახლოებულ ბრგე, კისრამდე წინსაფრიან და მუხარადიან კაცს ქალაღდი გაუწოდა, ალბათ, შეეკვეთა. შემდეგ სავარძელზე გადაწვა და გააბოლა. ბრგე კაცმა ხელების ქნევა დაიწყო, თანამემწეებს უხმობდა და მათთან ერთად, თითქოს თამაშით, სამ წუთში ჩაყარა ფურგონში რამდენიმე ათეული ცხერის, ღორის, ვეებერთელა ხარისა და კიდევ რაღაც პატარა ზომის ნაკლავები. მძლოლი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მათ მუშაობას და იმასაც, რაც ირგვლივ ხდებოდა. იგი ისვენებდა. შემდეგ იმ ბრგე ნოქარმა ქალაღდი დაუბრუნა, ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, რაღაცაზე გაიცინეს და ავტოფურგონი წავიდა. მისი ადგილი იმავე წამს მეორემ დაიკავა.

— ენდობიან! — თქვა ლეზგინცემა. — მძლოლს ზომ არ დაუთვლია, რამდენი ჩაუწყვეს. ალბათ, იმ ბრგემ ხელი მოაწერა და ამით დამთავრდა. მეტის ჩაწყობა ხელს არ მისცემდა, ნაკლებისა — არ შეიძლება. თუ მოატყუა, ფირმა დაკარგავს კლიენტს“.

გავედი თევზეულის პავილიონში. მოწულ კალათებში ათასნაირი თევზი ეწყო. ზოგში ცოცხალი ომარები და ლანგუსტებიც მოჩანდნენ...

როდესაც შემდგომ ამ ბაზრის შესახებ ლიტერატურას ვეძებდი, ერთ საინტერესო ცნობას წავაწყდი, იმის თაობაზე, თუ როგორ იღებდნენ სამუშაოდ მტვირთავებს. მათ ბაზრის ფალავნებს უწოდებდნენ. წინათ ასეთი ხალხის შესარჩევად სპეციალური კონკურსი ცხადდებოდა, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: ამ სამსახურის პრეტენდენტს მხარზე უნდა მოეგდო ნახევარი ხარი — 200 კგ, წაეღო პავილიონში და კავზე ჩამოეკიდა: ეს პროცედურა ზედიზედ მეორდებოდა 10—15-ჯერ. პარიზის „სტომაქის“ ფალავნებს რამდენიმე საუკუნის მანძილზე საპატიო მოვალეობაც ჰქონდათ, მათ ხელით უნდა წაესვენებინათ საფრანგეთის გარდაცვლილი მეფის ცხედარი სასახლიდან სენ-დენის სააბატოში, მეფეთა საძვალეში. მაგრამ მას შემდეგ, რაც პალე რენეში გადაიტანეს, ეს ღონიერი ადამიანები უსაქმოდ დარჩნენ, რადგან ახალ „სუპერმარკეტში“ ისინი ავტომტვირთავებმა შეცვალეს...

სასტუმროსაკენ მიმავალი ბაზრის მახლობელ ვიწრო ქუჩებში ვხედავდი გაჩირადნებულ ბისტროებს, რომლებშიც საკმაო ხალხი იყო. ბაზრისკენ მიიჭაროდნენ მანქანები და დაძონძილი ადამიანები — კლოშარები, პარიზის ფსკერის ეს საცოდავნი, უმუშევარნი და მოხეტიალენი, რომლებიც დილით ადრე დაცარიელებულ ბაზარში ფუთფუთებდნენ და ჩანთებში აგროვებდნენ ზორცის ნაგლეჯებს, ძვლებს, დაგდებულ ვაშლს თუ ფორთოხალს, მერე კი ბაზრის ადმინისტრაციას რამდენიმე ფრანკის საფასურად ეხმარებოდნენ ბაზრის ტერიტორიის დასუფთავებაში. გარეთ კი, ვიწრო ქუჩებში, ბისტრო-



ებისა და პატარა რესტორნების წინ მთელი ღამე სეირნობდნენ ქუჩა-ქუჩა ფსკერის სხვა წარმომადგენლები — გზას აცდენილი ქალები, მკვრივ ბიცი იშვიათ მგზავრს ედევნებოდნენ და ჩახლენილი, ძილმორეული ხმით ევეღრებოდნენ: „მუსიე, ალონ ავეკ მუა“*...

ორიოდე წლის შემდეგ პარიზს მესამედ რომ ვეწვიე, „სტომაქი“ აღარ დამხვდა. ქალაქის მუნიციპალიტეტს 14 ხმის უპირატესობით მიეღო გადაწყვეტილება ბაზრის გადატანის თაობაზე სამხრეთ გარეუბანში, აეროპორტ ორლის მახლობლად. თითქმის ორი წელი გრძელდებოდა დავა ამ ბაზრის ყოფნა-არყოფნის შესახებ. ჰალეს გადატანას თავისი ახსნა აქვს: 100 წლის წინ, როდესაც ამ ბაზრის პავილიონები ააგეს, პარიზში და მის გარეუბნებში 2 მილიონი კაცი ცხოვრობდა. ამჟამად კი დიდ პარიზში, რომელსაც 1450 კმ² ფართობი უკავია, 9 მილიონამდე მცხოვრებია. 1990 წლისათვის პარიზს დაჭირდება დღე-ღამეში 11 ათასი ტონა პროდუქტი (გარდა ხორცისა და ფრინველისა), არსებობის უკანასკნელ წლებში კი ეს ბაზარი ყოველ ღამე ატარებდა 5 ათას ტონა პროდუქტს. ჯერ კიდევ 1959 წელს გადაუწყვეტიათ ხორცის პროდუქტების ბაზრის გადატანა პარიზის ჩრდილოეთით, ლავილეტის გარეუბანში, რენჟიში კი, ორლის მახლობლად უნდა გადაეტანათ ბოსტნეულის, ხილის, რძისა და თევზეულის საბითუმო სავაჭრო ცენტრი.

ამჟამად რენჟის ახალ სავაჭრო ცენტრს უკავია 500 პექტარი ფართობი. ესაა უახლესი ტიპის სუპერმარკეტი, მსოფლიოში ყველაზე დიდი, თვით ნიუ-იორკის ცნობილ სუპერმარკეტზე მსხვილი, აღჭურვილი უახლესი ტექნიკით.

მუნიციპალიტეტმა კონკურსი გამოაცხადა ჰალეს ბაზრის ნაალაგვეის განაშენიანების პროექტზე. ამ კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ისეთმა დიდმა და ცნობილმა არქიტექტორებმა, როგორიცაა ჯონსონი, უოტსონი, ქალაქ ბრაზილიის პროექტის ავტორი ოსკარ ნიმაიერი (რომლის პროექტით აშენებულია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა) და სხვანი. გადაწყდა, ბაზრის რაიონში გაშენდეს დიდი სკვერი, აიგოს რკინაბეტონისა და მინის შენობები, ბანკები, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, რესტორნები, კაფეები, საგამოფენო გალერეები... ასე გაქრა უკვალოდ პარიზის „სტომაქი“, რვა საუკუნის ჰალე, რომელიც შესანიშნავად აქვს აღწერილი ჰიუგოს, ბალზაკს, დოდეს, ზოლას, არაგონს, ბრეტონს, პრევერს და სხვათა...

*ფრანგულად — ბატონო, წამოდი, ჩემთან.

დილით საბჭოთა საელჩოს ვეწვიეთ გრანელის ქუჩაზე. ყველა წმინდანის დღესასწაული სამ დღეს გრძელდება და დაწესებულებები მათ შორის იუნესკოც, არ მუშაობენ, მაგრამ ჩვენ ვმუშაობთ იუნესკოს საბჭოთა წარმომადგენლობაში.

დღის 2 საათზე საელჩოს თანამშრომლები სადილად ბასკების რესტორანში გვიწვევენ, რომელიც ახლოს, კაპიტნის ქუჩის ბოლოშია, საცხოვრებელი სახლის მერვე სართულზე. ერთნულ ტანსაცმელში გამოწყობილი უღვაშიანი, წითელლოყება და ცისფერთვალება ოფიციანტები ისე ჩამოჰგავდნენ იმერლებს, მეგრელებს და გურულებს, ძლივს ვიკავებდით თავს, რომ ქართულად არ გავსაუბრებოდით. ამას ისიც დაემატა, რომ ერთმა მათგანმა გვითხრა, ღვინო რამდენიც გნებავთ თვითონ ჩამოისხითო. პატარა დარბაზში რამდენიმე ხის კასრი იდგა და ჩვენ თიხის ლიტრიანი ტოლჩები გავავსეთ შავი და ვარდისფერი ღვინით. ამ რესტორანში სამნაირი მენიუა, ფასი ყველას ერთნაირი აქვს; ამ ფასში შედის ღვინოც; მნიშვნელობა არა აქვს, ბევრს დაღევ თუ სულ არ დაღევ.

სადილის შემდეგ კვლავ წარმომადგენლობაში განვაგრძობდით მუშაობას. საღამოს 6 საათზე კი საბჭოთა საელჩოსკენ გავეშურეთ, სადაც დარბაზობა იწყებოდა.

რამდენიმე დიდ დარბაზში გრძელ მაგიდებზე ეწყო ათსნაირი ბუტერბროდები, სასმელები, ხილი. უამრავი სტუმარი მოვიდა. მათ შორის მარინა ვლადი, ყაქ დიუკლო, რენე შაიო, საფრანგეთის მინისტრები, სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები, მრავალი ქვეყნის ელჩები და საელჩოების თანამშრომლები, გამოჩენილი რეჟისორები და მსახიობები. აქვე იყვნენ საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარე რომანოვი და სერგეი ბონდარჩუკი. გამაცნეს ყაქ დიუკლო. ეს საოცრად დაბალი ტანის მოხუცი კაცი ისე ენერგიული შესტიკულაციითა და სწრაფად ლაპარაკობდა, რომ უფრო იტალიელი გეგონებოდა, ვიდრე ფრანგი; ერთ ადგილზე არ ისვენებდა, დადიოდა, ხშირად ჩაერთვებოდა ჯგუფად მდგარი სტუმრების საუბარში, ხუმრობდა და გულიანად იცინოდა...

გვიან საღამოს დავიშალეთ. დელეგაციის წევრები სასტუმროში ისვენებდნენ. ღამის ათ საათზე სასტუმროდან გამოვედი.

პარიზის ქუჩები თავისებურადაა განლაგებული. ქალაქის გეგმაზე ობობას ქსელივითაა დახლართული განიერი პროსპექტები და ვიწრო ქუჩები. სენის სანაპიროზე გავედი, გადავკვეთე ანატოლ ფრანსისა და ვოლტერის ქუჩები და პონ-როიალის ხილით ლუვრის სასახლის ბაღს მივადექი.

მივსერირობ ტიულერის პარკის მთავარ ხეივანში, რომლის ბოლოშიც რეაქტობა აუზია. ამ პარკში მრავალი ქანდაკებაა; აუზის მარჯვენა მწვეანეში ჩაფლული ორსართულიანი შენობაა. ოდესღაც აქ პარიზის არისტოკრატიის ბურთის სათამაშო დარბაზი იყო, ახლა კი გახსნილია ლუერის განყოფილება — იმპრესიონისტების მუზეუმი.

პირველივე მოზრდილ დარბაზში იმპრესიონისტების სკოლის ფუძემდებლის ედუარდ მანეს ნამუშევრებია გამოფენილი. „მეტი სინათლე და სუფთა ფერები ცხოვრების ასახვაში“, ასეთი იყო იმპრესიონისტების დევიზი, კრედო; აი საყოველთაოდ ცნობილი ტილოებიც: „საუზმე ბალახზე“ და „ოლიმპია“, ემილ ზოლას პორტრეტი. ეს უკანასკნელი წერდა: „მე ვიცავდი მანეს ისევე, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე დავიცავ ყველა მამაც პიროვნებას, ვისაც კი თავს ესხმიან“. ვინ ესხმოდა თავს მანეს და ვისგან იცავდა მას ზოლა?

გასული საუკუნის 60-იანი წლები არა მარტო პოლიტიკური, ხელოვნების მიმდინარეობათა შორისაც ცხარე ბრძოლების წლები იყო. ეს ბრძოლა განსაკუთრებით იჩენდა თავს პარიზში, სადაც აკადემიური ფერწერული სკოლის წარმომადგენლები გააფთრებით იბრძოდნენ ყოველი ახალი მიმდინარეობის წინააღმდეგ. ახალგაზრდა იმპრესიონისტებს სათავეში ედგა ედუარდ მანე. 1866 წელს პარიზის დიდ გამოფენაზე, რომელიც „აკადემისტების“ ხელში იყო, არ მიიღეს მანეს ნამუშევრები. ემილ ზოლა გამოეჭომაგა მხატვარს და გაზეთებში ბეჭდავდა წერილებს, რომლებშიც იცავდა მანეს; მიუხედავად ამისა, ერთი წლის შემდეგ კვლავ პარიზში გამართულ მსოფლიო გამოფენაზე მანე არ დაუშვეს. ამის საპასუხოდ მხატვარმა თვითონ გახსნა თავისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა მსოფლიო გამოფენის მახლობლად. პატარა დაჭირავებულ დარბაზში მან გამოიტანა 50 ტილო, მათ შორის „საუზმე ბალახზე“, „ლოლა და ვალენსია“, „კონცერტი ტიუილის ბაღში“. ამ პერიოდში ზოლა ძლიერ იყო დაკავებული რომანით „ტერეზა რაკენი“. მაინც მოიცალა და დაწერა ბროშურა მანეზე, სადაც საერთოდ იმპრესიონისტებს და მათ მამამთავარსაც იცავდა. „აკადემისტებმა“ სასტიკად გაილაშქრეს მანეს წინააღმდეგ კრიტიკოსებმა შეაჩვენეს „ოლიმპია“, როგორც პრიმიტიული ნამუშევარი. ემილ ზოლამ კი იწინასწარმეტყველა, რომ „ოლიმპია“ თავის ადგილს დაიკავებდა ლუერში. ასეც მოხდა.

ავდივართ მეორე სართულზე, სადაც გამოფენილია დეგას „აბსენტის მოყვარულები“, „მოცეკვავეები“, რენუარის „საქანელა“ და „მობანავე ქალები“, კლოდ მონეს „რუანის ტაძრის“ სერია, სეზანის „ბანქოს მოთამაშენი“, პეიზაჟები, გოგენის „თეთრი ცხენი“. სამწუხარ-



როდ, ვან გოგის ტილოების ადგილზე მათი პატარა ფოტორეპროდუქციები დაგვხვდა, რომელთა ქვეშ ეწერა, რომ ვან გოგის ნამუშევრები გაგზავნილია ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოფენაზე.

ფრანგები განსაკუთრებულ პატივს სცემენ კლოდ მონეს. მისი ნამუშევრების მეტი ნაწილი ექსპონირებულია უკვე სხვა შენობაში ამ მუზეუმის პირდაპირ, სენის ნაპირას მდებარე „ორანჟერის“ შენობაში, რომელიც წინათ ყვავილების სამეფო სანტრე იყო. უცნაური და მძიმე იყო კლოდ მონეს ბედიც. მას არ შეეძლო გაესტუმრებინა ვალები. იგი იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ იძულებული იყო თავისივე ძველი ნახატებიდან ჩამოეფხიკა საღებავები, რათა იმავე ტილოებზე შეექმნა ახალი ნაწარმოებები. მონე ხშირად ვერ ხატავდა, რადგან არ გააჩნდა ფული საღებავების შესაძენად.

ასეთი ყოფილა გენიოსთა ბედი, დიდი ადამიანების ხვედრი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) — გაჭირვება, შიმშილი, მძიმე პირადი ცხოვრება, სიკვდილის შემდეგ კი — უკვდავება.

ონორე დომიე — მუშის შვილი, ბავშვობიდანვე შრომობს ლუკმა პურის საშოვნელად, მუშაობს შიკრიკად სასამართლოში, გამყიდველად წიგნის მაღაზიაში, თან ხატავს პირდაპირ ქუჩაში. მერე იწყება პოლიტიკური კარიკატურები. მუშის შვილი დასციინის მეფე ლუი-ფილიპეს, რომელსაც ხატავს ჯალათის როლში, ციხის ექიმის როლში, მოუთმენლად რომ ელოდება ბარიკადული ბრძოლების მონაწილე პატიმრის სიკვდილს. მხატვარი 1832 წელს 6 თვით ჩასვეს სენ-პელაჟის ციხეში და 600 ფრანკი ჯარიმაც გადაახდევინეს. მერე კი, 1863 წელს საპატიო ლეგიონის ორდენს აძლევდნენ, მაგრამ ამ ორდენის მიღებაზე უარი თქვა (ასე არ გააკეთა კურბემაც?); სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი დაბრმავდა. დომიეს საფლავი პიერ-ლაშეზის სასაფლაოზეა, კოროს გვერდით, რომელიც ერთი იმ მეგობართაგანი იყო, ვინც დიდად აფასებდა სამი ათასი ლითოგრაფიის ავტორის ფერწერულ შემოქმედებას; ბალზაკი კი დომიეს ტემპერამენტით მიქელანჯელოს ადარებდა. ონორე დომიეს 1978 წელს დაბადების 170 წელი, ხოლო 1979 წელს გარდაცვალების 100 წელი შეუსრულდა.

პოლ გოგენი — ამ დიდი შემოქმედის მთელი ცხოვრების არსი თითქოს მის უმთავრეს ნაწარმოებშია გამოხატული, რომელსაც ფილოსოფიური სახელი დაარქვა: „საიდან მოვდივართ? ვინა ვართ? საით მივდივართ?“ იგი იძულებული იყო სამშობლოს გარეთ ეძებნა სიმშვიდე, რეალური ცხოვრების სილამაზე. დომინიკის კუნძულზე თავისი ნებით „გადასახლებული“ ადგილობრივ მკვიდრთა მიმართ სიმპათიების გამო მუდმივ კონფლიქტში იყო კოლონიურ ხელისუფლებასთან. დაავადმყოფ-



ფებულ, 55 წლის „მოხუცს“ სამი თვის ციხე და 1000 ფრანკი გადახდა მიუსაჯეს. მან ამ განაჩენის გაპროტესტებაც კი ვერ მოასწრო, ისე გარდაიცვალა.

მსგავსი მაგალითები კაცობრიობის კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში უამრავია. არსებობდნენ მეცენატებიც, ძლიერნი ამა ქვეყნისა, რომლებიც ხელს უწყობდნენ შემოქმედთ, მაგრამ ესეც ხშირ შემთხვევაში გამოწვეული იყო საკუთარი თავის განსაღიღებლად და უკვდავსაყოფად. იმ შემოქმედთა რიცხვი კი, ვინც ამ მეცენატთა მფარველობით სარგებლობდა, ძალზე მცირე იყო. უმრავლესობას ფიროსმანის ბედი ჰქონდა და შედეგებს ვახშმის საფასურად ქმნიდნენ... იგივე კლოდ მონე თავის მეგობარ, მხატვარ ბაზილს წერდა: „რენუარს სახლიდან მოაქვს ჩვენთვის პური, რომ შიმშილით არ დავიხოცოთ. მთელი კვირა უპუროდ, ბუხარში უცეცხლოდ, უსინათლოდ — ეს საშინელებაა.“ და ეს ის კლოდ მონე იყო, რომლისგანაც მოდის იმპრესიონიზმი. 1874 წელს მონეს წინადადებით ფოტოგრაფ სადარის სახელოსნოში მოუწყვიათ მხატვართა ერთი ჯგუფის ნამუშევართა გამოფენა. ერთი რეაქციონერი კრიტიკოსი აღშფოთებულა წარწერით მონეს ერთ-ერთ ნახატზე: „შთაბეჭდილება. მზის ამოსვლა“, და ხმა-მალლა, ზიზღით წამოუხსვრია — „იმპრესიონი“ რაც ფრანგულად შთაბეჭდილებას ნიშნავს. ამის შემდეგ მხატვართა ამ ჯგუფისათვის იმპრესიონისტები უწოდებიათ და ფართოდ ცნობილი მიმდინარეობაც წარმოიშვა ხელოვნებაში — იმპრესიონიზმი...

ტიულერის ცენტრიდან გავდივარ პარიზის ცენტრალურ, თანხმობის მოედანზე, რომელიც 1757 წელს დაუპროექტებია ცნობილ არქიტექტორს გაბრიელს. აქ გრანიტის კვარცხლბეკზე აღმართული ქალების სკულპტურები მიძღვნილია საფრანგეთის რვა უმთავრესი ქალაქისადმი. ესენია: ბორდო, მარსელი, ლიონი, რუანი, ბრესტი, სტრასბურგი, ნანტი და ლილი. მოედნის ცენტრში დგას 1830 წელს ეგვიპტიდან ჩამოტანილი ლუქსორის მოყვითალო ობელისკი. ამ მოედანს თავდაპირველად ლუი XV სახელი ერქვა, შემდეგ ლუი XVI, მერე რევოლუციის.

თანხმობის მოედნიდან იწყება პარიზის მთავარი პროსპექტი „შამპს ელიზ“, ანუ ელისეს მინდვრები, რომლის დასაწყისში აღმართულია მარლის ცხენების ორი ქანდაკება. მოედნის პირას ორი შენობაა, ერთში საზღვაო სამინისტროა, მეორეში — სასტუმრო „კრიიონი“. სწორედ ამ სასტუმროს წინ მდგარა საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში გილიოტინა.

მივსერიანობ ელისეს მინდვრებზე. მისი სიგრძე ორი კილომეტრია



თანხმობის მოედნიდან დე გოლის მოედნამდე, სიგანე კი 70 მეტრი. ამ ფართო და გაჩირაღდებული პროსპექტის ორივე მხარეს მიუყვება მაღალი ქადრები. პროსპექტს თითქმის შუა ნაწილში ყოფს პატარა ოვალური მოედანი, რომელსაც რონდ პუანი — მრგვალი წერტილი ეწოდება. თანხმობის მოედნიდან აქამდე შენობები თითქმის არ არის და მთელი ეს გზა ძველ პარკზე გადის; სამაგიეროდ, „მრგვალი წერტილიდან“ დე გოლის მოედნამდე ჩამწყობებულია 6—7-სართულიანი შენობები ფართო ტროტუარებით, ათასნაირი ფერადი ვიტრინებით, კინოთეატრებით, კაფე-კაბარეებით, გაზეთების რედაქციებით. აქვეა საფრანგეთის პრეზიდენტის რეზიდენციაც. ამ ქუჩაზე გაცილებით ძვირია ყველაფერი, ვიდრე ქალაქის სხვა ნაწილებში, ბინაც, სასტუმროც, კინოს ბილეთიც...

... დღეს რამდენიმე საათი თავისუფალი მაქვს. სასტუმროდან გამოვდივარ და კვლავ სენ-ჟერმენის ბულვარზე მივსერიწობ. ცოტა ხნით ვჩერდები პარიზის ერთ-ერთ უძველეს ტაძართან; ესაა სენ-ჟერმენ დე პრე. სწორედ ამ ეკლესიის სამრეკლოზე ჩამოჰკრეს ზარი 1572 წლის 24 აგვისტოს ღამის 2 საათზე, რაც ჰუგენოტების გაქლეტის დაწყების ნიშანი იყო. აქედან დაიწყო ეკატერინე მედიჩის სასტიკი და ბოროტი ნებით მოწყობილი წმინდა ბართლომეს ღამე... გზის გაგრძელებაზე ერთმანეთის გვერდით ორი ცნობილი კაფეა — „ორი ნაშწვი“ და „ფლორა“. ამ კაფეებში იკრიბებოდნენ ცნობილი მწერლები და მხატვრები, აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს ჰემინგუეი, ერენბურგი, ფიც-ჯერალდი, რემარკი, სხვანი და სხვანი.

ჩავუხვიე სან-მიშელის ბულვარზე, რომელსაც პარიზელები შემოკლებით „ბულმიშს“ ეძახიან, გავუარე სორბონას და აი, სუფლოს ქუჩაც; იგი პირდაპირ პანთეონის მოედანს აწყდება, რომელზეც წმინდა ენევიევის ეკლესია დგას. ქუჩა სწორედ იმ არქიტექტორის სახელს ატარებს, რომლის პროექტითაც ეს ეკლესია აუშენებიათ 1764 — 1790 წლებში. იგი მოქცეულია სორბონასა და ჰენრიხ IV ლიცეის შორის. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდში სენ-ენევიევის ეკლესია პანთეონად გადაუკეთებიათ... და აჰა, აღსრულდა კიდევ ერთი ოცნება და ფეხაკრეფით დაედივარ უდიდესი ადამიანების სამყაროში, ადამიანებისა, რომლებიც ებრძოდნენ ტირანიას, უმეცრებას და თავიანთი გენიის ცეცხლით მომავლის გზას უნათებდნენ კაცობრიობას...

აქ განისვენებს ვოლტერი, რომელიც ამბობდა: „ყველაზე დიდი ბოროტება არის ომი!“ ჰიუგომ კი ასე თქვა ვოლტერზე: „იგი მიდიოდა და თან მიჰყვებოდა წყევლა-კრულვა და კურთხევა, — წყევლა-კრულვა წარსულისა და კურთხევა მომავლისა... სასიკვდილო სარეცე-



ლზე მწოლს ესმოდა ერთი მხრიდან თანამედროვეთა ოვაციები, მეორე მხრიდან კი კიჟინა და სიძულვილის გუგუნი, რასაც წარსულს დასცემს მათ, ვინც მას ებრძოდა“.

საეკლესიო ხელისუფლებმა ნება არ დართეს გარდაცვლილი ფილოსოფოსის დაკრძალვისა, რადგან იგი შეურიგებელი იყო კათოლიკურ ეკლესიასთან და „ცოდებები“ არ მონიანია. ეკლესიის მესვეურთ მხარი დაუჭირა მთავრობამაც და მისი სახელის ხსენებაც კი აკრძალა პრესაში. ვოლტერი მათ სიკვდილის შემდეგაც კი თავზარს სცემდა.

...პარიზიდან შამპანისკენ მიმავალი გზის სადარაჯოს მიუახლოვდა ცისფერი კარეტა, რომელსაც პარიზში ყველა იცნობდა. სულ ორიოდე თვის წინ ხალხით სავსე პარიზის ქუჩებში ძლივს იკვლევდა გზას ვარსკვლავებით მოჭედილი ეს ცისფერი კარეტა, „გაუმარჯოს ვოლტერს!“ — ყვიროდნენ პარიზელები და ჩირაღდნებით უნათებდნენ გზას თავის პატრიარქს, რომელიც იმ საღამოს თეატრში გვირგვინით შეამკეს... სწორედ ეს ცისფერი კარეტა მიუახლოვდა სადარაჯოს 1778 წლის 31 მაისის ღამით. დარაჯებმა კარეტის კარი გააღეს და დაინახეს სიღრმეში მჯდომი მძინარე მოხუცი. აქეთ-იქით მსხდომთ ეღვიძათ. ერთი მათგანი იყო ვოლტერის დისწული აბატი მინიო. კარეტა ადგილიდან დაიძრა და დიდი ხნის ჭენების შემდეგ მიალწია შამპანში სელიერის სააბატოს, რომლის პრიორმა პანაშვიდი გადაიხადა და ვოლტერი დაასაფლავეს. მეგობრებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ და სადარაჯოზე მძინარე, ავადმყოფ მოხუცად მოაჩვენეს გუშაგებს გარდაცვლილი ვოლტერი. მეორე დღეს კი პარიზიდან მოვიდა ბრძანება მისი დაკრძალვის აკრძალვის თაობაზე, მაგრამ გვიანლა იყო.

რუსეთის ელჩი საფრანგეთში, თავადი ბარიატინსკი ეკატერინე მეორეს სწერდა ვოლტერის გარდაცვალების გამო: „მღვდლები უხამს სიხარულს ამქალაქებენ. ისინი იმეორებენ იმპერატორ ვიტელიუსის სიტყვებს: მტრის გვამს კარგი სუნი ასდისო; მაგრამ მას, ვინც მათ სძულდათ, უკვე აღარ ეშინია ამათი უძლური ღვარძლისა და ისღა დარჩენიათ, რომ მის საფლავთან სიბრაზისაგან ითრთოლონ“.

გონების თვალთ ვხედავ 1791 წლის ივლისის ცხელ დღეს, როდესაც ვოლტერის ნეშტი სააბატოდან აქ გადმოასვენეს. ნეშტს მოაცილებდნენ ეროვნული გვარდიის რაზმები, რევოლუციური კლუბების დელეგატები, სენ-ანტუანის რაიონის მუშები, კაცები, ქალები, ბავშვები... მთელი პარიზი ეგებებოდა თავის კერპსა და ქომავს. ხალხის თავზე თეთრი გემივით ქანაობდა მარმარილოს ვოლტერი, „ფერწეულ პატრიარქი“ უკანასკნელი ღიმილით, რომელიც ასე ჯადოქრული ოსტატობით აღბეჭდა ქვაში გუდონმა. პროცესიას თან თავისუფლების



ქანდაკეზაც მოჰქონდა; აქვე ექირათ რუსოს, მირაბოს, ფრანკლინის ბიუსტები, ოქროს ყუთში მოთავსებული ვოლტერის ნაწარმოებები. კატაფალკზე, რომელზეც სარკოფაგი იდგა, ეწერა: „მან გამოიწვია ადამიანის გონების მძლავრი აღმავლობა, მან ჩვენ მოგვამზადა თავისუფლებისათვის“...

აქვეა ქან-ჟაკ რუსოც, რომელიც ამბობდა: „ადამიანი იზადება თავისუფალი, მიუხედავად ამისა იგი ყველგან ბორკილებშია“. „გენი-ალურმა პლებემ“, რომელმაც ხმამაღლა გამოთქვა ჩაგრული მასების მოთხოვნები, ევროპის ყველა სახელმწიფოს პრივილეგირებული ფენების სიძულვილი და გულისწყრომა გამოიწვია. ბომარშესავით მესაათის გულფიცხმა, ამაყმა და კეთილშობილმა შვილმა, რომელიც უარს ამბობდა ლუი XV-ის მიერ შეთავაზებულ პენსიაზე, ლიტერატურულ ჰონორარებზე, სიცოცხლის უკანასკნელი წლები უკიდურეს გაჭირვებაში გაატარა და ცხოვრობდა ნოტების გადაწერით (10 სუ ერთ გვერდში), თუმცა კი ვოლტერთან ერთად მსოფლიო ალაპარაკა. „მე მძულს ძლიერნი ამა ქვეყნისა, — ამბობდა იგი, — მძულს მათი მდგომარეობა, სისასტიკე, ცრურწმენანი, მეწვრილმანეობა და მათი ყველა ბიჭიერება, და მე უფრო მეტად შემძულდებოდნენ ისინი, ასე ძლიერ რომ არ მეზიზღებოდნენ“. უცნაური დამთხვევა იყო, რომ ვოლტერი და რუსო ერთ წელს გარდაიცვალნენ, ბასტილიის ნანგრევებზეც ხომ ერთად დაწერეს აჯანყებულებმა მათი სახელები...

აქვე განისვენებს ემილ ზოლას ნეშტიც. სწორედ ჩვენი იქ ყოფნის დროს გადიოდა პარიზის ეკრანებზე „ჟერმინალის“ მიხედვით გადაღებული ფილმი. ეს ფილმი გადაეღო ცნობილ ფრანგ კინორეჟისორს ივ ალეგრეს კინოვარსკვლავ კატრინ სპააკის მონაწილეობით. ფილმის რეკლამაზე მსხვილი ასოებით ეწერა: „ზოლას ამ დიდებულ რომანს კითხულობდნენ: პაპი პიუს XII, პრეზიდენტი ჟონ კენედი, ჩავაპარლალ ნერუ“. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა პარიზის მკვიდრთა გონებამახვილობა: ვიღაც აღმფოთებულ მაყურებელს სენანის დამთავრების შემდეგ რეკლამაზე მსხვილად მიეწერა: „სამწუხაროდ, ეს რომანი არ წაუკითხავთ არც ივ ალეგრეს და არც კატრინ სპააკს“.

აი ვიქტორ ჰიუგოც. ჟან-ჟაკ რუსოს აკლდამის გვერდით. „ტრიბუნი და პოეტი, იგი გრგვინავდა სამყაროს თავზე ქარიშხალივით და აცოცხლებდა ყველაფერს, რაც მშვენიერია ადამიანის სულში. იგი ადამიანებს ასწავლიდა სიცოცხლის, სილამაზის, საფრანგეთის სიყვარულს“. — ასე წერდა მაქსიმ გორკი გიუნპლენისა და კვაზიმოდოს, ჟან ვალჟანისა და მირიელის, ჟილიატისა და გავროშის შემქმნელ მერტაკაცზე.

შეუძლებელია წარმოიდგინო თანამედროვე კაცობრიობის ინტელექტუალური ცხოვრება ჰიუგოს გარეშე. ეს იყო ადამიანი, რომელიც ფუნჯი, ლევ ტოლსტოის ერთ რომ ვთქვათ, ცოცხს უფრო წინაგვიდგას სწორედ ამ „ცოცხით“ ფანტავდა იგი წყვედიად და მთელი თავისი დიდი ცხოვრების მანძილზე ცდილობდა უკეთესი მერმისისკენ გაეცა-ფა გზა კაცობრიობისთვის.

პანთეონში ფეხაკრეფით დადიან; აქ არაფერს ყვებიან ექსკურსიამბოლოლები. უცნაური აღლვება გეუფლება; თითქოს არავის სურს მარადიული სიმშვიდე და მყუდროება დაურღვიოს კაცობრიობის უკეთესი მერმისისა და სიმართლისათვის ბრძოლების ქარცეცხლში მოქანცულ ადამიანებს, რომლებიც სიცოცხლის პერიოდშივე გასცდნენ მშობლიური ერის სიყვარულისა და აღიარების საზღვრებს და მსოფლიოს კუთვნილებად იქცნენ... იმიტომ განისვენებენ კაცმერთები პანთეონში, რაც „ყველა ღმერთების ტაძარს“ ნიშნავს...

...რადგან შოკლე გზა არ ვიცოდი, თანაც არსად მეჩქარებოდა, ტრიუმფალური თალიდან აღმოსავლეთით გავუყევი ელისეს მინდვრებს და გეორგ V ქუჩაზე ჩავუხვიე, ჩავუარე ამერიკულ ეკლესიას და აღმას მოედანზე გავედი. მოედანი სენის სანაპიროზე იყო და ამავე სახელწოდების ხიდს ერწყმოდა. გაღმა, ოდნავ მარჯვნივ, ეიფელის კოშკი მოჩახდა. სანაპიროს გავუყევი, რომლის ამ მონაკვეთს ნიუ-იორკის ავნიუ ჰქვია და მალე მივადექი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს

ავდივარ ფართო კიბეებზე. შესასვლელშივე ყურადღებას იპყრობს კედლებზე გამოსახული ადამიანების სხეულთა პირამიდების ბარელიეფები. პოლში ორი საოცრად კონტრასტული ქანდაკებაა, ერთია მაიოლის ახალგაზრდა ქალის შესანიშნავი სკულპტურა, მეორე კი ადანის „მწოლარე ქალი“, მაგრამ ქალი კი არა, რალაც უცნაური ცხოველია ბურთივით თავით და შკერდით. ამას მოყვება კონსტრუქციის ქილებისა და რკინის შესრების კონსტრუქციები, მავთულხლართები და სამკუთხედები, შოდერნისტ „ხელოვანთა შემოქმედების“ ნაყოფი.

თავისუფლად ამოისუნთქავ, როცა ფქრწერის დარბაზში ვახვალ-აქა გამოფენილი ალბერ მარკეს „ლამის პარიზი“, უტრილიოს „კოტენის ჩიხი“, „სახურავი“, სინიაკისა და ბონარის შესანიშნავი პეიზაჟები. შემდეგ დარბაზშიც დიდხანს ვრჩები, აქ უკვე პოსტიმპრესიონისტების ნამუშევრებია. ანრი მატისის ტილოებს ცელის პიკასოს შემოქმედება ამალელებული განწყობილება მეუფლება, შემდეგ დარბაზებში იგი კიდევ უხდა აძალდეს, განსაკუთრებით მატისის და პიკასოს მერე, მაგრამ ხდება პირიქით: მომდევნო დარბაზები კვლავ მოდერნიზმის წარმომადგენლებს დაუკავებიათ. ვკითხულობ გვარებს: ეორჟ ბრაკი, მეტ-

ცნე, სულაჯი, სონი დელონე... აქ მხოლოდ და მხოლოდ ფერების ფერიაა, გაუგებარი ლაქები და ხაზები, რკალები და წერტილები... და კვლავ თავისუფლად ამოისუნთქავ, როდესაც სალვატორ დალის დარბაზში გახვალ...

მუზეუმში ძალიან ცოტა ხალხი იყო. მცველებიც იშვიათად ჩნდებოდნენ. ვათვლიერებდი მუზეუმს და აღარ მიკვირდა გაზეთში ამოკითხული ცხობა, რომ სწორედ 1971 წელს პარიზის 36 მუზეუმიდან, 12 ციხე-დარბაზიდან, 211 ეკლესიიდან და 349 ათასი კერძო კოლექციიდან გაიტაცეს 1783 ნახატი... იქნებ ლუვრშიც ასეა?

პარიზში უაძრავი მუზეუმია, მათ შორის ასამდე საკუთარი. მაგრამ ლუვრი სულ სხვაა. იგი ხომ მსოფლიოს უდიდესი მუზეუმების კვარტეტში შედის ლენინგრადის ერმიტაჟთან, მადრიდის პრადოსთან და ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ — გარდენთან ერთად.

XIII საუკუნეში ლუვრის სასახლეში საფრანგეთის მეფეები ინახავდნენ გახმს და იარაღს, სამეფო არქივს. მომდევნო ხუთი საუკუნის მახდილზე მეფე მეფეს ცვლიდა და ლუვრიც იცვლებოდა, იზრდებოდა. მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან ლუვრი აღარ იყო სამეფო რეზიდენცია და წარმოადგენდა ფერწერისა და ქანდაკების სამეფო აკადემიის კუთვნილებას, სამეფო მხატვრული კოლექციების საცავს. 1791 წელს რევოლუციური კონვენტის დეკრეტით იგი გადაუქცევიათ ეროვნულ სამხატვრო მუზეუმად და ხალხისათვის მისი კარები გაუღიათ 1793 წლის 8 ხოვებერს. პარიზის კომუნის დღეებში მისი დიდი ნაწილი ხახძარს შთაუნქავს, გადარჩენილა მხოლოდ ორი ფლიგელი — მარსის და ფლორის პავილიონები. მე-19 საუკუნის 50-იან წლებში ლ. ვისკოტის და ე. ლეფიუელს მიუშენებიათ ე. წ. ახალი ლუვრი, შემდგომში სურათების გალერეა.

აქ ათი ათასზე მეტი დარბაზი და ოთახია. ამ ვეებერთელა სასახლის მეტი ნაწილი ეროვნულ მუზეუმს უკავია, სადაც ექვსი დიდი განყოფილებაა: ბერძნულ-რომაული, ეგვიპტური, აღმოსავლეთის ხელოვნების, ხალხური მხატვრული შემოქმედების, ქანდაკებისა და ფერწერის. მას შემდეგ, რაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ წლებში კონვენტმა ეს მუზეუმი დააარსა, აქაურ ოფიციალურ კატალოგებში უკვე 200 ათასზე მეტი ექსპონატი აღირიცხა და ვინ იცის, რამდენჯერ ამაზე მეტი ინახება სასახლის ყოფილ ციხეებსა და არსენალების შენობებში, საიდუმლო სარდაფებში. ამბობენ, 800 ათასზე მეტია!

ლუვრის მუზეუმის დათვლიერება რამდენიმე საათსა და დღეში კი არა, თვეებშიც კი შეუძლებელია. ამიტომ მან, ვინც რამდენიმე სა-



ათით ეწვევა ამ მუზეუმს, მხოლოდ ჩემსავით „სირბილით“ უნდა უაროს პირველივე სართულზე განლაგებულ ნიკესა და ვენერის სელის ქანდაკებებს, ასურელთა და ბაბილონის უსახელო ხელოვანთა ქმნილებებს. მიქელანჯელოს „მონებს“ და სხვა მრავალს.

და აი მეორე სართულიც, როგორც მას უწოდებენ, — დიდი გალერეა. აქ კედლები მთლიანად აქვს დათმობილი ფერწერას, თანაც როგორც: ლეონარდო და ვინჩი, ტინტორეტო, რაფაელი, კორეჯო, ტიცინი, ვერონეზე, ჯორჯონე, კარავაჯო, კაცობრიობის ამ უნიჭიერეს წარმომადგენელთა უკვდავ ქმნილებებს, უკვე ათასჯერ ნანახს რეპროდუქციების სახით, აქ სულ სხვაგვარად აღიქვამ. თითქოს ცოცხლებიან მათი ავტორები, აღორძინების ეპოქის ეს ბუმბერაზი ხელოვანნი. აი „ჯოკონდაც“, ტყვიაგუმბარ მინაში მოთავსებული. მის წინ მსხვილი თოკია გაბმული და იქვე ზის ქალბატონ „მონა-ლიზას“ პირადი მცველიც. 500 წელია იგი აჯადოებს კაცობრიობას. მისი თითქოს დამცინავი, საოცრად ცოცხალი სახე გიზიდავს ანდამატივით და სურვილი გეუფლება უფრო ახლოს მიხვიდე, კარგად შეხედო, მაგრამ წინ თოკი გეღობება და მცველიც ფხიზლადაა. აქვეა ლეონარდო და ვინჩის სხვა შედეგებიც — „მადონა მღვიმეში“, რომელიც როგორც სველეოლოგს ძალზე მაინტერესებს. სწორედ ამ ნახატში გამოუყენებია პირველად და ვინჩს სამკუთხედი კომპოზიცია, რაც შემდეგ აღორძინების ხანის ხელოვნების ქვაკუთხედად იქცა...

მეძნელება მოგწყდე, თვალი მოვაშორო ამ შედეგებს, მაგრამ რა ვუყო, წინ ბევრი სხვაცაა სანახავი და დრო კი ძალიან ცოტა მაქვს. გადავდივარ შემდეგ დარბაზებში და ისევ ბუმბერაზთა სახელები და მათი შემოქმედების ნაყოფი: რემბრანდტი, რუბენსი, ვან-დეიკი, დიურერი, ჰალსი, გოია, ბრეიგელი, დელაკრუა, დავიდი, კურბე...

გაკვირით ვათვალიერებ „აპოლონის დარბაზს“, სადაც გამოფენილია საფრანგეთის მეფეთა განძის ნაწილი: გვირგვინები, დაშნები, ჯვრები, ხანჯლები; ცალკეა მოთავსებული ვეებერთელა მოყვითალო ბრილიანტი — „რეგენტი“ ინდოეთიდან, რომელზეც უნივერსიტეტის მეორე კურსის გეოლოგებს ძალზე წარმტაცად გვიამბობდა მინერალოგიის ლექციებში პროფესორი გიორგი გვახარია.

გული მწყდება, როცა ლუვრიდან გამოვდივარ. ალბათ ყველას ეუფლება სურვილი უკან შებრუნდეს და კიდევ ერთხელ ნახოს „ნიკე“ მომტკრეული ფრთებით და „ვენერა მილოსელი“, რომელიც მარტოდმარტო დგას პატარა, მრგვალ ოთახში და გაბრმავებს სიქათქათით; ნახოს ფიდიუსის, პრაქსიტელისა და პოლიკლეტის ნამუშევრები, აღორძინების ეპოქის ქანდაკებები, რომლებიც საფრანგეთის მეფეების



პერცოვ მონმორანსების და რიშელიეს სასახლეებსა და პალატებს ამ-
შვენებდნენ და მხოლოდ ამ ქვეყნის დიდმა რევოლუციამ გახადა ისინი
ნი ხალხის თვალის ღირსად.

უცნაური შეგრძნებით, რალაც აფორიაქებული გავუყევი სენის
ნაპირს სასახლის გასწვრივ, სამეფო ხილით გადაყვანილ ანატოლ ფრან-
სის სანაპიროზე და ბაკის ქუჩით სასტუმროში დავბრუნდი...

სამხრეთ საფრანგეთის მთებზე და მღვიმეებში

„სითერთე შეენის მალალ მწვერვალებს,
ვით სასძლოს ფარჩა და აღმასებნი“.
გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი

საფრანგეთი სამართლიანად ითვლება სპელეოლოგიის სამშობ-
ლოდ. თვით ტერმინი „სპელეოლოგია“ ფრანგ არქეოლოგს ემილ
რივერს ეკუთვნის. ეს ის ემილ რივერია, რომელმაც დორდონის დე-
პარტამენტში, ლა-მუტის მღვიმეში 1895 წელს „სპელეოლოგიის“ შე-
მოღებიდან ორი წლის შემდეგ პალეოლითელი ადამიანის ნახატები
აღმოაჩინა. ამავე პერიოდში ინტენსიურ მეცნიერულ მოღვაწეობას
ეწეოდა ფრანგი გეოლოგი ედუარდ ალფრედ მარტელი, რომელიც
საფრანგეთისა და მსოფლიო სპელეოლოგიის მამადაა აღიარებული.
მარტელმა ამ საუკუნის დასაწყისში საქართველოშიც იმოგზაურა და
შემდგომ პარიზში სპეციალური წერილიც გამოაქვეყნა უფლისციხე-
ზე, ხოლო გაგრის ქედის ვრცელი, არაბიკის კირქვეული მასივის მღვი-
მეთა კვლევის შედეგებს თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში მოზრ-
დილი ცალკე თავი მიუძღვნა. დიდი აღიარება პოვეს აბატ ბრეილის,
დ. პეირონისა და ლ. კაპიტანის აღმოჩენებმა ფონდ-გომის მღვიმეებ-
ში 1901 წელს. ამ მღვიმეთა უძველეს მხატვრობას დღესაც საპატიო
ადგილი უკავია ძველი ქვის ხანის ხელოვნებაში.

დაბოლოს, საქვეყნოდ სახელგანთქმული ფრანგი სპელეოლოგი
ნორბერ კასტერე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სპორტულ სპელე-
ოლოგიას. უკანასკნელ 20 — 30 წლის მანძილზე საფრანგეთში გან-
საკუთრებით ფართოდ გაიშალა მეცნიერული კვლევები სპელეოლო-
გიისა და კარსტოლოგიის დარგებში. ამას ხელი შეუწყო ისეთი ცნო-
ბილი ფრანგი მეცნიერების მოღვაწეობამაც, როგორცაა ბერნარდ
ფეზი, ფელიქს ტრომბი, ჟან კორბელი, ალბერ კავაიე, მიშელ სიფრი
და სხვანი.

სპელეოლოგთა საერთაშორისო კონგრესებზე საფუძველი ჩაეყა-

რა საბჭოთა და უცხო ქვეყნების მეცნიერთა თანამშრომლობას, ამის
შედეგი იყო, რომ ჩვენი მოწვევით საქართველოში ჩამოვიდნენ საფრანგეთის
გეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ლიონის ჰიდროგე-
ოლოგიისა და კარსტოლოგიის ლაბორატორიის დირექტორი, იუნესკოს
ექსპერტი პროფ. ჟან კორბელი თავისი ორი თანამშრომლით. ჩვენ
შესაძლებლობა გვქონდა ერთად გვემუშავა არაბიკის მასივზე.

ფრანგ და ქართველ სპელეოლოგთა და კარსტოლოგთა ერთობ-
ლივი ექსპედიციის პერიპეტეიები მსოფლიოს ამ ურთულეს და ულა-
მაზეს მასივზე აღწერილი მაქვს ჩემს წიგნში „იდუმალი სამყაროს ბი-
ლიკებით“.

ახლა კი ჩვენი საპასუხო ექსპედიცია საფრანგეთში, სპელეოლო-
გიის სამშობლოში...

1969 წლის ოქტომბრის ერთ წვიმიან დღით სამგზავრო თვით-
მფრინავი შერემეტეევოს აეროდრომს მოსწყდა და გეზი ჩრდილო-
დასავლეთისკენ აიღო. მგზავრებს შორის ექვსი ქართველი იყო: საქარ-
თველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური საბჭოს
თავმჯდომარე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დედაძინის შემს-
წავლელ მეცნიერებათა განყოფილების გამგე, გეოლოგი, ცნობილი
მთამსვლელი და ჟურნალისტი კოტე ჯავრიშვილი, ამავე საბჭოს სწავ-
ლული მდივნები ინჟინერ-გეოლოგი კიაზო რაქვიაშვილი, წინამდე-
ბარე წიგნის ავტორი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გივი გიგინეიშვილი, გეოლოგიის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მირიან თოფჩიშვილი
და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის
მოადგილის თანაშემწე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ
გელეყვა, რომელმაც ყველა კონკურსი ბრწყინვალედ გაიარა და პა-
რიზს მიფრინავდა იუნესკოს შტაბ-ბინაში ვაკანტური ადგილის დასა-
კავებლად. ჩვენი ზუთეული კი, რომელსაც სსრკ მეცნიერებათა აკა-
დემიის დელეგაცია ერქვა და რომლის ხელმძღვანელობაც მე დამა-
კისრეს, პარიზის გავლით უნდა ჩასულიყო ლიონში; ჩვენ მიწვეულები
ვიყავით საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის
კარსტოლოგიისა და გეოჰიდროლოგიის ლაბორატორიის დირექტორის
მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერის, აწ განსვენებულ პროფ. ჟან
კორბელის მიერ.

ჩვენი კომფორტაბელური ლაინერი ბალტიის თავზე მიფრინავდა.
რვა კილომეტრის სიმალიდან დავცქეროდით ხმელეთსა და ზღვას. გუ-
მოიდარა და ოქტომბრის მზემ ააელვარა ზღვის ზედაპირი, რომელსაც
ტყვიისფერი დაჰკრავდა.



ნახევარ გზაზე მეტი გვქონდა გავლილი, როცა თვითმფრინავში დაშვება დაიწყო. მგზავრები შემოთრდნენ, რადგან პარიზამდე შეჩერება არ იყო განსაზღვრული. სტიუარდესამ გამოაცხადა, რომ ძლიერმა პირის ქარმა გამოიწვია საწვავის ზედმეტი დახარჯვა და მარაგის შესავსებად ამსტერდამში ვეშვებითო. ყველას გაგვეხარდა; ცალი თვალით მიინც ვიხილავთ ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს და სისუფთავით განთქმულ ქალაქს.

ოქროსფერ მინდვრებში ალაგ-ალაგ ჯგუფ-ჯგუფად ჩახატულან წითელსახურავიანი სახლები, ამ სიმალიდან სათამაშოებს რომ ჩამოგვცანან. ყოველ სოფელში, შემადლებულ ადგილზე, სახლებზე მაღლა აღმართულია ეკლესიის შენობა შუბივით წაგრძელებული წვეტით. მაღლე ამსტერდამის გარეუბნებსაც გადავუფრინეთ; თვალი მოვკარიტ ვიწრო ქუჩებს, პატარა მოედნებს და აეროდრომზეც დავეშვით. აქ საათზე მეტ ხანს დავყოფთ, შესანიშნავ აეროვაგზალში, რომლის მშენებლობაც ახლახან დაუმთავრებიათ და ერთ-ერთი საუკეთესოა დასავლეთ ევროპაში.

გსიერნობთ ვეებერთელა დარბაზში, რომელიც სუპერმაკეტს უფრო წააგავს, ვიდრე აეროპორტის მოსაცდელ დარბაზს. აქ კაცს შეუძლია შეიძინოს ყველაფერი, დაწყებული მშვენიერი ყვავილების თაიგულიდან და საღეჭი რეზინიდან, უახლესი მარკის ავტომანქანით დამთავრებულს.

დარბაზის შუაგულში ლუდის მოზრდილი წრიული ბარია ღია დახლებით.

დარბაზის ერთ მხარეს, მთელ სიგრძეზე, აეროდრომზე გასასვლელისკენ მოძრავი ტროტუარია. დავვიანებული მგზავრები ამ ტროტუარზე თითქმის გარბიან. ერთი საათი სწრაფად გადის. თვითმფრინავში გვიხმობენ. კიდევ ერთხელ ვავლებთ თვალს ამსტერდამის ლამაზ პანორამას.

თვითმფრინავი გეზს იცვლის. მივფრინავთ სამხრეთ-დასავლეთით. უკან ვტოვებთ ბელგიას და ბურჟეს აეროდრომზე ვეშვებით.

ზანგი პოლიციელი თეთრხელთათმანიან ხელს ენერგიულად იქნევს და რობოტივით მხოლოდ ერთ სიტყვას გაიძახის „ვიტ, ვიტ!“ — სწრაფად, სწრაფადო. ვიწრო გასასვლელში შემინულ ჯიხურში მოხელე ზის და გაშვერილ პასპორტებს ისე ურახუნებს ბეჭედს, არც უყურებს ვინ მიაწოდა...

მოაჯირს მიღმა ყილბერ გალო დგას და ხელს გვიქნევს.

მაღლე ყილბერი გვეხვევა. მაშასადამე, უკვე პარიზში ვართ. ყილბერი ორ ტაქსს ქირაობს, ჩვენი ზურგჩანთებით და ჩემოდნებით მან-



ქანებში ვსხდებით და გეზს ორლის აეროდრომისკენ ვიღებთ, სადაც ღღესვე ლიონში უნდა გაეფრინდეთ.

ჩვენი მძლოლი ოცდაათიოდე წლის ფრანგი ქალია, მინი კაბა აცვია და გაშლილი, გრძელი, ქერა თმები აქვს. პარიზში სალამოს პიკის საათია და მეორედ მოსვლა გეგონება ამ დროს ქუჩებში. ამდენი მანქანა ერთდროულად არასოდეს მინახავს. გამონაბოლქვის ნისლი ფარავს პარიზს, ფილტვებს გვიწვავს შეუჩვევლებს.

ლე-ბურჟეს აეროპორტი პარიზის ჩრდილო გარეუბანშია, სენ-დენის მაზლობლად. ყველაზე მოკლე გზა ორლის აეროპორტამდე გადის პარიზის ცენტრში, მონმარტრის რაიონში. ჩვენ გადავკვეთეთ რესპუბლიკას მოედანი, შემდეგ რივოლის ქუჩა, ელისეს მინდვრები. ხელმარცხნივ ვტოვებთ პერ-ლაშეზის სასაფლაოს, ვენსენის ტყეს და მიუყვებით სენის სანაპიროს. ბოლოს, როგორც იყო თავი დავაღწიეთ ქალაქს, შუაზე ლე-რუასთან სამხრეთ-დასავლეთით გავუხვიეთ და სამხრეთის ავტომაგისტრალით ორლისაკენ გავწიეთ.

ჩვენი თვითმფრინავის გასვლამდე თითქმის ერთი საათია. შევდივართ ვეებერთელა დარბაზში, სადაც ყველა ჩქარობს, მგზავრიცა და მომსახურე პერსონალიც. მაგრამ ყველაფერი საათივით აწყობილია. უიღბერი გვეპატიყება აეროპორტის რესტორანში სავახშმოდ. ეს იქნება ჩვენი პირველი ტრაპეზი საფრანგეთის მიწაზე. ვეებერთელა დარბაზის შესასვლელში ადმინისტრატორი გვეგებება და თავაზიანი ღიმილით მიგვიძღვის თავისუფალი მაგიდისკენ. ეს არ არის საქეიფო რესტორანი. აქ შემოდიან მგზავრები, რომლებსაც ეჩქარებათ და დაწყება სურთ.

გვიახლოვდება ოფიციალტი და თითოეულს სამ-სამ ქალაღდის ფურცელს გვირიგებს. ესაა სამნაირი მენიუ და ჩვენ ერთი უნდა შევაჩვიოთ. ოფიციალტი მიაქვს ფურცლები და 2—3 წუთში ჩვენსკენ თითქმის გამორბის ორი ახალგაზრდა, რომლებსაც ხელის მტეენებიდან მხრებამდე საჭმლით სავსე თეფშები უწყყვიათ. ისინი სწრაფად, ყოველგვარი ფუსფუსისა და ზედმეტი აურზაურის გარეშე გვემსახურებოდნენ. ეს შთაბეჭდილება შემდგომშიც გამართლდა...

მაღე კარაველაში ჩავსხედით და ერთ საათში დავფრინდით ლიონის აეროდრომ „ლიონ-ბრონზე“, სადაც მასპინძლები დაგვხვდნენ. აღან ბურჟა, კორბელის სიძე და თანამშრომელი, კვლავ წვერმოშვებული იყო. გაგვაცნო კორბელის მეუღლე ქ-ნი მარი კორბელი და თვისი ცოლი — ანი.

— მუსიე კორბელი, ალბათ, ხვალ ჩამოფრინდება, — გვითხრა მარი კორბელმა, — კრაკოვეშია სპელეოლოგთა სიმპოზიუმზე. მანამდე

კი სასტუმროში მოგაწყობთ და ქალაქის დათვალიერებასაც მოვასწავლებთ.

ჩავსხედით ორ მანქანაში. ერთს ანი მართავდა, მეორეს — ალანი. მოგვათავსეს ლიონის ახალი უნივერსიტეტის სტუდენტთა მშენებელთა საერთო საცხოვრებელში და დამის ქალაქის დასათვალიერებლად წაგვიყვანეს.

ლიონი საფრანგეთის მეორე ქალაქად ითვლება, თუმცა ბორდოს მკვიდრნი ამაზე სხვა აზრისა არიან. ისინი ამბობენ, რომ პარიზის შემდეგ ისტორიული წარსულით და თანამედროვე მნიშვნელობით ჯერ ბორდო უნდა ახსენონ და შემდეგ ლიონი, ან რომელიმე სხვა ქალაქი. ჩვენთვის კი ლიონი მართლაც საფრანგეთის მეორე ქალაქი იყო პარიზის შემდეგ.

სტალინგრადის განიერი პროსპექტით ქალაქის ცენტრში გავედით და დიდხანს ვისეირნეთ მისი ძველი ნაწილის ვიწრო ქუჩებში. ირგვლივ აღმართულიყვნენ პირქუში, ჩაშავებული ქვის შენობები ასაწყვი ხიდებით და მაგარი ალაყაფის კარებით. ისეთი შეგრძნება გვექონდა, რომ გაიღებოდა ჭიშკარი და აბჯარასხმული შუბოსანი რაინდი გამოაქვნიდა ცხენს შუა საუკუნეებიდან.

— სახლები მეთორმეტე-მეთოთსმეტე საუკუნეებისა, — გვიხსნიდა მარი კორბელი, — ქალაქის ხელმძღვანელობა აგრძელებს თავის წინამორბედთა ტრადიციებს და პირვანდელი სახით ინახავს შუა საუკუნეების შენობებს. შიგნით კი ბინები თანამედროვე კომფორტითაა აღჭურვილი.

„ლიონი არის თანამედროვე ქალაქი ორი ათასი წლისა“ — ასეა ჩაწერილი გზამკვლევებში. იგი დაუარსებიათ 43 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე იქ, სადაც მდ. სონა რონას უერთდება. იმ დროს იგი რომაელთა კოლონიას წარმოადგენდა და ლუგდუნუმი ეწოდებოდა. მე-5 საუკუნეში ბურგუნდიის სამეფოს დედაქალაქი ყოფილა, ხოლო მე-11 — მე-13 საუკუნეებში — საგრაფო ლიონეს ცენტრი. აქ, 1245 და 1274 წლებში მსოფლიო საეკლესიო კრებებიც კი ჩაუტარებიათ. ქალაქი თანდათან იზრდებოდა და მალე მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრად იქცა. აქ განვითარდა აბრეშუმსაქსოვი, მანქანათმშენებლობის, დაზგათმშენებლობის და ქიმიური მრეწველობა. ლიონი იმითიცაა ცნობილი, რომ პროლეტარიატის აჯანყება პირველად საფრანგეთში აქ მოხდა 1831 და 1834 წლებში, ხოლო 1871 წლის მარტში რამდენიმე დღე იარსება ლიონის რევოლუციურმა კომუნამ.

ლიონთანაა დაკავშირებული ერთი კურორტული ამბავი, რომელიც თითქმის ყველა ფრანგმა იცის. როდესაც ისინი უსიამოვნო წუთებს



განიცდიან, ამ მდგომარეობის მოკლედ გამოსახატავად ამბობენ: „ეს
 ლეს თხუთმეტი წუთი“. ეს დაკავშირებულია „გარგანტუასა
 გრუელის“ გენიალური ავტორის ცხოვრების ერთ ეპიზოდთან.

ცნობილია, რომ ფრანსუა რაბლემ მთელი ცხოვრება სიღარიბეში
 გაატარა. ერთხელ იგი რომიდან პარიზში ბრუნდებოდა და გზად ლი-
 ონის ერთ სამიკიტნოში გაჩერებულა. მას აღარ ჰქონდა ფული არც
 ოთახის ქირის გადასახდელად და არც გზის გასაგრძელებლად. სამი-
 კიტნოს პატრონი უკვე რამდენჯერმე იყო მასთან ქირის სათხოვნელად,
 მაგრამ უშედეგოდ. რაბლე ჩაფიქრდა (ამბობენ, თხუთმეტი წუთი იფი-
 ქრაო), როგორ მიეღწია პარიზამდე და მოიფიქრა კიდევ. მას გაუკე-
 თებია ორი პატარა შეკვრა, ერთზე დაუწერია „შხამი მეფისათვის“,
 მეორეზე — „შხამი დედოფლისათვის“, დაუტოვებია ეს შეკვრები
 ოთახში, გამოსაჩენ ადგილას და თვითონ სასეირნოდ გასულა. ყველა
 მიკიტანი ცნობისმოყვარეა და არც რაბლეს მასპინძელი გამოირჩეოდა
 მათგან. იგი შესულა ოთახში და დაუხანავს რაბლეს მიერ დატოვებუ-
 ლი შხამიანი პაკეტები წარწერებით. მაშინვე უცნობებია პოლიციისა-
 თვის და მათაც არ დაუყოვნებიათ. სამიკიტნოში დაბრუნებული მწე-
 რალი დაუპატიმრებიათ და პარიზს გაუმგზავრებიათ. „შეთქმული“
 პირდაპირ მეფე ფრანსუა I-თან მიუყვანიათ თავისი პაკეტებიანად.
 მეფეს ახსნა-განმარტება მოუთხოვია. რაბლეს გაუხსნია პაკეტები და
 აულელებლად და დინჯად გადაუყლაპია ის, რაც შიგ იყო. მერე კი
 უამბნია განცვიფრებული მეფისათვის, რამ აიძულა ამ ეშმაკობის მო-
 ფიქრება. მეფეს ბევრი უცინია და მწერალი ვახშმად მიუწვევია. ის
 თხუთმეტი წუთი კი, რაბლემ რომ დახარჯა ამ ეშმაკობის მოსაფიქ-
 რებლად, ფრთოსან ფრახად იქცა...

ვიდრე კორბელი ჩამოფრინდებოდა, ფრანგმა მასპინძლებმა წა-
 გვიყვანეს ბალმის მღვიმის სანახავად, რომელიც ლიონიდან აღმოსავ-
 ლეთით ოციოდე კილომეტრზე მდებარეობს, სწორედ იქ, სადაც მდ-
 რონა დიდ მოსახვევს აკეთებს სამხრეთიდან დასავლეთით. ამ მღვიმეს
 თავისი სილამაზის გამო დოფინეს ერთ-ერთ შვიდ საოცრებათაგანს
 უწოდებენ. მღვიმეს ძალზედ ორიგინალური შესასვლელი აქვს. აქაა
 ჩაშენებული პატარა, თეთრად მოქათქათე ტაძარი მინიატურული სამ-
 რეკლოთი. მღვიმეში შესვლისთანავე მოვხვდით ვეებერთელა დარ-
 ბაზში, რომელსაც „დიდი თალი“ ეწოდება. აქედან იწყება რამდენიმე
 განტოტება, ნამდვილი ლაბირინთო. ერთ-ერთ დარბაზს „მანდრინი“
 ჰქვია, რაც ვაზნას ნიშნავს. გადმოცემით აქ იმალებოდა ცნობილი ყა-
 ჩალი. კედლებზე პატარ-პატარა ჩაღრმავებანია, ვითომც ნატყვიარები.
 შემდეგაა ე. წ. „ტბის დარბაზი“, რომელიც იღუმალად მოჩუხჩუხებ

მიწისქვეშა მდინარეს ერწყმის. ერთ დარბაზში, კედლებზე ვეებერთელა ფერადი ფრესკაა. 1882 წელს მხატვარ თეო ლუეს ჩირალდნების შუქზე დაუხატავს ცხენზე ამხედრებული მეფე — ფრანსუა I. ეს ის მეფეა, რომელსაც გაუთავებელი ლაშქრობები ჰქონდა იტალიაში, იგი ოთხჯერ ეომა „რომის წმინდა იმპერიის“ იმპერატორ კარლოს მეხუთეს. ფრანსუა პირველის მეფობის პერიოდში დაიწყო ერეტიკოსთა დასჯა... ერთ დარბაზში ვეებერთელა სტალაგმიტს „ბერი“ ჰქვია. მართლაც გაქვავებულ ბერს ჩამოჰგავს იგი. მეორეში, „დიდი შადრევანის“ დარბაზში ლამაზი, სინათლეზე აბრწყვიალებული ქვის შადრევანია. აქა კიდევ „მტირალი ტირიფი“, და ეს ყველაფერი გაქვავებულია, კალციტისაა, ბუნების შექმნილი და სამართლიანად იწვევს მნახველთა აღფრთოვანებას...

მეორე დღეს ჩამოფრინდა ჟან კორბელი, ხმაურიანი, მხიარული და კმაყოფილი ჩვენი ჩასვლით. მაშინვე თავის ლაბორატორიაში მიგვიპატიჟა, კალუირში, ლიონის გარეუბანში.

თანამედროვე თეთრი შენობა ტყეში იდგა. სუფთა ჰაერი, სიჩუმე, მყუდროება. მეცნიერული მუშაობისათვის ამაზე უკეთესი პირობების შექმნა წარმოუდგენელი იყო. აქვეა ქიმიური ლაბორატორია, ყილბერგალოს რეზიდენცია, მოზრდილი ბიბლიოთეკა, საცხოვრებელი ოთახები და სამუშაო კაბინეტები თანამშრომელთათვის. აქაური სტრუქტურა თავისებურია... ლაბორატორიაში სულ ოთხი თანამშრომელია: თვით ჟან კორბელი, ყილბერგალო, ალან ბურჟა და მარი კორბელი, რომელიც განათლებით გეოგრაფია და ლაბორატორიის საფინანსო საქმეებსაც განაგებს. საჭირო მეცნიერებს კორბელი იწვევს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ერთი ან ორი წლის ვადით. ერთ-ერთ ოთახს ეწერა: „მარიან პულინა“. ეს იყო ჩემი პოლონელი მეგობარი და „მეჯვარე“ კი.

— აქ უკვე ორჯერ ცხოვრობდა და მუშაობდა ჩვენი საერთო მეგობარი, — თქვა ჟან კორბელმა და გაგვაცნო ახალგაზრდა კაცი, რომელიც ბიბლიოთეკაში იჯდა, — კივ პატერსონი ინგლისიდან.

— ძალზე საინტერესო სტრუქტურა გაქვთ, — ვუბნები კორბელს.

— თქვენ მარიან პულინას ოთახში იცხოვრებთ, — ამბობს კორბელი, — როცა ჩამოხვალთ ერთი წლით სამუშაოდ და ამ კარს დაეწერება „თამაზ კიკნაძე“.

ვათვალისწინებთ მარიან პულინას „ბინას“. კარგი სასტუმროს ნომერივითაა მოწყობილი.

სამუშაობროდ, ჩემი წასვლა კორბელბთან სამუშაოდ ვერ განხორციელდა, რაზეც ქვემოთ გაიგებთ. მიზეზი ისეთი უცნაური და შეიძ-



ლება ითქვას, ფატალური იყო, რომ სამუდამოდ ჩამრჩა ევროპულ გულში ბედის ლახვრად, თუმცა კი ბუნებით ოპტიმისტი ვარსდებოდა. ფერი ზებუნებრივი არა მყამს...

შესანიშნავი და თვალწარმტაცია სამხრეთი საფრანგეთი ოქტომბერში. ყოველი ნაბიჯი დასავლეთ საქართველოს გვაგონებდა გვიანი შემოდგომის ფერებით ატრელებულ-გამშვენიერებულს.

ჩვენ ლენდროვერში ვისხედით და ლიონიდან სენტ-გეზიუპერის ავენიუთი გავდიოდით. როდესაც ქალაქის გარეუბანი უკან მოვიტოვეთ, საქვსთან მჯდომმა ყილბერ გალომ აქსელატორს ფეხი დააჭირა და სპიდომეტრის ისარი 160 კილომეტრამდე ავიდა. ყილბერს კარგად მიჰყავდა მანქანა. უან კორბელის მარჯვენა ხელი, ერთგული თანამგმე-წე და ქიმიური ლაბორატორიის გამგე ყილბერი იშვიათად აბრუნებდა საქვს, რადგან გზა სინათლის სხივივით სწორი იყო. ავტორუტი, როგორც მას ფრანგები ეძახიან, ახალი გაყვანილი იყო კერძო კომპანიის მიერ. ეს შესანიშნავი გზატკეცილი, რომელსაც მთელს სიგრძეზე მარსელამდე გაზონი მიუყვებოდა შუაში, მავთულის ბადით შეელობათ. იგი ფასიანი იყო. პარალელურად ღობის მიღმა მიდიოდა რესპუბლიკური უფასო გზა, რომელზეც საბარგო მანქანების რემა მიიზღაზნებოდა. ჩვენ კი ხშირად გვისწრებდნენ მსუბუქი მანქანები, მათ შორის იტალიური ორადგილიანი კაბრიოლეტები „ტრიუმფები“, რომლებსაც მეტწილად ახალგაზრდა გოგონები მართავდნენ.

— ისინი 180 — 200 კილომეტრის სიჩქარით დადიან ამ გზაზე. — თქვა ყილბერმა.

კორბელი გვიხსნის იმ რაიონის გეოლოგიურ თავისებურებებს, სადაც მივდივართ. მართმევს უბის წიგნაკს და ხაზავს გეგმებს, ჭრილებს, წერს ფორმულებს. დღესაც სათუთად ვინახავ უბის წიგნაკს, რომელშიც ამ დიდი მეცნიერისა და კარგი კაცის ხელნაწერია...

ჩვენმა მოგზაურობამ ლიონის შემდეგ მოიცვა შარტრეზისა და ვერკორის მასივები, იზერისა და დრომის დეპარტამენტები. ეს ორი დეპარტამენტი ზემო ალპების დეპარტამენტთან ერთად განლაგებულია ისტორიული დოფინეს ტერიტორიაზე. შორეულ წარსულში დოფინეს სენიორების მუხარადებს რატომღაც დედოფინის გამოსახულება ამშვენებდა, ხოლო მას, ვინც ამ პროვინციის მიწების მფლობელი იყო, დოფინეს სახელს ატარებდა.

1343 წელს დოფინ პუმბერტ მეორეს ეს ისტორიული პროვინცია მიუყიდა საფრანგეთის მეფე ფილიპე ვალუასათვის ერთი პირობით: დოფინეს უნდა შერჩენოდა პრივილეგიები, ხოლო საფრანგეთის მეფის უფროს შვილს უნდა ეტარებინა დოფინის ტიტული. ამის შემდეგ

1790 წლამდე დოფინეს პროვინცია საფრანგეთის ტახტის მემკვიდრეთა საკუთრება ყოფილა. ისინი კი ატარებდნენ დოფინის ტიტულს, მაგრამ პირობით გათვალისწინებული პრივილეგიების შესახებ მალე დაივიწყეს. შემთხვევითი არ იყო, რომ დოფინეს მიწაზე XVI — XVIII საუკუნეებში ხშირად ჰქონდა ადგილი სახალხო აჯანყებებს.

დოფინე საფრანგეთის ერთ-ერთი უღამაზესი პროვინციაა. იგი შედგება ორი ერთმანეთისაგან საოცრად განსხვავებული რაიონისაგან. ერთი მხრივ, ესაა მაღალმთიანი ალპური მიწები, მეორე მხრივ კი მდ. რონის წყნარი და ნაყოფიერი ხეობა, რომელიც განთქმულია ბალ-გენახებითა და პურის ყანებით.

ჩვენ მივემგზავრებით ლიონ-გრენობლის მშვენიერი №6 გზით. იგი ლიონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით შამბერისკენ მიემართება. ატარა ქალაქ ბურგანთან სამხრეთით ვუხევეთ, №85 გზაზე გადვივართ და გვს გრენობლისაკენ ვიღებთ. მალე იზერის ხეობაში ვართ. სამხრეთით, ჩვენგან ხელმარჯვნივ მოჩანს შარტრეზის საოცრად ლამაზი ტყიანი პლატო. გზა მდინარის პირას გადის. მარცხნივ შარტრეზის მასივის კალთებია, მარჯვნივ კი ვერკორის პლატო აღმართულა (ეს უკანასკნელი ლანის მთიანეთის ნაწილია); სწორედ მათ შორის აკეთებს რონის მარცხენა შენაკადი მდ. იზერი დიდ მუხლს, რომელშიც ქალაქი გრენობლია განლაგებული, მსოფლიოში სახელგანთქმული ზამთრის კურორტი, სამთო-სათხილამურო საერთაშორისო ასპარეზობათა ხშირი ადგილსამყოფელი. გრენობლი დოფინეს პროვინციის დედაქალაქია. იგი 359 წელს დაუარსებია იმპერატორ გრაციანს და გრაციონოპოლისი დაურქმევია. აქედან მოდის მისი დღევანდელი სახელიც. ოდესღაც იგი პატარა პროვინციული ქალაქი ყოფილა, სახელგანთქმული ხელთათმანების წარმოებით. ამჟამად კი გრენობლი თანამედროვე მეტალურგიული ცენტრია. მის გარეუბანში არის აგრეთვე მექანიკური, ელექტროტექნიკური წარმოებები. შარშან აქ ჩატარდა ზამთრის მე-10 ოლიმპიური თამაშები... ვათვალიერებთ ქალაქის ძველ კვარტალებს, შუა საუკუნეების ვიწრო ქუჩებს, მე-8, მე-11 საუკუნეებში აგებულ ტაძრებს, აქაურ ნოტრდამს; გრენობლს ახალი, თანამედროვე კვარტალებიც ლამაზი აქვს. მაღლივი შენობები, ფართო პროსპექტები, ოლიმპიური სოფელი, „ვინულის სასახლე“ აგებული ზამთრის ოლიმპიური თამაშებისათვის. ეს ქალაქი კიდევ იმითაა ცნობილი, რომ აქ დაიბადა ანრი ბრეილი — სტენდალი, რომლის მუზეუმსაც სათუთად უვლიან აქაური მკვიდრნი. ჩვენთვის გრენობლი კიდევ იმით იყო საინტერესო რომ პირველი დიდი ნაბიჯები გეოლოგიაში სწორედ აქაურ უნივერსიტეტში და აქაურ მთებში გადადგა ჩვენმა სასიქადულო მასწავლე-



ბელმა და ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელმა ალექსანდრე ჯანელიძემ. უნივერსიტეტის მუზეუმის დასავლელი მის მიერ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შეგროვილი პალეონტოლოგიური კოლექცია.

გრენობლიდან გადაღვივართ პატარა დაბა ოტრანში, რომელიც ზღვის დონიდან 1050 მეტრს სიმაღლეზე იშვიათი სილამაზის ხეობაში მდებარეობს. დასავლეთით მოჩანს იზერის ხეობის გრანდიოზული პანორამა; აქვე იწყება კლაპიერის ხშირი ტყე-ნაძენარი, ხელმარჯვნივ კი შიშველი მთების ფერდობებია, სადაც მოწყენილები დგანან ტრამპლინები და საბაგირო გზები.

აქ გვიერთდება სპელეოლოგი ყილბერ პანტოვანი, რომელიც მეგზურობას გვიწევს ვერკორის პლატოს მღვიმეებში. მანქანით მიუყვებით უფსკრულის პირას დაკიდულ გზას. ავღვივართ სოფელ სასენაჟში და კვლავ აღმართი, მშვენიერი, მოსაფლტებული გზა. ეს სოფელი, რომელიც გრენობლიდან სულ 6 კილომეტრითაა დაშორებული, ტურისტულ ცენტრს წარმოადგენს; აქ 3 ათასი მცხოვრებია. იგი განლაგებულია ვერკორის პლატოს ძირში. სასტუმროში ჩვენი და მომსახურე პერსონალის გარდა არავინ არის, რადგან ზამთრის სეზონის დაწყებამდე ჯერ კიდევ მთელი თვეა. სასენაჟს ვერკორის კარიბჭესაც უწოდებენ. ამ პატარა სოფელში დგას სასენაჟელი ბერანჟეების საგვარეულო ციხე-დარბაზი, აგებული XVII საუკუნეში. აქაა გაშენებული დიდი პარკი, ხოლო დარბაზებში იხილავთ ნახატებს, უძველეს ავეჯს, იარაღს და სხვა. აქვე დგას ეკლესია, მე-11 საუკუნის კოშკი და პერკოგ ლესდიქერების საგვარეულო აკლდამა.

სასენაჟის მღვიმის შესასვლელთან ვჩერდებით. როგორც აქაურ რეკლამებზე წერია, იგი დოფინეს შვიდ საოცრებათაგან ერთ-ერთია. მართლაც მშვენიერია მღვიმე, მაგრამ სპელეოლოგი ძნელად გაოცდება კეთილმოწყობილ მღვიმეთა ხილვით. ჩვენ მოუთმენლად ველოდებით როდის წაგვიყვანენ მსოფლიოს უღრმესი მღვიმე-უფსკრულის — „გუფერ ბერეეს“ სანახავად, სადაც სიღრმითი ჩალწეების მსოფლიო რეკორდია დამყარებული.

— ვიცი, რომ ოცნებობთ ბერეეს უფსკრულის დაპყრობაზე. — მითხრა თან კორბელმა, როდესაც ერთ დღეს სორნენის პლატოზე გადავედით და ზედაპირულ კარსტულ ფორმებს ვათვალიერებდით.

— ძალიან დიდი სურვილი მაქვს ფრანგების სპელეოლოგიურ ექპედიციაში მონაწილეობისა, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

— ისევე, როგორც ვერესტზე, აქაც წინასწარაა განაწილებული დრო, რომელი ქვეყნის ექსპედიციამ, როდის იმუშავოს.

კორბელმა ფეხით წამიყვანა ბერკეს უფსკრულის ჩასასვლელი-საკენ. საკმაო მანძილი გავიარეთ სამანქანო გზიდან, ტყეში შევედი და მივადექით პატარა, შიშველ, კლდოვან ადგილს შუაგულ ტყეში. აქ იყო ხის პატარა კარავი, დაჭრილი შეშა, კოცონის დასანთები ადგილი და სხვა მრავალი ატრიბუტი, რაც ექსპედიციებს ესაჭიროებოდა. კორბელის ალტიმეტრი ზღვის დონიდან 1500 მეტრს უჩვენებდა. აი ჩასასვლელიც: ნაცრისფერი კირქვის ვეება ლოდებს შორის ხახა დაეღო მსოფლიოს უღრმეს ვერტიკალურ მღვიმეს, ანუ კარსტულ უფსკრულს „გუფრ ბერკეს“, რაც მწყემსის უფსკრულს ნიშნავს. ვეღარ ვუძლებ ცთუნებას და ჩავდივარ პირველ საფეხურზე ოცდაათიოდე მეტრის სიღრმემდე...

რამდენიმე წლით ადრე ჩეხოსლოვაკიაში, სპელეოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, შემდეგ საბჭოთა კავშირშიც ჩემს მეგობრებთან ერთად ვნახე ფრანგ სპელეოლოგთა მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „სიფონ-1122“, რომელშიც უფსკრულის დაპყრობის პერიპეტეებია გადმოცემული. სახლში მაქვს ამ უფსკრულის სქემატური ჭრილი, საიდანაც ჩანს, რომ მისი ჯამური სიღრმე უკვე 1198 მეტრია, ხოლო სიგრძე — 15,8 კილომეტრამდე. ფრანგების მიერ დაპყრობილი ეს სიღრმე დიდხანს იყო მსოფლიო რეკორდი, უკანასკნელ წლებში კი მან მე-6 ადგილზე გადაინაცვლა. ამჟამად სიღრმით მსოფლიოში პირველ ადგილზეა ეან-ბერნარის სისტემა საფრანგეთში, რომლის სიღრმე 1594 მეტრია, ხოლო სიგრძე — 12 კმ. ჯერჯერობით მეორე ადგილზეა უფსკრული „თოვლიანი“ ბზიფის ქედზე, გუდალუპის რაიონში, რომლის სიღრმე უკვე 1375 მეტრია, ხოლო სიგრძე 19 კმ-მდე.

ასეა თუ ისე, მაინც მოვინახულე იმ დროს ყველაზე ღრმა კარსტული უფსკრულის ჩასასვლელი და გულდაწყვეტილი უკან გამოვბრუნდი. უკვე გვიანი საღამო იყო, ჩამობნელდა, თანაც სქელი ნისლი ჩამოწვა და ტყეში გზის გაგნება გაგვიჭირდა, რადგან მანძილის შესამოკლებლად მთავარი გზიდან გადავუხევეთ. ამას ისიც ემატებოდა, რომ ბინდში კორბელი კარგად ვერ ხედავდა. წითელი ისრები ეძებეო, — მითხრა და მეც ჯიბის პატარა ფარნით ვეძებდი ლოდებზე წითელი საღებავით დატანილ ისრებს, რომლებიც მთავარ გზაზე გაგვიყვანდნენ. როგორც იქნა, ტყიდან გამოვალწიეთ და მოშორებით, ნისლში მბეუტავი ჩვენი მანქანის სინათლეები დავინახეთ. მალე ერთმანეთსაც გავებასუხეთ და სიცივისაგან აკანკალებულნი მეგობრებს შევეუერთდით.

შემდგომ დღეებში მოვიარეთ ვერკორის პლატო. საინტერესო

იყო ნამდვილი ალბური სოფლების ხილვა. ზოგიერთს, ტიროლოზის ტიპის სახლის ნაცვლად ხის მორებისაგან ვეებერთელა კარვს ვხვდებით. შენობა აეგო. ერთ მათგანთან ძალის ნაცვლად აფთარი იყო.

ჩვენ მივყვებოდით მდ. ფურონის ხეობის თავზე გაჭრილ გზას; გავიარეთ დაბა ვილარ-დე-ლანი, რომელიც ზღვის დონიდან 1023 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და გადავედით მდ. ბურნილიონის ხეობაში. ეს მდინარე ვერკორის პლატოს ორ ნაწილად ყოფს — გრენობლისა და ვალენსის მხარეებად. ვერკორის პლატოს ფართობი 1100 კმ²-ია, აქედან 900 კმ² გრენობლის მხარეს უჭირავს. 200 კმ² ფართობზე მოსული ატმოსფერული ნალექები მიწისქვეშა ბუნებრივი არხებით თავს იყრიან ბურნილიონის მღვიმეში, საიდანაც წყალი სამ დიდ ვოკლუსად გადმოჰქუხს. მიწისქვეშა კაპტაჟის შემდეგ ისინი ამუშავებენ ჰიდროელექტროსადგურს. ვათვალიერებთ ამ მღვიმეს. ბუნებას გრანდიოზული გვირაბი და მიწისქვეშა დარბაზები გაუჩენია, რომელთა ფსკერზეც აურზაურით მოჰქუხს მიწისქვეშა მდინარე ბურნილიონი. მის ნაწილს, რომელიც ზედაპირზე გამოდის და სამხრეთით მიედინება, მდ. ვერნეზონი ჰქვია.

აქედან სულ 4 კილომეტრში, მდინარის გაღმა, საფრანგეთის ერთ-ერთი ულამაზესი მღვიმე შორანჟია, მაგრამ მდინარეზე ხიდი არ არის და უკან ებრუნდებით. კიდევ 12 კილომეტრი ხეობის თავზე გაყვანილ შესანიშნავ გზაზე და ჰემმარიტად ზღაპრულ-ფანტასტიური პეიზაჟის მხილველნი ვხდებით: თავს დაგვყურებს ვეებერთელა, მაღალი, ვარდისფერი კირქვების ოვალური კლდე, რომლის ძირშიც მღვიმის შესასვლელია. სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ბურნილიონის და ვერნეზონის ღრმა კანიონებია ჩაჭრილი.

მღვიმესთან გვხვდება ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ისინი გეოლოგები არიან. საუბრიდან ირკვევა, რომ მათ სახელმწიფოსაგან იჯარით აუღიათ ეს ტერიტორია, ნაცნობ-მეგობრებისაგან უსესხიათ საკმაოდ დიდი თანხა, გაუყვანიათ 10 კმ სიგრძის მშენიერი გზა მღვიმემდე, ჩაუტარებიათ მღვიმის კეთილმოწყობითი სამუშაოები, წინ აღუგიათ ბარი, იქვე თავიანთი ორსართულიანი საცხოვრებელი კოტეჯი, განათებისათვის დაუდგამთ ორი დიდი ძრავა და სხვა.

— კიდევ ერთი წელიწადი და ვალს მთლიანად გავისტუმრებთ, — გვეუბნებიან ისინი, — მერე კი მოგება გვექნება.

შეგვივართ მღვიმეში. იგი მართლაც უნიკალურია ვერობაში. ერთ დარბაზში მოზრდილი ტბა ფსკერიდან არის განათებული და საოცარი მომწვანო-მოციფრო ფერებით სარკესავით ირეკლავს ჰერიდან გრძელი მაკრონებივით ჩამოშვერილი მილისებრი სტალაქტიტების ტყეს.



მათი სიგრძე 2 მეტრამდეა. მღვიმეს აქვს განტოტებანი, რომელთა ფსკერზეც დახვევებულია ჩამონგრეული ლოდები. ეს უკანასკნელნი უამრავ სტალაქტიტებთან და სტალაგმიტებთან ერთად ფანტასტიურ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე.

შემდეგ მასპინძლები ბარში გვეპატიყებიან და გემრიელი ლუდით გვიმასპინძლებიან. ჩვენ სამახსოვროდ ვყიდულობთ მღვიმის ფოტოებს, ფერად სლაიდებს, ვემშვიდობებით ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, რომლებსაც ასეთი დიდი საჩუქაოები ჩაუტარებიათ და განვაგარძობთ გზას. მიყვებით იზერის ხეობას ქალაქ რომანის გავლით, შეძლებს სამხრეთ-დასავლეთით ვუხვევთ და მალე ვალენსში ვჩერდებით, რომელიც უკვე მდ. რონის ხეობაშია. აქედან ჩვენი გზა იქნება სულ სამხრეთით, რონის ხეობის გასწვრივ, მონტელიმარისაკენ, ავინიონისაკენ, მარსელისაკენ. გზადაგზა, დრომის, არდემისა და ვოკლუზის დეპარტამენტებში ვიხილავთ მსოფლიოში სახელგანთქმულ მღვიმეებს, კარსტულ ჩანჩქერებს, წყაროებს, და სხვა მრავალ ღირსშესანიშნაობებს.

გადავდივართ ისტორიული ლანგედოკის პროვინციაში, კერძოდ, მის ტერიტორიაზე მდებარე დღევანდელი არდემის დეპარტამენტში. რომან-ვალენსის გზით გავდივართ ლიონ-მარსელის ცენტრალურ გზაზე და მივემგზავრებით რონის ხეობაში. ჩვენთან ერთადაა ადგილობრივი სპელეოლოგი ლორიოლი, რომელიც ყველას გვეპატიყება თავისი მშობლების სახლში, გზად რომ არის რომელიღაც სოფელში. ბინდ-ბუნდში ვუახლოვდებით სახლს კი არა, ვეებერთელა ციხე-დარბაზს, აქ რომ „შატოს“ უძახიან. ლორიოლის მშობლები, ძმა, რძალი, მთელი დიდი ოჯახი, გვეგებება და გვეპატიყებიან ციხე-დარბაზში. როგორც გამოირკვა, ეს იყო გრაფ ლორიოლების საგვარეულო მამული და ციხე-დარბაზი, ჩვენი ნაცნობი სპელეოლოგი კი ამ გრაფების შთამომავალია. მასპინძლები გვთავაზობენ აპერიტივს, ვისკის, კონიაკს, ყავას, ნამცხვარს, ხილს. ჩამუჭებული კედლებიდან გვიყურებენ მასპინძელთა წინაპრების ფერწერული პორტრეტები, რომელთაგან ზოგიერთი 200 წლისაა.

— რამდენი ჰექტარი მიწა გაქვთ? — ვეკითხებით მასპინძლებს.

— თვრამეტი. აქედან 12 ვენახს უკავია, 6 კი ხილსა და ბოსტნეულს.

— როგორ ამუშავებთ?

— ოჯახში სულ 6 ადამიანი ვართ მომუშავე, დანარჩენები ბავშვები არიან. პერიოდულად ვქირაობთ მუშახელს, განსაკუთრებით მოსავლის აღების დროს, რათა სწრაფად ჩავაბაროთ ახალი ხილი, ბოს-

ტნული და ყურძენი ფირმებს, რომლებთანაც სათანადო კონტრაქტები გააქვს დადებული.

— ღვინოს თუ აყენებთ?

— ცოტაოდენს, ჩვენთვის. ეს აპერიტივიც ოჯახშია დამზადებული.

გვიანი ღამე იყო და ლორიოლების მამული ვერ დავათვალიერეთ. გამოვემშვიდობეთ მასპინძლებს და ღამის გასათევად გავემგზავრეთ სონტელიმარში.

მეორე დღეს დავტოვეთ მონტელიმარი და კვლავ სამხრეთით გავუყვით რონის ხეობას. მერე პონ-სან-ესპირიტთან დასავლეთით გავუხვიეთ და რონის მარჯვენა შენაკადის, არდუშის ხეობაში მოვხვდით. აქ, პატარა ტურისტულ ქალაქ ვალონში გავჩერდით სამი დღით და დილიდან გვიან საღამომდე დაედოდა მთებსა და ხეობებში, მღვიმეებში, რომელთა რაოდენობით და სილამაზით საოცრად მდიდარია საფრანგეთის ეს მხარე.

არდუში საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. ამ ქვეყნის 90 დეპარტამენტს შორის იგი განსაკუთრებულია. აქაა შესანიშნავი კლიმატი, მდიდარი და ღამაზი ბუნება, მრავალი ისტორიული ძეგლი... ფრანგები არდუშს პარადოქსების მხარეს უწოდებენ, რადგან აქ იშვიათი ოსტატობითაა შერწყმული ადამიანის ნახელავი ბუნებასთან. რონსა და ლუარაზე აგებულია მაღალი კაშხალები, ყოველ ნაბიჯზე ტურისტული ბანაკი და კემპინგია. მდ. არდუშზე ხშირად ეწყობა საერთაშორისო ასპარეზობანი საწყლოსნო სპორტში. კეთილმოწყობილი პლაჟები გაუძლია მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტებით. კაფეებსა და რესტორნებში გვიმასპინძლებიან ადგილობრივი შესანიშნავი შამპანურით და ღვინით, პროვანსული, სევენური, ლანგედოკური და ლიონური კერძებით. ალბათ არსად არ არის ტურიზმი ისეთ მაღალ დონეზე, როგორც არდუშში.

ჩვენ ვცხოვრობდით ტურისტულ ცენტრში, ვალონ-პლენ-ერში. კორბელმა გაგვაცნო ადგილობრივი ცნობილი სპელეოლოგი მიშელ აბონე, ტანდაბალი, წვერიანი ახალგაზრდა, რომელმაც მეგზურობა გავეწია აქაურ მღვიმეებში. მას თან ახლდა პატარა ტაქსას ჯიშის ძაღლი, რომელიც ზურგჩანთით დაყავდა და მღვიმეთა „მზვერავად“ იყენებდა.

დავათვალიერეთ „დათვების მღვიმე“, რომელიც ულამაზო და ტალახიანი გამოდგა, მაგრამ იმით იყო ცნობილი, რომ სპელეოლოგებმა პალეონტოლოგებთან ერთად აქ აღმოაჩინეს გადაშენებული მღვიმური დათვის უამრავი თავის ქალა და ჩონჩხი. როდესაც ჩვენი ლენდროვე-

რით არღეშის ხეობას გავუყევით დინების მიმართულებით, თვალწინ ულამაზესი პეიზაჟი გადაგვეშალა. ირგვლივ იმდენი ზვარი იყო გაღმართული, რომ თავი კახეთში გვეგონა. მასპინძლებმა გააჩერეს მანქანა, ვენახში გადაგვიყვანეს და მართალია რთველი დამთავრებული იყო, მაგრამ ქარვისფერი და შავი ყურძნის მტევნები მრავლად იყო ხელუხლებელი. სიამოვნებით მივირთვით ეს მადლიანი, ტკბილი ნაყოფი და კვლავ ლენდროვერში ჩავსხდით.

ეილბერ გალომ გზიდან გადაუხვია და პირდაპირ მდინარე არღეშისკენ დააქანა მანქანა თავდაღმართში.

— ახლა მართლაც საოცრებას გიჩვენებთ, — გაიღიმა ჟან კორბელმა.

მივადექით მდინარის ნაპირს და ნამდვილი საოცრების მომსწრენი გავხდით. ვეებერთელა კირქვის მაღალი კლდე მდინარეს გაეხვრიტა და ულამაზესი ბუნებრივი ხიდი შეექმნა, თანაც საკმაოდ დიდი. კირქვაზე ამოსული მწვანე ბალახი, შემოდგომით გაწითლებულ-გაყვითლებულ ხეებთან ერთად დიდი და გემოვნებიანი პეიზაჟისტის გრანდიოზულ პანოს ჩამოგავდა. კლდეში გაჩენილ გვირაბში კი მდორედ მიედინებოდა მოცისფრო-მომწვანო არღეში. ეს მშვენიერება თითქოს არც უნდა ყოფილიყო გასაკვირი ბევრისმნახველი სპელეოლოგებისა და გეოლოგებისათვის, მაგრამ მაინც გვიკვირდა, რადგან აქ განსაკუთრებით გამოეჩინა თავისი ნიჭი ყველაზე დიდ შემოქმედსა და ხუროთმოძღვარს — ბუნებას.

ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით საფრანგეთის მღვიმეთა პოპულარობის მიზეზში, როდესაც არღეშის მიწისქვეშეთს ვეწვიეთ.

მარზალის მღვიმე-უფსკრული ლიონ-მარსელის ავტოსტრადიდან სულ 17 კილომეტრითაა დაშორებული და მღვიმემდე შესანიშნავი გზაა გაყვანილი. ეს მღვიმე 1892 წელს აღმოუჩენია ედუარდ ალფრედ მარტელს. შემდგომში მღვიმის ჩასასვლელი ამოუქოლიათ და კარგა ხანს მისი ადგილმდებარეობა აღარავინ იცოდა. მხოლოდ 1949 წლის 27 მარტს ფრაზგ სპელეოლოგს პიერ აერონს ხელახლა აღმოუჩენია იგი და რადგანაც მღვიმე ხელუხლებელი და ძალიან ლამაზი იყო, მალე კეთილმოუწყვიათ და ტურისტების განცვიფრების ობიექტად უქცევიათ. მეტალის მსუბუქი კონსტრუქციის კიბით ჩავდივართ 50 მეტრის სიღრმემდე, სადაც დიდი დარბაზია ბუნების მიერ საოცრად შემკული. მეორე დარბაზი 100 მეტრის სიღრმეზეა, მესამე კი — 130 მეტრის სიღრმეზე. ათასნაირი ფორმის და ფერის სტალაქტიტები და სტალაგმიტები ფერთა საოცრებას ქმნიან და ხელოვნურ განათებაზე ბრწყინავენ. ფერებმა მართლაც გაგვაოცა. ზოგ მღვიმეში გემოვნებას



მოკლებული მესვეურნი ფერად განათებებს აწყობენ და ბუნებრივად რებს უკარგავენ მღვიმურ წარმონაქმნებს. აქ კი თეთრად მკაფიანდება სტალაქტიტებს ნაცრისფერი, ყავისფერი და ცისფერი სტალაქტიტები ცვლიდნენ და ეს ყველაფერი ბუნების მიერ იყო შექმნილი.

მღვიმის ჩასასვლელთან კირქვის ლოდებით ნაგები კოშკიანი ორიგინალური შენობაა. კედლებზე მხვიარა ვარდი კიდევ უფრო აღამაზებს მას. შენობაში პატარა მუზეუმი, ბილეთების სალარო და სპელეოლოგიურ თემატიკაზე შექმნილი მრავალფეროვანი სუვენირები იყიდება. აქვეა მომცრო ბარი გამაგრილებელი წყლებით და სხვა სასმელებით.

შემდეგი მღვიმე, რომელიც ამ რაიონში ვინახულეთ, საფრანგეთის პირველ მღვიმედ აღიარებული კოკალიერის მღვიმე იყო. მისი მთავარი ჩასასვლელი წარმოადგენს 30 მეტრი დიამეტრის მქონე გვირაბს, რომლის საშუალებითაც მოგზდით მღვიმის ლაბირინთში. 1967 წლის ბოლოსთვის ფრანგმა სპელეოლოგებმა იგი 25 კმ სიგრძემდე გამოიკვლიეს. აქა მიწისქვეშა მდინარე, უამრავი გვირაბი და დარბაზი. მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან სტალაქტიტებსა და სტალაგმიტებს შორის გამოირჩევა ე. წ. ბირთვები, რომლითაც ეს მღვიმე მართლაც უნიკალურია. მღვიმის ჭერი ზოგან ძალზე თხელშრებბრივი კირქვისგან შედგება. ამ შრეზე წარმოშობილი სტალაქტიტები ზრდასთან ერთად მძიმდებიან კიდევ და ჭერსაც თანდათან სცილდება ფარისებური ნაწილი, რომელიც ზოგჯერ მხოლოდ ცალი კიდითაა ჩამოკიდებული, ზედ კი რამდენიმე სტალაქტიტი აგრძელებს ზრდას, ვიდრე მათი სიმძიმე კრიტიკულს არ გადააჭარბებს და ფარი ძირს არ ჩამოვარდება.

მდინარის ანკარა წყალში სარკესავით ირეკლება სტალაქტიტებით მოფენილი მღვიმის თალები. ეს მღვიმე ტურისტებისთვის ჯერ კიდევ 1917 წელს გახსნეს და მას შემდეგ არ აკლდება ტურისტთა არშია. მღვიმე და მიმდებარე რაიონი ნაკრძალს წარმოადგენს, რომლის ტერიტორიაზე მრავლადაა სხვა ღირსშესანიშნაობანი: დოლმენები, ძველი ტაძრები.

გაოცებაცაა და გაოცებაც, მაგრამ ის, რაც ორინიაკის მღვიმეში ვიხილეთ, უკვე შეიძლება არარეალურად, მართლაც ზღაპრად მოგვიჩვენებოდა. წარმოიდგინეთ, რომ ვეებერთელა ლიფტით, რომელშიც რამდენიმე ათეული კაცი ეტევა, ჩადიხართ 60 მეტრის სიღრმეზე. გამოდიხართ ლიფტიდან და გაოცებისაგან ქვედებით: თქვენს წინ და ქვევით უზარმაზარი დარბაზია. მოფენილი ქვის ოცმეტრიანი პალმე-

ბის ტყით. საოცრად ჩამოგავს პალმის ღეროებს აჭაური, თითქმის ერთი სიმაღლის სტალაგმიტები.

მღვიმე აღმოჩენილია 1935 წლის 19 აგვისტოს საფრანგეთის სპელეოლოგიური საზოგადოების დამაარსებლისა და პირველი პრეზიდენტის, ცნობილ სპელეოლოგ რობერტ ჟოლის მიერ.

ჟან კორბელმა სადღაც, მაღალი კედლისკენ მიგვიითთა, რომელშიც პატარა ბუნებრივი ნიში განათებული იყო და შიგ რაღაც საგანი ბრწყინავდა.

— რობერტ ჟოლის ანდერძის მიხედვით, მისი გული იმ ნიშშია მოთავსებული.

სამარისებური სიჩუმე გამეფდა. მხოლოდ ჭერებიდან ვარდნილი წყლის წვეთების ხმა ისმოდა ხანდახან. ვიდრე და შევეყურებდით ნიშს, საღაც ადამიანის გული, მეცნიერის გული, სპელეოლოგიისა და სამშობლოს ბუნების ძეგლების მოყვარული და მოამაგე ადამიანის გული ესვენა.

მიხტრალისა და პეტრარკას ნაკვალევებზე

„მივიწყებული ენის სტრიქონით
შენთვის ვწერ ჩემო უბრალო ხალხო“.

ფ რ ე დ ე რ ი ა მ ი ს ტ რ ა ლ ი

„ჩენი მხარე, ჩემო ბატონო, ყოველთვის კი არ იყო ისეთი მკვდარი და ყრუ, როგორც ახლაა. აქ, ოდესღაც, მეწისქვილეები დიდ საქმეებს ატრიალებდნენ. მთელი ამ არემარიდან ხალხს ათეულობით მილით დაშორებული ფერმებიდან მოჰქონდა მათთან მარცვალი დასაფქვავად. ირგვლივ, ყველა ბორცვზე, ქარის წისქვილი იდგა. მარცხნივ და მარჯვნივ მხოლოდ ის ჩანდა, როგორ ტრიალებდნენ ქარში ფრთები ფიჭვეებს ზემოთ და კიდევ ტომრებით დატვირთული სახედრების ნაკადები, გზებზე რომ აღიოდნენ და ჩადიოდნენ“. ამ სიტყვებით დაახასიათებინა პროვანსი თავის ერთ გმირს ალფონს დოდემ...

თავზე პროვანსის შემოდგომის მზე დაგვანათოდა. ირგვლივ, გზის გარდიგარდმო ვერცხლისფრად მოჩანდნენ ზეთისხილის ქალები. აქაიქ გაფანტულიყვნენ წითელკრამიტიანი თეთრი სახლები. თითოეულ სახლს მაღალი კვიპაროსების მჭიდრო კედელი ეკრა, ამ რაიონში თითქმის მუდმივად მჭროლავი ქარისგან დასაცავად. ამბობენ, ეს ქარი ზოგჯერ ისე ძლიერდება, მატარებლებსაც კი აჩერებსო. მატარებლების გაჩერებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პროვანსში — სამხრეთ-აღმოსავ-



ლეთ საფრანგეთის ამ ულამაზეს ისტორიულ პროვინციაში მოგზაობისას ყველგან, მთებსა და ხეობებში, ქალაქებსა და სოფლებში გვხვდება მშრალი და ცივი, ძლიერი ქარი, რომელიც მისტრალის სახელითაა ცნობილი.

მართალია, მთელი საფრანგეთი არ მომივლია, მაგრამ პროვანსში ჩასულ კაცს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ თუკი სადმეა ამ ქვეყანაში შემორჩენილი ძველი კოლორიტი, ადათ-წესები, სწორედ აქ არის, პროვანსში. თვით საერთაშორისო სიტყვად ქცეული „პროვინცია“ ხომ პროვანსიდან მოდის...

პროვანსის ტერიტორიაზე დღეს ოთხი დეპარტამენტია წარმოდგენილი: ვოკლუზი (დედაქალაქი ექსი), ქვემო ალპები (დინი), ბუზდიუ-რონი (მარსელი) და გარი (დრაგინიანი). VI საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძნებს თავისი კოლონიები დაუარსებიათ პროვანსის სანაპირო ზოლში და ქალაქი მასალიაც (მარსელი) გაუშენებიათ. II საუკუნეში ბერძნები რომაელებს განუდევნიათ და მთელი პროვანსი დაუპყრიათ. მაგრამ, როგორც წესად ჰქონდათ რომაელებს, მოსახლეობა არ შეუვიწროებიათ და პროვანსელები რომის მოქალაქეთა უფლებებით სარგებლობდნენ.

ამ უძველეს მიწაზე დღემდეა შემორჩენილი ძველ რომაელთა კვალი. ქალაქ ორანეში დგას ტრიუმფალური თაღი, აგებული იმპერატორ ავგუსტინეს პატივსაცემად; აქვეა რომაული ამფითეატრის ნანგრევები, ცირკი, სადაც დღესაც კი მართავენ წარმოდგენებს, კორიდას. არლშიცაა რომაული თეატრის ნანგრევები, მავზოლეუმი სენ-რემიში და რაც მთავარია, იმდროინდელი მშვენიერი გზები, რომლებზეც ახლა მანქანები მისრიალებენ.

რომის იმპერიის დაცემა პროვანსის დაცემასაც მოასწავებდა. მაგრამ პროვანსში საოცარი ხალხი ცხოვრობს. უკვე XII საუკუნისათვის ამ საინტერესო მხარეს თავისი სახე ჩამოუყალიბებია და მისი თვითმყოფადი კულტურა დიდი ხნის მანძილზე ყოფილა ევროპული ხელოვნების გზების განმსაზღვრელი ეტალონი და მანათობელი შუქურა.

საოცარია, რომ რენესანსის სამშობლოდ იტალია ითვლება და მიიწვევებოდა სამხრეთ საფრანგეთის ისტორიული პროვინციები გასკონია, ლიმუზენი და პროვანსი. სწორედ აქ, პროვანსულ ენაში ჩაისახა თავდაპირველად ახალი იდეები, სამყაროს ახლებური აღქმა. გონა სწორედ აქ არ იყვნენ ტრუბადურები, მომღერალი და პოეტი რაინდები? ისინი უმღეროდნენ სილამაზეს, მშვენიერებას, ქალს, ბუნებას, რაინდობას და თავიანთი სიმდიდრით საძირკველს ურყევდნენ შუა საუკუნეების რელიგიური ცემენტით შედუღებულ რუტინას. პოეზიას-

თან ერთად აღმავლობას განიცდიდა სახვითი ხელოვნება და არქიტექტურა. ეს სწორედ იმ დროს, როცა ყველაფერი განვითარების ზენიტში იყო ასული, და ერთბაშად, თითქოს ჯადოქრის ხელის აქნევით მოისპო და განადგურდა. რა იყო ამის მიზეზი?

XI საუკუნის მიწურულიდან სამხრეთ საფრანგეთის ქალაქებში ფეხი მოიკიდა რელიგიურმა მწვალებლობამ. მისი ძირითადი ცენტრი იყო ქალაქი ალბი და ამ მწვალებლობასაც ალბიგოური უწოდეს. მწვალებლები ზომ უარყოფდნენ კათოლიკური რელიგიის ზოგიერთ დოგმატს. ამიტომ იყო, რომ რომის პაპმა ინოკენტი III-მ, 1209 წელს, ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა ალბიგოელთა წინააღმდეგ. ჩრდილოეთ საფრანგეთის ბარონები, რომლებიც მხოლოდ მიზეზს ეძებდნენ სამხრეთის ქალაქების სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად, სიამოვნებით გამოეხმაურნენ პაპის მოწოდებას და დიდი გულმოდგინებით დაიწყეს პაპის ლეგატის მითითების შესრულება — „დახოცეთ ყველა, ღმერთი ყველას გაარჩევს“.

ბარონების ლაშქარს უკან ბერები მოყვებოდნენ, რომლებიც ყოველი გამარჯვების შემდეგ წვავენენ ერეტიკოსებს. სწორედ იმ ხანებში დაწესდა ინკვიზიცია. ალბიგოური ომი 20 წელიწადს გაგრძელდა პატარ-პატარა შესვენებებით და პროვანსის, ტულუზისა და რუსილიონის აყვავებული ქალაქები ამ პერიოდში მოსახლეობის დიდ ნაწილთან ერთად გაანადგურეს და გაძარცვეს. ბევრი ტრუბადური, რომლებიც ანაქსაუთრებით სდევნიდნენ, ესპანეთსა და იტალიაში გადაიხვეწა. ეს იყო პროვანსული „ადრეული რენესანსის“ დასასრული. ამის შემდეგ პროვანსი ევროპის უმნიშვნელო გარეუბნად იქცა და პოლიტიკურ სამყაროში ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა.

XIV საუკუნეში საფრანგეთის მეფე ამარცხებს რომის პაპს ბონიფაციუს VIII-ს და მის ნაცვლად უმაღლეს საეკლესიო ტახტზე აპყავს ფრანგი არქიეპისკოპოსი. მეფე აიძულებს ახალ „ღვთის ნაცვალს“ თავისი სატახტო ქალაქი პროვანსში, ავინიონში გადმოიტანოს. აქედან იწყება ავინიონის ბრწყინვალეობა, აღზევება, ხელოვნებისა და ხელოსნობის განვითარება. ამ ქალაქს უფრო გაუთქვა სახელი დიდმა პეტრარკამ, რომელმაც არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარების გამო დატოვა იტალია და ავინიონის მახლობლად, ვოკლუზში დასახლდა.

ავინიონის კეთილდღეობამ მხოლოდ ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე გასტანა, სულ 70 წელს. რომის ტახტის გაძლიერების გამო ამ ქალაქმა დაკარგა თავისი საერთაშორისო მნიშვნელობა და ამის შემდეგ, სამხრეთ საფრანგეთის სხვა ქალაქების მსგავსად, ხელიდან ხელ-

ში გადადიოდა, ვიდრე 1486 წელს პროვანსი საფრანგეთის საგარეო
შეუერთდა.

ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, სწორედ პროვანსის ბედს შე-
ეფერება ეს ანდაზა. რამდენიმე საუკუნის მანძილზე პროვანსში გამე-
ფდა ფრანგული ენა; იგი იქცა ლიტერატურულ ენადაც. საფრანგეთის
მეფეები განუხრელად ატარებდნენ პროვინციების საკუთარი ენების
აღმოფხვრის პოლიტიკას. მიუხედავად მკაცრი შეზღუდვებისა, პროვან-
სის მოსახლეობა ოჯახში პროვანსულ ენაზე ლაპარაკობდა, ამ ენაზე
ზრდიდა ბავშვებს. 1864 წელს უნივერსიტეტების ინსპექტორებს გა-
ნათლების მინისტრისაგან წერილი მიუღიათ, რომელშიც პირდაპირ იყო
დასმული კითხვა: „როგორი ზომების მიღებაა საჭირო, რომ რაც შეიძ-
ლება სწრაფად გაქრეს მდამიოთა ქარგონი?“

მესამე რესპუბლიკამ მეორე იმპერიისაგან მემკვიდრეობად მიიღო
ეს ტენდენცია და თავის პირობაზე კიდევ უფრო გააძლიერა სეგრეგა-
ცია. პედაგოგები სჯიდნენ ბავშვებს, რომლებიც სკოლის ეზოში თუ
ქუჩაში თამაშის დროს ერთმანეთს პროვანსულად ელაპარაკებოდნენ,
ეს ხომ მძიმე დანაშაულად ითვლებოდა.

წელან პროვანსის ძლიერი ქარი — მისტრალი ვახსენე. ალეგორი-
ულად სწორედ ძლიერი ქარი იყო საჭირო პროვანსელთა კულტურის
ხონალდის აფრების დასაბერად. უცნაური დამთხვევა იყო, რომ ადამი-
ანს, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ამ აფრების დაბერვაში,
ფრედერიკ მისტრალი ერქვა. იგი გასული საუკუნის იმ შუა პერიოდ-
ში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როდესაც პროვანსულმა ენამ სა-
ბოლოოდ დაუთმო პოზიციები ფრანგულს. სწორედ მისტრალმა აღად-
გინა მშობლიური ენის დიდება, დაუბრუნა თავის მხარეს ეროვნული
სიამაყის გრძნობა და შეძლო, რომ საფრანგეთის ამ ულამაზესი და
თვითმყოფადი კუთხის ენა და საუკუნოვანი კულტურა ფრანგული
კულტურის დიდ ოკეანეში უგზოუკვლოდ არ გამქრალიყო.

მისტრალი იყო პროვანსში შექმნილი ახალგაზრდა პოეტების „ფე-
ლიბრების“ საზოგადოების აქტიური წევრი. ფელიბრები ცდილობდნენ
პროვანსული ეროვნული კულტურის აღორძინებას, იბრძოდნენ იმისა-
თვის, რომ პროვანსული ენა უფლებებით ფრანგულს გათანაბრებოდა.
მისტრალმა ტიტანური შრომა გასწია ფრანგულ-პროვანსული ლექსიკო-
ნის შესადგენად. იგი იქცა ცნობილ ლინგვისტად და ფილოლოგად. მაგ-
რამ ყველაფერი დაჩრდილა მისტრალმა — პოეტმა. 1859 წელს გამო-
ვიდა მისი პოემა „მირეი“, რომლის გმირებიც პროვანსის უბრალო ხალ-
ხის წარმომადგენლები არიან, მწყემსები და გლეხები. პოემაში გადმო-
ცემულია მათი ყოველდღიური ცხოვრება, შრომა, დღესასწაულები.

ლეგენდები. მანვე თარგმნა პოემა ფრანგულად, მხოლოდ პროზად. როდესაც „მირეი“ გამოქვეყნდა, ფრანგული პოეზიის კლასიკოსმა და ფრანგული რომანტიზმის კორიფემ ლამარტინმა აღფრთოვანებული წერილი მისწერა მისტრალს, რომელშიც ურჩევდა მეტი აღარ დაეწერა და ხელი მიეყო გლეხური შრომისათვის. იგი წერდა: „გადადე კალამი და ხელი მოკიდდე მხოლოდ ზამთარში, იშვიათ თავისუფალ დროს. ამასობაში კი შენი მირეი, რომელსაც ბედი უსათუოდ გამოგიგზავნის, გაშლის თეთრ სუფრას და დაჭრის ხორბლის პურს იმ მაგიდაზე, რომელზეც შენს მეზობელ და წინამორბედ ადოლფ დიუმასთან* ერთად მაღლა სწევდი სასმისს. არ შეიძლება ერთი სიცოცხლის მანძილზე ორი შედეგის შექმნა. ერთი შედეგები შენ შექმენი. მაღლი შესწირე ზეცას და ნუ დარჩები ჩვენს შორის, თუ არადა ჩელიდან გაგიფრინდება შენი ცხოვრების მწვერვალი — ბედნიერება, მოპოვებული უბრალოდამი“.

1864 წელს შარლ გუნომ მისტრალის პოემის მიხედვით შექმნა ოპერა „მირეი“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ამ პოემის პოპულარიზაციაში. მისტრალი პევრი საინტერესო პოემისა და დრამის ავტორიც იყო. მაგრამ მას ხალხი იცნობდა „მირეით“.

ფრედერიკ მისტრალს არ იღებდნენ საფრანგეთის აკადემიაში იმ მიზეზით, რომ პოეტი, რომელიც მდაბიო ხალხის ენაზე წერს, ღირსი არ არის აკადემიის წევრობისო. მაგრამ თვით მისტრალმაც განაცხადა უარი ამ წევრობაზე, რადგან არ სურდა ყოფილიყო მათ შორის, ვინც მის მშობლიურ ენას მდაბიო ხალხის ენას უწოდებდა.

1904 წელს, 74 წლის ფრედერიკ მისტრალი ნობელის პრემიის ლურჯი გახდა. მიღებული თანხით მან არლში დააარსა პროვანსული ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის მუზეუმი, რომელიც 1909 წელს „მირეის“ გამოქვეყნების 50 წლისთავზე გაუხსნიათ. იქვე, მოედანზე, პოეტის ბრინჯაოს ძეგლი დაუდგამთ; მისტრალს შლაპა ახურავს და მკლავს ლაბადა აქვს გადაკედებული. ამ ძეგლის ოაზისზე პოეტს უხუმრია, ჩემოდანილა აკლიაო მხოლოდ (ძეგლი ფორუმის მოედანზე დგას და რკინიგზის ვაგზალს გაჰყურებს).

მონუმენტის გახსნას დასწრებია ოცი ათასი კაცი. ხალხს პოეტისათვის უთხოვია ეთქვა რაიმე. მისტრალი წამს ჩაფიქრებულა და მერე სიტყვის ნაცვლად დაუწყია „მირეის“ პირველი სტრიქონების დეკლამაცია.

როდესაც მისტრალს მღელვარებისგან დეკლამაცია შეუწყვეტია.

* ეს ის პროვანსული პოეტი, მწერალი, ფოლკლორისტი, რომელმაც „მირეის“ გამოქვეყნებამდე, 1856 წელს, აღმოაჩინა მისტრალი ფრანგული ლიტერატურისათვის.



ყველა იქ მყოფს, ოცი ათას კაცს, მუხლი მოუყრია. ოთხი წლამდე მუხლები კი ვოკლუზის დეპარტამენტის დედაქალაქ ექსში ახალგაზრდებს მისი კარეტიდან ცხენები გამოუხსნიათ და თვითონ დაუქავებიათ მათი ადგილი. ერთ ახალგაზრდას წამოუძახია: „ცხოველები ატარებენ ადამიანს, ადამიანები კი ღმერთებს!“

მისტრალი 1914 წლის 25 მარტს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მაიანში, სადაც დაიბადა და თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა.

ა. ლუნაჩარსკი მისტრალის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში წერდა: „მისტრალი იყო მხატვრული განსახიერება მთელი ერისა, რომელიც ცხოვრობს სამხრეთ საფრანგეთში ლიონიდან არლამდე და ესპანეთის აღმოსავლეთში“...

1977 წელს მოსკოვში რუსულად გამოქვეყნდა ნატალია კონჩალოვსკაიას მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი „მირიე“.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ნიჭიერი ქართველი მთარგმნელები ენერგიას და მონდომებას არ დაიშურებენ და ქართველ მკითხველსაც მიაწვდიან ფრედერიკ მისტრალის შესანიშნავ პოემას — „მირიეს“, რომელსაც თავისი კოლორიტით ბევრი რამ აქვს საერთო საქართველოსთან.

განვაგრძობთ გზას. ავინიონს დაბრუნებისას დავათვალიერებთ. ახლა კი ჩვენმა პიეჟომ აღმოსავლეთით გაუხვია და 7—8 კილომეტრი გზის გავლით პატარა ქალაქ ფონტან-დე-ვოკლუზში ჩავიყვანა.

ჩვენ განსაკუთრებული ინტერესით მოველოდით საქვეყნოდ ცნობილი კარსტული წყაროების ნახვას. ამ წყაროების სახელი „ვოკლუზი“ ხომ საერთაშორისო მნიშვნელობის მეცნიერულ ტერმინად იქცა. ჩვენ ვწერთ და ვამბობთ: „ვოკლუზური ტიპის წყარო“ ან პირდაპირ, მჭიმთის ვოკლუზი და სხვა. ამ ტერმინით აღინიშნება ყველა დიდი კარსტული წყარო.

პატარა, მყუდრო კაფეში დანაყრების შემდეგ ჟან კორბელი წინ გავვიძღვა და სულ მალე მივედით ციცაბო ფერდობის შუაში დიდ მღვიმესთან, რომლის ერთი ჩაღრმავებიდან ძალზე ცივი და წყალუხვი მიწისქვეშა მდინარე გადმოქუხდა, მერე ზედაპირულ მდინარედ იქცეოდა და ქვევით, უკვე ქალაქში, მოზრდილ გამდინარე ტბასაც ქმნიდა, რომელშიც კალმახს აშენებდნენ.

ზემოთ კირქვის მაღალი კლდე იყო აღმართული. აქედან იწყებოდა ვოკლუზის პლატო, რომლის სიმაღლეც ზღვის დონიდან 1000 — 1200 მეტრს აღწევდა, ჩვენ კი ასიოდე მეტრის სიმაღლეზე ვიმყოფებოდით.

ჩრდილოეთით, 7 — 8 კილომეტრში აღმართული იყო 1912 მ სიმაღლის მონ ვანტუ, ანუ ქარიანი მთა, რომელსაც სახელი პეტრარკამ

გაუთქვა. ავინიონის ცხოვრების პერიოდში, იგი 1336 წლის 24—26 აპრილს თავის ქმასთან, ჯერარდისთან ერთად ასულა ამ მთაზე.

ვათვალეობით ვოკლუსს, პატარა დაბას, რომელიც მწვენეშია ჩაფლული. ირგვლივ კი თეთრი კლდეები აღმართულან. კორბელი კლდის ძირას და მდინარის პირას მდგარ სახლზე გვითითებს, რომელსაც ქვის მაღალი გალავანი აკრავს. სახლის წინ მშვენიერი ბაღია. სწორედ ვოკლუსში გადმოსახლებულა დიდი პოეტი ავინიონიდან და 16 წელი უცხოვრია აქ, მყუდრო და მშვიდ ხეობაში. მაგრამ ეს წლები გარდა განმარტოებული ცხოვრებისა, ტიტანური შრომისა და შემოქმედებითი აღმაფრენის პერიოდიც იყო.

პეტრარკას სათაყვანებელი მწერლის, ვერგილიუსის ხელნაწერ წიგნზე მიკრულია ქალაქის ფურცელი, რომელზეც პეტრარკას ხელით დაწერილია შემდეგი:

„ლაურა, ცნობილი თავისი ღირსებებით და დიდი ხნის მანძილზე ხოტბაშესხმული ჩემი სიმღერებით, პირველად ჩემს თვალთა წინაშე წარმოდგა ჩემი სიკაბუჯის გარიყრაყზე, 1327 წლის 6 აპრილს ავინიონში, სანტა-კლარას ტაძარში. და იმავე ქალაქში, აგრეთვე აპრილში, იმავე დღის საათებში, 1348 წელს დატოვა ქვეყანა ამ კანდელმა, როდესაც მე შემთხვევით ვერონაში ვიყავი, და ვაი, რომ არაფერი ვიცოდი ჩემი ბედისა...“

ლაურას სიკვდილი დიდი ლახვარი იყო პეტრარკასათვის. თუმცა დღემდე დადგენილი არ არის, მართლა არსებობდა ლაურა თუ პოეტმა გამოიგონა იგი.

პეტრარკა არა მარტო გენიალური პოეტი იყო, არამედ მას აინტერესებდა ისტორია, გეოგრაფია. თავისი პოემის „აფრიკის“ დასაწერად, რომელიც 1342 წელს დაუმთავრებია, შეუსწავლია დიდძალი მასალა. მასვე შეუდგენია „სირიის გზამკვლევი“, რომელშიც შესანიშნავადაა აღწერილი გზები და ღირსშესანიშნაობანი გენუიდან პალესტინამდე. პეტრარკას უმოგზაურია აგრეთვე პარიზში, ვენტში, ფლანდრიაში, ბრაბანტში, იტალიის მრავალ ქალაქში. საინტერესოა, რომ მის არქივში ნახეს პოლოვეცკური ენის მსოფლიოში ერთადერთი ლექსიკონი.

საოცარია გენიოსების ბედი. ვათვალეობდით ვოკლუსს, ნამდვილ ედემს და ვფიქრობდი პეტრარკას მარტოობაზე. იგი ხომ აქედან წერდა თავის მეგობრებს: „აი, ჩემი ჩვეულებრივი ცხოვრება: დილით აღრე ვღვებ და რიყრაყიდანვე ჩემი ერთგული ძაღლის თანხლებით სახლიდან გავდივარ... მაგრამ სახლშიც და მინდვრებშიც ვმეცადინებო. ვფიქრობ, ვწერ და არც ერთი ადამიანი არ იპყრობს ჩემს ყურადღებას, არც მხედავს; მხოლოდ ჩემს აზრებთან ვარ... ჩემი საღამოს ტრაპეზა ყოველ-



თვის მსუბუქია, შეზავებული შიმშილით და მუხვებით. მე სამი მუხვით ვარ და მუხვით ვარ — ჩემი ერთგული ძალი, ჩემი შინამოსამსახურე და მე თვითონ...“

ქან კორბელმა გვითხრა, ახლა კი წამოდით, სიურპრიზი მაქვს თქვენთვის, რაღაცა უნდა გიჩვენოთო. დიდი ინტერესით განვაგრძეთ გზა ვოკლუზის ვიწრო ქუჩაზე და ეკლესიის მოედანზე მალე მივადექით პატარა, ორსართულიან შენობას, რომელსაც ეწერა:

„ფონტან დე ვოკლუზის სპელეოლოგიური საზოგადოება.
 სპელეოლოგიურ-ფოლკლორული გამოფენა.
 ნორბერ კასტერეს კოლექცია.
 უკანასკნელი მდიდრული აღმოჩენები.
 მსოფლიოს მიწისქვეშეთის განსაცვიფრებელი განძებულობა.
 წარმოუდგენელი ხელოვნების სანაზიბა.
 უნიკალური მსოფლიოში“.

მართლაც უნიკალური გამოფენა გადაგვეშალა თვალწინ. ეს იყო მღვიმეთა მინერალების უნივერსიტეტი და უმდიდრესი კოლექცია, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე აგროვებდა გამოჩენილი ფრანგი სპელეოლოგი ნორბერ კასტერე. საოცარია, როგორ ამოქონდა დაუზიანებლად ღრმა მღვიმეებიდან თაბაშირის გრძელი, ნემსისებური წარმონაქმნები, ქვის მყიფე ყვავილები, სულის შებერვითაც რომ იშლებოდნენ.

ჩვენ მუზეუმის დათვალიერების შემდეგ შევიძინეთ აქ გამოფენილი ნიმუშების ფერადი ფოტოები, სლაიდები. ნორბერ კასტერეს თავისი უნიკალური კოლექცია უსასყიდლოდ უჩუქებია ვოკლუზისათვის...

კორბელმა ვახშმად აქაურ გურმანებისთვის კარგად ცნობილ რესტორანში მიგვიპატიჟა, რომელიც ვოკლუზის წყაროებით შექმნილ მდინარე სორგაზეა გადადგმული. მშვენიერ სივრცელს პროვანსული ღვინო და ათასნაირი ფეშხუმი დაემატა და პეტრარკასი არ იყოს, თავი სამოთხეში გვეგონა.

— რა ერქვა იმ მშვენიერ ქართულ ღვინოს, თქვენთან სტუმრობისას რომ დაგვალეგინეთ? — იკითხა ქან კორბელმა.

უცბად ვერ ვავისხენეთ, რომელ ღვინოს გულისხმობდა კორბელი.

— აი ის, რაჟის კარსტულ რეგიონში მხოლოდ ერთ პატარა ადგილას რომ მზადდება.

— ხვანჭკარა.

კორბელმა ოფიციალტი მოიხმო და რაღაც ჰკითხა. ოფიციალტმა თავი დაუქნია და მალე რამდენიმე ბოთლი ჩამოგვა მიაღიდაც.

— ესაა ფერიგულა, — თქვა კორბელმა, — პროვანსის ცნობილი ღვინო. მხოლოდ იმ ყურძნისაგან მზადდება, რომელიც ბუშ-დიურონის

დებარტამენტში, გრავეზონის ბორცვებზე ხარობს, როგორც თქვენებურ
რი ხვანჭყარა.

მართლაც შესანიშნავი ღვინო იყო.

— თითქოს ქართული სახელი ჰქვია, — ვუთხარი მასპინძელს, —
ფერი და გული ქართული სიტყვებია.

— რა უცნაური დამთხვევაა, — გაეღიმა კორბელს...

როდესაც სამხრეთისაკენ გზა განვაგრძეთ, უან კორბელი გვიამბობ-
და გზის ორივე მხარეს, ბორცვებზე შეფენილ სოფლებისა და დაბების
ისტორიას.

— მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა; ახალგაზრდობა გარბის
სოფლიდან, ქალაქში ცხოვრება ურჩევნია. აქ თითქმის მხოლოდ მოხუ-
ცებიღა დარჩნენ.

— ეს საერთო სენია, ასეა ჩვენთანაც.

ერთ პატარა სოფელში შევჩერდით. ოდნავ ცრიდა. სოფლის შუ-
აში პატარა მდინარე მიედინებოდა. წითელი აგურის სახლები ლამაზად
იყო შეფენილი ფერდობზე. ჩვენი ყურადღება ერთმა გზამ მიიპყრო,
რომლის ნახევარიც სახლებს შუა გადიოდა ვიწრო ქუჩად. ქვის სწორ-
კუთხა ფილები ალაგ-ალაგ დროისაგან გაცვეთილიყო.

— ეს ქუჩა და მდინარეზე გადებული ხიდიც ძველ რომაელთა ნა-
ხელავია. — ამბობდა კორბელი, — ამდენი დრო გავიდა და შეკეთებას
არ საჭიროებს. მხოლოდ დრო და დრო ფილებს შორის ამოსულ ბალახს
აცილებენ.

— ყურძნის მოსავლის აღების შემდეგ ამ რაიონის სოფლებში იმ-
ართება დიდი სახალხო დღესასწაული, — გვიამბობს კორბელი. — მშობ-
ლების კერას დროებით უბრუნდებიან წასული შვილები, შეილიშვილე-
ბი, და არის ერთი ჟრიაშული და გამოცოცხლება. დღესასწაული რამ-
დენიმე დღეს გასტანს ხოლმე. ყველა ერთად ცეკვავს ძველ პროვანსულ
ხალხურ ცეკვას ფარანდოლას. სამწუხაროდ, ეს დღესასწაული რამდენ-
იმე დღის წინ დამთავრდა, თორემ თქვენც მიიღებდით მონაწილეობას.

ჩვენ სამხრეთით, ექსისკენ და მარსელისკენ მივემგზავრებოდით.
მალე გადავედით ბუშ დიუ-რონის დებარტამენტში. ხელმარჯვნივ მდ.
დიურანის ხეობის ვაკე ადგილები ვენახის ზვრებით იყო დაფარული.
სწორედ ეს ზვრები უკვდავყო ვან გოგმა თავის ბრწყინვალე ტილო-
ზე — „წითელი ზვრები არლში“.

მივჭრივართ სამხრეთ საფრანგეთის მშვენიერ გზებზე, თვალუწვ-
დენელ ზვრებსა და ხილის ბაღებს შორის. ჭირნახული აღებულია, მაგ-
რამ სად წაიღეს გლეხებმა იგი? შესასყიდი ფასები კლებულობს, ბაზ-
რის ფასები კი გამუდმებით იზრდება. გაივლის 7 წელი და 1976 წლის



27 თებერვალს 100 ათასი გლეხი გამოვიდა თავისი ინტერესების დაცვა-
 ვად. 1977 წელს კი სამხრეთ საფრანგეთის მევენახეები ჯერ ბრიტანულ
 ეწვევიან, „საერთო ბაზრის“ შტაბბინას, შემდეგ კი, მაისის შუა რიცხ-
 ვებში ჩავლენ პარიზში და დემონსტრაციებს მოაწყობენ დედაქალაქის
 ქუჩებში. გლეხების მიერ გავრცელებულ პროკლამაციებში ეწერება:
 „მეღვინეობის რაიონები კვდებიან, ისინი მსხვერპლად ეწირებიან ევ-
 როპული და ეროვნული მონოპოლიების ფინანსურ ინტერესებს“, „სამ-
 ხრეთ საფრანგეთს სიცოცხლე სურს...“

ფრანგი ფერმერი შესანიშნავი მეურნეა. ამაზე მეტყველებს მოვ-
 ლილი ბალ-ვენახები, მშვენიერი ეზო-სახლები. თავდადებულ, პატიოსან
 შრომას შესაფერი დაფასებაც უნდა. ამის-თვის იბრძვიან სწორედ ფრან-
 გი მევენახეები, მეხილეები და საერთოდ ფერმერები...

ჩვენ კი მარსელს, ამ უდიდეს ნავსადგურს ვუახლოვდებით. ჩვენ
 წელთაღრიცხვამდე მე-9 საუკუნეში ბერძენების მიერ დაარსებული მა-
 სალია დღეს საფრანგეთის მეორე ქალაქია და ბუშ-დიურონის დეპარტა-
 მენტის ადმინისტრაციული ცენტრი. საფრანგეთის დიდი რევოლუციის
 დროს სწორედ აქედან ჩაიტანეს მარსელელმა ვოლონტერებმა პარიზში
 „მარსელიოზა“, რომელიც შემდეგ სახელმწიფო პიშნად იქცა...

ვსერნობთ მარსელის მთავარ პროსპექტზე — ლა-კანბიერზე, გავ-
 დივართ კორნიშის სანაპიროზე. საღაც ლაყვარდოვანი ნაპირის სახელ-
 განთქმულ კურორტებისაყენ მიმავალი მშვენიერი ავტოსტრადა იწყება.
 ვათვლიერებთ ქალაქის ძველ ნაწილს, ამფითეატრად რომ აკრავს უძვე-
 ლეს ნავსადგურს. აქ შემორჩენილია რომაელთა ციხესიმაგრეების ნან-
 გრევეები, აღმართულია XI — XV საუკუნეების წმინდა ვიქტორის რო-
 მანულ-გოთური ეკლესია, XII საუკუნეში აგებული ვეებერთელა ტა-
 ძარი ლა-მაჟორი, ტრიუმფალური თაღი, ნოტრდამ დე ლა გარდის ბაზი-
 ლიკა. ყურადღებას იქცევს უზარმაზარი და ორიგინალური საცხოვრე-
 ბელი სახლის შენობა, აგებული ლე კორბუზიეს პროექტით.

შემოდგომის შხაპუნა წვიმა დაიწყო და თავი მეზღვაურთა ბარს
 შეეფაძრეთ. კარგა ხანს წვიმდა. ზღვას ტყვიისფერი დაჰკრავდა და საკ-
 მაოდ ძლიერ დელავდა. როცა წვიმამ გადაიღო, ნავსადგურში გავედით.
 გადაწყვეტილი გვქონდა კატარლით იფის კუნძულზე გადასვლა, რათა
 საკუთარი თვალთ გვეხილა ციხესიმაგრე, რომელიც დღემდე ასე დავვი-
 ახლოვა თავისი წიგნით „„გრავი მონტე-კრისტო“. მაგრამ ზღვის დელ-
 ვის გამო კატარლები უმოქმედოთ ირწეოდნენ ნაპირთან. დღეის დროს
 ის ტურისტები, რომლებიც იფის კუნძულზე სასტუმროში ცხოვრობენ
 ან უბრალოდ, რესტორანში ეწაფებიან სამხრეთ საფრანგეთის შესანიშ-

ნავ ღვინოს, მარსელში ვერ გადმოდიან და ედმონდ დანტესისა არ იყოს, რამდენიმე დღეს „პატიმრებად“ იმყოფებიან იფის კუნძულზე.

დიდხანს გავყურებდით იფის პირქუშ ციხე-კუნძულს, ზღვიდან ანაორთქლ ნისლში რომ ილანდებოდა ჩამუქებულ სილუეტად...

ზღვის სანაპიროზე ახლად დაპერილი თევზი, კიბორჩხალები, ხამანწკები, ომარები და ათასნაირი ზღვის ბინადარი იყიდებოდა. საოცარი სანახაობა იყო მარსელის თევზის ბაზარი. თევზების გვერდით მრავლად არის სოკო, განსაკუთრებით შამპინიონები. მარსელელები ცნობილნი არიან მახვილსიტყვაობით. ყილბერ გალომ გვიამბო ორი ანეკდოტი მარსელური ფოლკლორიდან. ერთხელ პარიზელს საუბარში უთქვამს მასპინძელი მარსელელისათვის, რომლის ოჯახშიც თევზს შეექცევოდა: — ჩვენთან, სენაში, საკმარისია წყალში ვედრო ჩაყო, რომ იგი მაშინვე თევზით გაივსებაო. ეგ რა თევზიაო, უპასუხია მარსელელს, აი ჩვენთან, მარსელში ზღვაში უნდა გასწი-გამოსწიო თევზი, რომ შიგ ვედრო ჩაყო. ან კიდევ მეორე: ერთხელ მარსელელი და პერპინიანელი ერთად სადილობდნენ. როდესაც სუფრაზე სოკო მოიტანეს, პერპინიანელს უთქვამს: — ეს რა პატარა სოკოებია, ჩვენში, პერპინიანში კი ხეების ქვეშ თევზისოდენა სოკოები იზრდებოდა. არ გამაჯვირე? — უთქვამს მარსელელს, ჩვენთან, მარსელში, ხეები იზრდება სოკოების ქვეშ...

ლამის მატარებლით მარსელიდან ლიონში გავემგზავრეთ და მეორე დღეს უკვე გამოსათხოვარ სუფრას ვუსხედით. ჩვენმა გულუხვმა მასპინძლებმა ლიონის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში მიგვიპატიყეს. ფრაკში გამოწყობილმა მეტრდოტელმა თავაზიანი ღიმილით თავისუფალ და მყუდრო ადგილას მდგარ მაგიდისკენ წაგვიყვანა. მაშინვე გაჩნდა ორი ოფიციანტი. ერთი სასმელის დაკვეთას იღებდა, მეორე კერძი-სას.

— ხბოს ხორცი ლიონურად, ხამანწკები და ჰელიქს ბურგუნდი-ეს, — დაუკვეთა კორბელმა. ერთი ოფიციანტი მაშინვე გაუჩინარდა. მეორე მოთმინებით იღგა და თავის რიგს ელოდა. კორბელმა სთხოვა, ყური ახლოს მოიტანეო და რალაც ჩასჩურჩულა. ოფიციანტმა თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად და გაუჩინარდა.

რამდენიმე წუთიც და ოფიციანტმა მოგვართვა ვეებერთელა ტაფა. იგი ოთხკუთხა, გვერდებდაჩვრეტელ თუნუქის კოლოფზე იღგა. სადგარის შიგნით სანთლები ენთო, შემწვარი ხბოს ხორცი რომ არ გაციებულყო.

ამასობაში მეორე ოფიციანტიც მოვიდა. ხელში ჭუჭყიანი, ობგა-

დაკრული ბოთლი ეჭირა. ჯერ კორბელს უჩვენა, მერე ჩვენ ჩამოგვი-
არა სათითაოდ. ბოთლზე 1920 წელი ეწერა. შემდეგ ბოთლი ფახსნაჟი
ფრთხილად მოათავსა ირიბ მინიატურულ კალათზე, ქათქათა ტილო გა-
დააფარა და ჭიქებში ჩამოასხა მუქი წითელი ღვინო.

— ეს სახელგანთქმული ბორდოა, — თქვა კორბელმა, — ქარ-
თველებმა იცით კარგი ღვინის ყადრიც და დამზადებაც.

მართლაც შესანიშნავი იყო ნახევარი საუკუნის „ბორდო“.

— სამწუხაროდ, დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა ბორდო-
ში ჩასვლა, რაც ჩვენი გეგმით პირინეების მღვიმეთა ხილვის შემდეგ
იყო გათვალისწინებული. — თქვა კორბელმა, მერე მე შემომხედა და
დაუმატა, — ბატონი თამაზ კიკნაძე კი ჩემთან ერთად იმოგზაურებს
საფრანგეთის იმ საინტერესო რაიონებში, მომავალ წელს.

ამ დროს ოფიციალტმა ჰელიქს ბურგუნდიეს შემოიტანა და ყვე-
ლას სათითაოდ დაგვიდგა წინ. ეს იყო საკუთარ ნიჟარაშივე შემწვარი
ლოკოკინები, უგემრიელესი დელიკატესი და საკმაოდ ძვირი.

— ჰელიქს ბურგუნდიეს ძალზედ უხდება ბორდო. — თქვა კორ-
ბელმა.

როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ არგენტინაში მოგზაურობის
დროს რესტორნის მენიუში იგივე დასახელების ფეხშუმში აღმოვაჩინ-
ე, ოფიციალტს ვთხოვე ჩვენი დელეგაციის ყველა წევრისათვის მო-
ეტანა თითო ულუფა ჰელიქს ბურგუნდიეს. ჯერ გამინაწყენდნენ კი-
დეც, როცა შემწვარი ლოკოკინის ნიჟარები დაინახეს, მერე ზოგმა გე-
მო გასინჯა და მალე პირიქით, გამეორებაც კი მოთხოვეს ოფიციალტს.
ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ჰელიქს ბურგუნდიესი უმაღლესი კლა-
სის დელიკატესია..

ლიონიდან პარიზისკენ ამერიკული ორსართულიანი ბოინგით გავ-
ფრინდით. პარიზში კიდევ რამდენიმე დღეს დავრჩით. ვათვალისწინებ-
დი პარიზს და დარწმუნებული ვიყავი, რომ სულ მალე ერთი წლით
ვეწვეოდი საფრანგეთს. როდესაც პარიზიდან მოსკოვს მივფრინავდი,
თვალწინ მედგა პროფესორ ჟან კორბელის მომღიძმარი სახე. ყველანი
კმაყოფილნი ვიყავით მოგზაურობით, ნანახით, განცდილით, ფრანგი
კოლეგებისა და მეგობრების გულუხვი მასპინძლობით. მახსენდებოდა
დიალოგი კორბელთან:

— ერთ-ორ თვეში ოფიციალურად მოგიწვევთ ჩემს ლაბორატო-
რიაში სამუშაოდ ერთი წლით.

— ჩემთვის ძალიან დიდი პატივია თქვენთან ერთად მუშაობა. —



პირობები, როგორც ნახეთ, კარგია. თქვენ უზრუნველყოფილხართ იქნებით ბინით, მანქანით, ერთად მოვაწყობთ ექსპედიციებს ალპებსა და პირინეებში.

— თქვენ ალბათ კიდევ რამდენჯერმე მოგიწევთ ჩამოსვლა კავკასიაშიც.

— რასაკვირველია, კავკასიის, კერძოდ, საქართველოს კარსტი და სპელეოლოგია მსოფლიოში უნიკალურია. მერე ერთობლივი მუშაობის შედეგებს პარიზში გამოვაქვეყნებთ მონოგრაფიის სახით, სათაურით: „ალპებისა და კავკასიის კარსტის განვითარების თავისებურებანი“.

ჩემთვის მართლაც დიდი პატივი და თანაც ძალზე საინტერესო იყო ასეთ მეცნიერთან ერთად მუშაობა და მთელი წლის განმავლობაში ალპებსა და პირინეებში კვლევების ჩატარება. მაგრამ, როგორც იტყვიან, „კაცი ბჭობდა, ღმერთი კი იცინოდაო“, — ჩვენს საერთო გეგმებს განხორციელება არ ეწერა. როდესაც ორიოდ თვის შემდეგ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მ. კელდისისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნ. მუსხელიშვილის სახეზე საფრანგეთის მეცნიერული კვლევის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობისაგან მოვიდა წერილი ჩემი ერთი წლის ვადით პროფ. ე. კორბელთან მიწვევის შესახებ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მალე სათანადო საბუთებიც გაფორმდა და ბილეთიც კი იყო დაკვეთილი თვითმფრინავზე „მოსკოვი-პარიზი“ 1970 წლის მარტის დასაწყისისათვის. 23 თებერვალს თბილისიდან ლიონში დავრეკე. ქალბატონმა კორბელმა მიპასუხა.

„...ბატონი ეან კორბელი ხუთი დღის წინ დაიღუპა ესპანეთის მოყინულ გზაზე, საავტომობილო კატასტროფაში...“ დამცეცხლა, ხმა ვაღარ ამოვიღე. ყურმილში ქ-ნ კორბელის ქვითინი გაისმა...

ძნელი დასაჯერებელი იყო ამ უბედურების სინამდვილე. პროფესორი ეან კორბელი, 49 წლისა, მშვიდი და სათნო, კეთილი ადამიანი, დიდი მეცნიერი, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიარა ექსპედიციებით, ანტრაქტიდა და გრენლანდია, ინგლისი და კოსტა-რიკა, დედამიწის ყველა კონტინენტი, მიწის ზევით და მიწის ქვეშ, დაიღუპა იმის გამო, რომ ესპანეთის მოყინულ გზაზე მანქანა მოცურდა...

რამდენიმე დღის შემდეგ ხუთივე ქართველმა, რომლებიც შარშან ეან კორბელის სტუმრები ვიყავით, მივიღეთ ოფიციალური, შევარშიანი ცნობა კორბელის დაღუპვის შესახებ. მაისის დასაწყისში კი მივიღე მარი კორბელის წერილი:

ბუტარის ქუჩა, 30

ძვირფასო ბატონო!

1970 წლის 6 მაისი

გთხოვთ მომიტყევოთ, რომ უფრო ადრე ვერ მოგწერეთ; იმდენი საქმე იყო მოსაგვარებელი, თანაც ყოველთვის ვერ ვერეოდი თავს...

სამწუხაროდ, როგორც ჩანს, თქვენი ჩამოსვლა საფრანგეთში წელს შეუძლებელი იქნება, რადგან დღეისათვის არავინ არის ისეთი, ვინც ჩემი მეუღლის ნაცვლად უხელმძღვანელებდა ლაბორატორიას. იგი დახურულია 1970 წლის ბოლომდე, მით უმეტეს, რომ ჟილბერ გალო ჯარში გაიწვიეს და 15 — 16 თვეს არ იქნება.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ 1971 წელს შევქმნით კოლექტიურ ორგანიზაციას, რომელშიც შევლენ კარსტის შესწავლით დაინტერესებული სხვადასხვა პროფესიის მკვლევარები. ისინი დარჩებიან თავიანთ ლაბორატორიებში, მაგრამ შეიკრიბებიან პერიოდულად, რათა დაამტკიცონ კვლევების საერთო პროგრამები და ერთუროს გაუზიარონ შედეგები. ჟილბერ გალო დაბრუნების შემდეგ ალბათ კვლავ დაიკავენ თავის პოსტს ლაბორატორიაში და შევარჩევთ ახალგაზრდა მკვლევარებს მასთან ერთად სამუშაოდ; ეს საშუალებას მოგვცემს კვლავ მოვიწვიოთ უცხოელი მეცნიერები.

ამ ორგანიზაციის შექმნამდე ლაბორატორიის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაავალეს ბატონ ნიკოს, ექს-ენ პროვანსის უნივერსიტეტის გეოგრაფიის პროფესორს. იგი ძალიან კარგი ადამიანია, მაგრამ ძალზედ გადატვირთულია პედაგოგიური მოღვაწეობით. ყოველივე ამ მიზეზთა გამო ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი ჩამოსვლა საფრანგეთში გადასდით ერთი წლით? ხომ უკეთესი იქნება, რომ აქ იყოს ვინმე, ვინც ადგილებზე გაგყვებოდათ?

მე ღრმად განვიცადე თანაგრძნობის ის გამოხატულებები, რომლებიც მივიღე საბჭოთა კავშირიდან და კერძოდ თბილისიდან. ჩემი მეუღლე ბედნიერად გრძნობდა თავს თქვენს კამპანიაში და სიხარულით ელოდებოდა თქვენს ჩამოსვლას.

დარწმუნებული ვარ, რომ არ დაივიწყებთ მის მეგობრულ დამოკიდებულებას თქვენდამი და ვიმედოვნებ, ჩემთვისაც შემოინახავთ იმ მეგობრულ გრძნობების მცირეოდენ ნაწილს, რაც მის მიმართ გავაჩნდათ.

მე სულითა და გულით მსურს გიხილოთ კიდევ ერთხელ და გთხოვთ, ძვირფასო ბატონო, ირწმუნოთ ჩემი გულწრფელი მადლობა თქვენდამი.

მარი კობელი



როცა ამ წერილის გამოგზავნას ვაპირებდი, თქვენ დამირეკვეთ ტელეფონით თბილისიდან. მე ძალიან კარგად მესმოდა თქვენი ხმა, მაგრამ ჩემი ცუდად გესმოდათ. მე შეეითხვა გავუგზავნე საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნულ ცენტრს, რა შეუძლიათ გააკეთონ თქვენთვის, მაგრამ პასუხი არ მიმიღია. ალბათ, უშუალოდ თქვენ შეგატყობინებენ. მომწერეთ, რას ფიქრობთ ყოველივე ამის თაობაზე.

მ. კ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც მივიღე საფრანგეთის მეცნიერული კვლევების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობის წერილი, რომლითაც მატყობინებდნენ, რომ პროფესორ ჟან კორბელის ტრაგიკულად დაღუპვის გამო ჩემი ჩასვლა საფრანგეთში სამუშაოდ გაურკვეველი ვადით გადაიდო...

შემდეგ წელს გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოსცა ჩემი მონოგრაფია არაბიკის მასივის კარსტისა და სპელეოლოგიის შესახებ. მონოგრაფიის პირველ გვერდზე ფრანგულად და რუსულად ეწერა: „ავტორი ამ წიგნს უძღვნის დიდი მეცნიერისა და ქართველი სპელეოლოგების მეგობრის პროფესორ ჟან კორბელის ხსოვნას“. როდესაც წიგნი ქ-ნ კორბელს გავუგზავნე, საპასუხო წერილში ასეთი რამ მომწერა:

„ძვირფასო ბატონო, მეგონა, რომ თქვენი წიგნის რომელიმე თავი იყო მიძღვნილი პროფესორ კორბელის ხსოვნისადმი: თურმე მთელი წიგნი მიგიძღვნიათ. მე დავრწმუნდი იმაში, რომ ქართველები და პირადად თქვენ ძალიან დიდ პატივს სცემთ მეგობრულ გრძნობას. თქვენმა წიგნმა მე საგრძნობლად შემიმსუბუქა ის უბედურება, რომელიც თავს ასე მოულოდნელად დამატყდა. მიიღეთ ჩემი გულითადი მადლობა და ღრმა პატივისცემა“.

1973 წელს გამოქვეყნდა „საქართველოს მღვიმეებისა და გამოქვაბულების“ მორიგი ტომი, რომელშიც მოვათავსე პროფესორ ჟან კორბელის პორტრეტი და ნეკროლოგი...

**ნარკომანი ნაგაზები და ნეოზაუნისტები
შტრაუსის ქალაქში**

1974 წლის 27 აპრილს „ტუ — 134“ აეროდრომ „ვენა-შევეპატზე“ დაეშვა. ამ თვითმფრინავით ავსტრიის დედაქალაქში ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია აკადემიკოს გიორგი ძოწენიძის ხელმძღვანელობით. როდესაც თვითმფრინავი აეროვაგზლის შენობას მიუახლოვდა, დავინახეთ ვეებერთელა შავი დროშა, რომელსაც აპრილის ნიაგი

აფრიკალებდა. ავსტრია ძაძებში იყო. გარდაიცვალა ამ ქვეყნის პრეზიდენტი იონასი. ჩვენი დელეგაციის ჩასვლის მიზეზიც პრეზიდენტის დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობის მიღება იყო.

როგორც კი თვითმფრინავიდან გადმოვედით, ცოტა არ იყოს, გაოცებულვებმა დავიწყეთ ტრაპზე ჩასვლა: ტრაპთან შავ ფრაკებში გამოწყობილი დეტექტივების ცოცხალი დერეფანი იწყებოდა. თითოეული მათგანის გვერდით შავი ფერის გერმანული ნაგაზი იდგა. ჩვენ გავიარეთ დეტექტივებისა და ნაგაზების საკმაოდ გრძელ მწყრივთა შორის და მივალწიეთ იმ ადგილამდე, სადაც მოთმინებით გველოდნენ ავსტრიის მთავრობის მინისტრები და საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

საპატიო სტუმრების დარბაზში საკმაო ხანს გავვაჩერეს. ავსტრიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განგვიცხადეს, რომ დელეგაციის უსაფრთხოებაზე პასუხს არ აგებდნენ. უცნაურად ქდერდა ეს განცხადება.

— ახლა შეგვატყობინეს, რომ ნახევარი საათის წინ ახალგაზრდა ნეოფაშისტებმა დემონსტრაცია გამართეს ჩვენი საელჩოს შენობის წინ, — თქვა საბჭოთა ქვეყნის ელჩმა.

— მიზანი?

— სწორედ დღეს შეუსრულდა დაბადებიდან 80 წელი ჰიტლერელ რუდოლფ ჰესსს, რომელსაც მუდმივი პატიმრობა აქვს მისჯილი ნიურნბერგის პროცესზე. აქაურმა ნეოფაშისტებმა შექმნეს მისი განთავისუფლების კომიტეტი, რომელმაც მოაწყო დემონსტრაცია ჩვენს საელჩოსთან.

— ის ნაგაზები რაღა შუაშია, თვითმფრინავთან რომ დაგვახვედრეს?

— გაგებული გექნებათ, რომ ადრე ნარკოტიკების გადასატანი შუალედი პუნქტი მსოფლიო მასშტაბით მარსელი იყო. ინტერპოლმა გაანადგურა იგი და მას შემდეგ ასეთ პუნქტად ვენა იქცა. ავსტრიის მთავრობის განკარგულებით ყველა მგზავრმა უნდა გაიაროს ნარკოტიკების სუნზე დაგეშილ ნაგაზებს შორის.

— მერე, არის რაიმე შედეგი?

— საოცარი. ალბათ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ნაგაზები სულ სამ-ოთხ თვეს ძლებენ. თვითონაც ნარკომანები ხდებიან.

— რაში გამოიხატება მათი ნარკომანობა?

— თუ პირველ თვეებში ნაგაზს ვერ გამოაპარებენ ტანსაცმელში თუ ხელჩანთაში გადამალულ ნარკოტიკებს, შემდეგ, იმის გამო, რომ წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით შემოაქვთ ნარკოტიკული ნივთი-

ერებანი, მას ყნოსვა უჩლუნგდება, იწყებს ჭირვეულობას, ან მთლად მოღუნებულია.

— როგორ ექცევიან ასეთ „ნარკომან“ ნაგაზებს?

— ხოცავენ!...

საელჩოდან დარეკეს. ვენის ჟანდარმერიას მოეხერხებინა ნეოფა-შისტების გარეკვა და შეიძლებოდა ჩვენი გამგზავრება. მანქანებში ჩავსხედით, ჟანდარმერიის გაძლიერებული ესკორტის თანხლებით აეროპორტის ვაგზლიდან ქალაქისაკენ ავიღეთ გეზი.

საელჩოს შენობის წინ, ვიწრო ქუჩაზე, აგურებისა და ბოთლების ნამსხვრევები ეყარა და ნიავე ფაშისტურ პროკლამაციებს აფრიალებდა. უცნაურად მოგვეჩვენა, რომ საელჩოს მახლობლად ვენის ჟანდარმერიის სამმართველო იყო, დელეგაციის უსაფრთხოებაზე კი პასუხს არ აგებდნენ.

ჩვენი დელეგაციის რეზიდენციად შერჩეული იყო საბჭოთა ელჩის აგარაკი პუვერსდორფში, ვენის ტყეში, დედაქალაქიდან ოციოდე კილომეტრში, მაგრამ ელჩისა და ადგილობრივი ხელისუფლების დაყინებითი თხოვნით დელეგაციის მეთაური და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უნდა გაჩერებულიყვნენ საელჩოს შენობაში, სადაც ორი აპარტამენტი იყო და კარგადაც დაცული. დანარჩენებს კი პუვერსდორფში უნდა დაგველო ბინა.

თავისუფალი დრო გვქონდა და გიორგი ძოწენიძემ წინადადება წამოაყენა, ყველა ერთად გავმგზავრებულიყავით პუვერსდორფისაკენ. მალე მანქანებში ვისხედით და ქალაქის გავლით დასავლეთით, ვენის ტყისკენ მივეშურებოდით. მანქანიდან ძნელი იყო მსოფლიოს ამ ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის მშვენიერების და თავისებურებების აღქმა, მაგრამ ერთი კი მაშინვე იგრძნობოდა — აპრილის ვენა განუყოფელი იყო.

დაიწყა ვენის განთქმული ტყეც. აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს ცნობილზე ცნობილი კინოფილმი „დიდი ვალსი“ და შტრაუსის „ვენის ტყის ზღაპრები“. საოცრად სუფთა, მოვლილი ტყე, არც ნაგვის ნასახი, არც დაღწეული ხეები ან კოცონების ნალველფარი. მალე სააგარაკო ზონაც დაიწყა, მშვენიერი შენობებით, თითოეულს გემოვნებით აგებული ქვის ღობე ჰქონდა შემოვლებული. აი, ელჩის აგარაკიც, რომელიც ვიღაც მდიდარი ბიურგერისგან შეუსყიდია ჩვენს მთავრობას. წინათ აქ ხშირად იმართებოდა სადღესასწაულო მიღებები, მოდიოდნენ ავსტრიის მთავრობის წევრები, ვენაში აკრედიტებული მრავალი ქვეყნის ელჩიონი.

მოზრდილი, ორსართულიანი ძველი შენობა ბაროკოს სტილშია

აგებული. ირგვლივ შესანიშნავი და საკმაოდ მოზრდილი პარკია. ყოველი ნაბიჯზე ხეივანი, ხავსმოდებული ლოდები, დეკორატიული კაშხლები, ბაღის ზედა ნაწილში მოზრდილი საცურაო აუზი და ტენისის კორტია. ბაღს ირგვლივ ხშირი ტყე ეკვრის.

ორიოდე საათს ვისეირნეთ ბაღში, ტყეშიც გავედით. შესანიშნავი ჰაერი და იდილიური მყუდროება იყო.

— სიამოვნებით გაგიცვლიდით საელჩოს აპარტამენტებს, — სინანული გამოთქვა გიორგი ღოწენიძემ, რომელიც ვენაში უნდა დაბრუნებულიყო. შემდეგ დღეებშიც, საღამოობით, როდესაც თავისუფალი დრო გამოჩნდებოდა, იგი ჩვენთან ერთად მოდიოდა პუერსდორფში და ერთ-ორ საათს ვსეირნობდით ბუნების ამ შესანიშნავ წიაღში.

მეორე დღეს, კვირას დანიშნული იყო ჩვენი დელეგაციის მეთაურის შეხვედრა და საუბარი ავსტრიის კანცლერ ბ. კრაისკისთან და საგარეო საქმეთა მინისტრ რ. კირხშლეგერთან. ამ ოფიციალური საუბრის შემდეგ საელჩოს თანამშრომლებმა მანქანებში ჩაგვსხეს და შევეუდექით ვენის დათვალიერებას.

საინტერესოა მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის ისტორია. მის დღევანდელ ტერიტორიაზე ჩვენი წელთაღრიცხვის 90 წელს რომაელებმა გააშენეს გამაგრებული ბანაკი — ვინდობონა. V საუკუნიდან, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, ლუტეციის მსგავსად ვინდობონა გაუკაცრიელებულა და მხოლოდ, XI—XII საუკუნეებში ჩაყრია საფუძველი ახალ ქალაქს, ვენას, თუმცა კი ეს სახელი ისტორიულ ქრონიკებში პირველად 881 წელსაა ნახსენები. XII საუკუნის მეორე ნახევრიდან ვენა ავსტრიის დიდ ქალაქად და ჰერცოგ ბაბენგერბერების რეზიდენციად იქცა. 1276 წელს ვენა ავსტრიასთან ერთად ჰაბსბურგების დინასტიამ იგდო ხელთ და 1918 წლამდე ამ მონარქიის დედაქალაქს წარმოადგენდა. თვით ავსტრიის დედაქალაქის ფუნქციებს კი ვენა მე-16 საუკუნიდან ასრულებს. ქალაქის განვითარებას დიდად შეუწყობდა ხელი მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ამ ადგილებში კვეთდნენ დუნაის, გზას ჩეხეთიდან, სლოვაკიიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან, ხმელთაშუაზღვისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებიდან მომავალი გზები, რომლებიც ან ალპებს შემოუვლიდნენ, ან კიდევ გადმოდიოდნენ ზემერინგის მაღალი უღელტეხილით. უნიკალური სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით ვენა ამჟამადც დიდ მოგებაშია. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ვენის სტატუსსაც, როგორც ყოფილი ავსტრო-უნგრეთის მონარქიის დედაქალაქს, სადაც თავს იყრიდა მრავალმილიონიანი მოსახლეობის მიერ შექმნილი დოვლათი.



1955 წლის შემდეგ, ნეიტრალური ავსტრიის პირობებში ვენის კონფერენციის გადაიქცა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზიდენციად. აქ არის ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (მაგატე), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანო სამრეწველო განვითარებისა (იუნიდო), ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ოპეკი) და სხვ. იგი კონკურენციას უწევს უნეშას საერთაშორისო მოლაპარაკებათა, შეხვედრათა, კონგრესების, კონფერენციების, სამეცნიერო ყორუმების ჩატარებაში.

ვათვლიერებთ ვენას, დიდი მოედნების, მშვენიერი პარკებისა და შადრევნების, სასახლეებისა და ვალსების ქალაქს. ფეხით ვსეირნობთ ცენტრში — იწერე შტადტში, სადაც თავმოყრილია ბაროკოს სტილში აგებული სასახლეები ვეებერთელა, საოცრად მოვლილი პარკებით და დეკორატიული ქანდაკებების ანსამბლებით. გაოცებას იწვევს ხოფბურგი, იმპერატორთა სასახლე, რომელშიც ახლა ეთნოგრაფიული და ავსტრიის კულტურის მუზეუმებია, სურათების გალერეა, ეროვნული ბიბლიოთეკა და საკონცერტო დარბაზი. მახლობლად აღმართულია წმინდა სტეფანეს ცნობილი გოთური ტაძარი. აქვეა 1365 წელს დაარსებული უნივერსიტეტის შენობა. გავდივართ ქალაქის მთავარ პროსპექტზე — კერტნერშტრასეზე. ცენტრს ნალისებურად აკრავს ფართო ბულვარი რინგი, რომლის თავი და ბოლო დუნაის არხს აწყდება. რინგზე განლაგებულია სხვადასხვა არქიტექტურული სტილის შენობები — ახალი უნივერსიტეტის, სახელმწიფო ოპერის, პარლამენტის, ქალაქის რატუშა, ცნობილი ბუგ-თეატრი, მუზეუმები. მსხვილი მალაზიები, საცხოვრებელი სახლები. რინგიდან მარაოსებურად მიემართება ქუჩები ვარეთა ნახევარწრისაკენ, რომელსაც გიურტელი ჰქვია. აქ ყველაზე მდიდარი ქუჩაა მარიაჰილფერშტრასე.

ცენტრიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, რინგის მიღმა დგას ბელვედერის სასახლე უზარმაზარი პარკით. გამოჩენილ არქიტექტორს ლუკას ჰილდებრანტს ბაროკოს სტილში აუგია ეს სასახლეც. სწორედ აქ მოაწერეს 1955 წელს საბჭოთა კავშირის ინიციატივით სახელმწიფო ხელშეკრულებას ოკუპაციის შეწყვეტისა და დამოუკიდებელი, დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის თაობაზე.

განსაკუთრებით შესანიშნავია ვენის დასავლეთ ნაწილში, გიურტელის ვადალმა მდებარე გრანდიოზული და ცნობილი შონბრუნის ანსამბლი — ჰაბსბურგების ყოფილი საზაფხულო რეზიდენცია. ესეც ბაროკოს სტილშია აგებული სახელგანთქმული ავსტრიელი არქიტექტორის ფიშერ ფონ ერლახის პროექტით და ითვლება ვენური ბაროკოს თვალსაჩინო ობიექტად.



ვარეუბანში ჩვენი ყურადღება მიიპყრო უამრავმა ღვინის მწარმოებელმა. ერთში ჩავვიყვანეს. კედლებზე ვაზის გვირგვინები ეკიდა. გავვასინჯეს შესანიშნავი ავსტრიული ღვინო. ამ სარდაფებში გვიან შემოდგომაზე, რთველის შემდეგ ყოფილა ტრადიციულად დიდი ხალხმრავლობა. დიდი პოპულარობით სარგებლობს მაჭარი, რომელსაც აქ „შტურმი“ ჰქვია. მაჭარს აყოლებენ დაწნილებულ წვრილ ხახვს და კიტრს. რას იზამ, ყველა ხალხს თავისი გემოვნება აქვს.

პრეზიდენტის დაკრძალვა

29 აპრილს ბულბულების სტვენამ გამომალვიდა. დილის 6 საათი იყო. მთელი საათი ვსერნობდი ამ შესანიშნავ ტყეში. ალბათ, ყოველ ხეზე იჯდა ბულბული, ისეთი გალობა იყო ირგვლივ.

8 საათისთვის მანქანამ მოგვაკითხა და ვენისკენ გავეშურეთ. თუ გუშინ და გუშინწინ, შაბათ-კვირას მთელი გზა ვენამდე და თვით ქალაქის ქუჩებიც ცარიელი იყო, ამ ორშაბათის დილას ჩვენი მანქანა ძლივს მიბობლავდა, რადგან ყველა გზა გაქედილი იყო. ვენის მკვიდრნი აგარაკებიდან უბრუნდებოდნენ თავიანთ დედაქალაქს, სამსახურებს, ოჯახებს.

თერთმეტის ნახევარზე საელჩოდან პარლამენტის შენობისკენ გავემგზავრეთ. გზები გადაკეტილი იყო, მაგრამ ჩვენს მერსედესს ელჩის შტანდარტით პოლიცია დაუბრკოლებლად ატარებდა.

პარლამენტის ვეებერთელა შენობის წინ, მოედანზე უამრავი ხალხი იყო. ცერემონიებისტერმა ჩვენს დელეგაციას ადგილი მიუჩინა გრძელ რიგში. წინ ნელა მივიწვედით. უზარმაზარი დარბაზის ბოლოში, შემალლებზე პრეზიდენტ იონასის ცხედარი ესვენა. სარკოფაგს ავსტრიის სახელმწიფო დროშა ეფარა. გიორგი ძოწენიძემ ხელი მოაწერა სპეციალურ წიგნში. ჩვენს წინ ორი ფოლადის მუზარადიანი ჯარისკაცი დადგა, ვეებერთელა გვირგვინი გამოგვართვეს, რომლის წითელ ბაბთას რუსულად ეწერა: „ავსტრიის ფედერალურ პრეზიდენტს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტისადგან“. ნელა მივყვებოდით ჯარისკაცებს, რომლებიც საზეიმო ნაბიჯით მიგვიძლოდნენ წითელი მიხაკების გვირგვინით. ირგვლივ უამრავი მალალი სანთელი ანთია. ჯარისკაცები საკროფაგის ძირთან აყუდებენ გვირგვინს. ერთ წუთს გარინდულნი ვდგავართ, მერე თავს ვბრით და კვლავ ნელი ნაბიჯით გამოვდივართ დარბაზიდან. ჩვენს ადგილს სხვა ქვეყნის დელეგაცია იკავებს.



ველოლებით გამოსვენებას. გაისმა დაფდაფების ხმა. პრეზიდენტის ცხედარი შეცხენებშებმულ ზარბაზნის ლაფეტზე დაასვენეს, ზედ კვლავ სახელმწიფო დროშა გადააფარეს და პროცესია დაიძრა. წინ ძალიან ნელი და საზეიმო ნაბიჯით მიდიოდა გვარდიის რაზმი, შემდეგ ლაფეტი ცხედრით. მას მიჰყვებოდა ვეებერთელა შავი როლს-როისი, რომელშიც პრეზიდენტის ქვრივი და ოჯახის წევრები ისხდნენ. მანქანას ფეხით მისდევდა ავსტრიის მთავრობა კანცლერ ბრუნო კრაისკის მეთაურობით. ყველას შავები ეცვა გარდა აფრიკის და არაბეთის ქვეყნების წარმომადგენლებისა. მთელი გზა ყველა შენობაზე ძირს დახრილი დროშები ეკიდა შავი ძაძით შემოსილები.

სარკოფაგი საფლავში ჩაუშვეს და საფლავს დიდი ქვა დაადეს. აქ უცნაური წესი ჰქონიათ: როდესაც ახალ პრეზიდენტს ირჩევენ, მაშინვე უმზადებენ საფლავს, რომლის ქვაზეც ამოკვეთილია პრეზიდენტის სახელი, გვარი და დაბადების წელი. დაკრძალვის შემდეგ საფლავს ცხედრის გარდა მხოლოდ გარდაცვალების წელი ემატება.

ხალხი ნელა იშლებოდა. დაკრძალვის ცერემონია დამთავრდა. ჩვენ ვენის ცენტრში, შტრაუსის პარკში შევედით და ნელა მივსერილობდით. ეს პარკიც მშვენივრადაა მოვლილი. განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურება გაზაფხულის ამ მზიან დღეს. მწვანეში უამრავი ტიტა ყვავდა წითლად. აქვე დიდი ესტრადაა. საელჩოს თანამშრომლები გვიამბობენ აქ გამართულ შტრაუსის საღამოებზე, ორკესტრი მხოლოდ შტრაუსის ვალსებს უკრავს და სამეჯლისო ტანსაცმელში გამოწყობილი წყვილები გვიან ღამემდე ცეკვავენ.

აი შტრაუსის ძეგლიც: კომპოზიტორის შავი ფერის ქანდაკება ვიოლინოთი, ირგვლივ თეთრ მარმარილოში ნაკვეთი შიშველი ქალების გორელიფებები, ზევით კი ქალიშვილი და ქაბუკი გაქვავებულან პირველ კოცნაში. იქვე გრძელი და მყუდრო, დაბურული ხეივანი იწყება ლამაზად შეღებილი სკამებით. ხეივანს აწერია: „მხოლოდ პენსიონერებისათვის“.

ამასობაში მოსალამოვდა. საელჩოს ორმა თანამშრომელმა პრატერში გასეირნება შემომთავაზა. პრატერი ვენის გასართობი უბანია. აქაა თავმოყრილი თეატრები, რესტორნები, ღამის ბარები, ათასნაირი სანახაობები. ერთ-ერთ ლუდხანაში შემიყვანეს; უზარმაზარი დარბაზი იყო, ალბათ ათასი კაცი მაინც დაეტეოდა ერთდროულად. დავსხედით თუ არა, ახალგაზრდა, ლამაზწინსაფრიანმა გოგონამ თითო კათხა ქარვისფერი ლუდი დაგვიდგა წინ; კათხა ბროლისა იყო და ორლიტრიანი. გოგონა მოგვესალმა და გვკითხა, კიდევ რაიმეს ზომ არ ვინებებდით. ჩემმა თანამგზავრმა გერმანულად რალაც უთხრა და მე

მხოლოდ ორი სიტყვა გავარჩიე — „აის ბანდ“. რამდენიმე წუთში ოფიციალტმა ბურვაციის მოხარშული ბარკალი მოგვიტანა. ასდიოდა ლანგარზე მოთავსებულ მყავე კომბოსტოსაც.

— ამოდენას როგორ მოვერევი? — გავიკვირე.

— ესაა „აის ბანდ“, ძალიან გემრიელი. ისეა მოხარშული და შეზავებული, ქონის გემოს ვერც იგრძნობ. ბავარიულ ლუღზე მისწრება.

მართლაც ძალიან გემრიელი გამოდგა სახელგანთქმული „აის ბანდ“, ლუდი კიდევ უკეთესი. მეგონა ამ ორლიტრიან კათხებსაც ვერ დავძლევდი, მაგრამ ჩემმა მასპინძლებმა ჯერ გაამეორებინეს ასეთივე კათხებით ლუდი, ბოლოს კი კიდევ თითო ერთლიტრიანი კათხა მოატანინეს. საოცარი იყო რომ რამდენიმე საათში ხუთი ლიტრი ლუდის დაღვეის შემდეგ თავს მსუბუქად ვგრძნობდი. ეს იყო მინიმალური ულუფა, რასაც ამ ლუდხანაში შემოსულები სვამენ.

უცხად ხმაური ატყდა და დარბაზში ოცდაათი თუ ორმოცე ქალი და კაცი შემოვიდა. კაცებს ბატისფრთიანი შლაპები ეხურათ, ფერადი შილეტები და კრაგები ეცვათ, ქალებს კი ჭრელ-ჭრელი კაბები. ძირითადად ლოყაწითელნი იყვნენ და ჩასუქებულნი. ფოლკლორული ანსამბლი მეგონა და ვკითხე ჩემს მასპინძლებს.

— ესენი ბავარიელები არიან, ფერმერები. მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც შესანიშნავ ლუდს ამზადებენ, ტრადიციად აქვთ შაბათ-კვირაობით ვენაში ჩამოსვლა და მთელ ღამეს აქ, პრატერში ატარებენ.

ამსობაში ესტრადაზე კონცერტი დაიწყო. ჯერ სასულე ორკესტრი უკრავდა, ძირითადად ოციანი წლების მარშებს, შემდეგ კი ერთმანეთს ცვლიდნენ აკრობატები და ჟონგლიორები. მაყურებლები, გახსაკუთრებით ბავარიელები აღფრთოვანებული შეძახილებით და ტაშით აჯილდოებდნენ მსახიობებს.

— ახლა კი ყველაზე დიდი სიურპრიზი, — მითხრა ერთ-ერთმა მასპინძელმა, როდესაც კონცერტი დამთავრდა და ესტრადა დაცარიელდა.

საიდანაც შტრაუსის „ვენის ტყის ზღაპრების“ ხმა მოისმა, ჯერ ხმადაბლა, მერე გაძლიერდა, დარბაზის უზარმაზარი სარკიანი კედელი განათდა და მის წინ შადრევნები აჩქეფდა. მართლაც საოცრების მომსწრე გავხდი. შადრევნების ნაკადები დაწვრილდნენ, ამალდნენ და ვალსის ცეკვა დაიწყეს. ფერადი პროექტორებით ჩართეს და წყლის ეს მოქანავე სვეტები ათასფრად აბრწყვიალდა. მოჯადოებულებით შევყურებდი ამ დიდებულ სანახაობას.

— ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დარბაზში ამ საოცრების სანახავად, თქვა ჩემმა მასპინძელმა.

ღამის სამი საათი იყო, როცა თანამგზავრებმა „ჩემს რეზიდენციაში“ მიმაცილეს. კარგახანს ვერ დავიძინე. მთელი ღღე ღრმა შთაბეჭდილებებით იყო აღსავსე. რადიომიმღები ჩავრთე. ვიღაც ვირტუოზო გიტარაზე უკრავდა. მერე კი ნანი ბრეგვაძის შესრულებით ქართული რომანსები. „ლაპარაკობს რომი, ლაპარაკობს რომი“ — გაისმა რადიოში. აჰ, სამშობლოდან შორს მყოფს, მუსიკის ქვეყანაში ვისმენდი იტალიიდან გადმოცემულ ქართულ სიმღერებს და მინდოდა ვინმესთვის გამეზიარებინა ჩემი განწყობა, მაგრამ ელჩის რეზიდენციაში, ვენის ტყეში ყველას ეძინა...

დილით კვლავ ბუღბუღების გალობამ გამომადვილა. ბაღში გავედდი და დელეგაციის წევრებს შევეუერთდი, ტყეში რომ სეირნობდნენ. მალე ვენისკენ გავემგზავრეთ. დღეს დელეგაციის მეთაურს შეხვედრა აქვს კანცლერ ბრუნო კრაისკისთან. შეხვედრის შემდეგ მე კვლავ სტეფანე ივანოვის მეგზურობით ვსარგებლობ, რომელიც დიდი ხანია ჩვენს საელჩოში მუშაობს და ვენას შესანიშნავად იცნობს.

— კიდევ ერთი სიურპრიზი. — მეუბნება იგი და მანქანა ვიწრო ქუჩაზე მიჰყავს. გადმოვიღვივართ ერთ სახლთან, რომლის შესასვლელთან, კედელზე იოსებ სტალინის ბარელიეფური გამოსახულებაა.

— ძალიან დამაინტერესა ამ ბარელიეფმა, — ამბობს ივანოვი, — დიდხანს ვეძებე და მივაგენი კიდევ. ვენის ქანდაკმერიის არქივში აღმოვაჩინე ჩაწერის ბარათი, ასლი გადავაღებინე და უსათუოდ გადმოვცემთ.

— რა წერია იმ ბარათში?

— 1903 წელს სტალინის რამდენიმე თვე უცხოვრია ამ სახლში. ჩაწერილა კიდევ, მაგრამ კონსპირაციის მიზნით ბარათში გიორგი ჯულაშვილი წერია, პროფესია — მუშა.

იმ ბარათის ასლი სამშობლოში ჩამოვიტანე და გორის რაიკომის მდივანს გადავეცი, რომელმაც თავის მხრივ სტალინის სახლ-მუზეუმს გადასცა იგი...

ჩვენი თვითმფრინავი ტუ-124 ვენის შვეხატის აეროდრომზე გველოდებოდა. ზემოდან ერთხელ კიდევ გადავავლე თვალი მოცარტისა და შტრაუსის ქალაქს, მშვენიერ ვენას, რომელმაც ხანმოკლე ვიზიტის პერიოდში ბევრი სილამაზე გვიჩვენა...

„შტაე პესტო ლონდრა
კონტრა სპლიტა გრადა“*

ხორვატული ნათქვამა

მოსკოვიდან ბელგრადში მატარებლით ჩავედით, იქიდან კი ავტობუსით გავემგზავრეთ ლუბლიანაში, სადაც მონაწილეობა უნდა მიგველო სპელეოლოგთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 26 კაციან დელეგაციაში 12 საქართველოს წარგზავნილი ვიყავით.

კონგრესის საზეიმო გახსნა დანიშნული იყო ლიუბლიანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პოსტოინას მღვიმეში. ეს 23 კილომეტრიანი მღვიმე უკვე 170 წელია ჩაყენებულია ტურისტთა სამსახურში. ჩვენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დელეგაციებთან ერთად შევედით მღვიმეში; თითოეულს ხალვათი ფარაჯა მოგვეცეს, რადგან უზარმაზარ დარბაზში საკმაოდ გრილოდა და ჭერიდან წყალი წვეთავდა. ათასობის კაცი შევეგროვედით ე. წ. სამეჯლისო დარბაზში, სადაც ჩვენი სპორტის სასახლისა არ იყოს, 10 ათასი კაცი ეტევა. ჭერზე სტალაქტიტების გვერდით ქაღები ეკიდა; წინ, შემალლება ბუნებრივ ესტრადას ქმნიდა.

საზეიმო სხდომა გახსნა იუგოსლავიის სახალხო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ კარდელმა. მისალმებების შემდეგ გამოაცხადეს, რომ ამერიიდან ამ ვეებეთელა სამეჯლისო დარბაზს ეწოდება კონგრესის დარბაზი. შემდეგ გაისმა ფანფარების ხმა და დაიწყო კონცერტი. საოცარი ხმები ისმოდა მღვიმეში, რომლის მალალი თაღები აძლიერებდნენ მუსიკალურ ჰანგებს. შესანიშნავად იმღერეს სლოვენიის სახალხო ოპერის სოლისტებმა. კონცერტი კვლავ ფანფარებმა დაავგირგვინეს და შევუდექით მღვიმის დათვალიერებას. მინიატურულ ელექტრომატარებლით ვმოგზაურობთ ზღაპრული სილამაზის მიწისქვეშეთში. ყოველ ნაბიჯზე უზარმაზარი სტალაქტიტები და სტალაგმიტებია; იქვე გვერდით მიწისქვეშა მდინარე ხმაურობს. 9 კილომეტრს გვატარებს მატარებელი, შემდეგ, როგორც სპეციალისტებს, გვათვალიერებინებენ ისეთ დარბაზებსაც, სადაც ტურისტები არ შეყავთ. ეს მღვიმე იმითაცაა საინტერესო, რომ აქ, გუბურებში ცხოვრობს ცნობილი და უნიკალური ამფიბია „პროთეუს ანგუინუსი“ („ადამიანის მსგავსი თევზი“). სწორედ ეს პროთეუსი იყო ჩვენი კონგრესის ემბლემა. პატარა ქალაქი პოსტოინა, რომელიც მღვიმესთან ახლოს მდება-

* ხორვატული — რას იქვიან ლონდონი, თუ ქვეყანაზე არის სპლიტი.

რეობს, იუგოსლავიის სპელეოლოგიური და კარსტოლოგიური ცენტრია; აქ არის კარსტის ინსტიტუტი.

რახან კარსტზე ჩამოვარდა საუბარი, ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ტერმინი „კარსტი“, წარმოიშვა სერბულ-ხორვატული სიტყვიდან „კრას“, ხოლო ეს უკანასკნელი კი სახელია კირქვევით აგებულ პლატოსი, რომელიც დინარის მთებში, იტალია-იუგოსლავიის საზღვარზე, ისტრიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით მდებარეობს. ამ პლატოზე უამრავი წყვარამი, შახტი და მღვიმეა. ეს რაიონი 1918 წლამდე ავსტრიის იმპერიაში შედიოდა და გერმანულის გავლენით სახელწოდება „კრასი“ იქცა „კარსტად“, 1945 წლამდე იგი ეკუთვნოდა იტალიას და სახელწოდებაც შეიცვალა „კარსო“-თი. მღვიმეთა და სხვა ფორმების წარმოშობა პროცესებს (რელიეფის ისეთი ფორმებისა, რომლებიც მრავლადაა პლატო კარსტზე იუგოსლავიაში) დღეს მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში კარსტულს უწოდებენ, იტალიასა და ესპანურენოვან ქვეყნებში — კარსოს, ხოლო იუგოსლავია-ჩეხოსლოვაკიაში კრასს...

ჩვენ პოსტონის კემპინგში ვცხოვრობდით და ყოველდღე, კონგრესის გახსნამდე დავდიოდით ექსკურსიებზე. დავათვალიერეთ პოსტონიდან 9 კმ-ში მდებარე შესანიშნავი მრავალსართულიანი მღვიმე პრედიამა, რომელიც წარმოადგენს ბუნების, არქიტექტურულ, ისტორიულ ძეგლს. მღვიმის ჭამური სიგრძე 6 კილომეტრამდეა, ხოლო სიღრმე — 123 მ. მისი ზედა სართულის შესასვლელი წარმოადგენს ვეებერთელა თაღს, რომელშიც ჩაშენებულია შუა საუკუნეების რაინდული ციხე-დარბაზი. ამ ციხე-დარბაზის მფლობელი XV საუკუნის ბოლოს ყოფილა რაინდი ერაზმ პრედიამელი, რომლის სახელსაც ატარებს მღვიმის ერთ-ერთი გვირაბი. ამ ძველ შენობაში მოთავსებულია არქეოლოგიური მუზეუმი, რომელშიც გამოფენილია მღვიმეში მოპოვებული ნივთები. მეორე მსოფლიო ომის დროს აქ იმალებოდნენ ჰარტიზანებო, ბეჭდავდნენ ანტიფაშისტურ ლიტერატურას, მღვიმეში მალავდნენ დაჭრილებს და სხვ.

მოსწორებით აღმართულია ნანოსის პლატო, მის უკან მოჩანს ტრნოვსკი გოზდი, ჩრდილო-დასავლეთით კი იულიის ალპების ქედები ილანდება. ჩვენ მივემგზავრებით სამხრეთით, პლატო კრასის გავლით კოპერისკენ, აღრიატიკის ზღვისკენ. გავიარეთ პატარა ქალაქი ვიბავა, სადაც ბევრი კარსტული წყაროა. ყურადღებას იპყრობს კრამიტისანი სახლები, რომლებზეც ქვების გროვებია. აქ თურმე ძლიერი ქარები იცის (ბორა) და ეს ქვები იცავენ კრამიტს.

ავდივართ ტრნოვსკი გოზდის (ეს უკანასკნელი სიტყვა ნიშნავს



ჩუყეს) პლატოზე. ფოთლოვან ტყეში ბევრია რცხილა, ცაცხვი, მუხრანული ნეკერჩხალი, კობიტი. უფრო ზევით შავი ფიჭვნარიც იწყება. ზღდაპირზე უამრავი კარსტული ძაბრია, ზოგიერთის სიღრმე 100 მეტრამდე აღწევს. ვათვლიერებთ მღვიმეს, რომელსაც ველიკა-ლენიცი აქვია. მღვიმე ბუნებრივი მაცივარია, იატაკზე აქა-იქ ყინულის ფენებია. წმინდა მთიდან, რომელზეც სკალნიცას ეკლესია დგას, დაცქერით შესანიშნავ პანორამას. ქვევით მოჩანს მდ. სოჩას ხეობა, მის გაღმა კი იტალიის ქალაქი გორიცია, რომელიც ბორცვზეა გაშენებული ციხესიმაგრით. იტალიის ტერიტორიაზე დიდი ციხე-დარბაზი და ტაძარი მოჩანს. აქაა დაკრძალული ბურბონების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი.

აი, ადრიატიკის ლაქვარდოვანი ზღვაც. ქალაქი კოპერი ზღვისპირს ებჯინება. ლამაზი შენობები, სუფთა ქუჩები; იტალიურ-იუგოსლავიური არქიტექტურა საოცარ დისონანსს ქმნის. კოპერი ტრიესტის ყურეში მდებარეობს. ქალაქთან პატარა მთაა, როგორც თბილისთან მთაწმინდა. ზედ ციხესიმაგრეა, XVII საუკუნის სოცერბ-გრადი, სადაც ჩრდილოეთით მოჩანს ტრიესტი უამრავი ქარხნის მიღებით. ვეკითხები გიდს, სად არის საზღვარი-მეთქი. იგი მიმითიფებს ფერდობის შუაში ნახევრად დანგრეულ ქოხზე, რომელთანაც ბილიკი ჩადის. თურმე იქ ერთი მოხუცი კაცი ცხოვრობდა, რომელიც მესაზღვრის მოვალეობასაც ასრულებდა. იმ კაცის გარდაცვალების შემდეგ აღარავის მოუნდომებია ეს თანამდებობა და საზღვარიც უშესაზღვროდ იყო დარჩენილი. საზღვრისპირა ქალაქებში ყოფნისას ჩვენს გიდს ხშირად ეშლებოდა, რომელი იყო იტალიელთა და რომელი იუგოსლაველთა სახლი. ერთი სიტყვით, ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორც კინოფილმში „კანონი კანონია“.

ესეირნობთ კოპერში. ზღვის ნაპირზე თანამედროვე მაღალი შენობებია ჩამწყობებული. ქალაქის სიღრმეში კი ძალზედ ვიწრო ქუჩებია, მათი სიგანე ხშირად 2 მეტრამდეა, რაც, როგორც აგვიხსნეს, ვზისა და ქარისაგან დასაცავდაა გამოიზნული. აქაც ხშირად ქრის ძლიერი ქარი, ბორა. ცენტრში, პატარა მოედანზე აღმართულია ვენეციური ტიპის შადრევანი, რომელიც 1660 წელს აუგიათ. ამ ქალაქში საერთოდ ბევრია ვენეციური არქიტექტურის ნიმუში. მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი ყურადღება იმან მიიქცია, რომ ძველი ქალაქის თითქმის ყველა შენობა ვარდისფრად ან ყვითლად იყო შეღებილი. ყველა სახლის თანჯრებს მწვანე ფერის ქვალუხები ჰქონდათ. ადრე კოპერი კუნძულზე იყო, მაგრამ შემდეგ იგი ხელოვნურად შეუერთეს ხმელეთს ზღვის ზოლის მიწით ამოკსებით.

პლატო კრასის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს პატარა ქალაქი ლიბიცე, რომელიც განთქმულია თავისი ცხენსაშენით. აქ, კარსტის უწყლო პირობებში ჩამოყალიბდა ცხენის ახალი ჯიში, რომელიც დიდხანს უძლებს უწყლობას. ჩვენ დაგვათვალისწინებინეს ეს ქარხანა და ჟოკეებმა თავიანთი ოსტატობაც გვიჩვენეს ცხენზე ჯირითში. იქვე კარსტული მღვიმეა „ლიბიცა იამა“. ჩვენს მასპინძელ-სპელეოლოგებს წინასწარ მოუმზადებიათ მღვიმეში ჩასასვლელი თოკები, კიბეები და ჩვენც ჩაედევართ. მღვიმის სიგრძე 500 მეტრია, სიღრმე 153 მეტრი. 100 მეტრის სიღრმეზე შესანიშნავი „ორღანია“, ბუნების მიერ შექმნილი უამრავი სტალაქტიტ-სტალაგმიტებისგან. ჩვენს მასპინძლებს სტალაგმიტებს უკან რამდენიმე ბოთლი იუგოსლავური ვინიაკი ჰქონდათ გადამალული და სიურპრიზად პატარა ჭიქებით გავეიმასპინძლდნენ, რადგან მღვიმეში ციოდა.

გბრუნდებით პოსტიონაში. გზაზე ვხედავთ ფიჭვის ტყეს, რომლის ნაწილიც ქარიშხალ ტორნადოს გაუნადგურებია.

პოსტიონის მღვიმეში კონგრესის საზეიმო გახსნის შემდეგ გავემგზავრეთ სლოვენის დედაქალაქ ლიუბლიანაში, რომელიც თბილისის ძმადნაფიცი ქალაქიცაა. აქ მეორე დღეს ლიუბლიანის უნივერსიტეტის შენობაში მუშაობას შეუდგა სპელეოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესი, რომელზეც 12 წარგზავნილი ქართველიდან 11 გააკეთა მოხსენება. თავისუფალ დროს ვსეირნობდით ამ შესანიშნავ ქალაქში. ტყით შემოსილ ბორცვზე, მდ. ლიუბლიანიცას ნაპირზე შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეა, რომელიც ქალაქის ისტორიულ ცენტრს წარმოადგენს. ქალაქში ბევრია მე-18 საუკუნის არქიტექტურული ძეგლები, შადრევნები სკულპტურული ანსამბლებით.

ერთ საღამოს მიგვიწვია ლიუბლიანის მერმა. რატუშის ძველებური შენობის დიდ დარბაზში შევიკრიბეთ და გაიმართა გულთბილი საუბარი. გამოირკვა, რომ მერი ვაგრაში ისვენებდა წინა წელს და რიწის ტბაც უნახავს. ოფიციატები უხმაუროდ დადიოდნენ ჯგუფებად მდგარ დელეგატებს შორის და ხონჩებით დაქონდათ სასმელი და ბუტერბროდები. გვიან ღამით მასპინძლებმა ბარში მიგვიპატიეს, სადაც კონცერტი სტრიკტივით დამთავრდა. სტრიკტივს ცეკვავდა ოციოდე წლის ბალერინა გლორია, განთქმული სილაშაზით. მის სანახავად თურმე იტალიიდანაც ჩამოდიოდნენ და ამ ბარში, რომელსაც „სპილო“ ერქვა და ყოველთვის ანშლაგი იყო.

კონგრესის მუშაობის დამთავრების შემდეგ ჩვენ შეგუდექით ათლიდან მოგზაურობას იუგოსლავიის მღვიმეებში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. პირველად ვეწვიეთ მსოფლიოში სახელგანთქმულ უზარ-



მაზარ შკოციანის მღვიმეს, რომელიც ტრაესტის ჩრდილო-აღმოსავლეთით 12 კილომეტრშია. ეს მღვიმე ყველაზე გრანდიოზული იუგოსლავიის მღვიმეებიდან. წინათ ამ მღვიმეს სან-კანციანის გროტი ერქვა. შკოციანი ამ სიტყვის დამახინჯებითაა მიღებული და ნიშნავს წყლის მფარველს. შკოციანის მღვიმეში იკარგება მდ. ნოტრანსკა. შევდივართ მღვიმეში. მისი შესასვლელი ღრმა ხეობაშია. პირველი დარბაზი 100 მ სიგრძისაა, მისი ჭერის სიმაღლე 50 მეტრია. ამ ნაწილს წყნარ მღვიმეს უწოდებენ. აქედან გავდივართ მიწისქვეშა მდინარის გრანდიოზულ გვირაბში, რომელშიც ბევრი ჩანჩქერია და გამაყრუებელი გუგუნია. ეს ნაწილი უზარმაზარი მიწისქვეშა კანიონია, რომლის ჭერის სიმაღლე 100 მეტრამდე აღწევს. ჩვენ სულ ზევით მივიწვეთ ვიწრო ბეტონის ბილიკით და გავდივართ ხიდზე, რომელიც მდინარის თავზე 65 მ სიმაღლეზეა გადებული. ესაა ხანკეს ხიდი, ამ მღვიმეში დაღუპული ერთ-ერთი მკვლევარის სახელს რომ ატარებს. ხიდიდან სუნთქვაშეკრულნი დავეყურებით ღრმა, ვიწრო მიწისქვეშა ხეობას, რომლის ძირშიც დიდი სისწრაფით და აურზაურით მიეჩანება მდინარე. ჩვენი იუგოსლაველი კოლეგები გვიამბობენ, რომ სულ ორი კვირის წინ ისე აიწია მდინარის დონემ, რომ ეს ხიდიც წყალში იყო. წყალდიდობისას 83 მეტრ სიმაღლემდე აწეულა ნოტრანსკას დონე. კედელზე, ხიდს ზემოთ წითელი საღებავითაა აღნიშნული იგი.

განვაგრძობთ მიწისქვეშა მოგზაურობას. საოცარი შეგრძნება ეუფლება კაცს მიწისქვეშეთში, თანაც ასეთ გრანდიოზულში. და უცბათ ჩვენი ღრმა შთაბეჭდილებები და შეძახილები ჩოჩქოლმა შეწყვიტა. ჩვენს წინ მიდიოდნენ ინგლისელი სპელეოლოგები. ერთერთის ცოლი, ახალგაზრდა, ჩასუქებული ქალი ცუდად გახდა. ეტყობა იმოქმედა მიწისქვეშა უფსკრულის თავზე გადებულ ხიდზე გადასვლამ. მისი ქმარი, გამხდარი, წითურწვერება კაცი დაბნეული დასტრიალებდა თავს გონწასულ მეთულეს, რომელიც ცივ ბეტონზე იწვა. მისი ჯანდონით საესე სპორტსმენი სპელეოლოგი მეგობრები გუშინ უფსკრულიდან დაჭრილი ან დაღუპული სპელეოლოგის ამოყვანის ტექნიკას რომ გვიჩვენებდნენ, ახლა დაბნეული იდგნენ. ჩვენ მოვასულიერეთ ქალი, ბავშვობაში ნასწავლი „ოქროს ტახტი“ გავაკეთეთ ხელებით და ზედ დავსვით. ყველამ გზა დავვითმო. გაგვიჭირდა, რადგან ქალი მძიმე იყო და უხერხული სატარებელი ამ მეთოდით ვიწრო მიწისქვეშა ბილიკზე. როგორც იქნა მღვიმიდან გამოვედით და დაიწყო ციცაბო აღმართი. ერთმანეთს ხშირად ვცვლიდით, ოფლში ვიწურებოდით. ასე, ყოველგვარი ტექნიკის დახმარების გარეშე გავიყვანეთ სამშვიდობოს ინგლისელი ქალი და ყველას მაღლობა დავიმსახურეთ.

შკოციანის მღვიმის შემდეგ დავათვალიერეთ ამ რაიონის სხვა მღვიმეებიც და ჩრდილო-აღმოსავლეთით გავემგზავრეთ. სლოვენნიდან გადავდით ზორვატიაში და გეზი კვლავ ადრიატიკის ზღვისკენ ავიღეთ.

ჩვენი გზა დინარის მთიანეთში ოპატიიდან დაიწყო. ეს ადრიატიკის საკურორტო ქალაქი სავსეა სასტუმროებითა და კაზინოებით, რომლებიც პლიაჟის პირას დგანან. მთები პირდაპირ ზღვას აწყდებიან და ხელოვნური პლიაჟები გაუშენებიათ. ჩვენი თეთრი სასტუმროც პლიაჟისპირა ქუჩაზე გადის. იქ, სადაც საბანაო ადგილებია, ზღვაში ჩაშვებულა ლითონის ბადეები, რადგან გემებს ხშირად შემოყვებიან ზეიგენები. ოპატიოში ბევრი უცხოელი ჩამოდის, რადგან ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე ყველაფერი გაცილებით იაფია, ვიდრე საფრანგეთის ლაჟვარდოვან კურორტებზე, თუმცა აქ მომსახურება უფრო ძვირია, ვიდრე ბელგრადში ან იუგოსლავიის სხვა, არასაკურორტო ქალაქებში.

სექტემბერში აქ გახურებული ტურისტული სეზონი იდგა და მთელი ზღვისპირეთი გაქედილი იყო ათასნაირი მარკის ავტომობილებით და უცხოელებით. განსაკუთრებით ჭარბობდნენ დამსვენებლები დასავლეთ გერმანიიდან.

19 სექტემბერს ავტობუსებში ჩავსხედით. ჩვენ უნდა გაგვევლო ქალაქი რიეკა, მერე კარლოვაცი და გადაგვეკეთა დინარის მთიანეთის დასავლეთი ნაწილი.

ჩვენი გზა მუხის დაბურულ ტყეებში გადის. გზაზე ხშირად ვხვდავთ ხოხბებს, ირმებს, რომლებიც მანქანას და ადამიანებს არ უფრთხიან და ავტობუსი წარამარა ჩერდება, ვიდრე ეს ლამაზი ფრინველები და ცხოველები გაანთავისუფლებენ გზას. ჩვენ უკვე კარსტულ პლატოზე ვართ, რომელსაც მდ. რეჩინის კანიონი კვეთს. ქვევით მოჩანს რიეკა, იუგოსლავიის დიდი პორტი. ნაჰმისადგომებთან დგას საბჭოთა ხომალდი „ლენინგორსკი“. რიეკა (იტალიურად ფიუმე) 1923 წელს ოკუპირებული იყო იტალიის მიერ. მანამდე, რაპალის ხელშეკრულებით, რომელზეც დამტკიცდა იტალია-იუგოსლავიის საზღვარი, რიეკა თავისუფალ ქალაქად იყო გამოცხადებული. 1924 წლის იანვარში ამ ორ ქვეყანას შორის დადებული რომის ხელშეკრულებით ქ. ფიუმე (რიეკა) და პორტი გადაეცა იტალიას, ხოლო ქალაქის გარეუბანი სუშაკი ნავსადგურ ბაროსთან ერთად იუგოსლავიას დარჩა. 1941 წლის აპრილში, იუგოსლავიის ოკუპაციის შემდეგ პიტლერული გერმანიის მიერ იუგოსლავია დაყვეს: სლოვენია შეიერთა გერმანიამ, ზორვატია ფორმალურად გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; დალმაციის სანაპიროს თითქმის ყველა კუნძული და ჩერნოგორიაც იტალიამ დაიპყრო; სლოვენიის, ზორვატიის და ვოევოდინის ნაწილები გადაეცა ხორტის-



ტულ უნგრეთს, სერბიაში ოკუპანტებმა შექმნეს მარიონეტული რეჟიმი.

რეიკიდან გავემგზავრეთ კოტორისკენ. გზა აღმართს მიუყვება. მუხნარიან და წიფლნარიან ტყეებს ერევა ნაძვნარ-სოკნარი. ეს უკვე გორსკი კოტორია, სადაც ნალექების საკმაო რაოდენობა მოდის და თოვლიც დიდხანს დევს. მთის ხეობაში ხელოვნურად დაუგუბებიათ მდინარე და ძალზედ ლამაზი ტბა — ლოკვარკა შეუქმნიათ. ჩვენი გზა სწორედ ტბის პირს მიუყვება. ყოველ ნაბიჯზე კარსტული ძაბრია. ნელა გავივალთ და გავედით პანონის დაბლობზე. გზა და გზა ჩაუვარეთ ლამაზ სოფლებს წითელკრამიტიანი სახლებით. გავიარეთ ქ. კარლოვაცი და გეზი პლიტვიცეს სახელგანთქმული ტბისკენ ავიღეთ. გზაზე ვჩერდებით პატარა ქალაქ სლუნში. სწორედ აქ ჩამოდის პლიტვიცეს ტბებიდან მდ. კორანა. ამ ადგილზე ვადიოდა წინათ ავსტრია-თურქეთის საზღვარი, რომლის სახსოვრად იქვე. მთაზე ციხესიმაგრის ნანგრევებია შემორჩენილი. ვათვალიერებთ წყლის წისქვილებს, რომლებიც კარსტულ წყაროებზეა აგებული. ამ ქალაქის მიდამოებში ბევრია ასეთი წყარო, ჩანჩქერი და ზედდადგმული წისქვილიც.

ერთ წისქვილთან თავისი რიგის მოლოდინში გლუხები ჩამომსხდარან და მასლაათობენ. იქვე სახედრები წიწკნიან წყლის პირას ამოსულ მეჩხერ ბალახს

ლამის გასათევად ვჩერდებით სასტუმრო „პლიტვიცეში“, რომელშიც სულ 70 ნომერია, მაგრამ შესანიშნავად მოწყობილი. კონდიციონერებით, აბაზანებით, რესტორნით, დანსინგით. პლიტვიცეს ტბების კასკადის რაიონი ბუნების უნიკალური ქმნილებაა, თანაც ისტორიული ადგილიც. ზაგრების არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება ერთ-ერთი ტბის პირას ნაპოვნი პირველყოფილი ადამიანის ქვის იარაღი, რომლის ასაკი 27 ათასი წელია. აქვეა ნაპოვნი ბრინჯაოს ხანის იარაღებიც. უფრო მოგვიანებით ამ რიონში მცხოვრები თრაკიელები შეცვალეს ილირიელებმა, ეს უკანასკნელნი კი რომაელებმა. სლავეები აქ VII საუკუნეიდან დასახლდნენ. პლიტვიცეს ტბების რაიონი ხან თურქეთის მფლობელობაში იყო, ხან ავსტრო-უნგრეთის მონარქიის გამგებლობაში. II მსოფლიო ომის დროს აქ აქტიურად მოქმედებენ პარტიზანები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ჰიტლერელებისა და მათი იუგოსლაველი დამჭამების — უსტაშების და ჩეტნიკების წინააღმდეგ. ომმა ბევრი რამ, ტურისტებისათვის ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აგებული, გაანადგურა. საინტერესოა, რომ პირველი ტურისტული სახლი აქ ააგეს 1861 წელს კოზიაკის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე. გასული საუკუნის 60-იან წლებში ქ. დრეჟნიკიდან ტბებამდე გაიყვანეს გზა მყარი საფარი

წით. 1893 წ. ზაგრებში ჩამოაყალიბეს პლიტვიცეს ტბებისა და მათი მიდამოების კეთილმოწყობის საზოგადოება.

ვაოცებას იწვევს 2 კმ² ფართობზე 15 ტბის არსებობა იუგოსლავიის ამ ნაწილის კარსტის უწყლო პირობებში. ტბების წარმოშობის პირობები აქამდე საკამათოა. ფიქრობენ, რომ მათი გაჩენა დაკავშირებულია გამყინვარების შემდგომ პერიოდთან, როდესაც კლიმატური პირობები იწვევდნენ ხაცსების განვითარებას. ეს უკანასკნელი კი ხელს უწყობენ ტრავერტინების წარმოშობას. სწორედ ტრავერტინის ზღუდეებითაა გაჩენილი ტბების საფეხურები. ამჟამად ხუთი ასეთი მკაფიოდ გამოხატული საფეხურია. ყველაზე მაღლა, ზღვის დონიდან 636 მ სიმაღლეზე მდებარეობს პროშიანსკოეს ტბა, სიდიდით მეორე, რომლის წყლის სარკის ფართობი 68 ჰექტარია. მისი მაქსიმალური სიღრმე 37 მეტრია. სიდიდით და სიღრმით პირველია 503 მ სიმაღლეზე მდებარე კონიაკის ტბა, რომლის ფართობი 81,5 ჰექტარია და სიღრმე 46 მეტრი. სხვა ტბები გაცილებით პატარაა.

პლიტვიცეს ტბების რაიონი ეროვნულ პარკადაა გამოცხადებული. პარკის საერთო ფართობი 19 ათასი ჰექტარია, აქედან 13,5 ჰექტარი ტყეს უჭირავს. ეროვნული პარკის ძირითადი ამოცანაა დაიცვას ლანდშაფტი, ფლორა, ფაუნა, არაორგანული ბუნების ძეგლები. პარკის ფარგლებში, ტბების მიდამოებში არის „მკაცრად დაცული უბანი“, აღკვეთილი, რომლის ფართობი 1,7 ათასი ჰექტარია. აქ საერთოდ აკრძალულია ტყის ჭრა. პარკის ფაუნა ტიპურია სამხრეთ ევროპის მთის ტყეებისათვის. აქ ბინადრობენ სოლოები, ჩხიკვები, შაშვები, მიმინო, ტყის კატა, ციყვი, თეთრყელა კვერნა, ტახი, მაჩვი, იშვიათია დათვი. ტბებში ბევრია კალმახი, რომლითაც გვიმასპინძლებოდნენ სასტუმროს რესტორანში.

ამ ეროვნული პარკის ბუნებრივი ობიექტების დაცვა აკისრია სპეციალურ სამმართველოს, რომელიც 1954 წელსაა შექმნილი ხორვატიის რესპუბლიკის ვეჩეს გადაწყვეტილებით. ეს სამმართველო აგრეთვე უელის სატყეო მეურნეობას, ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევებს, გამოსცემს შრომებს და სხვ. იგი უშუალოდ ემორჩილება სატყეო მეურნეობის მინისტრს. სამინისტროში შექმნილია სპეციალური საბჭო, რომელშიც მუშაობს სექციები: სატყეო, ბოტანიკური, ზოოლოგიური, გეოლოგიურ-ჰიდროლოგიური, არქიტექტურულ-საინჟინრო. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობენ იუგოსლავიის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა მეცნიერები. უმაღლეს დონეზე დგას ტურიზმი, რადგან ზოგჯერ დღეში აქ 5 ათასამდე ტურისტი მოდის. პარკში 36 კარსტული მღვიმეა.



ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის 1969 წლის განსაკუთრებული პარკი წარმოადგენს საკმაოდ დიდ ტერიტორიას, სადაც ბუნების დაცვა ერწყმის რეკრეაციას. ამ განსაზღვრაში ნათქვამია, რომ რეკრეაციული ამოცანები არ უნდა ჰარბობდეს ეკოსისტემათა დაცვის ამოცანებს, თანაც ეს პარკები არ შეიძლება დაიხუროს ტურისტებისათვის.

ეროვნული პარკების პოპულარობა განსაკუთრებით გაიზარდა ტრანსპორტის, ურბანიზაციის და ტურიზმის განვითარებასთან ერთად. ქალაქის პეიზაჟის ერთფეროვნება, ცხოვრების დაძაბული რიტმი, ბუნებრივი გარემოს გაკუთქვანება სამრეწველო ცენტრებში გაზდა ძირითადი მიზეზი „ტურისტული აფეთქებისა“. ეროვნული პარკის ორგანიზაცია ძალიან ძვირი ღონისძიებაა, მაგრამ დაბანდებული მილიონები დიდ მოგებას იძლევა. მაგალითად, აშშ-ს ეკონომისტების გამოანგარიშებით ეროვნულ პარკზე დახარჯული 1 დოლარი საშუალოდ 10 — 15 დოლარ მოგებას იძლევა. სწორედ ასე იღებს აშშ-ს ეროვნული პარკების სისტემა მილიარდობით დოლარ მოგებას, ხოლო აფრიკის, ავსტრალიის პარკები ათეულ და ასეულ მილიონ დოლარს. ამ საქმეში საზღვარგარეთის ზოგ ქვეყანაში, მათ შორის იუგოსლავიაშიც დაგროვილი გამოცდილება ყურადსაღებია და უსათუოდ უნდა გადმოვიღოთ ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში, რომლისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული პარკების შექმნა...

მივეხვავართ სამხრეთ-აღმოსავლეთით, ველეპიტის ქედის გასწვრივ, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე. ვჩერდებით ზღვისპირა ქალაქ ზადარში (იტალიურად ზარა), რომელიც დაღმაციის სანაპიროზე მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრია. 1920 — 1947 წლებში ეს ქალაქიც იტალიას ეკუთვნოდა. ქალაქში ბევრია შუა საუკუნეების შენობები და ძეგლები. უძველესი რომაული არქიტექტურა განსაკუთრებით ამშვენებს ქალაქს — ტრიუმფალური თაღი, ფორუმი, ქალაქის კედელი; აქვეა 1542 წელს აგებული ვენეციური კარიბჭე, IX საუკუნის დონატის ეკლესია. ტაძრებში ბევრია ფრესკები.

ზადარიდან შესანიშნავ ზღვისპირა გზატკეცილზე გავედით და სპლიტისკენ გავემგზავრეთ. აქ უკვე ხშირია ზერები, ვაზს კარვად ასხია შავი ყურძენი, სადაცაა რთველიც დაიწყება. ზერებში მოჩანს ზეაისხილის, ლელვისა და კაკლის ხეები. გზა ვრანსკოს დიდი ტბის პირს მიუყვება. მისი ფართობი 30 კმ²-ია.

ვუახლოვდებით უძველეს ქალაქ შიბენიკს, რომელიც ზღვისპირა ბორცვზეა გაშენებული. მისი არქიტექტურა სრულიად განსხვავებულია სხვა ქალაქებისგან. მიჯრით მდგარი ერთი, ორი, სამი და ოთხსართუ-



ლიანი სახლები ერთ ანსამბლს ქმნიან, რომელსაც აბოლოვებს კლდე-
 ვანი ბორცვის თავზე აღმართული ციხესიმაგრე. ეს ქალაქი ცნობილია
 IX საუკუნიდან. აქაა რენესანსის სტილში აგებული ტაძარი, რატუსა,
 ძველი სიმაგრეების ნანგრევები. ვიწრო ქუჩებში ზშირად ვხვდებით სა-
 ხედრებზე ამხედრებულ ქალებს. ქალაქის შემდეგ გზა გადის დაკარ-
 სტულ რაიონში, მდ. კრკას ხეობაში, რომელიც პლიტვიცეს მსგავს
 ტბებს აჩენს. ტბებს შორის ლამაზი ჩანჩქერები სჩქეფენ. შემდეგი პუნ-
 კტი პატარა ქალაქი ტროვირია, რომელიც ძველი ბერძნული კოლონიის
 ტრაგურიონის ადგილზეა გაშენებული. აქ სულ 5 ათასი კაცი ცხოვ-
 რობს. ქალაქის ნაწილი განლაგებულია კუნძულ ჩიოვოზე. ლამაზია
 XIII საუკუნის ციხესიმაგრე, კათედრალური ტაძრის პორტალი ადამ
 და ევას და ლომების სკულპტურებით, რომლის ავტორი სლოვაკელი
 ოსტატი რადოვი ყოფილა. აქაც ძალზე ვიწრო ქუჩებია.

სპლიტის მისადგომებში ვენახის ზერები გახშირდა; ბევრია ზეთის-
 ხილის პლანტაციებიც. სპლიტი გაშენებულია ზღვის პირზე მოსორის
 კირქვეული პლატოს ძირში. ეს ქალაქი იუგოსლავიის მსხვილი ნავსად-
 გურია. ჩვენ პორტის მახლობლად მდგარ სასტუმრო „პარკში“ ვჩერდებ-
 ვით. ზღვა აქ ისევე თხელია, როგორც ფოთში და საბანაოდ რამდენიმე
 ასეული მეტრი უნდა გაიარო წყალში. პლაჟზე მზეს ვეფიცხებოდით.
 იქვე მაყალზე შამფურზე წამოგებული ცხვარი იწვის. წყლიდან მორი-
 გეობით ამოდიან მობანავეები და შამფურის სახელურს ატრიალებენ.
 აქაური გურმანებისათვის ალაგ-ალაგ დგას ცხვრის შესაწვევი მოწყო-
 ბილობა. ასეთივე ვნახეთ გზაზე, პატარა რესტორნის გვერდით. ერთ-
 დროულად ხუთი ცხვარი იწვებოდა მაყალზე. გრძელ შამფურებს ერთ
 ბოლოში ფრთები ჰქონდა გაკეთებული, რომლებსაც კარსტული ჩანჩქე-
 რის წყალი თანაბრად ატრიალებდა.

ქალაქი სპლიტი გაშენებულია ილირიელთა ძველ ნამოსახლარებზე.
 ქალაქის ცენტრში ძველი შენობების არქიტექტურული ანსამბლია, ტე-
 რასებად რომ ერწყმიან ერთმანეთს. აქაა რომის იმპერატორ დიოკლე-
 ტიანეს სასახლის შემორჩენილი ნაწილი, რომელიც 1700 წელზე მეტი
 ხნისაა. ძველ ქალაქს პირდაპირ ერწყმის ნავმისადგომი, სადაც სხვადასხვა
 ქვეყნის ზომალდები ირწყვიან ოდნავ. ბევრია კაფე და რესტორანი, პა-
 რიზივით ქუჩაში გამოდგმული მაგიდებით. ამ ქალაქში არის ოკეანო-
 გრაფიისა და მეთევზეობის ინსტიტუტი შესანიშნავი აქვარიუმით, რომ-
 ელშიც გვიჩვენეს ადრიატიკის ზღვის ფაუნა, მათ შორის მურენა, დიდი
 რვაფეხა და ზღვის სხვა ცხოველები. ქალაქში და მის შემოგარენში
 განვითარებულია გემთმშენებლობა, ცემენტის, კვების, საფეიქრო მრე-
 წველობა. შესანიშნავმა კლიმატმა და ზღვამ განაპირობეს სპლიტის გა-



დაქცევა მსხვილ ტურისტულ ცენტრად და საზღვაო კურორტად. ტელევიზიული ტელეუბი ამყობენ თავისი ქალაქით და ამბობენ: „რას მიქვიან დანახვას ნი, როცა ქვეყანაზე არის სპლიტი“.

დროებით ვტოვებთ ზღვის ნაპირს და მივემგზავრებით ჩრდილოეთით, ქალაქ სინის გავლით პერუჩას ელსადგურისკენ. გავიარეთ პატარა ქალაქი კლისი, ამფითეატრად შეფენილი სახლებით ბორცვებზე, რომლის თავზეც IX საუკუნის ციხე-დარბაზია აღმართული. ავღივართ უღელტეხილზე და ჩვენს თვალწინ ძლიერ დაკარსტული პანორამა იშლება. იუგოსლავიის სამხრეთში, რომელიც კირჩქვებით არის აგებული, საერთოდ ბევრია ე. წ. კარსტული პოლიეები, ვეებერთელა ჩაღრმავებები ვაკე ფსკერით და ციცაბო ფერდობებით. ახლა ჩვენ ჩავდივართ სინის პოლიეში, რომელიც კარგად არის ათვისებული სამეურნეო თვალსაზრისით. აქაც ვენახი, ბოსტანი, მათ შორის კი ტრადიციული წითელკრამიტიანი სახლები. მივადექით კაშხალს, რომელიც ქვებითაა აგებული. მისი სიმაღლე 63 მეტრია, სიგრძე კი 450. წყალსაცავში 540 მილიონი კუბმეტრი წყალი ეტევა. გადავდივართ იუგოსლავიის ყველაზე დიდ კარსტულ ლივანსკოს პოლიეში. მისი სიგრძე 60 კილომეტრია, ხოლო სიგანე 5 — 12 კმ, ფართობი კი 450 კმ². აქ ინტენსიურად მიმდინარეობს მელიორაციული სამუშაოები.

პოლიეს ფსკერზე რამდენიმე მდინარეა; ზოგი მათგანი მიწისქვეშ ივარგება. ბევრია წყაროებიც. ერთი მათგანის ხარჯი წამში 120 მ³-ია. ამ პოლიეში ძირითადად სიმინდი მოჰყავთ.

გავიარეთ პატარა ქალაქი იმოცკო X საუკუნის ციხე-სიმაგრით და მერე ფეხით მივადექით ორ დიდ ღრმულს. ორივეში ღრმა ტბაა. ერთს ცისფერი ჰქვია და ქალაქის გარეუბანთან სულ ახლოსაა. ამ ღრმულის ციცაბო კედლები ფარგლავენ წრიულ ტბას, რომლის სიღრმე 90 მეტრია, ხოლო თვით ღრმულისა — 250 მეტრი. ერთი კილომეტრის დაშორებით მეორე ღრმულია მოწითალო კირჩქვებით და ამიტომ დაარქვეს მის ტბას წითელი. ღრმულის სიღრმე 481 მეტრია, ხოლო წითელი ტბისა — 300. ამ ორივე ტბის დონე ერთნაირად მერყეობს.

იმოცკიდან მივემგზავრებით ზვრებს შორის, ხშირია თამბაქოს პლანტაციები, სიმინდის მინდვრები. გადავდივართ ჰერცოგოვინაში, ჩრდილო-აღმოსავლეთით ვუხევეთ და მოსტარისკენ ვიღებთ გზს. ამ ქალაქში ღამე უნდა გავათიოთ. იგი ამ რესპუბლიკის დედაქალაქია. 40 ათასი მცხოვრებით. საღამოს ვსეირნობთ ქალაქის ცენტრში. აქ ბევრია მუსლიმანური მეჩეთი, რადგან მოსახლეობის ნახევარი მუსლიმანია. ქალაქის ცენტრში მიედინება მდ. ნერეტვა, რომელზეც ძველისძველი თაღოვანი ხიდია, რომლისგანაც მოდის ქალაქის სახელწოდებაც.

ორ დღეს ვათვლიერებდით ქალაქის შემოგარენის კარსტულ წარმონაქმნებს, ჰიდროელსადგურებს, წყაროებს, პატარა ქალაქებს და გავემგზავრეთ დუბროვნიკისკენ, ადრიატიკის ზღვისპირის მარგალიტისკენ.

დუბროვნიკში, სასტუმრო პეტკაში სამი ღამე გავათიეთ. აქედან გავდიოდით ქალაქგარეთ კარსტული წარმონაქმნების, მღვიმეების და სათვალეირებლად, თავისუფალ დროს კი დუბროვნიკში ვსეირნობდით. ახალი ქალაქი ძველი გალავნის გარეთაა გაშენებული, მაღალი, თანამედროვე თეთრი შენობებით, სასტუმროებით, რესტორნებით. ძველ დუბროვნიკში კი ტრანსპორტის შესვლა აკრძალულია. აქ მხოლოდ ფეხით შეიძლება სეირნობა. ეს ნაწილი ქალაქ-მუზეუმადაა გამოცხადებული. იგი პატარა ნახევარკუნძულზეა გაშენებული. გარედან ხელუხლებლადაა შუა საუკუნეების შენობები, შიგნით კი ულტრათანამედროვე სასტუმროები, საკონცერტო დარბაზები, კაფე-ბარები და რესტორნებია, შენობებს ვიწრო ქუჩებთან ასაწევი ხიდები აერთებს. შესასვლელთან თადოვანი აუზია. წვრილი მიწებიდან ცივი წყლის ნაკადები მოხსრიალებს. აქ სვამდნენ წყალს ჯერ კიდევ ბიზანტიელი მეომრები. ამჟამად იკლავენ წყურვილს ტურისტები და ჩვენც. ციხესიმაგრის კარიბჭეზე ბერის გამოსახულებაა, რომლისკენაც ორი მონაზონია დახრილი. ერთნი ამბობენ, რომ ეს არის ძველი ქალაქის ემბლემა, რომელშიც ორი მამაკაცთა და ექვსი დედათა მონასტერი იყო. სხვანი ამტკიცებენ, რომ ეს გამოსახულება მას შემდეგ ამოკვეთეს ქვაზე, როცა მამაკაცთა მონასტრებიდან დედათა მონასტრებში მიმავალი მიწისქვეშა საიდუმლო გვირაბები აღმოაჩინეს.

ცენტრალურ მოედანზე უამრავი მტრედია. რამდენიმე მოხუცი საცენკს უყრის და ისინიც არ ფრთხებიან, მიჩვეულნი არიან აღამიანებს. საკმარისი იყო გავჩერებულყავით, რომ მტრედები გვასხდებოდნენ თავზე და მხრებზე. კინოფილმს ვიღებდი და ფირზე აღბეჭდილია ეს მომენტიც.

ყოველ საღამოს 6 საათზე აქ იღება კაზინოების კარები, სადაც შუალამემდე თამაშობენ რულეტ-ბაკარას. ყველაზე დიდი და პოპულარული კაზინო არის „კაზინო დუბროვნიკი, ვილა შეპერაზადა“. კაზინოებია აგრეთვე სასტუმროებში „არგენტინა“ და „ექსელსიორში“. ქალაქში ბევრია ტაძარი, რომლებშიც ხშირია საორღანო კონცერტები.

ერთ დღეს გავემგზავრეთ ჩერნოგორიაში. გავუყვეით ადრიატიკის ლაჟვარდოვან ნაპირს სამხრეთ-აღმოსავლეთით და მივადექით უძველეს ქალაქ კოტორს. აქ ჩვენი ყურადღება მიიპყრო XVI საუკუნის 4 კმ სიგრძის კედელმა და XII საუკუნის წმინდა ლუკას ტაძრის უზარმაზარმა გუმბათმა. აქვე დგას ადრიატიკის სანაპიროზე უძველესი წმინ-

და ტრიფუნის ტაძარი, რომელიც XVII საუკუნეში მიწისძვრას დაზღ-
ვრეცია. შემდეგ იგი აღუდგენიათ შეცვლილი სტილით. კოტორში
იუგოსლავიის საუკეთესო საზღვაო მუზეუმიცაა, რომელშიც შენახი-
რებულია ჩერნოგორიის სანაპიროს ფლოტის ისტორიის ამსახველი
დოკუმენტები.

კოტორიდან სულ მალა ვიწვეთ, მთებში, სადაც ინტენსიურადაა
განვითარებული კარსტი. გავიარეთ სოფელი ნიეგუში, სადაც დაიბადა
ჩერნოგორიის მთავარი და პოეტი პეტრე II ნეგოში, რომელმაც სულ
38 წელს იცოცხლა. გვიჩვენეს სახლი, რომელშიც იგი დაბადებულა;
ჩვენი შემდეგი პუნქტია ქალაქი ცეტინიე. აქ, პეტრე II ნეგოშისა და
ჩერნოგორიელი თავადის ნიკოლოზ I-ის სასახლეებში ამკამად მუზე-
უმებია, რომლებშიც გამოფენილია ეთნოგრაფიული ექსპონატები.
კვლავ აღმართები და ავდივართ ეზერსკი ვრხის მთაზე, 1700 მ სიმაღ-
ლეზე. ახლოს 50 მეტრით უფრო მაღალი მწვერვალია, რომელზეც
დგას პეტრე II ნეგოშის მავზოლეუმი. სიკვდილამდე ერთი წლით აღ-
რე თვითონ უთხოვია აქ დაეკრძალათ იგი. 1914 წელს, I მსოფლიო
ომის დროს მავზოლეუმი დაუნგრევიათ და 1925 წელს ახლად აღვიათ
იგი. ამ სიმალიდან შესანიშნავი პანორამა იშლებოდა და კარგად მო-
ჩანდა ქალაქი ცეტინიე.

კვლავ ადრიატიკის სანაპიროსკენ გავწიეთ და ბუდვაში ჩავედით.
მანამდე, 800 მ სიმაღლის პლატოდან მოჩანდა ადრიატიკის ზღვის ნა-
პირთან მიმოფანტული მრავალი კუნძული. ზოგი მწვანით იყო შემო-
სილი და ციცაბო ფერდობები ჰქონდა. ტყუილად როდი უძახიან ამ
ნაწილს ათასი კუნძულის მხარეს.

მეორე დღეს დუბროვნიკში დავბრუნდით, სადაც გავვიმართეს გა-
მოსამშვიდობებელი ბანკეტი. კონგრესი საზეიმოდ დაიხურა და ჩვენ
სარაევოს გავლით ბელგრადში უნდა ჩავსულიყავით, საიდანაც სამ-
შობლოში გამოვემგზავრებოდით.

უკანასკნელი მღვიმე, რომელიც იუგოსლავიის ტერიტორიაზე ვნა-
ხეთ, იყო ვეტრენიკა, რომელიც ამართლებს თავის სახელს — საკმა-
ოდ ძლიერი ქარი უბერავს მღვიმიდან. მისი სიგრძე 7500 მეტრია. ყვე-
ლაზე ლამაზია „ოქროს დარბაზი“, რომელიც შესასვლელიდან 350
მეტრითაა დაშორებული. მოყვითალო, სველი სტალაქტიტები და სტა-
ლაგმიტები სინათლეზე ოქროსფრად ელვარებენ. გავიარეთ 500 მეტრი
და გვიჩვენეს სტალაგმიტების ჯგუფი, ქალებს რომ ჩამოჰგაედნენ. ამი-
ტომაც შეარქვეს ამ ადგილს ჰარამხანა. მღვიმეში ბევრი ტბაა. ერთ აღ-
გილზე შევცბით კიდეც — ჩვენს წინ ჯარისკაცების ქანდაკებები აღ-

მოჩნდა. თურმე ამას წინათ აქ კინოს იღებდნენ და ეს ბუტაფორია გავეკეთებინათ...

უკანასკნელად შევაველეთ თვალი ადრიატიკის, დამლაციის მშვენიერ სანაპიროს და ნაცნობი გზებით გავემგზავრეთ მოსტარისკენ, მერე კი სარაევოსკენ. აი ისიც, I მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი. ხიდზე გვითითებენ ჩაღრმავებულ და გაქვავებულ ორ ნაფეხურს ასფალტში. აქ მდგარა 1914 წლის 28 ივნისს გავრილა პრინციპი, რომელმაც მოკლა ფრანც ფერდინანდი, ავსტრიის ტახტის მემკვიდრე. სწორედ ეს არ გახდა მიზეზი ომის დაწყებისა?

სარაევო მკვეთრად განსხვავდება იუგოსლავიის აქამდე ნანახი ქალაქებისგან. ქალაქის ახალი ნაწილი ტიპიური თანამედროვე ევროპულ ყაიდაზეა აგებული: მაღალი, თეთრი შენობები, ფართო მოედნები და სხვ. ძველი ქალაქი კი მუსლიმანურია უამრავი მეჩეთით, მინარეთებით, ჭრელი ბაზრით. ქუჩებში ფესკიანი ხელოსნები სხედან და სპილენძისაგან ჭურჭელს, დეკორატიულ ნივთებს ქეფენ, არის ერთი რაზა-რუხი, ხმამაღალი ლაპარაკი: ყოველ ნაბიჯზე სუვენირები იყიდება.

ღამე მთის კურორტ იახორინაში გავათიეთ და მეორე დღეს სარაევოდან ბელგრადში ჩავედით, საიდანაც სამშობლოსკენ გამოვემგზავრეთ.

ბოლოობა

საოცარია კაცის ცხოვრება. დრო ელვისებურად მიქრის და ისე სწრაფად იცვლება ბევრი რამ, ლამის მეხსიერებაშიც ვეღარ ჩაეტიოს. თითქოს გუშინ იყო ის ყველაფერი, რაც ამ წიგნშია აღწერილი. ვიმოგზაურეთ დედამიწის სამი კონტინენტის ზოგ საინტერესო ქვეყანაში, გავეცანით სხვადასხვა ხალხს, მათ კულტურას, ადათ-წესებს, ბუნებას: დავათვალიერეთ მუზეუმები, ქალაქები, შესანიშნავი ნაკრძალები, მღვიმეები...

წიგნში აღწერილი მოგზაურობების შემდგომ პერიოდში არგენტინაში სამხედრო გადატრიალება მოხდა და ჩვენი მასპინძელი, ამ ქვეყნის პრეზიდენტი მარია ისაბელ ესტელა მარტინეს დე პერონი გადააყენეს და ამის შემდეგ კიდევ სამჯერ შეიცვალა ხელისუფლება. უგანდის პრეზიდენტმა იდი ამინმა გაქცევით უშველა თავს. გარდაიცვალნენ პრეზიდენტები: ალჟირისა — ხუარი ბუმედიენი, საფრანგეთისა — ჟორჟ პომპიდუ, კენიისა — ჯომო კენიატა, იუგოსლავიისა — იოსებ ბროს ტიტო.

თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო აკადემიკოს გიორგი მოწინიძის გარდაცვალება კენიაში მოგზაურობიდან ნახევარი წლის შემდეგ. ამ საოცარი კაცის ხსოვნისადმი ღრმა პატივისცემის გრძნობა სამარადისოდ ჩაიბეჭდა ჩემს სულში და სწორედ ამ გრძნობის გამოხატულებად იქცა წიგნი მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, რომელსაც მალე გამოსცემს სსრკ მეცნიერებათა აკადემია...

განზრახული მქონდა სხვა ქვეყნებში მოგზაურობებით მიღებული მთაბეჭდილებებიც გამეზიარებინა მკითხველისათვის, მაგრამ იმდენი რამ არის საისტერესო მოსათხრობად, რომ ამას ერთი წიგნი ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტე აქ დამესვა მრავალი წერტილი და თუ ოდესმე დრო მომცემს შესაძლებლობას, სხვა წიგნები მიუძღვება უცხოეთის დანარჩენ ქვეყნებში მოგზაურობას...

იმედს არ ვკარგავ, რომ კვლავ ვეწვევი ალპებსა და პირინეებს, პარიზს, მუზეუმის სავანეს, სამხრეთ საფრანგეთს და შევძლებ იმ მიზნების განხორციელებას, ფრანგი ხალხის ერთ-ერთ საუკეთესო შვილთან და დიდ მეცნიერთან ერთად რომ მქონდა დასახული. საამისო წინამძღვრები კი არსებობენ: ვერტიკალურ მღვიმეებში ჩაღწევის რეკორდი ფრანგებს ეკუთვნით. ეს რეკორდი, რომელიც ჟან-ბერნარის უფსკრულშია დამყარებული (1594 მ), სულ 219 მეტრით აღემატება საქართველოში აღმოჩენილ და 1375 მ სიღრმემდე დაპყრობილ ვერტიკალურ მღვიმეს „თოვლიანს“. სხვაც ბევრია ჩვენში პერსპექტიული. ბევრი ქვეყნის სპელეოლოგებს აქვთ სურვილი მოაწყონ ჩვენთან გაცვლითი ექსპედიციები. ეჭვი არ მეპარება, რომ ახლო მომავალში ჩვენი მღვიმეები სპელეოლოგიურ ჯომოლუნგმებად იქცევიან და ამ მხრივაც გაუთქვამენ სახელს ჩვენს სამშობლოს...

დამთავრდა წიგნი და ჩვენი მოგზაურობაც. ბუნებრივია, მკითხველს ზოგი რამ მოეწონებოდა და ახალი იქნებოდა მისთვის, ზოგი კი ნაცნობი, ან არ მოეწონებოდა. ამიტომ შენიშვნებს მადლობის გრძნობით მიიღებს ავტორი და მომავლისთვის გაითვალისწინებს მათ.

შინაპარსი

წინასიტყვაობა	3
ნილოსის გასწვრივ, ვიქტორიისაკენ	5
შაქრის ლერწამი, ფლამინგოები და კვლავ ვიქტორია	15
ძაუ-ძაუ, ინგლისის დაქრილი ლომი და „პარამბუე!“	26
კლიმანჯარო და საოცარი ნასის ტომი	36
ნაირობის ეროვნულ პარკში	41
ცავოს ეროვნული პარკი და სპილოები — პრობლემა № 1	47
შთამომავლობამ რომ არ გვისაყვედუროს	54
კაცობრიობის წინაპრები და ელ-მოლოს ტომი	65
MUY LJNDO არგენტინისაკენ	76
ანდები, ინკები და კონკისტადორები	79
უწმინდესი სამების ქალაქში და წმინდა მარიამის კეთილი ქარის ნავსადგურში	100
გენერალი პრეზიდენტები და პრინუნსიამიენტო	108
არგენტინელი ქალები	116
პამპასები, გაუჩოები და სან-ნიკოლასი	121
ნარ-დელ-პლატა და საჯიშე ულაცები	132
ზღვის დედოფალი	139
ჩადრში ჩამალული მშვენიერება	151
ქრისტიანი ქალის აკლამა	158
შაშლისა და მარიამის ქვეყანაში	162
პარიზი . . . პარიზი . . .	167
იუნესკოს 25 წლისთავი და პოლიტიკა	170
პარიზის „სტომაქი“, ნუზეუმები და პანთეონი	190
სამხრეთ საფრანგეთის მთებსა და მღვიმეებზე	205
მისტრალისა და პეტრარკას ნაკვალევებზე	221
ნარკომანი ნაგაზები და ნეოფაშისტები შტრასის ქალაქში	235
პრეზიდენტის დაკრძალვა	240
იუგოსლავიის მღვიმეებზე	245
ბოლოთქმა	258

КИКНАДЗЕ ТАМАЗ ЗАХАРЬЕВИЧ

Контрасты трех континентов
(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакарთველო»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1985

რედაქტორი შპია ერისთავი
მხატვარი ირაკლი ღუნდუა
მხატვრული რედაქტორი ლერი ღვინჯილია
ტექნიკური რედაქტორი ნათელა ქავთარაძე
კორექტორი ელენე უვანია
გამომშვები ნელი მანაგაძე

ს. ბ. № 4168

გადაეცა წარმოებას 06. 05. 84. ხელმოწერილია დასაბეჭოად 29. 05. 85.
№ 111796 საბეჭდი ქალაღი № 2. 60×84^{1/16}. გარნიტური ვენა. ბეჭდვის ხერხ
შალალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 15. 34. ჩაყრა 0. 93 პირ. საღ-გატ. 16. 59.
საღრ.-საგამომც. თაბახი 15. 83. ტირაჟი 20. 000. შვევ. № 1579.

ღასი 1 მაწ. 30 კაბ.

გამომცემლობა „საბუთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომის სამხრეთ ოსეთის საოლქო
პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება, ცხინვალი, მოსკოვის 5.

Юго-Осетинское областное полиграфическое производственно-
объединение Госкомиздата ГССР, г. Цхинвали, Московская, 5.

